

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
იურიდიული კომპანია „ჯეი ემ ჯი და პარტნიორები“

დიმიტრი გეგენავა

ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის
სამართლებრივი მოდელები და
საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება



დავით ბატონიშვილის
სამართლის ინსტიტუტის
გამომცემლობა

დმიტრი გეგენავა, ეკლესია-სახელმწიფო ურთიერთობის სამართლებრივი მოდელები და საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2018

გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2018

Dimitry Gegenava, Legal Models of Church-State Relations and Georgian Constitutional Agreement

Prince David Institute for Law Publishing, Tbilisi, 2018

Publishing “Lawyers’ World”, Tbilisi, 2018

© დმიტრი გეგენავა, 2018

ISBN 978-9941-9607-9-6

წინათქმა

„ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი მოდელები და საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება“ ჯერ კიდევ ორი წლის წინ უნდა გამო-სულიყო, თუმცა უაღრესად სუბიექტურ მიზეზთან გამო, რომლებიც ძირითადად გად-ატვირთულ სამუშაო რეჟიმსა და დროის უქონლობას უკავშირდება, მისი გამოცემა მხოლოდ 2018 წელს მოხერხდა. წიგნში მოცემული ფაქტობრივი ინფორმაცია 2017 წლამდეა და ამ ნაწილში არ განმიახლებია, რადგანაც სადემონსტრაციოდ საკმარისად მივიჩნით. შევეცადე ტექსტი წასაკითხად და გასაგებად მარტივი ყოფილიყო, თუმცა არ დაეკარგა აკადემიური ხარისხი. რამდენად კარგად შევძელი, ეს უკვე მკითხველის გადასაწყვეტია.

ძალზე მნიშვნელოვანია, თუ რა განწყობით წაიკითხავს ადამიანის ამ წიგნს. რადიკალები, ფუნტამენტალისტები, თუ იდეოლოგიურად ანგაჟირებული ადამიანები აქ მოცემულ ინფორმაციას არასაკმარისად მკაცრად, მკვეთრად თუ ცხადად მიიჩ-ნევენ. ეს წიგნი სხვა მიზნით დაინერა და მაქსიმალურად ვეცადე, ობიექტური შუალ-ედი დამეჭირა, ინფორმაცია ყოველგვარი შელამაზების გარეშე გადმომეცა და რაც მთავარია, ვინმეს ან რამეს ინტერესებს არ მორგებოდა. შესაბამისად, არც იქნება გასაკვირი, თუ ვინმეს სიმწვავე ან სიღრმე დააკლდება. ტექსტი მაინც ნაშრომის სა-თაურიდან გამომდინარეობს და არ ეხება ყველა იმ საკითხს, რომელსაც ზოგადად ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობები მოიცავს.

ამ თემაზე მუშაობა ჯერ კიდევ მაშინ დავიწყე, როდესაც აღნიშნული საკითხი არსებული სიმწვავეთ ნამდვილად არ გამოირჩეოდა, თუმცა უკვე იგრძნობოდა ის „მძაფრი ქარტეხილი“, რომელიც ცოტა ხანში რელიგია-სახელმწიფოს სფეროს თავს დაატყდებოდა. შესაბამისად, მსგავს ნაშრომზე მუშაობა და მასთან რაიმე შეხება გარკვეულწილად საფრხის შემცველიც კი იყო.

ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში მადლობის გადახდა თუ ნაშრომის მიძღვნა ცოტა უცნაურია და მეტად ეუხერხულებათ ავტორებს. არ დავმაღავ, მსგავს აკადემიურ სნობიზმს თავადაც ხშირად შევუპყრივარ და მომრიდებია საკუთარი აზრის გამოხატვა გრძნობა-განცდებისთვის მიუვალ აკადემიურ გარემოში. მიუხედა-ვად ამისა, აუცილებელია, გამოვყო იმ რამდენიმე ადამიანის ღვაწლი და დამსახურება, რომელთა გარეშეც არათუ ეს წიგნი არ შეიქმნებოდა, არამედ მე, როგორც მკვლევარი, ვერ შევდგებოდი. უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო პროფესორ გიორგი კვერენჩილაძეს, რომელსაც წამითაც არ უყოყმანია და მხარი დამიჭირა ამ „აკად-ემიურ ავანტიურაში“, წლების მანძილზე მიმითითებდა გასავლელ გზას. მისი მხარდაჭერა და მკაცრი აკადემიური სტილი დიდწილად მაიძულებდა ინტერდისცი-პლინური კვლევის პროცესში ნათლად გამომეკვეთა სამართლებრივი ორიენტირი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პროფესორი პაატა ტურავა, ვინაც პირველმა მაზიარა აკადემიური წერის სტანდარტს ჯერ კიდევ ბაკავრიატზე სწავლის წლებში, მასწავლა საკუთარი და სხვისი აზრის მნიშვნელობა. მადლობა პროფესორ გიორგი ხუ-ბუას, რომელმაც მომცა უდიდესი მოტივაცია, არ შემოვფარგლულიყავი ვინრო ხედვით, მეცქირა გაცილებით ფართო ჰორიზონტებისთვის, ჩემი აზროვნება და მსჯელობა დამეფუძნებინა არა ნორმატივიზმზე, არამედ ღირებულებით წესრიგსა და მეტაპოზიტიურ ფასეულობებზე.

აქვე მადლობას ვუხდის ყველა იმ ადამიანს, ვინც გვერდში მედგა და მაგულიანებდა მთელი ამ ხნის განმავლობაში, განსაკუთრებით ჩემს მშობლებს, რომლებმაც სწავლა შემაყვარეს, ბავშვობიდანვე მიბიძგებდნენ სიახლეთა გაცნობა-დაუფლებისკენ და ჩემს მეუღლეს, რომელმაც ტიტანური მოთმინებით გაუძლო ნაშრომზე მუშაობის დამძლე პერიოდს და უფრო მეტიც, დღემუდამ მაძლევს მოტივაციას, შევექმნა გაცილებით მეტი.

იმედს ვიტოვებ, წიგნში მოცემული ინფორმაცია დაეხმარება ამ საკითხებით დაინტერესებულ ადამიანებს და მცირედით მაინც დააკმაყოფილებს მათ ინტელექტუალურ წყურვილს. რა თქმა უნდა, რელიგია და სახელმწიფოს სამართლებრივი ურთიერთობის კვლევას ამ ნაშრომით არ ვასრულებ, პირიქით, ეს მხოლოდ საფუძველია გაცილებით მასშტაბური კვლევებისთვის.

დიმიტრი გეგენავა

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის დირექტორი
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2018 წლის იანვარი

შემოკლებანი

იხ. — იხილეთ
შეად. — შეადარეთ
მსგ. — მსგავსი
ა.შ. — ასე შემდეგ
დანვრ. — დანვრილებით
დღგ — დამატებული ღირებულების გადასახადი
წმ. — წმინდა
ჟურნ. — ჟურნალი
ა(ა)იპ — არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
სსიპ — საჯარო სამართლის იურიდიული პირი
პროფ. — პროფესორი
წმინდა წერილი — ბიბლია
გაერო — გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
ევროსასამართლო — ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
ევროკომისია — ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია
ევოკონვენცია — ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათ დაცვის ევროპული კონვენცია
საქართველოს ეკლესია — საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია
წმინდა საყდარი, რომის ეკლესია — რომის კათოლიკე ეკლესია, ვატიკანი
აზერბაიჯანი — აზერბაიჯანის რესპუბლიკა
ანგოლა — ანგოლის რესპუბლიკა
არგენტინა — არგენტინის რესპუბლიკა
აშშ — ამერიკის შეერთებული შტატები
ბელგია — ბელგიის სამეფო
ბენინი — ბენინის რესპუბლიკა
ბულგარეთი — ბულგარეთის რესპუბლიკა
ბურუნდი — ბურუნდის რესპუბლიკა
გაბონი — გაბონის რესპუბლიკა
ადამიანის უფლებათა კომიტეტი — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტი
გაერთიანებული სამეფო — დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო
გაიანა — გაიანას რესპუბლიკა
გამბია — გამბიის რესპუბლიკა
გერმანია, გფრ — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა
გვინეა — გვინეის რესპუბლიკა
გვინეა-ბისაუ — გვინეა-ბისაუს რესპუბლიკა
დანია — დანიის სამეფო
ევროკავშირი — ევროპის კავშირი
ევროსაბჭო — ევროპის საბჭო
ეკვადორი — ეკვადორის რესპუბლიკა
ესპანეთი — ესპანეთის სამეფო
ეუთო — ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
ვენეციის კომისია — ევროპული კომისია სამართლის მემკვიდრით დემოკრატიისთვის
თურქეთი — თურქეთის რესპუბლიკა
ინდოეთი — ინდოეთის რესპუბლიკა
ირლანდია — ირლანდიის რესპუბლიკა
ისრაელი — ისრაელის სახელმწიფო
იტალია — იტალიის რესპუბლიკა
კამერუნი — კამერუნის რესპუბლიკა
კვიპროსი — კვიპროსის რესპუბლიკა
კონგო — კონგოს რესპუბლიკა

კოტ დიჟუარი — კოტ დიჟუარის რესპუბლიკა
ლატვია — ლატვიის რესპუბლიკა
მადაგასკარი — მადაგასკარის რესპუბლიკა
მოზამბიკი — მოზამბიკის რესპუბლიკა
მონაკო — მონაკოს სამთავრო
მალი — მალის რესპუბლიკა
ნამიბია — ნამიბიის რესპუბლიკა
ნან. — ნანილი
ნეპალი — ნეპალის ფედერაციულ-დემოკრატიული რესპუბლიკა
ნიდერლანდები — ნიდერლანდების სამეფო
ნორვეგია — ნორვეგიის სამეფო
პოლონეთი — პოლონეთის რესპუბლიკა
პორტუგალია — პორტუგალიის რესპუბლიკა
რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტი — გაერთიანებული
ერების ორგანიზაციის რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტი
რუანდა — რუანდის რესპუბლიკა
რუსეთი — რუსეთის ფედერაცია
საბერძნეთი — საბერძნეთის (ელადის) რესპუბლიკა
სან ტომე და პრინსიპი — სან ტომესა და პრინციპის დემოკრატიული რესპუბლიკა
საბჭოთა კავშირი — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი
საფრანგეთი — საფრანგეთის რესპუბლიკა
სენეგალი — სენეგალის რესპუბლიკა
სერბეთი — სერბეთის რესპუბლიკა
სლოვაკეთი — სლოვაკეთის რესპუბლიკა
სსრ — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა
სსსრ — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა
ტაჯიკეთი — ტაჯიკეთის რესპუბლიკა
ტოგო — ტოგოს რესპუბლიკა
უსდ — უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
ყაზახეთი — ყაზახეთის რესპუბლიკა
ყირგიზეთი — ყირგიზეთის რესპუბლიკა
შვედეთი — შვედეთის სამეფო
ჩადი — ჩადის რესპუბლიკა
ჩრდ. კორეა — ჩრდილოეთ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა
App. - Application
Circ. - Circuit
Comm.- Communication
ECHR - European Commission of Human Rights
ECtHR - European Court of Human Rights
ed. - edition
etc. - et cetera
U.S. - United States
UN - United Nations
UNHRC - United Nations Human Rights Committee
Fed. - Federal
Iss. - Issue
No. - Number
Para. - Paragraph
v. – versus
Venice Commission - European Commission for Democracy Through Law
Vol. – Volume
Para. - Paragraph
UK - United Kingdom
Tom – T.

შინაარსი

I. შესავალი 1

II. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ძირითადი საპარტლევარივი ფორმები 6

1. სახელმწიფო და ქრისტიანული ეკლესია 6

1.1. სახელმწიფო 6

1.1.1. სახელმწიფო, როგორც სამოქალაქო ინსტიტუტი 6

1.1.2. სახელმწიფოს ქრისტიანული კონცეფცია 7

1.2. ეკლესია 9

1.2.1. ეკლესია, როგორც ერთობა 9

1.2.2. ეკლესია, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი 9

1.2.2.1. ეკლესია — იურიდიული პირი 11

1.2.2.1.1. კერძო სამართლის იურიდიული პირი 14

1.2.2.1.2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი 16

1.2.2.2. არარეგისტრირებული ერთობა 17

2. ეკლესია-სახელმწიფოს სამართლებრივი ურთიერთობების ისტორიული
განვითარება 18

2.1. ეკლესიის წარმოშობა და დიდ სქიზმამდელი ურთიერთობები სახელმწიფოსთან 18

2.1.1. ქრისტიანობის ლეგიტიმაცია და ეკლესიის სახელმწიფოსადმი
დაქვემდებარება 18

2.1.1.1. ქრისტიანების დევნიდან ქრისტიანობის შემწყნარებლობამდე 18

2.1.1.2. ეკლესია იმპერატორ კონსტანტინეს შემდეგ 19

2.1.2. დასავლეთ-აღმოსავლეთის ეკლესიები და რომის დაცემა 20

2.1.3. კანონიკური სამართალი და სახელმწიფო 21

2.2. ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობები დასავლეთის ეკლესიების ისტორიული
განვითარების კონტექსტში 22

2.3. ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობები აღმოსავლური ეკლესიების ისტორიული
განვითარების კონტექსტში 24

2.4. ქრისტიანობა სეკულარულ მსოფლიოში 26

3. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის მოდელები და სამართლებრივი მონესრიგება 27

3.1. ქვემდებარეობის მოდელი 29

3.1.1. ერასტიანიზმი 29

3.1.2. თეოკრატია 30

3.2. სახელმწიფო ეკლესია 31

3.2.1. სახელმწიფო ეკლესიის კონცეფცია 31

3.2.2. სახელმწიფო ეკლესიის ინსტიტუციური შესაბამისობა ადამიანის ძირითად უფლებებთან 37

3.3. სეკულარიზმი 38

3.3.1. სეკულარიზმის კონცეფცია 38

3.3.1.1. სეკულარიზმის იდეა 38

3.3.1.2. სეკულარიზმი თანამედროვე მსოფლიოში 42

3.3.2. სეკულარიზმის მოდელები 45

3.3.2.1. სრული გამიჯვნის მოდელი 45

3.3.2.1.1. სახელმწიფო სეკულარიზმი 46

3.3.2.1.2. ლიბერალური სეკულარიზმი 47

3.3.2.1.3. Laïcité 53

3.3.2.1.4. ანტიეკლესიის მოდელი 57

3.3.2.2. თანამშრომლობის მოდელი 60

3.3.2.2.1. თანამშრომლობის მოდელის კონცეფცია 60

3.3.2.2.2. სახელმწიფოსა და ეკლესიის თანამშრომლობის სამართლებრივი მექანიზმები 64

3.3.2.2.2.1. საკანონმდებლო მოდელი 65

3.3.2.2.2.1.1. საკონსტიტუციო დონე 65

3.3.2.2.2.1.2. საკანონმდებლო დონე 66

3.3.2.2.2.2. სახელშეკრულებო მოდელი 67

3.3.2.2.2.2.1. კონკორდატი 67

3.3.2.2.2.2.2. შეთანხმებები 71

3.3.2.3. შერეული (ჰიბრიდული) მოდელი 71

3.3.3. სეკულარიზმის პრობლემები 73

III. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა საქართველოში 77

1. ეკლესია-სახელმწიფოს სამართლებრივი ურთიერთობების განვითარება საქართველოში 77

1.1. I-V საუკუნეები 77

1.2. ავტოკეფალია და გორგასლის საეკლესიო რეფორმა 78

1.3. VI-XI საუკუნეები 79

1.3.1. VI-X საუკუნეები 79

1.3.2. ათონელი ბერები და გიორგი მთაწმინდლის საეკლესიო რეფორმა 80

1.4. საეკლესიო რეფორმა და აღმაშენებლის ეპოქა 81

1.4.1. რუის-ურბნისის საეკლესიო კრება 81

1.4.2. მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის სახელო და ეკლესიის სახელმწიფოსთვის დაქვემდებარება 83

1.5. XII-XVII საუკუნეები 85

1.5.1. XII-XIV საუკუნეები 85

1.5.2. ერთიანი საქართველოს დაშლა და ქართული ეკლესია 87

1.5.3. ვახტანგის სამართალი 89

1.5.4. XVIII საუკუნე 90

1.6. ქართული ეკლესია რუსული ანექსიის პერიოდში 90

1.7. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 91

1.8. ქართული ეკლესია და საბჭოთა კავშირი 94

1.9. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომი პერიოდი 95

2. ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის ქართული მოდელი 98

2.1. რელიგიის თავისუფლება 98

2.2. საკონსტიტუციო პრივილეგია 100

2.3. თანამშრომლობის სისტემა 101

2.3.1. თანამშრომლობის ქართული მოდელის თავისებურებანი 101

2.3.2. თანამშრომლობის ქართული მოდელის პრობლემები 103

IV. საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება 105

1. კონსტიტუციური შეთანხმების დადების მოტივაცია და წინარე პერიოდი 105
2. კონსტიტუციური შეთანხმების შინაარსი 106
 - 2.1. ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნა 106
 - 2.2. ეკლესიისა და სასულიერო პირთა სამართლებრივი სტატუსი 108
 - 2.3. საფინანსო-ეკონომიკური თანამშრომლობა 109
 - 2.3.1. კომპენსაცია და საგადასახადო შეღავათები 109
 - 2.3.2. ქონება და საეკლესიო საგანძური 110
 - 2.4. რელიგია და საჯარო სივრცე 111
3. კონსტიტუციური შეთანხმების ადგილი ქართულ სამართალში 113
 - 3.1. კონსტიტუციური შეთანხმების სამართლებრივი სტატუსი 113
 - 3.2. კონსტიტუციური შეთანხმება, როგორც სამართლის წყარო 114
4. კონსტიტუციური შეთანხმების სამართლებრივი პრობლემები 116
 - 4.1. კონსტიტუციური შეთანხმების სახელწოდების ტერმინოლოგიური უზუსტობა 116
 - 4.2. კონსტიტუციური შეთანხმება ნორმატიული აქტების იერარქიაში 117
 - 4.3. კონსტიტუციური შეთანხმების ჰიბრიდული ბუნება 119
 - 4.4. სეკულარიზმის პრინციპის დარღვევა და ეკლესიის შეზღუდვა 120
 - 4.4.1. საიდუმლოების დაცვა 121
 - 4.4.2. ლიცენზია და ნებართვები 122
 - 4.4.3. ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვა 124
 - 4.4.4. პატრიარქის ხელშეუვალობა 126
5. კონსტიტუციური შეთანხმება და ადამიანის ძირითადი უფლებები 127
 - 5.1. ეკლესია-სახელმწიფოს თანამშრომლობა რელიგიისა და დემოკრატიის თავსებადობის კონტექსტში 128
 - 5.2. თანასწორობა 130
 - 5.3. რელიგიის თავისუფლება 132

V. კონსტიტუციური შეთანხმების აღსრულება საქართველოში 135

1. კონსტიტუციური შეთანხმების აღსრულების მდგომარეობა 135
2. ჯვრისწერის აღიარება ქართულ სამართლებრივ სივრცეში 136

- 2.1. საოჯახო ურთიერთობების სამართლებრივი მონესრიგება და რელიგია 136
- 2.2. ქორწინების სამართლებრივი გაგება 138
 - 2.2.1. ქორწინების სამოქალაქოსამართლებრივი გაგება 138
 - 2.2.2. ქორწინების კანონიკურსამართლებრივი გაგება 140
- 2.3. ჯვრისწერის აღიარება 142
 - 2.3.1. ჯვრისწერა, როგორც სამართლებრივი ფაქტი და მისი აღიარება 142
 - 2.3.2. ჯვრისწერის აღიარების სამართლებრივი პრაქტიკა 144
 - 2.3.2.1. ჯვრისწერის არაღიარება და სამოქალაქო ქორწინების ერთადერთობა 145
 - 2.3.2.2. ჯვრისწერის აღიარება — ალტერნატიული მოდელი 146
 - 2.3.2.2.1. ეკლესიის მიერ შესრულებული ჯვრისწერის აღიარების სამართლებრივი გეოგრაფია 146
 - 2.3.2.2.2. მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ შესრულებული ჯვრისწერის აღიარება 147
 - 2.3.2.2.3. რომაულ-კათოლიკური და სხვა ეკლესიების მიერ შესრულებული ჯვრისწერის აღიარება 149
 - 2.3.3. კანონიკური ქორწინების აღიარების ქართული გამოცდილება 150
- 2.4. ჯვრისწერის აღიარებასთან დაკავშირებული სირთულეები 152
 - 2.4.1. ქორწინების აღიარების სამართლებრივი მონესრიგება 152
 - 2.4.1.1. ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა 152
 - 2.4.1.2. ქართული საეკლესიო კანონმდებლობა 153
 - 2.4.2. საერო და საეკლესიო ნორმათა კოლიზია 154
 - 2.4.2.1. ასაკი 154
 - 2.4.2.2. ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები 155
 - 2.4.2.3. განქორწინება 157
 - 2.4.3. საეკლესიო ფაქტები და მათი რეგისტრაცია 159
- 3. რელიგიური დღესასწაულები 160
 - 3.1. რელიგიურ დღესასწაულებზე უქმობა 160
 - 3.2. რელიგიურ დღესასწაულებზე უქმობა საქართველოში 161
 - 3.3. კონსტიტუციური შეთანხმებით ნაკისრი „ვალდებულება“ 162

- 4. საფინანსო-ეკონომიკური ვალდებულებები 163
 - 4.1. კომპენსაცია 163
 - 4.2. საგადასახადო შეღავათები 167
 - 4.2.1. რელიგიური გაერთიანებებისათვის საგადასახადო შეღავათების დადგენა 167
 - 4.2.1.1. რელიგიური გაერთიანებებისთვის საგადასახადო შეღავათების დადგენა და ადამიანის ძირითად უფლებები 167
 - 4.2.1.2. რელიგიური გაერთიანებებისთვის საგადასახადო შეღავათების დადგენის პრაქტიკა 168
 - 4.1.1.2.1. აშშ-ის საკანონმდებლო მონესრიგება და პრაქტიკა 168
 - 4.1.1.2.2. ევროპული მიდგომა 170
 - 4.2.2. რელიგიური გაერთიანებები და საქართველოს საგადასახადო სისტემა 172
 - 4.3. ეკლესიისთვის ქონების დაბრუნება და გადაცემა 174
 - 4.4. კულტურული მემკვიდრეობის მოვლა და საეკლესიო საგანძური 176
- 5. რელიგიის სწავლება და რელიგიური განათლება 178
 - 5.1. რელიგიის სწავლების როლი და მნიშვნელობა 178
 - 5.2. ეკლესია-სახელმწიფოს ინსტიტუციური ურთიერთობები და განათლება 180
 - 5.2.1. განათლების სისტემაში რელიგიის ინტეგრირების მოდელები 180
 - 5.2.2. რელიგიის სწავლება და სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები 181
 - 5.2.3. რელიგიური განათლების დაფინანსება 183
 - 5.2.4. რელიგიის სწავლებაზე სახელმწიფო ზედამხედველობა 184
 - 5.2.5. რელიგიური სიმბოლოები და განათლება 185
 - 5.3. რელიგია სასწავლო კურიკულუმებში 187
 - 5.3.1. რელიგიის გაკვეთილების სავალდებულობა სასწავლო პროგრამებში 187
 - 5.3.2. „რელიგიის სწავლება“ და „რელიგიის შესახებ სწავლება“ 189
 - 5.4. რელიგიის სწავლება საქართველოში 190
 - 5.5. საპატრიარქოს დაქვემდებარებული სასწავლებლები 191
 - 5.6. საპატრიარქოს დაქვემდებარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა და მათ მიერ გაცემული დიპლომების აღიარება 192
 - 5.7. რელიგია და ქართული საგანმანათლებლო სივრცის პრობლემები 194

6. რელიგია, სასჯელალსრულებისა და თავდაცვის სისტემები 195

6.1. სასჯელალსრულებისა და თავდაცვის დანესებულებებში რელიგიის ინტეგრირების პრაქტიკა 195

6.2. რელიგია და საქართველოს თავდაცვის სისტემა 196

6.2.1. სამხედროთა რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება 196

6.2.2. კონსტიტუციური შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება 197

6.3. რელიგია და საქართველოს სასჯელალსრულების სისტემა 198

6.3.1. ბრალდებულისა და მსჯავრდებულის რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება 198

6.3.2. კონსტიტუციური შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება 199

VI. დასკვნა 201

ბიბლიოგრაფია 210

„მრთელი ადამიანი აზროვნებისა და თავისუფლებისგან შედგება.“
წმ. ნიკოლოზ კაბასილა¹

„ქრისტიანობა თავისუფალი კონსტიტუციური სახელმწიფოს ბეზიაქალია?“²

I. შესავალი

კაცობრიობის ისტორიასა და თანამედროვეობაშიც ძალზე იშვიათია ისეთი ინსტიტუტები, რომლებსაც საზოგადოების განვითარების მთელ პროცესზე აქვთ გავლენა. თანამედროვე სახელმწიფოების საქმიანობის სპეციფიკისა და ადამიანის ძირითადი უფლებების, როგორც სამართლის ღირებულების,³ განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ნებისმიერი სხვა ინსტიტუტი უკანა პლანზე იწევს. სოციალური და სამართლებრივი ურთიერთობების სიმრავლეში სხვათაგან განსხვავებული ადგილი უკავია რელიგიას, რომელიც სოციალური, კულტურული, ისტორიული და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სამართლებრივი მოვლენაცაა. იგი ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი, საზოგადოების შემაკავშირებელი ელემენტია⁴ და მისი მნიშვნელობა კაცობრიობის შეგნებული აზროვნების ისტორიის სანყისი ეტაპებიდან მოყოლებული, წარმოუდგენლად დიდია. ის, ერთგვარად, კოლექტიური იდენტობის ერთ-ერთ მთავარ ჩამომყალიბებლად იქცა⁵.

რელიგიამ კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა მას შემდეგ შეიძინა, რაც ასპარეზზე მსოფლიოს დომინანტი რელიგიები გამოჩნდნენ და დაიწყო არა მხოლოდ საღვთისმეტყველო, მეტაფიზიკურ საკითხებზე დოგმატიკის ჩამოყალიბება, არამედ პრაქტიკულ, სახელმწიფოსთან თანაყოფიერებასა და თანაარსებობაზე ფიქრი. IV საუკუნიდან ქრისტიანობა სახელმწიფოებრივ დონეზე გავრცელებას იწყებს და ეკლესია მალევე ევროპული სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი „ატრიბუტი“ ხდება. მთელმა შუა საუკუნეებმა ეკლესიის მნიშვნელოვანი დომინანტობით ჩაიარა და გამონაკლისი არც საქართველო იყო, სადაც საეკლესიო დოგმატიკა და სამართალი სახელმწიფოსა და საზოგადოებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა.

შუა საუკუნეების მიწურულისკენ დატრიალებული რეფორმაციის ქარიშხლის შემდეგ, ევროპაში დამკვიდრდა აზრი, რომ საზოგადოების სტაბილურობა და კეთილდღეობა სწორედ სახელმწიფოსა და ეკლესიაზე იყო დამყარებული.⁶ შესაბამისად, XX საუკუნემდე სახელმწიფო ცდილობდა, თავად ემართა და დაემორჩილებინა ეკლესია, როგორც ხალხის კონტროლის საუკეთესო საშუალება. თანამედროვე ეპოქამდე რელიგიაზე, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებების სფეროზე, რა თქმა უნდა,

¹ ეგნატე IV, მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა: მოწმობის ორიენტირი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №3(12)'07, 2007, 30.

² სპიკერი მ., ქრისტიანობა და თავისუფალი კონსტიტუციური სახელმწიფო, ზ. იაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №5(32), 2009, 81.

³ სუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 206.

⁴ Peyrouse S., The Relationship between Church and State in the Post-Soviet World: The Case of Christianity in Central Asia, „Journal of Church and State“, №49, 2007, 101.

⁵ Ferrari S., Introduction to European Church and State Discourses, in: Law & Religion in the 21st Century – Nordic Perspectives, Edited by L. Christoffersen, K. Å. Modeér, S. Andersen, Copenhagen, 2010, 26.

⁶ ლოქლინი რ.ბ., კედლის ბევრი ფანჯარა, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №5, 2012, 91.

საუბარი არც იყო. რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება, როგორც სამართლებრივი პრინციპი, XX საუკუნის მთავარი მონაპოვარია⁷.

რელიგია კერძო სფერო,⁸ „ძალზე პირადი, ძალზე საკრალური და ძალზე ნმინდაა“, საერო ხელისუფლების ნებაზე რომ იყოს დამოკიდებული.⁹ შესაბამისად, რელიგიის თავისუფლების პრინციპმა სახელმწიფოსა და რელიგიის ერთმანეთისგან განცალკევების, გამიჯვნის იდეა თავისთავად განავითარა, ვინაიდან რელიგიის თავისუფლება, ერთი მხრივ, ინდივიდუალურ თავისუფლებას, მეორე მხრივ, კი თავად რელიგიური ინსტიტუტების დამოუკიდებლობას გულისხმობს¹⁰.

XXI საუკუნე ფასეულობათა გადაფასების ეპოქაა.¹¹ თანამედროვე სამყაროში ეკლესიებმა და რელიგიურმა ორგანიზაციებმა დაკარგეს გავლენა და კონტროლი კერძო თუ საჯარო სფეროების მნიშვნელოვან სეგმენტზე.¹² მიუხედავად იმისა, რომ მთელი ცივილიზებული სამყარო სახელმწიფოსა და რელიგიის ერთმანეთისგან გამიჯვნაზე თანხმდება, ეს პროცესი ყველგან ერთნაირად არ მიმდინარეობს. ტრადიციულ, მართლმადიდებელი ქრისტიანობის ქვეყნებში სახელმწიფოს დღემდე სჭირდება ეკლესია, როგორც კულტურული იდენტობის მთავარი ნყარო და შედეგი.¹³ უფრო მეტიც, იგი თანამედროვე ურბანული ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა¹⁴ და დღემდე ევროპული იდენტობის მნიშვნელოვან კომპონენტად რჩება¹⁵.

რელიგია ყოველთვის იყო ქართული სახელმწიფოს ერთიანი ორგანიზაციული ქსოვილისა და იდეოლოგიის განუყოფელი ნაწილი. შეიძლება ითქვას, რომ შუა საუკუნეებში ქვეყნის ოფიციალური იდეოლოგია მთლიანად საეკლესიო მიდგომებს ეფუძნებოდა¹⁶. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის ერთ-ერთ მთავარ იარაღადაც სწორედ ქრისტიანული მრწამსი იქცა, ეკლესიის მეშვეობით იმპერიამ მყარად გაიდგა ფესვები ქვეყანაში, ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ შემდგომში რუსული ეკლესია საქართველოსთვის საიმპერიო-ცარისტული მანქანის ასოციაციას ინვესტავდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის ის მოდელი, რომელიც დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მოქმედებდა. შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებლობის პერიოდში დანყებული ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ ზეაქტიურ ფაზაში საბჭოთა კავშირმა გადაიყვანა, რაც რუსული სოციალიზმის ტიპური ნიშანი იყო.

⁷ ლორია ვ., გელაშვილი ბ., ბენდელიანი მ., ადამიანის უფლებები და რელიგია, თბილისი, 2006, 21.

⁸ იხ., *97 Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and 4 Others v. Georgia*, [ECtHR], App. no. 71156/01, 3 May 2007, Para.150.

⁹ Wood J.E., *Church and State in Historical Perspective: A Critical Assessment and Annotated Bibliography*, London, 2005, 68.

¹⁰ იხ., იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, 111-112.

¹¹ Nathan C.N., *The Changing Face of Religion and Human Rights, A Personal Reflection*, Leiden-Boston, 2013, 172-173.

¹² Ferrari S., *Introduction to European Church and State Discourses*, in: *Law & Religion in the 21st Century – Nordic Perspectives*, Edited by L. Christoffersen, K. Å. Modeér, S. Andersen, Copenhagen, 2010, 26.

¹³ Mungiu-Pippidi A., *The Ruler and the Patriarch: The Romanian Eastern Orthodox Church in Transition*, “East European Constitutional Review”, №7, 1998, 91.

¹⁴ Turner B.S., *The Religious and the Political, A Comparative Sociology of Religion*, New York, 2013, 240.

¹⁵ Nathan C.N., *The Changing Face of Religion and Human Rights, A Personal Reflection*, Leiden-Boston, 2013, 175.

¹⁶ საგინაშვილი ქ., საეკლესიო სასჯელების ისტორია, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2002, 19.

დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ეკლესიის მიმართ ცალსახა არასდროს ყოფილა და ყოველთვის მრავალდონიანობით გამოირჩეოდა. მართალია, სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება დაიდო, რითაც მათი თანამშრომლობა ოფიციალურად გაფორმდა და ეკლესიამ *de facto* პრივილეგირებული სტატუსი მიიღო, თუმცა საკითხი ამით არ ამოწურულა. პირიქით, ფორმალურ-სამართლებრივმა მხარემ პრაქტიკული დანიშნულება თითქმის ვერ შეასრულა, რის გამოც ქართული ნორმატიული სისტემის რანგით მეორე დოკუმენტმა არათუ სრული, არამედ ნაწილობრივი აღსრულებაც კი ვერ ჰპოვა. დღემდე რჩება უამრავი გადაუჭრელი საკითხი, რომლებიც სრულ უძრავობაშია და სამწუხაროდ, მათ გადასაწყვეტად აუცილებელი თანმხვედრი ნაბიჯებიც არ სჩანს. ამასთან, არ შეიძლება ამ საკითხის პოლარიზაცია და რომელიმე მხარისთვის სრული პასუხისმგებლობის გადაკისრება, ვინაიდან თანამშრომლობის პროცესში უარყოფითი შედეგის შემთხვევაში, როგორც წესი, წვლილი ორივე მხარეს მიუძღვის.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციური შეთანხმება და მის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები მუდამ აქტუალურია, ქართულ სამართლებრივ სივრცეში ამ საკითხებზე მხოლოდ რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი არსებობს, რომლებიც უფრო იდიოგრაფიული ხასიათისაა, ვიდრე ანალიტიკური. ამის მიზეზი კვლევის პროცესის სირთულე და ის დელიკატურობაა, რომელიც რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებს მუდამ თან სდევს. სიღრმისეული ანალიზისა და შესწავლის გარეშე, იზრდება სხვა რელიგიურ გაერთიანებათა და აღმსარებელთა ძირითადი უფლებების დარღვევის, დისკრიმინაციის საფრთხე. საკითხის აქტუალობას განაპირობებს სახელმწიფოს ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში გაერთიანებისა და თანამედროვე, დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბების სურვილი, რომლისთვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რელიგიის თავისუფლება. ამასთან, საზოგადოების უმრავლესობის აღმსარებლობა და უმცირესობის რელიგიური უფლებები პრაქტიკაში მუდმივად კვეთენ ერთმანეთს, გარკვეული ჯგუფები კი ცდილობენ ამ სფეროში არსებული პრობლემების მარგინალიზებით მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულონ. გარდა ამისა, კონსტიტუციური შეთანხმება ხშირად აღიქმება, გარკვეულწილად, „ბურუსით მოცულ“ დოკუმენტად, რომელზეც ყველა საუბრობს, თუმცა მისი შინაარსი და მით უმეტეს, სიღრმისეული, განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხები ცოტამ თუ უწყის. დოკუმენტის სამართლებრივი ანალიზი და საკონსტიტუციოსამართლებრივი შეფასება სათანადოდ ჯერაც არ განხორციელებულა, რაც ძალიან ბევრ დაინტერესებულ ჯგუფს შესაძლებლობას აძლევს, იგი საკუთარი პოზიციიდან წარმოაჩინოს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ევროპისკენ სწრაფვის გზაზე დაიხვეწოს და გაუმჯობესდეს კონსტიტუციური შეთანხმებით დადგენილი სამართლებრივი წესრიგი, თავად აქტი კი შედარებითი საკონსტიტუციო სამართლის, ზოგადად, ევროპულსამართლებრივი გამოცდილების ქრილში გაანალიზდეს და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დაიხვეწოს.

ნაშრომის მიზანია სახელმწიფოსა და ეკლესიის, როგორც ურთიერთობებათა მხარეების, მიმართების შესწავლა, მათი ურთიერთობების ძირითადი, გავრცელებული მოდელების ანალიზი, ამ ურთიერთობათა სამართლებრივი ასპექტების მიმოხილვა და განზოგადება, უკეთესი და შინაარსობრივად ადეკვატური კლასიფიკაციის შემუშავება, რომელიც არა რომელიმე სივრცეზე, არამედ მთლიანად ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივ მხარეზე იქნება ორიენტირებული; სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთმიმართების სამართლებრივი

ფორმების შესწავლა, რათა გამოიყოს ის ძირითადი მექანიზმები, რომელთა რეცეფცია და ადაპტაცია შესაძლებელი იქნება ქართულ სინამდვილეში. კვლევის მიზანია, კონსტიტუციური შეთანხმების, როგორც პოზიტიურსამართლებრივი წყაროს, შესწავლა, მისი სტატუსის, შინაარსის ძირითადი ასპექტების ანალიზი ნორმატიული წესრიგის ქრილში, ასევე, კონსტიტუციური შეთანხმების აღსრულების პროცესის, ეტაპებისა და ამ მიზნით განხორციელებული ქმედებების შეფასება, აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემების დიფერენციაცია, სიღრმისეული კვლევა; იმპლემენტაციის სირთულეების გადაჭრისათვის რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება, რომლებიც როგორც კანონიკურსამართლებრივ, ისე საერო სამართლის გამოცდილებასა და მსოფლიოში აპრობირებულ მოდელებს დაეფუძნება.

კვლევა ძირითადად ეყრდნობა შედარებითსამართლებრივ მეთოდებს, ანალიტიკურ, ისტორიულ-გენეტიკურ, იდიოგრაფიულ (დესკრიფციულ), ჰერმენევტიკულ და სხვა სამეცნიერო მეთოდებს. მეთოდური კვლევის საფუძველზე მოხდება ეკლესიასახელმწიფოს ურთიერთობების სფეროში არსებული სამეცნიერო ლიტერატურის, სამართლებრივი აქტებისა და სასამართლო პრაქტიკის შესწავლა. დამუშავდება ქართული საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოების, ევროსასამართლოს, ევროკომისიის, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის, აშშ-ის უმაღლესი სასამართლოსა და სეკულარიზმის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რამდენიმე სახელმწიფოს პრაქტიკა, რაც უკეთესი მონესრიგებისა და საქართველოში არსებული პრობლემების გადაწყვეტის ადეკვატური საშუალებების იდენტიფიკაციისთვის მნიშვნელოვანი წყარო იქნება.

ნაშრომი ექვსი ნაწილისგან შედგება, რომელთაგან I და VI, შესაბამისად, შესავალი და დასკვნაა, ხოლო ძირითადი კვლევა II-V ნაწილებშია მოქცეული. II ნაწილში ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფოსა და ეკლესიის სუბიექტუნარიანობაზე, მათი თანამშრომლობის სამართლებრივ საფუძვლებზე; მოცემულია ეკლესიასახელმწიფოს ურთიერთობების სხვადასხვა კლასიფიკაცია და განხილულია მათი ფორმები, მექანიზმები და სტანდარტები შედარებითსამართლებრივ კონტექსტში.

ნაშრომის III ნაწილი ეთმობა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობების ქართული მოდელის მიმოხილვასა და ანალიზს. ქართული გამოცდილება განხილულია სამართლებრივ კონტექსტში, ქრისტიანობის გავრცელებიდან თანამედროვე ეპოქის ჩათვლით, შეფასებულია რელიგიის თავისუფლებისა და ეკლესიასახელმწიფოს ურთიერთობის ქართული მოდელის თავისებურებები და ძირითადი მახასიათებლები.

IV ნაწილი კონსტიტუციურ შეთანხმებას, როგორც სამართლებრივ დოკუმენტს, მის შინაარსობრივ, ტექნიკურ და სამართლებრივ მახასიათებლებს ეხება. განხილულია, როგორც უშუალოდ ტექსტი, ისე ტერმინოლოგიური, სამართლებრივი და საკანონმდებლო ტექნიკის მხრივ არსებული პრობლემები. საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება გაანალიზებულია ნორმატიული აქტების იერარქიის, ქართულ სამართლებრივ სივრცეში მისი ადგილის კონტექსტში, შედარებულია ადამიანის ძირითადი უფლებების დოქტრინას, თანასწორობის ძირითად უფლებასა და რელიგიის თავისუფლებას.

V ნაწილში თავმოყრილია კონსტიტუციური შეთანხმების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები. შეფასებულია შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესი და ამ მიზნით განხორციელებული ღონისძიებები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჯვრისწერის აღიარების, რელიგიური განათლების, საეკლესიო დღესასწაულებზე უქმობისა და რელიგიის საჯარო სივრცეში, განსაკუთრებით კი სასაჯელაღსრულებისა

და თავდაცვის სფეროებში, ინტეგრაციის საკითხს. გაანალიზებულია საფინანსო-ეკონომიკური ვალდებულებების (კომპენსაცია, ქონების დაბრუნება-გადაცემა, საგადასახადო შეღავათების სისტემა და კულტურული მემკვიდრეობის, საეკლესიო საგანძურის მოვლა-პატრონობა) აღსრულების პროცესი და ამ კუთხით კონსტიტუციური შეთანხმების ჯეროვანი იმპლემენტაციისთვის დამაბრკოლებელი გარემოებების აღმოფხვრისა და პრობლემათა გადაწყვეტის შესაძლო გზები.

II. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ძირითადი სამართლებრივი ფორმები

1. სახელმწიფო და ქრისტიანული ეკლესია

1.1. სახელმწიფო

1.1.1. სახელმწიფო, როგორც სამოქალაქო ინსტიტუტი

სახელმწიფოს წარმოშობა და განვითარება მეტად საინტერესო ისტორიულ პროცესებთანაა დაკავშირებული. სახელმწიფო, როგორც ადამიანთა ორგანიზებული თანაარსებობა, უძველესი წესრიგია.¹⁷ მისი თანამედროვე არსი და მახასიათებლები საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და იხვეწებოდა. თანამედროვე სახელმწიფოს იდეა და კონცეფცია სრულად იზიარებს წარსულ გამოცდილებას, მეცნიერთა ნააზრევსა და საერო პრაქტიკას. ამასთან, მისი თანამედროვე გააზრება განსხვავდება თუნდაც XIX საუკუნემდე არსებული კონცეფციებისგან, იგი მოიცავს პლატონისა და არასისტოტელეს დეფინიციას, ციცერონის მიზნობრიობას, მაკიაველის, ბოდენის, მონტესკიეს, ლოკის, მედისონისა და ჯეფერსონის მოძღვრებებს, რომლებმაც, საბოლოო ჯამში, სახელმწიფოს თანამედროვე სახე მისცეს. სახელმწიფოს თანამედროვე ფორმით ჩამოყალიბების ერთი, მნიშვნელოვანი ეტაპი დაგვირგვინდა ბენტამის, ოსტინისა და პოზიტივისტების თეორიით, რომელმაც პოზიტიური სამართლის არსებობა სრულად სახელმწიფოს სუვერენულ ნება-სურვილს დაუკავშირა¹⁸.

სახელმწიფო, როგორც სამოქალაქო ინსტიტუტი, ის უფლებამოსილი წარმონაქმნია, რომელსაც სამოქალაქო ურთიერთობათა ძირითადი ასპექტების მონესრიგებაზე აქვს ექსკლუზივი. ხალხი მას გადასცემს ძალაუფლებას, რათა მისი სახელით განახორციელოს საქმიანობა.¹⁹ სწორედ ეს აქცევს მას ადამიანთა ყველაზე ორგანიზებულ და სისტემურ, სუვერენიტეტით აღჭურვილ ერთობად²⁰.

ყველა საზოგადოებას სჭირდება ავტორიტეტული ინსტიტუტი, თუმცა სახელმწიფო, სინამდვილეში, ერთ-ერთი და არა ერთადერთი ასეთი წარმონაქმნია.²¹ ეს არის ის მნიშვნელოვანი დებულება, რომელიც მან უნდა გაითვალისწინოს, რათა მმართველობა ტირანიად არ იქცეს. სახელმწიფოს, როგორც სამოქალაქო ერთობას, IV საუკუნიდან ქრისტიანული ეკლესიის სახით მნიშვნელოვანი კონკურენტი გამოუჩნდა, რომელმაც თანდათან საერო საკითხებშიც სერიოზული გავლენა მოიპოვა. ყველა თანხმდება, რომ ამ პერიოდიდან სახელმწიფოში ერთის ნაცვლად უკვე ფაქტობრივად ორი სუვერენი არსებობს — ხელისუფლებისა და ეკლესიის სახით²² (მომავალში სწორედ ამან განაპირობა, თანამედროვე სახელმწიფოს მცდელობა, ისე უნდა მოაწყოს ეკლესიისა და მისი ურთიერთობები, რომ თავიდან აირიდოს „სახელმწიფო

¹⁷ ბუმისი პი., კანონიკური სამართალი, ი. გარაყანიძის თარგმანი, თბილისი, 2007, 187.

¹⁸ იხ., ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 206; Corpus Juris, წ.1, სამართალმცოდნეობის საკითხები, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2015, 14-23.

¹⁹ იხ., Loughlin M., Foundations of Public Law, Oxford, 2010, 69-73.

²⁰ იხ., გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-3 გამოცემა, თბილისი, 2015, 8-12.

²¹ Mckinley P.B., Differentiating Church and State (Without Losing the Church), “Georgetown Journal of Law and Public Policy”, Vol.7, 2009, 42.

²² Berg Th.C., Colby K.W., Esbeck C.H., Garnett R.W., Religious Freedom, Church-State Separation, and the Ministerial Exception, “Northwestern University Law Review Colloquy”, Vol. 106, 2011, 177.

სახელმწიფოში²³, რაც, საბოლოო ჯამში, სერიოზული პრობლემებითა და კრიზისით შეიძლება დასრულდეს²⁴).

1.1.2. სახელმწიფოს ქრისტიანული კონცეფცია

ეკლესიასა და სახელმწიფოს მოქმედების განსხვავებული სფერო და მექანიზმები აქვთ, თუმცა, ძნელი სათქმელია, რამდენადაა ეს ყოველივე ერთმანეთისგან დამოუკიდებელი.²⁵ 313 წელს იმპერატორმა კონსტანტინემ საიმპერატორო ედიქტით ქრისტიანული და სხვა რელიგიები შეიწყნარა, ნება დართო ემოქმედათ თავისუფლად, რამაც ეკლესიის შემდგომ განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია.²⁶ ამ დროიდან იწყება ქრისტიანული დოგმატიკის სისტემური ჩამოყალიბება, მათ შორის, სახელმწიფოსთან დაკავშირებული საკითხების დამუშავება.

ქრისტიანობისთვის სახელმწიფო მისაღები ინსტიტუტია, რადგანაც ეს უკანასკნელი ამქვეყნიური ცხოვრებისა და ადამიანთა შორის მშვიდობის უზრუნველყოფის საშუალებად აღიქმება, ანარქია კი პრინციპულად მიუღებელია.²⁷ აქვე აღსანიშნავია, რომ, მართალია, სახელმწიფო და ხელისუფლება ანარქიასთან ბრძოლის მექანიზმია, თუმცა, საბოლოო ჯამში, იგი მაინც ძალადობის ორგანოა, რომელიც ერთგვარად თავისუფლების სულის ქრისტიანულ გაგებასთან წინააღმდეგობაშიც კი მოდის.²⁸ სახელმწიფო და ხელისუფლება ღმერთის მიერ დადგენილ მმართველობად მიიჩნევა, ყოველ ქრისტიანს კი ევალება, დაემორჩილოს მას.²⁹ ზოგადად, ქრისტიანობა „უკვე არსებულ წესრიგსა და კანონებს იღებდა როგორც პოზიტიურ მოცემულობას“³⁰, უფრო მეტიც, ხელისუფლებისა და სახელმწიფოს არსებობა, რომელიც სოციალურ და პოლიტიკურ უწესრიგობას უპირისპირდება, ქრისტიანული შეხედულებით, ღმერთის მიერაა დადგენილი.³¹ ვინაიდან ყველა მმართველი უფლის განგებით გამწესებულად მოიაზრება, ადამიანი ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია, დაიცვას სახელმწიფოში არსებული სამართალი. ცუდი ხელისუფლება ღვთაებრივ სასჯელადაა მიჩნეული, კარგი კი — ნყალობად. ეკლესია არ შეიძლება რომელიმე პოლიტიკური სისტემის თუ დაჯგუფების მომხრედ აღიქმებოდეს, ის შეიძლება დაგვარად ნეიტრალურ პოზიციას უნდა ინარჩუნებდეს³².

²³ Habermas J., Equal Treatment of Cultures and the Limits of Postmodern Liberalism, “Journal of Political Philosophy”, Vol.13, 2005, 13.

²⁴ იხ., Annicchino P., Laïcité as Civil Religion: An Italian American Perspective, “The George Washington International Law Review”, Vol.41, No.4, 2010, 820.

²⁵ ხუცურაული ი., ქრისტიანული რელიგიისა და სამართლის ურთიერთდამოკიდებულება სახელმწიფოში, ჟურნ. „სამართალი“, №9-10, 2001, 21.

²⁶ ნარინდოშვილი მ., გოგელია ვ., ჯულაყიძე თ., ჯაში ზ., გლურჯიძე ე., რელიგიის თავისუფლება, თბილისი, 2004, 29.

²⁷ ხუცურაული ი., ქრისტიანული რელიგიისა და სამართლის ურთიერთდამოკიდებულება სახელმწიფოში, ჟურნ. „სამართალი“, №9-10, 2001, 22.

²⁸ მენი ა., რელიგია, „პიროვნების კულტი“ და სეკულარული სახელმწიფო, დ. თინიკაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №6(39), 2010, 76.

²⁹ ეპისტოლე პავლე მოციქულისა რომაელთა მიმართ, 13,1; Berger B., The Limits of Belief: Freedom of Religion, Secularism and the Liberal State, Canadian Journal of Law and Society, Vol.17, No.1, 2002, 40; *Brasard et al. v. Langevin*, [1877] 1 S.C.R. 145 at 220-I.

³⁰ მენი ა., რელიგია, „პიროვნების კულტი“ და სეკულარული სახელმწიფო, დ. თინიკაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №6(39), 2010, 75.

³¹ იქვე.

³² იხ., ბუმისი პ.ი., კანონიკური სამართალი, ი. გარაყანიძის თარგმანი, თბილისი, 2007, 188.

ქრისტიანულ მოძღვრებაში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ სამყაროებთან კავშირის სახედ აღიქმებოდა, დაწყებული ქრისტეს ცნობილი პოსტულატიდან, ნეტარი ავგუსტინეს „ღვთაებრივი ქალაქით“ გაგრძელებული.³³ ამგვარი მოსაზრება თავად ქრისტეს მიერ დაწესებული გამიჯვნიდან მოდის, რომლის განმარტებითაც, ღვთაებრივ საკითხებში უზენაესია ეკლესია, როგორც უფლის ნების გამომხატველი, ხოლო საეროში — სახელმწიფო.³⁴ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაცხოვრისეულ პოსტულატს მრავალი ინტერპრეტაცია აქვს, ვინაიდან მასზეა დაფუძნებული ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობათა მთელი ქრისტიანული სისტემა.

სახელმწიფოს ქრისტიანული კონცეფციის პარალელურად, ქრისტიანული სახელმწიფოს შესახებ მოძღვრებაც ჩამოყალიბდა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა, რასაც ხშირად თავად ეკლესიის შიგნით მიმდინარე მოვლენები უწყობდა ხელს.³⁵ ქრისტიანული სახელმწიფოს იდეა შუა საკუნეებში განსაკუთრებით აქტუალური იყო, ვინაიდან ეკლესია ლამის სახელმწიფო ხელისუფალთა მოქმედებებს წარმართავდა, თუმცა მისი პოლიტიკური ძალაუფლება ახალი ეპოქის დადგომის შემდეგ მნიშვნელოვნად შესუსტდა, რაც ძირითადად ეროვნული სახელმწიფოების წარმოშობამ განაპირობა.³⁶

ეროვნულმა სახელმწიფოებმა და სხვა რელიგიებისადმი შემწყნარებლურმა პოლიტიკამ სახელმწიფოს ქრისტიანული კონცეფციის გადასხვაფერება განაპირობა. აქტუალური გახდა ეკლესიისა და სახელმწიფოს იდეური განცალკევების თემა. უილიამსის ფრაზა ეკლესიასა („ნალკოტის“) და დანარჩენ სამყაროს („სიველურეს“) შორის გამიჯნავი კედლის აუცილებლობასთან დაკავშირებით შემდგომში აქტიურად გამოიყენეს და პრაქტიკაშიც დამკვიდრდა.³⁷ სახელმწიფოს მიერ რელიგიის თავისუფლების პრინციპის აღიარებამ ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთსაინანაღმდეგო პოზიციების არსებობის რისკი გაზარდა, შესაბამისად, თანამედროვე სინამდვილეში სახელმწიფოს სამართალი შეიძლება საეკლესიო სჯულსა და სწავლებას ენინანაღმდეგებოდეს. ასეთ შემთხვევაში არ არსებობს აპრობირებული გამოსავალი, თუმცა ხშირად მიუთითებენ წმინდა წერილის დებულებაზე, რომლის მიხედვითაც, უპირველესად ადამიანები უნდა ემორჩილებოდნენ ღმერთს, შემდგომ კი სხვა ადამიანთა დადგენილ წესებს.³⁸ ამას კი მნიშვნელოვანი დისონანსი შემოაქვს, თუმცა, როგორც რადბრუხი განმარტავს, ამ დებულების პრაქტიკაში გამოყენება ხშირად ადამიანის სინდისზეა დამოკიდებული, რომელსაც ღმერთი „მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში თუ აღვიძებს“³⁹.

³³ Eighmy J.L., Institutional Support in a Welfare State: The Crisis in Church-State Relations, “Journal of Church and State”, №4(2), 1962, 167.

³⁴ „მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: „მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა.“, სახერაბაჲ მარკოზისი, 12,17.

³⁵ იხ., Wood J.E., Church and State in Historical Perspective: A Critical Assessment and Anntated Bibliography, London, 2005, 31.

³⁶ ლორია ვ., გელაშვილი ბ., ბენდელიანი მ., ადამიანის უფლებები და რელიგია, თბილისი, 2006, 27.

³⁷ “Wall of Separation between the Garden of the Church and the Wildness of the World”, იხ., ნარინდოშვილი მ., გოგელია ვ., ჯუღაყიძე თ., ჯაში ზ., გლურჯიძე ე., რელიგიის თავისუფლება, თბილისი, 2004, 39.

³⁸ „მიუგო პეტრე და მოციქულთა და ჰრქუეს: მორჩილებაჲ ჯერ-არს ღმრთისაჲ უფროჲს ვიდრე კაცთაჲ.“, საქმე წმიდათა მოციქულთაჲ (აღწერილი ლუკა მახარებელისაჲ), 5.29.

³⁹ რადბრუხი გ., სამართლის ფილოსოფიის ხუთი წუთი, დ. გეგენავას თარგმანი, სამართლის ჟურნალი „სარჩევი“, №1-2(3-4), 2012, 240.

1.2. ეკლესია

1.2.1. ეკლესია, როგორც ერთობა

თანამედროვე მეცნიერებაში სიტყვა „ეკლესია“ ორი მნიშვნელობით გამოიყენება: ერთის მიხედვით, ეს არის ადგილი, სადაც მიმდინარეობს ქრისტიანული ღვთისმსახურება⁴⁰, ხოლო მეორე მნიშვნელობით, იგი ქრისტიანთა ერთობა, ორგანიზაციაა⁴¹. ეკლესია რელიგიური ორგანიზაციაა, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს საზოგადოებასთან და ერის თუ ეთნოსის სარწმუნოებრივი გაერთიანებაა, რომლისთვისაც სახელმწიფოს კულტურასა და ტრადიციებთან ჰარმონიული ურთიერთობაა დამახასიათებელი.⁴² მას სახელმწიფოსგან სრულიად განსხვავებული ფუნქციები და მიზნები აქვს. ეკლესიის მიზანია ღვთის სიტყვის, უფლის სიყვარულისა და სამართლიანობის ხალხისთვის გაცნობა, ადამიანთა სულის ხსნაზე ზრუნვა, ხოლო სახელმწიფოს არსი საყოველთაო კეთილდღეობის, წესრიგისა და თავისუფლების, კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფაა.⁴³ მრწამსის მიხედვით, ეკლესია არის „ერთი, წმინდა, კათოლიკე და სამოციქულო“⁴⁴, იგი მთელ დედამიწაზე ერთია და მისი თავი იესო ქრისტეა.⁴⁵ ქრისტიანული მსოფლმხედველობით, ეკლესია არის როგორც ერთობა, სისტემა, ისე — ერთადერთი საშუალება, რომლითაც მისი წევრები, ქრისტიანები მიაღწევენ საბოლოო მიზანს — ცხოვნებას: *extra ecclesiam nulla salus*⁴⁶.

საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანული ეკლესია სერიოზულ და მრავალდონიან ორგანიზაციად იქცა, რომელიც სხვადასხვა სამართლებრივი თუ სოციალური ფორმით მთელ მსოფლიოში გავრცელდა. დღესდღეობით რამდენიმე ძირითადი და მრავალი წვრილი ქრისტიანული მიმდინარეობა არსებობს, რომელთაც თავიანთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწყობა, სტრუქტურა და დოგმატიკა აქვთ.

1.2.2. ეკლესია, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი

მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში არ არსებობდა ერთიანი ხელისუფლება. სახელმწიფოს გვერდით ყოველთვის მოიაზრებოდა ეკლესია, რომელიც ხელისუფლების რეალურად შემზღვეველი სამოქალაქო ინსტიტუტი იყო.⁴⁷ სახელმწიფოსა და ეკლესიის ფუნქციები, მართალია, ერთმანეთისგან განსხვავებულია, თუმცა ისინი ხშირად იკვეთება,⁴⁸ რადგანაც არცერთი ეკლესია თუ რელიგიური ინსტიტუტი საზოგადოებისგან მონყვეტილად არ არსებობს, იგი განთავსებულია სხვადასხვა ად-

⁴⁰ „შეინიერება მსხვერპლი სადიდებლად ყოვლადწმინდა სამებისა.“ ჩიკვაიძე დ., საეკლესიო სამართალი, თბილისი, 2008, 8.

⁴¹ იქვე, 8; ბუმისი პ.ი., კანონიკური სამართალი, ი. გარაყანიძის თარგმანი, თბილისი, 2007, 74.

⁴² პაპუაშვილი ნ., მსოფლიო რელიგიები საქართველოში, თბილისი, 2002, 16.

⁴³ National Council of Churches, Separation and Interaction of Church and State, “Journal of Church and State”, №6, 1964, 147.

⁴⁴ მრწამსი, მე-10 მუხლი.

⁴⁵ იხ., ბუმისი პ.ი., კანონიკური სამართალი, ი. გარაყანიძის თარგმანი, თბილისი, 2007, 73-74.

⁴⁶ „ეკლესიის გარეშე არ არის ცხოვნება“ (წმ. კვიპრიანე), იხ., იქვე, 74.

⁴⁷ ნარინდოშვილი მ., გოგელია ვ., ჯულაყიძე თ., ჯაში ზ., გლურჯიძე ე., რელიგიის თავისუფლება, თბილისი, 2004, 30.

⁴⁸ National Council of Churches, Separation and Interaction of Church and State, “Journal of Church and State”, №6, 1964, 147.

მინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, შესაბამის კულტურულ გარემოსა და სოციალურ გარემოში.⁴⁹ მართლმადიდებელი ეკლესია თეოლოგიურად არ უკავშირდება რაიმე პოლიტიკურ ინსტიტუტს, კულტურასა და საზოგადოებას, თუმცა, იმავდროულად, იგი ვალდებულია, ყველა შესაძლო ღონეს მიმართოს ხალხის, ნებისმიერი ადამიანის ხსნისა და სინდისისათვის.⁵⁰

ეკლესიის თეოლოგიური და სამართლებრივი აღქმა ერთმანეთს უახლოვდება, თუმცა მნიშვნელოვნადაც განსხვავდება. თუკი რწმენის კუთხით, ეკლესია მისი წევრების გაერთიანებაა, რომლის მიზანია სულის ხსნა, სამართლისათვის იგი სრულიად განსხვავებულ ინსტიტუტად აღიქმება. სამართლებრივად ეკლესია შეიძლება განისაზღვროს, როგორც რელიგიური ორგანიზაცია, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილთან და როგორც წესი, სახელმწიფოსთანაც მჭიდრო კავშირშია,⁵¹ აქვს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და მოქმედებს სახელმწიფოში არსებული მართლწესრიგის შესაბამისად. ეკლესიის სტატუსი არანაირ მნიშვნელობას ატარებს სულიერების კუთხით, მართლმადიდებლობისთვის მთავარია საღმრთო წესების აღსრულება, ვინაიდან ღვთის წინაშე ყველა თანაბარია.⁵² პრაქტიკული საქმიანობის თვალსაზრისით კი, მისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან აღიარება, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო და ეკლესია დიდად განსხვავდებიან, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირიც აქვთ,⁵³ ამასთან, აღიარების გარეშე ნებისმიერი ყოფითი საქმიანობის განხორციელება წარმოუდგენელია.

მართლმადიდებელი ეკლესია, რომაულისგან განსხვავებით, ისტორიულად ბიუროკრატიული გაერთიანება არ იყო და ყოველთვის უფრო სულიერ საკითხებზე ჰქონდა ორიენტაცია.⁵⁴ თუმცა თანამედროვე სამყაროს სამართლებრივი განვითარება ბუნებრივად მოითხოვს ეკლესიათა და სხვა რელიგიურ გაერთიანებათა სამართლებრივ დონეზე უზრუნველყოფას, რათა მათ საზოგადოებაში ნორმალური არსებობა, სამართალურთიერთობებში მონაწილეობა შეძლონ. ეკლესიის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით სახელმწიფოებს ერთმანეთისგან განსხვავებული პრაქტიკა აქვთ. თითქმის შეუძლებელია ისეთი საერთო, ზოგადი ფორმის მოძიება, რომელსაც ყველა სამართლებრივი სისტემა მიიღებს და აღიარებს, ვინაიდან ყოველივე ეს კონკრეტული ქვეყნის ისტორიაზე, კულტურაზე, საზოგადოებასა და სამართლებრივ სისტემაზეა დამოკიდებული.

⁴⁹ Mckinley P.B., *Differentiating Church and State (Without Losing the Church)*, "Georgetown Journal of Law and Public Policy", Vol.7, 2009, 32.

⁵⁰ Romanides J.S., *The Orthodox Churches on Church-State Relations and Religion Liberty*, "Journal of Church and State", №6, 1964, 185.

⁵¹ ნარინდოშვილი მ., გოგელია ვ., ჯულაყიძე თ., ჯაში ზ., გლურჯიძე ე., რელიგიის თავისუფლება, თბილისი, 2004, 24.

⁵² Romanides J.S., *The Orthodox Churches on Church-State Relations and Religion Liberty*, "Journal of Church and State", №6, 1964, 186.

⁵³ Encyclical Letter "Deus Caritas Est" of the Supreme Pontiff Benedict XVI to the Bishops, Priests and Deacons, Men and Women Religious and All the Lay Faithful on Christian Love, 25 December 2005, Para.28.

⁵⁴ Mungiu-Pippidi A., *The Ruler and the Patriarch: The Romanian Eastern Orthodox Church in Transition*, "East European Constitutional Review", №7, 1998, 87.

ევროკავშირი სახელმწიფოებს უფლებას აძლევს, თავად გადანყვიტონ, თუ რა სამართლებრივი სტატუსი ექნებათ რელიგიურ ორგანიზაციებს, იგი აღიარებს შესაბამისი წესით დაფუძნებულ და მოქმედ რელიგიურ გაერთიანებებს.⁵⁵ რა თქმა უნდა, ეს ყოველივე კანონის წინაშე თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს. რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციისას სახელმწიფოს სრული ობიექტურობა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დაცვა მოეთხოვება.⁵⁶

ეკლესია შეიძლება იყოს როგორც რეგისტრირებული, ისე არარეგისტრირებული ორგანიზაციული ერთობა.⁵⁷ საქართველოში არ არსებობს რელიგიურ გაერთიანებათა მიმართ მოქმედი ერთიანი სამართლებრივი სტანდარტი: სახელმწიფო კონკრეტულ რელიგიურ ჯგუფს უფლებას აძლევს, თავად აირჩიოს, დარეგისტრირდება თუ არა საერთოდ. რა თქმა უნდა, რეგისტრაციის თავისებურებები, ასევე, არარეგისტრირებულ ეკლესიათა სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა სახელმწიფოს კანონმდებლობაზე დამოკიდებულია.

1.2.2.1. ეკლესია — იურიდიული პირი

რეგისტრირებული რელიგიური გაერთიანებები ძირითადად კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახით არსებობენ.⁵⁸ რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციის რამდენიმე მოდელი განიხილვა და ეს კლასიფიკაცია დამოკიდებულია რეგისტრაციისას სახელმწიფოს როლზე.⁵⁹ ევროპული სახელმწიფოების უმრავლესობა რეგისტრაციის პროცესში სახელმწიფოთა აქტიურ მონაწილეობას არჩევს.⁶⁰ ევროპულ სახელმწიფოთა იმ ნაწილში კი, სადაც რელიგიურ ორგანიზაციებთან მიმართებით მკაცრად ჩამოყალიბებული საკანონმდებლო მოწესრიგება არ არსებობს, მსგავსი ორგანიზაციების რეგისტრაციისა და აღიარების პროცესში მნიშვნელოვან როლს ხშირად სასამართლო ასრულებს⁶¹.

საფრანგეთში რელიგიურ ჯგუფად რომელიმე გაერთიანების აღიარება სახელმწიფო საბჭოს პრეროგატივაა, რომელიც საკმაოდ მკაცრად უდგება საკითხს და მხოლოდ ტრადიციულ რელიგიათა წარმომადგენლების მიმართ ავრცელებს 1905 წლის კანონს.⁶² ფინეთში „რელიგიის თავისუფლების აქტთან ერთად“, ევანგელურ-

⁵⁵ ერქვანია თ., სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთმიმართების სამართლებრივი კონტექსტი — ქართული მოდელი, მოკლე შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა ევროპული კავშირის მაგალითზე, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №6, 2013, 29; იხ. ციტირება: Treaty of the Functioning of the European Union (TFEU), art. 17.

⁵⁶ იხ., *Jehovah's Witnesses and Others v. Austria*, [ECtHR], App. no. 40825/98, 31 July 2008.

⁵⁷ მაგ., იტალიაში რელიგიურ გაერთიანებებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ ასოციაციების სახით ან იარსებონ არარეგისტრირებული ასოციაციების სტატუსით, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად. იხ., ფერარი ს., სახელმწიფო და ეკლესია იტალიაში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 249.

⁵⁸ ერქვანია თ., სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთმიმართების სამართლებრივი კონტექსტი — ქართული მოდელი, მოკლე შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა ევროპული კავშირის მაგალითზე, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №6, 2013, 26.

⁵⁹ მელაძე გ., ნონიაშვილი გ., რელიგიური ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხი ქართულ კანონმდებლობაში, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №9, 2016, 77.

⁶⁰ იქვე, 78.

⁶¹ ცაცანაშვილი მ., სახელმწიფო და რელიგია, თბილისი, 2001, 30.

⁶² ბასდევან-გოდემე ბ., სახელმწიფო და ეკლესია საფრანგეთში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 190.

ლუთერანული და მართლმადიდებელი ეკლესიების სამართლებრივ სტატუსს სპეციალური კანონები აწესრიგებს.⁶³ როგორც წესი, რელიგიური გაერთიანებებისა და ეკლესიებისათვის ცალკე რეესტრი არ არსებობს და ისინი სხვა იურიდიული პირების მსგავსად რეესტრირდებიან. მაგ., ესპანეთში რელიგიური გაერთიანებები და ეკლესიები იურიდიული პირის სტატუსის მისაღებად რეესტრირდებიან საჯარო რეესტრში, რისთვისაც მათ უნდა წარადგინონ 1980 წლის „რელიგიის თავისუფლების აქტით“ განსაზღვრული დოკუმენტაცია.⁶⁴ განსხვავებული მდგომარეობაა უკრაინაში, სადაც რელიგიური ცენტრები, მონასტრები, თეოლოგიური სკოლები და მსგავსი ხასიათის ორგანიზაციები უნდა დარეესტრირდნენ რელიგიურ საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში,⁶⁵ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიური ორგანიზაციების რეესტრაცია უკრაინაში საკმაოდ მარტივია, რეესტრაციისთვის საკმარისია გაერთიანებას 10 წევრი მაინც ჰყავდეს და რელიგიური მიზნები ჰქონდეს.⁶⁶ მსგავს მონესრიგებას ადგენს შვედეთიც: რელიგიური ორგანიზაციის რეესტრაციისთვის აუცილებელი პირობა ამ გაერთიანების რელიგიური მიზნები და მისი წევრთა რაოდენობაა⁶⁷.

სახელმწიფოების მიხედვით, რეესტრაციისას მნიშვნელოვანია ეკლესიათა კლასიფიკაცია. იტალიაში მოქმედებს სამსაფეხურიანი სისტემა, რომელიც რელიგიურ გაერთიანებებს განასხვავებს: პირველი, რა თქმა უნდა, რომის კათოლიკური ეკლესიაა, რომელსაც სრულიად განსხვავებული სტატუსი აქვს; მეორე, ის კონფესიები, რომლებიც იტალიაში ტრადიციულად არსებობდნენ და მათი შეხედულებები იტალიის კანონმდებლობას სრულიად შეესაბამება; მესამე ჯგუფს მცირერიცხოვანი და არც ისე პოპულარული გაერთიანებები განეკუთვნებიან.⁶⁸ 1874 წლის „ეკლესიების აღიარების შესახებ“ და 1998 წლის „რელიგიური კონფესიური ერთობების შესახებ“ კანონების თანახმად, ავსტრიაში რელიგიური ორგანიზაციების სამი სახე არსებობს: ოფიციალურად აღიარებული რელიგიური საზოგადოება, რელიგიურ-კონფესიური ერთობა და ასოციაცია.⁶⁹ რელიგიურ გაერთიანებად რეესტრაციისათვის ნორვეგია განმცხადებელს რამდენიმე მოთხოვნას უყენებს: გაერთიანების სახელი და მისამართი, მრწამსი და დოქტრინა, ორგანიზაციული მოწყობა, საქმიანობა და წევ-

⁶³ Slotte P., Freedom of Religion, Freedom of Conscience and Education: A Nordic Example, in: Law, Religion, Constitution (Freedom of Religion, Equal Treatment, and the Law), Edited by C. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari and D. Thayer, Ashgate Publishing, 2013, 335; The Church Act (Kirkkojärjestys 1055/1993), Act on the Orthodox Church (Laki Ortodoksisestakirkosta 985/2006).

⁶⁴ იბანი ი.ს., სახელმწიფო და ეკლესია ესპანეთში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 162.

⁶⁵ Yalensky V., Religion, Church, and State in the Post-Communist Era: The Case of Ukraine (with Special References to Orthodoxy and Human Rights), “Brigham Young University Law Review”, №2, 2002, 482.

⁶⁶ იქვე.

⁶⁷ ფრიდნერი ლ., სახელმწიფო და ეკლესია შვედეთში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 627.

⁶⁸ ფერარი ს., სახელმწიფო და ეკლესია იტალიაში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 247.

⁶⁹ Cranmer F., Olivia J.G., Church-State Relationships - An Overview, “Law and Justice”, №162, 2009, 12; 1960-იანი წლებიდან ავსტრიაში „ტრადიციულ“ რელიგიებთან მიმართებით მიზანმიმართული პოლიტიკა გაატარა, რის შედეგადაც პროტესტანტული და მართლმადიდებლური ეკლესიები ოფიციალურად იქნა აღიარებული. იხ., პოზტი რ., სახელმწიფო და ეკლესია ავსტრიაში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 456.

რობა, მმართველობის ორგანოები, სულიერი და ადმინისტრაციული ხელმძღვანელების სახელწოდება და პასუხისმგებლობის სფერო, რელიგიური გაერთიანების წესები წევრობის, ხმის მიცემის, მომსახურების, წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ⁷⁰.

რეგისტრაცია და იურიდიული პირის სტატუსით არსებობა, რა თქმა უნდა, სავალდებულო არაა (მით უმეტეს, რომ ეკლესია დიდი ხნის განმავლობაში აღიქმებოდა, როგორც *societas iuride perfecta*, რომელიც ღმერთის მიერ იყო დაფუძნებული და არა კანონმდებლობის საფუძველზე, შესაბამისად, იგი სამართალსა და ხელისუფლებას აღარ ემორჩილებოდა და სახელმწიფოს მხრიდან არც რაიმე აღიარება სჭირდებოდა⁷¹), თუმცა სახელმწიფოს მხრიდან ოფიციალური აღიარება მაინც დადებითი ფაქტორია. იგი მატერიალური თვალსაზრისითაც მომგებიანია. შვედეთში რეგისტრირებულ გაერთიანებებს მნიშვნელოვანი სახელმწიფო შეღავათები აქვთ.⁷² რეგისტრაცია რელიგიურ ორგანიზაციებს პრაქტიკული საქმიანობის უკეთ განხორციელებაში, თავისი და წევრების უფლებების დაცვასა და ქონებრივი საკითხების გამართულად წარმართვაში ეხმარება.⁷³ დანიაში რელიგიური ჯგუფის რელიგიურ საზოგადოებად აღიარების შემთხვევაში, იგი გადასახადებისგან თავისუფლდება.⁷⁴ რეგისტრაციის შემდეგ საგადასახადო შეღავათები მოქმედებს უკრაინაშიც⁷⁵.

სხვა ქრისტიანული ეკლესიებისგან განსხვავდება წმინდა საყდრის სამართლებრივი სტატუსი და მდგომარეობა, ვინაიდან ვატიკანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, იგი ხშირ შემთხვევაში კონკრეტულ სახელმწიფოში რელიგიური გაერთიანების სტატუსის მიღებას არ თანხმდება. მის წიაღში მოქმედებს ეკლესიის ერთიანობის იდეა, მათ შორის სამართლებრივი კუთხითაც. შესაბამისად, ხშირად პრობლემები წარმოიშობა, თუკი სახელმწიფო უარს აცხადებს წმინდა საყდართან თანაბარმნიშვნელოვანი სტატუსით ურთიერთობაზე (როცა ვატიკანს, როგორც სახელმწიფოს და რომის ეკლესიას, როგორც რელიგიურ გაერთიანებას, განასხვავებენ). მაგ., რომის ეკლესია ესპანეთში განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობს და მას მოქმედებისთვის იურიდიული პირის ფორმით რეგისტრაცია არ სჭირდება, ვინაიდან წმინდა საყდარი საერთაშორისო სამართლის სუბიექტია და ხელისუფლებასთან ურთიერთობაში ისედაც შეუძლია გამოსვლა⁷⁶.

⁷⁰ Årsheim H., Legal Secularism? – Differing Notions of Religion in International and Norwegian Law, in: *Secular and Sacred? The Scandinavian Model of Religion in Human Rights, Law and Public Space*, Edited by R. Van Der Breemen, J. Casanova and T. Wyller, Vandenhoeck & Ruprecht, 2014, 134.

⁷¹ Fr. Gomes E.X., Church-State Relations from a Catholic Perspective: General Considerations on Nikolas Sarkozy's New Concept of *Laïcité Positive*, "Journal of Catholic Legal Studies", Vol.48, 2009, 205.

⁷² ფრიდნერი ლ., სახელმწიფო და ეკლესია შვედეთში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 622.

⁷³ მელაძე გ., ნონიაშვილი გ., რელიგიური ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხი ქართულ კანონმდებლობაში, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №9, 2016, 89.

⁷⁴ დუბეკი ი., სახელმწიფო და ეკლესია დანიაში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 71.

⁷⁵ Yalensky V., Religion, Church, and State in the Post-Communist Era: The Case of Ukraine (with Special References to Orthodoxy and Human Rights), "Brigham Young University Law Review", №2, 2002, 482.

⁷⁶ იბანი ი.ს., სახელმწიფო და ეკლესია ესპანეთში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 169.

1.2.2.1.1. კერძო სამართლის იურიდიული პირი

რელიგიური გაერთიანებებისა და ეკლესიების კერძო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრაცია ყველაზე გავრცელებული ფორმაა. უმეტეს შემთხვევაში ეკლესიები არამომგებიანი იურიდიული პირის ფორმას ირჩევენ, თუმცა ეს არ გამოირიცხავს მათ მოგებაზე ორიენტირებულ იურიდიულ პირებად ჩამოყალიბების შესაძლებლობას. მართალია, როგორც წესი, რელიგიურ გაერთიანებას სრული თავისუფლება აქვს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის არჩევისას, თუმცა სახელმწიფოთა ნაწილში საკანონმდებლო დონეზეა განსაზღვრული რეგისტრაციის სტანდარტები და წინაპირობები, რომლებიც მოიცავს, მათ შორის, შესაბამისი სამართლებრივი ფორმისადმი გაერთიანების მიკუთვნების საფუძვლებს. ეს მთლიანად სახელმწიფოს პოლიტიკურ-სამართლებრივ გემოვნებაზეა დამოკიდებული და იმის მიხედვით სახესხვაობს, თუ ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობათა რომელ მოდელს მიეკუთვნება კონკრეტული სახელმწიფოს მართლწესრიგი.

ზოგიერთი სახელმწიფო სპეციალური კანონმდებლობით განსაზღვრავს რელიგიურ გაერთიანებათა კლასიფიკაციას. დანიაში სამი ტიპის რელიგიური ერთეული მოქმედებს: აღიარებული საზოგადოება, ქორწინების ჩატარების უფლების მქონე საზოგადოება და არაღიარებული რელიგიური საზოგადოება.⁷⁷ ავსტრიაში შესაძლებელია რელიგიური მიმდინარეობების რეგისტრაცია რელიგიურ ერთობებად ან რელიგიურ ასოციაციებად.⁷⁸ რა თქმა უნდა, ყველა მათგანი კერძო სამართლის იურიდიული პირია, თუმცა მათ მიმართ განსხვავებული სამართლებრივი მონესრიგება და შეღავათები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოქმედებს.

აშშ-ში რელიგიური გაერთიანებებისთვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ფართო არჩევანია⁷⁹ და რელიგიური გაერთიანებების სამი სახე გამოიყოფა: კონგრეგაცია, ეკლესია და კორპორაცია.⁸⁰ აქ რელიგიური გაერთიანებები წმინდა კერძოსამართლებრივ ორგანიზაციებად, კორპორაციულ წარმონაქმნებად მოიაზრებიან.⁸¹ 1837 წელს საქმეზე, „*მილერი ბაპტისტური ეკლესიის წინააღმდეგ*“, სასამართლომ დაადგინა რელიგიური ორგანიზაციების კლასიფიკაცია, რომლის მიხედვითაც, კონგრეგაცია არის რელიგიური თემი, მორწმუნეთა გაერთიანება, ეკლესია — კანონიკურ საფუძველზე არსებული ერთობა, რომელიც ეკლესიის წევრობაზეა დაფუძნებული, ხოლო რაც შეეხება კორპორაციას, იგი სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე მოქმედი იურიდიული პირია, რომელიც, მართალია, არ არის ეკლესია, მაგრამ შეიძლება მის ინტერესებს წარმოადგენდეს.⁸²

⁷⁷ დუბეკი ი., სახელმწიფო და ეკლესია დანიაში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 70.

⁷⁸ პოზტი რ., სახელმწიფო და ეკლესია ავსტრიაში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 457-460.

⁷⁹ იხ., მელაძე გ., ნონიაშვილი გ., რელიგიური ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხი ქართულ კანონმდებლობაში, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №9, 2016, 77.

⁸⁰ McGrath J.J., Canon Law and American Church Law: A Comparative Study, „The Jurist“, №18, 1958, 260.

⁸¹ Zollman C., Nature of America Religious Corporations, „Michigan Law Review“, Vol.14, 1915, 38.

⁸² McGrath J.J., Canon Law and American Church Law: A Comparative Study, „The Jurist“, №18, 1958, 261, იხ. ციტირება: *Miller v. Baptist Church*, 16 N.J.L. 251 (1837).

ინგლისურ სამართალში არ არსებობს სსიპ-ის ცნება, შესაბამისად, იგი რელიგიურ ორგანიზაციათა რაიმე განსაკუთრებული სტატუსით აღჭურვას არ ითვალისწინებს.⁸³ გაერთიანებულ სამეფოში, სახელმწიფო ეკლესიების გარდა, ნებისმიერი სხვა ეკლესია თანაბარმნიშვნელოვანია.⁸⁴ ეკლესიების სამართლებრივი სტატუსი მოხალისეობრივი გაერთიანებების სტატუსს უთანაბრდება და ისინი საკმაო თავისუფლებით სარგებლობენ, განსხვავებით ინგლისის ეკლესიისგან, რომელსაც, სახელმწიფო ეკლესიის სტატუსის გამო გაცილებით მეტი შეზღუდვა აქვს დაწესებული.⁸⁵ რელიგიური გაერთიანებები კერძო სამართლის იურიდიულ პირებად რეგისტრირდებიან კვიპროსში, ხოლო, თუკი მათ ფინანსურ ოპერაციებში მონაწილეობის მიღება სურთ, მაშინ დამატებით სახელმწიფო რეგისტრაციას საჭიროებენ.⁸⁶ საფრანგეთში, 1905 წლის კანონის თანახმად, რელიგიურ გაერთიანებებს შეუძლიათ საკულტო ასოციაციებად არსებობა⁸⁷.

საქართველოში, სახელმწიფოსთან ისტორიულ კავშირში მყოფი რელიგიური მიმდინარეობებისა და ევროსაბჭოს ქვეყნების კანონმდებლობით აღიარებული რელიგიების გარდა,⁸⁸ სხვა რელიგიურ გაერთიანებებსა და ეკლესიებს უფლება აქვთ, აირჩიონ კერძო სამართლის იურიდიული პირის სასურველი სახე (სამენარმეო (კომერციული) ან არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი). ლოგიკურია, რომ აბსოლუტური უმრავლესობა ა(ა)იპ-ის ფორმას არჩევს, რადგანაც ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათებით ისარგებლებენ (თუმცა სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ცვლილებებამდე, რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციასთან დაკავშირებით უამრავი პრობლემა არსებობდა, რაც ძირითადად მონესრიგების არარსებობით იყო გამოწვეული⁸⁹). მათზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები.⁹⁰ ამგვარი შესაძლებლობა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან არსებობს, თუმცა რამდენიმე „ტრადიციულმა“ ეკლესიამ უარი თქვა მსგავსი ფორმით რეგისტრაციაზე და მოითხოვა განსაკუთრებული სტატუსი,

⁸³ მაკლინი დ., სახელმწიფო და ეკლესია გაერთიანებულ სამეფოში, ნიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 646-647.

⁸⁴ Nicholson J., The Law of Church and State Relations in the United Kingdom, "Sri Lanka Journal of International Law", №12, 2000, 182.

⁸⁵ მაკლინი დ., სახელმწიფო და ეკლესია გაერთიანებულ სამეფოში, ნიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 647.

⁸⁶ ემილიანი დესი ა., სახელმწიფო და ეკლესია კვიპროსში, ნიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 280.

⁸⁷ რეგისტრაციის მსგავსი ფორმა პროტესტანტებმა და ებრაულმა თემმა კარგა ხანია გამოიყენეს და მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათებითაც ისარგებლეს. რომის ეკლესია კი წლების განმავლობაში არ თანხმდებოდა საკულტო ასოციაციად რეგისტრაციას, ამიტომაც სახელმწიფოს მოუწია ერთგვარ კომპრომისზე წასვლა და ეკლესიის ეპარქიებსა და სამრევლოებს შესთავაზა განსხვავებული სამართლებრივი ფორმა. 1924 წელს პიუს XI საგანგებო ნებართვის საფუძველზე ფრანგმა ეპისკოპოსებმა შექმნეს საეპარქიო ასოციაციები, რომლებიც თავისი არსით საკულტო ასოციაციებია. იხ., ბასდევან-გოდემე ბ., სახელმწიფო და ეკლესია საფრანგეთში, ნიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 186-187.

⁸⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509¹-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

⁸⁹ იხ., მელაძე გ., ნონიაშვილი გ., რელიგიური ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხი ქართულ კანონმდებლობაში, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №9, 2016, 78-85.

⁹⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509¹-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

რაც, საბოლოო ჯამში, მიღწეულ იქნა კიდევ 2011 წელს საკანონმდებლო ცვლილებების გზით⁹¹.

1.2.2.1.2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი

სსიპ-ის ფენომენი კონტინენტურევროპულია და იშვიათადაა ანგლოამერიკული სამართლის ოჯახის სისტემის ქვეყნებში. სსიპ სახელისუფლებო იერარქიის ნაწილია და საჯარო მმართველობითი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით იქმნება. თუმცა ისეთ სახელმწიფოებში, სადაც ეკლესიას სახელმწიფოს სტატუსი აქვს ან ეკლესია და სახელმწიფო აქტიურად თანამშრომლობენ, იგი გამოიყენება ე.წ. პრივილეგირებული ან დომინანტი, სახელმწიფო ეკლესიის სამართლებრივი ფორმის განსახლვრად. სსიპ-ის სახით რეგისტრირებული რელიგიური გაერთიანებები განსხვავდებიან ამავე სტატუსით არსებული სხვა იურიდიული პირებისგან, ვინაიდან ისინი საჯარო უფლებამოსილებას არ ახორციელებენ და სახელისუფლებო იერარქიაში არ შედიან.⁹² მაგ., საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესია სსიპ-ია და სრული სამართლებრივი სუბიექტუნარიანობით სარგებლობს,⁹³ მსგავსი სტატუსი აქვთ პროტესტანტულ და რომაულ-კათოლიკურ ეკლესიებსაც და მნიშვნელოვანი შეღავათებითაც სარგებლობენ⁹⁴.

გერმანიაში რელიგიურ გაერთიანებებს, რომელთაც საკმარისი რაოდენობის წევრები ჰყავთ და მათი მიზანი გრძელვადიანი საქმიანობაა, შეუძლიათ სსიპ-ის სტატუსი მიიღონ⁹⁵, თუმცა ეს სახელისუფლებო სტრუქტურაში ინტეგრაციას არ გულისხმობს.⁹⁶ დანარჩენი რელიგიური გაერთიანებები კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსს იღებენ და რეგისტრირებულ ასოციაციებად არსებობენ.⁹⁷

მსგავს პრაქტიკას მისდევს საქართველოც. კონსტიტუციური შეთანხმებისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სსიპ-ია, თუმცა განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობს.⁹⁸ იგი „საქართველოში მოქმედი სხვა რელიგიური ორგანიზაციებისგან განსხვავებით, საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული ეკლესიის ნაწილი კი არ არის, არამედ

⁹¹ იხ., საქართველოს 2011 წლის 5 ივლისის კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

⁹² ერქვანია თ., სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთმიმართების სამართლებრივი კონტექსტი — ქართული მოდელი, მოკლე შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა ევროპული კავშირის მაგალითზე, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №6, 2013, 26.

⁹³ პაპასტატისი კ., სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მეორე გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 135.

⁹⁴ იქვე.

⁹⁵ McConnell M.W., Garvey J.H., Berg Th.C., Religion and the Constitution, New York, 2011, 94. მაგ., გერმანიაში საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსს ატარებენ რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ეპარქიები და პროტესტანტული რეგიონული ეკლესიები. იხ., List J., Church-State Relations in Germany, “The Jurist”, №56, 1997, 905.

⁹⁶ რობერსი გ., სახელმწიფო და ეკლესია გერმანიაში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მეორე გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 94.

⁹⁷ იქვე.

⁹⁸ ხეცურიანი ჯ., ქართული ეკლესიის კონსტიტუციური საფუძვლები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2002, 13.

ორგანიზაციულად დასრულებული სახით სწორედ საქართველოშია წარმოდგენილი⁹⁹. თავდაპირველად სწორედ ეს იყო მისთვის სსიპ-ის სტატუსის მინიჭების განმსაზღვრელი მოტივი. თუმცა 2011 წელს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით, ამ სტატუსის მიღების უფლება საქართველოსთან ისტორიულ კავშირში მყოფ რელიგიურ მიმდინარეობებსა და ევროსაბჭოს ქვეყნების კანონმდებლობით აღიარებულ რელიგიებსაც მიეცათ.¹⁰⁰ მართალია, კანონმდებლობის ჩანაწერი საკმაოდ ბუნდოვანი და აბსტრაქტულია, თუმცა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ამ შემთხვევაში უფლებამოსილ ორგანოს, შეუძლია ნორმის შესაბამისი ინტერპრეტაცია და განმცხადებლისათვის სსიპ-ის სტატუსის მინიჭება¹⁰¹. ამ სტატუსის მატარებელ რელიგიურ გაერთიანებებზე არ ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონმდებლობა¹⁰² და მათი საქმიანობა კვლავაც კერძო სამართლის ფარგლებში რჩება¹⁰³.

1.2.2.2. არარეგისტრირებული ერთობა

ეკლესიის არარეგისტრირებულ ერთობად, კავშირად არსებობისათვის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი შეიძლება შესაბამისი საკანონმდებლო მონესრიგება იყოს, რომელიც გარკვეულ სტანდარტებს აწესებს და კონკრეტული ჯგუფი მათ ვერ აკმაყოფილებს. თუმცა არ უნდა გამოირიცხოს პრინციპული პოზიციის შესაძლებლობაც, როდესაც ესა თუ ის რელიგიური ჯგუფი კანონმდებლობით შეთავაზებულ სტატუსს არ თანხმდება, რაც არცთუ ისე იშვიათი მოვლენა იყო უახლესი ისტორიის მთელი პერიოდის მანძილზე¹⁰⁴.

უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, რეგისტრაცია ეკლესიის სრული დისკრეციაა, თუმცა არარეგისტრირებული საქმიანობა პრაქტიკული თვალსაზრისით გამართლებული არაა, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ეკლესია შეიძლება მნიშვნელოვნად დაზარალდეს, ვერ ისარგებლოს სხვადასხვა შეღავათით¹⁰⁵, სტატუსის არარსებობის გამო ვერ ითანამშრომლოს სახელმწიფოსთან და სხვ.

⁹⁹ იხ., ხეცურიანი ჯ., სახელმწიფო და ეკლესია, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2001, 13.

¹⁰⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1509¹-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

¹⁰¹ იქვე, მე-3 და მე-4 ნაწილები.

¹⁰² იქვე, მე-5 ნაწილი.

¹⁰³ იქვე, მე-6 ნაწილი.

¹⁰⁴ მაგ., მსგავსი ვითარება იყო მეოცე საუკუნის ოციანი წლების შუამდე საფრანგეთში რომაულ-კათოლიკური ეკლესიის შემთხვევაში, ასევე, საქართველოში და ა.შ. იხ., ბასდევან-გოდემე ბ., სახელმწიფო და ეკლესია საფრანგეთში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 186-187.

¹⁰⁵ იხ., ფრიდნერი ლ., სახელმწიფო და ეკლესია შვედეთში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 622; დუბეკი ი., სახელმწიფო და ეკლესია დანიაში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მეორე გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 71; Yalensky V., Religion, Church, and State in the Post-Communist Era: The Case of Ukraine (with Special References to Orthodoxy and Human Rights), “Brigham Young University Law Review”, №2, 2002, 482.

2. ეკლესია-სახელმწიფოს სამართლებრივი

ურთიერთობების ისტორიული განვითარება

2.1. ეკლესიის წარმოშობა და დიდ სქიზმამდელი ურთიერთობები სახელმწიფოსთან

2.1.1. ქრისტიანობის ლეგიტიმაცია და ეკლესიის

სახელმწიფოსადმი დაქვემდებარება

2.1.1.1. ქრისტიანების დევნიდან ქრისტიანობის შემწყნარებლობამდე

ჰანტინგტონის შეფასებით, ქრისტიანობა დასავლური ცივილიზაციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებელ ნიშნად იქცა.¹⁰⁶ თუმცა ამ სტატუსის მიღწევამდე ეკლესიამ დიდი გზა განვლო, რომელიც დასაწყისში განსაკუთრებით რთული და წინააღმდეგობრივი იყო. რომის იმპერია, რომელიც, როგორც ნესი, რჯულშემწყნარებლობით გამოირჩეოდა, ქრისტიანობის წინააღმდეგ მკაცრი აღმოჩნდა, ამის მთავარი მიზეზი კი თავად ქრისტიანობის მიერ ნებისმიერი მბრძანებლის, მათ შორის, იმპერატორის, ღვთაებრივი კულტის უარყოფა, მორჩილებაზე უარის თქმა იყო.¹⁰⁷ ქრისტიანობა ევროპულ ცნობიერებაში დამონებისა და დამორჩილების რელიგიად არ შესულა, პირიქით, მისი გავრცელება ყოველივე ამის საწინააღმდეგოდ იყო აღქმული. იგი, ერთგვარად, დაკარგული ჭეშმარიტი თავისუფლების განახლება იყო.¹⁰⁸ ამის გათვალისწინებით იმპერია მას არა რიგით რელიგიად, არამედ ფაქტობრივ წინააღმდეგობრივ მოძრაობად განიხილავდა, რომელიც 8 საუკუნის მანძილზე დამკვიდრებულ რომაულ პოლიტიკურ-იდეოლოგიურ სისტემას ძირს უთხრიდა.

პერიოდულად, იმპერატორების ხასიათისა და შეხედულებების გათვალისწინებით, ქრისტიანობასთან დამოკიდებულება იცვლებოდა, თუმცა ცვლილებები სწორხაზოვანი და გრძელვადიანი პოლიტიკით არ იყო განპირობებული.¹⁰⁹ IV საუკუნიდან მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. 311 წელს რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილის იმპერატორმა გალესიუსმა გააუქმა ქრისტიანობის ამკრძალავი ყველა აქტი, ფაქტობრივად, იმპერატორმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა, რადგან ქრისტიანობის დევნის მიუხედავად, იგი მთელი იმპერიის მასშტაბით სწრაფად ვრცელდებოდა და ამიტომაც სახელმწიფო იძულებული გახდა, ამ ტენდენციისთვის ფეხი აენყო.¹¹⁰ IV საუკუნის პირველ ნახევარში, იმპერატორ კონსტანტინეს მმართველობის ხანაში ქრისტიანები უკვე იმპერიის მთელი მოსახლეობის დაახლოებით 10-12%-ს შეადგენდნენ.¹¹¹ ქრისტიანობის დევნის შეწყვეტიდან 2 წელში, 313 წელს დასავლეთ-აღმოსავ-

¹⁰⁶ Huntington S.H., *The Clash of Civilizations and the Remaking World Order*, New York, 1996, 70.

¹⁰⁷ მენი ა., რელიგია, „პიროვნების კულტი“ და სეკულარული სახელმწიფო, დ. თინიკაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №6(39), 2010, 74-75.

¹⁰⁸ იხ., დეკანოზი ალექსანდრე (შენანი), ავტორიტეტი და თავისუფლება ეკლესიაში, ნ. დობორჯგინიძის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №1(22), 2008, 87.

¹⁰⁹ მაგ., 202 წელს იმპერატორმა სეპტიმიუს სევერუსმა ქრისტიანობაზე იძულებით მიქცევის ამკრძალავი აქტი გამოსცა, იხ., ნარინდოშვილი მ., გოგელია ვ., ჯულაყიძე თ., ჯამი ზ., გლურჯიძე ე., რელიგიის თავისუფლება, თბილისი, 2004, 46-47; მსგავსი გამონათებების მიუხედავად, ნერონის, დიოკლეთიანეს, გალერიუსის, ლიცინიუსისა და იულიანეს პერიოდის რომში ქრისტიანობისთვის იდევნებოდნენ არა მხოლოდ უბრალო ხალხი, არამედ დიდგვაროვნებიც, მათ შორის, იმპერატორთა ოჯახის წევრები და საიმპერატორო კარზე დანიშნულნი პირები. McGuckin J.A., *The Issue of Human Rights in Byzantium and the Orthodox Christian Tradition*, in: *Christianity and Human Rights, An Introduction*, Edited by J.Witte Jr. and F.S. Alexander, New York, 2010, 174.

¹¹⁰ ჯავახიშვილი მ., პაპობის ისტორია შუა საუკუნეებში, თბილისი, 2015, 13.

¹¹¹ იქვე.

ლეთ რომის იმპერატორებმა — კონსტანტინემ და ლიცინიუსმა მილანის ედიქტი გამოცხადეს,¹¹² რომლითაც ქრისტიანობას სახელმწიფოში თავისუფლად არსებობისა და განვითარების უფლება მიეცა. ლიცინიუსი ქრისტიანებისადმი კეთილგანწყობილი არ ყოფილა, მან ედიქტს ხელი სამართლიანობის ელემენტარული გრძნობის გამო მოაწერა ხელი¹¹³.

სიცოცხლეშივე კონსტანტინე მოციქულის მსგავსი აღიარებით სარგებლობდა, იგი ახალი რელიგიით ცდილობდა რომის იმპერიის გაერთიანებას.¹¹⁴ ეკლესიის მიმართ მისი პოლიტიკის შედეგად ნიკეაში I მსოფლიო კრება შედგა, რომელსაც იმპერატორი თავად თავმჯდომარეობდა, როგორც „ღმერთის ზეციური მაცნე“.¹¹⁵ ქრისტიანობაზე აქცენტის გაკეთების მიუხედავად, კონსტანტინე შემწყნარებლურად ექცეოდა წარმართებსაც.¹¹⁶ იგი თითქმის მთელი სიცოცხლე ოფიციალურად ინარჩუნებდა წარმართობას, როგორც სახელმწიფოს მოსახლეობის უმრავლესობის აღიარებულ და ისტორიულ რელიგიას და მხოლოდ 337 წელს, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მოინათლა.¹¹⁷ იმპერატორ კონსტანტინეს ეპოქაში ეკლესია განვითარების ახალ საფეხურზე გადავიდა და მართალია, მას დევნის თვალსაზრისით არათუ პრობლემები არ შექმნია, არამედ მაქსიმალურად ხელს უწყობდნენ,¹¹⁸ ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობაში ბალანსის საკითხი მუდმივად აქტუალური იყო.¹¹⁹ ქრისტიანობის შემდგომი გაძლიერება და გავრცელება უშუალოდ სახელმწიფოს ნება-სურვილით განხორციელდა, რამაც, თავის მხრივ, ქრისტიანებში იმპერიული ძალაუფლების ლეგიტიმაცია განაპირობა¹²⁰.

2.1.1.2. ეკლესია იმპერატორ კონსტანტინეს შემდეგ

ქრისტიანული რომის სახელმწიფო კონცეფციის საფუძველი ანტიკურ თეოკრატიულ აბსოლუტიზმს დაეფუძნა, სადაც იმპერატორი კვლავინდებურად ღმერთსა და ხალხს შორის შუამავალი იყო.¹²¹ რომის იმპერია და ქრისტიანული ეკლესიაც ერთიანობის იდეით იყო განპირობებული: ერთი ღმერთი, ერთი იმპერია, ერთი ეკლესია, ერთი ეპისკოპოსი.¹²² ახალი პოლიტიკისთვის წარმართობა უკვე მნიშვნელოვან

¹¹² იხ., მშვილდაძე მ., ადრეული ქრისტიანობის ისტორია, თბილისი, 2009, 113-114.

¹¹³ Смирнов Е.И., История Христианской Церкви, 2-ое Издание, Свято-Троицкая Сергиева Лавра, 2007, 207.

¹¹⁴ Hart D.B., The Story of Christianity, A History of 2,000 Years of the Christian Faith, London, 2013, 64-65.

¹¹⁵ Ware T., The Orthodox Church, 2nd Ed., London, 1997, 19.

¹¹⁶ Смирнов Е.И., История Христианской Церкви, 2-ое Издание, Свято-Троицкая Сергиева Лавра, 2007, 208.

¹¹⁷ Hart D.B., The Story of Christianity, A History of 2,000 Years of the Christian Faith, London, 2013, 65.

¹¹⁸ იხ., ფანჯიკიძე თ., ქრისტიანობა — წარსული და თანამედროვეობა, თბილისი, 1984, 49.

¹¹⁹ McGuckin J.A., The Issue of Human Rights in Byzantium and the Orthodox Christian Tradition, in: Christianity and Human Rights, An Introduction, Edited by J. Witte Jr. and F.S. Alexander, New York, 2010, 174.

¹²⁰ Smith S.D., Freedom of Religion or Freedom of the Church? in: Legal Responses to Religious Practices in the United States (Accommodation and Its Limits), Edited by A. Sarat, New York, 2012, 253.

¹²¹ Яковлев А.И., Лекции по Истории Христианской Церкви, Москва, 2011, 60.

¹²² Van Der Ven J.A., From Divine Law to Positive Law, A Perspective from the Science of Religion, in: Secular and Sacred? The Scandinavian Model of Religion in Human Rights, Law and Public Space, Edited by R. Van Der Breemen, J. Casanova and T. Wyller, Vandenhoeck & Ruprecht, 2014, 283.

წინააღმდეგობად აღიქმებოდა.¹²³ რომის სახელმწიფოს მიერ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად და იდეოლოგიად აღიარების შემდეგ, ეკლესია-სახელმწიფოს მიზანმიმართული ქმედებებით ანტიქრისტიანული მიმართულებები შევიწროვდა და თითქმის გაქრა. წარმართობა ქრისტიანობასთან დაპირისპირებისა და სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი აზრის იდეად, სიმბოლოდ იქცა, რასაც ელინური ფილოსოფიის მიმდევრებიც ხელს უწყობდნენ.¹²⁴ შედეგად, პლატონის ლეგენდარული აკადემია მიწასთან გაასწორეს, ნეოპლატონისტები და ძველი ბერძნული ფილოსოფიის მიმდევრები დახოცეს ან სახელმწიფოდან გაასახლეს¹²⁵.

2.1.2. დასავლეთ-აღმოსავლეთის ეკლესიები და რომის დაცემა

ქრისტიანული ეკლესიის დასავლურ და აღმოსავლურ ნაწილებს შორის ფორმის განსხვავება ტრადიციებით, სოციალური და ყოფითი საკითხებით იყო განპირობებული. თუმცა განსხვავებები გაცილებით თვალშისაცემი რომის იმპერიის საბოლოო გაყოფის შემდეგ გახდა. ვინაიდან ეკლესია იმპერიის ერთიან სისტემაში იყო ინტეგრირებული, ორი დამოუკიდებელი იმპერატორი, ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთ რელიგიურ გაერთიანებას ვერ დაიმორჩილებდა და ყოველთვის იარსებებდა ეკლესიაზე ბატონობის თაობაზე დაპირისპირება.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის მთავარი დაპირისპირება 330 წელს დაიწყო, როდესაც იმპერატორმა კონსტანტინემ დედაქალაქი რომიდან კონსტანტინოპოლში გადაიტანა, ქალაქში, რომელიც რომისგან განსხვავებით, „ექსკლუზიურად ქრისტესთვის შეიქმნა“¹²⁶. კონსტანტინეს მოტივაცია დედაქალაქის გადატანისას ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებთან ერთად, რელიგიურიც იყო: მას არ უნდოდა, წარმართული ქალაქი ყოფილიყო მომავალი ქრისტიანული იმპერიის ცენტრი¹²⁷.

1 მსოფლიო კრების მე-9 კანონით, სახელმწიფოს დედაქალაქის ეპისკოპოსს ექვემდებარება ამ სახელმწიფოს ყველა ქალაქის ეპისკოპოსი.¹²⁸ იმპერიის დედაქალაქის ცვლილებამ კონსტანტინოპოლისა და რომის მღვდელმთავრებს შორის კონკურენცია გამოიწვია, თუმცა საწყის ეტაპზე რომის უპირატესობას ყველა ეკლესია აღიარებდა. თანდათან კონსტანტინოპოლმა აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის

¹²³ Смирнов Е.И., История Христианской Церкви, 2-ое Издание, Свято-Троицкая Сергиева Лавра, 2007, 209. 364 წელს იმპერატორმა ვალენტინიანემ გამოსცა კანონი, რომლის მიხედვითაც, რომის იმპერიის ყველა მაცხოვრებელს ჰქონდა აღმსარებლობის თავისუფლება. 380 წელს იმპერატორმა თეოდოსიუსმა ქრისტიანობა რომის იმპერიის სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა, რის შემდეგაც 391-392 წლებში წარმართობა აკრძალა და გამოსცა 15 კანონი ერეტიკოსთა წინააღმდეგ. უკვე 423 წლის აქტში იმპერატორი თეოდოსიუს II მოსაზრებას გამოთქვამს, რომ წარმართობა იმპერიაში თითქმის აღარ იყო დარჩენილი. იხ., იქვე, 215-216; Heckel M., Religious Human Rights in Germany, “Emory International Law Review”, Vol.10, 1996, 107; Яковлев А.И., Лекции по Истории Христианской Церкви, Москва, 2011, 60.

¹²⁴ სწორედ ამიტომ იმპერატორმა იუსტინიანემ ნეოპლატონისტებს, სიმპლიცინუსის მეთაურობით, რომლებიც წარმართები იყვნენ და ქრისტიანული იდეოლოგიას არ ემსახურებოდნენ, ბრძოლა გამოუცხადა, იხ., Смирнов Е.И., История Христианской Церкви, 2-ое Издание, Свято-Троицкая Сергиева Лавра, 2007, 216.

¹²⁵ იქვე.

¹²⁶ Hart D.B., The Story of Christianity, A History of 2,000 years of the Christian Faith, London, 2013, 64.

¹²⁷ Ware T., The Orthodox Church, 2nd Ed., London, 1997, 19.

¹²⁸ მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.1, უძველესი დროიდან VI საუკუნემდე, თბილისი, 2012, 262.

დანინაურება დაიწყო.¹²⁹ საბოლოო ჯამში, კათოლიციზმისა და მართლმადიდებლობის ჩამოყალიბება, განვითარება, ერთიანი ქრისტიანული ეკლესიის დიდი სქიზმა რომის იმპერიის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში ფეოდალური ურთიერთობების განვითარებამ და პირველობის თაობაზე რომი-კონსტანტინოპოლის დაპირისპირებამ განაპირობა¹³⁰.

2.1.3. კანონიკური სამართალი და სახელმწიფო

V საუკუნეში პაპმა გელასიუსმა წამოაყენა მოძღვრება ეკლესიის, როგორც კანონმდებლის, ფუნქციისა და ეკლესიის მიერ დადგენილი წესების საეროსთან მიმართებით უპირატესობის თაობაზე.¹³¹ საეკლესიო სამართალი რომის სამართალს დაეფუძნა და უფრო მაღალი სტატუსიც კი მიიღო, რადგანაც *ius ecclesiae*, რომელსაც იმპერატორი ადგენდა, სხვა კანონებისგან განსხვავებით, თავად იმპერატორისთვისაც მხოლოდ ძალის მატარებელი იყო.¹³² საეკლესიო კანონმდებლობის ღვთაებრივად აღიარებით ეკლესიამ თავისი სამართალი ნებისმიერ საერო კანონზე მაღლა დააყენა.¹³³ საეკლესიო კანონმდებლობა ჯერ კიდევ 438 წლის თეოდოსიუსის კოდექსშია მოცემული.¹³⁴ ეკლესიის სამართლებრივ გაგებასა და საეკლესიო სამართლის, როგორც სამართლის ცალკე მიმართულების, ჩამოყალიბებას დიდად შეუწყო ხელი იმპერატორმა იუსტინიანემ,¹³⁵ რომელმაც თეოდოსიუსის მიერ დადგენილი კანონიკური წესები გაითვალისწინა და ისინი არა მხოლოდ ასახა თავის კოდექსში, არამედ ახლებური მონესრიგებები შექმნა მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით იმპერატორის ნოველებით, რომელთაგან 123-ე ნოველა, შეიძლება ითქვას, საეკლესიო სამართლის მცირე კოდექსიც კი იყო¹³⁶.

¹²⁹ კონსტანტინოპოლის II მსოფლიო კრებაზე იმპერატორის სურვილის შესაბამისად, კონსტანტინოპოლი აღექსანდრიასა და ანტიოქიაზე წინ დააყენეს. 476 წელს დასავლეთ რომის იმპერიის დაცემამ ეკლესიებს შორის ლინგვისტური დაშორებაც გამოიწვია, დასავლეთის ეკლესიაში ლათინური შენარჩუნდა, აღმოსავლეთში კი დომინანტობა ბერძნულმა ენამ მოიპოვა. იხ., ჯავახიშვილი მ., პაპობის ისტორია შუა საუკუნეებში, თბილისი, 2015, 18-19; Anckar C., Religion and Democracy, A World-wide Comparison, Abingdon, 2011, 29.

¹³⁰ გეგეშიძე დ., საქართველოს ისტორიაში ქრისტიანობის ადგილისა და როლის საღვთისმეტყველო კონცეფციის კრიტიკა, თბილისი, 1986, 4.

¹³¹ Fukuyama F., The Origins of Political Order, From Prehumans Times to the French Revolution, London, 2012, 263.

¹³² McGuckin J.A., The Issue of Human Rights in Byzantium and the Orthodox Christian Tradition, in: Christianity and Human Rights, An Introduction, Edited by J. Witte Jr. and F.S. Alexander, New York, 2010, 177; იმპერატორზე კანონთა გავრცელებასთან დაკავშირებული განმარტების თაობაზე დანვრილებით იხ., ელინეკი გ., ძველი სამართლის ბრძოლა ახალ სამართალთან, ზ. ნანობაშვილის თარგმანი, ზ. ზოიძის რედაქტორობით, თბილისი, 2006, 43.

¹³³ Van Der Ven J.A., From Divine Law to Positive Law, A Perspective from the Science of Religion, in: Secular and Sacred? The Scandinavian Model of Religion in Human Rights, Law and Public Space, Edited by R. Van Der Breemen, J. Casanova and T. Wyller, Vandenhoeck & Ruprecht, 2014, 284.

¹³⁴ Wagschal D., Orthodox Canon Law, The Byzantine Experience, in: The Orthodox Christian World, Edited by A. Casiday, Routledge, 2012, 386.

¹³⁵ Яковлев А.И., Лекции по Истории Христианской Церкви, Москва, 2011, 61.

¹³⁶ Wagschal D., Orthodox Canon Law, The Byzantine Experience, in: The Orthodox Christian World, Edited by A. Casiday, Routledge, 2012, 386.

შუა საუკუნეებში რომის ეკლესია დიდი მოცულობით იყენებდა რომის სამართალს.¹³⁷ რომის ეკლესიისგან განსხვავებით, რომელმაც სრულად მოახერხა რომაულ სამართალთან ადაპტაცია და უფრო მეტიც, იგი სათავისოდ გამოიყენა, შემდეგ კი მისი მიზნით უდიდესი მნიშვნელობის სჯულდება შექმნა, მართლმადიდებელ ეკლესიაში კანონიკური სამართალი სრულყოფილად ვერ განვითარდა. მართლმადიდებლობაში არასდროს ყოფილა გავრცელებული კანონიკური სამართლის მცოდნეთა ხელობა, ამ მხრივ, არც აკადემიური ინფრასტრუქტურისა და რაციონალიზებული იურისპრუდენციის განვითარებაზე უფიქრიათ.¹³⁸ ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ დასავლური ქრისტიანობისგან განსხვავებით, მართლმადიდებლობა ყოველთვის სახელმწიფოსთან უფრო მეტად იყო ინტეგრირებული და დამოუკიდებლობის გაცილებით ნაკლები ხარისხით სარგებლობდა, დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემისა თუ მართლმსაჯულების აუცილებლობა უბრალოდ არც არსებობდა.

2.2. ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობები დასავლეთის ეკლესიების ისტორიული განვითარების კონტექსტში

საუკუნეების განმავლობაში ევროპულ სახელმწიფოებში არა თვითმპყრობელი მონარქები განსაზღვრავდნენ და ადგენდნენ წესებს უმნიშვნელოვანესი ყოფითი საკითხებისა და ინსტიტუტებისთვის, არამედ — რომის პაპები.¹³⁹ ჯერ კიდევ V საუკუნეში პაპი გელასიუსი მიუღებლად მიიჩნევდა საეკლესიო საქმეებში საერთო ხელისუფლების ჩარევას.¹⁴⁰ დასავლეთის ეკლესიის გამორჩეული სამართლებრივი სტატუსი და აქტიურობა იმანაც განაპირობა, რომ წმინდა საყდარი შუა საუკუნეებიდან ფეოდალური ურთიერთობების აქტიური მონაწილე და სახელმწიფო იყო, რომელსაც პაპი მართავდა.

რომაულმა ეკლესიამ როგორც რომის იმპერატორები, ისე შემდგომში ევროპულ სახელმწიფოთა მონარქები დაარწმუნა მის მხარდაჭერაში, მათ შორის სასულიერო საკითხებზე დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის მიმდინარე დისკუსი-აშიც. იმპერატორ ვალენტიანიანე III ედიქტით, რომის ეპისკოპოსი, პაპი მთელი დასავლეთის ეკლესიის პატრიარქად და დასავლეთის ეპისკოპოსებზე ზემდგომად გამოცხადდა.¹⁴¹ VI საუკუნიდან რომის პაპები სამოქალაქო მართლმსაჯულებასაც ახორციელებდნენ,¹⁴² VII საუკუნიდან კი ბიზანტიის იმპერიის სამოხელეო აპარატის წევრებად აღარ განიხილებოდნენ.¹⁴³ 817 წელს ლუი ღვთისმოსავმა და პაპმა პასქალუს I დადეს ხელშეკრულება (*Pactum Ludovicianum*), რომლითაც პაპის სახელმწიფო სტატუსი დამტკიცდა, მეფემ კი პაპის არჩევის პროცესში ჩარევაზე უარი თქვა.¹⁴⁴ ურბან II

¹³⁷ Helmholz R.H., Human Rights in the Canon Law, in: Christianity and Human Rights, An Introduction, Edited by J.Witte Jr. and F.S. Alexander, New York, 2010, 100.

¹³⁸ Wagschal D., Orthodox Canon Law, The Byzantine Experience, in: The Orthodox Christian World, Edited by A. Casiday, Routledge, 2012, 383.

¹³⁹ Fukuyama F., The Origins of Political Order, From Prehuman Times to the French Revolution, London, 2012, 262.

¹⁴⁰ ჯავახიშვილი მ., პაპობის ისტორია შუა საუკუნეებში, თბილისი, 2015, 24.

¹⁴¹ იქვე, 23.

¹⁴² იქვე, 29.

¹⁴³ იქვე, 32.

¹⁴⁴ იქვე, 39.

მონოდებით დაიწყო ჯვაროსნული ომები¹⁴⁵, რომლებმაც იმ პერიოდის ევროპა დაპირისპირებებსა და სამოქალაქო ომებს გადაარჩინა.

რომის ეკლესია სახელმწიფოთათვის იდეოლოგიურ საფუძველს ქმნიდა. მეფე და სამეფო ხელისუფლება ღმერთთან იგივედებოდა. აქვინელის მოსაზრებით, როგორც ღმერთი მართავდა მთელ მსოფლიოს, ისე მართავდა მეფე მის მიწიერ სამფლობელოს.¹⁴⁶ მსგავს აზრს ავითარებდა არაერთი საეკლესიო მოღვაწე.¹⁴⁷ თუმცა იდეოლოგიური მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის საკითხებში ინტერესთა სრულ თანხვედრას სულაც არ გულისხმობდა. ფეოდალიზმის ეპოქაში რეგიონულ და ეროვნულ დონეზე ფეოდალები და მეფეები აკონტროლებდნენ მათ ტერიტორიაზე არსებულ საეკლესიო ცენტრებს და ინვესტიციურებს¹⁴⁸ საკუთარი შეხედულებისამებრ გასცემდნენ¹⁴⁹.

ეპისკოპოსთა დანიშვნაში სამეფო ხელისუფლების მონაწილეობა იქცა ჰენრი II და თომას ბეკეტის დაპირისპირების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად.¹⁵⁰ ჰილდებრანდი, რომელიც შემდეგში რომის პაპი გრიგოლ VII გახდა, ეკლესიის რეფორმის ინიციატივით გამოვიდა, რადგან სწამდა, რომ ეკლესიის დამოუკიდებლობისთვის აუცილებელი იყო ეს უკანასკნელი ჯერ თავად გამართულიყო: მან სასულიერო პირთა ქორწინება და შვილების ყოლა აკრძალა.¹⁵¹ გრიგოლ VII რეფორმასა და ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შეენინაღმდეგნენ ევროპული სახელმწიფოები. შუა საუკუნეებში გერმანიაში ეკლესიაზე საერო ბატონობამ ისეთი ინტენსიური ხასიათი მიიღო, რომ საიმპერიო ეკლესიის სისტემა (*Reichskirche*) ჩამოყალიბდა.¹⁵² ფეოდალურ გერმანიაში ეპისკოპოსები მთლიანად საერო ხელისუფლებას ექვემდებარებოდნენ.¹⁵³ ამან ევროპის კონტინენტზე ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის პირველი სერიოზული კონფრონტაცია განაპირობა, რომელიც ეპისკოპოსთა დანიშვნის თაობაზე პაპ გრიგოლ VII და მეფე ჰაინრიხ IV შორის მოხდა¹⁵⁴.

¹⁴⁵ იქვე, 58.

¹⁴⁶ Van Der Ven J.A., From Divine Law to Positive Law, A Perspective from the Science of Religion, in: Secular and Sacred? The Scandinavian Model of Religion in Human Rights, Law and Public Space, Edited by R. Van Der Breemen, J. Casanova and T. Wyller, Vandenhoeck & Ruprecht, 2014, 289-290.

¹⁴⁷ იქვე, 284.

¹⁴⁸ ინვესტიტიურა — კვერთხი და ბეჭედი. ბეჭედი მორწმუნეებთან კავშირს, ხოლო კვერთხი ეპარქიის მმართველობას ნიშნავდა. იხ., ჯავახიშვილი მ., პაპობის ისტორია შუა საუკუნეებში, თბილისი, 2015, 50.

¹⁴⁹ ძალაუფლების მთლიანობა (*Plenitudo Potestatis*), რომელზე პრეტენზიასაც ეკლესია აცხადებდა, სრულად სახელმწიფოს გავლენის ქვეშ მოექცა, უფრო მეტიც, სახელმწიფომ არა მხოლოდ კლასიკური საგამგებლო სფეროები, არამედ ის მიმართულებებიც შემოიერთა, რომელიც ადრე წმინდა სასულიერო არეალად განიხილებოდა. Van Caenegem R.C., An Historical Introduction to Western Constitutional Law, Cambridge, 1995, 67; ელინეი გ., ძველი სამართლის ბრძოლა ახალ სამართალთან, ზ. ნანობაშვილის თარგმანი, ზ. ზოიძის რედაქტორობით, თბილისი, 2006, 36-37.

¹⁵⁰ Durham W.C. Jr., Religion and the World's Constitutions, in: Law, Religion, Constitution (Freedom of Religion, Equal Treatment, and the Law), Edited by Cr. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari, D. Thayer, 2013, 24.

¹⁵¹ Fukuyama F., The Origins of Political Order, From Prehuman Times to the French Revolution, London, 2012, 264.

¹⁵² Van Caenegem R.C., An Historical Introduction to Western Constitutional Law, Cambridge, 1995, 67.

¹⁵³ იქვე, 68.

¹⁵⁴ Smith S.D., Freedom of Religion or Freedom of the Church? in: Legal Responses to Religious Practices in the United States (Accommodation and Its Limits), Edited by A. Sarat, New York, 2012, 266. ინვესტიტიურებისთვის ბრძოლაში ჰაინრიხ IV გრიგოლ VII ეკლესიიდან რამდენჯერმე განკვეთა. იხ., Fukuyama F., The Origins of Political Order, From Prehuman Times to the French Revolution, London, 2012, 265-266.

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვნად განაპირობა რომის ეკლესიის დანიანურება.¹⁵⁵ XIII საუკუნის საფრანგეთში ეკლესიამ სისხლის და სამოქალაქო სამართლის საკითხების გადაწყვეტის უფლებამოსილება მოიპოვა, რომელსაც იგი ექსკლუზიურად, ან სახელმწიფოსთან ერთად ახორციელებდა.¹⁵⁶ ამის პარალელურად, ფილიპე IV ლამაზი, რომის პაპის სანინააღმდეგოდ, მიზანმიმართულად აცხადებდა, რომ ღმერთმა მას ორი მახვილი ჩააბარა — სასულიერო და საერო, შესაბამისად, სასულიერო ხელისუფლება მის საერო მმართველობას სრულად უნდა დამორჩილებოდა.¹⁵⁷ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დაპირისპირება საფრანგეთის ისტორიის ერთ-ერთ საკვანძო ელემენტად იქცა. XVII საუკუნეშიც ლუი XIV აქტიურად ერეოდა ეკლესიის საქმეებში, რაც პაპის გაღიზიანებას იწვევდა.¹⁵⁸ ავსტრიის იმპერატორმა იოსებ II ეკლესიას სრულიად ჩამოართვა უფლება, საგარეო პოლიტიკა დამოუკიდებლად წარემართა, რამაც ავსტრიის ეკლესია წმინდა საყდარსა და პაპს მნიშვნელოვნად დააშორა.¹⁵⁹

რომის ეკლესიამ სახელმწიფოებრიობა საკუთარი კანონიკური სამართლითა და ბიუროკრატიული აპარატის შექმნით განავითარა.¹⁶⁰ სამართლის მკვლევართა აზრით, ვებერისეული ბიუროკრატიული აპარატი პირველად XV საუკუნის საეკლესიო იერარქიაში შეიქმნა.¹⁶¹ XX საუკუნის ოციან წლებში კი წმინდა საყდარმა თანამედროვე სახელმწიფოს სტატუსიც მოიპოვა. მიუხედავად იმისა, რომ ლათინური ეკლესია ხშირად ინკვიზიციასა და ინდულგენციებთან კავშირში წარმოუდგენიათ აღმოსავლეთ ევროპაში, მან თანამედროვე სამართლისა და სახელმწიფოებრიობის გაგების ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა. თანამედროვეობაში, ცივილიზებულ სამყაროში აღიარებული ბევრი პრინციპი, თეორია სწორედ რომის ეკლესიის წიაღში იშვა. მისმა ბრძოლამ სამართლებრივი სტატუსის მოპოვებისა და საერო ხელისუფლებისაგან დისტანცირებისთვის, XX საუკუნის სამართლისა და ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების ფუძემდებლური მიმართულებები განსაზღვრა.

2.3. ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობები აღმოსავლური ეკლესიების ისტორიული განვითარების კონტექსტში

მართლმადიდებლობის თვალთახედვით, კათოლიციზმი, პროტესტანტიზმი და ქრისტიანობის ნებისმიერი სხვა მიმართულება, რომელიც მართლმადიდებლობისგან

¹⁵⁵ Fukuyama F., *The Origins of Political Order, From Prehuman Times to the French Revolution*, London, 2012, 263.

¹⁵⁶ ვაჩეიშვილი ალ., *ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან*, ტ. II, თბილისი, 1948, 49.

¹⁵⁷ ელინეკი გ., *ძველი სამართლის ბრძოლა ახალ სამართალთან*, ზ. ნანობაშვილის თარგმანი, ბ. ზოიძის რედაქტორობით, თბილისი, 2006, 36.

¹⁵⁸ Смирнов Е.И., *История Христианской Церкви*, 2-ое Издание, Свято-Троицкая Сергиева Лавра, 2007, 743.

¹⁵⁹ იქვე, 745.

¹⁶⁰ Fukuyama F., *The Origins of Political Order, From Prehuman Times to the French Revolution*, London, 2012, 270.

¹⁶¹ იქვე.

განსხვავდება, მონეტის ერთი მხარეა.¹⁶² ასეც რომ არა, ეკლესიებს შორის განსხვავებები ყოველთვის არსებობდა.¹⁶³ სახელმწიფო და მართლმადიდებელი ეკლესია არა მხოლოდ თანამშრომლობდნენ, არამედ მთელი ისტორიის განმავლობაში ეკლესია ძირითადად სახელმწიფოს ექვემდებარებოდა.¹⁶⁴ ბიზანტიის იმპერიაში მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფოს სრული გავლენის ქვეშ მოექცა და კონსტანტინოპოლის აღებამდე არც გათავისუფლებულა.¹⁶⁵ უფარი ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის ბიზანტიურ მოდელს ურთიერთდამოკიდებულებისა და ქვემდებარეობის სისტემად მოისხენიებს.¹⁶⁶ როგორც ეკლესია ექვემდებარებოდა სახელმწიფოს, ისე, გარკვეულწილად, სახელმწიფო ექვემდებარებოდა ეკლესიას, — ეს იყო ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის ბიზანტიური მოდელი.¹⁶⁷ ქრისტიანული იმპერიის იდეამ ბიზანტიაში გარკვეულწილად ეკლესიის გაამქვეყნიურება გამოიწვია.¹⁶⁸

1453 წელს ბიზანტიის დაცემის შემდეგ აღმოსავლური ეკლესიის ცენტრი რუსეთში გადავიდა.¹⁶⁹ მართალია, ქრისტიანული რელიგია, სხვა მსოფლიო რელიგიების მსგავსად, მეტად კონსერვატიულია, თუმცა ამის გამო მას პოლიტიკური მოწყობის ახალ ფორმებთან ადაპტაცია არ გასჭირვებია.¹⁷⁰ მართლმადიდებლობამ წარმატებულად მოახერხა როგორც ოსმალეთის იმპერიაში, ისე კომუნისტურ რეჟიმში ყოფნა და ფიზიკურად გადარჩენა შეძლო.¹⁷¹ ოსმალეთის იმპერიაში ჩამოყალიბებული „მილეთის“ სისტემით, ეკლესიას საკუთარ შიდა საქმეებში ადმინისტრაციული და სამოქალაქო უფლებამოსილებები მიეცა, ავტონომია დაუმკვიდრდა.¹⁷² ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ სწორედ კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ იტვირთა ოსმალეთის იმპერიაში მაცხოვრებელი ყველა ქრისტიანის ინტერესების წარმოდგენა.¹⁷³

¹⁶² მართლმადიდებლური თეოლოგიით, მართლმადიდებელი ეკლესია თავდაპირველი, ჭეშმარიტი, ერთადერთი სანყისი ქრისტიანული ეკლესიაა. საუკუნეების განმავლობაში დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიები ისე დაშორდნენ ერთმანეთს, რომ ამ უკანასკნელს დასავლური ქრისტიანობა „ახალ და უცნობ სამყაროდ“ აღიქვამს. Clendenin D.B., *Eastern Orthodox Christianity, A Western Perspective*, 2nd Ed., Grand Rapids, 2003, 15-17; Carlton C., *The Faith, Understanding Orthodox Christianity, An Orthodox Catechism*, Salisbury, 1997, 19.

¹⁶³ V საუკუნეში, 451 წლისთვის კონსტანტინოპოლის პატრიარქი რომის პატრიარქს ექვემდებარებოდა, თუმცა აღმოსავლეთის ეკლესიებმა რომის ეკლესიისგან დაშორება დაიწყეს. მართლმადიდებლობა, კათოლიციზმისა და პროტესტანტიზმისგან განსხვავებით, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობებს ყოველთვის სიმბიოზის სახით განიხილავდა და აღმოსავლური ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სახელმწიფოსთან არსებული ურთიერთობების, სტატუს კვოს შენარჩუნება იყო. Anckar C., *Religion and Democracy, A Worldwide Comparison*, Abingdon, 2011, 29; Pollis A., *Eastern Orthodoxy and Human Rights, "Human Rights Quarterly"*, Vol.15, 1993, 346.

¹⁶⁴ იქვე.

¹⁶⁵ Fukuyama F., *The Origins of Political Order, From Prehuman Times to the French Revolution*, London, 2012, 263.

¹⁶⁶ Ware T., *The Orthodox Church*, 2nd Ed., London, 1997, 41.

¹⁶⁷ Яковлев А.И., *Лекции по Истории Христианской Церкви*, Москва, 2011, 65.

¹⁶⁸ იქვე, 61.

¹⁶⁹ Anckar C., *Religion and Democracy, A Worldwide Comparison*, Abingdon, 2011, 30.

¹⁷⁰ საგინაშვილი ქ., მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების სამართლებრივი ასპექტები უცხო ქვეყნების მაგალითების ფონზე, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2001, 14.

¹⁷¹ Anckar C., *Religion and Democracy, A Worldwide Comparison*, Abingdon, 2011, 44.

¹⁷² Pollis A., *Eastern Orthodoxy and Human Rights, "Human Rights Quarterly"*, Vol.15, 1993, 347, იხ. ციტირება: Halil Inalcik, *The Ottoman Empire: The Classical Age* (London: Weidenfeld and Nicholson, 1973).

¹⁷³ ბართოლომეოს I, ინტერრელიგიური დიალოგის აუცილებლობა და მიზანი, სიტყვა, წარმოთქმული 2006 წლის 22 იანვარს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო სხდომაზე, ჟურნ. „სოლიდარობა“, №2(11)'07, 2007, 34.

რომის იმპერიის მსგავსად, რევოლუციამდელ რუსეთშიც საზოგადოებრივი ცხოვრება ქრისტიანობის გარშემო იყო შექმნილი.¹⁷⁴ იმპერატორები და „ცარები“ საკუთარ ავტონომიას ფლობდნენ და ეკლესიის მორალურ-ეთიკურ გამგებლობას არ განეკუთვნებოდნენ.¹⁷⁵ რუსული ეკლესია ისტორიულად ცარისტული სახელმწიფო აპარატის განუყოფელი ნაწილი იყო¹⁷⁶.

საბჭოთა კავშირმა მნიშვნელოვნად შეაფერხა და უკან დახია მართლმადიდებელი ეკლესიები. ეკლესია დინამიკურად ვერ განვითარდა და ახალი პოლიტიკური წესრიგის პირობებში თანამედროვე გამოწვევების ადეკვატური ვერ გახდა. საბჭოთა ტოტალიტარიზმში თანამედროვედ მოაზროვნე სამღვდელოებას არ ეცალა ეკლესიის განვითარებისათვის, რადგან მათი მთავარი საზრუნავი ეკლესიაში სახელმწიფოს ჩარევისთვის წინააღმდეგობის განევა იყო.¹⁷⁷ ამ და სხვა მიზეზთა გამო მართლმადიდებლობა თანამედროვე სამყაროში საკმაოდ ძველმოდურად გამოიყურება.¹⁷⁸ მისთვის გაცილებით მტკივნეულია სეკულარიზმის, რელიგიის სახელმწიფოსგან განცალკევების პროცესი, რადგანაც ისტორიული სინამდვილის გათვალისწინებით, პროცესს, რომელიც შუა საუკუნეების მინურულს დაიწყო ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში, კონტინენტის აღმოსავლეთ ნაწილში ჯერ ოსმალთა ოკუპაციამ, შემდეგ რუსეთის იმპერიულმა ზრახვებმა და ბოლოს, საბჭოთა კავშირის ანტირელიგიურმა კამპანიამ შეუშალა ხელი. აღმოსავლეთის ეკლესიები ახალი გამოწვევის წინაშე დგანან, ვინაიდან მათი უმრავლესობა ეროვნულობასთან და კონკრეტულ ეთნოსებთან არიან გადაჯაჭვულები, მათთვის ძნელია პოლიტიკაზე ზემოქმედების ბერკეტების დათმობა. თუმცა განვითარებისა და თავად ეკლესიის კეთილდღეობისთვის, გაცილებით მართებულია სახელმწიფოსგან სრული დამოუკიდებლობისა და გამიჯვნის მოპოვება, რათა მომავალშიც არ განმეორდეს წარსულის მაგალითები და ეკლესია სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატის ნაწილად, მასზე დაქვემდებარებულ სუბიექტად არ იქცეს, რისი მცდელობაც პოსტტოტალიტარულ საზოგადოებებში საკმაოდ ხშირია.

2.4. ქრისტიანობა სეკულარულ მსოფლიოში

ქრისტიანობამ და რელიგიურმა სამართალმა ისტორიულად სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და ზოგადად, სამართლის ინსტიტუციონალიზაციასა და რაციონალიზმზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა.¹⁷⁹ პოლიტიკურმა, ისტორიულმა თუ სოციალურმა სფეროებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, თითოეულმა

¹⁷⁴ Carlton C., *The Faith, Understanding Orthodox Christianity, An Orthodox Catechism*, Salisbury, 1997, 265.

¹⁷⁵ Pollis A., *Eastern Orthodoxy and Human Rights*, "Human Rights Quarterly", Vol.15, 1993, 347.

¹⁷⁶ *Kedroff v. St. Nicholas Cathedral*, 344 U.S. 94 (1952).

¹⁷⁷ კეკელია თ., გავაშელიძევილი ე., ლადარია კ., სულხანიშვილი ი., *მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებაში (XX საუკუნის ბოლო — XXI საუკუნის დასაწყისი)*, თბილისი, 2013, 45.

¹⁷⁸ Ware K., *The Orthodox Way*, New York, 1999, 9.

¹⁷⁹ Fukuyama F., *The Origins of Political Order, From Prehuman Times to the French Revolution*, London, 2012, 274.

მათგანმა თავისი დამოუკიდებელი ნიშა დაიმკვიდრა, ამის პარალელურად კი, რელიგია თანდათან კულტურის შემადგენელ ნაწილად გადაიქცა.¹⁸⁰ როგორც ჰანტინგტონი აღნიშნავს, „ქრისტიანობა დასავლური ცივილიზაციის ცენტრალური კომპონენტია“¹⁸¹.

ევროპაში ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს თავისუფლად არსებობისა და დამოუკიდებლად ორგანიზების უფლება აქვთ.¹⁸² სახელმწიფოთა მიხედვით მათი სოციალური როლი, კულტურული ინტეგრაცია და საზოგადოებაზე გავლენა განსხვავდება. ამ განსხვავებათა მიუხედავად, შეიძლება დარწმუნებით აღინიშნოს, რომ სამართლის უზენაესობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა ევროპაში უშუალოდ ქრისტიანობასთანაა გადაჯაჭვული.¹⁸³ XX საუკუნის შუა წლებში დაწყებულ ევროპის ინტეგრაციის პროცესში რელიგიის აქტიური როლი ბევრი მეცნიერისა და კომენტატორისათვის მიღებული ფაქტია.¹⁸⁴ კაზანოვას მტკიცებით, ევროკავშირი თავდაპირველად ვატიკანის მიერ სანქცირებული ქრისტიან-დემოკრატიული პროექტი იყო, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპასა და მსოფლიოში მნიშვნელოვან გეოპოლოტიკურ როლს შეასრულებდა¹⁸⁵.

ქრისტიანობას, თავისი ისტორიული და კულტურულ-ანთროპოლოგიური ღირებულებებიდან გამომდინარე, ყოველთვის ექნება საჯაროდან კერძო, ვინრო სფეროში გადანაცვლების პრობლემა. მიუხედავად იმისა, საქმე დასავლეთის ეკლესიას ეხება, თუ აღმოსავლეთისას, ქრისტიანობას მუდამ ექნება პრეტენზია, აქტიური როლი იკისროს სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საქმეების განხორციელებისა და საკითხების გადაწყვეტის პროცესში.

3. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის მოდელები და სამართლებრივი მონესრიგება

თანამედროვე ეპოქაში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობები რთული, მეტად სტრუქტურირებული სფეროა, რომელიც მრავალი ასპექტისგან შედგება. ამ ურთიერთობათა კლასიფიკაცია უფრო სამართლებრივ ხასიათს ატარებს, ვიდრე პოლიტოლოგიურსა თუ სოციოლოგიურს, ვინაიდან მათი ურთიერთიერთიმართების დონე, ხარისხი და ინტენსივობა სამართლებრივი რეჟიმებითაა განსაზღვრული. სწორედ სამართლებრივი მონესრიგება, ეკლესიის სამართლებრივი სტატუსი და მისი უფლებრივი მდგომარეობა განაპირობებს კონკრეტული სახელმწიფოს ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობათა რომელიმე მოდელისადმი მიკუთვნებას.

¹⁸⁰ ბართლომეოს I, ევროპა: სეკულარიზაციის გამონვევა, დ. თინიკაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლოდარობა“, №9(18)07, 2007, 37.

¹⁸¹ Brown W., Civilizational Delusions, Secularism, Tolerance, Equality, in: *Reveal in Democracy, Secularism and Religion in Liberal Democratic States*, Edited by Ch. Marlle, G.M. Nielsen and D. Salde, Brussels, 2013, 38, იხ. ციტირება: Huntington, 1997, 305).

¹⁸² The Religious Dimension of Intercultural Dialogue, Recommendation 1962 (2011), Parliamentary Assembly of the Council of Europe, Para. 4.

¹⁸³ Fukuyama F., *The Origins of Political Order, From Prehuman Times to the French Revolution*, London, 2012, 262.

¹⁸⁴ Madeley J.T.S., *E Unum Pluribus: The Role of Religion in the Project of European Integration*, in: *Religion and Politics in Europe, The Middle East and North Africa*, Edited by J. Haynes, Abingdon, 2010, 116.

¹⁸⁵ იქვე, 118.

ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობათა შეფასების მრავალგვარი მეთოდი და მოდელი არსებობს, თუმცა მათგან არცერთია ოპტიმალური.¹⁸⁶ ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის მყარი კლასიფიკაცია არ არსებობს, ვინაიდან, მართალია, სახელმწიფო ფორმალურად რომელიმე სისტემას შეიძლება მიეკუთვნებოდეს, მაგრამ ფაქტობრივი მდგომარეობა რადიკალურად განსხვავებული იყოს.¹⁸⁷ ამის მიუხედავად, მაინც შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე გავრცელებული დაყოფა, რომელიც ასე თუ ისე სინამდვილეს შედარებით ზუსტად ასახავს.

ევროკავშირის ქვეყნებში განასხვავებენ სახელმწიფოსა და ეკლესიის სამართლებრივი ურთიერთობის სამ ტიპს: სახელმწიფო ეკლესია, ანუ დომინანტი ეკლესია, სახელმწიფოსა და ეკლესიის სრული გამიჯვნა და სისტემა, რომელშიც სახელმწიფო და ეკლესია გამიჯნულები არიან, მაგრამ მჭიდროდ თანამშრომლობენ.¹⁸⁸ ამ სამ ზოგად მოდელს გამოარჩევენ ევროპულ დოქტრინაში,¹⁸⁹ თუმცა ოდნავ განსხვავებული მიდგომაა ამერიკულ კონსტიტუციონალიზმში. აქ ორი ძირითადი მოსაზრება არსებობს: ერთი ეკლესიასა და სახელმწიფოს მკვეთრად მიჯნავს, ხოლო მეორის თანახმად, ამ ორ ინსტიტუციას შორის თანამშრომლობა სრულიად შესაძლებელია.¹⁹⁰

მეცნიერთა ნაწილის აზრით, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის სამი ძირითადი მოდელი არსებობს: „მკაცრად გამიჯნული ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების მოდელი“, „დაფუძნებული ეკლესიის მოდელი“ და „პლურალისტული ან სტრუქტურირებული პლურალისტული მოდელი“.¹⁹¹ საეკლესიო სამართალში შემდეგი კლასიფიკაციაც მოქმედებს: „ქვეშევრდომობის, იგივე სუბორდინაციული“, „პარალელიზმისა“ და „კოორდინაციული“ სისტემები.¹⁹² ზოგიერთი მეცნიერი „ანტიეკლესიის“ მოდელსაც გამოჰყოფს, რომელშიც სახელმწიფო ეკლესიასთან წინააღმდეგობაშია და უფრო მეტიც, რელიგიას ებრძვის.¹⁹³ ეს ძირითადად ის სისტემებია, რომლებიც ადამიანის ძირითად უფლებებს მხოლოდ ფორმალურად აღიარე-

¹⁸⁶ Palomino R., Legal Dimensions of Secularism: Challenges and Problems, 17th Annual International Law and Religion Symposium, Brigham Young University, Provo, Utah, October 3-5, 2010, 5. იხ. ციტირება: Kevin Boyle (ed.), Freedom of Religion and Belief: World Report, London, UK: Routledge (1997), pp. 9-10. მოდელებთან დაკავშირებით იხ., Conkle D.O., Different Religions, Different Politics: Evaluating the Role of Competing Religious Traditions in American Politics and Law, "Journal of Law and Religion", Vol.10, No.1, 1994, 26; Troper M., French Secularism, or Laïcité, "Cardozo Law Review", Vol.21, 2000, 1269-1270; Rosenfeld M., Introduction: Can Constitutionalism, Secularism and Religion Be Reconciled in an Era of Globalization and Religious Revival?, "Cardozo Law Review", Vol. 30, 2009, 2349.

¹⁸⁷ იხ., რობერსი გ., სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 665.

¹⁸⁸ იქვე.

¹⁸⁹ ერქვანია თ., სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთმიმართების სამართლებრივი კონტექსტი — ქართული მოდელი, მოკლე შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა ევროპული კავშირის მაგალითზე, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №6, 2013, 26.

¹⁹⁰ ეფსთინი რ., სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის გზაჯვარედინზე. ქრისტიანული სამართლებრივი საზოგადოება (CLS) მარტინესის წინააღმდეგ, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №5, 2012, 3.

¹⁹¹ ლოქლინი რ. ბ., კედლის ბევრი ფანჯარა, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №5, 2012, 91.

¹⁹² ბუმისი პ.ი., კანონიკური სამართალი, ი. გარაყანიძის თარგმანი, თბილისი, 2007, 190.

¹⁹³ Francis J. G., The Evolving Regulatory Structure of European Church-State Relationships, "Journal of Church and State", №4, 1992, 781.

ბენ, მსგავს პოლიტიკას ატარებდა საბჭოთა კავშირი და ბევრი სხვა არადემოკრატიული რეჟიმი¹⁹⁴. ისეთ სისტემებში კი, სადაც სახელმწიფო და რელიგია ერთმანეთისგან გამიჯნული არაა, გამოიყოფა ცეზაროპაპისტული და თეოკრატიული მოდელები¹⁹⁵.

თითოეული კლასიფიკაცია გარკვეულ პრობლემებზე ასპექტს მოიცავს, რადგანაც მათი გამოყენებით ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობათა ყველა სისტემა სრულად ვერ იფარება, ყურადღების მიღმა რჩება საგამონაკლისო მართლწესრიგები. აქედან გამომდინარე, უმჯობესია, თუ კლასიფიკაცია ამომწურავი იქნება და ყველა შესაძლო სახესხვაობას მაქსიმალურად მოიცავს. ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობათა მოდელებში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი სახეები: ა) ქვემდებარეობის, იგივე სუბორდინაციის მოდელი (ერასტიანიზმი, თეოკრატია); ბ) სახელმწიფო ეკლესიის მოდელი და გ) სეკულარული, იგივე ურთიერთგამიჯვნის მოდელი (სრული გამიჯვნის, თანამშრომლობისა და შერეული სისტემები).

3.1. ქვემდებარეობის მოდელი

3.1.1. ერასტიანიზმი

ანტიკურ სამყაროში რელიგია სახელმწიფოს ორგანული ნაწილი იყო და მის მთავარ მიზანს ხელისუფლების სამსახური წარმოადგენდა.¹⁹⁶ ზოგიერთმა სახელმწიფომ მსგავსი ისტორიული მემკიდრეობისგან გათავისუფლება თანამედროვეობაშიც ვერ მოახერხა და სწორედ ამ ინერციით გააგრძელა ქრისტიანულ ეკლესიებთან ურთიერთობა.

ერასტიანიზმი¹⁹⁷ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობათა იმგვარ მოდელს გულისხმობს, რომელშიც ეკლესია სრულად ქვემდებარება სახელმწიფოს, ეს უკანასკნელი განსაზღვრავს მის ძირითად მიმართულებებს.¹⁹⁸ ერასტიანულ მოდელში საერო ხელისუფლება სასულიეროზე აღმატებულია, ეკლესია სახელმწიფოს ემორჩილება.¹⁹⁹ სწორედ მსგავსი დამოკიდებულების გამო ერასტიანიზმს პოლიტოკრატიულ მმართველობას, ცეზაროპაპიზმსაც უწოდებენ²⁰⁰. ვებერის განმარტებით, ცეზაროპაპიზმის შემთხვევაში ხელისუფლება ეკლესიას პოლიტიკური ადმინისტრაციის ერთ-ერთ შტოდ განიხილავს²⁰¹.

ერასტიანიზმის კლასიკურ მაგალითად მიიჩნეოდა ინგლისი (ამ შემთხვევაში, არა გაერთიანებული სამეფო) XX საუკუნის თითქმის შუა წლებამდე, თუმცა დღესდღეობით მას სახელმწიფო ეკლესიის მოდელს მიაკუთვნებენ. XVI საუკუნეში ინგლისის მეფესა და რომის პაპს შორის განხეთქილება დაიწყო, რასაც, საბოლოო

¹⁹⁴ ამგვარ დაყოფასთან დაკავშირებით იხ., იქვე, 780-782.

¹⁹⁵ Troper M., French Secularism, or Laïcité, "Cardozo Law Review", Vol.21, 2000, 1269.

¹⁹⁶ Wood J.E., Church and State in Historical Perspective: A Critical Assessment and Anntated Bibliography, London, 2005, 4.

¹⁹⁷ თომას ერასტუსი (*Thomas Erastus*) შვეიცარიულ-გერმანული წარმოშობის თეოლოგი იყო, რომელიც ეკლესიის განკვეთის უფლებას აკრიტიკებდა და სეკულარული, საერო სახელმწიფოს მიერ რელიგიის კონტროლს ემხრობოდა. იხ., Turner B.S., The Religious and the Political, A Comparative Sociology of Religion, New York, 2013, 244.

¹⁹⁸ Francis J. G., The Evolving Regulatory Structure of European Church-State Relationships, Journal of Church and State, №4, 1992, 780.

¹⁹⁹ Cranmer F., Olivia J.G., Church-State Relationships - An Overview, Law and Justice, №162, 2009, 5.

²⁰⁰ ბუმისი პ.ი., კანონიკური სამართალი, ი. გარაყანიძის თარგმანი, თბილისი, 2007, 191.

²⁰¹ Ahdar R., Leigh I., Religious Freedom in the Liberal State, 2nd Ed., Croydon, 2015, 91, იხ. ციტირება: Weber, Economy and Society, 1162.

ჯამში, ანგლიკანური ეკლესიის შექმნა მოჰყვა.²⁰² ინგლისის ეკლესიის შექმნა რომის პაპის ძალაუფლებისგან გათავისუფლების მიზანს ატარებდა და თავდაპირველ ეტაპზე წმინდა პოლიტიკური ხასიათისა იყო, თუმცა ედუარდ VI მეფობისას ანგლიკანური ეკლესიის დოგმატიკა პროტესტანტულ გზას დაადგა და კათოლიციზმს შინაარსობრივადაც დაშორდა.²⁰³ მსგავსი პრაქტიკა ევროპისთვის უცხო არ იყო, უფრო მეტიც, XVII საუკუნიდან ძალიან ბევრმა ისტორიულმა სახელმწიფომ მიბაძა ინგლისს, რასაც რეფორმაციამაც დიდად შეუწყო ხელი. სკანდინავიის სახელმწიფოებსა და დანიაში ჩამოყალიბდა ერასტიანული მოდელი, რომელმაც XX საუკუნემდე იარსება. დღესაც კი ზოგიერთი მეცნიერი ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის დანიურ მოდელს კვაზიერასტიანულად მიიჩნევს.²⁰⁴ XIX საუკუნის 40-იან წლებში ბავარიელი რეგენტის მიერ ჩამოყალიბებულმა ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების ახალმა სისტემამ ცეზაროპაპიზმის მოდელი დაამკვიდრა საბერძნეთში,²⁰⁵ სწორედ ამან განაპირობა მომავალში იქ სახელმწიფო ეკლესიის სისტემის ჩამოყალიბება.

ერასტიანიზმის მოდელები თანამედროვე ეპოქაშიც მრავლად მოიპოვება. ლენინის მიერ გაუქმებული პატრიარქატი, 1943 წელს სტალინმა აღადგინა, რომელმაც ფაქტობრივი ცეზაროპაპიზმი დაამკვიდრა სრულიად განსხვავებული, საბჭოური ფორმით. იგი აქტიურად იყენებდა მართლმადიდებელ ეკლესიას საერთაშორისო დიპლომატიური მისიებისათვის²⁰⁶ და ფაქტობრივად განაგებდა კიდეც მას.

3.1.2. თეოკრატია

თეოკრატიული მოდელი ერასტიანიზმის სრული სანინააღმდეგოა და ეკლესიისა და სასულიერო იერარქთა საერო ხელისუფლებაზე ბატონობას გულისხმობს.²⁰⁷ თეოკრატიულ მოდელს იეროკრატია, იგივე პაპოცეზარიზმსაც უწოდებენ და იგი ნეტარი ავგუსტინეს იდეების საფუძველზე განვითარდა.²⁰⁸ თეოკრატია შეიძლება დახასიათდეს, როგორც მმართველობის შეზღუდული ფორმა, რომელშიც სიქველის რელიგიური გაგებაა მიღებული, რელიგიური ავტორიტეტები უშუალოდ იღებენ მონაწილეობას საერო საქმეთა გადაწყვეტაში, უმაღლესი სუვერენი კი ღმერთია.²⁰⁹ თეოკრატიაში რელიგიური და საერო მმართველობა გაერთიანებულია, სახელმწიფო კი რელიგიური

²⁰² 1534 წელს მიიღეს Act of Supremacy, რომლის მიხედვითაც, ინგლისის ეკლესიის ხელმძღვანელად მეფე გამოცხადდა, აქტი მღვდელმსახურებს ავალდებულებდა მის ერთგულებასა და მორჩილებაზე დაედოთ ფიცი. Jones H., *The Church in Wales: A church for the Welsh Nation*, "Law and Justice", №149, 2002, 136.

²⁰³ მაკლინი დ., სახელმწიფო და ეკლესია გაერთიანებულ სამეფოში, ნიგში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მეორე გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 640.

²⁰⁴ Cranmer F., Olivia J.G., *Church-State Relationships - An Overview*, "Law and Justice", №162, 2009, 5.

²⁰⁵ Papastathis C.K., *The Hellenic Republic and the Prevailing Religion*, "Brigham Young University Law Review", №4, 1996, 818.

²⁰⁶ Anderson P.B., *The Orthodox Church in Soviet Russia*, "Foreign Affairs", №39, 1960-1961, 305-306.

²⁰⁷ იბ., Cranmer F., Olivia J.G., *Church-State Relationships - An Overview*, "Law and Justice", №162, 2009, 6-7.

²⁰⁸ იბ., ბუმისი პ.ი., კანონიკური სამართალი, ი. გარაყანიძის თარგმანი, თბილისი, 2007, 190-191.

²⁰⁹ იბ., Merriman S.A., *Religion and the State, An International Analysis of Roles and Relationship*, Santa Barbara, 2009, 92.

ინტერესების გათვალისწინებით იმართება,²¹⁰ რელიგიური ავტორიტეტები პოლიტიკურ ხელისუფალთ ნიშნავენ, პოლიტიკური ძალაუფლება კი მთლიანად რელიგიას ექვემდებარება.²¹¹ ზოგადად, თეოკრატიები მოკლევადიანობით გამოირჩევიან²¹² და ხანგრძლივი მოქმედების მიზნით იშვიათად მკვიდრდება.

თეოკრატიის არსებობას ხელი შეუწყო შუა საუკუნეებში ეკლესიის მდგომარეობამ, ვინაიდან ისტორიის მთელი ეს პერიოდი სახელმწიფოსა და საზოგადოებაზე ეკლესიის ბატონობის ხანაა, რაც ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობების სპეციფიკიდან გამომდინარეობდა.²¹³ ამ თეორიის გავრცელებაში აქტიურად მონაწილეობდა წმინდა საყდარი, რომელიც ინტენსიურად ერეოდა ევროპულ სახელმწიფოთა შიდა საქმეებში, ამასთან, რომის პაპს, სასულიეროსთან ერთად, საერო ძალაუფლებაც ჰქონდა პაპის მიწებსა და უშუალოდ ქალაქ რომზე, რაც ჯერ კიდევ პიპინ მოკლესთან მიღწეული შეთანხმებით დაიკანონა²¹⁴.

პაპოცერაზმის გამოვლინება იყო კალვინის მმართველობა ჟენევაში, აიათოლა ხომეინის ირანის ისლამური რესპუბლიკა, თანამედროვე საუდის არაბეთი და სხვ.²¹⁵ მართალია, რომის პაპს აღარ ემორჩილება წარსულში მის გამგებლობაში არსებული ტერიტორიები, ვინაიდან იტალიის გაერთიანებამ ლოგიკურად გამოიწვია წმინდა საყდრისთვის პაპის მიწებისა და თავად ქალაქ რომის ჩამორთმევა,²¹⁶ თუმცა დღესდღეობით რომის პაპი მაინც ინარჩუნებს საერო ძალაუფლებას, იგი დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ვატიკანის სახელმწიფო მეთაურია.

3.2. სახელმწიფო ეკლესია

3.2.1. სახელმწიფო ეკლესიის კონცეფცია

სახელმწიფო ეკლესია ისტორიული ინსტიტუტია და თანამედროვე ეპოქამდე სრულიად ბუნებრივ მოვლენად მიიჩნეოდა, უფრო მეტიც, ხშირად იგი სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ უცილობელ ნიშანსაც წარმოადგენდა. კოლონიალიზმის პერიოდში იმპერიები საკუთარ კოლონიებში ავრცელებდნენ სხვადასხვა რელიგიას და როგორც წესი, დომინანტ ეკლესიას სახელმწიფო ეკლესიად აცხადებდნენ.²¹⁷ ეს იყო დაპყრობილი ტერიტორიების კონტროლისა და მართვის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება. რეფორმაციის პერიოდმა, სხვადასხვა ქრისტიანული მიმდინარეობის ჩამოყალიბებამ მნიშვნელოვნად გაართულა ოფიციალური, სახელმწიფო რელიგიისა და ეკლესიის სტატუსის აღიარების საქმე, ვინაიდან ქვეყნის მოსახლეობა რელიგიურად მრავალფეროვანი იყო. ამასთან, სახელმწიფო რელიგიისა და ეკლესიის სტატუსი

²¹⁰ Ahdar R., Leigh I., *Religious Freedom in the Liberal State*, 2nd Ed., Croydon, 2015, 90.

²¹¹ Troper M., *French Secularism, or Laïcité*, “Cardozo Law Review”, Vol.21, 2000, 1269.

²¹² Ahdar R., Leigh I., *Religious Freedom in the Liberal State*, 2nd Ed., Croydon, 2015, 90.

²¹³ Wood J.E., *Church and State in Historical Perspective: A Critical Assessment and Annotated Bibliography*, London, 2005, 26.

²¹⁴ იბ., Kuiper B.K., *The Church in History*, Grand Rapids, 1988, 71.

²¹⁵ იბ., Cranmer F., Olivia J.G., *Church-State Relationships - An Overview*, “Law and Justice”, №162, 2009, 6-7; ხეცურიანი ჯ., კონსტიტუციური შეთანხმება და რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსის ზოგიერთი საკითხი საქართველოში, წიგნში: ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში, თბილისი, 2011, 68-69.

²¹⁶ ფერარი ს., სახელმწიფო და ეკლესია იტალიაში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 243.

²¹⁷ Rossouw G.J., Macamo Eu. jr., *Church-State Relationship in Mozambique*, “Journal of Church and State”, №35(3), 1993, 538.

პრინციპულ საკითხთა კატეგორიას განეკუთვნებოდა, რაც ხშირად ომის მიზეზიც ხდებოდა. 1555 წლის აუსბურგის ზავით დასრულდა დისკუსია, თუ რომელი რელიგია იყო ქვეყანაში დომინანტი და ჩამოყალიბდა პრინციპი – *cuius region, eius religio*, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო რელიგიად სახელმწიფოს მეთაურის აღმსარებლობა მიიჩნეოდა²¹⁸.

მცდარია აზრი, რომ სახელმწიფო რელიგია ან სახელმწიფო ეკლესია აუცილებლად განვითარებად ან არადემოკრატიულ ქვეყნებშია. რა თქმა უნდა, ასეთი მაგალითებიც არის, მაგრამ მათ გვერდზე სახელმწიფო ეკლესია არსებობს გაერთიანებულ სამეფოში (ინგლისი და შოტლანდია), არგენტინაში, საბერძნეთში, დანიაში და აშ.²¹⁹ მათი გავრცელების არეალი საკმაოდ ფართოა. ევროპაში სახელმწიფო ეკლესიის მოდელი კლასიკური ევროპული დემოკრატიის ქვეყნებშია გავრცელებული.²²⁰ რა თქმა უნდა, აუცილებელია სახელმწიფო რელიგიის (ეკლესიის) სისტემის დემოკრატიულობისა და სამართლებრიობის უზრუნველყოფა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდია არადემოკრატიულობისა და ადამიანის ძირითად უფლებათა დარღვევის საფრთხე.

სახელმწიფო რელიგიის შემთხვევაში ეკლესია სახელმწიფოს სტრუქტურული ნაწილი, მისი ერთ-ერთი ინსტიტუტი ხდება: როგორც სახელმწიფო ერევა ეკლესიის საქმეების ნაწილში, აფინანსებს მას, ისე ეკლესია მონაწილეობს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში და სარგებლობს მნიშვნელოვანი პრივილეგიებით, სხვა რელიგიურ გაერთიანებებთან შედარებით.²²¹ ქვეყნებში, სადაც ეკლესიებს სახელმწიფო სტატუსი აქვთ, ისინი სახელისუფლებო ორგანოებად, ადმინისტრაციულ ერთეულებად მოიაზრებიან.²²² სახელმწიფო ეკლესია სახელმწიფოს „უშუალო მმართველობის სფეროში ექცევა“²²³. ამ მოდელის სახელმწიფოთა უდიდეს ნაწილში დომინანტი ეკლესიის სამართლებრივი სტატუსი და მასთან ურთიერთობის ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო დონეზეა უზრუნველყოფილი, რასაც, რა თქმა უნდა, კანონმდებლობაში იმპლემენტაციაც თან სდევს.²²⁴ მსგავს მიდგომას ითვალისწინებენ საბერძნეთის, დანიის, არგენტინის და სხვ. კონსტიტუციები²²⁵.

ბიზანტიური ტრადიციით, მართლმადიდებელი ეკლესია და მისი პატრიარქი იმპერატორს ემორჩილებოდნენ, მსგავსი წესი გადაიღეს ბალკანეთის მთავრებმაც, რომლებიც თავს ბიზანტიის სულიერ და უფლებრივ მემკვიდრეებად მიიჩნევდნენ.²²⁶ კულტურული და სტრუქტურული ტრანსფორმაციის შედეგად, მართლმადიდებლობა ბალ-

218 Wood J.E., *Church and State in Historical Perspective: A Critical Assessment and Annotated Bibliography*, London, 2005, 31.

219 ხეცურიანი ჯ., კონსტიტუციური შეთანხმება და რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსის ზოგიერთი საკითხი საქართველოში, წიგნში: ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში, თბილისი, 2011, 66.

220 იხ., ცაცანაშვილი მ., სახელმწიფო და რელიგია, თბილისი, 2001, 43-47.

221 იხ., ხეცურიანი ჯ., სახელმწიფო და ეკლესია, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2001, 10.

222 Zollman C., *Nature of America Religious Corporations*, “Michigan law Review”, Vol.14, 1915, 37-38.

223 ცაცანაშვილი მ., სახელმწიფო და რელიგია, თბილისი, 2001, 43.

224 ხეცურიანი ჯ., კონსტიტუციური შეთანხმება და რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსის ზოგიერთი საკითხი საქართველოში, წიგნში: ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში, თბილისი, 2011, 66.

225 Constitution of the Republic of Bulgaria, 1991, Art.13(3), Constitution of the Argentine Nation, 1853, Art.2, Constitution of the Hellenic Republic, 1975, Art.3, Constitutional Act of Denmark, 1953, Sec.4.

226 Mungiu-Pippidi A., *The Ruler and the Patriarch: The Romanian Eastern Orthodox Church in Transition*, “East European Constitutional Review”, №7, 1998, 87.

კანელი ხალხების ეროვნული იდენტობისა და მათი სახელმწიფოების მთლიანობის განუყოფელ ნაწილად იქცა.²²⁷ ბერძნული ეკლესია ელინური ეროვნულობის იდეასა და მართლმადიდებლობას ერთ მთლიანობად განიხილავს, უფრო მეტიც, მთავარეპისკოპოს ქრისტოდულოსის განმარტებით, ბერძნული გენი მხოლოდ ბერძნულ მართლმადიდებლობასთან თანაზიარებით შეიძლება გადარჩეს.²²⁸ სახელმწიფო ეკლესიის სისტემა საბერძნეთში რეგენტმა მორირმა დაამკვიდრა 1833 წელს და ამის მიზეზი ხელისუფლების დაუბრკოლებელი მოქმედების, ეკლესიის მხრიდან მხარდაჭერის სურვილი იყო, რაც ახლად გათავისუფლებული ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას ატარებდა.²²⁹ საბერძნეთის რევოლუციური პერიოდის კონსტიტუციები აღმოსავლურ მართლმადიდებლურ ქრისტიანობას უპირატესი, პრივილეგირებული რელიგიის სტატუსს ანიჭებდნენ²³⁰.

საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესია სრულადაა ინტეგრირებული სახელმწიფო სისტემაში, გამონაკლისია მხოლოდ ათონის წმინდა მთა, რომელიც ავტონომიითა და განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობს.²³¹ საბერძნეთის კონსტიტუცია განსაზღვრავს საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივ სტატუსს, მის ავტოკეფალიასა და მსოფლიო ეკლესიისაგან განუყოფლობას.²³² მართლმადიდებელი ეკლესიისთვის კონსტიტუციით მინიჭებული სტატუსი, გარკვეულწილად, მის ავტონომიას შემოფარგლავს.²³³ ქვეყნის პრეზიდენტი და პარლამენტის წევრები ოფიციალურ ფიცს დებენ წმინდა სამების სახელით.²³⁴ მართლმადიდებლობის უპირატესი რელიგიის სტატუსი საბერძნეთში გულისხმობს: მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას, მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ სამოქალაქო და სამართლებრივ სტატუსს, ეკლესიის სსიპ-ად აღიარებას.²³⁵ საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფო ეკლესიის სტატუსის მატარებელია და მართლმადიდებლობა „უპირატესია“, თუმცა პროტესტანტული და რომის კათოლიკური ეკლესიებიც მნიშვნელოვანი სტატუსით არიან აღჭურვილი²³⁶.

²²⁷ Roudometof V., The Evolution of Greek Orthodoxy in the Context of World Historical Globalization, in: Orthodox Christianity in 21st Century Greece, The Role of Religion in Culture, Ethnicity and Politics, Edited by V. Roudometof and V.N. Makrides, Ashgate, 2010, 24-25.

²²⁸ იბ., იქვე, 32.

²²⁹ იბ., პაპასტათისი კ., სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 133.

²³⁰ Papastathis C.K., The Hellenic Republic and the Prevailing Religion, "Brigham Young University Law Review", №4, 1996, 816.

²³¹ ხეცურიანი ჯ., სახელმწიფო და ეკლესია, ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2013, 36.

²³² Constitution of the Hellenic Republic, 1975, Art.3.

²³³ Minnerath R., Church Autonomy in Europe, in: Church Autonomy, A Comparative Survey, Edited by G. Robbers, Frankfurt am Main, 2001, 384-385.

²³⁴ იბ., Constitution of the Hellenic Republic, 1975, Art.33(2) and Art.59(1).

²³⁵ Papastathis C.K., The Hellenic Republic and the Prevailing Religion, "Brigham Young University Law Review", №4, 1996, 824.

²³⁶ პაპასტათისი კ., სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 135.

მართალია, საბერძნეთის ეკლესიას გარკვეული ავტონომია აქვს, მაგრამ მეტწილად იგი სახელმწიფო ორგანოს სტატუსით მოქმედებს, მაგ., ქორწინების, განათლების და სხვ. სფეროებში.²³⁷ რელიგიაზე საერთოსახელმწიფოებრივ ზედამხედველობას საბერძნეთში განათლებისა და საკულტო საკითხთა სამინისტროს გენერალური სამდივნო საკულტო საკითხებში და საგარეო საქმეთა სამინისტრო ახორციელებენ.²³⁸ საბერძნეთის ეკლესია ადმინისტრაციულ ფუნქციასაც ასრულებს, შესაბამისად, მისი ქმედებები და აქტები, რომლებიც ადმინისტრაციულ საქმიანობას და არა დოქტრინას, დოგმატიკას ეხება, საჩივრდება სახელმწიფო საბჭოში, რომელიც უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოა.²³⁹ სახელმწიფო საბჭო უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს მართადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებული საკითხები, მას შეუძლია გააუქმოს ეკლესიის მიერ მიღებული აქტებიც²⁴⁰.

ინგლისის (ანგლიკანური) და შოტლანდიის (პრესვიტერიანული) ეკლესიები სახელმწიფო ეკლესიების სტატუსს ატარებენ და სახელმწიფო კანონმდებლობის საფუძველზე არიან შექმნილნი.²⁴¹ ინგლისის ეკლესიის დაარსება მეფის სურვილს უკავშირდებოდა, სწორედ მისი მონვევით VI საუკუნეში ინგლისში წმ. ავგუსტინე ჩავიდა, რომელმაც კენტრბერის საყდარი დააარსა.²⁴² 1534 წლიდან ინგლისის ეკლესია წმინდა საყდრისგან დამოუკიდებლად არსებობს და ცალკე, ანგლიკანური პროტესტანტიზმის მქადაგებელია. მას ხელმძღვანელობს გაერთიანებული სამეფოს მონარქი²⁴³. რეფორმაციის შემდეგ ეკლესია სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად, მის იდეოლოგიურ საფუძვლად და პოლიტიკის განმახორციელებლად იქცა.²⁴⁴ გაერთიანებული სამეფოს მონარქი, რომელიც ინგლისის ეკლესიის „უმაღლეს მმართველად“ და „წმინდის დამცველად“ იწოდება,²⁴⁵ კურთხევისას ფიცს დებს, დაიცვას პროტესტანტული რეფორმირებული ტრადიცია.²⁴⁶ იგი, ასევე, დებს ფიცს, დაიცვას შოტლანდიის ეკლესია, თუმცა ინგლისის ეკლესიისგან განსხვავებით, არ ერევა ეპოსკოპოსთა დანიშვნასა და თავად ეკლესიის ადმინისტრირებაში²⁴⁷.

²³⁷ Minnerath R., Church Autonomy in Europe, in: Church Autonomy, A Comparative Survey, Edited by G. Robbers, Frankfurt am Main, 2001, 385.

²³⁸ პაპასტატიკი კ., სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 144-145.

²³⁹ იქვე, 145.

²⁴⁰ Doe N., Christian Law, Contemporary Principles, New York, 2013, 358.

²⁴¹ Nicholson J., The Law of Church and State Relations in the United Kingdom, “Sri Lanka Journal of International Law”, №12, 2000, 182.

²⁴² Davies R., Church and State, “The Cambrian Law Review”, Vol.7, 1976, 12.

²⁴³ იხ., Jones H., The Church in Wales: A church for the Welsh Nation, “Law and Justice”, №149, 2002, 136.

²⁴⁴ მაგ., მატყლის წარმოების გასავითარებლად ინგლისის პარლამენტი ყველა მეთოდს მიმართავდა, მათ შორის მის კონტროლს ეკლესიაზე: 1678 წელს დადგენილებით დაავალდებულა ანგლიკანური ეკლესიის სამღვდელთა, გარდაცვლილთა დაკრძალვაზე თანხმობა მხოლოდ მაშინ გაეცათ, თუკი ისინი მატყლით გაკეთებულ სუდარაში იქნებოდნენ გახვეულნი. იხ., Ahdar R., Leigh I., Religious Freedom in the Liberal State, 2nd Ed., Croydon, 2015, 91, იხ. ციტირება: Pfeffer, Church, State and Freedom, 27.

²⁴⁵ Hirschl R., Comparative Constitutional Law and Religion, in: Comparative Constitutional Law, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Cheltenham, 2011, 428.

²⁴⁶ Cumper P., The Participation of Religious Communities in Public Life – The British Experience, in: Transformation of Church and State Relations in Great Britain and Germany, Edited by C. Walter and A. Von Ungern-Sternberg, Baden-Baden, 2013, 189.

²⁴⁷ Ahdar R., Leigh I., Religious Freedom in the Liberal State, 2nd Ed., Croydon, 2015, 10.

ინგლისის ეკლესიის პირველი კანონის მიხედვით, ინგლისის ეკლესია მისი სადედოფლო უდიდებულესობის კანონთა შესაბამისადაა დაფუძნებული და „ქრისტეს ქემარტი და სამოციქულო ეკლესიის“ ნაწილია.²⁴⁸ ინგლისის ეკლესიის კანონები და აქტები უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს კანონმდებლობასა და დედოფლის სამართალს.²⁴⁹ სახელმწიფო ხელისუფლება ეკლესიის შიდა საქმეებშიც მონაწილეობს.²⁵⁰ კენტრბერის მთავარეპისკოპოსი ინგლისის ეკლესიის სულიერი ლიდერია, იგი აკურთხებს მონარქს და იკავებს საპატიო ადგილს სამეფო კარზე, სამეფო ოჯახსა და ლორდ კანცლერს შორის.²⁵¹ თავის მხრივ, ინგლისის თემთა პალატას, ძველ უნივერსიტეტებსა და ისტორიულ საერო დაწესებულებებს ჰყავთ კაპელანები, რომლებიც ინგლისის ეკლესიის ღვთისმსახურები არიან.²⁵² სამეფო ხელისუფლება ჩართულია მნიშვნელოვანი საეკლესიო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, თავის მხრივ, ანგლიკანური ეკლესიის მთავარეპისკოპოსი აკურთხებს მონარქს, ეპისკოპოსები კი ლორდთა პალატაში არიან წარმოდგენილნი.²⁵³ 1878 წლის საეპისკოპოსო აქტის საფუძველზე სასულიერო ლორდები (*Lord Spiritual*) აქტიურად მონაწილეობენ პარლამენტის ზედა პალატის საქმიანობაში.²⁵⁴ პალატაში *ex officio* ადგილი გარანტირებულად აქვს ანგლიკანური ეკლესიის 26 ეპისკოპოსს.²⁵⁵ მათ ნიშნავს მონარქი პარლამენტის უმრავლესობის თანხმობით.²⁵⁶ აქვე აღსანიშნავია, მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებულ სამეფოში ორი სახელმწიფო ეკლესია არსებობს, რელიგიის თვალსაზრისით, იგი ევროპის ყველაზე მრავალფეროვან სახელმწიფოადაა აღიარებული.²⁵⁷

მართალია, სკანდინავიური საზოგადოება ძირითადად ჰომოგენურია და ლუთერანული ეკლესია დომინანტია რელიგიურ გაერთიანებებს შორის, მოსახლეობის უმრავლესობა მაინც სეკულარულია.²⁵⁸ სეკულარული განწყობის პარალელურად, ევანგელურ-ლუთერანული ქრისტიანობის აღმსარებლობა დღემდე სავალდებულოა დანიის, ნორვეგიისა და შვედეთის მონარქებისათვის.²⁵⁹ სკანდინავიელთა უმრავლესობა ისე მიეკუთვნება სახელმწიფო ეკლესიებს, რომ თავადაც არ იციან ამის

²⁴⁸ Davies R., Church and State, “The Cambrian Law Review”, Vol.7, 1976, 11.

²⁴⁹ იქვე, 15.

²⁵⁰ მაგ., ანგლიკანური ეკლესიის ეპისკოპოსებს ნიშნავს გაერთიანებული სამეფოს მონარქი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით, თუმცა 1977 წელს მიღებული შეთანხმებით, მონარქი ფაქტობრივად ეკლესიის მიერ შეთანხმებული კანდიდატების წრიდან აკეთებს არჩევანს. მაკლინი დ., სახელმწიფო და ეკლესია გაერთიანებულ სამეფოში, ნიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 648.

²⁵¹ Davies R., Church and State, “The Cambrian Law Review”, Vol.7, 1976, 22.

²⁵² იხ., იქვე.

²⁵³ Hirschl R., Comparative Constitutional Law and Religion, in: Comparative Constitutional Law, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Cheltenham, 2011, 428.

²⁵⁴ Edge P.W., Religion and Law, An Introduction, Ashgate, 2006, 98.

²⁵⁵ Cumper P., The Participation of Religious Communities in Public Life – The British Experience, in: Transformation of Church and State Relations in Great Britain and Germany, Edited by C. Walter and A. Von Ungern-Sternberg, Baden-Baden, 2013, 189.

²⁵⁶ McConnell M.W., Garvey J.H., Berg Th.C., Religion and the Constitution, New York, 2011, 90.

²⁵⁷ იქვე.

²⁵⁸ Scheinen M., Secular Human Rights Perspectives, As a Challenge to Nordic Law & Religion Solutions, in: Law & Religion in the 21st Century – Nordic Perspectives, Edited by L. Christoffersen, K. Å. Modeér, S. Andersen, Copenhagen, 2010, 547.

²⁵⁹ Ibán I.C., God in Constitutions and Godless Constitutions, in: Law, Religion, Constitution (Freedom of Religion, Equal Treatment, and the Law), Edited by Cr. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari, D. Thayer, 2013, 43.

თაობაზე, რადგან ეს უფრო სოციალური, კულტურული, ეროვნული მემკვიდრეობის ნაწილია, ვიდრე რწმენის საკითხი.²⁶⁰ XVIII საუკუნემდე ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია ერთადერთი ნებადართული ეკლესია იყო შვედეთში.²⁶¹ 2000 წელს ამოქმედდა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობათა ახალი სისტემა, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული მოდელი შეცვალა და მართალია, ეკლესიას მნიშვნელოვანი თავისუფლება მიეცა, თუმცა იგი დღემდე სახელმწიფო სტატუსის მატარებლად რჩება.²⁶² შვედეთის სამეფოს 1974 წლის ძირითადი კანონის თანახმად, მისი სტატუსი განისაზღვრება სპეციალური კანონით.²⁶³ შვედეთის ეკლესიას მხოლოდ XXI საუკუნეში მიეცა შესაძლებლობა, დარეგისტრირებულიყო იურიდიულ პირად და მიეღო დამოუკიდებელი სამართლებრივი სტატუსი, რადგან მანამდე სახელმწიფოს ნაწილად განიხილებოდა.²⁶⁴ მართალია, შვედეთში ფორმალურად ყველა ეკლესია თუ რელიგიური ორგანიზაცია კანონის წინაშე თანასწორია, რაც ამ საუკუნის დასაწყისში დაწყებულმა სეკულარიზაციის პროცესმაც უზრუნველყო,²⁶⁵ თუმცა შვედეთის ეკლესიას სამართლებრივად განსხვავებული სტატუსი აქვს, ფაქტობრივად, იგი ყველაზე ძლიერი ინსტიტუტია სახელმწიფოში²⁶⁶.

2012 წლამდე ნორვეგიაში ლუთერანული ეკლესია მაღალი სტატუსით სარგებლობდა, მეტიც 1814 წლიდან მეფე და მთავრობის წევრთა ორი მესამედი მაინც ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის წევრები უნდა ყოფილიყვნენ.²⁶⁷ 2012 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით ნორვეგიას ოფიციალური, ფორმალური რელიგია აღარ გააჩნია, თუმცა იგი აღიარებს „ქრისტიანულ და ჰუმანისტურ მემკვიდრეობას“.²⁶⁸ ოფიციალურ დონეზე „სახელმწიფო“ სტატუსის არარსებობის მიუხედავად, ნორვეგიის სახელმწიფო ეკლესიის ეპისკოპოსებს თანამდებობაზე ნიშნავს სამთავრობო ადმინისტრაციის, რეფორმებისა და საეკლესიო საკითხთა მინისტრი²⁶⁹.

²⁶⁰ Mair J., *The Place of Religion in Family Law: A Comparative Search*, in: *The Place of Religion in Family Law: A Comparative Search*, Edited by J. Mair and E. Öricü, Antwerp-Portland, 2011, 380.

²⁶¹ ფრიდნერი ლ., სახელმწიფო და ეკლესია შვედეთში, ნიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 619.

²⁶² იქვე, 620.

²⁶³ *Constitution of the Kingdom of Sweden (The Instrument of Government, 1974)*, Chapt.8, Art.6.

²⁶⁴ ფრიდნერი ლ., სახელმწიფო და ეკლესია შვედეთში, ნიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 626.

²⁶⁵ იქვე, 624.

²⁶⁶ იქვე, 625.

²⁶⁷ Furseth I., *The Ambiguity of Secular and Religious Space: The Norwegian Penitentiary System*, in: *Secular and Sacred? The Scandinavian Model of Religion in Human Rights, Law and Public Space*, Edited by R. Van Der Breemen, J. Casanova and T. Wyller, Vandenhoeck & Ruprecht, 2014, 152.

²⁶⁸ იქვე.

²⁶⁹ Årsheim H., *Legal Secularism? – Differing Notions of Religion in International and Norwegian Law*, in: *Secular and Sacred? The Scandinavian Model of Religion in Human Rights, Law and Public Space*, Edited by R. Van Der Breemen, J. Casanova and T. Wyller, Vandenhoeck & Ruprecht, 2014, 136.

დანიაში, რომლის მოსახლეობის უმრავლესობაც პროტესტანტია, რელიგია კერძო, პირად სფეროდ განიხილება,²⁷⁰ თუმცა ქვეყანაში მოქმედებს სახალხო ეკლესია (*Folkekirken*).²⁷¹ სახალხო ეკლესიის სტატუსი განისაზღვრება დანიის კონსტიტუციით, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო თავის თავზე იღებს ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის დაფინანსებას, ვინაიდან იგი სახალხო ეკლესიაა და სახელმწიფო ვალდებულია, მასზე იზრუნოს.²⁷² სწორედ საკონსტიტუციო სტატუსის გამო შეუძლებელია სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის აქტიური პროცესის დაწყება საკონსტიტუციო ცვლილებების გარეშე.²⁷³ დანიის ეკლესია თავისი არსით სახელმწიფო ეკლესიაა და სახელმწიფოსთან უშუალოდაა დაკავშირებული,²⁷⁴ თუმცა, ამის მიუხედავად, სახალხო ეკლესია პრაქტიკულად ძალზე შეზღუდულია და ექვემდებარება დანიის პარლამენტსა და საეკლესიო საქმეთა მინისტრს, როცა სხვა რელიგიური მიმდინარეობები კერძო გაერთიანებებია.²⁷⁵ სახალხო ეკლესია სახელმწიფო სისტემის ნაწილია და მას საჯარო სამართალი ანესრიგებს.²⁷⁶ სწორედ მსგავსი მოწესრიგების გამო სახელმწიფო ეკლესიის დანიური მოდელი კვაზიერასტიანულად მიიჩნევა²⁷⁷.

3.2.2. სახელმწიფო ეკლესიის ინსტიტუციური შესაბამისობა ადამიანის ძირითად უფლებებთან

თანამედროვე სინამდვილეში სახელმწიფო ეკლესიის კონცეფცია მნიშვნელოვნად შეცვლილია და იგი ავტომატურად სახელმწიფოს კონტროლქვეშ არსებულ ინსტიტუტად არ მოიაზრება. დომინანტი ეკლესიის მქონე ქვეყნებში თანდათანობით უფრო მეტი სამართლებრივი ბერკეტი გადაეცემა ეკლესიებს, რაც მათთვის მეტ თავისუფლებასა და სახელმწიფოსაგან მნიშვნელოვნად გამოცალკევებას უწყობს ხელს.²⁷⁸ სწორედ ამ პროცესით იმიჯნება სახელმწიფო ეკლესიის მოდელი ერასტიანიზმისაგან, რომელიც ეკლესიაზე ტოტალურ კონტროლს, სრულ დომონირებას გულისხმობს. მაგ., ბულგარეთში „ტრადიციულ“ რელიგიად აღმოსავლური მართლმადიდებლობაა გამოცხადებული,²⁷⁹ თუმცა, იმავდროულად, უზრუნველყოფილია რელიგიის თავისუფლების პრინციპი, სახელმწიფო და ეკლესია სრულად ემიჯნებიან ერთმანეთს,²⁸⁰ რაც

²⁷⁰ Plesner I.Th., *Secularism – A Quest for Privatization of Religion? in: Law & Religion in the 21st Century – Nordic Perspectives*, Edited by L. Christoffersen, K. Å. Modeér, S. Andersen, Copenhagen, 2010, 298.

²⁷¹ დუბეკი ი., სახელმწიფო და ეკლესია დანიაში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 63.

²⁷² იბ., *Constitutional Act of the Kingdom Denmark*, 1953, Art.4.

²⁷³ დუბეკი ი., სახელმწიფო და ეკლესია დანიაში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 66.

²⁷⁴ იქვე, 64.

²⁷⁵ იქვე, 68.

²⁷⁶ იქვე, 69.

²⁷⁷ Cranmer F., Olivia J.G., *Church-State Relationships - An Overview*, Law and Justice, №162, 2009, 5.

²⁷⁸ იბ., რობერსი გ., სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 666.

²⁷⁹ *Constitution of the Republic of Bulgaria*, 1991, Art.13(3).

²⁸⁰ იქვე, Art.13(1)(2).

ეკლესიის დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს. მონაკოს სახელმწიფო რელიგია რომაულ-კათოლიკური ქრისტიანობაა²⁸¹, თუმცა რელიგიის თავისუფლება უზრუნველყოფილია.²⁸² სახელმწიფო ეკლესიის სტატუსის მიუხედავად, უზრუნველყოფილია რომის ეკლესიის ავტონომიურობა²⁸³.

სამწუხაროდ, სახელმწიფო რელიგიის ინსტიტუტი ხშირად სხვა რელიგიური შეხედულებების მქონე ადამიანთა ძირითადი უფლებების შეზღუდვასა და აღმსარებლობის გამო ადამიანთა დევნასთან ასოცირდება, რაც სამართლებრივად მცდარი შეხედულებაა.²⁸⁴ ასევე, სახელმწიფო ეკლესიის არსებობა ნებისმიერ შემთხვევაში არ გულისხმობს, რომ ეკლესიის ავტონომია დაკნინებულია.²⁸⁵ სახალხო ეკლესიის მხარდაჭერა და დაფინანსების საკონსტიტუციო ვალდებულება არ გამოორიციხავს სახელმწიფოს უფლებას, გამოუყოს ფინანსები სხვა რელიგიურ გაერთიანებებსაც.²⁸⁶ ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, სახელმწიფო რელიგიის არსებობა ავტომატურად რელიგიის თავისუფლებას არ არღვევს, თუ ეს არაა სხვა რელიგიურ გაერთიანებათა, აღმსარებელთა თუ ათეისტთა დისკრიმინაციის საფუძველი.²⁸⁷ ერთი ეკლესიის პრივილეგირებულობა ავტომატურად არ ნიშნავს სხვა რელიგიურ გაერთიანებათა დისკრიმინაციას, მათ მიმართ შესაძლოა მნიშვნელოვანი შეღავათები მოქმედებდეს და უფრო მეტიც, დომინანტ ეკლესიასთან შედარებით, გაცილებით მეტი თავისუფლებით სარგებლობდნენ.

3.3. სეკულარიზმი

3.3.1. სეკულარიზმის კონცეფცია

3.3.1.1. სეკულარიზმის იდეა

ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობათა ევოლუციის დამაგვირგვინებელი ფაზა მათი ურთიერთგამიჯვნაა, რომელიც თანამედროვე სისტემაა, თუმცა საფუძველი შუა საუკუნეებში ეყრებოდა.²⁸⁸ ევროპის ერთიან სისტემადა აღქმა ეკლესია-

²⁸¹ Constitution of the Principality of Monaco, 1962, Art.9.

²⁸² Grinda G., *The Principality of Monaco (State, International Status, Institutions)*, 2nd Ed., Translated by J.C. Duursma, The Hague, 2010, 146.

²⁸³ რელიგიური ავტონომიურობა მონაკოში მთავარ შარლ III და რომის პაპ ლეონ XIII შორის 1887 წლის შეთანხმებით იქნა უზრუნველყოფილი, თუმცა რომის ეკლესიასა და მონაკოს შორის ურთიერთობების საბოლოო განმსაზღვრელი 1981 წლის 27 ივნისის შეთანხმებაა. იხ., იქვე, 148-151.

²⁸⁴ საგინაშვილი ქ., მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების სამართლებრივი ასპექტები უცხო ქვეყნების მაგალითების ფონზე, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2001, 15.

²⁸⁵ Minnerath R., *Church Autonomy in Europe*, in: *Church Autonomy, A Comparative Survey*, Edited by G. Robbers, Frankfurt am Main, 2001, 384.

²⁸⁶ დუბეკი ი., სახელმწიფო და ეკლესია დანიაში, ნიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 66.

²⁸⁷ UNHRC, General Comment 22, Article 18 (Forty-eighth session, 1993), Para.9; იხ., Tulkens F., *The European Convention of Human Rights and Church-State Relations: Pluralism vs. Pluralism*, *Cardozo Law Review*, Vol.30, No.6, 2009, 2584, Evans C., Thomas Chr.A., *Church-State Relations in the European Court of Human Rights*, *Brigham Young University Law Review*, No.3, 2006, 706.

²⁸⁸ ჯერ კიდევ 496 წელს პაპი გელასიუს I იმპერატორ ანასტასიუს I სწერდა ორი ხელისუფლების — სახელმწიფოსა და ეკლესიის და მათი ძალაუფლების შესახებ. თანდათანობით ეკლესიის ნიაღში სულ უფრო აქტუალური ხდებოდა სახელმწიფოსაგან გაცალკეებისა და სრული დამოუკიდებლობის იდეა. ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა გრიგოლ VII, რომელმაც 1075 წელს *Dictatus Papae* (დოკუმენტში 27 პრინციპი იყო ჩამოყალიბებული და მისი ადრესატი თავად რომის პაპი გახლდათ) გამოაქვეყნა, მასში ჩამოყალიბებული იყო იმ პერიოდისათვის თითქმის „რევოლუციური“ პოსტულატები. ამ პრინციპებს სერიოზული რეაქცია მოჰყვა ევროპაში. იხ., Wood

სახელმწიფოს გამიჯვნის პროცესში მიზანშეწონილი არაა.²⁸⁹ თითოეულ სახელმწიფოში განცალკევების პროცესი განსხვავებული ტემპით, ინტენსივობითა და ინდივიდუალური მახასიათებლებით მიმდინარეობდა, ზოგან კი დღემდე მიმდინარეობს. საბოლოო ჯამში, ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის იდეა დასავლური აზროვნების შედეგი და თანამედროვეობის აღიარებული პრინციპია, თუმცა აღმოსავლეთის ისლამურ და ზოგიერთ ქრისტიანული ფუნდამენტალიზმის ქვეყანაში დღემდე არაა აღიარებული²⁹⁰.

განსხვავებული რელიგიის აღმსარებელთა შორის თანასწორობის კამპანიას დიდი ხნის ისტორია აქვს.²⁹¹ პოლიტიკურისა და რელიგიური ცხოვრების ერთმანეთისგან განცალკევებას ჯერ კიდევ ლოკი მოითხოვდა.²⁹² თუმცა ახალი დროის სეკულარიზმის მთავარ ნარმომადგენლად მაინც მაკიაველი მიიჩნევა, რომელიც ქრისტიანობის სახელმწიფო იდეოლოგიზაციას დაუპირისპირდა, რამაც ყველაზე დიდი სამსახური თავად რელიგიას გაუწია, ვინაიდან ეს უკანასკნელი სახელმწიფოს ბატონობიდან გათავისუფლდა.²⁹³

სეკულარიზმი, როგორც პოლიტიკური სისტემა და იდეოლოგია, ქრისტიანული ევროპის პირმშოა, უფრო მეტიც, მისი არსებობა ქრისტიანობის გაძლიერებამ განაპირობა.²⁹⁴ ამიტომ ლოგიკურიცაა, ევროპული საკონსტიტუციო სეკულარიზმი უშუალოდ დაკავშირებულია განმანათლებლობასთან.²⁹⁵ პროცესი შუა საუკუნეების მიწურულს დაიწყო, რამაც შედეგად ახალი სახელმწიფოების, ერებისა და სამოქალაქო საზოგადოების იდეის შექმნა გამოიწვია.²⁹⁶ სოციალურმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობათა რადიკალური ცვლილება განაპირობა.²⁹⁷ რელიგიისა და სახელმწიფოს განცალკევების პროცესი (*Kirchenaustrittsbewegung*) გერმანიაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბისმარკის მიერ განხორციელებული ანტიკათოლიკური კამპანიით იწყება.²⁹⁸ კათოლიკური ეკლესიის

J.E., *Church and State in Historical Perspective: A Critical Assessment and Annotated Bibliography*, London, 2005, 27; Henderson E.F., *Select Historical Documents of the Middle Ages*, London, 1910, 366-367; McKinley P.B., *Differentiating Church and State (Without Losing the Church)*, "Georgetown Journal of Law and Public Policy", Vol.7, 2009, 36-37; Fr. Gomes E.X., *Church-State Relations from a Catholic Perspective: General Considerations on Nikolas Sarkozy's New Concept of Laïcité Positive*, *Journal of Catholic Legal Studies*, Vol.48, 2009, 202.

²⁸⁹ მაგ., XII საუკუნეში, როდესაც გერმანიის საღვთო რომის იმპერატორმა რომის ეკლესიას ეპისკოპოსებისა და აბატების არჩევაში ჩაურევლობა აღუთქვა, ინგლისში ჰენრი II და კენტრბერის მთავარეპისკოპოს თომას ბეკეტს შორის ურთიერთობა ისე იძაბება, რომ ამ უკანასკნელს საერთოდ კლავენ. Berg Th.C., Colby K.W., Esbeck C.H., Garnett R.W., *Religious Freedom, Church-State Separation, and the Ministerial Exception*, "Northwestern University Law Review Colloquy", Vol. 106, 2011, 179-180.

²⁹⁰ Doerr E., *The Importance of Church-State Separation*, in: *Toward a New Political Humanism*, edited by Seidman B.F. & Murphy N.J., New York, 2004, 71.

²⁹¹ Christoffersen L., *Historical, Cultural and Social Background*, in: *Religion and Discrimination Law in the European Union*, Edited by M. Hill QC, Trier, 2012, 30.

²⁹² Brown W., *Civilizational Delusions, Secularism, Tolerance, Equality*, in: *Reveal in Democracy, Secularism and Religion in Liberal Democratic States*, Edited by Ch. Marlle, G.M. Nielsen and D. Salde, Brussels, 2013, 48.

²⁹³ მენი ა., რელიგია, „პიროვნების კულტი“ და სეკულარული სახელმწიფო, დ. თინიკაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №6(39), 2010, 77.

²⁹⁴ იბ., Yildirim S., *Expanding Secularism's Scope: An Indian Case Study*, "The American Journal of Comparative Law", Vol. 52, 2004, 903.

²⁹⁵ Sajó A., *Preliminaries to a Concept of Constitutional Secularism, "I-Con"*, Vol.6, No.3-4, 2008, 608.

²⁹⁶ ანდრონიკაშვილი ზ., მაისურაძე გ., სეკულარიზაცია და სეკულარიზაციის ბედი საქართველოში, ჟურნ. „სოლიდარობა“, №5(38), 2010, 105.

²⁹⁷ Fr. Gomes E.X., *Church-State Relations from a Catholic Perspective: General Considerations on Nikolas Sarkozy's New Concept of Laïcité Positive*, "Journal of Catholic Legal Studies", Vol.48, 2009, 204.

²⁹⁸ Holt N., *The Church Withdrawal Movement in Germany*, "Journal of Church and State", Vol.32, 1990, 37.

მიმართ გამოცხადებული *Kulturkampf*-ის მიუხედავად, ვაიმარის რესპუბლიკის 1919 წლის კონსტიტუციამდე სახელმწიფო და ეკლესია ძალზე მჭიდროდ თანამშრომლობდნენ.²⁹⁹ კონსტიტუციამ, მართალია, ეს ორი ინსტიტუტი ერთმანეთისგან ოფიციალურად გამიჯნა, თუმცა იგი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან სოციალურ-კულტურულ თემებში თანამშრომლობას ითვალისწინებდა³⁰⁰. სამართლებრივი პოზიტივიზმის დამკვიდრებამ და სამართალშემოქმედად ექსკლუზიურად სახელმწიფოს მიჩნევამ სეკულარიზმის პროცესი მნიშვნელოვნად დააჩქარა, რადგანაც საერო ცხოვრებაში საეკლესიო სამართლისა თუ სასამართლოს მოქმედება მაქსიმალურად შეიზღუდა³⁰¹.

ცნება „სეკულარიზმი“ პირველად ჯორჯ ჰოლიოუკმა განმარტა 1846 წელს.³⁰² თუმცა მისი აღიარებული, შეთანხმებული დეფინიცია დღემდე არ არსებობს. აღსანიშნავია ისიც, რომ მას ხშირად განყენებულად განიხილავენ, როცა სინამდვილეში იგი არსებობს როგორც სამართალი, როგორც ყოველდღიურობის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ყველაზე ხშირად განიმარტება და გადაიხედება.³⁰³ კაზანოვა სეკულარიზმს სამ მიმართულებად გამოჰყოფს: სეკულარიზმი, როგორც რელიგიის უარყოფა; სეკულარიზმი, როგორც რელიგიის პრივატიზაცია და სეკულარიზმი, როგორც სხვა სფეროებიდან რელიგიური სფეროს გამოყოფა-განსხვავება.³⁰⁴ სეკულარიზაციის მთავარი იდეა „სახელმწიფოსა და რელიგიის ინსტიტუციური და კონსტიტუციური ურთიერთგამიჯვნა“³⁰⁵. „სეკულარიზმი“ არის ღირებულება, რომელიც იძენს მნიშვნელობას მხოლოდ იმ ისტორიულ და კულტურულ კონტექსტში, რომელშიც ის აღმოცენდება. ნათელია, რომ ის გულისხმობს სახელმწიფოსა და გარკვეულ რელიგიურ ჯგუფებს შორის განსხვავებას, სახელმწიფოს ნეიტრალურ დამოკიდებულებას ამ ჯგუფების მიმართ და რელიგიის თავისუფლების სამართლებრივ დაცვას. მართალია, მსგავსი ნეიტრალიტეტი, როგორც წესი, არ უშვებს სახელმწიფოს მხრიდან რომელიმე ცალკე აღებული რელიგიის მხარდაჭერას, მაინც არსებობს გამონაკლისები, რასაც უხვად ავლენს გერმანიისა და ბრიტანეთის მაგალითები.³⁰⁶ სეკულარიზაცია, მისი თანამედროვე გაგებით, სხვა არაფერია, თუ არა შუა საუკუნეების მეზრძოლი ეკლესიის ქმედებებზე ადეკვატური რეაქცია, რომელიც ევროპელმა მოაზროვნეებმა და განმანათლებლებმა შეიმუშავეს და გარდაუვალ აუცილებლობად დაინახეს³⁰⁷.

²⁹⁹ იხ., Kuhelj A., Religious Freedom in European Democracies, “Tulane European and Civil Law Forum”, Vol.20, 2005, 25.

³⁰⁰ იხ., რობერსი გ., სახელმწიფო და ეკლესია გერმანიაში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 90.

³⁰¹ Turner B.S., Religion and Modern Society, Citizenship, Secularism and the State, New York, 2011, 171.

³⁰² იქვე, 128.

³⁰³ Yildirim S., Expanding Secularism’s Scope: An Indian Case Study, “The American Journal of Comparative Law”, Vol. 52, 2004, 902.

³⁰⁴ Chaplin J., The Place of Religious Arguments for Law Reform in a “Secular State”, “Law and Justice”, Vol.162, 2009, 25.

³⁰⁵ ერქვანია თ., სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთმიმართების სამართლებრივი კონტექსტი — ქართული მოდელი, მოკლე შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა ევროპული კავშირის მაგალითზე, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №6, 2013, 32.

³⁰⁶ ლოქლინი რ. ბ., კედლის ბევრი ფანჯარა, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №5, 2012, 98.

³⁰⁷ იხ., ერქვანია თ., სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთმიმართების სამართლებრივი კონტექსტი — ქართული მოდელი, მოკლე შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა ევროპული კავშირის მაგალითზე, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №6, 2013, 33-35.

სეკულარიზმი, ერთგვარად, მსოფლმხედველობაცაა.³⁰⁸ მასში ჯეფერსონი რელიგიურ გაერთიანებათა დამოუკიდებლობის, ავტონომიისა და თავისუფლების გარანტიას ხედავდა.³⁰⁹ თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯეფერსონისეული „გამიჯვნა“ უფრო ეკლესიასა და სახელმწიფოს ეხებოდა, ვიდრე ზოგადად, რელიგიასა და ხელისუფლებას.³¹⁰ სეკულარული, იგივე საერო სახელმწიფოს ამოსავალი იდეა საკუთარ მოქალაქეთა და რელიგიურ გაერთიანებათა შორის მაქსიმალური თანასწორობის დაცვაა.³¹¹ სწორედ ამიტომაც „სეკულარიზმი“ ხშირად უკავშირდება ისეთ ცნებებს, როგორცაა „სეკულარული“, „ნეიტრალური“, „ლაიციზმი“ და სხვ.³¹²

ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის რამდენიმე მოდელი არსებობს: სრული გამიჯვნა, კორპორაციული გამიჯვნა; რელიგიური პრიორიტეტი და ა.შ.³¹³ რა თქმა უნდა, ეს კლასიფიკაციაც შედარებითია და საჭიროებისამებრ იცვლება, რასაც სეკულარიზაციის მიმართ მომეტებული ინტერესი და განსაკუთრებული საჭიროება განაპირობებს. აშშ-ში ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის საკითხი იმდენად მნიშვნელოვან მოვლენად აღიქმება, რომ ყველა მხარე ცდილობს დამფუძნებელი მამების მოსაზრებებს დაეყრდნონ და ხშირად მოჰყავთ მათი გამონათქვამები, რაც მდგომარეობის სრულ პოლარიზაციას ახდენს.³¹⁴ ეკლესია-სახელმწიფოს გამიჯვნა მათ შორის ნებისმიერი კავშირის მოსპობას არ გულისხმობს. ესეც სახელმწიფოთა გემოვნებასა და პოლიტიკურ არჩევანზეა დამოკიდებული. მაშინ, როცა ამერიკულ და გერმანულ მოდელში, მართალია, სახელმწიფო და ეკლესია ერთმანეთისგან სრულიად გამიჯნულნი არიან, მაგრამ აქტიურად თანამშრომლობენ, ფრანგულსა და მექსიკურში სახელმწიფო ყველანაირად ცდილობს, შორს დაიჭიროს თავი ნებისმიერი რელიგიისგან³¹⁵. თუმცა მოდელთა სახესხვაობის მიუხედავად, სეკულარიზმის პირობებში ივარაუდება, რომ რელიგიის თავისუფლება უკეთაა უზრუნველყოფილი, რადგან სახელმწიფო ნეიტრალურია რელიგიის მიმართ.³¹⁶ საბოლოო ჯამში, ნებისმიერი ტიპის სეკულარიზმის მიზანი უნდა იყოს, დაიცვას სახელმწიფო ზედმეტი რელიგიურობისგან, რათა მან საერო ხასიათი შეინარჩუნოს³¹⁷.

³⁰⁸ Palomino R., Legal Dimensions of Secularism: Challenges and Problems, 17th Annual International Law and Religion Symposium, Brigham Young University, Provo, Utah, October 3-5, 2010, 4.

³⁰⁹ Berg Th.C., Colby K.W., Esbeck C.H., Garnett R.W., Religious Freedom, Church-State Separation, and the Ministerial Exception, “Northwestern University Law Review Colloquy”, Vol. 106, 2011, 182.

³¹⁰ Smith S.D., Freedom of Religion or Freedom of the Church? in: Legal Responses to Religious Practices in the United States (Accommodation and Its Limits), Edited by A. Sarat, New York, 2012, 276.

³¹¹ ლოქლინი რ. ბ., კედლის ბევრი ფანჯარა, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №5, 2012, 106.

³¹² Palomino R., Legal Dimensions of Secularism: Challenges and Problems, 17th Annual International Law and Religion Symposium, “Brigham Young University”, Provo, Utah, October 3-5, 2010, 1.

³¹³ ცაცანაშვილი მ., სახელმწიფო და რელიგია, თბილისი, 2001, 29.

³¹⁴ Allen J.T., The Separation of Church and State: Myths, Mantras, Mandates, Forum on Public Policy Online, No.3, 2007, 20.

³¹⁵ Marsh C., Russian Orthodox Christians and Their Orientation toward Church and State, “Journal of Church and State”, №47, 2005, 559.

³¹⁶ Troper M., French Secularism, or Laïcité, “Cardozo Law Review”, Vol.21, 2000, 1268.

³¹⁷ იბ., Morini C., Secularism and Freedom of Religion: The Approach of the European Court of Human Rights, “Israel Law Review”, Vol. 43, 2010, 617.

3.3.1.2. სეკულარიზმი თანამედროვე მსოფლიოში

დღესდღეობით ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნა არა მხოლოდ დასავლური დემოკრატიის, არამედ, ზოგადად დემოკრატიის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია.³¹⁸ ეკლესია და სახელმწიფოს გამიჯვნა ევროპის საერთო ღირებულებაა, რომელიც კონკრეტული სახელმწიფოს საზღვრებს ცდება.³¹⁹ დასავლური სეკულარიზმი არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ საზოგადოებას, სუბიექტებსა და თავად რელიგიასაც კი გარდაქმნის.³²⁰ დასავლურ სეკულარულ საზოგადოებებში რელიგია განიხილება, როგორც კერძო სფერო, ინდივიდის მიერ განსასაზღვრი და ასარჩევი³²¹. სწორედ ამის გამო სეკულარული საზოგადოების თანამედროვე იდეა განსხვავებულია ადრეული შეხედულებებისგან, რასაც სახელმწიფოს სამართლისა და პერსონალური მორალის განსხვავებული ურთიერთობა განაპირობებს,³²² „რელიგია პირადი რწმენის არსებითი საკითხი გახდა“³²³.

რელიგიური გაერთიანებების მიერ სეკულარიზმის ნორმების ადეკვატურად მიღება და განხორციელება ყოველთვის მტკივნეულ პროცესებთანაა დაკავშირებული.³²⁴ ამის გამო რელიგიასა და სამართალს შორის გამუდმებული კონფლიქტია, რომელიც წესების, პრინციპების, ღირებულებებისა და ცივილიზაციების იდენტობის თაობაზე წინააღმდეგობებს მოიცავს.³²⁵ კონფლიქტის მთავარი თემა ძირითადად ვალდებულებებია.³²⁶ ამიტომაც თანამედროვე სამყაროში აუცილებელია, რელიგია სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტებისგან გაიმიჯნოს, იგი არ უნდა ცდილობდეს სახელმწიფოს, ეკონომიკის, მეცნიერების საქმის კეთებას, რადგან მისი მთავარი დანიშნულება რელიგიის მიმდევართა სულიერებაზე ზრუნვაა.³²⁷ როგორც კი ამ სფეროთა აღრევა და გარკვეულნილად, კომპეტენციური ურთიერთგადაფარვა ხდება, ჩნდება მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელთა დაძლევაც შემდგომში უბრალოდ საქმიანობის სფეროთა განცალკევებითა და ზღვარდადებით ვერ მოხდება.

რელიგიურ ინსტიტუტებს არ უნდა ჰქონდეთ ისეთი პრივილეგიები, რომლებიც საკონსტიტუციო დონეზე მისცემთ შესაძლებლობას, მიუთითონ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, თუ როგორ იმოქმედონ.³²⁸ სეკულარიზმი პოლიტიკურ სფეროს

³¹⁸ სტეფანი ა., რელიგიისა და დემოკრატიის ურთიერთშეთავსებადობის შესახებ, დ. თინიკაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №2(29), 2009, 61.

³¹⁹ State, Religion, Secularity and Human Rights, Recommendation 1804 (2007), Parliamentary Assembly of Council of Europe, Para.4.

³²⁰ Brown W., Civilizational Delusions, Secularism, Tolerance, Equality, in: *Reveal in Democracy, Secularism and Religion in Liberal Democratic States*, Edited by Ch. Marlle, G.M. Nielsen and D. Salde, Brussels, 2013, 38.

³²¹ იქვე, 45.

³²² Hackett R.I.J., Rethinking the Role of Religion in Changing Public Spheres: Some Comparative Perspectives, “Brigham Young University Law Review”, Issue 3, 2005, 674.

³²³ Asad T., *Formations of Secular, Christianity, Islam, Modernity*, Stanford University Press, 2003, 205.

³²⁴ Zucca L., *Law v. Religion, in: Law, State and Religion in the New Europe*, Edited by L. Zucca and C. Ungureanu, Cambridge, 2012, 141.

³²⁵ იქვე, 138.

³²⁶ იქვე, 139.

³²⁷ დეკანოზი ემანუელი (კლასისი), მართლმადიდებელი ეკლესია პლურალისტულ სამყაროში, დ. თინიკაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №1(28), 2009, 82.

³²⁸ სტეფანი ა., რელიგიისა და დემოკრატიის ურთიერთშეთავსებადობის შესახებ, დ. თინიკაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №2(29), 2009, 61.

იცავს რელიგიის მიზანმიმართული ჩარევისგან.³²⁹ პლურალიზმი და პლურალისტური საზოგადოება მთლიანად გამორიცხავს ერთი რომელიმე რელიგიის სრულ დომინირებას მსგავს საზოგადოებებში.³³⁰ დემოკრატიულმა სახელმწიფომ ყველა რელიგიისათვის განვითარების თანაბარი პირობები უნდა უზრუნველყოს,³³¹ ისეთი სისტემა ჩამოაყალიბოს, სადაც რელიგია მიკუთვნებისადმი მდგომარეობა არაა, სამართლის წინაშე თანასწორობა ყველა ადამიანს ეხება და პოლიტიკური ძალაუფლება ღმერთისგან არ მომდინარეობს.³³² ამასთან, სეკულარულმა სახელმწიფომ საკუთარი მოქალაქეები რელიგიური ვალდებულებებით არ უნდა დატვირთოს.³³³ სეკულარული სახელმწიფოს იდეა ემყარება რწმენას იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო და პოლიტიკა არ დაეფუძნება, შესაბამისად, არც შეიბოჭება რომელიმე რელიგიური სამართლითა თუ პრინციპით.³³⁴ სეკულარულია სახელმწიფო, რომელიც სამართალსა და პოლიტიკას საზღვრავს მოქალაქეთა უმრავლესობის ლეგიტიმური დაკვეთიდან გამომდინარე და არ ელოდება ამის თაობაზე რელიგიის მხრიდან რაიმე სახის თანხმობას ან ნებართვას.³³⁵ სეკულარული კონსტიტუციონალიზმი არ დაუშვებს საკონსტიტუციო ნორმათა სპეფიციკურ რელიგიურ ტრადიციებზე, დოგმებზე დაფუძნებას და მხოლოდ საჯარო მიზანს ან რაიმე სხვა სეკულარულ კონსენსუსს დაეყრდნობა³³⁶.

სეკულარიზმის შედეგი სახელმწიფოს გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებში რელიგიური ინსტიტუტების უფრო რაციონალური, სამეცნიერო და მტკიცებაზე დაფუძნებული ინსტიტუტებით ჩანაცვლებაა,³³⁷ თუმცა ეს საზოგადოების პოლარიზებას არ უნდა იწვევდეს.³³⁸ სეკულარიზმის მნიშვნელობა დღემდე ცალსახა და ერთგვაროვანი არაა.³³⁹ მას, როგორც წესი, პოლიტიკური და სოციალური მოდერნიზაციის ერთ-ერთ ასპექტად განიხილავენ, რომელიც განმანათლებლობის შედეგად ჩამოყალიბდა.³⁴⁰ გრინუოლთი სეკულარიზმს, ერთგვარად, გაუგებარ, არამდგრად და

³²⁹ Abilmouna R., Reconciling the Hijab within Laïcité France, “Journal of Islam Law and Culture”, Vol.13, No.2-3, 2011, 124; Scott J.W., The Politics of the Veil, Princeton University Press, 2007, 97.

³³⁰ დეკანოზი ემანუელი (კლაპსისი), მართლმადიდებელი ეკლესია პლურალისტულ სამყაროში, დ. თინიკაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №1(28), 2009, 85.

³³¹ Religion and Democracy, Recommendation 1396 (1999), Parliamentary Assembly of Council of Europe, Para.6.

³³² Chelini-Pont B., Is Laïcité the Civil Religion of France?, “The George Washington International Law Review”, Vol.41, No.4, 2010, 771.

³³³ Religion Tolerance in a Democratic World, Recommendation 1202 (1993), Parliamentary Assembly of Council of Europe, Para.15.

³³⁴ Temperman J., State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance, Leiden-Boston, 2010, 111.

³³⁵ Chaplin J., The Place of Religious Arguments for Law Reform in a “Secular State”, “Law & Justice”, Vol.162, 2009, 22.

³³⁶ Durham W.C. Jr., Religion and the World’s Constitutions, in: Law, Religion, Constitution (Freedom of Religion, Equal Treatment, and the Law), Edited by Cr. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari, D. Thayer, 2013, 15, იბ. ციტირება: J. Rawls, The Law of Peoples: with ‘The Idea of Public Reason Revisited’ (Cambridge: Harvard University Press, 1999).

³³⁷ Davies M., The Future of Secularism, A Critique, in: Law and Religion in Public Life, The Contemporary Debate, Edited by N. Hosen and R. Mohr, Abingdon, 2011, 53.

³³⁸ Zucca L., Law v. Religion, in: Law, State and Religion in the New Europe, Edited by L. Zucca and C. Ungureanu, Cambridge, 2012, 143.

³³⁹ Calo Z.R., Higher Law Secularism: Religious Symbols, Contested Secularisms, and the Limits of the Establishment Clause, “Chicago-Kent Law Review”, Vol.87, 2012, 813.

³⁴⁰ Davies M., The Future of Secularism, A Critique, in: Law and Religion in Public Life, The Contemporary Debate, Edited by N. Hosen and R. Mohr, Abingdon, 2011, 53.

ცვალებად ცნებად მიიჩნევს.³⁴¹ იგი პირადი თავისუფლების, დემოკრატიისა და ინდივიდუალური უფლებების დაპირისპირებაა რელიგიური დოგმებისა და ამ დოგმებით მართული საზოგადოებისადმი.³⁴²

„სეკულარიზმი, როგორც პლურალიზმი“³⁴³ სეკულარიზმის მისაღები კონცეფციაა, რომელიც თანამედროვე საზოგადოების დემოკრატიულობას განაპირობებს. სეკულარიზმის პლურალისტური გაგება რელიგიას საჯარო პასუხისმგებლობად არ განიხილავს და მოქალაქეთა მიმართ რელიგიური ან არარელიგიური დოქტრინის თავს მოხვევას გამორიცხავს.³⁴⁴ მისი იდეა მაინც რელიგიისა და სხვა ინსტიტუციური სფეროების, კერძოსა და საჯაროს ერთმანეთისგან გამიჯვნას ეფუძნება.³⁴⁵ მისი რადიკალური გაგება რელიგიას, მათ შორის აღმსარებლობას, არა მხოლოდ კერძო სფეროდ მიიჩნევს, არამედ ინდივიდთა რწმენისთვის საჯარო სივრცის დათმობას გამორიცხავს,³⁴⁶ თუმცა ზოგადი თვალთახედვით, რელიგია კერძო, პირად სფეროს განეკუთვნება და მისი ადგილი საჯარო სივრცეში არაა³⁴⁷. ამას ისიც ემატება, რომ სამოქალაქო საზოგადოებისთვის, რომელიც კულტურული ინსტიტუტების მთლიანობაა³⁴⁸, რელიგიის ადგილის განსაზღვრა საზოგადოებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სამყაროში საჯარო სფეროში რელიგიის მინიმალური ჩართულობა პრიორიტეტულია, იგი ნაკლებმნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის ან თუნდაც საჯარო სივრცისთვის.³⁴⁹ თანამედროვე პირობებში რელიგიის კერძო და საჯარო სფეროებისათვის მიკუთვნება ბევრი ფაქტორითაა განპირობებული, მათ შორის, ეკონომიკური, პოლიტიკური, ფილოსოფიური და ა.შ.³⁵⁰ რელიგიური სფერო არა მხოლოდ სახელმწიფო ჩარევით ინაცვლებს საჯარო სფეროდან, არამედ იგი კონკრეტულ დროსა და ადგილას შესაძლოა მნიშვნელოვნად იზღუდებოდეს მეცნიერების ან თუნდაც ბაზრის მიერ.³⁵¹

სეკულარიზმის კონცეფციის განვითარება და დახვეწა გამუდმებით მიმდინარეობს. ეს დინამიკური პროცესია, რომლითაც პოლიტიკის, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სხვა ინსტიტუტები მოაპოვებენ რელიგიური ინსტიტუტებისგან ავტონომიას საზოგადოებაში³⁵². ვინაიდან რელიგია ადგენს ბევრი ადამიანისა თუ

³⁴¹ იბ., Greenawalt K., Secularism, Religion, and Liberal Democracy in the United States, “Cardozo Law Review”, Vol.30, 2009, 2383.

³⁴² Ben-Porat G., Religion and Secularism in Israel, Between Politics and Sub-Politics, in: Religion and Politics in Europe, The Middle East and North Africa, Edited by J. Haynes, Abingdon, 2010, 75.

³⁴³ Berger B., The Limits of Belief: Freedom of Religion, Secularism and the Liberal State, “Canadian Journal of Law and Society”, Vol.17, No.1, 2002, 50.

³⁴⁴ Morini C., Secularism and Freedom of Religion: The Approach of the European Court of Human Rights, “Israel Law Review”, Vol.43, 2010, 617.

³⁴⁵ Plesner I.Th., Secularism – A Quest for Privatization of Religion? in: Law & Religion in the 21st Century – Nordic Perspectives, Edited by L. Christoffersen, K. Å. Modeér, S. Andersen, Copenhagen, 2010, 306.

³⁴⁶ Morini C., Secularism and Freedom of Religion: The Approach of the European Court of Human Rights, “Israel Law Review”, Vol. 43, 2010, 618.

³⁴⁷ იბ., Sajó A., Preliminaries to a Concept of Constitutional Secularism, “I-Con”, Vol.6, No.3-4, 2008, 614.

³⁴⁸ Thomas G.M., Religions in Global Civil Society, Sociology of Religion, Vol.62, No.4, 2001, 519.

³⁴⁹ Conkle D.O., Different Religions, Different Politics: Evaluating the Role of Competing Religious Traditions in American Politics and Law, “Journal of Law and Religion”, Vol.10, No.1, 1994, 8.

³⁵⁰ Hackett R.I.J., Rethinking the Role of Religion in Changing Public Spheres: Some Comparative Perspectives, Brigham Young University Law Review, Issue 3, 2005, 662; იბ., De Vries H., Religion and Violence, Philosophical Perspectives from Kant to Derrida, The Johns Hopkins University Press, 2001, 19.

³⁵¹ Luhmann N., The Difference of Society, Columbia University Press, 1982, 225.

³⁵² Chaves M., Secularization as Declining Religious Authority, Social Forces, Vol.72, No.3, 1994, 757.

საზოგადოების ღირებულებათა სისტემას,³⁵³ საკმაოდ რთულია სისტემური და ძირეული ცვლილებების სწრაფი გატარება. თითოეული სახელმწიფო თავად წყვეტს, თუ რა მიმართულებით წაიყვანს ეკლესიასთან ურთიერთობებს და როგორ სპეციფიკას შესძენს მათ.³⁵⁴ XX საუკუნის 90-იან წლებში პოსტკომუნისტური ბანაკის ქვეყნებმა რელიგიური თავისუფლების გზა აირჩიეს და ეს პრინციპი სამართლებრივადაც უზრუნველყვეს,³⁵⁵ თუმცა ყველა მათგანმა სეკულარიზაციის ევროპული სტანდარტით წარმართვა ვერ შეძლო. მართალია, კონსტიტუციის დონეზეც ბევრი აღიარებს ურთიერთგამიჯვნის პრინციპს, თუმცა პრაქტიკაში სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა, რაც სეკულარიზაციის პროცესს ხშირ შემთხვევაში ფორმალობად აქცევს.

3.3.2. სეკულარიზმის მოდელები

სეკულარიზმი სახელმწიფოების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება, მაგ., ამერიკული სეკულარიზმის ფრანგულსგან განსხვავებულია, ორივე კი სრულებით განირჩევა ინდურისგან და ა.შ.³⁵⁶ სწორედ ამ თავისებურებათა გათვალისწინებით, შესაძლებელია სეკულარიზმში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთგამიჯვნის, განცალკევების მოდელის რამდენიმე ძირითადი სისტემა გამოიყოს: სრული გამიჯვნა, რომელიც, თავის მხრივ, სახელმწიფო და ლიბერალური სეკულარიზმის, ლაიციზმისა და ანტიეკლესიის სისტემებს აერთიანებს; თანამშრომლობისა და შერეული მოდელები.

3.3.2.1. სრული გამიჯვნის მოდელი

სრული გამიჯვნის მოდელს ლიბერალურ სეკულარიზმსაც უწოდებენ, ესაა სისტემა, როცა ეკლესია და სახელმწიფო ერთმანეთისგან სრულად არიან გაცალკევებულნი.³⁵⁷ თანამედროვე კონსტიტუციონალიზმში არსებობს კიდევ რამდენიმე სისტემა, რომელიც სრულ გამიჯვნას გულისხმობს, თუმცა თავისებურ, სრულიად განსხვავებულ მიმართულებას ავითარებ. ამიტომაც უპრიანი იქნება, ლიბერალური სეკულარიზმი სრული გამიჯვნის ერთ-ერთ სახედ იქნეს მიჩნეული. სრული გამიჯვნა, ასევე, გულისხმობს ლაიციზმის ფრანგულს სისტემასა და ანტიეკლესიის

³⁵³ Witte J.Jr., Law, Religion and Human Rights, "Colombia Human Rights Law Review", Vol.28, 1996, 2.

³⁵⁴ მაგ., ბოლო წლებში ჩრდილოეთ ევროპის სახელმწიფოებმა ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს: შვედეთმა და ნორვეგიამ ოფიციალურად უარი თქვეს სახელმწიფო ეკლესიის მოდელზე, ისლანდიამ მნიშვნელოვნად გააძლიერა ეროვნული ეკლესიის დამოუკიდებლობა, ფინეთმა კი ეპისკოპოსების დანიშვნის უფლება, სახელმწიფო მეთაურის ნაცვლად, ლუთერანულ ეკლესიას მიანიჭა. იხ., Ferrari S., Introduction to European Church and State Discourses, in: Law & Religion in the 21st Century – Nordic Perspectives, Edited by L. Christoffersen, K. Å. Modeér, S. Andersen, Copenhagen, 2010, 33.

³⁵⁵ მაგ., თუ რუმინეთის 1923 წლის კონსტიტუციაში აღმოსავლური მართლმადიდებლობა რუმინულ, სახელმწიფო რელიგიად იყო აღიარებული, 1991 წლის კონსტიტუციაში ამ საკითხს გაცილებით ნაკლები ყურადღება დაეთმო. იხ., Mungiu-Pippidi A., The Ruler and the Patriarch: The Romanian Eastern Orthodox Church in Transition, "East European Constitutional Review", №7, 1998, 86.

³⁵⁶ Smith S.D., Freedom of Religion or Freedom of the Church? in: Legal Responses to Religious Practices in the United States (Accommodation and Its Limits), Edited by A. Sarat, New York, 2012, 252.

³⁵⁷ Francis J. G., The Evolving Regulatory Structure of European Church-State Relationships, "Journal of Church and State", №4, 1992, 780.

მოდელს, რომლებიც გამიჯვნის სპეციალური სახეა და მართალია, სრული გამიჯვნის მიზანი აქვთ, თუმცა ლიბერალურულ კონცეფციაშიც ვერ თავსდება.

3.3.2.1.1. სახელმწიფო სეკულარიზმი

სახელმწიფო დონეზე სეკულარიზმის იდეის შექმნა და შემდეგ პრაქტიკაში დანერგვა ამერიკულ და ფრანგულ რევოლუციურ იდეოლოგიას დაეფუძნა.³⁵⁸ სახელმწიფო სეკულარიზმი გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფომ არ უნდა გააიგივოს თავი რელიგიასთან, არ უნდა შეიბოჭოს რელიგიური პრინციპებით და მის ქმედებებს საფუძვლად რელიგიური მოტივაცია არ უნდა დაუდოს.³⁵⁹ სეკულარულ სახელმწიფოში რელიგია პოლიტიკური ასპარეზიდან უჩინარდება, პოლიტიკოსებსა და სახელმწიფო თანამდებობის პირებს არ უნევთ თავიანთი მოსაზრებების, პოზიციების გამყარება რელიგიური პრინციპებისა თუ რელიგიური ლიდერების მხარდაჭერით.³⁶⁰ საერო სახელმწიფომ რელიგიასა და ხელისუფლებას შორის დემარკაცია უნდა მოახდინოს.³⁶¹ მართალია, განვითარებული და თანამედროვე სახელმწიფოთა უმრავლესობა რელიგიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის იდეოლოგიას იზიარებს, თუმცა არსებობენ მკაცრად სეკულარული სახელმწიფოები, რომელთაც აღნიშნული საკონსტიტუციო დონეზე აქვთ უზრუნველყოფილი³⁶².

³⁵⁸ Temperman J., *State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance*, Leiden-Boston, 2010, 112.

³⁵⁹ იქვე, 140.

³⁶⁰ Chaplin J., *The Place of Religious Arguments for Law Reform in a "Secular State"*, "Law & Justice", Vol.162, 2009, 20.

³⁶¹ Ahdar R., Leigh I., *Religious Freedom in the Liberal State*, 2nd Ed., Croydon, 2015, 92.

³⁶² Temperman J., *State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance*, Leiden-Boston, 2010, 113. ექსპლიციტურად გაცხადებული სეკულარიზმის იდეა კონსტიტუციაშია და კანონმდებლობაში ასახული აქვთ შემდეგ სახელმწიფოებს: აზერბაიჯანი, ანგოლა, ბენინი, ბურკინა ფასო, ბურუნდი, გაბონი, გაიანა, გამბია, გვინეა, გვინეა-ბისაუ, ეკვატორი, თურქეთი, თურქმენეთი, ინდოეთი, კამერუნი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, კონგოს რესპუბლიკა, კოტ დივუარი, ლატვია, მადაგასკარი, მალი, მონამბიკი, ნამიბია, ნეპალი, პოლონეთი, პორტუგალია, რუანდა, რუსეთი, სან ტომე და პრინსიპი, საფრანგეთი, სენეგალი, სერბეთი, სლოვაკეთი, ტაჯიკეთი, ტოგო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ჩადი. იხ., Constitution of the Azerbaijan Republic, 1995, Art.7; Constitutional Law of the Republic of Angola, 1992, Art.8; Constitution of the Republic of Benin, 1990, Art.2; Constitution of Burkina Faso, 1991, Art.31; Post-Transition Constitution of the Republic of Burundi, 2005, Art.1; Constitution of the Republic of Gabon, 1991, Art.2; Constitution of the Co-Operative Republic Guyana, 1980, Art.1; Constitution of the Co-Operative Republic Guyana, 1980, Art.1; Constitution of the Republic of the Gambia, 1997, Chapter 1; Fundamental Law of the Republic of Guinea, 1991, Art.; Fundamental Law of the Republic of Guinea, 1991, Art.1; Constitution of the Republic of Guinea-Bissau, 1990, Art.1; Constitution of the Republic of Ecuador, 2008, Art. 1; Constitution of the Republic of Turkey, 1982, Preamble and Art.2; Constitutional Law of Turkmenistan, 1992, Art.1; Constitution of India, 1950, Preamble; Constitution of the Republic of Cameroon, 1972, Art.1; Constitution of the Democratic Republic of the Congo, 2006, Art.1; New Constitution of the Republic of the Congo, 2002, Art.1; Constitution of the Republic of Côte D'Ivoire, 2000, Art.30; Law of the Republic of Latvia on "The Religious Organizations", 1995, Art.5(1); Constitution of the Republic of Madagascar, 2010, Art. 1; Constitution of Mali, 1992, Art.25; Constitution of the Republic of Mozambique, 1990, Art.12; Constitution of Namibia, 1990, Preamble and Art.1; Interim Constitution of Nepal, 2007, Art.4; Law of the Republic Poland on "The Guarantees of Freedom of Religion and Belief", 1989, Art 12; Constitution of the Republic of Rwanda, 2003, Art.1; Constitution of the Russian Federation, 1993, Art. 14; Constitution of the Democratic Republic of Sao Tome and Principe, 1975, Art.8; Constitution of the Republic of France, 1958, Art.1; Constitution of the Republic of Senegal, 2001, Art.1; Constitution of the Republic of Serbia, 2006, Art.11; Constitution of the Slovak Republic, 1992, Art.1; Constitution of the Republic of Tajikistan, 1994, Art.1; Constitution of Togo, 1992, Art.1; Constitution of the Republic of Kazakhstan, 1995, Art.1; Constitution of the Kyrgyz Republic, 1993, Art.1; Constitution of the Republic of Chad, 1996, Art.1.

სეკულარული საკონსტიტუციო პოლიტიკა თურქეთში 1922 წლიდან მოქმედებს.³⁶³ ოსმალთა იმპერიის დაცემის შემდეგ თურქეთმა უარყო ისლამური კულტურისა და სამართლის დომინანტობა და სეკულარიზმი სახელმწიფოს ოფიციალურ იდეოლოგიად აქცია.³⁶⁴ თურქეთის კონსტიტუცია სეკულარიზმს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად აცხადებს³⁶⁵, რაც სიახლე არაა, თურქული სეკულარიზმი (*Laiklik*) ქემალისტური იდეოლოგიის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, რომლის საფუძველზეც თანამედროვე თურქეთის სახელმწიფო შეიქმნა.³⁶⁶ თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლო სეკულარიზმის საკონსტიტუციო პრინციპის მთავარ დამცველად იქცა.³⁶⁷ ამის გამო საკონსტიტუციო სასამართლომ 1998 წელს „კეთილდღეობის“ (*Refah*) და 2001 წელს „ფასეულობათა“ (*Fazilet*) პარტიები არაკონსტიტუციურად გამოაცხადა.³⁶⁸ ევროსასამართლო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სეკულარიზმის პრინციპის დაცვას, განსაკუთრებით ისეთ სახელმწიფოებთან მიმართებით, რომელთაც სეკულარიზმი სახელმწიფოებრივი მოწყობის ერთ-ერთ მთავარ პრინციპად, საფუძვლად აქვთ აღიარებული. ევროსასამართლომ ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევად არ სცნო თურქეთის მიერ ისლამისტური პარტიის დაშლა, რადგანაც სეკულარიზმი დემოკრატიისათვის საჭირო თანმდევი იდეად მიიჩნია³⁶⁹.

მსგავსი პოლიტიკა დამახასიათებელია სახელმწიფო სეკულარიზმის მქონე ქვეყნებისთვის, რომლებიც საკონსტიტუციო დონეზე განამტკიცებენ სეკულარიზმს. მაგ., ინდოეთის უმაღლესი სასამართლო სეკულარიზმს ინდოეთის კონსტიტუციის ძირითად სტრუქტურულ ნაწილად განიხილავს³⁷⁰ და საკუთარ სასამართლო პრაქტიკასაც სეკულარიზმის განმტკიცების მიმართულებით ავითარებს.

3.3.2.1.2. ლიბერალური სეკულარიზმი

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთგამიჯვნა ბეკეტიდან, ბლექსთოუნიდან მოყოლებული სახელმწიფო ხელისუფლებასთან რელიგიურ ერთობათა დამოუკიდებელ, ავტონომიურ თანაარსებობას გულისხმობდა.³⁷¹ ეკლესიისა და სახელმწიფოს

³⁶³ Merriman S.A., *Religion and the State, An International Analysis of Roles and Relationship*, Santa Barbara, 2009, 53; Kuhelj A., *Religious Freedom in European Democracies*, Tulane European and Civil Law Forum, Vol.20, 2005, 22.

³⁶⁴ Hirschl R., *Comparative Constitutional Law and Religion*, in: *Comparative Constitutional Law*, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Cheltenham, 2011, 424.

³⁶⁵ Constitution of the Republic of Turkey, 1982, Art.2.

³⁶⁶ Powell R., *The Study of Secularism and Religion in the Constitution and Contemporary Politics of Turkey: The Rise of Interdisciplinarity and the Discipline of Methodology?* “University of St. Thomas Law Journal”, Vol.7, No.3, 2010, 717; იხ., Constitution of the Republic of Turkey, 1982, Preamble.

³⁶⁷ Hirschl R., *Comparative Constitutional Law and Religion*, in: *Comparative Constitutional Law*, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Cheltenham, 2011, 424.

³⁶⁸ იქვე.

³⁶⁹ *Refah Partisi (The Welfare Party) and others v. Turkey*, [ECtHR], App. no. 41340/98, 41342/98 and 41344/98, 13 of February, 2003; თურქული სეკულარიზმი სახელმწიფოს ფუძემდებლური პრინციპია, რომელიც სამართლის უზენაესობასა და ადამიანის უფლებებთან ჰარმონიაშია, იხ., Kuhelj A., *Religious Freedom in European Democracies*, Tulane European and Civil Law Forum, Vol.20, 2005, 4; იხ., *Leyla Şahin v. Turkey*, [ECtHR], App. no. 44774/98, 10 November 2005

³⁷⁰ Yildirim S., *Expanding Secularism’s Scope: An Indian Case Study*, *The American Journal of Comparative Law*, Vol. 52, 2004, 909; *Kesavananda Bharati v. State of Kerala*, AIR 1973 SC 1461.

³⁷¹ Berg Th.C., Colby K.W., Esbeck C.H., Garnett R.W., *Religious Freedom, Church-State Separation, and the Ministerial Exception*, “Northwestern University Law Review Colloquy”, Vol. 106, 2011, 175.

სრული გამიჯვნა ავტომატურად არ ნიშნავს მათ შორის მტრულ, არაპარტნიორულ დამოკიდებულებას³⁷². სეკულარიზაციის პროცესში ბევრი დასავლური სახელმწიფო მილის იდეებს დაეყრდნო, რომლის თანახმადაც, თავისუფლება და ინდივიდი სიცოცხლის უმთავრესი ელემენტებია, რადგან ცხოვრებისთვის განმსაზღვრელი მნიშვნელობისაა შესაძლებლობა, ადამიანებმა თავად აირჩიონ თავიანთი სავალი გზები³⁷³.

მკაცრი გამიჯვნის მოდელის მიხედვით, ეკლესია და სახელმწიფო სრულად ემიჯნებიან ერთმანეთს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის დაცვით.³⁷⁴ ეკლესიისა და სახელმწიფოს ინსტიტუციური გამიჯვნა აშშ-ში კონსტიტუციის პირველი შესწორების საფუძველზე განხორციელდა, რომლითაც ეკლესია სამოქალაქო მმართველობის გამგებლობის სფეროს ჩამოშორდა.³⁷⁵ პირველ შესწორებას ამგვარი დანიშნულება შემდგომში სასამართლო პრაქტიკამ შესძინა.³⁷⁶ ევროპული ტრადიციის შესაბამისად, როდესაც ეპისკოპოსმა ქეროლმა სახელმწიფო მდივან მედისონს ჰკითხა, თუ ვინ სურდა დაენიშნა ლუიზიანას ტერიტორიაზე ეკლესიის წარმომადგენლად, მედისონმა უარი განაცხადა კონსულტაციაში მონაწილეობაზე და ეპისკოპოსს აშშ-ის კონსტიტუციაზე მიუთითა, რომლის თანახმადაც, სახელმწიფოს შიდა რელიგიურ საქმეებში ჩარევა ეკრძალებოდა.³⁷⁷ მედისონის მტკიცებით, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან რელიგიის ნახალისებისა და ხელშეწყობის წინააღმდეგ იყო,³⁷⁸ „რელიგიური შეხედულებები და მრწამსი არც სამოქალაქო მმართველობის ობიექტია და არც მისი იურისდიქცია“³⁷⁹. ამგვარი შეფასება იყო მანამდე პრეზიდენტ ჯეფერსონისა და მედისონის შემდგომი ადმინისტრაციების ოფიციალური პოზიცია.

ეკლესიისა და სახელმწიფოს „კედლით“ გამიჯვნის მეტაფორა უშუალოდ ჯეფერსონის დამკვიდრებულია³⁸⁰, რომელმაც ეს საკითხი 1802 წლის 1 იანვარს ბაპტისტური ასოციაციის მიმართ წერილში წამოჭრა.³⁸¹ ჯეფერსონი აშშ-ის პრეზიდენტების მიერ მოქალაქეთათვის სამადლობელი ლოცვისაკენ მონოღებასაც შეენიანაღმდეგა.³⁸²

³⁷² ცაცანაშვილი მ., სახელმწიფო და რელიგია, თბილისი, 2001, 29.

³⁷³ Merriman S.A., Religion and the State, An International Analysis of Roles and Relationship, Santa Barbara, 2009, 70.

³⁷⁴ Cranmer F., Olivia J.G., Church-State Relationships - An Overview, "Law and Justice", №162, 2009, 9.

³⁷⁵ Renaud R.J., Weinberger L.D., Spheres of Sovereignty: Church Autonomy Doctrine and the Theological Heritage of the Separation of Church and State, Northern Kentucky Law Review, Vol.35, 2008, 67.

³⁷⁶ Fischer J.D., Wallace C.J., God and Caesar in the Twenty-First Century: What Recent Cases Say about Church-State Relations in England and the United States, "Florida International Law Journal", №18, 2006, 498.

³⁷⁷ Berg Th.C., Colby K.W., Esbeck C.H., Garnett R.W., Religious Freedom, Church-State Separation, and the Ministerial Exception, "Northwestern University Law Review Colloquy", Vol. 106, 2011, 181.

³⁷⁸ ნარინდოშვილი მ., გოგელია ვ., ჯულაყიძე თ., ჯაში ზ., გლურჯიძე ე., რელიგიის თავისუფლება, თბილისი, 2004, 261.

³⁷⁹ Amundson S., Separation of Church and State: How It Has Impacted Religious Diversity, SPEA Honors Paper Series, Vol.2, №12, 2008, 1; Beydoun Kh.A., Laïcité, Liberalism, and the Headscarf, Journal of Islamic Law and Culture, Vol.10, No.2, 2008, 196.

³⁸⁰ რელიგიის ჯეფერსონისეული გაგება უნიკალური იყო, იგი სრულად თავისუფალი იყო სასწაულებისგან, რომელსაც ჯეფერსონის რაციონალური მსოფლმხედველობა ვერ ეგუებოდა. Carlton C., The Faith, Understanding Orthodox Christianity, An Orthodox Catechism, Salisbury, 1997, 266.

³⁸¹ Doerr E., The Importance of Church-State Separation, in: Toward a New Political Humanism, edited by Seidman B.F. & Murphy N.J., New York, 2004, 73.

³⁸² ნარინდოშვილი მ., გოგელია ვ., ჯულაყიძე თ., ჯაში ზ., გლურჯიძე ე., რელიგიის თავისუფლება, თბილისი, 2004, 263.

„გამმიჯნავი კედლის“ მეტაფორა არაერთხელ გამოიყენა აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ.³⁸³ 1878 წელს სასამართლომ „ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის გამმიჯნავი კედლის“ თაობაზე ცნებას კონსტიტუციის პირველი შესწორების „ფარგლებისა და ეფექტის ავტორიტეტული (უფლებამოსილი) განცხადების“ სტატუსი მიანიჭა.³⁸⁴ საქმეზე, „*ევერსონი განათლების საბჭოს წინააღმდეგ*“, სასამართლომ განმარტა, რომ კონსტიტუციის პირველი შესწორება ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის კედელს აღმართავს, რომელიც „მაღალი და მიუვალი“ უნდა იყოს.³⁸⁵

ამერიკული სეკულარიზმი ორგანიზებული სახელმწიფოსა და ორგანიზებული ეკლესიის გამიჯვნის იდეას ემსახურებოდა, თუმცა თავდაპირველად ეს კონცეფცია სწორედ იუდეურ-ქრისტიანული ტრადიციების მიხედვით განხორციელდა, რომელიც „დამფუძნებელი მამების“ დროს დომინანტი რელიგიური მიმართულება იყო.³⁸⁶ ეკლესია და სახელმწიფო ერთმანეთისგან გამიჯნულია, მაგრამ აშშ-ის შექმნის საფუძველშივე იდო რელიგიური პრინციპები და სასულიერო ნესრიგი, რომელიც შემდგომში სახელმწიფოს ორგანულ შემადგენელ ნაწილად იქცა.³⁸⁷ ქრისტიანობა და თავისუფლების იდეა კულტურულად, პოლიტიკურად და ინტელექტუალურად გადაიჯაჭვა სახელმწიფოს შექმნის პერიოდთან.³⁸⁸ რელიგიისა და სეკულარიზმის ურთიერთობა ამერიკის პოლიტიკური და სამართლებრივი ყოველდღიურობის განუყოფელი საკითხია.³⁸⁹

აშშ-ის სეკულარულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ქვეყანაში თავიდანვე ძალზე ბევრი რელიგიური ჯგუფი არსებობდა.³⁹⁰ საქმეზე, „*გონსალესი მანილას რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მთავარეპისკოპოსის წინააღმდეგ*“, სასამართლომ აღნიშნა, კაპელანებისა და საეკლესიო თანამდებობის პირთა დანიშვნა არის წმინდა საეკლესიო (კანონიკური) აქტი, შესაბამისად, საერო სასამართლოები არ არიან უფლებამოსილნი, მათ კანონიერებაზე იმსჯელონ.³⁹¹ კონსტიტუციის სახელით, აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ ითავა ამერიკელი ხალხისთვის ისეთი საჯარო სივრცის უზრუნველყოფა, სადაც ხელისუფლება რელიგიურ საკითხებთან მიმართებით ნეიტრალური იქნებოდა.³⁹² წლების განმავლობაში მან რელიგიის თავისუფლებისა და სეკულარიზმის კუთხით ასეულობით მნიშვნელოვანი

³⁸³ Hammet H.D., Separation of Church and State: By One Wall or Two?, “Journal of Church and State”, №7, 1965, 190.

³⁸⁴ Doerr E., The Importance of Church-State Separation, in: *Toward a New Political Humanism*, edited by Seidman B.F. & Murphy N.J., New York, 2004, 73; იხ. ციტირება: *Reynolds v. United States*, 98 U.S. 145 at 164.

³⁸⁵ Hammet H.D., Separation of Church and State: By One Wall or Two?, “Journal of Church and State”, №7, 1965, 201, იხ. ციტირება: *Everson v. Board of Education*, 330 U.S. 1,18 (1947).

³⁸⁶ Wright J.J., Aggressive Secularism in America, “Catholic Lawyer”, Vol.6, 1960, 52.

³⁸⁷ Calo Z.R., Higher Law Secularism: Religious Symbols, Contested Secularisms, and the Limits of the Establishment Clause, “Chicago-Kent Law Review”, Vol.87, 2012, 820, იხ. ციტირება: Orestes Brownson, *The American Republic* 257 (2003).

³⁸⁸ იქვე, 819, იხ. ციტირება: Nathan O. Hatch, *The Democratization of American Christianity* 8 (1989).

³⁸⁹ Ledewitz B., *Church, State, and the Crisis in American Secularism*, Bloomington, 2011, 246.

³⁹⁰ Wood J.E., *Church and State in Historical Perspective: A Critical Assessment and Annotated Bibliography*, London, 2005, 71.

³⁹¹ Berg Th.C., Colby K.W., Esbeck C.H., Garnett R.W., Religious Freedom, Church-State Separation, and the Ministerial Exception, “Northwestern University Law Review Colloquy”, Vol.106, 2011, 185, იხ. ციტირება: *Gonzalez v. Roman Catholic Archbishop of Manila*, 280 U.S. 1,16 (1929).

³⁹² Ledewitz B., *Church, State, and the Crisis in American Secularism*, Bloomington, 2011, 246.

ზღვარი, პრინციპი და მიმართულება დაადგინა.³⁹³ თუკი 1892 წელს ამერიკის უმაღლესი სასამართლო ამერიკის კულტურასა და სამართალზე საუბრისას განმარტავდა, რომ ამერიკა „ქრისტიანული სახელმწიფო“ იყო,³⁹⁴ ნახევარი საუკუნის შემდეგ რადიკალურად განსხვავებულ კონცეფციას ავითარებდა. სასამართლომ კონსტიტუციის პირველი შესწორება სეკულარიზმის ჭრილში XX საუკუნის ორმოციან წლებში განმარტა³⁹⁵, თუმცა ეს როდი გულისხმობს, რომ მანამდე ამ მიმართულებით გადწყვეტილებები არ მიუღია.³⁹⁶ მისი განცხადებით, ფედერალურ და შტატების ხელისუფალთ ეკრძალებათ რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობაში რაიმე ფორმით ჩარევა, ასევე, გადასახადების არცერთი სახე არ შეიძლება მიმართული იყოს რელიგიური აქტივობების, ღონისძიებების დასაფინანსებლად.³⁹⁷ აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ 1971 წელს ე.წ. „ლემონის ტესტი“ დაადგინა, რომლის მიხედვითაც, დაწესებული, უპირატესი რელიგიის აკრძალვა მოითხოვს ისეთ კანონმდებლობას, რომელსაც სეკულარული მიზნები აქვს, პრინციპულ და პირველად ეფექტს, რომელიც უპირატესობას არ ანიჭებს ან პირიქით, არ ზღუდავს რელიგიას, არ ქმნის ზედმეტ დაბრკოლებებს ხელისუფლებისა და რელიგიის ურთიერთობებში.³⁹⁸ აშშ-ის უმაღლეს სასამართლოს ხშირად ადანაშაულებენ საჯარო აზრის უგულებელყოფასა და საჯარო ინტერესებიდან იზოლირებაში,³⁹⁹ გამონაკლისი არც რელიგიისა და სეკულარიზაციის საკითხებია. მიუხედავად ამისა, სასამართლო დადგენილ პოლიტიკას მკაცრად მიჰყვება. მისი განმარტებით, სამართალშეფარდებისას გამოყენებულ უნდა იქნეს საქმის შესაბამისი ნეიტრალური და ზოგადი საკანონმდებლო მოწესრიგება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმე რელიგიური ჯგუფებისა და ინდივიდების ურთიერთობას ეხება.⁴⁰⁰ მოსამართლე რეინქუისთი რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთობებს აშშ-ში ორსახოვან იანუსს ადარებს, რომლის ერთი სახეც უცილობელი ისტორიული ფაქტია, რომ რელიგიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამერიკის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში, ხოლო მეორე სახე სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი რელიგიის პრივილეგირებისგან თავის შეკავება⁴⁰¹.

საბოლოო ჯამში, ამერიკულმა სეკულარიზმმა⁴⁰² ისეთი ფორმა მიიღო, რომ ნებისმიერი ფაქტი შეიძლება მოიაზრობდეს ეკლესია-სახელმწიფოს განცალკევების

³⁹³ Hirschl R., *Comparative Constitutional Law and Religion*, in: *Comparative Constitutional Law*, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Cheltenham, 2011, 425.

³⁹⁴ Conkle D.O., *Different Religions, Different Politics: Evaluating the Role of Competing Religious Traditions in American Politics and Law*, *Journal of Law and Religion*, Vol.10, No.1, 1994, 5; *Church of the Holy Trinity v. United States*, 143 U.S. 457, 471 (1892).

³⁹⁵ Conkle D.O., *Different Religions, Different Politics: Evaluating the Role of Competing Religious Traditions in American Politics and Law*, *Journal of Law and Religion*, Vol.10, No.1, 1994, 5.

³⁹⁶ Temperman J., *State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance*, Leiden-Boston, 2010, 117.

³⁹⁷ *Everson v. Board of Education*, 330 U.S. 1 (1947).

³⁹⁸ იხ., *Lemon v. Kurtzman*, 403 U.S. 602 612 (1971); Nord W.A., *Religion, the First Amendment and Public Education*, *BYU Journal of Public Law*, Vol. 8, 1994, 451; Stephens O.H.Jr., Scheb J.M.II, *American Constitutional Law*, Vol.2, *Civil Rights and Liberties*, 4th Ed., Thomson Wadsworth, 2008, 222-223.

³⁹⁹ Merriman S.A., *Religion and the State, An International Analysis of Roles and Relationship*, Santa Barbara, 2009, 66.

⁴⁰⁰ იხ., *Employment Division, Department of Human Resources of Oregon v. Smith*, 494 U.S. 872 (1990).

⁴⁰¹ *Van Orden v. Perry*, 545 U.S. 677 (2005).

⁴⁰² ამერიკული სეკულარიზმისა და რელიგია-სახელმწიფოს ურთიერთობების, ასევე, რელიგიის თავისუფლების თაობაზე იხ., Beydoun Kh.A., *Laïcité, Liberalism, and the Headscarf*, *Journal of Islamic Law*

საწინააღმდეგო ქმედებად. სწორედ ამის გამო აშშ-ის გერბზე დატანილი ფრაზა „ღმერთის გენამს“ (*In God We Trust*) დღესდღეობით ცხარე დებატების საგანია და ზოგიერთის აზრით, არღვევს ეკლესიისა და სახელმწიფოს შორის გამიჯვნის პრინციპს⁴⁰³. აქვე აღსანიშნავია, რომ „გამმიჯნავი კედლის“ ჯეფერსონისეული გაგება და რელიგიის პრივატიზება უკვე აღარაა მკაცრად წარმოდგენილი აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკაში, ვინაიდან ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში მან უარი თქვა რადიკალურ სეპარაციონიზმზე.⁴⁰⁴ დღესდღეობით აშშ-ში სახელმწიფოც და საზოგადოებაც თანხმდება, რომ რელიგია კერძო სფეროა, პოლიტიკა კი სეკულარული უნდა იყოს.⁴⁰⁵

ამერიკის პარალელურად, გამიჯვნის პროცესი დაიწყო ევროპაშიც, თუმცა თითქმის საუკუნის დაგვიანებით, რაც, რა თქმა უნდა, ევროპის კონსერვატიზმითა და სახელმწიფო მოწყობის სრულიად განსხვავებული ფორმებით იყო განპირობებული. 1914 წლის უელსის ეკლესიის აქტით (*Welsh Church Act*) დაიწყო სეკულარიზაციის პროცესი, საეკლესიო და საერო სამართალი გაიმიჯნა, კანონიკურ პროცესებზე პარლამენტის უზენაესობა გაუქმდა, ეპისკოპოსებს შეუწყდათ ღორდთა პალატის წევრობა.⁴⁰⁶ ეს, რასაკვირველია, ინგლისისა და შოტლანდიის ეკლესიებს არ შეხებია. მიუხედავად მსგავსებებისა, სეკულარიზმის ამერიკული და ევროპული გაგება სრულიად განსხვავებულია,⁴⁰⁷ რაც უფრო სოციალური ფაქტორებითაა განპირობებული. მაგ., ამერიკის მოსახლეობის უმრავლესობა თავს რელიგიურად მიიჩნევს და სეკულარიზმის კლასიკურ გაგებას ანიჭებს უპირატესობას, როცა ევროპაში ეს ყველაფერი პირიქითაა.⁴⁰⁸ აღნიშნული გავლენას ახდენს სახელმწიფო დონეზე პოლიტიკის ფორმირებაზეც, რაც ბუნებრივია.

სრული გამიჯვნა, მართალია, საკანონმდებლო და საკონსტიტუციო დონეზეც უზრუნველყოფილია, თუმცა, ფაქტობრივად, ეკლესია კვლავაც სერიოზული მოთამაშეა სოციალურ-კულტურულ ურთიერთობებში, რის იგნორირებასაც სახელმწიფო, ბუნებრივია, არ ცდილობს.⁴⁰⁹ იგი იღებს პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს მოქალაქეთა რელიგიური უფლებების რეალიზაციისათვის შესაფერისი გარემო. ავსტრიაში ეკლესია და სახელმწიფო გამიჯნულია ერთმანეთისგან, თუმცა ეს უკანასკნელი ხელს უწყობს ყველა მოქალაქისა და რელიგიური გაერთიანების უფლებას, იმოქმედოს სახელმწიფოსა და საზოგადოების კეთილდღეობისათვის.⁴¹⁰

and Culture, Vol.10, No.2, 2008, 197; Stephens O.H.Jr., Scheb J.M.II, American Constitutional Law, Vol.2, Civil Rights and Liberties, 4th Ed., Thomson Wadsworth, 2008, 209-235

⁴⁰³ Amundson S., Separation of Church and State: How It Has Impacted Religious Diversity, SPEA Honors Paper Series, Vol.2, №12, 2008, 23.

⁴⁰⁴ Hackett R.I.J., Rethinking the Role of Religion in Changing Public Spheres: Some Comparative Perspectives, Brigham Young University Law Review, Issue 3, 2005, 668; იხ., Davis D.H., A Commentary on the Supreme Court's "Equal Treatment" Doctrine as the New Constitutional Paradigm for Protecting Religious Liberty, Journal of Church and State, Vol.46, 2004, 717-738.

⁴⁰⁵ Gedicks F.M., Some Political Implications of Religious Belief, Notre Dame Journal of Ethics and Public Policy, Vol.4, 1991, 419, 421.

⁴⁰⁶ Jones H., The Church in Wales: A church for the Welsh Nation, "Law and Justice", №149, 2002, 140.

⁴⁰⁷ Smith S.D., Religious Symbols and Secular Government, Israel Law Review, Vol.46, Iss.2, 2013, 197.

⁴⁰⁸ იქვე, 198.

⁴⁰⁹ იხ., ცაცანაშვილი მ., სახელმწიფო და რელიგია, თბილისი, 2001, 30-31.

⁴¹⁰ პოზტი რ., სახელმწიფო და ეკლესია ავსტრიაში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 453.

ამასთან, სახელმწიფო ნეგატიურადაც შებოჭილია და ვალდებულია, დაიცვას რელიგიური ნეიტრალიტეტი⁴¹¹.

ლიბერალური სეკულარიზმი აირჩიეს ტრადიციულმა მართლმადიდებელმა ქვეყნებმაც. კვიპროსის მართლმადიდებელ ეკლესიას, სამართლებრივი თვალსაზრისით, განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია, რადგან იგი კონსტიტუციის ამოქმედებამდე მიღებული საკუთარი წესდების მიხედვით მოქმედებს და სხვა რელიგიების მსგავსად, კონსტიტუცია მასაც სრულ თავისუფლებას ანიჭებს.⁴¹² ამასთან, კვიპროსის უმაღლესმა სასამართლომ საკმაოდ მკაფიოდ განსაზღვრა ეკლესიის სტატუსი და მიუხედავად მისი სოციალური როლისა, აღნიშნა, რომ კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფო ორგანო არაა და არ შეიძლება განხილული იქნეს სახელისუფლებო წარმონაქმნად.⁴¹³ განსხვავებული მდგომარეობაა უკრაინაში, რომელშიც, მართალია, მართლმადიდებლობა დომინანტია მოსახლეობის რაოდენობრივი თვალსაზრისით, თუმცა მისი იმდენად ბევრი მიმდინარეობა არსებობს, რომ უკრაინამ სახელმწიფო-ეკლესიის ურთიერთობის ლიბერალური — ამერიკული მოდელი აირჩია და ყველა რელიგიურ გაერთიანებას თანაბარი სტატუსი მიანიჭა, ყოველგვარი უპირატესობის გარეშე⁴¹⁴.

ლიბერალური სეკულარიზმის თეორია წლების განმავლობაში განვითარდა და ბევრი განშტოება გაჩნდა. თითოეულმა სახელმწიფომ თავისი კულტურის, ისტორიისა და ტრადიციების შესაბამისი მიდგომა აირჩია. რა თქმა უნდა, XIX საუკუნის დასაწყისში შემუშავებული ამერიკული დოქტრინა დღემდე მნიშვნელოვან როლს ასრულებს, თუმცა მას ბუნებრივად დაემატა ახალი მოთხოვნები და სტანდარტები. თანამედროვე მიდგომით, ურთიერთობათა მრავალმხრიობისა და სპეციფიკურობის გათვალისწინებით, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის უკვე ორი გამმიჯნავი კედელი უნდა არსებობდეს, რომლებითაც ერთმანეთისგან გაიმიჯნება ექსკლუზიურად ეკლესიის, ექსკლუზიურად სახელმწიფოს და შერეული — ეკლესია-სახელმწიფოს ერთობლივი კომპეტენციური სფეროები.⁴¹⁵ ეს, რა თქმა უნდა, ეკლესიის სოციალური როლითაა განპირობებული, რომელიც საუკუნეების განმავლობაში სახელმწიფომ სრულად მაინც ვერ იტვირთა. ეს უკანასკნელი, მართალია, სულიერ სფეროსაც უზრუნველყოფს, თუმცა ამ მიმართულებით კვლავაც რელიგიური ურთიერთობები და ორგანიზაციები დომინირებენ.

⁴¹¹ მაგ., კანადაში 1980-იანი წლებიდან დამკვიდრებული წესით, სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს რომელიმე რელიგიისათვის უპირატესობის მიმნიჭებელი კანონების მიღებისაგან, — მსგავსმა მიდგომამ სეკულარიზაციის პროცესზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. იხ., ლოქლინი რ. ბ., კედლის ბევრი ფანჯარა, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №5, 2012, 95.

⁴¹² ემილიანიდესი ა., სახელმწიფო და ეკლესია კვიპროსში, ნიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 280.

⁴¹³ იქვე, იხ. ციტირება: *Autocephalous, Saint, Orthodox and Apostolic Church of Cyprus v. the House of Representatives*, (1990) 3 C.L.R 338.

⁴¹⁴ Yalensky V., Religion, Church, and State in the Post-Communist Era: The Case of Ukraine (with Special References to Orthodoxy and Human Rights), “Brigham Young University Law Review”, №2, 2002, 481.

⁴¹⁵ იხ., Hammet H.D., Separation of Church and State: By One Wall or Two?, “Journal of Church and State”, №7, 1965, 203.

3.3.2.1.3. Laïcité

ფრანგული სეკულარიზმი ინდივიდუალურია და იგი საერთოვროპული მიდგომისგან მკვეთრად განსხვავდება.⁴¹⁶ ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობათა ფრანგული სისტემა *Laïcité*-დ მოიხსენიება და იგი წმინდა ფრანგული მოვლენაა,⁴¹⁷ რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება.⁴¹⁸ *Laïcité* პოლიტიკურ-სამართლებრივ ქრილში სეკულარიზაციის ყველაზე მკაცრ, ზუსტად განსაზღვრულ ფორმად მიიჩნევა⁴¹⁹ და რელიგია-სახელმწიფოს ურთიერთობების კლასიკურ ტიპოლოგიაში ვერ თავსდება,⁴²⁰ უფრო მეტიც, გარკვეული თვალსაზრისით, იგი სეკულარიზმის გაგებისგანაც კი განსხვავდება⁴²¹ (სოციალური თვალსაზრისით *Laïcité* არა გამიჯვნის ფორმა, არამედ რელიგიის სფეროში საკმარისად ჩარევის საშუალებაა⁴²²). დოქტრინა ყველა რელიგიას თანასწორად აღიქვამს, უარყოფს სახელმწიფო რელიგიის იდეას და არცერთ მათგანს რაიმე განსაკუთრებულ სტატუსს არ ანიჭებს.⁴²³ მის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობაა, ზოგი მას პოზიტიურ, ზოგიერთი კი ნეგატიურ სისტემად მიიჩნევს⁴²⁴. ფრანგული *laïcité* მოაზრებულა რელიგიური, რასობრივი, კულტურული და პოლიტიკური საზოგადოებების განსხვავებული ღირებულებების თანაარსებობის საშუალებად,⁴²⁵ იგი რესპუბლიკანიზმთან ერთად საფრანგეთის სახელმწიფოს ფუძემდებლური პრინციპია და თავად საფრანგეთს განასახიერებს⁴²⁶. ფრანგული სეკულარიზმი შეიძლება მარტივად დახასიათდეს, როგორც: განათლება სეკულარული სწავლებით და რელიგიური პრაქტიკის (აღმსარებლობის) სრული პრივატიზაცია⁴²⁷.

ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების ფრანგული მოდელი სახელმწიფოზე კლერიკალური და რელიგიური გავლენის მოსპობისა და უნივერსალური, რელიგიისგან თავისუფალი მოქალაქეობისა და ეროვნულობის დამკვიდრების მცდელობაა.⁴²⁸

⁴¹⁶ Zucca L., The Crisis of the Secular State – A Reply to Professor Sajó, “I-Con”, Vol.7, No.3, 2009, 506.

⁴¹⁷ Torfs R., Church and State in France, Belgium, and the Netherlands: Unexpected Similarities and Hidden Differences, “Brigham Young University Law Review”, №4, 1996, 945.

⁴¹⁸ Troper M., French Secularism, or Laïcité, “Cardozo Law Review”, Vol.21, 2000, 1267; Troper M., Sovereignty and Laïcité, Cardozo Law Review, Vol.30, 2009, 2563.

⁴¹⁹ Palomino R., Legal Dimensions of Secularism: Challenges and Problems, 17th Annual International Law and Religion Symposium, Brigham Young University, Provo, Utah, October 3-5, 2010, 1.

⁴²⁰ Troper M., French Secularism, or Laïcité, “Cardozo Law Review”, Vol.21, 2000, 1268.

⁴²¹ Abilmouna R., Reconciling the Hijab within Laïcité France, Journal of Islam Law and Culture, Vol.13, No.2-3, 2011, 124.

⁴²² Liogier R., Laïcité on the Edge in France: Between the Theory of Church-State Separation and the Praxis of State-Church Confusion, Macquarie Law Journal, Vol.9, 2009, 27.

⁴²³ ბასდევან-გოდემე ბ., სახელმწიფო და ეკლესია საფრანგეთში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 184.

⁴²⁴ Torfs R., Church and State in France, Belgium, and the Netherlands: Unexpected Similarities and Hidden Differences, “Brigham Young University Law Review”, №4, 1996, 951.

⁴²⁵ Ferrari S., Introduction to European Church and State Discourses, in: Law & Religion in the 21st Century – Nordic Perspectives, Edited by L. Christoffersen, K. Å. Modeér, S. Andersen, Copenhagen, 2010, 27.

⁴²⁶ Annicchino P., Laïcité as Civil Religion: An Italian American Perspective, The George Washington International Law Review, Vol.41, No.4, 2010, 821.

⁴²⁷ იქვე; Chelini-Pont B., Is Laïcité the Civil Religion of France?, The George Washington International Law Review, Vol.41, No.4, 2010, 765.

⁴²⁸ Hirschl R., Comparative Constitutional Law and Religion, in: Comparative Constitutional Law, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Cheltenham, 2011, 423.

მარტო ბართლომეს ღამის ხსენებაც საკმარისია იმ ვითარების აღსაწერად, რომელიც შუა საუკუნეების ბოლოსკენ საფრანგეთში სუფევდა. 1598 წელს ანრი IV გამოსცა ნანტის ედიქტი, რომლითაც საფრანგეთმა ჰუგენოტები შეინყნარა და ნება დართო მათ, სახელმწიფოში თავისუფლად ეარსებათ.⁴²⁹ თუმცა რელიგიური კონფლიქტი ამით არ ჩამქრალა. როგორც ტოკვილი განმარტავს, საფრანგეთში რელიგია და სახელმწიფო ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ, როცა ოკეანს გაღმა, ამერიკელებმა წარმატებით შეძლეს რელიგიისა და თავისუფლების სულისკვეთების გაერთიანება.⁴³⁰ საფრანგეთის რევოლუციის ერთ-ერთი მონაპოვარი ისიც იყო, რომ რელიგია კერძო საქმედ იქნა აღიარებული.⁴³¹ 1795 წელს პოსტრევოლუციურ საფრანგეთში დაიწყო სახელმწიფოსა და ეკლესიის განცალკევების პროცესი, თუმცა ეს ყოველივე ეკლესიის ინტენსიურ დევნას უფრო ჰგავდა, ვიდრე გონივრულ სეკულარიზაციას.⁴³² ამას ისიც განაპირობებდა, რომ განმანათლებლობა, რომლის შედეგიც იყოს ფრანგული რევოლუცია, ებრძოდა რელიგიას, როგორც არისტოკრატისა და ხელისუფლების იარაღს, სწორედ ამიტომაც სეკულარიზმის პოპულარიზაცია მათ სახელს დაუკავშირდა.⁴³³ სეკულარიზაციის პროცესი მალევე, 1801 წელს საფრანგეთსა და წმინდა საყდარს შორის დადებული კონკორდატით დასრულდა, რომელმაც ნაპოლეონს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალაუფლება შესძინა არა მხოლოდ რომის, არამედ სხვა ქრისტიანულ ეკლესიებზეც.⁴³⁴ კონკორდატით პოლიტიკური ხელისუფლება ნიშნავდა ეპისკოპოსებს, რომის პაპს კი მხოლოდ სასულიერო ინვესტიტურის გაცემის უფლებამოსილება ჰქონდა.⁴³⁵ კონკორდატი 1804 წლის სამოქალაქო კოდექსით გაგრძელდა, რომელმაც ადრე ეკლესიის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების უმრავლესობა სამოქალაქო, საერო კატეგორიას მიაკუთვნა.⁴³⁶

საფრანგეთის სახელმწიფო საბჭოს განმარტებით, *Laïcité*-ს პრინციპის ფაქტობრივი განხორციელება ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო,⁴³⁷ რამაც, საბოლოო ჯამში, 1958 წლის კონსტიტუციაში საფრანგეთის სეკულარულ („ლაიკურ“) სახელმწიფოდ გამოცხადება გამოიწვია⁴³⁸ (ეს ყოველივე საკონსტიტუციო დონეზე პირველად მე-4 რესპუბლიკის კონსტიტუციებმა განამტკიცა⁴³⁹). ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის მკაცრი პროცესი, რომელიც XIX საუკუნის მე-2 ნახევარში

⁴²⁹ ნარინდოშვილი მ., გოგელია ვ., ჯულაყიძე თ., ჯაში ზ., გლურჯიძე ე., რელიგიის თავისუფლება, თბილისი, 2004, 37.

⁴³⁰ Annicchino P., *Laïcité as Civil Religion: An Italian American Perspective*, *The George Washington International Law Review*, Vol.41, No.4, 2010, 821; De Tocqueville A., *Democracy in America*, University of Chicago Press, 2002, 274.

⁴³¹ ბრაჭული ი., დურა ნ., ზაქარაიძე ა., რელიგიის ფილოსოფია, თბილისი, 2015, 229.

⁴³² ბასდევან-გოდემე ბ., სახელმწიფო და ეკლესია საფრანგეთში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის ნევერ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მეორე გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 180.

⁴³³ იბ, McCauliff C.M.A., Dreyfus, *Laïcité and the Burqa*, *Connecticut Journal of International Law*, Vol.28, 2012, 119.

⁴³⁴ Géraud A., *The Lateran Treaties: A Step in Vatican Policy*, *Foreign Affairs*, №7, 1928-1929, 572.

⁴³⁵ Troper M., *French Secularism, or Laïcité*, *Cardozo Law Review*, Vol.21, 2000, 1275.

⁴³⁶ McCauliff C.M.A., Dreyfus, *Laïcité and the Burqa*, *Connecticut Journal of International Law*, Vol.28, 2012, 124.

⁴³⁷ იბ., *Opinion No.346.893 of the General Assembly of the French Council of State*, November 27, 1989.

⁴³⁸ *Constitution of the French Republic, 1958, Art.2*; Kuhelj A., *Religious Freedom in European Democracies*, *Tulane European and Civil Law Forum*, Vol.20, 2005, 16.

⁴³⁹ იბ., McCauliff C.M.A., Dreyfus, *Laïcité and the Burqa*, *Connecticut Journal of International Law*, Vol.28, 2012, 139.

ხელმეორედ, ამჯერად უკვე სრულად დაიწყო საფრანგეთში, 1905 წლის კანონის⁴⁴⁰ მიღებით დაგვირგვინდა, რომელიც დღემდე ძალაშია, რა თქმა უნდა, შესაბამისი ცვლილებებითა და დამატებებით. 1904 წელს საფრანგეთმა დიპლომატიური ურთიერთობები განწყვიტა წმინდა საყდართან.⁴⁴¹ 1905 წლის კანონმა გააუქმა კონკორდატი და სახელმწიფო ხელისუფლება ნებისმიერი რელიგიისგან გამიჯნა, თუმცა, იმავდროულად, ფრანგული ლაიციზმის დოქტრინამ დაავალდებულა სახელმწიფო პოზიტიურად, უზრუნველყო მოქალაქეთა რელიგიის თავისუფლების რეალიზაცია.⁴⁴² რასაკვირველია, კანონს რომის ეკლესიის მძაფრი პროტესტი მოჰყვა, პაპმა პიუს X ფრანგული ლაიციზმი და 1905 წლის კანონი მკაცრად გააკრიტიკა,⁴⁴³ თუმცა სინამდვილეში კონკორდატის გაუქმებით ეკლესიამ უფრო იხიერა, რადგან დაიბრუნა მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები, მათ შორის, ეპისკოპოსების დანიშვნის უფლება, რომელიც მანამდე სახელმწიფოს კომპეტენციაში შედიოდა⁴⁴⁴. ამ კანონით შემოთავაზებული სეპარაცია ნიშნავდა ტრადიციული სისტემის დასრულებას, რომელსაც 1801 წლის კონკორდატი ქმნიდა,⁴⁴⁵ ამასთან, მანვე დაასრულა პოლიტიზებულ კათოლიკეებსა და სეკულარისტ ნაციონალისტებს შორის არსებული თითქმის საუკუნოვანი დავა.⁴⁴⁶ შეიძლება ითქვას, *Laïcité* ფრანგული კათოლიკური ეკლესიისა და სახელმწიფოს განსაკუთრებული ურთიერთობის შედეგია.⁴⁴⁷

საკონსტიტუციო რანგში აყვანილი პრინციპი ისეთი მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის, რომ სახელმწიფო საბჭოს განმარტებით, პირის რელიგიური მრწამსის შეუთავსებლობა სახელმწიფოს ოფიციალურ სეკულარულ პოლიტიკასთან საკმარისი საფუძველია მისთვის მოქალაქეობის მინიჭებაზე უარის თქმისთვის.⁴⁴⁸ უფრო მეტიც, გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, ფრანგული სასამართლოები მას სუვერენიტეტის კონტექსტშიც კი განმარტავენ და მათ პირდაპირ უკავშირებენ

⁴⁴⁰ დაწვრილებით იხ., McCauliff C.M.A., Dreyfus, *Laïcité and the Burqa*, Connecticut Journal of International Law, Vol.28, 2012, 124; Liogier R., *Laïcité on the Edge in France: Between the Theory of Church-State Separation and the Praxis of State-Church Confusion*, Macquarie Law Journal, Vol.9, 2009, 26.

⁴⁴¹ ხეცურანი ჯ., სახელმწიფო და ეკლესია, ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2013, 24.

⁴⁴² ბასდევან-გოდემე ბ., სახელმწიფო და ეკლესია საფრანგეთში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მეორე გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 183.

⁴⁴³ იხ., Encyclical “Vehementer Nos” of Pope Pius X to To Our Well-beloved Sons, Francois Marie Richard, Cardinal Archbishop of Paris; Victor Lucien Lecot, Cardinal Archbishop of Bordeaux; Pierre Hector Couillie, Cardinal Archbishop of Lyons; Joseph Guillaume Laboure, Cardinal Archbishop of Rennes; and to all Our Venerable Brethren, the Archbishops and Bishops, and to all the Clergy and People of France, 11 February, 1906.

⁴⁴⁴ Costigan R.F., *State Appointment of Bishops*, “Journal of Church and State”, №8(1), 1966, 90.

⁴⁴⁵ Well P., *Why the French Laïcité is Liberal*, Cardozo Law Review, Vol.30, 2009, 2705.

⁴⁴⁶ Beydoun Kh.A., *Laïcité, Liberalism, and the Headscarf*, Journal of Islamic Law and Culture, Vol.10, No.2, 2008, 191.

⁴⁴⁷ Rosenfeld M., *Introduction: Can Constitutionalism, Secularism and Religion Be Reconciled in an Era of Globalization and Religious Revival?*, Cardozo Law Review, Vol. 30, 2009, 2352; Troper M., *Sovereignty and Laïcité*, Cardozo Law Review, Vol.30, 2009, 2561.

⁴⁴⁸ Hirschl R., *Comparative Constitutional Law and Religion*, in: Comparative Constitutional Law, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Cheltenham, 2011, 423.

ერთმანეთს.⁴⁴⁹ ხშირად მას საფრანგეთის რევოლუციის სამ ღირებულებასთან ერთად ცი მოიხსენიებენ.⁴⁵⁰

Laïcité ისეთი უნივერსალური და აბსტრაქტული ღირებულებების ერთობლიობაა, როგორცაა: თავისუფლება, თანასწორობა, შემწყნარებლობა და ა.შ.⁴⁵¹ ფაქტობრივად, იგი მოქალაქეებისთვის, საერთო კეთილდღეობისა და ღირებულებების გარშემო გაერთიანებული ხალხისთვის, სამოქალაქო „რელიგიად“ იქცა⁴⁵². თუკი ამერიკული გაგებით სეკულარიზმი რელიგიის თავისუფლების სახელმწიფოსგან დაცვაა, ფრანგული გაგებით, პირიქით, იგი მოქალაქეებს იცავს „რელიგიის გამოკლებებისგან“.⁴⁵³

სწორედ მსგავსი პოლიტიკის გამო საფრანგეთის შემთხვევაში ევროსასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოს სეკულარულ ბუნებასა და ამ პრინციპის საკონსტიტუციო დოზენზე უზრუნველყოფაზე.⁴⁵⁴ ხშირ შემთხვევაში საფრანგეთთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები რელიგიის თავისუფლების სფეროში მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროსასამართლოს პრაქტიკისგან, რაც შემთხვევის ინდივიდუალიზმითაა განპირობებული.

სეკულარიზმის ფრანგული მოდელი, რომელიც ნეიტრალიტეტს უნდა იცავდეს, სახელმწიფოს ჩარევით ხშირად არა ნეიტრალურად, არამედ ანტირელიგიურად მოქმედებს.⁴⁵⁵ იგი, წესით, ნეიტრალური პოლიტიკაა რელიგიის მიმართ⁴⁵⁶, თუმცა ეს ნეიტრალიტეტი ხშირად ფიზიკურად მიუღწეველი იდეაა. *Laïcité* არელიგიურობიდან ანტირელიგიურობამდე ცვალებადი საკმაოდ მყიფე სისტემაა.⁴⁵⁷ თანამედროვე ფრანგული სეკულარიზაცია შემდეგ პრინციპებს მოიცავს: 1. ოფიციალური რელიგიის არარსებობა; 2. რწმენისა და აღმსარებლობის ინდივიდუალური თავისუფლება; 3. სახელმწიფოს აქსიომატური თავისუფლება და ეკლესიებისა და რელიგიების ორგანიზაციული ავტონომია; 4. ინდივიდუალური და კოლექტიური რწმენისა და რელიგიების თანასწორობა.⁴⁵⁸

2004 წელს პრეზიდენტმა შირაკმა თავსაბურავები და ჩადრები „აგრესიული პროზელიტიზმის“ ნიშნებად გამოაცხადა და საჯარო სკოლებში რელიგიური სიმბოლოების აკრძალვის თაობაზე საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება

⁴⁴⁹ იხ., Troper M., Sovereignty and Laïcité, *Cardozo Law Review*, Vol.30, 2009, 2564-2565.

⁴⁵⁰ Choudhury N., From the Stasi Commission to the European Court of Human Rights: L’Affaire du Foulard and the Challenge of Protecting the Rights of Muslim Girls, *Columbia Journal of Gender and Law* Vol.16, No.1, 2007, 252.

⁴⁵¹ Ferrari S., Introduction to European Church and State Discourses, in: *Law & Religion in the 21st Century – Nordic Perspectives*, Edited by L. Christoffersen, K. Å. Modeér, S. Andersen, Copenhagen, 2010, 27.

⁴⁵² Ungureanu C., Europe and Religion: An Ambivalent Nexus, in: *Law, State and Religion in the New Europe*, Edited by L. Zucca and C. Ungureanu, Cambridge, 2012, 315.

⁴⁵³ Gedicks F.M., Religious Exemptions, Formal Neutrality, and Laïcité, *Indiana Journal of Global Legal Studies*, Vol.13, Issue 2, 2006, 476.

⁴⁵⁴ Ahdar R., Leigh I., *Religious Freedom in the Liberal State*, 2nd Ed., Croydon, 2013, 264; იხ., *Dogru v. France*, [ECtHR], App. no. 27058/05, 4 December, 2008; *S.A.S. v. France*, [ECtHR], App. no. 43835/11, 1 July, 2014.

⁴⁵⁵ Liogier R., Laïcité on the Edge in France: Between the Theory of Church-State Separation and the Praxis of State-Church Confusion, *Macquarie Law Journal*, Vol.9, 2009, 27.

⁴⁵⁶ Gedicks F.M., Religious Exemptions, Formal Neutrality, and Laïcité, *Indiana Journal of Global Legal Studies*, Vol.13, Issue 2, 2006, 475.

⁴⁵⁷ Rosenfeld M., Introduction: Can Constitutionalism, Secularism and Religion Be Reconciled in an Era of Globalization and Religious Revival?, *Cardozo Law Review*, Vol. 30, 2009, 2352.

⁴⁵⁸ Chelini-Pont B., Is Laïcité the Civil Religion of France?, *The George Washington International Law Review*, Vol.41, No.4, 2010, 769.

მოახდინა.⁴⁵⁹ 2004 წლის კანონი ყველა რელიგიურ სიმბოლოზე გავრცელდა.⁴⁶⁰ საფრანგეთის მიერ მუსლიმური თავსაბურავების აკრძალვის მთავარი მიზანი „თავისუფლებისა და თანასწორობის ფრანგული რესპუბლიკური იდეის ხაზგასმა იყო“⁴⁶¹, თავსაბურავების ტარების აკრძალვით საფრანგეთს სურდა, დასავლური სამყაროსთვის ეჩვენებინა, რომ იგი სექსუალური თანასწორობის, ქალთა ემანსიპაციასა და თანამედროვეობას უწყობდა ხელს.⁴⁶² 2010 წელს რელიგიური სიმბოლოების ტარება აიკრძალა ზოგადად საჯარო სივრცეში.⁴⁶³

ფრანგული სეკულარიზმი განსაკუთრებით ძლიერი მაშინ იყო, როცა მისი სამართლებრივი და იდეოლოგიური ელემენტები უნისონში იყვნენ.⁴⁶⁴ თუმცა სამართლებრივი ურთიერთობების მრავალფეროვნებამ, ეკლესიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური როლის დაკნინებამ მეტ-ნაკლებად ჩააცხრო რელიგია-სახელმწიფოს შორის არსებული მუდმივი კონფლიქტები და დიდწილად გაანეიტრალა ფრანგული პოლიტიკა. საფრანგეთი სრულად ემიჯნება ნებისმიერ რელიგიურ ორგანიზაციას და ცდილობს მკაცრად დაიცვას ეკლესია-სახელმწიფოს „გამმიჯნავი კედელი“, თუმცა რელიგიური პოლიტიკა არ ვრცელდება მის რამდენიმე ზღვის გაღმა დეპარტამენტსა და რეგიონზე.⁴⁶⁵ აღსანიშნავია, რომ საფრანგეთში არსებული სეკულარული პოლიტიკის მიუხედავად, სახელმწიფო აფინანსებს როგორც სახელმწიფო, ისე კათოლიკურ სკოლებს⁴⁶⁶.

3.3.2.1.4. ანტიეკლესიის მოდელი

თანამედროვე სამართალში ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობებში ცალკე აღინიშნება „ანტიეკლესიის“ მოდელი, რომელშიც, მართალია, ეს ორი ინსტიტუტი ერთმანეთისგან გაცალკევებულია, თუმცა სახელმწიფო არათუ რელიგიურ ნეიტრალიტეტს ინარჩუნებს, არამედ, პირიქით, რელიგიას ებრძვის.⁴⁶⁷ მსგავსი სისტემის კლასიკური წარმომადგენელი საბჭოთა კავშირი იყო.

⁴⁵⁹ Hackett R.I.J., Rethinking the Role of Religion in Changing Public Spheres: Some Comparative Perspectives, Brigham Young University Law Review, Issue 3, 2005, 679.

⁴⁶⁰ Beydoun Kh.A., Laïcité, Liberalism, and the Headscarf, Journal of Islamic Law and Culture, Vol.10, No.2, 2008, 188.

⁴⁶¹ Kuhelj A., Religious Freedom in European Democracies, Tulane European and Civil Law Forum, Vol.20, 2005, 3.

⁴⁶² იქვე.

⁴⁶³ McCauliff C.M.A., Dreyfus, Laïcité and the Burqa, Connecticut Journal of International Law, Vol.28, 2012, 120.

⁴⁶⁴ Zucca L., The Crisis of the Secular State – A Reply to Professor Sajó, “I-Con”, Vol.7, No.3, 2009, 500.

⁴⁶⁵ მაგ., საფრანგეთის გვიანში 1828 წლის 27 აგვისტოს სამეფო ბრძანებულების შესაბამისად, კათოლიკური ეკლესია ფინანსდება სახელმწიფო ფონდიდან და მხოლოდ 1939 წლიდან სხვა რელიგიურ გაერთიანებებსაც მიეცათ უფლება, დაფინანსება მიეღოს ადგილობრივი მუნიციპალური ერთეულებისგან. იხ., ბასდევან-გოდემე ბ., სახელმწიფო და ეკლესია საფრანგეთში, ნიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 194.

⁴⁶⁶ Merriman S.A., Religion and the State, An International Analysis of Roles and Relationship, Santa Barbara, 2009, 53.

⁴⁶⁷ Francis J. G., The Evolving Regulatory Structure of European Church-State Relationships, “Journal of Church and State”, №4, 1992, 781.

საბჭოთა კავშირი ანტირელიგიურ პოლიტიკას ატარებდა, ნებისმიერ რელიგიას დევნიდა,⁴⁶⁸ მისი ანტირელიგიური კამპანია რელიგიის მარქსისტულ გაგებას ეფუძნებოდა.⁴⁶⁹ ეკლესიებსა და რელიგიებს კომუნისტური საზოგადოება როგორც აუცილებელ ბოროტებას, ისე განიხილავდა.⁴⁷⁰ საბჭოთა კავშირის შექმნიდან ორ ათეულზე მეტი ხნის განმავლობაში ხელისუფლების პოლიტიკა მართლმადიდებელი ეკლესიისა და ნებისმიერი სხვა რელიგიის მიმართ შეუწყნარებელი და აგრესიული იყო.⁴⁷¹ სტალინური პერიოდის შუა წლებში ეყოფოდა და ბერიაშ სრულად განახორციელეს გენოციდი რელიგიის მსახურთა და აღმსარებელთა მიმართ.⁴⁷² ლენინისა და კომუნისტური პარტიის გაცხადებული მიზანი იყო ღმერთის იდეის სრული განდევნა საზოგადოებიდან, რასაც ყველა მეთოდის გამოყენებით ახორციელებდნენ 1941 წლამდე, როცა სტალინმა საკუთარი საჭიროებისთვის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო აღადგინა, ეკლესიამაც შემრიგებლური პოლიტიკა აირჩია და სტალინის, როგორც ღმერთის მიერ მოვლენილი ზეადამიანის, კულტის შექმნას მხარი აშკარად დაუჭირა.⁴⁷³ მართალია, ამ ნაბიჯით სახელმწიფომ ნება დართო ეკლესიას ეარსება მის ტერიტორიაზე, თუმცა მასზე ზენოლა, რა თქმა უნდა, არ შეწყეტილა⁴⁷⁴.

სამეცნიერო ათეიზმი, ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირის ოფიციალური რელიგია იყო⁴⁷⁵, — მსოფლმხედველობა, რომელიც ისწავლებოდა სკოლებში, ვრცელდებოდა მედიით, აქტიურად ეწეოდა პროპაგანდა ლიტერატურასა და ზოგადად, ხელოვნების ყველა დარგში.⁴⁷⁶ 1929 წლის 8 აპრილის კანონი კრძალავდა ნებისმიერი ეკლესიის დაფინანსებას, მატერიალურ დახმარებას, ასევე, რელიგიური გაერთიანებების მიერ ქონებრივი საკითხების უზრუნველყოფის მიზნით რაიმე ფონდის, კოოპერატივის ან კავშირის დაფუძნებას.⁴⁷⁷ მართალია, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციებით, ფორმალურად სახელმწიფო და ეკლესია ერთმანეთისგან გამიჯნული იყო, სახელმწიფო კი რელიგიის თავისუფლებას აღიარებდა, თუმცა პრაქტიკულად ეს ნებისმიერი რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავდა.⁴⁷⁸ საბჭოთა კავშირში სახელმწიფო აკონტროლებდა ეკლესიის ფინანსურ და იდეოლოგიურ საქმიანობას, ხოლო

⁴⁶⁸ ცაცანაშვილი მ., სახელმწიფო და რელიგია, თბილისი, 2001, 49.

⁴⁶⁹ Hirschl R., Comparative Constitutional Law and Religion, in: Comparative Constitutional Law, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Cheltenham, 2011, 423.

⁴⁷⁰ Földesi T., Religious Human Rights in Eastern Europe, "Emory International Law Review", Vol.10, 1996, 129.

⁴⁷¹ Bociurkiv B.R., Church and State in the Soviet Union, "International Law Journal", Vol.14, 1958-1959, 183.

⁴⁷² Földesi T., Religious Human Rights in Eastern Europe, "Emory International Law Review", Vol.10, 1996, 130.

⁴⁷³ Bociurkiv B.R., Church and State in the Soviet Union, International Law Journal, Vol.14, 1958-1959, 184-185; Anderson P.B., The Orthodox Church in Soviet Russia, Foreign Affairs, №39, 1960-1961, 304.

⁴⁷⁴ იქვე, 303-304. ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობების ახალი ერა დაიწყო, როცა კალინინმა გააჟღერა სახელმწიფოს ახალი პოლიტიკა: მოსკოვი მსოფლიოს სულიერი ცენტრი უნდა გამხდარიყო. Bennet E.M., The Russian Orthodox Church and the Soviet State, 1946-1956: A Decade of the New Orthodoxy, Journal of Church and State, Vol.7, No.3, 1963, 425.

⁴⁷⁵ მაისურაძე გ., მართლმადიდებლური ეთიკა და არათავისუფალი სული, თბილისი, 2013, 41.

⁴⁷⁶ Froese P., Forced Secularization in Soviet Russia: Why an Atheistic Monopoly Failed, Journal for the Scientific Study of Religion, Vol.43, №1, 2004, 35; სახელმწიფო ათეიზმი, როგორც პოლიტიკა, ფორმალურ დონეზე მაინც ძირითადად წარსულში ე.წ. „სოციალისტური დაჯგუფების“ ქვეყნებში არსებობდა. იხ., Temperman J., State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance, Leiden-Boston, 2010, 141.

⁴⁷⁷ Anderson P.B., The Orthodox Church in Soviet Russia, Foreign Affairs, №39, 1960-1961, 302.

⁴⁷⁸ იქვე.

კონკრეტულ პერიოდში განსაზღვრავდა კიდევ სასულიერო თანამდებობებზე პირთა დანიშვნის საკითხებს.⁴⁷⁹ საბჭოთა კავშირის რელიგიური პოლიტიკა მთელ სოციალისტურ ბანაკზე ვრცელდებოდა. აღმოსავლეთ გერმანიაში საეკლესიო პროექტთა უმრავლესობა, ეკლესიის მიერ სტუმრების მოწვევა, კონფერენციებზე გამგზავრება და ა.შ. სახელმწიფოს მკაცრი ზედამხედველობითა და მისი წინასწარი თანხმობის საფუძველზე ხორციელდებოდა.⁴⁸⁰

ანტირელიგიური პოლიტიკა თანამედროვე მსოფლიოშიც აქტუალურია. თანამედროვე ჩინეთი ფაქტობრივად ათეისტური ქვეყანაა სახელმწიფოებრივ დონეზე, თუმცა ეს კონსტიტუციაში ექსპლიციტურად არაა აღნიშნული, არამედ გამოდინარეობს თავად სახელმწიფოს პოლიტიკური ორგანიზაციიდან და იდეოლოგიიდან.⁴⁸¹ საინტერესო ფსევდოათეისტური მოდელი მოქმედებს ჩრდ. კორეაში, სადაც რელიგიური საკითხები კომუნისმის მოდიფიცირებული იდეოლოგიის — *ჩუჩხეს*, პრინციპების თანახმადაა მოწესრიგებული.⁴⁸²

შეიძლება ითქვას, ანტიეკლესიის მოდელი არადემოკრატიული, ფრანგული ლაიციზმის დამახინჯებით მიღებული სისტემაა, რომელიც ნებისმიერ რელიგიას სახელმწიფო მტრად აცხადებს. მართალია, ფორმალურად ეს სეკულარიზმია, მაგრამ ფაქტობრივად იგი ეწინააღმდეგება სეკულარიზმის მთავარ პრინციპს: სახელმწიფოსა და რელიგიის დამოუკიდებელ, სრულიად ავტონომიურ, მშვიდობიან თანაარსებობას.⁴⁸³ მართალია, სეკულარიზმის გაგება რელიგიისა და სახელმწიფოს ინსტიტუციურ განცალკევებას გულისხმობს,⁴⁸⁴ თუმცა მან არ უნდა მიიღოს ისეთი ფორმა და სახე, რომ მეტროდოლ ათეიზმს ან ანტირელიგიურ კამპანიას დაემსგავსოს.⁴⁸⁵ სეკულარიზმი არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც რომელიმე რელიგიის საწინააღმდეგო მოვლენა, რომლის მიზანი რელიგიურ ღირებულებათა სისტემის დაკნინებაა, რასაც ზოგიერთი მარგინალური ჯგუფი მიმართავს ხოლმე.⁴⁸⁶ სახელმწიფომ არა მხოლოდ არ უნდა შეუწყოს ხელი რელიგიას და წაახალისოს იგი, არამედ არ უნდა დაამკვიდროს ე.წ. „სეკულარიზმის რელიგია“, რომელიც არა-რელიგიურობას მიანიჭებს უპირატესობას.⁴⁸⁷

⁴⁷⁹ Földesi T., Religious Human Rights in Eastern Europe, Emory International Law Review, Vol.10, 1996, 130.

⁴⁸⁰ Burgess J.P., Church-State Relations in East Germany: The Church as a “Religious” and “Political” Force, Journal of Church and State, Vol.32, No.1, 1991, 19.

⁴⁸¹ Temperman J., State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance, Leiden-Boston, 2010, 141.

⁴⁸² იხ., იქვე, 143-144.

⁴⁸³ Berg Th.C., Colby K.W., Esbeck C.H., Garnett R.W., Religious Freedom, Church-State Separation, and the Ministerial Exception, “Northwestern University Law Review Colloquy”, Vol. 106, 2011, 182.

⁴⁸⁴ Abilmouna R., Reconciling the Hijab within Laïcité France, Journal of Islam Law and Culture, Vol.13, No.2-3, 2011, 124.

⁴⁸⁵ იხ., ბეგაძე მ., სეკულარიზმი: სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ჩარჩო, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №10, 2016, 110-111.

⁴⁸⁶ Calo Z.R., Pluralism, Secularism and the European Court of Human Rights, Journal of Law and Religion, Vol. 26, Iss. 1, 2010, 269; Ratzinger J., Pera M., Without Roots: The West, Relativism, Christianity, Islam, Basic Books, 2006, 128; Carle R., Pope Benedict XVI Confronts Religious Relativism, Culture and Society, Vol. 45, Iss. 6, 2008, 40.

⁴⁸⁷ Nord W.A., Religion, the First Amendment and Public Education, “BYU Journal of Public Law”, Vol. 8, 1994, 449; იხ., *School District of Abington Township v. Schempp*, 374 U.S. 203 (1963).

3.3.2.2. თანამშრომლობის მოდელი

3.3.2.2.1. თანამშრომლობის მოდელის კონცეფცია

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობების თანამედროვე განვითარებამ ახალ სივრცეებს მიაღწია და ბევრი განსაკუთრებული, ძალზე საინტერესო სახესხვაობა შექმნა. ამ ორი ინსტიტუტის ურთიერთგამიჯვნა, რა თქმა უნდა, მათ სრულიად გაუცხოებასა და ყოველგვარი კავშირის განწყვეტას არ გულისხმობს. ამის მცდელობა ყოვლად ხელოვნური და რაციონალურ საფუძველს მოკლებული იქნებოდა, რადგან სოციალურ მოვლენებს სოციალურად ის ფაქტი აქცევს, რომ ისინი მუდმივ საზოგადოებრივ ურთიერთობაში მონაწილეობენ. რელიგიის ჰეგემონიური როლი კარგა ხანია შეიცვალა, თუმცა მას კვლავაც დარჩა მნიშვნელოვანი გავლენა საზოგადოებაზე.⁴⁸⁸ რელიგიის სრული განდევნა საჯარო სფეროდან წარმოუდგენელია, იგი მუდმივად იქნება მონადინებული, შეასრულოს საჯარო მისია.⁴⁸⁹ მით უმეტეს ქრისტიანული ეკლესია, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში საზოგადოების განმსაზღვრელი როლი ეკავა, ფიზიკურად ვერ შეეგუება საჯაროდან კერძო სფეროში გადატანას, მას მუდამ ექნება პრეტენზია, იყოს სამოქალაქო საზოგადოების განუყოფელი ნაწილი და აქტიური მოთამაშე⁴⁹⁰.

სეკულარიზმის ამოსავალი იდეა სასულიერო და საერო საქმეთა განცალკევებაა, რაც, რა თქმა უნდა, ნეიტრალიტეტსაც გულისხმობს, თუმცა რელიგიური ნეიტრალიტეტის ფარგლებთან დაკავშირებით ერთიანი პოზიცია არ არსებობს⁴⁹¹. ეს სრულიად ბუნებრივიცაა, რადგან ბევრი ერის განვითარების ისტორიაში სახელმწიფო და ეკლესია იმდენად იყო გადაჯაჭვული, რომ ამ ფაქტორის არგათვალისწინება წარმოუდგენელია. ამიტომაც სეკულარიზმის ევროპული მიდგომა (ფრანგული ლაიციზმის გამოკლებით) მნიშვნელოვნად განსხვავდება ამერიკულისგან და სახელმწიფოსა და ეკლესიის მნიშვნელოვანი თანამშრომლობის შესაძლებლობას გულისხმობს. აღსანიშნავია ისიც, რომ ჯეფერსონის დროს ეკლესიაც და სახელმწიფოც საკმაოდ შეზღუდულები იყვნენ შესაძლებლობების მხრივ, შესაბამისად, მათ შორის „გამმიჯნავი კედელიც“ სხვა, დღევანდელისგან სრულიად განსხვავებულ დატვირთვას ატარებდა⁴⁹².

სეკულარიზმის ევროპული ტრადიცია, ამერიკულისგან განსხვავებით, ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის იდეაში მათ შორის ე.წ. „გამმიჯნავი კედლის“ აღმართვას

⁴⁸⁸ დეკანოზი ემანუელი (კლაპსისი), მართლმადიდებელი ეკლესია პლურალისტულ სამყაროში, დ. თინიკაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №1(28), 2009, 82.

⁴⁸⁹ ნოლი რ., რელიგიისა და რელიგიის თავისუფლების როლი თანამედროვე კონფლიქტურ სიტუაციებში, მ. პაკაცოშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №1, 2006, 28.

⁴⁹⁰ იხ., დეკანოზი ემანუელი (კლაპსისი), მართლმადიდებელი ეკლესია პლურალისტულ სამყაროში, დ. თინიკაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №1(28), 2009, 82.

⁴⁹¹ ერქვანია თ., სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთმიმართების სამართლებრივი კონტექსტი — ქართული მოდელი, მოკლე შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა ევროპული კავშირის მაგალითზე, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №6, 2013, 31; იხ. ციტირება: Walter Ch., Religions- und Gewissensfreiheit, In: Grote R., Maruhn Th. (Hrsg.), Konkordanzkommentar zum europäischen und deutschen Grundrechtsschutz, Tübingen, 2006, S.891 ff.

⁴⁹² Eighmy J.L., Institutional Support in a Welfare State: The Crisis in Church-State Relations, “Journal of Church and State”, №4(2), 1962, 169.

არ გულისხმობს, იგი ამ ორი ინსტიტუტის ურთიერთთავსებადობის იდეას ავითარებს.⁴⁹³ სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის ევროპული მოდელი, ისტორიული თავისებურებების გამო, ითვალისწინებს ტრადიციული რელიგიური გაერთიანებების პრიორიტეტის პრინციპს, რაც იმაში გამოიხატება, რომ კონკრეტული სახელმწიფო სოციალურ-ისტორიული, კულტურული ფაქტორებიდან გამომდინარე, ამა თუ იმ რელიგიურ ორგანიზაციას გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს.⁴⁹⁴ სეკულარიზმის ამ ფორმის უპირატესობა ევროპაში იმანაც განაპირობა, რომ „ევროპის რწმენა სახარებაში იყო ფესვგადგმული, მისი მეცნიერება და პოლიტიკური სტრუქტურა კი — ანტიკურობაში“⁴⁹⁵. სეკულარიზმის ევროპული, იგივე თანამშრომლობის — პლურალისტურ-კოოპერაციული მოდელის თანახმად, სახელმწიფო და ეკლესია ერთმანეთს ემიჯნებიან, მაგრამ მნიშვნელოვნად თანამშრომლობენ, ძირითადად სხვადასხვა ხელშეკრულების, შეთანხმების დადებისა და საკანონმდებლო შეღავათების უზრუნველყოფის გზით.⁴⁹⁶ მსგავს ურთიერთობას პროტექციონიზმსაც უწოდებენ, რადგან სახელმწიფო კონკრეტულ ეკლესიას ან ეკლესიებს განსაკუთრებულ სამართლებრივ სტატუსს ანიჭებს,⁴⁹⁷ რაც მათ განსაკუთრებულ, პრივილეგიურებულ მდგომარეობას გულისხმობს. რომაულმა ეკლესიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სახელმწიფო და ეკლესიის თანამშრომლობის (კოოპერაციის) სისტემის ჩამოყალიბებაში⁴⁹⁸. ეკლესიისა და სახელმწიფოს თანამშრომლობა ურთიერთპატივისცემას, კვალიფიკაციასა და კომპეტენტურობას უნდა ემყარებოდეს⁴⁹⁹.

ამ სისტემის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი ის გარემოებაა, რომ სახელმწიფო ეკლესიას ხშირად იყენებდა და დღემდე იყენებს სხვადასხვა ჰუმანიტარული თუ სახელმწიფოებრივი მიზნით.⁵⁰⁰ თუმცა ეს თანამშრომლობა არასდროს ყოფილა ცალმხრივი, — თავის მხრივ, სახელმწიფოც სერიოზულ დახმარებას უწევდა და უწევს ეკლესიას.⁵⁰¹

სახელმწიფოს მიერ რომელიმე რელიგიისადმი უპირატესობის მინიჭება ყოველთვის მაღალი რისკის შემცველია, რადგან „პოლიტიკა, რომელიც გამოარჩევს ამა თუ

⁴⁹³ სტეფანი ა., რელიგიისა და დემოკრატიის ურთიერთთავსებადობის შესახებ, დ. თინიკაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №2(29), 2009, 62.

⁴⁹⁴ ცაცანაშვილი მ., სახელმწიფო და რელიგია, თბილისი, 2001, 37.

⁴⁹⁵ მენი ა., რელიგია, „პიროვნების კულტი“ და სეკულარული სახელმწიფო, დ. თინიკაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №6(39), 2010, 78.

⁴⁹⁶ იხ., Cranmer F., Olivia J.G., Church-State Relationships - An Overview, Law and Justice, №162, 2009, 10-11.

⁴⁹⁷ საგინაშვილი ქ., მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების სამართლებრივი ასპექტები უცხო ქვეყნების მაგალითების ფონზე, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2001, 15.

⁴⁹⁸ Palomino R., The Role of Concordats Promoting Religious Freedom with Special Reference to Agreements in the Middle East, in: Ius Ecclesiarum Vehiculum Caritatis, Libreria Editrice Vaticana, 2004, 897.

⁴⁹⁹ ილუმენი პეტრე (მეჭერინოვი), ეკლესიისა და სახელმწიფოს თანამშრომლობის შესახებ, დ. თინიკაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №1(28), 2009, 94.

⁵⁰⁰ იხ., Rossouw G.J., Macamo Eu. jr., Church-State Relationship in Mozambique, Journal of Church and State, №35(3), 1993, 544-546. მაგ., ნორმანების მიერ ბრიტანეთის დაპყრობის შემდეგ, მონარქები ძალზე მჭიდროდ თანამშრომლობდნენ კენტრბერის მთავარეპისკოპოსთან, განსაკუთრებით, პერიფერიებისა და დაპყრობილი ტერიტორიების ეკლესიის კონტროლის საქმეში. Jones H., The Church in Wales: A church for the Welsh Nation, Law and Justice, №149, 2002, 135.

⁵⁰¹ მათ შორის ნორმალური ურთიერთობების არსებობისას, სახელმწიფო ხშირად ეხმარება ეკლესიას (საეკლესიო მართლმსაჯულების აღსრულებაშიც კი). იხ., საგინაშვილი ქ., საეკლესიო სასჯელების ისტორია, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2002, 21.

იმ მხარეს მისი მრწამსისა და აღმსარებლობის მიხედვით, სახიფათოა ამ მხარის ინდივიდუალური თუ ინსტიტუციონალური ავტონომიისათვის⁵⁰². მიუხედავად ამისა, ტრადიციული ევროპული დემოკრატიის ქვეყნები თანამშრომლობის მოდელს ხშირად მიმართავენ. რელიგიური ორგანიზაციების სტატუსის მიხედვით დიფერენციაცია არსებობს იტალიაში, გერმანიაში, ესპანეთში, ბელგიაში და ა.შ.⁵⁰³ მაგ., რომის კათოლიკურ ეკლესიას ძალიან ბევრ სახელმწიფოში უკავია პრივილეგიებული მდგომარეობა⁵⁰⁴. ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, სახელმწიფოსთან მიმართებით ყველა რელიგიის თანასწორობის პრინციპი არ გულისხმობს, რომ ყველა რელიგიამ აუცილებლად თანაბარი სტატუსით უნდა ისარგებლოს: სრულიად შესაძლებელია კონკრეტულ რელიგიასა თუ რელიგიურ ჯგუფს განსაკუთრებული სტატუსი ჰქონდეს, მთავარია, ამ ყოველივემ სხვათა რელიგიური უფლებები არ შელახოს.⁵⁰⁵ საჯარო ხელისუფლებას არ ევალება, ყველა რელიგიურ გაერთიანებას იდენტური სამართლებრივი სტატუსი მიანიჭოს.⁵⁰⁶ მას შეუძლია ითანამშრომლოს ცალკეულ რელიგიურ გაერთიანებასთან და მისი განსაკუთრებული პრივილეგიები უზრუნველყოს⁵⁰⁷.

შლაიერმახერი აღნიშნავდა, რომ რელიგია გერმანიის სახელმწიფოსა და გერმანელი ერის ისტორიის განუყოფელი ნაწილია.⁵⁰⁸ ალბათ, ამანაც განაპირობა, რომ ეკლესია-სახელმწიფოს გამიჯვნის თვასაზრისით, გერმანიამ პრორელიგიური, თანამშრომლობის მოდელი დაამკვიდრა.⁵⁰⁹ იგი სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობათა მოდელში შუალედურ პოზიციას იკავებს: ხელისუფლება და ეკლესია ერთმანეთისგან გამიჯნულია, თუმცა მათ შორის მჭიდრო თანამშრომლობაა.⁵¹⁰ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანელებისა და ამერიკელების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა რელიგიის სოციალური როლი ნაციზმის პერიოდში და მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობრივი ასპექტისა, გადაწყდა, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიის „ტრადიციული“ ურთიერთობების აღდგენა სასურველი იყო.⁵¹¹ ამიტომაც

⁵⁰² ევსთინი რ., სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის გზაჯვარედინზე. ქრისტიანული სამართლებრივი საზოგადოება (CLS) მარტინესის წინააღმდეგ, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №5, 2012, 8.

⁵⁰³ იხ., საგინაშვილი ქ., მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების სამართლებრივი ასპექტები უცხო ქვეყნების მაგალითების ფონზე, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2001, 16.

⁵⁰⁴ იხ., იქვე, 15.

⁵⁰⁵ ნოლი რ., რელიგიისა და რელიგიის თავისუფლების როლი თანამედროვე კონფლიქტურ სიტუაციებში, მ. პაკაცოშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №1, 2006, 28, იხ. ციტირება: რელიგიასა ან რწმენაზე დაფუძნებული შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაციის დანერგვა; საგანგებო მომხსენებლის, აბდელფატაჰ ამორის მიერ მომზადებული ანგარიში ადამიანის უფლებების აღსრულების კომისიასთან შეთანხმებით 1995/23, UN doc. E.CN.4/1996/95/Add.1, პარა.82 (1996).

⁵⁰⁶ *Canea Catholic Church v. Greece*, [ECTHR], App. no. 143/1996/762/963, 16 December 1997, Para.47.

⁵⁰⁷ *Iglesia Bautista 'El Salvador' and Jose Aquilino Ortega Maratilla v. Spain*, [ECHR], App. no. 17522/90, 11 January 1992.

⁵⁰⁸ Dawson J.F., Friedrich Schleiermacher and the Separation of Church and State, “Journal of Church and State”, Vol.7, No.2, 1965, 217.

⁵⁰⁹ Heckel M., Religious Human Rights in Germany, “Emory International Law Review”, Vol.10, 1996, 108.

⁵¹⁰ რობერტი გ., სახელმწიფო და ეკლესია გერმანიაში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერტის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 92.

⁵¹¹ Ramet S.P., Religion and Politics in Germany since 1945: The Evangelical and Catholic Churches, “Journal of Church and State”, №42, 2000, 117.

გერმანიამ რაციონალური გზა აირჩია, ძალაში დატოვა კონკორდატი წმინდა საყდართან და ფედერაციის სუბიექტებს სრული დისკრეცია მიანიჭა, თავად გადაწყვიტონ რელიგიური პრიორიტეტისა და ეკლესიებთან თანამშრომლობის საკითხი. ამასთან, სახელმწიფომ განსაზღვრა საერთო, ზოგადი სტანდარტი, რომელიც ყველამ უნდა დაიცვას რელიგიურ გაერთიანებებთან ურთიერთობაში. გერმანიაში სახელმწიფოსა და ეკლესიის თანამშრომლობა სამ პრინციპს ემყარება: ნეიტრალიტეტი (არ არსებობს სახელმწიფო ეკლესია), ტოლერანტობა (სახელმწიფო არა მხოლოდ არ უნდა ჩაერიოს რელიგიურ გაერთიანებათა შიდა საქმეებში, არამედ გაგებით მოეკიდოს მათ მოთხოვნებს, პოზიტიურად იმოქმედოს) და პარიტეტი (სახელმწიფო თანაბრად უნდა მოეპყრას ყველა რელიგიას, თუმცა კლასიფიცირებული პარიტეტის პრინციპი, ამავედროულად, სოციალური, კულტურული და ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებას გულისხმობს).⁵¹² გერმანია რელიგიურ გაერთიანებებთან თანამშრომლობს როგორც ფედერალურ, ისე მინების დონეზე და ეს თანამშრომლობა შეეხება რელიგიურ განათლებას სკოლებში, საღვთისმეტყველო ფაკულტეტებს უნივერსიტეტებში, საეკლესიო გადასახადებს, უძრავი ქონების სეკულარიზაციის კომპენსაციას, ძეგლთა დაცვას, რელიგიურ უქმეებს, მსჯავრდებულთა და სამხედროთა სულზე ზრუნვას და ა.შ.⁵¹³

ესპანეთი სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის მომხრეა, თუმცა კონსტიტუციაში მაინც ცალკეა გამოყოფილი ესპანელთა უმრავლესობისთვის მთავარი — კათოლიკური ეკლესია და სხვა დენომინაციები, სახელმწიფო ორივე მათგანთან სახელმწიფო აქტიურად თანამშრომლობს.⁵¹⁴ ფორმალური სეკულარიზმის მიუხედავად, ირლანდია სრულად სეკულარულ სახელმწიფოდ არ მიიჩნევა, სამართლებრივ და სოციალურ დონეზეც კათოლიკური ეკლესია განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობს.⁵¹⁵ რომის ეკლესიას განსაკუთრებული სტატუსი აქვს მინიჭებული პოლონეთში შეთანხმებით, ხოლო პერუში კონსტიტუციის მიხედვით.⁵¹⁶ ბელგიაში რელიგიათა ნაწილი სახელმწიფოს მიერ ოფიციალურადაა აღიარებული, რაც რელიგიის სოციალური როლით, მისი საზოგადოებრივი ღირებულებითა და მოსახლეობისადმი სამსახურის განწვევითაა გამართლებული.⁵¹⁷ რუმინეთის კანონმდებლობა რუმინეთის მართლმადიდებელ ეკლესიას ეროვნულ ეკლესიად აცხადებს და მართალია, ექსპლიციტურად არ განმარტავს ამ სტატუსის მნიშვნელობას, თუმცა მას გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებს⁵¹⁸.

⁵¹² იხ., რობერსი გ., სახელმწიფო და ეკლესია გერმანიაში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 92-93.

⁵¹³ იხ., Heckel M., Religious Human Rights in Germany, "Emory International Law Review", Vol.10, 1996, 108.

⁵¹⁴ Temperman J., State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance, Leiden-Boston, 2010, 101; Constitution of the Kingdom of Spain, 1987, Art.16(3).

⁵¹⁵ იქვე, 67.

⁵¹⁶ იქვე, 69.

⁵¹⁷ Van Haegendoren G., Alen A., The Constitutional Relationship Between Church and State, in: Treatise on Belgian Constitutional Law, Edited by A. Alen, Boston, 1992, 266. ბელგიაში აღიარებული რელიგიები იღებენ უფასო ტელე-რადიო სამაუწყებლო დროს, ნიშნავენ კაპელანებს შეიარაღებულ ძალებსა და სასჯელალსრულების დაწესებულებებში, რომელთა ანაზღაურებასაც სახელმწიფო უზრუნველყოფს. იხ., იქვე, 267.

⁵¹⁸ Morée P., Identity, Religion and Human Rights in the Balkans, The Macedonian Case of Archbishop Jovan in Its Broader Context, "Helsinki Monitor", Vol.16, 2005, 292.

საბჭოთა კავშირის არსებობის მიწურულს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობები შედარებით გამოსწორდა, გორბაჩოვის მონვევით რუსეთის პატრიარქი უკვე ოფიციალურ ღონისძიებებს ესწრებოდა. ეს პრაქტიკა შემდგომში პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც გავრცელდა.⁵¹⁹ ამით ფაქტობრივად ეკლესია-სახელმწიფოს თანამშრომლობის ახალი ეტაპი დაიწყო კომუნისტური ბანაკისათვის, რამაც შესაბამისი პრაქტიკული ასახვა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჰპოვა. პოსტკომუნისტური ბანაკის ქვეყნებმა, მართალია, აღიარეს ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის დემოკრატიული, ევროპულ-ამერიკული მოდელები, თუმცა, ვინაიდან ამ ქვეყნების უმრავლესობა ისტორიული, ძლიერი ეკლესიებით გამოირჩევა, სეკულარიზაციის პროცესს დღემდე თან სდევს სერიოზული წინააღმდეგობები.⁵²⁰ ამ ქვეყნებში ფაქტობრივი და ფორმალურ-სამართლებრივი მდგომარეობა ხშირად განსხვავდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეკლესიასთან ურთიერთობას ეხება.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა დადებითადაა შეფასებული, თუკი კონსტიტუცია: უზრუნველყოფს ადამიანის ძირითად უფლებებს, ადგენს თანაბარ მიდგომას (თანაბარი და არათანაბარი მიდგომა პროპორციულობის თვალსაზრისით განისაზღვრება), კრძალავს დემოკრატიულ პოლიტიკურ პროცესებში ნებისმიერი რელიგიის მონაწილეობას, აღიარებს რელიგიური არსებობის, ყოფის განსაკუთრებულ სტატუსს, უზრუნველყოფს ქვეყნის კულტურული ტრადიციის პატივისცემას.⁵²¹

3.3.2.2. სახელმწიფოსა და ეკლესიის თანამშრომლობის სამართლებრივი მექანიზმები

რელიგიის საკითხები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირიც კი თავს იკავებს წვერი ქვეყნებისთვის რაიმე მითითებისა თუ მონესრიგების დაწესებისაგან, უფრო მეტიც, ევროკავშირის სადამფუძნებლო ხელშეკრულებით სახელმწიფოებს სრული დისკრეცია აქვთ, თავად განსაზღვრონ რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფის მექანიზმები.⁵²² ამის მიზეზი ნათელია, — რელიგია სახელმწიფოს კულტურის, იდენტობისა და ისტორიის განუყოფელი ნაწილია და მასთან დაკავშირებული საკითხები თითოეულმა სახელმწიფომ ამ ელემენტების გათვალისწინებით უნდა მოაწესრიგონ.

ეკლესიასა და სახელმწიფოს თანამშრომლობა შეიძლება სამართლებრივად სამი მიმართულებით განვითარდეს: ა) კონკორდატები, ბ) შეთანხმებები და გ) კანონმდებლობა.⁵²³ თანამშრომლობის სამართლებრივი მექანიზმები შეიძლება დაიყოს საკანონმდებლო და სახელშეკრულებო მოდელებად. საკანონმდებლო მოდელი გულისხმობს თანამშრომლობის ნორმატიულ მონესრიგებას ექსკლუზიურად სახელმწიფოს

⁵¹⁹ Peyrouse S., *The Relationship between Church and State in the Post-Soviet World: The Case of Christianity in Central Asia*, "Journal of Church and State", №49, 2007, 101.

⁵²⁰ ცაცანაშვილი მ., სახელმწიფო და რელიგია, თბილისი, 2001, 50.

⁵²¹ იბ., Robbers G., *Church and State Relations in the Constitutions*, in: *Law, Religion, Constitution (Freedom of Religion, Equal Treatment, and the Law)*, Edited by Cr. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari, D. Thayer, 2013, 62.

⁵²² ერქვანია თ., სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთმიმართების სამართლებრივი კონტექსტი — ქართული მოდელი, მოკლე შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა ევროპული კავშირის მაგალითზე, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №6, 2013, 28.

⁵²³ ცაცანაშვილი მ., სახელმწიფო და რელიგია, თბილისი, 2001, 37.

სამართლებრივი ფორმებით, რაც ძირითადად ორ დონეზე ხორციელდება: მომეტებული ინტერესისა და განსაკუთრებული სტატუსის შემთხვევაში თანამშრომლობის საკითხები მოწესრიგებულია კონსტიტუციით, ხოლო კონსტიტუციაში განსაზღვრული დებულებების პრაქტიკული იმპლემენტაციისათვის, ასევე, ძირითადი კანონის მოწესრიგების არარსებობისას — კანონმდებლობით. სახელმეკრულებო მოდელი საკანონმდებლოს ანალოგიითაა სტრუქტურირებული და კონკორდატსა (მაღალი სახელმწიფოებრივი დონე) და შეთანხმებებს (კონკრეტულ სფეროში სახელმწიფოებრივი ან უწყებრივი დონე) გულისხმობს.

3.3.2.2.1. საკანონმდებლო მოდელი

3.3.2.2.1.1. საკონსტიტუციო დონე

სახელმწიფოთა უმრავლესობა რელიგიის თავისუფლების პრინციპებს საკონსტიტუციო დონეზე ადამიანის ძირითადი უფლებების ქრილში განსაზღვრავს. თუმცა მხოლოდ მათ გარკვეულ ნაწილს აქვს კონსტიტუციაში კონკრეტული რელიგიის ან ეკლესიის თაობაზე შესაბამისი დებულებები. ეს ძირითადად ის ქვეყნებია, რომლებიც სახელმწიფო ეკლესიის ან თანამშრომლობის სისტემებს მიეკუთვნებიან, ვინაიდან სწორედ ეს მოდელები გულისხმობს ეკლესიის იმგვარ სამართლებრივ სტატუსს, რომელიც უმაღლეს სახელმწიფო დონეზე უნდა იყოს განსაზღვრული.

სახელმწიფო ეკლესიის მოდელის ქვეყნების კონსტიტუციები სახელმწიფო ეკლესიისა და რელიგიის თაობაზე ნორმას კონსტიტუციის შესავალ ნაწილში, ზოგად დებულებებში ითვალისწინებენ. მსგავს პრაქტიკას მისდევს მაგ., არგენტინა, დანია.⁵²⁴ შესაძლებელია სახელმწიფო ეკლესიის ან „ტრადიციული“ რელიგიის შესახებ ნორმები ძირითადი უფლებების ქრილში იყოს განხილული რელიგიურ თავისუფლებასთან ერთად, როგორც ეს ბულგარეთის კონსტიტუციის შემთხვევაშია.⁵²⁵ საბერძნეთის კონსტიტუტია სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობებს ცალკე თავს უთმობს.⁵²⁶

თანამშრომლობის მოდელის სახელმწიფოთა დიდი ნაწილი, ასევე, საკონსტიტუციო დონეზე განსაზღვრავს პრივილეგირებულ ეკლესიასთან დაკავშირებით ზოგად დებულებას, მაგ., იტალია⁵²⁷, ესპანეთი⁵²⁸, საქართველო და სხვ. საქართველოს მოქმედმა კონსტიტუციამ სრულად უარყო საქართველოში სახელმწიფო რელიგიის არსებობის იდეა და ამ საკითხში რელიგიის თავისუფლებას მიანიჭა უპირატესობა,⁵²⁹ მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსი და მასთან ურთიერთობა კი ცალკე მუხლით მოაწესრიგა⁵³⁰.

⁵²⁴ Constitution of the Argentine Nation, 1853, Art.2, Constitutional Act of the Kingdom of Denmark, 1953, Sec.4.

⁵²⁵ Constitution of the Republic of Bulgaria, 1991, Art.13

⁵²⁶ Constitution of the Hellenic Republic, 1975, Section II.

⁵²⁷ Constitution of the Italian Republic, 1947, Art.7, Art.8.

⁵²⁸ Constitution of the Kingdom of Spain, 1978, sec.16(3)

⁵²⁹ იხ., ხეცურიანი ჯ., სახელმწიფო და ეკლესია, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2001, 10.

⁵³⁰ იხ., საქართველოს კონსტიტუცია, მე-9 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

ლიბერალური სეკულარიზმის, სრული გამიჯვნის მოდელის ქვეყნები ძირითადად მხოლოდ ადამიანის ძირითადი უფლებების კუთხით ადგენენ რელიგიის საკონსტიტუციო სტანდარტებს, თუმცა გამოწვევებიც არსებობს, რაც კონკრეტული სახელმწიფოს სოციალური და პოლიტიკური ფაქტორებითაა განპირობებული⁵³¹.

3.3.2.2.1.2. საკანონმდებლო დონე

სახელმწიფოსა და ეკლესიის თანამშრომლობა, ასევე, მათი ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტი ხშირად კანონმდებლობით განისაზღვრება. მსგავსი ნორმატიული მოწესრიგება საკონსტიტუციო დებულებების ან კონკორდატით გათვალისწინებული სახელმწიფო ვალდებულებების იმპლემენტაციის მიზნით იქმნება. კანონმდებლობით განისაზღვრება ეკლესიის სამართლებრივი სტატუსი, საკორპორაციოსამართლებრივი, საგადასახადო, შრომისსამართლებრივი, კულტურული მემკვიდრეობის, ძეგლთა დაცვის, საგარეო წარმომადგენლობის უზრუნველყოფის საკითხები. ხშირ შემთხვევაში შიდა სტრუქტურის, საეკლესიო მართლმსაჯულების განხორციელების მხრივ ეკლესიას სრული თავისუფლება აქვს მინიჭებული. მისი მიზნები და პრინციპები საეკლესიო სამართლით განისაზღვრება, ხოლო პრაქტიკული საქმიანობა, კანონიკურთან ერთად, საეროსამართლებრივ მოწესრიგებასთან უნდა იყოს შესაბამისობაში⁵³².

სახელმწიფოთა ნაწილში სახელმწიფო-ეკლესიის ურთიერთობისა და თანამშრომლობის საკითხები სპეციალური კანონმდებლობით წესრიგდება. მაგ., რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობა შვედეთში მოწესრიგებულია „კონფესიებისა“ და „შვედეთის ეკლესიის“ აქტებით,⁵³³ თუმცა ამ უკანასკნელის შემთხვევაში სახელმწიფო შვედეთის ეკლესიის შიდა მოწყობასა და საქმიანობასაც განსაზღვრავს. მსგავსი მდგომარეობა სახელმწიფო ეკლესიის მოდელის ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით, ტრადიციულ ევროპულ სახელმწიფოებში (მაგ., ინგლისი, შოტლანდია, დანია და სხვ.), ტიპურია. რელიგიასთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკა უკრაინაში „სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ“ სპეციალური კანონითაა განსაზღვრული.⁵³⁴ წმინდა საყდრის გარდა, ყველა რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი სტატუსი იტალიაში განისაზღვრება 1929 წლის 24 ივნისის

⁵³¹ მაგ., კვიპროსში არ არსებობს სახელმწიფო ეკლესია და მართალია, მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელია, მაგრამ მუსლიმებიც სერიოზულ ჯგუფს შეადგენენ, ამიტომაც კონსტიტუციის დონეზეა განსაზღვრული ამ ორი რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენელთა უფლებები. იხ., ემილიანიდესი ა., სახელმწიფო და ეკლესია კვიპროსში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 271; Constitution of the Republic of Cyprus, 1960, Art. 23(9)(10), Art.87, Art.110.

⁵³² ხეცურიანი ჯ., ქართული ეკლესიის კონსტიტუციური საფუძვლები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2002, 13.

⁵³³ ფრიდნერი ლ., სახელმწიფო და ეკლესია შვედეთში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 622.

⁵³⁴ Yalensky V., Religion, Church, and State in the Post-Communist Era: The Case of Ukraine (with Special References to Orthodoxy and Human Rights), “Brigham Young University Law Review”, №2, 2002, 480.

№1159 კანონისა და ასოციაციების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.⁵³⁵ სპეციალური კანონები მოქმედებს ავსტრიაში, საფრანგეთში, ნორვეგიაში, ესპანეთში და ა.შ.

3.3.2.2.2. სახელმწიფოებო მოდელი

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობათა სახელმწიფოებო ფორმით განსაზღვრა მიღებული პრაქტიკაა და მსგავსი მექანიზმი, საკანონმდებლო მონესრიგებასთან შედარებით, გაცილებით მყარად მიიჩნევა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ხელისუფლება იზღუდება სახელმწიფოებო ვალდებულებით და მას ცალმხრივად ვერ გააუქმებს.⁵³⁶ სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ ავსტრიასა და წმინდა საყდარს შორის დღემდე მოქმედებს ავსტრიის მიერ დადებული კონკორდატი. მართალია, 1950-იან წლებში კანცლერმა მიმართა რომის პაპ პიუს XII კონკორდატის გაუქმების თხოვნით, მაგრამ პაპისგან უარი მიიღო, რის გამოც ხელმწიფოებო დღემდე ძალაშია, თუმცა მასში შემდგომი შეთანხმებით გარკვეული ცვლილებები განხორციელდა.⁵³⁷

გერმანიაში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობები ფედერალურ და ფედერაციის სუბიექტების დონეზე გაფორმებული კონკორდატითა და შეთანხმებებით წესრიგდება.⁵³⁸ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის თანამშრომლობა, ხელმწიფოებების დადება და დაფინანსება ძირითადად ფედერაციის სუბიექტების დონეზეა მონესრიგებული, ფედერალურ მინებს სრული თავისუფლება აქვთ, თავიანთი ურთიერთობა ამა თუ იმ რელიგიურ ორგანიზაციასთან სამართლებრივად გააფორმონ, რასაც აქტიურად იყენებენ კიდევ პრაქტიკაში⁵³⁹.

სახელმწიფოებო მოდელში ორი მთავარი სამართლებრივი მექანიზმი გამოირჩევა. უპირველეს ყოვლისა, ეს არის წმინდა საყდრის მიერ კარგად აპრობირებული კონკორდატი (კონსტიტუციური შეთანხმება), რომელიც საუკუნეების განმავლობაში გამოცდილი და გამოყენებადი საშუალებაა და სხვა ქრისტიანულმა ეკლესიებმაც გადაიღეს. კონკორდატის გარდა, შესაძლებელია სახელმწიფოსა და ეკლესიის თანამშრომლობა განისაზღვრობდეს ჩვეულებრივი ხელმწიფოებოებით, მემორანდუმებით, შეთანხმებებით, რომლებიც ძირითადად ურთიერთობათა კონკრეტულ სფეროს ეხება.

3.3.2.2.2.1. კონკორდატი

კონკორდატი, თავისი არსით, შეთანხმებაა, რომელიც რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით იდება და იგი ძირითადად წმინდა საყდართან ასოცირდება, რომელიც

⁵³⁵ ფერარი ს., სახელმწიფო და ეკლესია იტალიაში, ნიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მეორე გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 247.

⁵³⁶ იხ., ხეცურანი ჯ., სახელმწიფო და ეკლესია, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2001, 11.

⁵³⁷ ავსტრიის სახელმწიფოსა და წმინდა საყდარს შორის ურთიერთობა 1933 წლის კონკორდატითა და 1996 წლის ჩათვლით რამდენიმე დამატებითი ოქმისა და შეთანხმებების საფუძველზეა მონესრიგებული. იხ., პოზტი რ., სახელმწიფო და ეკლესია ავსტრიაში, ნიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 455.

⁵³⁸ Listl J., Church-State Relations in Germany, “The Jurist”, №56, 1997, 907.

⁵³⁹ რობერსი გ., სახელმწიფო და ეკლესია გერმანიაში, ნიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 91.

საუკუნეების განმავლობაში სახელმწიფოსთან ურთიერთობებისთვის მსგავს სა-მართლებრივ მექანიზმს გამოიყენებდა. ზოგადად, კონკორდატი ორმხრივი ხელშეკრულებაა, რომელსაც სახელმწიფო და წმინდა საყდარი დებენ და რომელიც ქვეყანაში რომის კათოლიკური ეკლესიის სტატუსს, მის საფინანსო, რელიგიურ, სა-კუთრებასთან და რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს⁵⁴⁰. მისი შინაარსი მრავალფეროვანია, მათი საშუალებით შესაძლებელია რელიგიის თავისუფლების განსხვავებული გაგება იყოს შეთავაზებული, ეკლესიისა და სახ-ელმწიფოს ურთიერთობების რომელიმე გავრცელებული მოდელის დამკვიდრების გა-რეშეც⁵⁴¹.

თავდაპირველი კონკორდატები სასულიერო და საერო ხელისუფლებათა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფას ემსახურებოდა, თუმცა შემდგომში მათ რომის პაპების საერო ძალაუფლებით აღჭურვაც გაითვალისწინეს.⁵⁴² ეკლესიის მნიშვნელოვანი ძალაუფლების გამო ხშირად იძაბებოდა ურთიერთობა ევროპაში.⁵⁴³ დამოუკიდებელი რელიგიური გაერთიანებების არსებობამ მმართველებს დაანახა, რომ ისინი სამართლის უპირობო წყაროს არ წარმოადგენდნენ.⁵⁴⁴ ეკლესიასთან დაპირისპირების მთავარი მიზეზი არა სასულიერო საკითხები, არამედ ბატონობის სტაბილურობისა და სიმყარის სურვილი იყო, რომელიც უკვე მხოლოდ საერო ხელისუფლებაზე აღარ იყო დამოკიდებული. საერო და სასულიერო ძალაუფლების გამიჯვნისა და დაბალანსების მცდელობა იყო ინგლისის მეფე ჰენრი I და ანსელმ კენ-ტერბერიელს შორის დადებული 1107 წლის კონკორდატი.⁵⁴⁵ 1122 წელს დაიდო ვორმსის კონკორდატი იმპერატორ ჰაინრიხ V და პაპ კალიქსტუს II შორის.⁵⁴⁶ თუმცა ვორმსის კონკორდატი მალევე დაარღვიეს ჰოფენშტაუფენის დინასტიის იმპერატო-რებმა — ფრიდრიხ I ბარბაროსამ და ფრიდრიხ II⁵⁴⁷.

მართალია, სიტყვა „კონკორდატი“ ხსენებული შეთანხმებები მოიხსენიებოდა და შუა საუკუნეებში საკმაოდ გავრცელებული მოვლენა იყო, თუმცა კლასიკური კონკორდატის ინსტიტუტი, როგორც იგი თანამედროვე საეკლესიო სამართალსა

⁵⁴⁰ Ryngaert C., *The Legal Status of the Holy See*, “Goettingen Journal of International Law”, №3, 2011, 844.

⁵⁴¹ Petkoff P., *Legal Perspectives and Religious Rights Under International Law in the Vatican Concordats (1963-2004)*, “Law & Justice - Christian Law Review”, Vol.158, 2007, 40.

⁵⁴² Palomino R., *The Role of Concordats Promoting Religious Freedom with Special Reference to Agreements in the Middle East*, in: *Ius Ecclesiarum Vehiculum Caritatis*, Libreria Editrice Vaticana, 2004, 893.

⁵⁴³ ჰაინრიხ IV და გრიგოლ VII შორის იმდენად რთული დამოკიდებულება იყო, რომ მას რამდენჯერმე ომიც კი მოჰყვა, რაც, საბოლოოდ საღვთო რომის იმპერიასა და რომის პაპს შორის 1122 წლის ვორმსის კონკორდატით დასრულდა. საფრანგეთის მეფე ფრანცისკ I და რომის პაპ ლეო X შორის დადებული ბოლონიის კონკორდატით მეფემ მიიღო ეპარქიებში თანამდებობის პირების პირდაპირ, კანონიკური წესების გვერდის ავლით დანიშვნის უფლება — ეს ყოველივე ეკლესიის მიმართ შუა-საუკუნეობრივი სახელმწიფო პოლიტიკის შედეგი იყო. იხ., ნარინდოშვილი მ., გოგელია ვ., ჯულაყიძე თ., ჯაში ზ., გლურჯიძე ე., *რელიგიის თავისუფლება, თბილისი, 2004*, 31; სპიკერი მ., ქრისტიანობა და თავისუფალი კონსტიტუციური სახელმწიფო, ზ. იაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლო-იდარობა“, №5(32), 2009, 82; Costigan R.F., *State Appointment of Bishops*, “Journal of Church and State”, №8(1), 1966, 88-89; McCauliff C.M.A., Dreyfus, Laïcité and the Burqa, *Connecticut Journal of International Law*, Vol.28, 2012, 123.

⁵⁴⁴ Fukuyama F., *The Origins of Political Order, From Prehuman Times to the French Revolution*, London, 2012, 273.

⁵⁴⁵ Van Caenegem R.C., *An Historical Introduction to Western Constitutional Law*, Cambridge, 1995, 70.

⁵⁴⁶ იქვე.

⁵⁴⁷ იქვე.

და კონსტიტუციონალიზმში აღიქმება, ნაპოლეონის სახელს უკავშირდება.⁵⁴⁸ ბონა-პარტესა და რომის ეკლესიას შორის კონკორდატი 1801 წელს დაიდო და მან ნაპოლეონს ეკლესიაზე სერიოზული პოლიტიკური ძალაუფლება შესძინა⁵⁴⁹.

არსებობდა მოსაზრება, რომ კონკორდატი სამართლებრივად არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენდა, თუმცა თანამედროვე სამართალში აღიარებულია, რომ იგი თანაბარი სტატუსის მქონე მხარეების მიერ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებაა, ვინაიდან წმინდა საყდარი საერთაშორისო სამართლის სუბიექტია.⁵⁵⁰ რა თქმა უნდა, იგივე არ ითქმის იმ კონკორდატებზე, რომლებსაც სახელმწიფოები სხვა ქრისტიანულ ეკლესიებთან დებენ. თანამედროვე კონკორდატებმა ძალზე გააფართოვეს რელიგიური თავისუფლების ცნების ფარგლები, რაც სხვა რელიგიური გაერთიანებებისა და ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის სასარგებლოა.⁵⁵¹ თუმცა XX საუკუნეში კონკორდატების როლი საკმაოდ ორაზროვნად აღიქმება დიქტატორულ რეჟიმებთან ვატიკანის ურთიერთობის გამო⁵⁵².

რომის პაპსა და იტალიას შორის დაძაბულობა და მუდმივი კონფლიქტი ლატერანის ხელშეკრულებით დასრულდა, რომლის საფუძველზეც იტალიამ აღიარა წმინდა საყდარი, მისი სუვერენიტეტი და ეკლესიის ფაქტობრივი გავლენა სამართლებრივად გააფორმა.⁵⁵³ ლატერანის ხელშეკრულებამდე არცერთი კონკორდატის შინაარსი ასე შორს არ წასულა: იტალიამ ხელშეკრულებით არა მარტო წმინდა საყდრის სუვერენიტეტი სცნო, არამედ კათოლიციზმი მთელ სახელმწიფოში ერთადერთ სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.⁵⁵⁴ 1984 წელს იტალიის სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დაიდო ვილა მადამას ხელშეკრულება, რომელმაც სრულიად განსხვავებული მონესრიგება დაადგინა და ლატერანის ხელშეკრულების პრინციპები ჩაანაცვლა.⁵⁵⁵

⁵⁴⁸ გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, თბილისი, 2013, 45.

⁵⁴⁹ Géraud A., The Lateran Treaties: A Step in Vatican Policy, "Foreign Affairs", №7, 1928-1929, 572.

⁵⁵⁰ Ryngaert C., The Legal Status of the Holy See, "Goettingen Journal of International Law", №3, 2011, 844.

⁵⁵¹ Palomino R., The Role of Concordats Promoting Religious Freedom with Special Reference to Agreements in the Middle East, in: *Ius Ecclesiarum Vehiculum Caritatis*, Libreria Editrice Vaticana, 2004, 894.

⁵⁵² მაგ., წმინდა საყდარი კრიტიკის ქარცეცხლში გაეხვა ჰიტლერთან დადებული კონკორდატის გამო, მას ნაციზმთან შემრიგებლურ დამოკიდებულებაში ადანაშაულებდნენ. ამის პასუხად, ვატიკანს ხშირად მოაქვს პაპ პიუს XII 1939 წლის ენციკლიკური წერილი, რომელშიც წმინდა საყდარი მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ იუწყება. და ადამიანთა რასების ერთიანობის იდეის წინააღმდეგ მიმართულ თეორიებს გმობს. ამასთან, 1930-31 წლებში რომის ეკლესიის ეპისკოპოსები ნაციონალ-სოციალისტურ მიდგომებს ლიად უპირსპირდებოდნენ. წმინდა საყდარს კონკორდატები გაფორმებული აქვს ფრანკოსთან და სალაზართანაც, რაც დღემდე, ნაცისტებთან ურთიერთობის ფაქტთან ერთად, ვატიკანის მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთი მთავარი არგუმენტია. იხ., Ramet S.P., Religion and Politics in Germany since 1945: The Evangelical and Catholic Churches, "Journal of Church and State", №42, 2000, 119; Encyclical "Summi Pontificatus" of His Holiness Pope Pius XII to Our Venerable Brethren: The Patriarchs, Primate, Archbishops, Bishops, and Other Ordinaries in Peace and Communion with the Apostolic See on the Unity of Human Society, 20 October, 1939, Para.71; Gurian W., Hitler's Undeclared War on the Catholic Church, "Foreign Affairs", №16, 1937-1938, 260.

⁵⁵³ ფერარი ს., სახელმწიფო და ეკლესია იტალიაში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 243. ხელშეკრულების თაობაზე მუსოლინისა და პიუს XI შორის მოლაპარაკებები 1926 წლის აგვისტოში დაიწყო და თითქმის ორ წელიწად-ნახევარი გასტანა. O'Brien A.C., Benito Mussolini, Catholic Youth, and the Origins of the Lateran Treaties, "Journal of Church and State", №23, 1981, 117.

⁵⁵⁴ Géraud A., The Lateran Treaties: A Step in Vatican Policy, "Foreign Affairs", №7, 1928-1929, 578.

⁵⁵⁵ ფერარი ს., სახელმწიფო და ეკლესია იტალიაში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 246.

კონკორდატის ცვლილებებთან ერთად, განქორწინების შემოღებამ და აბორტების დაკანონებამ რადიკალურად შეცვალა წმინდა საყდრის პოზიციები და მთლიანად იტალიური საზოგადოება.⁵⁵⁶ თუკი წმინდა საყდარსა და იტალიას შორის ლატერანტის ხელშეკრულების დადება, იტალიის გაერთიანების პერიოდიდან მოყოლებული, გაფუჭებული ურთიერთობების აღდგენის პირველი მცდელობა იყოს, ვილა მადამას შეთანხმება უკვე თანამედროვეობის გამოძახილს წარმოადგენდა⁵⁵⁷.

წმინდა საყდარსა და ესპანეთს შორის კონკორდატი 1953 წელს დაიდო, თუმცა იმდენად ცუდი ფორმით, რომ 1976 წელს იგი ახალი შეთანხმებით ჩაანაცვლეს, რომლითაც ესპანეთში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის სრულიად ახალი სისტემა ჩამოყალიბდა.⁵⁵⁸ ამას მოჰყვა 1978 წლის დემოკრატიული კონსტიტუციის მიღება და შედეგად, ეკლესია-სახელმწიფოს თანამშრომლობის „ნაკლებად აგრესიული სისტემა“ დამკვიდრდა, თუმცა კათოლიციზმი დღემდე ესპანური თვითმყოფადობის, კულტურისა და საზოგადოების განუყოფელ ნაწილად რჩება⁵⁵⁹. დემოკრატიული პროცესების შედეგად თანამედროვე ესპანეთი თანამშრომლობს სხვა ქრისტიანულ ეკლესიებთანაც (და არამართო) შესაბამისი შეთანხმებების საფუძველზე⁵⁶⁰.

რომის ეკლესიასთან თანამშრომლობის ძირითადი საკითხები გერმანიაში დღემდე 1933 წლის კონკორდატით განისაზღვრება, თუმცა ფედერაციის სუბიექტებს დამატებით წმინდა საყდართან და ქრისტიანულ ეკლესიებთან სხვა ხელშეკრულებებიც აქვთ დადებული. რომის ეკლესიასა და გერმანიას შორის კონკორდატებითაა მონესრიგებული არა მხოლოდ თანამშრომლობა, არამედ ეპისკოპოსების დანიშვნა და მთელი რიგი პროცედურული საკითხები.⁵⁶¹ 1933 წლის კონკორდატი, მართალია, ნაციონალ-სოციალისტების მმართველობის პერიოდში დაიდო, თუმცა მისი რეალური აღსრულება მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დაიწყო, რადგან კონკორდატის დადების შემდეგაც კი, შეთანხმების არსებობის მიუხედავად, ნაცისტურ გერმანიაში მიღებული კანონები პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა წმინდა საყდრის ოფიციალურ პოზიციებს, მათ შორის, ქორწინებასთან დაკავშირებულ საკითხებს,⁵⁶² რომლებიც პიუს XI ენციკლიკაში იყო მოცემული⁵⁶³. ვატიკანის მიერ კონკორდატების დადება თავდაპირველად ტრადიციული

⁵⁵⁶ იქვე, 244.

⁵⁵⁷ Francis J. G., The Evolving Regulatory Structure of European Church-State Relationships, "Journal of Church and State", №4, 1992, 785.

⁵⁵⁸ იბანი ი.ს., სახელმწიფო და ეკლესია ესპანეთში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 167.

⁵⁵⁹ Morán G.M., The Spanish System of Church and State, "Brigham Young University Law Review", №2, 1995, 537.

⁵⁶⁰ იქვე, 538. იბ. ი.ს., სახელმწიფო და ეკლესია ესპანეთში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 168-169.

⁵⁶¹ Reichskonkordat (გერმანიის რაიხთან) და Preußisches Konkordat (პრუსიის იმპერიასთან). იბ., Listl J., Church-State Relations in Germany, "The Jurist", №56, 1997, 908.

⁵⁶² Gurian W., Hitler's Undeclared War on the Catholic Church, "Foreign Affairs", №16, 1937-1938, 261.

⁵⁶³ განსაკუთრებული წინააღმდეგობა წარმოშვა „სტერილიზაციის შესახებ“ კანონმა და გერმანიის მთავრობის დამოკიდებულებამ. წმინდა საყდრის პოზიცია იბ., Encyclical "Casti Connubi" of Pope Pius XI to the Venerable Brethren: The Patriarchs, Primates, Archbishops, Bishops, and Other Ordinaries Enjoying Peace and Communion with the Apostolic See on Christian Marriage, 31 December, 1930.

კათოლიკური ქვეყნებით დაიწყო, თუმცა შემდეგ გაგრძელდა პოსტკომუნისტური, ასევე, არაქრისტიანული სახელმწიფოებით⁵⁶⁴.

3.3.2.2.2.2. შეთანხმებები

კონკორდატის გარდა, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის თანამშრომლობა ხშირად ჩვეულებრივი შეთანხმებებითა და მემორანდუმებითაც ფორმდება. შეთანხმება უფრო მოქნილი და ეფექტური სამართლებრივი მექანიზმია, რომელიც, ძირითადად, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის უკვე არსებულ კონკორდატს ეფუძნება.⁵⁶⁵ თუმცა ეს არ არის აუცილებელი და სრულიად შესაძლებელია შეთანხმებები კონკორდატის არარსებობის პირობებშიც დაიდოს. მსგავს სამართლებრივ პრაქტიკას ძალიან ბევრი სახელმწიფო მიმართავს.

სახელმწიფო ხელისუფლება თავისუფალია ეკლესიასთან შეთანხმების დადების საკითხში, თუ სპეციალური კანონმდებლობით სხვა რამ არაა განსაზღვრული. შესაძლებელია საკონსტიტუციო დონეზე სახელმწიფო ვალდებულებას იღებდეს, ითანამშრომლოს ეკლესიასთან. მაგ., იტალიის სახელმწიფოს სრული დისკრეცია აქვს, თავად გადაწყვიტოს, დადებს თუ არა რაიმე სახის ხელშეკრულებას რომელიმე რელიგიურ გაერთიანებასთან.⁵⁶⁶ ეს, ერთი მხრივ, დადებითი მოვლენაა, რადგან სახელმწიფოს ლავირების საშუალებას აძლევს სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, აირჩიოს, ვისთან ითანამშრომლოს, თუმცა, მეორე მხრივ, ძალიან დიდი რელიგიურ გაერთიანებათა დისკრიმინაციის საფრთხე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთ ეკლესიასთან შეთანხმება ან თუნდაც, კონკორდატი, არ ზღუდავს სახელმწიფოს, დადოს შეთანხმებები სხვა ეკლესიებთან თუ რელიგიურ გაერთიანებებთან. მაგ., წლების განმავლობაში ესპანეთის ხელისუფლებამ სხვადასხვა რელიგიურ გაერთიანებასთან სხვადასხვა შინაარსის ხელშეკრულება დადო, შესაბამისად, ძალზე ბევრი რელიგიური ორგანიზაცია სხვადასხვა პრივილეგიითა და შეღავათით სარგებლობს⁵⁶⁷.

3.3.2.3. შერეული (ჰიბრიდული) მოდელი

სახელმწიფოთა ნაწილი თანხმდება, რომ სამართალი რელიგიისგან ავტონომიური უნდა იყოს და შესაბამისად, სეკულარული საფუძვლებიც უნდა ჰქონდეს.⁵⁶⁸ მიუხედავად, ამიტა, თანამედროვე მსოფლიოში არსებობს ე.წ. შერეული სისტემები, რომლებიც, მართალია, ფორმალურად ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის პრინციპს

⁵⁶⁴ Petkoff P., *Legal Perspectives and Religious Rights Under International Law in the Vatican Concordats (1963-2004)*, "Law & Justice - Christian Law Review", Vol.158, 2007, 39.

⁵⁶⁵ Palomino R., *The Role of Concordats Promoting Religious Freedom with Special Reference to Agreements in the Middle East*, in: *Ius Ecclesiarum Vehiculum Caritatis*, Libreria Editrice Vaticana, 2004, 897.

⁵⁶⁶ ფერარი ს., სახელმწიფო და ეკლესია იტალიაში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 248.

⁵⁶⁷ იბანი ი.ს., სახელმწიფო და ეკლესია ესპანეთში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 168-169.

⁵⁶⁸ Calo Z.R., *Pluralism, Secularism and the European Court of Human Rights*, "Journal of Law and Religion", Vol. 26, Iss. 1, 2010, 279; Modak-Truman M. C., *Beyond Theocracy and Secularism (Part I): Toward a New Paradigm for Law and Religion*, "Mississippi College Law Review", Vol. 27, 2007, 201.

ადგენენ, თუმცა ფაქტობრივი მდგომარეობა სრულიად განსხვავებულია.⁵⁶⁹ ამის გამოწვევი მთავარი მიზეზი ისაა, რომ საზოგადოებებში, სადაც ინდივიდუალური სეკულარიზმის დაბალი დონეა, რელიგიური ავტორიტეტები განსაზღვრავენ ინდივიდების მოქმედებების ძირითად მიმართულებებს.⁵⁷⁰ სწორედ ამიტომ რელიგიისა და სახელმწიფოს *de facto* ურთიერთობები შესაძლოა სრულებით არ შეესაბამებოდეს რელიგია-სახელმწიფოს ურთიერთობების *de jure* მონესრიგებას.⁵⁷¹ მაგ., ირლანდია სრული ურთიერთგამიჯვნის მოდელს წარმოადგენს და კათოლიციზმის თაობაზე დებულებები კონსტიტუციიდან 1973 წელს ამოიღეს,⁵⁷² თუმცა რომის კათოლიკური ეკლესიის ფაქტობრივი გავლენა ხელისუფლებაზე გაცილებით დიდია, ვიდრე, მაგ., საბერძნეთში, სადაც სახელმწიფო ეკლესია არსებობს.⁵⁷³ „შვედური პარადოქსის“ სახელითაა ცნობილი შემთხვევა, როდესაც მოსახლეობის დიდი ნაწილი მორწმუნე არაა, თუმცა დომინანტი ეკლესიის წევრია⁵⁷⁴ და მათ ცხოვრებაში ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნადაა ინტეგრირებული.⁵⁷⁵ მიუხედავად მსგავსი მდგომარეობისა, შვედეთი ერთ-ერთი ყველაზე სეკულარული სახელმწიფოა და ეკლესია მის პოლიტიკაზე ფაქტობრივ ზეგავლენას ვერ ახდენს. სახელმწიფო პოლიტიკით, რელიგიის ადგილი პირადი ცხოვრების სფეროში განისაზღვრება⁵⁷⁶.

შერეულ მოდელს მიეკუთვნებიან ისეთი ქვეყნები, რომლებსაც, როგორც წესი, შეთანხმებების დონეზეც კი არა აქვთ თანამშრომლობა ეკლესიასთან თუ რელიგიურ ორგანიზაციებთან. შერეული სისტემის წარმომადგენელია რუსეთი, სადაც მართლმადიდებელ ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის ძალიან „თხელი გამმიჯნავი კედელია“, მათი ქმედებები ხშირად ერთმანეთს თანხვდება.⁵⁷⁷ თანამედროვე რუსული ეკლესია ფაქტობრივი უპირატესი ეკლესიის სტატუსითაა და დღესდღეობით გაცილებით მეტად ექვემდებარება სახელმწიფოსა და ხელისუფლებას, ვიდრე ადრინდელ ეპოქაში, იგი „პუტინის რეჟიმისა“ და ანტიდასავლური განწყობის სერიოზულ მხარდაჭერად აღიქმება.⁵⁷⁸ მართლმადიდებელი ქრისტიანები განაპირობებენ რუსეთის პოლიტიკას კულტურული, რელიგიური, სამოქალაქო და სხვა მიმართულებებით, შესაბამისად, მართლმადიდებელი ეკლესია არ შეიძლება ერთ-ერთ რიგით რელიგიურ ორგანიზაციად იქნეს მიჩნეული⁵⁷⁹.

⁵⁶⁹ იხ., Cranmer F., Olivia J.G., Church-State Relationships - An Overview, “Law and Justice”, №162, 2009, 14.

⁵⁷⁰ იხ., Chaves M., Secularization as Declining Religious Authority, “Social Forces”, Vol.72, No.3, 1994, 760.

⁵⁷¹ Ahdar R., Leigh I., Religious Freedom in the Liberal State, 2nd Ed., Croydon, 2015, 88.

⁵⁷² იხ., Constitution of the Republic of Ireland, 1937, Fifth Amendment of the Constitution Act of the Republic of Ireland, 1972.

⁵⁷³ იხ., რობერსი გ., სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ნიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მეორე გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 665.

⁵⁷⁴ 1996 წლამდე შვედეთი ყოველი ახალდაბადებული მოქალაქე შვედეთის ეკლესიის წევრი ავტომატურად ხდებოდა. Jänterä-Jareborg M., The Legal Scope for Religious Identity in Family Matters - The Paradoxes of the Swedish Approach, in: The Place of Religion in Family Law: A Comparative Search, Edited by J. Mair and E. Örtücü, Antwerp-Portland, 2011, 78.

⁵⁷⁵ იქვე, 77.

⁵⁷⁶ იქვე, 76.

⁵⁷⁷ იხ., Marsh C., Russian Orthodox Christians and Their Orientation toward Church and State, “Journal of Church and State”, №47, 2005, 558-559.

⁵⁷⁸ Blitt R.C., One New President, One New Patriarch, and a Generous Disregard for the Constitution: A Recipe for the Continuing Decline of Secular Russia, “Vanderbilt Journal of Transnational Law”, Vol.43, 2010, 1340.

⁵⁷⁹ Marsh C., Russian Orthodox Christians and Their Orientation toward Church and State, “Journal of Church and State”, №47, 2005, 560.

შერეული მოდელი ავტომატურად არადემოკრატიულს არ გულისხმობს, თუმცა სინამდვილისა და სამართლებრივი მოწესრიგების არათანხვედრა, მათ შორის მნიშვნელოვანი ცდომილებით, ნამდვილად არცერთი სახელმწიფოსთვის არაა სასურველი. თუკი ქვეყანა ტრადიციული დემოკრატიის სისტემის მახასიათებლებით არაა აღჭურვილი, სხვა რელიგიური ორგანიზაციების მიმართ ერთი ეკლესიისათვის აშკარა *de facto* უპირატესობების მინიჭების გზით ფაქტობრივად დისკრიმინაციული გარემო იქმნება.

3.3.3. სეკულარიზმის პრობლემები

კლასიკურ სეკულარულ სახელმწიფოებში, რომელთაც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგების მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ, რელიგიისა და სახელმწიფოს დისტანცირება არც ისეთი მარტივია, როგორც ეს ნორმატიულადაა დადგენილი. სეკულარიზაციის პარალელურად, თანამედროვე მსოფლიო ე.წ. „დესეკულარიზაციის“ პროცესის მოწმეა, რომელიც აქტიურად მიმდინარეობს: რელიგია ახალ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში ადგილს ჰპოვებს.⁵⁸⁰ კონსტიტუციათა უმრავლესობაში მოხსენიებულია ღმერთი,⁵⁸¹ მათ ნაწილში კი პირდაპირ ხაზგასმულია ღმერთის უზენაესობის თაობაზე.⁵⁸² რომის კათოლიკური ეკლესია კი ყველაზე ხშირად მოხსენიებული ეკლესიაა მსოფლიო კონსტიტუციებში.⁵⁸³ ჰებერლეს განმარტებით, კონსტიტუცია ხალხის „კულტურული ავტოპორტრეტი, მისი კულტურული მემკვიდრეობის სარკე და მისი იმედების საფუძველი“⁵⁸⁴. კონსტიტუციის მსგავსი სტატუსი იმას მოწმობს, რომ მოსახლეობის განწყობა მაქსიმალურად უნდა აისახოს ძირითად კანონში, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ რელიგიის ამ დოზით წარმოდგენა კონსტიტუციაში სეკულარიზმის აშკარა წინააღმდეგობასა და ფაქტობრივ-ფიქტიურის დაპირისპირებას უსვამს ხაზს.

XXI საუკუნეში, გარკვეული თვალსაზრისით, სეკულარიზმი კრიზისშია, ვინაიდან სეკულარიზმის იდეალური არსებობა „არელიგიური“ საზოგადოების პრაქტიკულ შეუძლებლობასთანაა დაკავშირებული.⁵⁸⁵ ამას ისიც ემატება, რომ მან განმანათლებლობისეულმა გონისა და რწმენის კონცეფციამ რადიკალური პოსტმოდერნისტული შეტევა მიიღო.⁵⁸⁶ თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვანი გარდაქმნების შედეგად ე.წ. „პოსტსეკულარული“ გარემო ჩამოყალიბდა. „პოსტსეკულარულად“ ჰაბერმასი ისეთ სეკულარულ საზოგადოებებს მოიხსენიებს, სადაც რელიგიის ხელახალი აღორძინების ნიშნებია.⁵⁸⁷ მსგავსი ტიპის სახელმწიფოებში

⁵⁸⁰ Robbers G., Church and State Relations in the Constitutions, in: Law, Religion, Constitution (Freedom of Religion, Equal Treatment, and the Law), Edited by Cr. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari, D. Thayer, 2013, 57.

⁵⁸¹ Ibán I.C., God in Constitutions and Godless Constitutions, in: Law, Religion, Constitution (Freedom of Religion, Equal Treatment, and the Law), Edited by Cr. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari, D. Thayer, 2013, 37.

⁵⁸² იქვე, 38.

⁵⁸³ იხ., იქვე, 41.

⁵⁸⁴ Robbers G., Church and State Relations in the Constitutions, in: Law, Religion, Constitution (Freedom of Religion, Equal Treatment, and the Law), Edited by Cr. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari, D. Thayer, 2013, 59, იხ. ციტირება: M. Kotzur and L. Michael (eds.), Peter Häberle, Vefassungsvergleichung in Europa- und weltbürgerlicher Absicht: Späte Schriften (Berlin: Duncker & Humblot, 2009), Vorwort at vii.

⁵⁸⁵ Rosenfeld M., Introduction: Can Constitutionalism, Secularism and Religion Be Reconciled in an Era of Globalization and Religious Revival?, “Cardozo Law Review”, Vol. 30, 2009, 2351.

⁵⁸⁶ იქვე, 2335.

⁵⁸⁷ Habermas J., Notes on a Post-Secular Society, “New Perspectives Quarterly”, Vol.25, No.4, 2008

გადიან ევროპის განვითარებული საზოგადოებები, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და ა.შ.⁵⁸⁸

ახალი ზელანდიის უმაღლესმა სასამართლომ ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში მკაფიოდ განმარტა, რომ ქვეყანაში სახელმწიფო ეკლესია არ არსებობს.⁵⁸⁹ მსგავსი პრაქტიკა დამკვიდრდა მთელი საუკუნის განმავლობაში. სასამართლოს აზრით, ინგლისისა და შოტლანდიისგან განსხვავებით, რომელთაც ახალი ზელანდია პოლიტიკური წარსულით ჰგავს, ახალ ზელანდიაში ეროვნული, სახელმწიფო სტატუსით არცერთი რელიგიური გაერთიანება არ სარგებლობს.⁵⁹⁰ სახელმწიფოს სეკულარული სტატუსის მიუხედავად, როგორც წესი, სახელმწიფო თანამდებობის დაკავების წინ საზეიმო ფიცს ძველ ან ახალ აღთქმაზე დებენ, უფრო მეტიც, 1854 წლიდან (ოფიციალურად დამტკიცდა 1962 წლის დადგენილებით) წარმომადგენელთა პალატის სესია „ყოვლისშემძლე უფლის“ მიმართ პალატის სპიკერის წარმოთქმული ლოცვით იწყება.⁵⁹¹ მისი სახელმწიფოს მეთაური — ელისაბედ II კი ოფიციალურად იწოდება, როგორც „ღმერთის ნყალობით ახალი ზელანდიისა და სხვა სამეფოთა და ტერიტორიების დედოფალი, ხელმძღვანელი თანამეგობრობისა და რწმენის დამცველი“⁵⁹².

აშშ, მიუხედავად იმისა, რომ მტკიცე საკონსტიტუციო რესპუბლიკაა ეკლესიისა და სახელმწიფოს მკაცრი გამიჯვნით, მისი მოსახლეობის რელიგიურობის გამო, ხშირად ჰიბრიდული სეკულარიზმის ნიშან-თვისებების მატარებელიცაა.⁵⁹³ რელიგია ისტორიულად და ახლაც კი ძალიან დიდ როლს თამაშობს ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში.⁵⁹⁴ კონსტიტუციის პირველ შესწორებას ხშირად რელიგიისგან სრული დისტანცირების იდეით განმარტავენ, რაც მცდარი მიმართულებაა, რადგან კონსტიტუციის არცერთი დებულება ადგენს, რომ „რელიგიის თავისუფლება უნდა იყოს რელიგიისგან თავისუფლება“⁵⁹⁵. ბერგერის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია-სახელმწიფოს გამიჯვნის პოლიტიკა აშშ-ში სახელმწიფოს შექმნის დღიდან მოქმედებს, თანამედროვე ანგლოამერიკულ სამყაროში რელიგიის გავლენა გარკვეულ სფეროებზე არათუ შემცირდა, არამედ პირიქით — მნიშვნელოვნად გაიზარდა კიდევ.⁵⁹⁶ აშშ-ის სამი უდიდესი — მონობის, „მშრალი კანონისა“ და სამოქალაქო უფლებების მოძრაობები რელიგიური პერსპექტივითა და ორგანიზაციათა აქტიური რელიგიური შეხედულებებით იყო განპირობებული.⁵⁹⁷ ბევრი

⁵⁸⁸ იქვე; Dillon M., Can Post-Secular Society Tolerate Religious Differences?, *Sociology of Religion*, Vol.71, No.2, 2010, 142.

⁵⁸⁹ *Carrigan v. Renwood*, 1910, 30 N.Z.L.R. 244, 252.

⁵⁹⁰ *Mabon v. Conference of the Methodist Church of New Zealand*, 1998, 3 N.Z.L.R. 513,523.

⁵⁹¹ Temperman J., *State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance*, Leiden-Boston, 2010, 106.

⁵⁹² „...by the Grace of God Queen of New Zealand and Her other Realms and Territories, Head of Commonwealth, Defender of the Faith.” Art. 2 of the Royal Titles Act of New Zealand, 1974.

⁵⁹³ იხ., Dillon M., Can Post-Secular Society Tolerate Religious Differences?, *“Sociology of Religion”*, Vol.71, No.2, 2010, 142.

⁵⁹⁴ იხ., Conkle D.O., Different Religions, Different Politics: Evaluating the Role of Competing Religious Traditions in American Politics and Law, *“Journal of Law and Religion”*, Vol.10, No.1, 1994, 26.

⁵⁹⁵ Horn C. III, *Secularism and Pluralism in Public Education*, *“Harvard Journal of Law and Public Policy”*, Vol.1, No.1, 1984, 177.

⁵⁹⁶ ცხადაია გ., რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთობის ახალი ფორმები, *ჟურნ. „სოლიდარობა“*, №1(34), 2010, 77.

⁵⁹⁷ Greenawalt K., *Religion and the Constitution, Vol.2: Establishment and Fairness*, Princeton, 2008, 123.

ამერიკელი ეყრდნობა ბიბლიას და ითვალისწინებს რელიგიური ავტორიტეტების შეხედულებებს მორალური საკითხების გადაწყვეტისას⁵⁹⁸.

რელიგიისადმი სახელისუფლებო ფავორიტიზმი ამერიკული სახელმწიფოს შექმნის პერიოდში საკმაოდ აქტუალური იყო, რაც ცრამდენიმე შტატში დღესდღეობითაც შემორჩა.⁵⁹⁹ მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ლიბერალური სექულარიზმის სამშობლოდ მიიჩნევა, შტატების მიხედვით კონკრეტული რელიგიური მიმდინარეობები გამორჩეული საზოგადოებრივი სტატუსით სარგებლობენ, რასაც შტატის მმართველთა მხრიდან აშკარა, დაუფარავი პროტექციონიზმიც თან სდევს. 1954 წელს კონგრესმა ერთგულების ფიცს (*Pledge of Allegiance*) დაუმატა სიტყვები „ღმერთის წინაშე“, რომელიც წარმომადგენლობითი საბჭოს მოხსენების თანახმად, სახელმწიფოებრივ საქმეებში ღმერთის შემწეობას უსვამს ხაზს.⁶⁰⁰ 1956 წელს აშშ-ის ოფიციალური დევიზი გახდა „ღმერთის გენჯამს“ (*In God We Trust*, რომელიც 1865 წლიდან მონეტებზე გამოისახებოდა), რაც მალევე იქცა განხილვის საგნად, თუმცა საოლქო ფედერალურმა სასამართლოებმა არ დაადგინეს კონსტიტუციის პირველი მუხლით უზრუნველყოფილი რელიგიის თავისუფლების შელახვა⁶⁰¹ და აღინიშნა, რომ დევიზის სიტყვები უფრო ცერემონიული და პატრიოტული ხასიათისაა, შესაბამისად, კონსტიტუციურია.⁶⁰² სიმბოლურია 11 სექტემბრის ტერაქტის ადგილზე აღმართული ჯვარი (*Ground Zero Memorial*) და სასამართლო შენობათა კედლებზე გამოსახული ათი მცნება.⁶⁰³ ეს ყოველივე სექულარული აშშ-თვის უბრალო სიმბოლიკა არაა, მით უმეტეს, მხოლოდ საერო დატვირთვას არ ატარებს.

მართალია, ნებისმიერი პრეზიდენტი ან პრეზიდენტობის კანდიდატი მაქსიმალურად გაურბის ეკლესია-სახელმწიფოს გამიჯვნის პრინციპზე აქტიურ საუბარს და მას ოფიციალურად აღიარებს, თუმცა გავლენიანი ეკლესიები ყოველთვის ცდილობენ ფავორიტი კანდიდატის მხარდაჭერას.⁶⁰⁴ პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ აშშ-ის უმაღლესი სასამართლო, რომელიც სექულარიზმის სტანდარტს ადგენს და ამ მიმართულებით თავად ქმნის პრეცედენტულ სამართალს, მარშალის დროიდან დღემდე ყოველდღიურ სხდომებს იწყებს სიტყვებით: „ღმერთო, დაიფარე შეერთებული შტატები და პატივსაცემი სასამართლო“⁶⁰⁵.

⁵⁹⁸ იქვე, 153.

⁵⁹⁹ Hoff T., Religion's Accommodation to American Law and Culture, in: Legal Responses to Religious Practices in the United States (Accommodation and Its Limits), Edited by A. Sarat, New York, 2012, 62.

⁶⁰⁰ Horn C. III, Secularism and Pluralism in Public Education, "Harvard Journal of Law and Public Policy", Vol.1, No.1, 1984, 180.

⁶⁰¹ Hoff T., Religion's Accommodation to American Law and Culture, in: Legal Responses to Religious Practices in the United States (Accommodation and Its Limits), Edited by A. Sarat, New York, 2012, 65.

⁶⁰² იხ., *Aranow v. United States*, 432 F.2d 242,243 (9th Cir. 1970); *O'Hair v. Blumenthal*, 588 F.2d 1144 (5th Cir. 1979).

⁶⁰³ Smith S.D., Freedom of Religion or Freedom of the Church? in: Legal Responses to Religious Practices in the United States (Accommodation and Its Limits), Edited by A. Sarat, New York, 2012, 259.

⁶⁰⁴ მაგ., რომის კათოლიკური ეკლესია და კენედის შემთხვევა. Baker R.A., The Presidency and the Roman Catholic Church, *Journal of Church and State*, Vol.2, No.2, 1960, 114. რელიგიური უფლებების აქტუალიზაციამ და ამ მხრივ, კონსერვატიული პოლიტიკის გატარებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობეს რეიგანისა და ბუშის პრეზიდენტებად არჩევა. იხ., ნარინდოშვილი მ., გოგელია ვ., ჯულაყიძე თ., ჯაში ზ., გლურჯიძე ე., რელიგიის თავისუფლება, თბილისი, 2004, 271.

⁶⁰⁵ Horn C. III, Secularism and Pluralism in Public Education, "Harvard Journal of Law and Public Policy", Vol.1, No.1, 1984, 180.

მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების განმავლობაში რელიგიისა და ეროვნულობის ერთმანეთისგან გამიჯვნა მოხდა, დღემდე საკმაოდაა მარგინალიზებული საზოგადოებები, სადაც ოფიციალურად ან ფაქტობრივად, კონკრეტული დომინანტი რელიგია გადაჯაჭვულია ეროვნულ ცნობიერებასთან.⁶⁰⁶ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოები სეკულარიზმის პრინციპს აღიარებენ, სახელმწიფოსა და რელიგიას მაქსიმალურად მიჯნავენ ერთმანეთისგან, ხშირად გაუაზრებლად, საკონსტიტუციო თუ ზოგადსამართლებრივი ჩვეულებების სახით რელიგია სახელმწიფოს გამგებლობას მიკუთვნებულ სფეროში მაინც იჭრება. რელიგიისგან სრული აბსტრაქცირება და მისი საჯარო სივრციდან განდევნა არათუ ლიბერალური სეკულარიზმის, არამედ ფრანგული ააციტლ-ს პირობებშიც კი უტოპიურ ამოცანად რჩება. ქრისლოვის განმარტებით, „ეკლესიისა და სახელმწიფოს „გამიჯვნა“ ხელოვნური კონცეფციაა, რომელიც ადვილად განხორციელებადი ან ლოგიკურად მიღწევადი არაა“⁶⁰⁷. საზოგადოების რელიგიური მოტივაცია, განწყობა და დამოკიდებულება, განსაკუთრებით მაშინ, თუკი მოსახლეობაში დომინანტი რელიგია მოცულობითადაა წარმოდგენილი, ყოველთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ხშირ შემთხვევაში კი ერთადერთი ფაქტორი იქნება მთელი რიგი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისას. იდეალურ მდგომარეობაში, „საჯარო სფერო არც რელიგიური უნდა იყოს და არც ანტირელიგიური, არამედ — არელიგიური“⁶⁰⁸. თუმცა ვინაიდან არელიგიური საზოგადოება უტოპია თუ არა უიშვიათესი გამონაკლისია, ნებისმიერ ხელისუფლებას მოუწევს, ანგარიში გაუწიოს დომინანტი რელიგიური უმრავლესობის აზრს, რაც ეკლესია-სახელმწიფოს გამიჯვნის სამართლებრივ მექანიზმში სერიოზული დისონანსის გამომწვევია.

⁶⁰⁶ Merriman S.A., *Religion and the State, An International Analysis of Roles and Relationship*, Santa Barbara, 2009, 69.

⁶⁰⁷ Ahdar R., Leigh I., *Religious Freedom in the Liberal State*, 2nd Ed., Croydon, 2015, 92, იხ. ციტირება: Benson, 'Notes Towards a (Re)Definition of the 'Secular' (2000) 33 UBCL Rev. 519.

⁶⁰⁸ Rosenfeld M., Introduction: Can Constitutionalism, Secularism and Religion Be Reconciled in an Era of Globalization and Religious Revival?, "Cardozo Law Review", Vol. 30, 2009, 2334.

III. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა საქართველოში
1. ეკლესია-სახელმწიფოს სამართლებრივი ურთიერთობების განვითარება
საქართველოში
1.1. I-V საუკუნეები

აღმოსავლეთ ევროპაში მართლმადიდებლობა კულტურის ჩამოყალიბების თითქმის ერთადერთი ფაქტორი იყო.⁶⁰⁹ ამიტომაც გასაკვირი არცაა, რომ მან მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურისა და ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა.⁶¹⁰ ბოლო ორი ათასი წლის მანძილზე არცერთ საზოგადოებრივ ინსტიტუტს საქართველოზე იმხელა გავლენა არ მოუხდენია, როგორც ეკლესიას, მით უფრო, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესია ინსტიტუციურად საკმაოდ ძლიერი და ორგანიზებული იყო. ისტორიული წყაროებით დასაბუთებულია იბერიასა და ეგრისში, განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელში, ქრისტიანობის მოციქულთა დროიდან გავრცელების ფაქტი.⁶¹¹ ბიჭვინთის ეპისკოპოსი ნიკეის I მსოფლიო კრებაშიც კი მონაწილეობდა.⁶¹² საქართველო მსოფლიოში ქრონოლოგიურად მეორე სახელმწიფოა, რომელმაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.⁶¹³ შესაბამისად, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა ჯერ კიდევ იბერიის, ქართლის სამეფოს დროიდან არსებობს⁶¹⁴.

ზოგადად, მიღებულია, რომ ქართლის სამეფოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად IV საუკუნის 30-იან წლებში გამოცხადდა, თუმცა თარიღის გარშემო ერთიანი აზრი არ არსებობს.⁶¹⁵ ქართლის გაქრისტიანების ზედა თარიღად 337 წელია მიჩნეული.⁶¹⁶ ქართული ეკლესია კი, ეყრდნობა რა მისთვის მისაღებ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობებს, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღად 326 წელს აღიქვამს.⁶¹⁷ როგორც ჯანაშია აღნიშნავს, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ქართლში არა მხოლოდ საშინაო პოლიტიკურ-სოციალური ფაქტორებით იყო განპირობებული, არამედ საგარეო, გეოპოლიტიკური კუთხითაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, განსაკუთრებით ირან-ბიზანტიის დაპირისპირების ფონზე.⁶¹⁸ ქართლის მიერ ქრისტიანობის აღიარება, ფაქტობრივად, ბიზანტიის მხარის არჩევასა და ირანის სანინააღმდეგო მოქმედებას ნიშნავდა.⁶¹⁹

⁶⁰⁹ Clendenin D.B., *Eastern Orthodox Christianity, A Western Perspective*, 2nd Ed., Grand Rapids, 2003, 20.

⁶¹⁰ ხეცურიანი ჯ., სახელმწიფო და ეკლესია, ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2013, 6.

⁶¹¹ იბ., იქვე, 108-127.

⁶¹² იქვე, 188.

⁶¹³ Temperman J., *State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance*, Leiden-Boston, 2010, 74.

⁶¹⁴ იქვე.

⁶¹⁵ ლომოური ნ., ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან, თბილისი, 1975, 45.

⁶¹⁶ იქვე, 80.

⁶¹⁷ ლომოური ნ., ქრისტიანობის გავრცელება და დამკვიდრება საქართველოში, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2009, 17.

⁶¹⁸ ისტორიულ წყაროთა უმრავლესობის თანახმად, ეს მოვლენა იმპერატორ კონსტანტინეს ზეობისას მოხდა, ეს უკანასკნელი კი 337 წელს გარდაიცვალა. იბ., ლომოური ნ., ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან, თბილისი, 1975, 84.

⁶¹⁹ იქვე, 87.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებით ეკლესია სახელმწიფოს ორგანიზაციული მექანიზმის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტად გადაიქცა. ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის სრული ურთიერთგაგება — სიმფონია⁶²⁰, სუფევდა, რასაც, ზოგადად აღმოსავლეთის ქრისტიანთა დოგმატიკაც ამყარებდა. სხვათა მსგავსად, ქართლის ეკლესიაც ქრისტიან ხელმწიფეს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, განსაკუთრებული უფლებებით აღჭურავდა: მას, როგორც ორგზის მირონცხებულს, საკურთხეველში შესვლის უფლებაც კი ჰქონდა.⁶²¹ მეფის განსაკუთრებული სტატუსის მანიშნებელია ის გარემოებაც, რომ იგი აქტიურად ერეოდა ეკლესიის შიდა საქმეებში. ჯერ კიდევ მირიანის მეფობიდან ეპისკოპოსები ირჩევდნენ ეკლესიის მეთაურს, თუმცა მისი ლეგიტიმაციისთვის მეფის მიერ დამტკიცება, „დასამა“ იყო აუცილებელი⁶²².

1.2. ავტოკეფალია და გორგასლის საეკლესიო რეფორმა

ქართული ეკლესიისა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობებისთვის გარდამტეხი ეტაპი V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდში დადგა. პირველად ქართლის ისტორიაში ეკლესია და სამეფო ხელისუფლება ერთმანეთს სერიოზულად დაუპირისპირდნენ.⁶²³ დაპირისპირება ამ უკანასკნელის გამარჯვებით, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებითა და უმაღლეს სასულიერო იერარქთა ცვლილებით დასრულდა. რა თქმა უნდა, დაპირისპირების მიზეზები გაცილებით ღრმა და პრაგმატულია. გორგასლის მიერ სამოციქულო ეკლესიის მცხეთაში შექმნა და მისი ანტიოქიის იურისდიქციიდან გამოყოფა, რამაც საბოლოოდ მცხეთის საყდარს ავტოკეფალია მოუტანა,⁶²⁴ უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური ნაბიჯი იყო, ნაკლებად განპირობებული რელიგიურ-დოგმატური მიზეზებით.

საეკლესიო რეფორმის შედეგად ქართლის სარწმუნოებრივი ცხოვრება, სავარაუდოდ, რადიკალურად შეცვალა. 480-490-იან წლებში ვახტანგ გორგასალმა იმპერატორ ზენონსა და კონსტანტინოპოლის პატრიარქ აკაკის მიმართა, რათა მცხეთისათვის კათალიკოსი მოევლინათ.⁶²⁵ გორგასლის ინიციატივით, მცხეთის ეკლესიის

⁶²⁰ Ferrari S., *Proselytism and Human Rights*, in: *Christianity and Human Rights, An Introduction*, Edited by J. Witte Jr. and F.S. Alexander, New York, 2010, 257.

⁶²¹ პაპუაშვილი ნ., წმ. ეპისკოპოსი გაბრიელი სარწმუნოებისა და მოქალაქეობის შესახებ, ანუ: იტყოდა თუ არა იგი უარს ეკუმენიზმზე?, *ჟურნ. „სოლიდარობა“*, №3(36), 2010, 30.

⁶²² მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), *საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია*, ტ.1, უძველესი დროიდან VI საუკუნემდე, თბილისი, 2012, 255.

⁶²³ ვახტანგ გორგასლის სპარსეთში ყოფნისას ჭორი გავრცელდა, თითქოს მან სარწმუნოება შეიცვალა, რამაც მთავარეპისკოპოს მიქაელის მხრიდან მეფის სანინააღმდეგო ქმედებები გამოიწვია. მთავარეპისკოპოსმა შუაჩვენა მეფე, ხოლო როცა ეს უკანასკნელი მოსანანიებლად და გარემოებათა გასამართლად მივიდა, დაჩოქილ მონარქს მთავარეპისკოპოსმა სახეში ნიხლი უთავაზა და მეფეს კბილები ჩაუმტვრია. ვახტანგ გორგასალმა მიქაელის საქციელი მის წინააღმდეგ გამოიყენა და ეკლესიის რეფორმირების მისეული გეგმის განსახორციელებლად გზა გაეხსნა. მან მონინააღმდეგე მღვდელმთავარი კონსტანტინოპოლს გაგზავნა გასასამართლებლად, ამით როგორც გაათავისუფლა ეკლესიის მეთაურის ადგილი, ისე მისი მომხრე პირები აკურთხებინა კონსტანტინოპოლის პატრიარქს კათალიკოსად და ეპისკოპოსებად. იხ., *ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია*, ტ.1, თბილისი, 2012, 291, 307, 312, 315.

⁶²⁴ Grdzeldize T., *The Georgian Tradition*, in: *The Orthodox Christian World*, Edited by A. Casiday, Routledge, 2012, 60.

⁶²⁵ იქვე, 61.

ეპისკოპოსთა რიცხვი გაიზარდა.⁶²⁶ მეფემ 14 ახალი, მისდამი ლოიალურად განწყობილი მღვდელმთავარი⁶²⁷, მათ შორის, კათალიკოსი და ქართული ეკლესიის ავტოკეფალია მიიღო.⁶²⁸ აღსანიშნავია ისიც, რომ გორგასლის რეფორმამ ეკლესიის მიმართ სახელმწიფოს პოზიციების გაძლიერება და ყველა მნიშვნელოვან საკითხში სამეფო ხელისუფლების პრიმატი განაპირობა.⁶²⁹

დაგეგმილი და მიზანმიმართული კამპანიის შედეგად, ქართლის ეკლესიამ თვითმწყემსობის პატივი მოიპოვა, სახელმწიფო კიდევ უფრო დაუახლოვდა ბიზანტიას, ეკლესიაში კი გადაწყვეტილების მიმღებ მღვდელმთავრებად სამეფო ხელისუფლების მიერ მონონებული და მისი ინტერესების გამტარებელი პირები დაინიშნენ, ამასთან, ეს ყველაფერი მეფემ არა უშუალოდ თავად, არამედ კონსტანტინოპოლის პატრიარქის საშუალებით განახორციელა.

1.3. VI-XI საუკუნეები

1.3.1. VI-X საუკუნეები

VI საუკუნეში საერო ცხოვრების ძირითადი მიმართულებები და ტენდენციები საეკლესიო ცხოვრებაშიც აისახა, კათალიკოსობის პატივი ძირითადად ორ დანიშნულ მცხეთელთა გვარს ჰქონდა და ფაქტობრივად, მწყემსმთავრობის მემკვიდრეობით გადასვლის მცდელობაც იყო, თუმცა პრაქტიკაში ეს ვერ განხორციელდა.⁶³⁰ ქვეყანაში არსებული დაძაბული ვითარება ქართლის სამეფოში ეკლესიაზეც აისახებოდა, რომელიც სპარსელთა მხრიდან გამძაფრებულ დევნას განიცდიდა. ქრისტიანობისა და ქართული სახელმწიფოს ურთიერთობა ახალ ფაზაში ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის აღზევების შემდეგ გადავიდა. ახლა უკვე ეკლესია უშუალოდ სამეფო ხელისუფლების იდეოლოგიურ საფუძვლებს ქმნიდა და ბაგრატიონთა ღვთიური წარმომავლობის შესახებ წარმოდგენას ლეგიტიმაციას აძლევდა.⁶³¹ ქრისტიანობა საბოლოო დამკვიდრების შედეგად ქართული სამართლის საფუძვლადაც იქცა.⁶³²

რაც შეეხება, დასავლეთ საქართველოს, ეგრისი IX საუკუნემდე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში შედიოდა.⁶³³ მასზე დიდი იყო ბიზანტიის გავლენა, თუმცა საქართველოს გაერთიანების პროცესის პარალელურად, იგი ბიზანტიური გავლენისგან თანდათან თავისუფლდება. საქართველოს გაერთიანებამდე ქართულ სამეფო-სამთავროებს ფაქტობრივად ქართული ეკლესია აერთიანებდა.⁶³⁴

⁶²⁶ მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.1, უძველესი დროიდან VI საუკუნემდე, თბილისი, 2012, 256.

⁶²⁷ მიქაელი ქალკედონიტების მთავარი დასაყრდელი და მოთავე იყო კავკასიაში, შესაბამისად, მისთვის წინააღმდეგობის განევა მეფისთვისაც კი რთული საქმე იყო, ამიტომაც, ლოგიკურია, რომ ვახტანგმა მთავარეპისკოპოსის მომხრე მღვდელმთავრების მთლიანად შეცვლა მოინდომა. იხ., ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ.1, თბილისი, 2012, 315.

⁶²⁸ იქვე, 312

⁶²⁹ იხ., ლალანიძე მ., საქართველოს სეკულარიზაციის გზაზე, წიგნში: საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, ვ. ნაცვლიშვილისა და დ. ზედელაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2016, 147.

⁶³⁰ ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ.1, თბილისი, 2012, 274.

⁶³¹ მეტრეველი ვ., ქართული სამართლის ისტორია, თბილისი, 2009, 190-191.

⁶³² იქვე, 192.

⁶³³ ლომოური ნ., ქრისტიანობის გავრცელება და დამკვიდრება საქართველოში, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2009, 34.

⁶³⁴ მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.3, XII-XVI საუკუნეები, თბილისი, 2012, 170.

ამიტომაც, ლოგიკურია, საქართველოს სრულად გაერთიანებასა და ახალი, ძლიერი სახელმწიფოს შექმნას ქართული ეკლესიის გაერთიანება უძღოდა წინ. ანტიოქიისგან სრული გამოყოფა და საშინაო თუ საგარეო ურთიერთობებში სრული დამოუკიდებლობის მოპოვება მელქისედეკ I დროს მოხერხდა, რომელმაც „კათალიკოსთან“ ერთად უკვე „პატრიარქის“ ტიტულიც მიიღო.⁶³⁵ ეს ქართული ეკლესიისა და საქართველოს სახელმწიფოს დიპლომატიის გამარჯვება იყო, რომელიც პირდაპირ საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობებზეც ზემოქმედებდა. ტიტული „კათალიკოს-პატრიარქი“ საქართველოს გაერთიანების აღმნიშვნელიც უნდა იყოს: მცხეთის კათალიკოსი აფხაზეთის მწყემსმთავარიც გახდა⁶³⁶.

X-XI საუკუნეებში ქართულ ეკლესიას განსაკუთრებით მაღალი ავტორიტეტი ჰქონდა და საერო საქმეებშიც აქტიურად ერეოდა.⁶³⁷ ქართულ ეკლესიას ჰყავდა ჯარი, ჰქონდა დროშა, ქონება, მკაცრი იერარქიული სტრუქტურა.⁶³⁸ საქართველოს გაერთიანებამდე კახეთის სამთავროს საერთოდ ქორეპისკოპოსები მართავდნენ, ისინი ლაშქრის მთავარსარდლებაც მიიჩნეოდნენ.⁶³⁹ მთის თემების მმართველი ხევისბერები და დეკანოზებიც საეკლესიო პირები იყვნენ.⁶⁴⁰ ეკლესიის გაძლიერების პარალელურად, ფეოდალებმა მიზნად დაისახეს მის ინსტიტუციაში ინტეგრაცია, რადგანაც ეკლესიის საშუალებით გაცილებით სტაბილური, გავლენიანი და რაც მთავარია, უზრუნველყოფილი სტატუსი ექნებოდათ. შედეგად, XI საუკუნის საერო ცხოვრება ეკლესიაში ძალზე შეიჭრა, სახელმწიფოსაც და ეკლესიასაც დიდი ფეოდალები განაგებდნენ.⁶⁴¹ ამას ახალისებდა ბაგრატ IV, რომელიც აქტიურად ერეოდა ეკლესიის მართვა-გამგეობის საკითხებში, უფრო მეტიც, იგი თავად უწყობდა ხელს სიმონიას და ეპისკოპოსთა თანამდებობებს ყიდდა, რის შედეგადაც ქართული ეკლესია მთლიანად თავად-აზნაურთა გარკვეული კატეგორიის გავლენის ქვეშ მოექცა⁶⁴².

1.3.2. ათონელი ბერები და გიორგი მთაწმინდლის საეკლესიო რეფორმა

საქართველოს გაერთიანების პარალელურად, ფართოვდება ქართული ეკლესიის გავლენაც. სახელმწიფო კარგად ხვდებოდა ეკლესიის, როგორც სახელმწიფოს დამხმარე ინსტიტუტის, სოციალურ როლს, შესაბამისად, მაქსიმალურად ცდილობდა, იგი საერთაშორისო ასპარეზზეც გამოეყენებინა. ამის ნათელი დადასტურებაა ათონის მთაზე ივერთა სამონასტრო კომპლექსის დაარსება, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ, ქართულ ეკლესიას დაქვემდებარებული და იმავდროულად, ბიზანტიის იმპერიის გავლენის ქვეშ მდებარე ტერიტორიაზე არსებული, მნიშვნელოვანი რელიგიურ-კულტურული და პოლიტიკური აქტივობების კერა იყო.⁶⁴³ ათონის

⁶³⁵ Grdzeldze T., *The Georgian Tradition*, in: *The Orthodox Christian World*, Edited by A. Casiday, Routledge, 2012, 61.

⁶³⁶ ლომოური ნ., ქრისტიანობის გავრცელება და დამკვიდრება საქართველოში, მეორე გამოცემა, თბილისი, 2009, 46.

⁶³⁷ დოლიძე ი., ძველი ქართული სამართალი, თბილისი, 1953, 120.

⁶³⁸ სურგულაძე ივ., ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევები, ნ.1, თბილისი, 2000, 21.

⁶³⁹ მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.3, XII-XVI საუკუნეები, თბილისი, 2012, 169.

⁶⁴⁰ იქვე.

⁶⁴¹ ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, ნ.II, ნ.11, ტფილისი, 1929, 72.

⁶⁴² იხ., ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ.11, თბილისი, 2012, 184.

⁶⁴³ Gabashvili M., *Place and Role of Athonite Monks in the Georgian Politics of Medieval Centuries*, in: *Georgian Athonites and Christian Civilization*, Edited by D. Muskhelishvili, New York, 2013, 91.

მონასტრის დაარსებით დავით კურაპალატი დასავლური პოლიტიკის მიმართულების გაძლიერებას ისახავდა მიზნად, რაც, თავისთავად, ტრაპიზონზე საზღვაო ინტერესსაც გულისხმობდა⁶⁴⁴.

ათონელმა მამებმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საქართველოს გაერთიანებისა და ქართული საზოგადოების განვითარების საქმეში.⁶⁴⁵ ისინი ძალიან აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს, ბიზანტიისა და ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში.⁶⁴⁶ საბერძნეთში მოყვანე ქართველთა წყალობით არა მხოლოდ ქართული საეკლესიო ცხოვრება განვითარდა და საეკლესიო წესები დაიხვეწა, არამედ ყოველივე ამან სერიოზული დახმარება გაუწია ქართული სახელმწიფოს პოზიციების გაძლიერებას, ეროვნული თვითმემკვიდრეობისა და თვითმყოფადობის წინსვლას.⁶⁴⁷

ქართული ეკლესიის, მათ შორის ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ერთ-ერთი პირველი რეფორმაც ათონის მთას უკავშირდება. ათონის მთიდან საქართველოში დაბრუნებულმა გიორგი მთაწმინდელმა საქართველოში აღმოაჩინა ქრისტიანული ეკლესია, რომელიც სრულიად მოშორებული იყო იმ იდეალს, რასაც ქრისტიანობა ქადაგებს.⁶⁴⁸ მან საეკლესიო რეფორმა წამოიწყო და შეეცადა ეკლესია უკეთურებისგან გაენმინა, იგი ღიად მოუწოდებდა სასულიერო პირებს ეკლესიათა შემკობა-გამშვენიერებაზე ფული დაეზოგათ და გაჭირვებულთათვის მიეცათ, რომელთაც დახმარება გაცილებით მეტად სჭირდებოდათ.⁶⁴⁹ მთაწმინდელი შეეცადა, ქართული ეკლესია გაენმინა საერო ელემენტებისგან, შეემცირებინა სამეფო ხელისუფლების გავლენა საეკლესიო საკითხებზე და ეკლესიისთვის, შეძლებისდაგვარად, უფრო დემოკრატიული მიმართულება მიეცა.⁶⁵⁰ საეკლესიო რეფორმამ და ღონისძიებებმა, რომლებიც მან განახორციელა, ეკლესიის ინსტიტუციონალიზაციაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა, თუმცა მის ძალისხმევას განსაკუთრებული ეფექტი არ მოჰყოლია.⁶⁵¹ ამის მიზეზი იმდროინდელი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ყოფა იყო, რომელშიც მნიშვნელოვანი და ძირეული რეფორმების გატარება ფაქტობრივად წარმოუდგენელიც კი იყო⁶⁵².

1.4. საეკლესიო რეფორმა და აღმაშენებლის ეპოქა

1.4.1. რუის-ურბნისის საეკლესიო კრება

დავით აღმაშენებლის გეგმის განსახორციელებლად, რომლის საბოლოო მიზანიც საქართველოს გაერთიანება და ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბება იყო, მეფის მონინააღმდეგე პირებისგან ეკლესიის განმენდა და მისი საიმედო კადრებით

⁶⁴⁴ იქვე, 92.

⁶⁴⁵ იხ., ბადრიძე შ., საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან (X-XIII სს.), თბილისი, 1984, 18.

⁶⁴⁶ Gabashvili M., Place and Role of Athonite Monks in the Georgian Politics of Medieval Centuries, in: Georgian Athonites and Christian Civilization, Edited by D. Muskhelishvili, New York, 2013, 92.

⁶⁴⁷ ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბილისი, 2012, 180.

⁶⁴⁸ Surguladze M., Georgian Church from Giorgi Mtatsmindeli (George the Hagiorite) to David the Builder, in: Georgian Athonites and Christian Civilization, Edited by D. Muskhelishvili, New York, 2013, 86.

⁶⁴⁹ იხ., ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბილისი, 2012, 185.

⁶⁵⁰ იხ., იქვე, 186-187.

⁶⁵¹ Surguladze M., Georgian Church from Giorgi Mtatsmindeli (George the Hagiorite) to David the Builder, in: Georgian Athonites and Christian Civilization, Edited by D. Muskhelishvili, New York, 2013, 87.

⁶⁵² იქვე.

ჩანაცვლება აუცილებლობას წამოადგენდა.⁶⁵³ მართალია, სახელმწიფო ხელისუფლებასა და ძლიერი მეფის ძალაუფლებას ფეოდალები ებრძოდნენ, თუმცა ეკლესიასთან მიმართებით მათი დამოკიდებულება სრულიად ლოიალური იყო (მაგ., ბალვაშები).⁶⁵⁴ ამიტომაც ეკლესია, გარკვეულწილად, ანტისახელმწიფოებრივ განწყობას ამჟღავნებდა და ფეოდალებს უჭერდა მხარს. იგი სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი სუბიექტი იყო და მართალია, სახელმწიფო ცდილობდა საეკლესიო საქმეებში ჩარევას, თუმცა ეს ყოველთვის მნიშვნელოვანი გართულებებით სრულდებოდა.⁶⁵⁵ სასულიერო საკითხები და საეკლესიო დოგმატიკა ყოველთვის კათალიკოსისა და საეკლესიო კრების ექსკლუზივის წარმოადგენდა და მასში ჩარევას ვერცერთი ხელისუფალი ბედავდა.⁶⁵⁶

დავით IV საეკლესიო რეფორმის გატარება განიზრახა. მისი განზრახვა XI საუკუნის ბაგრატ IV და გიორგი მთაწმინდლის მცდელობის ლოგიკური გაგრძელება იყო.⁶⁵⁷ მეფეს ფორმალურად არ შეეძლო ეკლესიის საქმიანობაში ჩარევა, სასულიერო საკითხების გადანყვეტა.⁶⁵⁸ ამიტომაც XII საუკუნის დასაწყისში რუის-ურბნისის ტერიტორიაზე საეკლესიო კრება მოიწვია. აღნიშნული ფაქტი ეკლესიაზე მეფის გავლენას მიანიშნებს, თუმცა აღმაშენებლისთვის უბრალოდ გავლენა საკმარისი არ იყო, მას ეკლესიის სახელმწიფოს სამსახურში ჩაყენება და დამორჩილება სურდა.⁶⁵⁹ რუის-ურბნისის კრების მიზანი არა მხოლოდ სარწმუნოებრივ-აღმსარებლობითი საკითხების, არამედ „ეკლესიათა და სამღვდლოთა“ საქმეების გადანყვეტა იყო.⁶⁶⁰ მართალია, საეკლესიო კრებამ არაერთი სასულიერო საკითხი გადანყვეტა და მოაწესრიგა, თუმცა, იმავდროულად, სწორედ კრების სახელით მეფემ სამეფო ტახტის სიძლიერის მონინაღმდეგეები გაანადგურა,⁶⁶¹ ეკლესიას ძირძველი და ძველამოსილი ფეოდალები ჩამოაშორა.⁶⁶² ჯავახიშვილის აზრით, საქართველოს სოციალური წარმატების ერთ-ერთი საკვანძო ელემენტი აღმაშენებლის მიერ საეკლესიო რეფორმის გატარება და ეკლესიის უღირს პირთაგან განმეცხვება იყო, რამაც ხელი შეუწყო არა გვართით, არამედ პიროვნულად გამორჩეული ადამიანების დანიშნულებასა და საეკლესიო იერარქიაში დანიშვნას.⁶⁶³

საეკლესიო კრების მიერ მიღებული აქტი, რომელიც რუის-ურბნისის ძეგლისწერის სახელითაა ცნობილი, საქართველოს ეკლესიის უძველესი სჯულდებაა, რომელიც თავისი ეპოქის უდიდესმა ქართველმა მოაზროვნეებმა შეადგინეს.⁶⁶⁴ ძეგლისწერამ დააკანონა და დაადგინა ის, რისი მცდელობაც კრებამდე ნახევარი საუკუნით ადრე

⁶⁵³ ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბილისი, 2012, 191.

⁶⁵⁴ მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. 3, XII-XVI საუკუნეები, თბილისი, 2012, 169.

⁶⁵⁵ სტეფანაძე ჯ., საქართველო XII საუკუნესა და XIII საუკუნის პირველ მეოთხედში, თბილისი, 1985, 167.

⁶⁵⁶ იქვე.

⁶⁵⁷ იხ., იქვე, 52.

⁶⁵⁸ ხიზანაშვილი (ურბნელი) ნ., რჩეული იურიდიული ჩანაწერები, თბილისი, 1982, 278.

⁶⁵⁹ სტეფანაძე ჯ., საქართველო XII საუკუნესა და XIII საუკუნის პირველ მეოთხედში, თბილისი, 1985, 66; მეტრეველი ვ., ქართული სამართლის ისტორია, თბილისი, 2009, 24.

⁶⁶⁰ სურგულაძე ივ., ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევები, ნ. I, თბილისი, 2000, 117.

⁶⁶¹ ხიზანაშვილი (ურბნელი) ნ., რჩეული იურიდიული ჩანაწერები, თბილისი, 1982, 273.

⁶⁶² სურგულაძე ივ., ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევები, ნ. I, თბილისი, 2000, 21.

⁶⁶³ ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბილისი, 2012, 206-207.

⁶⁶⁴ ხიზანაშვილი (ურბნელი) ნ., რჩეული იურიდიული ჩანაწერები, თბილისი, 1982, 271.

გიორგი მთანმინდელს ჰქონდა.⁶⁶⁵ ეკლესიის რეფორმირებამ მეფეს მოქმედების თავისუფლება მისცა და გზა გაუხსნა, ანალოგიური ცვლილებები საჯარო ხელისუფლების სისტემაშიც განეხორციელებინა⁶⁶⁶.

ეკლესია რუის-ურბნისის კრებას არა ეკლესიის დამორჩილების, არამედ ეკლესია-სახელმწიფოს შორის მმართველობითი კავშირის ფაქტად მიიჩნევს.⁶⁶⁷ სინამდვილეში, ეს არ ყოფილა შემრიგებლური ან თანამშრომლობითი აქტი, კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით აღმაშენებელმა სახელმწიფო და ეკლესია არა მხოლოდ დაუკავშირა ერთმანეთს, არამედ ეკლესია სახელმწიფოს დაუქვემდებარა,⁶⁶⁸ მღვდელმთავრებად საკუთარი მომხრე პირების გამწესებით კი, ტახტის მონინააღმდეგე დიდგვაროვნებს ეკლესიის მხრიდან არსებული სერიოზული მატერიალური თუ მორალური მხარდაჭერა მოუსპო, რამაც საბოლოოდ ხელისუფლების გაძლიერება განაპირობა. დავით IV მცდელობის შედეგად სახელმწიფო და თავად მეფის ინსტიტუტმა განსხვავებულ მასშტაბებს მიაღწია: ხალხის თვალში მონარქია და სამეფო ხელისუფლება ღვით კურთხეულად მიიჩნეოდა⁶⁶⁹.

1.4.2. მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის სახელო და ეკლესიის სახელმწიფოსთვის დაქვემდებარება

დავით აღმაშენებელმა სერიოზული დარტყმა მიაყენა ეკლესიის ავტონომიას ჭყონდიდლისა და მნიგნობართუხუცესის სახელოების გაერთიანებით. მეფის გადამწყვეტილებამ საერო ხელისუფლებას სასულიეროზე სრული ჰეგემონია დაუმკვიდრა, მით უმეტეს ჭყონდიდელი მღვდელმთავრის იურისდიქცია ხშირად სხვა ეპარქიასაც მოიცავდა, რაც სასულიერო იერარქებზე მეფის სრულ ბატონობას განაპირობებდა.⁶⁷⁰

მნიგნობართუხუცესი სახელოს რეფორმირებამდეც მონანილეობდა საეკლესიო საქმეებში, თუმცა მნიშვნელოვანი გავლენით არ სარგებლობდა.⁶⁷¹ იგი სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი აღმასრულებელი, საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და სახელმწიფოს ერთიანობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველი იყო.⁶⁷² ივარაუდება, რომ მნიგნობართუხუცესები ჭყონდიდლის სახელოსთან შეერთებამდეც საეკლესიო პირები იყვნენ.⁶⁷³ მნიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდლის სახელოების გაერთიანე-

⁶⁶⁵ ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბილისი, 2012, 208.

⁶⁶⁶ იქვე, 209.

⁶⁶⁷ მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. 3, XII-XVI საუკუნეები, თბილისი, 2012, 149.

⁶⁶⁸ ხიზანაშვილი (ურბნელი) ნ., რჩეული იურიდიული ჩანაწერები, თბილისი, 1982, 282; ამ თვალსაზრისით, აღმაშენებლის მიერ ჩამოყალიბებული ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების მოდელი უფრო მეტად ერასტიანიზმისკენ იხრება, ვიდრე ბიზანტიური „სიმფონიისკენ“. იხ., ლანდიძე მ., საქართველოს სეკულარიზაციის გზაზე, წიგნში: საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, ვ. ნაცვლიშვილისა და დ. ზედელაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2016, 149.

⁶⁶⁹ ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, თბილისი, 1989, 27.

⁶⁷⁰ იხ., Surguladze M., Georgian Church from Giorgi Mtatsmindeli (George the Hagiorite) to David the Builder, in: Georgian Athonites and Christian Civilization, Edited by D. Muskhelishvili, New York, 2013, 88.

⁶⁷¹ სტეფანაძე ჯ., საქართველო XII საუკუნესა და XIII საუკუნის პირველ მეოთხედში, თბილისი, 1985, 66.

⁶⁷² ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, ნ. II, ნ. II, ტფილისი, 1929, 129.

⁶⁷³ ანთელავა ილ., საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი, 1983, 101.

ბის შემდეგ, მას როგორც საერო, ისე საეკლესიო საქმეებზე მიუწვდებოდა ხელი, სახელმწიფოსა და ეკლესიაში მიმდინარე პროცესებზე უზარმაზარი გავლენა ჰქონდა და ფაქტობრივად, მეფის შემდეგ პირველ თანამდებობის პირად მიიჩნეოდა.⁶⁷⁴ რეფორმის შედეგად მეფე განაგებდა შიდასაეკლესიო საკითხებს, მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის სახელოს წყალობით კი ეკლესიის უმაღლეს იერარქებსა და მმართველობას აკონტროლებდა.⁶⁷⁵ ჭყონდიდელი უკვე არა მხოლოდ ეკლესიის თანამდებობის პირი, არამედ სახელმწიფო მოღვაწე და მეფის „ვაზირი“ იყო⁶⁷⁶ და მას ერთდროულად რამდენიმე ეპარქიაც ემორჩილებოდა⁶⁷⁷.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, ჭყონდიდელი „მამა არს მეფისა“.⁶⁷⁸ იგი „ქრისტეს სწორად“ მოიხსენიებოდა.⁶⁷⁹ მიუხედავად ვაზირთა შორის უპირველესის მაღალი სტატუსისა და უფლებამოსილებებისა, მთელი მისი ძალაუფლება მეფისგან იყო დელეგირებული.⁶⁸⁰ მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს ფართო უფლებამოსილებები ჰქონდა და სამხედრო, საფინანსო, ადმინისტრაციულ და საეკლესიო სფეროებს მოიცავდა.⁶⁸¹ მას, როგორც მეფის შემდეგ უპირველესს, არა რომელიმე კონკრეტული, არამედ ყველა დარგი ერთად ებარა.⁶⁸² მის გარეშე არცერთი მნიშვნელოვანი საკითხი არ წყდებოდა.⁶⁸³ უშუალოდ მნიგნობართუხუცესის გამგებლობის ქვეშ იყვნენ სამეფო მონასტრები, რომლებიც კათალიკოსის ზოგად იურისდიქციას არ ემორჩილებოდნენ.⁶⁸⁴ იგი სათავეში ედგა სააჯო კარს,⁶⁸⁵ რომელიც, ჯავახიშვილის აზრით, უმაღლესი სასამართლოს ფუნქციებს ასრულებდა⁶⁸⁶.

ახალმა სახელმწიფო მეფის მოლოდინი სრულად გაამართლა.⁶⁸⁷ მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის თანამდებობა ძლიერი საქართველოს არსებობის პერიოდს ემთხვევა, როცა სამეფო ხელისუფლებას ეკლესიასა და საზოგადოებაში სახელმწიფოს ერთიანობისთვის ძლიერი დასაყრდენი სჭირდებოდა.⁶⁸⁸ ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობების გადახედვამ და საეკლესიო რეფორმამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა დავით IV პოლიტიკის წარმატება. სწორედ გამართული იდეოლოგიური საფუძვლისა და უდიდესი გავლენის მქონე სოციალური ინსტიტუტის მენტალური

674 სტეფნაძე ჯ., საქართველო XII საუკუნესა და XIII საუკუნის პირველ მეოთხედში, თბილისი, 1985, 67.

675 იხ., ლალანიძე მ., საქართველოს სეკულარიზაციის გზაზე, წიგნში: საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, ვ. ნაცვლიშვილისა და დ. ზედელაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2016, 148-149.

676 მესხია შ., ძღვევა საკვირველი, თბილისი, 1972, 33.

677 ანთელავა ილ., საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი, 1983, 113.

678 სურგულაძე ივ., ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევები, ნ.1, თბილისი, 2000, 59.

679 თუმცა მეფის აღმატების ხაზგასასმელად, ამ უკანასკნელს „ღვთისსწორს“ უწოდებდნენ იხ., ანთელავა ილ., საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი, 1983, 112-113.

680 იქვე, 116.

681 მეტრეველი ვ., ქართული სამართლის ისტორია, თბილისი, 2009, 200-201.

682 სურგულაძე ივ., ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევები, ნ.1, თბილისი, 2000, 246.

683 მეტრეველი ვ., ქართული სამართლის ისტორია, თბილისი, 2009, 24.

684 ანთელავა ილ., საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი, 1983, 117.

685 სტეფნაძე ჯ., საქართველო XII საუკუნესა და XIII საუკუნის პირველ მეოთხედში, თბილისი, 1985, 164.

686 ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, ნ. II, ნ. I, ტფილისი, 1929, 24.

687 სურგულაძე ივ., ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევები, ნ.1, თბილისი, 2000, 247.

688 იქვე, 57.

მხარდაჭერის გამო სახელმწიფოს აღმასწავლებლისეული გაგება და კონცეფცია მონ-
ლოლთა ბატონობამდე მოქმედებდა⁶⁸⁹.

1.5. XII-XVII საუკუნეები

1.5.1. XII-XIV საუკუნეები

ფეოდალურ საქართველოში ეკლესია არა მხოლოდ ძლიერი საზოგადოებრივი ინ-
სტიტუტი, არამედ მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ფინანსური და იდეოლოგიური
მექანიზმი იყო.⁶⁹⁰ მას სწირავდნენ ქონებას, უდგენდნენ საგადასახადო და სხვაგვარ
სახელმწიფო შეღავათებს.⁶⁹¹ ეკლესიას, როგორც საფეოდალოს, საკუთარი ყმების
გასამართლებების უფლებაც ჰქონდა.⁶⁹² მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მნიშვნე-
ლოვან ძალაუფლებას ფლობდნენ გიორგი III და თამარის მეფობის ხანაშიც.⁶⁹³ ამ პე-
რიოდის ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობებისა და ეკლესიის საერო აქტიურობის
მაგალითად ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტის მოხმობა შეიძლება: XII საუკუნის ბო-
ლოს მიქაელ კათალიკოსს თავად ეკავა მნიშვნელოვანი უფლებები-
სთანამდებობა⁶⁹⁴.

ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობებში გამორჩეულია მონლოლთა ბატონობის
პერიოდი. მიუხედავად იმისა, რომ ხალხსა და ქვეყანას მძიმე ბეგარა ჰქონდათ მონ-
ლოლთა სასარგებლოდ გადასახდელი, ქართული ეკლესია საკმაოდ კარგ პირობებში
აგრძელებდა არსებობას. მონლოლთა პოლიტიკით, ეკლესია და ნებისმიერი სხვა
რელიგიური გაერთიანება მნიშვნელოვანი შეღავათით სარგებლობდა, იგი
თავისუფლდებოდა ყალანის მოხდისგანაც.⁶⁹⁵ მონლოლური შეღავათების პარალელ-
ურად, ეკლესია საქართველოს მთავრობისგანაც შეუვალობით სარგებლობდა და
სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან შედარებით, უპირატესი იყო⁶⁹⁶.

ეკლესიის სანინაალმდეგოდ მოქმედება დაიწყო დავით VII მნიშვნელოვან როლს
ბასილი უჯარმელ-ჭყონდიდელმა, რომელმაც მიწის რეფორმა განახორციელა.
რეფორმა გაჭირვებულთათვის იმ მიწების დარიგებას ისახავდა მიზნად, რომლებიც
ეკლესიას საუკუნეების განმავლობაში წინა მეფეებისგან ჰქონდა ნაბოძები.⁶⁹⁷ უჯარ-
მელ-ჭყონდიდლის გადამწყვეტილებამ ეკლესიის უკმაყოფილება გამოიწვია და მას
მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა გაუწია, ხოლო როდესაც ჩვეულებრივმა
წინააღმდეგობამ არ გაჭრა, უკანასკნელ გზას მიმართა და ქართული ეკლესიის ერთ-
ერთი უმაღლესი იერარქი შეაჩვენა.⁶⁹⁸ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის

⁶⁸⁹ ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, თბილისი, 1989, 27.

⁶⁹⁰ ვაჩიშვილი ალ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. II, თბილისი, 1948, 49.

⁶⁹¹ დოლიძე ი., ძველი ქართული სამართალი, თბილისი, 1953, 60.

⁶⁹² სურგულაძე ივ., ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევები, ნ. I, თბილისი, 2000, 21.

⁶⁹³ ანთელავა ილ., საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუ-
კუნეებში, თბილისი, 1983, 109.

⁶⁹⁴ სტეფანაძე ჯ., საქართველო XII საუკუნესა და XIII საუკუნის პირველ მეოთხედში, თბილისი, 1985,
168. მიქაელ კათალიკოსის მიერ დამატებითი სახელოს „მიტაცება“ მის პოლიტიკურ ინტერესებთან
და მოღვაწეობასთანა დაკავშირებული. იხ., ანთელავა ილ., საქართველოს ცენტრალური და ადგი-
ლობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი, 1983, 111.

⁶⁹⁵ ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბილისი, 2012, 99.

⁶⁹⁶ იქვე.

⁶⁹⁷ იქვე, 100.

⁶⁹⁸ შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო სამართლით, ეკლესიის მიერ დაკრულვილი
სახელმწიფოს მხრიდანაც უნდა დასჯილიყო, შერისხულიყო, რაც მის სამოქალაქო უფლებათა
დამცრობასა და პატივის აყრას გულისხმობდა. იხ., იქვე, 100-101.

დაპირისპირება იქამდე მივიდა, რომ კათალიკოს-პატრიარქმა 1263 წელს საეკლესიო კრება მოინვია, რომელმაც მეფეს ულტიმატუმი წაუყენა: თუკი საეკლესიო მინების ჩამორთმევა არ შეჩერდებოდა, ყველა ეკლესია დაიკეტებოდა და საეკლესიო რიტუალების აღსრულება შეჩერდებოდა.⁶⁹⁹ როდესაც უჯარმელ-ჭყონდიდელს სამართლებრივი გზებითა და მუქარით ვერაფერი დააკლეს, მისმა მოწინააღმდეგეებმა დავით VII ულუს სისუსტით ისარგებლეს და მნიგნობართუხუცესს დედოფალთან სქესობრივი კავშირის დასწამეს, რის გამოც მეფემ ვაზირთუხუცესი გაუსამართლებლად სიკვდილით დასაჯა — „ბრძანა ძელსა დამოკიდება“⁷⁰⁰.

მონღოლთა ბატონობის ხანაში, სამცხე-საათაბაგოს ავტონომიის პირობებში, მანყვერელი ეპისკოპოსი განსაკუთრებულ სტატუსის მატარებელი იყო და იგი ფაქტობრივად, საერო ხელისუფლებასაც ითავსებდა.⁷⁰¹ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში ჩამოთვლილია მის მიერ გადასაწყვეტ საკითხთა წრე.⁷⁰² კარსტის აზრით, სამცხე-საათაბაგოში მანყვერელი ეპისკოპოსი არა მხოლოდ სასულიერო, არამედ საერო თანამდებობასაც ფლობდა და ათაბაგთან ერთად სასამართლო ფუნქციებს ინაწილებდა.⁷⁰³

მართალია, მონღოლთა ბატონობის პერიოდში ეკლესია ეკონომიკური და ფინანსური კუთხით გამართულად ფუნქციონირებდა და მნიშვნელოვან ძალაუფლებასაც ფლობდა, თუმცა, სოციალურ პროცესებზე გავლენის თვალსაზრისით, მისი ავტორიტეტი საკმაოდ დაკნინდა, საზოგადოებრივ პროცესებსა და სახელმწიფოზე იგი უკვე აქტიურად ვეღარ ზემოქმედებდა.⁷⁰⁴ დემეტრე II თითქმის არ ითვალისწინებდა ეკლესიის მითითებებს, განსაკუთრებით უყურადღებოდ ტოვებდა ეკლესიის გაღიზიანებას მრავალცოლიანობის გამო.⁷⁰⁵

გიორგი V მმართველობის ხანაში, მონღოლებისგან გათავისუფლებულ საქართველოში ეკლესია აბსოლუტური სამეფო ხელისუფლების გავლენის ქვეშ მოექცა. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, XIV საუკუნეში მეფე ეკლესიის მეთაურია და იგი საეკლესიო რიტუალებშიც განსაკუთრებული პატივით სარგებლობს.⁷⁰⁶ ქრისტიანობა საერო ხელისუფლების ცენტრალიზაციასა და მის მხარდაჭერას უზრუნველყოფდა, რასაც საქართველოს მთიანეთში კლასიკური საზოგადოებრივი ურთიერთობების შენარჩუნების მომხრეთა მხრიდან მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა ხვდებოდა.⁷⁰⁷

შუა საუკუნეების ქართული ეკლესიის მოწყობა და საეკლესიო სამართალი უფრო დასავლეთის ეკლესიასა და *Corpus Juris Canonici*-ს ჰგავდა, ვიდრე აღმოსავლურ, ბერძნულს ან სლავურს.⁷⁰⁸ საეკლესიო სამართალმა ფაქტობრივად საერო სამართლის განვითარების მიმართულებები განსაზღვრა.⁷⁰⁹ საეკლესიო სამართლის ძეგლები

⁶⁹⁹ იქვე, 102.

⁷⁰⁰ იქვე, 104.

⁷⁰¹ იხ., დოლიძე ი., ძველი ქართული სამართალი, თბილისი, 1953, 116-117.

⁷⁰² იხ., ვაჩიშვილი ალ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. II, თბილისი, 1948, 54-55.

⁷⁰³ იქვე, 54.

⁷⁰⁴ ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბილისი, 2012, 133.

⁷⁰⁵ ამის გამო კათალიკოსი ნიკოლოზი თანამდებობიდან გადადგა და თავისივე ხელით პატრიარქად მეფის ჯვარისმტვირთველი აბრაამი აკურთხა იმ იმედით, რომ მეფესთან დაახლოებული პირი იყო და მისგან რჩევები დემეტრეს ყურადღებო. იხ., იქვე.

⁷⁰⁶ სურგულაძე ივ., ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევები, ნ. I, თბილისი, 2000, 54.

⁷⁰⁷ დოლიძე ი., ძველი ქართული სამართალი, თბილისი, 1953, 62.

⁷⁰⁸ იქვე, 115.

⁷⁰⁹ იქვე, 114.

საქართველოში სამართლის წყარო იყო. მაგ., „დიდი სჯულისკანონი“ საქართველოში უშუალოდ მოქმედებდა, მისი გამოყენებით სამოქალაქო, საოჯახო, მემკვიდრეობითი და სისხლისსამართლებრივი საკითხები წყდებოდა.⁷¹⁰ ვინაიდან ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიის სტატუსით სარგებლობდა, რელიგიური წესები ყველასთვის სავალდებულო იყო, თუმცა, იმავდროულად, სახელმწიფო რჯულშემწყნარებლობის პოლიტიკას ატარებდა, რამაც აღმაშენებლის ხანაში იმ ეპოქისთვის საოცარ მასშტაბებს მიაღწია.

1.5.2. ერთიანი საქართველოს დაშლა და ქართული ეკლესია

XV საუკუნის ქართული ეკლესია, ფაქტობრივად, აღმოსავლეთ ევროპის უკიდურესი ქრისტიანული ბასტიონი იყო, რომელსაც სერიოზული ავტორიტეტი და გავლენა დასავლეთ ევროპაშიც ჰქონდა. ამ პერიოდის კონსტანტინოპოლის ეკლესიის ეკლესიარხი ქართლის კათალიკოსს სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქს უწოდებს.⁷¹¹ საქართველოს ეკლესია ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზეც იყო წარმოდგენილი და პაპის პროტონოტარიუსის მიერ დიპტიქში მე-5 ადგილზეა დაყენებული⁷¹².

1453 წელს კონსტანტინოპოლის დაცემამ აღმოსავლეთის ქრისტიანობის ცენტრალიზაციას წერტილი დაუსვა, — ცენტრის მოსპობამ ეროვნული ეკლესიების ჩამოყალიბება განაპირობა.⁷¹³ ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკური სივრციდან გაქრობის შემდეგ ადგილობრივმა სამეფოებმა და იმპერიებმა აქტიურად დაიწყეს ბიბლიის მთარგმნელობითი საქმიანობა, რაც საზოგადოების დამოუკიდებლობასა და ქრისტიანობის ნაციონალიზაციას, ეკლესიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საქმის სამსახურში ჩადგომას იწვევდა.⁷¹⁴ აღნიშნული ეტაპი ქართულ ეკლესიას გაცილებით ადრე, თითქმის 10 საუკუნის წინ ჰქონდა გავლილი და ბიზანტიური ეკლესიის გავლენისგან სრულად თავისუფალი იყო, თუმცა ჰქონდა სხვა, ბევრად სერიოზული პრობლემა, რადგან საქართველოს ერთიანი სამეფო, სადაც მართლმადიდებელი ეკლესია სრულად იყო ინტეგრირებული და სახელმწიფო აპარატის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, იშლებოდა. XV საუკუნეში ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის პროცესში სამცხის ათაბაგები მანყვერელი და სხვა სამცხელი ეპისკოპოსების გადაბირებას ცდილობდნენ, რასაც კათალიკოს-პატრიარქ დავითის სწრაფმა რეაქციამ შეუშალა ხელი: საქართველოს ერთიანობის მონინააღმდეგე და ურჩი ეპისკოპოსები შეაჩვენა ისე, რომ „უჯუარო და შეუნდობელნი იყუნეს საფარისა თავზედა“.⁷¹⁵ ქართული ეკლესია საქართველოს სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნ-

⁷¹⁰ მეტრეველი ვ., ქართული სამართლის ისტორია, თბილისი, 2009, 22.

⁷¹¹ მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.2, VI-XI საუკუნეები, თბილისი, 2012, 314.

⁷¹² იქვე, 315.

⁷¹³ Merriman S.A., Religion and the State, An International Analysis of Roles and Relationship, Santa Barbara, 2009, 23.

⁷¹⁴ იქვე.

⁷¹⁵ ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბილისი, 2012, 44.

ნებლად იბრძოდა და სამცხის ყველა მღვდელმთავარი და სასულიერო პირი კათალიკოსისა და საქართველოს მეფის მორჩილებაზე სავალდებულო წესით⁷¹⁶ დააფიცა.⁷¹⁷ საბოლოოდ, აღნიშნული მექანიზმი გრძელვადიანი მოქმედებისა არ აღმოჩნდა, მზეჭაბუკ ათაბაგმა ანტიოქიის პატრიარქ დოსითეოსს საეკლესიო კანონების სრული დარღვევით მანყვერელი ეპისკოპოსი მთელი სამცხის ეკლესიების უფროსად გამოაცხადებინა, რითაც ფაქტობრივად, სამცხე ქართლის კათალიკოსის იურისდიქციას ჩამოაშორა.⁷¹⁸ მესხეთის ეკლესიებისათვის უკანონო დამოუკიდებლობის მინიჭებით მესხეთის მთავარმა საბოლოო დამოუკიდებლობას მიაღწია, მეფე კონსტანტინეს მცდელობის მიუხედავად, სამცხე ქართლის სამეფოს ჩამოსცილდა.⁷¹⁹

იმერეთის მეფე ბაგრატ VI საერო დამოუკიდებლობის მოპოვების პარალელურად, დასავლეთ საქართველოს ეკლესია ერთიან საქართველოს ჩამოაშორა და ანტიოქიის პატრიარქ მიხეილს, ყოველგვარი კანონიკის დარღვევით აფხაზთა კათალიკოსად იოანე აკურთხებინა, რითაც რამდენიმე საუკუნით დაასამარა ერთიანი ქართული ეკლესიის იდეა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობის ერთ-ერთი წინაპირობა და იდეოლოგიური საყრდენი იყო.⁷²⁰ საქართველოს დაშლას ქართული ეკლესიის დაყოფაც მოჰყვა, რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან ეკლესია ყოველთვის ცდილობდა ერთიანობის შენარჩუნებას, ამიტომაც სეპარატისტულად განწყობილი მეფე-მთავრებისთვის მისი დასუსტება უპირველესი ამოცანა იყო. რამდენიმე ეკლესიის წარმოქმნის შემდეგ კი თითოეულმა მთავარმა თავისი სამთავროს ეკლესია დაიმორჩილა და სახელმწიფო ნებას სრულად დაუქვემდებარა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული სახელმწიფო და ეკლესია ერთიანი აღარ იყო, ეს უკანასკნელი კვლავაც აქტიურად ცდილობდა, სახელმწიფო ფუნქციები ეთავა და სადაც ხელისუფლება პრობლემებს ვერ წყვეტდა, თავად შეესრულებინა აქტიური როლი. სასულიერო და საერო პრობლემების გადასაწყვეტად XVI საუკუნის შუა წლებში საეკლესიო კრება იქნა მოწვეული.⁷²¹ კრება ქართლის კათალიკოს მალაქიასა და აფხაზეთის კათალიკოს ევდემონის ინიციატივით შედგა და მან მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტი მიიღო, რომელიც „კათალიკოზთა სამართლის“ სახელითაა ცნობილი.⁷²² დოკუმენტი საერო და სასულიერო ცხოვრების პრობლემურ და აქტუალურ საკითხებს ანესრიგებდა. მასში კვლავაც შენარჩუნებულია სახელმწიფოსა და ეკლესიის სტატუსობრივი თანასწორობისა და ეკლესიის მნიშვნელოვან როლზე ხაზგასმის ტრადიცია.⁷²³ მართალია, დოკუმენტი საერო საკითხებსაც ანესრიგებდა, თუმცა ხელისუფალთა სისუსტისა და მობილიზების არქონის გამო მან მაინც უფრო სასულიერო ფუნქცია შეასრულა, საერო ცხოვრებაზე კი მხოლოდ საზოგადოებრივი ზეგავლენით შემოიფარგლა.

⁷¹⁶ ჯავახიშვილის შეფასებით, როგორც რომის პაპები იყენებდნენ ეპისკოპოსების კანდიდატებისთვის *Juramentum Oboedientiae*-ს მექანიზმს, ისე საქართველოს კათალიკოს-პატრიარქებს გამოუყენებიათ მორჩილების ფიცი და „თავიანთი სჯულისკანონზე დამყარებული უფლება ფიცსა და ხელშეკრულებაზე დამყარებული უფლებით გაუმყარებიათ“. იხ., იქვე, 162-163.

⁷¹⁷ იქვე, 49.

⁷¹⁸ იქვე, 226.

⁷¹⁹ იქვე, 227.

⁷²⁰ იქვე, 103.

⁷²¹ სურგულაძე ივ., ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევები, წ. I, თბილისი, 2000, 217.

⁷²² იხ., იქვე, 214-215.

⁷²³ მაგ., „კათალიკოზთა სამართალი“ ეპისკოპოსისა და ქორეპისკოპოსის საქმიანობისთვის ხელის შეშლას კრძალავს და მსგავს ქმედებას მეფის წინააღმდეგ განხორციელებულ ურჩობად და დანაშაულად ადგენს. იხ., იქვე, 246.

1.5.3. ვახტანგის სამართალი

ისტორიულად, საქართველოში მეფესა და კათალიკოსს შორის თანასწორუფლებიანი დამოკიდებულება იყო, მათი კომპეტენციური სფერო კი — გამიჯნული.⁷²⁴ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმართვაში, ხშირ შემთხვევაში ისინი მართვა-გამგეობის მნიშვნელოვან საკითხებსაც ნყვეტდნენ.⁷²⁵ კათალიკოსი სასულიერო წოდების სხვა წარმომადგენლებთან ერთად მნიშვნელოვან ავტონომიას ფლობდა, ფაქტობრივად, ეკლესია წარმოადგენდა „ცალკე სამეფოს სახელმწიფოში“.⁷²⁶ ვახტანგის სამართლით მეფე და კათალიკოსი თანაბარი სამართლებრივი სტატუსით სარგებლობდნენ.⁷²⁷ სამართლის წიგნი კათალიკოსის იურისდიქციას განკუთვნილ საკითხებს ცალკე განსაზღვრავდა.⁷²⁸

რომის სამართალი ქრისტიანობის დათმობას დანაშაულის კატეგორიად განიხილავდა,⁷²⁹ რაც სრულებით არაა გასაკვირი, რადგანაც ქრისტიანულ რომში ეკლესია და რელიგია დიდ როლს ასრულებდა, შეიძლება ითქვას სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა.⁷³⁰ ანალოგიური მიდგომა იყო საქართველოშიც, ვახტანგის სამართალიც ქვეყნისა და რჯულის ორგულობას ერთ კატეგორიაში აქცევს.⁷³¹ იგი ეკლესიის მმართველობის წინააღმდეგ დანაშაულს სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებულ უმართლობას უთანაბრებდა.⁷³²

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ირან-ოსმალეთის გამუდმებულმა შემოტევებმა და მათმა კულტურულმა ექსპანსიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქართულ ეკლესიაზე. ეს უკანასკნელი თავის ისტორიულ ნიალს, ევროპულ კულტურასა და ქრისტიანობას მოწყდა, ბიზანტიის დაცემამ კი უკანასკნელი დამაკავშირებელი სივრცითი ზღვარიც მოშალა. ამ და სხვა პრაქტიკულ მიზეზთა გამო XVIII საუკუნეში ქართული ეკლესიის სასულიერო პირთა განათლების დონე იმდენად დაბალი იყო, რომ ეს მნიშვნელოვნად აფერხებდა ვახტან VI მიერ წამოწყებულ რეფორმებს, — ამან კიდევ უფრო დააჩქარა თბილისში სტამბის გახსნა.⁷³³ თბილისის

⁷²⁴ ხიზანაშვილი (ურბნელი) ნ., რჩეული იურიდიული ჩანაწერები, თბილისი, 1982, 278.

⁷²⁵ მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.4, XVII-XX საუკუნეები, თბილისი, 2012, 138.

⁷²⁶ ხიზანაშვილი (ურბნელი) ნ., რჩეული იურიდიული ჩანაწერები, თბილისი, 1982, 278.

⁷²⁷ დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, 222-ე მუხლი, თბილისი, 1963, 932; „მეფე და კათალიკოზის საქმე... ორივე სწორი არის, იმიტომ რომ ერთი ხორცის ხელმწიფე არის და მეორე სულისა, კურთხევა და პატივიც ღვთისგან და კაცთაგანაც სწორე აქვსთ.“ იხ., ხიზანაშვილი (ურბნელი) ნ., რჩეული იურიდიული ჩანაწერები, თბილისი, 1982, 278, იხ. ციტირება: ვახტანგის სამართალი, მუხლი „კე“.

⁷²⁸ საეკლესიო სასამართლოსა და კათალიკოსის (როგორც დამოუკიდებლად, ისე სახელმწიფოსთან ერთად) განსახილველ შემთხვევებს ეხებოდა ვახტანგის სამართლის 24-ე, 61-ე, 62-ე, 64-ე, 65-ე, 66-ე, 78-ე, 79-ე, 81-ე, 82-ე, 95-ე, 96-ე, 97-ე, 155-ე და 262-ე მუხლები. იხ., ვაჩიშვილი ალ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. II, თბილისი, 1948, 52.

⁷²⁹ ივანიძე მ., რელიგიისა და სისხლის სამართლის ურთიერთობის ზოგიერთი ისტორიული ასპექტი, ჟურნ. „სამართალი“, №2-3, 1998, 60, იხ. ციტირება: Codex Teodosianes, Helnel, 8,8,5,819.

⁷³⁰ იხ., იქვე, 61.

⁷³¹ დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, 222-ე მუხლი, თბილისი, 1963, 539.

⁷³² მეტრეველი ვ., ქართული სამართლის ისტორია, თბილისი, 2009, 31.

⁷³³ ხიზანაშვილი (ურბნელი) ნ., რჩეული იურიდიული ჩანაწერები, თბილისი, 1982, 291.

სტამბაში პირველად სწორედ საეკლესიო წიგნები დაიბეჭდა, რათა რაც შეიძლება მალე გაეცვრცელებინათ ისინი სასულიერო პირებში⁷³⁴.

1.5.4. XVIII საუკუნე

XVIII საუკუნეში ეკლესიის რეფორმირებას ანტონ კათალიკოსი შეეცადა.⁷³⁵ 24 წლის ასაკში უკვე პატრიარქად ხელდასმული ანტონი ქართლის ბაგრატიონთა მემკვიდრე იყო, რაც თეიმურაზ II შიშის საფუძველს აძლევდა, მით უფრო ქართლის სამეფოს ტახტზე მისი სუსტი უფლებების ფონზე.⁷³⁶ სწორედ ამის გამო მეფე მაქსიმალურად ცდილობდა ანტონის პოლიტიკური, საერო და სასულიერო ცხოვრებიდან ჩამოშორებას. საბოლოოდ, მეფის ინიციატივით, ქართლის ეკლესიამ „გაკათოლიკების“ ბრალდებით, კათალიკოსი განკვეთა. საეკლესიო კრების განაჩენზე თეიმურაზ მეორემ ერეკლეც დააფიცა, თუმცა მამის გარდაცვალების შემდეგ ერეკლემ ანტონი რუსეთიდან დააბრუნა და საპატრიარქო ტახტზეც აღადგინა.⁷³⁷ მამისგან განსხვავებით, ერეკლე ანტონს ენდობოდა, იგი მისი თანამოაზრე და მეგობარი იყო,⁷³⁸ რომელიც სამეფოს რეფორმირებისა და განვითარების საქმეში დიდად წაადგებოდა.

ანტონ I ერეკლე II ვახტანგისეული სტამბა აღადგენინა, რომელიც ამ უკანასკნელის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ არ მუშაობდა, ასევე, კათალიკოსის მხარდაჭერით თბილისში ფილოსოფიური სემინარია შეიქმნა.⁷³⁹ კათალიკოსი აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ მოვლენებშიც, იგი გეორგიევსკის ტრაქტატის დადების ერთ-ერთი ინიციატორი იყო⁷⁴⁰.

1.6. ქართული ეკლესია რუსული ანექსიის პერიოდში

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, 1802 წლიდან დაიწყო ქართლის კათალიკოსის, ანტონ II უფლებების შელახვა და რუსეთის იმპერიის წარმომადგენლების მიერ ეკლესიის საკითხებში აქტიური ჩარევა.⁷⁴¹ ჯერ კიდევ გეორგიევსკის ტრაქტატში გამჟღავნდა რუსეთის ინტერესები ქართულ ეკლესიასთან დაკავშირებით, როცა ქართლის კათალიკოსი რუსეთის სინოდის რიგით წევრს გაუთანაბრდა.⁷⁴² ქართული ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში მთელი ცარისტული მანქანა ჩაერთო, რადგანაც ეკლესია ქართული იდენტობისა და სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანი იყო, რაც რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს

⁷³⁴ იქვე, 292.

⁷³⁵ ქიქოძე გ., ერეკლე მეორე, თბილისი, 1958, 91.

⁷³⁶ მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.4, XVII-XX საუკუნეები, თბილისი, 2012, 135.

⁷³⁷ იქვე, 140.

⁷³⁸ ქიქოძე გ., ერეკლე მეორე, თბილისი, 1958, 95.

⁷³⁹ იქვე, 92.

⁷⁴⁰ იქვე, 96.

⁷⁴¹ იხ., ტყეშელაშვილი ლ., საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები, ქუთაისი, 2014, 230-231;

⁷⁴² აბაშიძე ზ., თადეუმაძე მ., საქართველოში რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის ისტორიიდან (XIX ს-ის პირველი ნახევარი), წიგნში: რელიგიის ისტორიის საკითხები, ტ.1, ზ. აბაშიძის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 197.

ენინაალმდეგებოდა.⁷⁴³ მიზანმიმართული და აგრესიული კამპანიის შედეგად 1811-1814 წლებში მცხეთისა და აფხაზეთის საპატრიარქოები, ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა, ეს უკანასკნელი კი რუსეთის „უწმიდესი სინოდის“ რიგით საეგზარქოსოდ იქცა.⁷⁴⁴

XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის მეცადინეობით რამდენიმე ასეული ეკლესია დაიხურა და ქართული ისტორიული საეპისკოპოსოები გააუქმეს.⁷⁴⁵ რუსეთმა ქართულ ეკლესიას ქონება ჩამოართვა და სასულიერო პირებს სახაზინო ჯამაგირი დაუნიშნა.⁷⁴⁶ დამპყრობლების მიერ გატარებული საეკლესიო რეფორმის მიზანი საქართველოს ეკლესიის ეკონომიკური დამოუკიდებლობის განადგურება იყო,⁷⁴⁷ მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი იმპერიისთვის მხოლოდ შემოსავლის წყაროდ განიხილებოდა.⁷⁴⁸ ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების შედეგად, 1818 წელს აჯანყდა სამეგრელო და იმერეთი, აჯანყება თითქმის 2 წელზე მეტი ხანი სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობდა და იგი რუსეთის არმიამ სისხლში ჩაახშო.⁷⁴⁹

მთელი XIX საუკუნე რუსეთი ქართული ეკლესიის მატერიალურ თუ არამატერიალურ სიკეთეს ანადგურებდა და ძარცვავდა.⁷⁵⁰ დამპყრობლური და მავნებლური ქმედებების შედეგად უდიდესი ზიანი მიაღწა ქართულ კულტურასა და ეკლესიას, როგორც ინსტიტუტს, შეირყა და დაკნინდა ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების ქართული გაგება, რის გამოც ეკლესიამ ავტორიტეტი და საზოგადოებაზე გავლენა თითქმის დაკარგა. სწორედ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან შეინიშნება ქართულ საზოგადოებაში სეკულარიზმის პირველი ნიშნები⁷⁵¹, რომელმაც ასახვა დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ჰპოვა.

1.7. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

ქართველ ავტოკეფალისტთა გამოსვლები თვითმწყემსობის გაუქმების დღიდანვე დაიწყო, თუმცა განსაკუთრებულ ინტენსივობას XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის

⁷⁴³ კეკელია თ., გავაშელიშვილი ე., ლადარია კ., სულხანიშვილი ი., მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებაში (XX საუკუნის ბოლო — XXI საუკუნის დასაწყისი), თბილისი, 2013, 16.

⁷⁴⁴ სურგულაძე ა., სურგულაძე პ., საქართველოს ისტორია, 1783-1990, თბილისი, 1991, 17.

⁷⁴⁵ კეკელია თ., გავაშელიშვილი ე., ლადარია კ., სულხანიშვილი ი., მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებაში (XX საუკუნის ბოლო — XXI საუკუნის დასაწყისი), თბილისი, 2013, 17.

⁷⁴⁶ სურგულაძე ა., სურგულაძე პ., საქართველოს ისტორია, 1783-1990, თბილისი, 1991, 18.

⁷⁴⁷ აბაშიძე ზ., თადუმაძე მ., საქართველოში რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის ისტორიიდან (XIX ს-ის პირველი ნახევარი), წიგნში: რელიგიის ისტორიის საკითხები, ტ. I, ზ. აბაშიძის რედაქტორობით, თბილისი, 210.

⁷⁴⁸ მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. 4, XVII-XX საუკუნეები, თბილისი, 2012, 190.

⁷⁴⁹ 1820 წელს გაენათელი ეპისკოპოსების, ექვთიმესა და დოსითეოზის დაპატიმრებამ მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა გამოიწვია: იმავე წლის 21 მაისს გელათის მონასტერს დაქვემდებარებული აჯანყებული სოფელ ფუტიეთში საიმპერიო ჯარებმა ორი ათასი ქართველი დახოცეს. იხ., იქვე, 191-192.

⁷⁵⁰ სურგულაძე ა., სურგულაძე პ., საქართველოს ისტორია, 1783-1990, თბილისი, 1991, 184; ტყეშელაშვილი ლ., საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები, ქუთაისი, 2014, 249.

⁷⁵¹ იხ., ლაღანიძე მ., საქართველოს სეკულარიზაციის გზაზე, წიგნში: საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, ვ. ნაცვლიშვილისა და დ. ზედელაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2016, 154.

დასაწყისში მიაღწია.⁷⁵² ავტოკეფალისტების აზრით, ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია არ დაუკარგავს, რადგან ეს *de jure* არ განხორციელებულა, უბრალოდ მას ავტოკეფალიის ფაქტობრივი აღსრულების შესაძლებლობა შეეზღუდა.⁷⁵³ რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ ეს პროცესი კიდევ უფრო გააქტიურდა, რადგანაც ქართული ეკლესიისთვის თვითმწყემსობის აღდგენა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის აუცილებელ ღონისძიებად იყო მიჩნეული.⁷⁵⁴ შედეგად, 1917 წლის 12(25) მარტს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ავტოკეფალია აღიდგინა, რაც სასულიერო და საერო პირების ერთობლივი მეცადინეობით მოხერხდა⁷⁵⁵.

პატრიარქმა კირიონმა ოფიციალურად გააცხადა ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების ახალი მიმართულება, ეკლესიამ ქართული სახელმწიფოებრიობის ხელმძღვანელობისა და დახმარების ფუნქცია იტვირთა.⁷⁵⁶ სასულიერო პირები მონაწილეობდნენ 1918 წლის 26 მაისს გამართულ სხდომაში,⁷⁵⁷ ასევე, დამფუძნებელი კრების მოწვევასა და სხვა მნიშვნელოვან საერო ღონისძიებებში.⁷⁵⁸ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ორ დღეში, 28 მაისს საკათალიკოსო საბჭომ დამოუკიდებლობის დღე „სახეიმო მოვლენად“ გამოაცხადა⁷⁵⁹ და შემუშავდა „დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს მიმართ მორწმუნე მოქალაქეთა ფიცის ფურცელი“, რომელიც მთელი სამღვდლოებისათვის სავალდებულო იყო⁷⁶⁰.

ეკლესიის მხრიდან სახელმწიფოსადმი მხარდაჭერასა და ლოიალობას ხელისუფლების მხრიდან სრულიად საპირისპირო განწყობა ხვდებოდა. სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, რომლის სეკულარული პოლიტიკა მმართველი პოლიტიკური ელიტის იდეოლოგიას, რეფორმირებულ მარქსიზმს, ეყრდნობოდა,⁷⁶¹ არა მხოლოდ არ ენდობოდა ეკლესიას, არამედ ყველა ფორმით ცდილობდა, შეევიწროებინა ნებისმიერი რელიგია. ამან, საბოლოო ჯამში, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ

⁷⁵² იხ., ტყეშელაშვილი ლ., საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები, ქუთაისი, 2014, 250-302.

⁷⁵³ იქვე, 225.

⁷⁵⁴ პავლიაშვილი ქ., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში, თბილისი, 2000, 145.

⁷⁵⁵ ხეცურიანი ჯ., სახელმწიფო და ეკლესია, ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2013, 7.

⁷⁵⁶ „განმტკიცება ახლად აღდგენილი ეკლესიისა მის ისტორიულ უფლებებში — აი, პირველი საზრუნავი. დღეს ვალად აძევს ეკლესიას ემსახუროს იმავე იდეას და მედგრად გაახსენოს კაცობრიობას სახელი ქართველი ერისა. მან ხელი უნდა შეუწყოს ჩვენს განმტკიცება გაერთიანებას, რათა კაცობრიობის ფერხულში ჩვენც ვპოვოთ შესაფარი და დამსახურებული ადგილი. აი, მეორე საზრუნავი ჩვენი.“ იხ., ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, №1, 1987, 10.

⁷⁵⁷ ვარდოსანიძე ს., საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში, თბილისი, 2001, 30.

⁷⁵⁸ „საქართველოს რესპუბლიკისათვის დიდმნიშვნელოვანია ეს დღე, როგორც დღე დამფუძნებელი კრების მოწვევის და ამ გზით ჩვენი თავისუფლების გამაგრებისა და კანონიერების გზაზე დადგომისა. დიდი ბედნიერებაა, უდიდესი მონაპოვარია ხალხის კეთილდღეობისთვის.“ იხ., ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ამბროსის სიტყვა დამფუძნებელი კრების მოწვევის წლისთავთან დაკავშირებით (1920 28/02), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები 1917-1927 წწ.ში, წერილები, თბილისი, 2010, 34.

⁷⁵⁹ პავლიაშვილი ქ., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში, თბილისი, 2000, 146.

⁷⁶⁰ იხ., იქვე, 147-148.

⁷⁶¹ ლაღანიძე მ., საქართველოს სეკულარიზაციის გზაზე, წიგნში: საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, ვ. ნაცვლიშვილისა და დ. ზედელაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2016, 157.

ცნობიერებას სერიოზული დარტყმა მიაყენა და უპირველეს ყოვლისა, თავად სახელმწიფო დააზარალა.⁷⁶² საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა არაფრად აგდებდა ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების კლასიკურ ქართულ სისტემას, მისთვის უინტერესო იყო მართლმადიდებელი ეკლესიის მომავალი, ამ უკანასკნელის პრობლემებს კი საერთოდ უგულებელყოფდა.⁷⁶³ სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის შედეგად დაიხურა რელიგიური სასწავლებლები, უსახსროდ დარჩა ათასობით ადამიანი⁷⁶⁴. ეკლესიას ჩამოერთვა ქონება, მიწები და საეკლესიო საგანძური⁷⁶⁵, სასულიერო სასწავლებლები განათლების სამინისტროს გადაეცა⁷⁶⁶, გაუქმდა საღვთო სჯულის სწავლება⁷⁶⁷, ეკლესიას ჩამოერთვა სამოქალაქო რეგისტრაციის უფლება⁷⁶⁸, საეკლესიო დღესასწაულების ხარჯზე შემცირდა უქმე დღეები⁷⁶⁹ და ა.შ. სახელმწიფო აქტიურად ერეოდა ეკლესიის შიდა საქმეებში და არც მალავდა თავის ინტერესს, მისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ეკლესიის სახელითაც თავად მიეღო გადაწყვეტილება.⁷⁷⁰ საქართველოს მთავრობამ 1920 წლის სექტემბერ-ნოემბერში შეიმუშავა ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის კანონპროექტი,⁷⁷¹ მართალია, მისი მიღება ვერ მოესწრო, თუმცა კანონის ძირითადი პრინციპები 1921 წლის კონსტიტუციაში აისახა⁷⁷².

სახელმწიფოსა და ეკლესიის შესახებ თავი საკონსტიტუციო კომისიამ ჯერ კიდევ 1919 წლის 24 თებერვალს განიხილა.⁷⁷³ კომისიას სახელმწიფოსა და ეკლესიის შესახებ

⁷⁶² იხ., იქვე, 165.

⁷⁶³ კაკაბაძე ს., ქართველი ხალხის ისტორია, თბილისი, 1997, 249.

⁷⁶⁴ პავლიაშვილი ქ., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში, თბილისი, 2000, 180.

⁷⁶⁵ ლაღანიძე მ., საქართველოს სეკულარიზაციის გზაზე, წიგნში: საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, ვ. ნაცვლიშვილისა და დ. ზედელაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2016, 158; მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული, თბილისი, 2010, 593.

⁷⁶⁶ იხ., საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 13 სექტემბრის კანონი „სამასწავლებლო ინსტიტუტის და სემინარიების გაეროვნებისა“; მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული, თბილისი, 2010, 593.

⁷⁶⁷ იხ., საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 26 ნოემბრის კანონი „საღვთო სჯულის სწავლების გაუქმებისა“, პირველი პუნქტი.

⁷⁶⁸ მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული, თბილისი, 2010, 593.

⁷⁶⁹ იხ., საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 17 ივნისის კანონი „უქმე დღეების რიცხვის შემცირებისა“.

⁷⁷⁰ „მაგალითად, შინაგან საქმეთა კომისარის ბრძანებულების საფუძველზე, აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიების მმართველად შერჩეულ იქნა ხელისუფლებისათვის სასურველი კანდიდატურა და არა ქართული ეკლესიის მიერ დანიშნული სასულიერო პირი.“ იხ., პავლიაშვილი ქ., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში, თბილისი, 2000, 171.

⁷⁷¹ იქვე, 171.

⁷⁷² გეგენავა დ., ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები (1917-1921) და საქართველოს პირველი კონსტიტუცია, წიგნში: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის კონსტიტუცია, დ. გეგენავასა და პ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2013, 179-189.

⁷⁷³ მაცაბერიძე მ., საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება და მიღება, ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, ბათუმი, 2011, 21.

ორი პროექტი წარუდგინეს გიორგი ნანეიშვილმა და რაჟდენ არსენიძემ, თუმცა საბოლოოდ მაინც ნანეიშვილის პროექტი გავიდა.⁷⁷⁴ საქართველოს პირველმა კონსტიტუციამ ფრანგული *Laïcité*-ს მოდელი აირჩია და რელიგია-სახელმწიფოს ურთიერთობები ცალკე თავით მოაწესრიგა.⁷⁷⁵ კონსტიტუციამ ურთიერთწარუდგომისა და დამოუკიდებლობის პრინციპი დაადგინა⁷⁷⁶, ყველა რელიგიას თანაბარი სტატუსი მიენიჭა⁷⁷⁷, აიკრძალა რელიგიის დაფინანსება მმართველობის ნებისმიერ დონეზე⁷⁷⁸.

სამწუხაროდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გაუაზრებელმა სეკულარულმა პოლიტიკამ ქართულ ეკლესიასა და სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს გამოსწორებელი დარტყმა მიაყენა. საბჭოთა ანექსიის შემდეგ ოკუპაციურ ძალებს ფაქტობრივად მიწასთან გასწორებული რელიგიური გარემო დახვდათ, რომელთანაც უკვე არა სამართლებრივი და ეკონომიკური, არამედ იდეოლოგიური ბრძოლა და ხორციელი განადგურება იყო საჭირო.

1.8. ქართული ეკლესია და საბჭოთა კავშირი

სახელმწიფოში ძალაუფლების მქონე ჯგუფის რელიგიური მრწამსი ზოგჯერ მოსახლეობის უმრავლესობის რელიგიური შეხედულებებისგან განსხვავდება.⁷⁷⁹ ეს ყოველივე არსად ისეთი დოზით არ გაცხადებულა, როგორც საბჭოთა კავშირში, სადაც მმართველი პარტია და პარტიული ელიტა ანტიეკლესიის მოდელს ავითარებდნენ, იდეენობდა ნებისმიერი რელიგია. საბჭოთა კავშირის გავლენით, აღმოსავლეთ ევროპაში ეკლესიებმა ტოტალიტარული რეჟიმებისგან მძიმე რეპრესიები გადაიტანეს⁷⁸⁰.

სტალინური კონსტიტუციები ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის შესახებ ფორმალურ დებულებებს მოიცავდა, თუმცა სახელმწიფო პოლიტიკა დემოკრატიული სეკულარიზმისგან შორს იდგა.⁷⁸¹ მართლმადიდებელ ეკლესიასა და ნებისმიერ რელიგიურ გაერთიანებას საბჭოთა კავშირში ეკრძალებოდა საკუთრების ქონა და ისინი იურიდიული პირის სტატუსით არ სარგებლობდნენ.⁷⁸² კომუნისტების პერიოდში ეკლესია იდეენობდა და ეს ყოველივე არა მხოლოდ ფაქტობრივად, არამედ ფორმალურად იყო დასაბუთებული და საბჭოური სამართლის საფუძველზე, სამართლებრივი აქტების საშუალებით ხორციელდებოდა⁷⁸³.

⁷⁷⁴ მაცაბერიძე მ., საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: შემუშავება და მიღება, თბილისი, 2008, 78.

⁷⁷⁵ იხ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის XVI თავი.

⁷⁷⁶ იქვე, 142-ე მუხლი.

⁷⁷⁷ იქვე, 143-ე მუხლი.

⁷⁷⁸ იქვე, 144-ე მუხლი.

⁷⁷⁹ Anckar C., Religion and Democracy, A Worldwide Comparison, Abingdon, 2011, 166.

⁷⁸⁰ Gautier M.L., Church Elites and the Restoration of Civil Society in the Communist Societies of Central Europe, "Journal of Church and State", Vol.40, No.2, 1998, 293.

⁷⁸¹ ნარინდოშვილი მ., გოგელია ვ., ჯუღაყიძე თ., ჯაში ზ., გლურჯიძე ე., რელიგიის თავისუფლება, თბილისი, 2004, 70.

⁷⁸² ხეცურიანი ჯ., სახელმწიფო და ეკლესია, ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2013, 8, იხ. ციტირება: დეკრეტი 21 საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტისა „სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ“. საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), შემდგენელი გრ. ერმაკოვი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1983 წ., გვ. 31-33.

⁷⁸³ იქვე, 16.

საბჭოური ოკუპაციის ხანა ეკლესიის შევიწროებით, ტაძრებისა და სასულიერო პირთა განადგურებით ხასიათდება, თუმცა 40-იანი წლების ბოლოდან ეკლესიის მიმართ აქტიურმა აგრესიულმა პოლიტიკამ მნიშვნელოვნად იცვალა სახე და გაცილებით შემწყნარებლური გახდა, რა თქმა უნდა, საბჭოური სტანდარტით (1943 წელს საბჭოთა კავშირისა და მართლმადიდებელი ეკლესიის გაერთიანებამ საერთო მტრის წინააღმდეგ, ომის დასრულების შემდეგ ეკლესიას შედარებით მეტი თავისუფლება და მართალია, შეზღუდულად, თუმცა მაინც, მოქმედების მეტი სივრცე მისცა⁷⁸⁴). მართლმადიდებლობამ შეძლო როგორც დამპყრობლებთან, ისე ავტორიტარულ და ტოტალიტარულ რეჟიმებთან თანაარსებობა.⁷⁸⁵ ამ პერიოდში ერთადერთი დადებითად დასამახსოვრებელი ფაქტი ქართული ეკლესიისთვის ის იყო, რომ მეოცე საუკუნის 40-იან წლებში აღდგენილმა რუსეთი საპატრიარქომ სცნო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია, ხოლო 1990 წელს მსოფლიო პატრიარქმა და კონსტანტინოპოლის წმიდა სინოდმა აღიარეს ქართული ეკლესიის უძველესი სტატუსი და ავტოკეფალია⁷⁸⁶.

1990 წლის 9 ოქტომბერს საბჭოთა კავშირმა საკანონმდებლო დონეზე ნება დართო რელიგიურ გაერთიანებებს, მშვიდობიანად და თავისუფლად ემოქმედათ, უფრო მეტიც, არა მხოლოდ დასრულდა მათ მიმართ მტრული დამოკიდებულება, არამედ ქველმოქმედებისა და საგამომცემლო საქმიანობის განხორციელების ნებაც მიეცათ.⁷⁸⁷ თუმცა ამას უკვე არსებითი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ვინაიდან საბჭოთა კავშირი პოლიტიკურ რუკაზე არსებობის ბოლო თვეებს ითვლიდა.

1.9. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომი პერიოდი

ეკლესია ხშირად ყოფილა პოლიტიკური ბატალიებისა თუ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი გარდაქმნების მონაწილე. მაგ., 1990-იან წლებში ხორვატიის სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პარალელურად, მნიშვნელოვანი გარდაქმნები მოხდა ხორვატიის ეკლესიაშიც.⁷⁸⁸ კომუნისტური ბლოკის სახელმწიფოების გათავისუფლების შემდეგ ეროვნულმა ეკლესიებმა თავიანთი მდგომარეობის აღდგენა სცადეს, რასაც არა მხოლოდ მიაღწიეს, არამედ ფაქტობრივად სახელმწიფოს ნაწილად, მის მძლავრ ინსტიტუტად ჩამოყალიბება შეძლეს.⁷⁸⁹ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში თითოეულმა დომინანტმა ეკლესიამ სახელმწიფოსთან ურთიერთობის თავისებური, ინდივიდუალური მოდელი შეიმუშავა.⁷⁹⁰ ამასთან, თითოეული მათგანის შემთხვევაში, მართლმადიდებელი ეკლესიებისა და სახელმწიფოების ურთიერთობები

⁷⁸⁴ იბ., Della Cava R., Transnational Religions: The Roman Catholic Church in Brazil & the Orthodox Church in Russia, "Sociology of Religion", Vol.62, No.4, 2001, 546.

⁷⁸⁵ Pollis A., Eastern Orthodoxy and Human Rights, "Human Rights Quarterly", Vol.15, 1993, 349.

⁷⁸⁶ Grdzeldze T., The Georgian Tradition, in: The Orthodox Christian World, Edited by A. Casiday, Routledge, 2012, 61.

⁷⁸⁷ Glanzer P., Teaching Christian Ethics in Russian Public Schools: The Testing of Russia's Church-State Boundaries, "Journal Church and State", Vol.41, 1999, 287.

⁷⁸⁸ Bartulin N., The Racial Idea in the Independent State of Croatia (Origins and Theory), Leiden-Boston, 2014, 215.

⁷⁸⁹ იბ., Della Cava R., Transnational Religions: The Roman Catholic Church in Brazil & the Orthodox Church in Russia, "Sociology of Religion", Vol.62, No.4, 2001, 545.

⁷⁹⁰ Roudometof V., Greek Orthodoxy, Territoriality, and Globality: Religious Responses and Institutional Disputes, "Sociology of Religion", Vol.69, No.1, 2008, 73.

სხვადასხვა მიმართულებით განვითარდა.⁷⁹¹ მსგავსი პროცესები დაიწყო პოსტკო-ტალიტარულ საქართველოშიც. სახელმწიფომ 1990-იანი წლების დასაწყისში გააუქმა ქართული საზოგადოებისთვის უცხო და აღადგინა ისტორიული და საუფლო დღესასწაულები.⁷⁹² ლიბერალიზაცია განიცადა 1978 წლის საბჭოთა კონსტიტუციამ, რომლითაც დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში იმართებოდა ქვეყანა.⁷⁹³ 1995 წლის კონსტიტუციამ კი რელიგიის თავისუფლება და რელიგია-სახელმწიფოს გამიჯვნის თანამედროვე პრინციპი აღიარა,⁷⁹⁴ რომელიც შემდეგში თანამშრომლობის სეკულარულ მოდელად ჩამოყალიბდა.

ზოგადად, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის შესახებ კანონმდებლობა ხშირად პრობლემურია.⁷⁹⁵ ამას უამრავი ფაქტორი განაპირობებს. უპირველეს ყოვლისა, ეს არის მართლმადიდებლობის დოგმატიკა სახელმწიფოსთან შემგუებლური პოლიტიკის თაობაზე, ასევე, აღსანიშნავია ამ სახელმწიფოთა საბჭოურ-სოციალისტური გამოცდილება, გარდამავალი პერიოდი, რომელშიც მათი საზოგადოებები იმყოფებიან და ა.შ. მსგავსი პრობლემები საქართველოსთვისაც დამახასიათებელია.

მართლმადიდებელი ეკლესიების ნაწილი ეროვნულ იდენტობას პირდაპირ დაუკავშირდა და ეროვნული ცნობიერების განუყოფელ ნაწილად ჩამოყალიბდა.⁷⁹⁶ მართლმადიდებლობამ განსაკუთრებული სტატუსი იტვირთა საქართველოში, იგი არა მხოლოდ ადამიანთა რელიგიური მრწამსის გამომხატველად, არამედ ეროვნული იდენტობის ნაწილად იქცა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ისტორიულად ქართული მართლმადიდებლობის საფუძველზე რაიმე სხვა სექტის ან კონფესიის წარმოშობას ადგილი არ ჰქონია.⁷⁹⁷ ხშირად ეკლესიისა და ეროვნული ცნობიერების ელემენტები იმდენადაა აღრეული, რომ თავად ეკლესიის სულიერი მისიის ცვლილებაც ხდება და კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის მიზნებამდე დადის.⁷⁹⁸ მაგ., ივერიის გაბრწყინების იდეა, რომელმაც ქართული ეკლესია და ქართველი ერი გადააჯაჭვა ერთმანეთს. ეროვნული იდეოლოგიის როლის აღებით ეკლესია ყველაზე დიდი საფრთხის — გაამქვეყნიურების წინაშე დგება,⁷⁹⁹ რითაც იგი კარგავს უმთავრესს — არამიწიერ საბურველს, რომელიც მისი, როგორც ინსტიტუციის, უმთავრესი ნიშანია.

⁷⁹¹ იხ., იქვე, 70.

⁷⁹² ხეცურიანი ჯ., სახელმწიფო და ეკლესია, ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2013, 12.

⁷⁹³ გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-3 გამოცემა, თბილისი, 2015, 43.

⁷⁹⁴ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-9 მუხლი (თავდაპირველი რედაქცია), მე-9 მუხლის პირველი პუნქტი (2001 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შემდგომი რედაქცია).

⁷⁹⁵ Morée P., Identity, Religion and Human Rights in the Balkans, The Macedonian Case of Archbishop Jovan in Its Broader Context, "Helsinki Monitor", Vol.16, 2005, 292.

⁷⁹⁶ Flood G., Orthodox Christianity and World Religions, in: The Orthodox Christian World, Edited by A. Casiday, Routledge, 2012, 573.

⁷⁹⁷ იხ., საგინაშვილი ქ., საქართველოში არსებული რელიგიური მიმართულებები და მათი რეგულირებისათვის საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბების აუცილებლობა, ჟურნ. „სამართალი“, №11-12, 1997, 70.

⁷⁹⁸ კურტანიძე კ., ესქატოლოგიური პოლიტოლოგია, არსებობს თუ არა ეკლესიური იდეოლოგია?, ჟურნ. „სოლიდარობა“, №2(35), 2010, 80.

⁷⁹⁹ იქვე.

საქართველოში მონარქია თეოლოგიურ საწყისებზე არსებობდა⁸⁰⁰ და სეკულარიზაციას სრულებით არ იცნობდა. სეკულარიზმის ქართული ჩანასახი ჭავჭავაძისეულ ტრიადამიც შეინიშნება, სადაც „მამულმა“, როგორც ეროვნული სახელმწიფოს იდეამ, რომელიც სწორედ სეკულარიზმისგან ჩაისახა, „სარწმუნოებაზე“ წინ დაიკავა ადგილი.⁸⁰¹ მართლმადიდებელმა ეკლესიამ მოახერხა და ტრადიციულ მართლმადიდებლურ ქვეყნებში ეთნოსი (ერი) და მართლმადიდებლობა ერთ მთლიანობად აქცია.⁸⁰² სწორედ ამის გამო მართლმადიდებლობა რელიგიის პრივატიზაციას — მისი საჯარო სფეროდან კერძო, პირად სფეროში მოქცევას — სერიოზულად ეწინააღმდეგება და ამას ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობებში ნეგატიურ მოვლენად აფასებს.⁸⁰³ თუმცა ეკლესიამ ფეხი უნდა აუწყოს თანამედროვეობის გამოწვევებს და განვითარდეს, ეს ნაადგება როგორ თავად ეკლესიას, ისე სახელმწიფოსაც. მსოფლიო პატრიარქ ბართოლომეოსის აზრით, მართლმადიდებლობას განვითარებისთვის ესაჭიროება თანამედროვე ფილოსოფიურ აზროვნებასთან, საზოგადოებრივ დინამიზმთან, ხელოვნებისა და კულტურის სხვადასხვა ფორმასთან ურთიერთობა.⁸⁰⁴ ამ გამოწვევის წინაშე სხვა ტრადიციული მართლმადიდებელი ეთნოსების სახელმწიფოებთან ერთად, საქართველოც დგას.

უახლესი კვლევები იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ მართლმადიდებლობას შეუძლია სრული ან ნაწილობრივი დემოკრატიის პირობებში წარმატებას მიაღწიოს, უფრო მეტიც, თავად გახდეს დემოკრატიული პროცესების სულის ჩამდგმელი და სერიოზული მხარდამჭერიც.⁸⁰⁵ მთავარია, დაძლიოს შეუცნობლისადმი შიში.⁸⁰⁶ ამ მხრივ, გამონაკლისი არც ქართული სამოციქულო ეკლესიაა, რომელსაც შეუძლია გაცილებით მეტად ითამაშოს გადამწყვეტი როლი სახელმწიფოებრივ თუ საზოგადოებრივ განვითარებაში, ვიდრე ნებისმიერ სახელისუფლებო ინსტიტუციას. ამის მიზეზი კი კვლავაც პოსტტოტალიტარული, ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქართული საზოგადოებაა, რომელსაც შეუძლია როგორც განვითარებულ, ცივილიზებულ ევროპულ საზოგადოებად, ისე ფუნდამენტალიზმით გაჯერებულ, არაშემწყნარებლურ, თვისობრივად არაქართულ ერთობად გარდაიქმნას. სწორედ ამ ვითარებაშია საჭირო იმ სიმფონიის ხორცშესხმა, რომლის იდეასაც მართლმადიდებელი ეკლესია აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან სამართლებრივი ურთიერთობების ასპექტში ავითარებდა.

⁸⁰⁰ ანდრონიკაშვილი ზ., მაისურაძე გ., სეკულარიზაცია და სეკულარიზაციის ბედი საქართველოში, ჟურნ. „სოლიდარობა“, №5(38), 2010, 106.

⁸⁰¹ იქვე, 108.

⁸⁰² Pollis A., Eastern Orthodoxy and Human Rights, “Human Rights Quarterly”, Vol.15, 1993, 348.

⁸⁰³ იხ., Roudometof V., The Evolution of Greek Orthodoxy in the Context of World Historical Globalization, in: Orthodox Christianity in 21st Century Greece, The Role of Religion in Culture, Ethnicity and Politics, Edited by V. Roudometof and V.N. Makrides, Ashgate, 2010, 31.

⁸⁰⁴ Sharp A., Orthodox Christians and Islam in the Postmodern Age, Leiden-Boston, 2012, 227

⁸⁰⁵ პროდმოუ ე., ამბივალენტური მართლმადიდებლობა, ჟურნ. „სოლიდარობა“, №1(22), 2008, 74.

⁸⁰⁶ „მართლმადიდებლები თანამედროვეობას ხშირად შიშით შეეყურებთ და „ერეტიკული“ დასავლეთის მიერ უხეშად თავსმოხვეულ სინამდვილედ მივიჩნევთ ხოლმე. უიმედობა გვეუფლება, როცა ჩვენი სარწმუნოებით მეტნაკლებად გამსჭვალული კულტურა და, საერთოდ, ცხოვრების წესი ირღვევა, რასაც შეუზღუდავი ტექნიციზმი, ტრადიციული საზოგადოებისთვის მიუღებელი ინდივიდუალიზმი, დაუდგრომელი და უხეში ჰედონიზმი ინვესს და ვფიქრობთ, რომ ეს ადამიანს თავის მარადიულ დანიშნულებას ავიწყებს.“ იხ., ეგნატე IV, მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა: მონობის ორიენტირი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №3(12)'07, 2007, 29.

2. ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის ქართული მოდელი

2.1. რელიგიის თავისუფლება

პლურალიზმი დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელი ნაწილია,⁸⁰⁷ ამ პლურალიზმის აუცილებელი შემადგენელი ელემენტი კი რელიგიის თავისუფლებაა.⁸⁰⁸ სწორედ ამიტომ ნებისმიერი სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესია, უზრუნველყოს მრავალფეროვანი საზოგადოება და საზოგადოების თითოეული წევრის შეძლებისდაგვარად მაქსიმალური თავისუფლება. შეიძლება ითქვას, სახელმწიფო „პლურალიზმის ძირითადი გარანტორია“.⁸⁰⁹ საქართველომ დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპი ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად დაისახა და ამით დასავლური ღირებულებებისადმი საკუთარი არჩევანი ღიად დააფიქსირა.⁸¹⁰ საქართველოს კონსტიტუცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რელიგიის (რწმენისა და აღმსარებლობის) თავისუფლებას. სახელმწიფო საკონსტიტუციო დონეზე აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას და ამ შინაარსის ნორმას კონსტიტუციის პირველ თავში აქცევს,⁸¹¹ თუმცა, გარდა ამისა, ხსენებული ძირითადი უფლებები მოცემულია მე-2 თავშიც⁸¹², რითაც ძირითად უფლებათა უფრო მაღალი რეგლამენტაციისთვის დამატებითი სამართლებრივი მექანიზმია შექმნილი.

რელიგიის თავისუფლება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, იყოს ნეიტრალური და მიუკერძოებელი.⁸¹³ იგი ორი ელემენტისგან შედგება — რწმენა და აღმსარებლობა. რწმენა ადამიანის შინაგანი მრწამსია, შეხედულებები რაიმეს ჭეშმარიტება-მცდარობის შესახებ, რომელიც შესაბამისი არგუმენტაციითაა გამყარებული.⁸¹⁴ რაც შეეხება აღმსარებლობას, იგი რწმენის გაცხადებასთან, გამოხატვასთანაა დაკავშირებული, რომელიც სხვადასხვა ფორმით ვლინდება.⁸¹⁵ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი იცავს როგორ თეიზმის, ისე ათეიზმის გამოვლინებას: ადამიანის უფლებას, ჰქონდეს და გააცხადოს საკუთარი რელიგია, მრწამსი ქადაგებით, რიტუალების შესრულებით, ასევე, უფლებას — არ აღიარებდეს არცერთ

⁸⁰⁷ *Kokkinakis v. Greece*, [ECtHR], App. no. 14307/88, 25 May 1993, Para.31.

⁸⁰⁸ *Metropolitan Church of Bessarabia v. Moldova*, [ECtHR], App. No. 45701/99, 13 December 2001, Par.119; *Ouranio Toxo and others v. Greece*, [ECtHR], App. No. 74989/01, 20 October 2005, Par.35; *United Communist Party of Turkey (ÖZDEP) v. Turkey*, [ECtHR], App. No. 23885/94, 8 December 1999, Par.43.

⁸⁰⁹ *Sinan Işık v. Turkey*, [ECtHR], App. no. 21924/05, 2 February 2010, Para.45.

⁸¹⁰ იხ., საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა.

⁸¹¹ იხ., იქვე, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება.

⁸¹² იხ., იქვე, მე-19 მუხლი.

⁸¹³ *Hasan and Chaush v. Bulgaria*, [ECtHR], App. no. 30985/96, 26 October 2000, Para.78.

⁸¹⁴ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 157.

⁸¹⁵ იხ., იქვე.

რელიგიურ შეხედულებას, იყოს ათეისტი და ა.შ.⁸¹⁶ ამასთან, კონსტიტუცია უზრუნველყოფს რელიგიის თავისუფლებას როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ დონეზე.⁸¹⁷ რა თქმა უნდა, იგი რელიგიურ გაერთიანებათა უფლებებსაც მოიცავს⁸¹⁸. მედისონის თქმით, „რელიგიის საკითხებში, არცერთი ადამიანის უფლება არ იზღუდება სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მიერ და... რელიგია სრულებით არ ექცევა მათი განსჯადობის ქვეშ.“⁸¹⁹ ეს იმდენად პირადი და ინტიმური სფეროა, რომ მასში ნებისმიერი სახის ჩარევა უდიდეს ბოროტებას უთანაბრდება. საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს რწმენის ან აღმსარებლობის გამო ვინმეს დევნას ან იძულებას, გამოთქვას, გაამჟღავნოს საკუთარი შეხედულება ამ საკითხთა გამო.⁸²⁰ სახელმწიფომ, რომელსაც სამართლის უზენაესობაზე აქვს პრეტენზია, ასევე, უნდა უზრუნველყოფს რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დაცვა, განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როდესაც სახელმწიფოში ერთი რელიგიური მიმდინარეობის აღმსარებლები დომინანტ ჯგუფს წარმოადგენენ⁸²¹. ჭეშმარიტად თავისუფალი საზოგადოება ისაა, სადაც შესაძლებელია რწმენის, გემოვნებათა და რწმენათა მრავალფეროვნების, ჩვეულებებისა და სხვადასხვა შეხედულების მშვიდობიანი თანაარსებობა.⁸²² აუცილებელია აღინიშნოს, რომ აღმსარებლობის თავისუფლება არ გულისხმობს ადამიანის უფლებას, გამოხატოს რელიგია ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ადგილას, მით უმეტეს იმას, რომ გამოხატვა ავტომატურად სრულად შეესაბამება სხვათა რწმენას.⁸²³ კონსტიტუცია უშვებს რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, თუმცა ერთი მთავარი პირობით, მისი რეალიზაცია, ამ შემთხვევაში აღმსარებლობის ძირითადი უფლების გამოვლინება, სხვათა უფლებებს უნდა ლახავდეს.⁸²⁴ მხოლოდ სხვების უფლებების დაცვა შეიძლება იყოს ის ერთადერთი ლეგიტიმური საჯარო მიზანი, რომელიც რელიგიის თავისუფლების შეზღუდვას გაამართლებს, თუმცა ამ შემთხვევაშიც ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა უნდა იყოს შესაბამისი და თანაზომიერი.

⁸¹⁶ იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, 110; ვარდოსანიძე მ., რელიგიის თავისუფლების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, წიგნში: ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2006, 131.

⁸¹⁷ იხ., იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, 111-112.

⁸¹⁸ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 161.

⁸¹⁹ Smith S.D., *Freedom of Religion or Freedom of the Church?* in: *Legal Responses to Religious Practices in the United States (Accommodation and Its Limits)*, Edited by A. Sarat, New York, 2012, 274, იხ. ციტირება: Madison, “A Memorial and Remonstrance”, 309.

⁸²⁰ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁸²¹ იხ., ვარდოსანიძე მ., რელიგიის თავისუფლების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, წიგნში: ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2006, 136.

⁸²² Berger B., *The Limits of Belief: Freedom of Religion, Secularism and the Liberal State*, *Canadian Journal of Law and Society*, Vol.17, No.1, 2002, 55; *R. v. Big M Drug Mart.*, [1985] 1. S.C.R. 295 at 94.

⁸²³ Hirschl R., *Comparative Constitutional Law and Religion*, in: *Comparative Constitutional Law*, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Cheltenham, 2011, 430.

⁸²⁴ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი.

ქრისტიანული ეკლესია რელიგიის თავისუფლებას დიდი ხნის განმავლობაში სიფრთხილით ეკიდებოდა.⁸²⁵ ეკლესია მხარს უჭერს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას.⁸²⁶ ამის მოტივი უმარტივესია: ადამიანის თავისუფლება ქრისტიანობის ამოსავალი იდეაა.⁸²⁷ ამასთან, იგი უარყოფს რელიგიურ შეუწყნარებლობას და გმობს ფანატიზმს, არა აქვს მნიშვნელობა, უკავშირდება თუ არა ეს რელიგიას.⁸²⁸ დაუშვებელია ეკლესიის განცხადებებში, ქადაგებებსა და *ex cathedra* გამოსვლებში ძალადობა ჩაიდოს ან პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მიზნებს ემსახურებოდეს⁸²⁹.

2.2. საკონსტიტუციო პრივილეგია

საქართველო აღიარებს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას, თუმცა, იმავდროულად, საკონსტიტუციო დონეზე მართლმადიდებელ ეკლესიას პრივილეგიურებულ მდგომარეობაში აყენებს.⁸³⁰ ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კონსტიტუცია პრორელიგიურ კონსტიტუციად მიიჩნევა. მართალია, მის ნორმატიულ-ტექსტობრივ ქსოვილში ბევრჯერ არაა გამოყენებული რელიგიური შინაარსის მქონე სიტყვები ან იდეოლოგია, თუმცა კონკრეტული ეკლესიისთვის დადგენილი პრივილეგიურებული სტატუსი, ასევე, სახელმწიფოს მეთაურის — პრეზიდენტის ოფიციალურ ფიცში „ღმერთის“ მოხსენიება⁸³¹ მისი ამგვარი დახასიათებისთვის სრულიად საკმარისია. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილებების განხორციელება არჩევნებში გამარჯვებული პირის მიერ მხოლოდ მას შემდეგაა შესაძლებელი, რაც იგი ფიცს დადებს, ამასთან, ამ მომენტს უკავშირდება სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილების შეწყვეტის სტანდარტული გარემოებაც.⁸³² რაც მთავარია, კონსტიტუცია არ ადგენს გამონაკლისს იმ პირისთვის, ვისაც მსგავსი რელიგიური ფიცის დადება არ სურს. ფაქტობრივად, პრეზიდენტად არჩეული პირი ვალდებულია ზუსტად გაიმეოროს ძირითადი კანონით დადგენილი რელიგიური ფიცის ფორმულა⁸³³.

⁸²⁵ ბილფელდტი ჰ., რელიგიის თავისუფლება: საბოლოო კრიტერიუმი?, ვ. კობახიძის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №10(19)'07, 2007, 31.

⁸²⁶ „რადგან ნაციონალური ცნობიერება ადამიანისა და ერის განსაკუთრებულობისა და ინდივიდუალურობის შეუცვლელი ელემენტია, ადამიანები სამართლიანად იცავენ უფლებას, თავად განსაზღვრონ თავიანთი რელიგია.“ იხ., ბართოლომეოს I, ინტერრელიგიური დიალოგის აუცილებლობა და მიზანი, სიტყვა, წარმოთქმული 2006 წლის 22 იანვარს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო სხდომაზე, ჟურნ. „სოლიდარობა“, №2(11)'07, 2007, 36; პაპმა ლეო XIII რელიგიის თავისუფლება ადამიანური პირობის ფუნდამენტურ უფლებად გამოაცხადა, იხ., Fr. Gomes E.X., Church-State Relations from a Catholic Perspective: General Considerations on Nikolas Sarkozy's New Concept of Laïcité Positive, Journal of Catholic Legal Studies, Vol.48, 2009, 2041; Encyclical “Rerum Novarum” of Leo XIII to o Our Venerable Brethren the Patriarchs, Primates, Archbishops, Bishops, and other ordinaries of places having Peace and Communion with the Apostolic See, May 15, 1891.

⁸²⁷ სახერაბაძე იოანესი, 15,15.

⁸²⁸ მთავარეპისკოპოსი ანასტასიოსი, მართლმადიდებლობის დამოკიდებულება სხვა რელიგიებთან, ზ. ჯუღელის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №7'06, 2006, 42.

⁸²⁹ იქვე, 43.

⁸³⁰ იხ., საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი.

⁸³¹ იქვე, 71-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁸³² იქვე, 71-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები. იხ., Temperman J., State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance, Leiden-Boston, 2010, 317.

⁸³³ ბევრ სახელმწიფოში დღემდე შემორჩენილია სახელმწიფო თანამდებობის პირთა მიერ რელიგიური ფიცის დადება, როგორც სავალდებულო წესით, ისე არჩევანის გამოყენების შესაძლებლობით.

საქართველო, იტალიასა და პერუსთან ერთად, შეიძლება ისეთ სახელმწიფოთა კატეგორიაში მოექცეს, რომლებიც, მართალია, აღიარებენ ეკლესია-სახელმწიფოს გამიჯვნას, თუმცა ერთ კონკრეტულ ეკლესიას განსაკუთრებულ სტატუსს ანიჭებენ.⁸³⁴ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია საკონსტიტუციო პრივილეგიით სარგებლობს.⁸³⁵ კონსტიტუცია სახელმწიფოსა და მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობათა სამართლებრივი მონესრიგებისთვის კონსტიტუციური შეთანხმების ინსტიტუტს განსაზღვრავს.⁸³⁶ ამასთან, იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თავად კონსტიტუციურ შეთანხმებას, რომლის სტატუსსაც კონსტიტუციის შემდეგ უპირველესად აცხადებს და დანარჩენ კანონმდებლობასთან მიმართებით მის აღმატებას ადგენს.⁸³⁷

2.3. თანამშრომლობის სისტემა

2.3.1. თანამშრომლობის ქართული მოდელის თავისებურებანი

ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებში ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის სხვადასხვა მოდელი მოქმედებს,⁸³⁸ შესაბამისად, ამ ორ ინსტიტუტს შორის ურთიერთობა სახელმწიფოების მიხედვით განსხვავდება, რაც ევროკონვენციის სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაშია.⁸³⁹ რელიგიურ საზოგადოებებში სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მნიშვნელოვან როლს, უფრო მეტიც, მას უწევს ამ უკანასკნელის გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება საზოგადოებრივი სიკეთისთვის.⁸⁴⁰ სახელმწიფოთა ნაწილი რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენელთა პოლიტიკაში მონაწილეობას იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რომ სახელმწიფო ორგანოების დონეზე უზრუნველყოფს წარმომადგენლობის კვოტირებას⁸⁴¹.

Temperman J., *State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance*, Leiden-Boston, 2010, 317. თუმცა ამასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მიდგომაა. მაგ., თანამდებობაზე დანიშვნის წინ ფიცის დადებას ამართლებს ევროკომისია. იხ., *Knudsen v. Sweden*, [ECHR], App. no. 11045/84, 8 March 1985; ევროსასამართლო კი განმარტავს, რომ პარლამენტის წევრის სახელმწიფო ფიცი, რომელიც მხოლოდ სახარებაზე ან ბიბლიაზე იდება, რელიგიის თავისუფლებას ზღუდავს. *Buscarini and Others v. San Marino*, [ECtHR], App. no. 24645/94, 18 February 1999, Para.39.

⁸³⁴ იხ., *Ibán I.C.*, *God in Constitutions and Godless Constitutions*, in: *Law, Religion, Constitution (Freedom of Religion, Equal Treatment, and the Law)*, Edited by Cr. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari, D. Thayer, 2013, 52-53.

⁸³⁵ რომელიმე კონკრეტული რელიგიის განსაკუთრებული სტატუსი ავტომატურად სხვა რელიგიათა დაკნინებას არ გულისხმობს. იხ., საგინაშვილი ქ., *მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების სამართლებრივი ასპექტები უცხო ქვეყნების მაგალითების ფონზე*, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1, 2001, 17.

⁸³⁶ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁸³⁷ იხ., იქვე, მე-6 მუხლი.

⁸³⁸ იხ., Doe N., *Christian Law, Contemporary Principles*, New York, 2013, 357.

⁸³⁹ *State, Religion, Secularity and Human Rights, Recommendation 1804 (2007)*, Parliamentary Assembly of Council of Europe, Para.6.

⁸⁴⁰ ილუმენი პეტრე (მეშჩერინოვი), ეკლესიისა და სახელმწიფოს თანამშრომლობის შესახებ, დ. თინიკაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №1(28), 2009, 90-91.

⁸⁴¹ იხ., Temperman J., *State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance*, Leiden-Boston, 2010, 94-95.

სახელმწიფოს ნეიტრალურობა რელიგიურ სფეროში სახელმწიფოსა და რელიგიის სრულ იზოლაციას,⁸⁴² მით უფრო რელიგიური ფასეულობებისაგან მის სრულ დისტანცირებას არ გულისხმობს.⁸⁴³ უპირატესი რელიგიის (თანამშრომლობის) სისტემაში სახელმწიფო აღიარებს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას, არ გააჩნია სახელმწიფო რელიგია, თუმცა ერთ კონკრეტულ რელიგიურ გაერთიანებას განსაკუთრებული სტატუსი აქვს ისტორიულ-კულტურული ფაქტორების გათვალისწინებით⁸⁴⁴.

თანამშრომლობის მოდელი აირჩია საქართველომაც, რომელმაც 1995 წლის კონსტიტუციაში გამოარჩია საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესია, ქვეყნისათვის მისი ისტორიული და კულტურული მნიშვნელობიდან გამომდინარე.⁸⁴⁵ შემდგომში კი საკონსტიტუციო ცვლილებების საშუალებით დაზუსტდა ის სამართლებრივი გარემოება, რომელმაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია პრივილეგირებული სტატუსის მატარებლად აქცია. უპირველესად, ეს მდგომარეობს ექსკლუზიურ უფლებამოსილებაში, — საქართველოს სახელმწიფოსა და მას შორის დაიდოს კონსტიტუციური შეთანხმება. აღნიშნული შესაძლებლობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, სხვა კონფესიებთან შედარებით, მნიშვნელოვანი პრივილეგიით აღჭურავს.⁸⁴⁶ აღნიშნული დებულების იმპლემენტაცია მალევე განხორციელდა და კონსტიტუციური შეთანხმება 2002 წელს დაიდო. მეცნიერთა ნაწილის მოსაზრებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის უპირატესობის მინიჭებისათვის აუცილებელი არაა სხვა რელიგიურ გაერთიანებათა კანონის წინაშე თანასწორობის დარღვევის ხარჯზე განსაკუთრებული შეთანხმების არსებობა, ამისათვის საკმარისი იქნება სხვადასხვა სამოქალაქო ხელშეკრულების დადებაც.⁸⁴⁷ თუმცა აღნიშნული მოსაზრება სრულიად დაუსაბუთებელია, რადგანაც ერთი რომელიმე რელიგიური ორგანიზაციის პრივილეგირებული მდგომარეობა ავტომატურად სხვა გაერთიანებათა დისკრიმინაციას არ ნიშნავს, მით უმეტეს, რომ ევროპულ სახელმწიფოთა დიდ ნაწილში ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობათა მსგავსი სისტემა მოქმედებს.

საქართველოს ეკლესიისა და სახელმწიფოს თანამშრომლობა საკანონმდებლო დონეზე ნაკლებადაა იმპლემენტირებული, მხოლოდ რამდენიმე სამართლებრივი აქტი აწესრიგებს ეკლესიის სტატუსთან, საგადასახადო შეღავათებთან დაკავშირებულ საკითხებს. საკანონმდებლო აქტებიდან აღსანიშნავია საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, საქართველოს შრომის კოდექსი და ა.შ. თანამშრომლობის გარკვეული სფეროები უზრუნველყოფილია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითაც.

⁸⁴² იხ., Ledewitz B., Church, State, and the Crisis in American Secularism, Bloomington, 2011, 247.

⁸⁴³ იხ., ბილფელდტი ჰ., რელიგიის თავისუფლება: საბოლოო კრიტიკიუმი?, ვ. კობახიძის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №10(19)07, 2007, 35.

⁸⁴⁴ ხეცურიანი ჯ., სახელმწიფო და ეკლესია, ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2013, 43.

⁸⁴⁵ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი.

⁸⁴⁶ ლორია ვ., გელაშვილი ბ., ბენდელიანი მ., ადამიანის უფლებები და რელიგია, თბილისი, 2006, 156.

⁸⁴⁷ იქვე, 161.

2.3.2. თანამშრომლობის ქართული მოდელის პრობლემები

ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობათა სამართლებრივ მოდელს საქართველოში ბევრი სოციალური თუ სამართლებრივი პრობლემა თანსდევს, რომლებიც არა მხოლოდ კერძო, ვინც, არამედ ზოგადსისტემურ ხასიათს ატარებს. სამწუხაროდ, საქართველოში დღემდე არ არსებობს ერთიანი საკანონმდებლო აქტი, რომელიც სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობისა და რელიგიურ გაერთიანებათა სამართლებრივ სტატუსს დაადგენდა, მათ უფლება-მოვალეობებსა და რაც მთავარია, სახელმწიფოსთან ურთიერთმიმართების საკითხებს მოაწესრიგებდა. წლების განმავლობაში საქართველოში სახელმწიფოსა და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონის რამდენიმე პროექტი არსებობდა, თუმცა სხვადასხვა მიზეზის გამო საპარლამენტო მოსმენებამდე ვერცერთმა მიაღწია.⁸⁴⁸ კანონის არარსებობისა და კონსტიტუციური შეთანხმების პირობებში დიდია დისკრიმინაციული მონესრიგებისა და რელიგიურ გაერთიანებებთან მიმართებით უთანასწორო სამართლებრივი რეჟიმის შექმნის ალბათობა.

ქართული სისტემა, მართალია, თანამშრომლობის მოდელს ამკვიდრებს, მაგრამ აღნიშნული თანამშრომლობა, ძირითად შემთხვევებში, მხოლოდ ერთი რელიგიური გაერთიანების მიმართ ვლინდება. უკეთესი სამართლებრივი სივრცის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია თანამშრომლობის მექანიზმების დახვეწა და განვითარება სხვა ტრადიციული რელიგიური გაერთიანებების მიმართ. ამასთან, თანამშრომლობის არსებული მექანიზმი, კონსტიტუციური შეთანხმების სახით, არანაკლებ პრობლემურია.

აღსანიშნავია, რომ რელიგია-სახელმწიფოს ურთიერთობებში სამართლებრივზე მეტად სოციალურ-პოლიტიკური პრობლემები ქარბობს, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მოსახლეობის კვალიფიციური უმრავლესობა ერთი რელიგიის აღმსარებელია (ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად მაინც). ზოგადად, რელიგია და რელიგიური გაერთიანებები სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებია, რომლებიც ეთიკურ და სამოქალაქო საზოგადოების საკითხთა განსაზღვრას ემსახურებიან.⁸⁴⁹ ამიტომ გასაკვირი არცაა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ურთიერთობებში. იგი ყოველთვის ამახვილებს ყურადღებას საზოგადოებრივი მნიშვნელობის ისეთ საკითხებზე, როგორცაა: საგარეო პოლიტიკა, ეროვნული იდენტობა, დემოგრაფიული პრობლემები და ა.შ.⁸⁵⁰ რა თქმა უნდა, ეკლესიის მონაწილეობა საჯარო სფეროში ავტომატურად არ გულისხმობს საკითხების გადაწყვეტის მხრივ მის ძალაუფლებასაც.⁸⁵¹ მართლმადიდებელი ეკლესიის მარგინალური ჯგუფების სამოქალაქო აქტივობა, სამწუხაროდ, ხშირად თავად ეკლესიის ავტორიტეტს აყენებს ჩრდილს, რაც, საბოლოო ჯამში, საზოგადოებრივი აზრის პოლარიზებასა და სოციალურ ჯგუფებს შორის დაძაბულობას იწვევს. პრობლემა ის არაა, რომ ეკლესიები საჯარო

⁸⁴⁸ აბაშიძე ლ., რელიგიური კანონმდებლობის პერსპექტივები საქართველოში, ჟურნ. „სოლიდარობა“, №9(18)07, 2007, 14.

⁸⁴⁹ State, Religion, Secularity and Human Rights, Recommendation 1804 (2007), Parliamentary Assembly of Council of Europe, Para.2.

⁸⁵⁰ Fokas E., Religion and Welfare in Greece: A New, or Renewed, Role for the Church? in: Orthodox Christianity in 21st Century Greece, The Role of Religion in Culture, Ethnicity and Politics, Edited by V. Roudometof and V.N. Makrides, Ashgate, 2010, 189.

⁸⁵¹ იქვე.

სფეროებსა და მიმართულებებზე თავიანთ მოსაზრებებს ღიად და საქვეყნოდ გამოთქვამენ, მთავარია, მათი მიხედვით მოქმედება ნებაყოფლობითი იყოს და ამ ყოველივემ კონფლიქტების ესკალაცია არ გამოიწვიოს⁸⁵².

ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის ქართული მოდელი პრიორიტეტულ, პრივილეგირებულ რელიგიად მართლმადიდებელ ქრისტიანობას ასახელებს, თუმცა სამართლებრივად რელიგიის თავისუფლებას აღიარებს. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ სხვა რელიგიური ორგანიზაციების როლი, არა მარტო სოციალური, არამედ სამართლებრივი თვალსაზრისითაც საკმაოდ დაკნინებულია. სახელმწიფო მონადინებული უნდა იყოს, შექმნას რელიგიური საქმიანობისათვის ჯანსაღი და პლურალისტული გარემო, რომელშიც თითოეული ადამიანი თუ რელიგიური ჯგუფი შეძლებს უფლებათა სრულყოფილ, ჯეროვან განხორციელებას. ამ მიზნით, აუცილებელია პრაქტიკით განსაზღვრის ან სრული იგნორირების ნაცვლად, შეიქმნას სპეციალური კანონი, რომელიც შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში რელიგიურ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების ობიექტურ და ეფექტურ შეფასებას შეძლებს. ამასთან, სახელმწიფომ უნდა აიღოს პოზიტიური ვალდებულება, ერთი გაერთიანებისათვის დადგენილი შეღავათები, შესაძლებლობის ფარგლებში, დაუდგინოს შინაარსობრივად და თვისობრივად მსგავს გაერთიანებებსაც, რათა სახელმწიფოში პლურალისტულთან ერთად ნაკლებად დისკრიმინაციული სამართლებრივი რეჟიმი არსებობდეს.

⁸⁵² Zucca L., Law v. Religion, in: Law, State and Religion in the New Europe, Edited by L. Zucca and C. Ungureanu, Cambridge, 2012, 151.

IV. საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება

1. კონსტიტუციური შეთანხმების დადების მოტივაცია და წინარე პერიოდი

XX საუკუნის მინურულს, დამოუკიდებლობა აღდგენილი სახელმწიფოს მშენებლობისათვის რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფა და მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთობის სამართლებრივი განსაზღვრა, ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საკითხი იყო.⁸⁵³ დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში სახელმწიფო საეროობას ინარჩუნებდა და მეტნაკლებად ცდილობდა, სეკულარული ყოფილიყო, რამდენადაც ეს იმ პერიოდში იყო შესაძლებელი.⁸⁵⁴ იყო რამდენიმე მცდელობა, რელიგიურ ორგანიზაციებთან და რელიგიასთან დაკავშირებული საკითხები სპეციალური კანონით მოენესრიგებინათ, თუმცა კანონპროექტის წინასწარი ვერსიის გამოქვეყნების შემდეგ განხილვები შეწყდა.⁸⁵⁵ საქართველოს კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციით, ძირითადი კანონი კონსტიტუციური შეთანხმების ინსტიტუტს საერთოდ არ ითვალისწინებდა და კონსტიტუციის მე-9 მუხლი მხოლოდ რელიგიის თავისუფლების საკონსტიტუციო უზრუნველყოფას ადგენდა.⁸⁵⁶ კონსტიტუციური შეთანხმების ინსტიტუტი ძირითად კანონში 2001 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად აისახა, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა მე-9 მუხლის ნორმატიული მოწესრიგება და რელიგიის თავისუფლებასთან ერთად, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან კონსტიტუციური შეთანხმების დადების შესაძლებლობაც გაითვალისწინა. საკონსტიტუციო ცვლილებები პრეზიდენტის მიერ იყო ინიცირებული.⁸⁵⁷ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციური შეთანხმების თაობაზე 2001 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებს სერიოზული და მძაფრი პოლემიკა უძღოდა წინ⁸⁵⁸.

რელიგია და სამართალი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, მით უმეტეს, ისეთ სახელმწიფოებში, როგორც საქართველოა (სადაც, პოსტსაბჭოთა ქვეყნების დიდი ნაწილის მსგავსად პოლიტიკური პლატფორმებიც კი ხშირად ეფუძნება „სულიერებისა“ და „მართლმადიდებლობის“ კონცეფციებს, რაც მათთვის ამომრჩეველთა მხრიდან მეტი მხარდაჭერის მოპოვებითაა განპირობებული⁸⁵⁹), ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ რელიგიისა და სამართლის ურთიერთმიმართებაზე მსჯელობა, მისი ნორმატიული მოწესრიგების შემუშავება დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მალევე დაიწყო.⁸⁶⁰ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის შეთანხმების

⁸⁵³ ხეცურიანი ჯ., სახელმწიფო და ეკლესია, ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2013, 5.

⁸⁵⁴ ლაღანიძე მ., საქართველოს სეკულარიზაციის გზაზე, წიგნში: საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, ვ. ნაცვლიშვილისა და დ. ზედელაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2016, 160.

⁸⁵⁵ იხ., მელაძე გ., მუმლაძე გ., საკონსტიტუციო შეთანხმება: ისტორია, საჯარო განხილვები და გავლენა რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დაცვაზე საქართველოში, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №10, 2016, 87-88.

⁸⁵⁶ იხ., საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი (1995-2000 წლების რედაქცია).

⁸⁵⁷ ხეცურიანი ჯ., ქართული ეკლესიის კონსტიტუციური საფუძვლები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2002, 9.

⁸⁵⁸ იქვე.

⁸⁵⁹ იხ., Papkova I., The Russian Orthodox Church and Political Party Platforms, “Journal of Church and State”, Vol.49, 2007, 119.

⁸⁶⁰ იხ., საგინაშვილი ქ., საქართველოში არსებული რელიგიური მიმართულებები და მათი რეგულირებისათვის საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბების აუცილებლობა, ჟურნ. „სამართალი“, 11-12, 1997, 72.

დადების იდეა 1990-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა წმინდა საყდრის მიერ კონკორდატების დადების პრაქტიკის მიზანმიმართულად.⁸⁶¹ ქრისტიანულმა რელიგიამ მნიშვნელოვნად განაპირობა ქართული საერო სამართლის განვითარება,⁸⁶² მისი თანადროულობა გარე სამყაროსთან, განსაკუთრებით კი, ევროპულ სამართლებრივ სივრცესთან. ამ მხრივ, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან კონსტიტუციური შეთანხმების დადება ისტორიული თვალსაზრისით სრულიად ლოგიკური და გამართლებულია.⁸⁶³ ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობების მოსაწესრიგებლად კონსტიტუციური შეთანხმების სამართლებრივი მექანიზმი მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ყველაზე მისაღები აღმოჩნდა.⁸⁶⁴ საკუთრივ შეთანხმების პროექტზე მუშაობა 2 წელი გაგრძელდა.⁸⁶⁵ მას ხელმოწერამდე სამართლებრივი ექსპერტიზა ჩატარდა ევროსაბჭოსა⁸⁶⁶ და ვენეციის კომისიაში⁸⁶⁷. კონსტიტუციური შეთანხმების თავდაპირველი ტექსტი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა საბოლოო ვარიანტისგან, იგი ძალზე ბევრ სამართლებრივად გაუმართავ, გაუმართლებელ და სხვა რელიგიათა მიმართ დისკრიმინაციულ ნორმებს შეიცავდა.⁸⁶⁸ ევროსაბჭოსა და ვენეციის კომისიის დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, ბევრი ნორმა დაიხვეწა და ტექსტი საგრძნობლად შემცირდა.

კონსტიტუციური შეთანხმება დაიდო 2002 წლის 14 ოქტომბერს, სეგეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში.⁸⁶⁹ მას ხელი საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II მოაწერეს. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა კონსტიტუციური შეთანხმება 2002 წლის 17 ოქტომბერს, ხოლო საქართველოს პარლამენტმა 22 ოქტომბერს დაამტკიცა.⁸⁷⁰

2. კონსტიტუციური შეთანხმების შინაარსი

2.1. ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნა

კონსტიტუციური შეთანხმების პრეამბულაში მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ ისტორიულ როლზე საუბარი და ხაზგასმა შეიძლება განიმარტოს,

⁸⁶¹ Tsintsadze Kh., Legal Aspects of Church-State Relations in Post-Revolutionary Georgia, "Brigham Young University Law Review", 2007, №3, 764.

⁸⁶² იხ., საგინაშვილი ქ., საეკლესიო სასჯელების ისტორია, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2002, 19-20.

⁸⁶³ კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბილისი, 2004, 90.

⁸⁶⁴ ხეცურიანი ჯ., სახელმწიფო და ეკლესია, ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2013, 16, იხ. ციტირება: საპატრიარქოს უწყებანი, 2002 წ., 18-24 ოქტომბერი, გვ. 4.

⁸⁶⁵ ცნობილაძე პ., საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ტ.1, თბილისი, 2005, 202.

⁸⁶⁶ კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბილისი, 2004, 88; Legal Expertise of the Draft Constitutional Agreement between State of Georgia and the Apostolic, Autonomous Orthodox Church of Georgia. Council of Europe, HRCAD (2001)

⁸⁶⁷ Opinion on the Draft Constitutional Agreement between the State of Georgia and the Apostolic Autocephalous Orthodox Church of Georgia, CDL(2001)65, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 28 June 2001

⁸⁶⁸ იხ., Vogel H.H., Comments on the Draft Constitutional Agreement between the State of Georgia and the Apostolic Autocephalous Orthodox Church of Georgia, CDL(2001)63, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 28 June 2001.

⁸⁶⁹ იხ., საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება.

⁸⁷⁰ ხეცურიანი ჯ., სახელმწიფო და ეკლესია, ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2013, 20.

როგორც შეთავაზება მართლმადიდებელი ეკლესიისათვის, კვლავაც გააგრძელოს ისტორიული მნიშვნელობის როლის თამაში სახელმწიფოსთვის.⁸⁷¹ ამის ხაზგასასმელად თავად კონსტიტუციური შეთანხმების დადების ფაქტიც გამოდგება, რომელიც, ინსტიტუციური თვალსაზრისით, ამ ორ სუბიექტს შორის ახალი ურთიერთობების საფუძველი გახდა.⁸⁷² ქართული სახელმწიფო მართლმადიდებელ ეკლესიას განიხილავს ისტორიულად ჩამოყალიბებულ სსიპ-ად, ცნობს მის ავტონომიურობას შიდა საქმეებში და მისი საქმიანობის დამოუკიდებლობას.⁸⁷³ კონსტიტუციური შეთანხმებით სახელმწიფო გამოთქვამს ეკლესიასთან თანამშრომლობის სურვილს, ამასთან, აღიარებს ურთიერთდამოუკიდებლობისა და ურთიერთჩაურევლობის პრინციპს⁸⁷⁴. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი სახელმწიფოსა და ეკლესიის ფუნქციურ გამიჯვნას უზრუნველყოფს, რაც თავისთავად გამორიცხავს ეკლესიის სახელმწიფო ორგანოების კატეგორიაში მოქცევას.⁸⁷⁵

ზოგადად, რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთობები შეიძლება ორი ძირითადი მიმართულებით დაიყოს: 1. სახელმწიფო და რელიგია ერთი მთლიანობაა და 2. სახელმწიფო და რელიგია ერთმანეთისგან გამიჯნულია.⁸⁷⁶ ამ შემთხვევაში საქართველომ მართებულად აირჩია თანამედროვე დემოკრატიული მიმართულება და საუკუნოვანი ტრადიციის მიუხედავად, უარი თქვა ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთ მთლიანობად ქცევაზე, რადგან, რელიგია, მართალია, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი დარტვირთვის მატარებელია, თუმცა იგი სახელმწიფო, ხელისუფლების ან სამართლის კომპეტენციური სფეროა არაა⁸⁷⁷.

ეკლესიის ავტონომიისათვის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ელემენტია ეკლესიის უფლება, დამოუკიდებლად მოაწიოს შიდაორგანიზაციული სტრუქტურა და თავად გადაწყვიტოს შიდა საქმეები.⁸⁷⁸ ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობის კონცეფცია ფეოდალურ სახელმწიფოებს ყოველთვის პრობლემებს უქმნიდა. თუმცა XVIII საუკუნის ბოლოდან კონსტიტუციონალიზმის რევოლუციურმა მოვლენებმა ეკლესიის ინსტიტუციური თვითმყოფადობის დამკვიდრებას დიდად შეუწყო ხელი. ეკლესიის თავისუფლების იდეა (*Libertas Ecclesiae*), რომელმაც რელიგიური ავტონომიურობის თვალსაზრისით, გარდამტეხი როლი ითამაშა, XI საუკუნესა და პაპ გრიგოლ

⁸⁷¹ Korkelia K., Mchedlidze N., Nalbandov A., *Compatibility of Georgian Legislation with the Standards of the European Convention on Human Rights and Its Protocols*, Tbilisi, 2004, 202.

⁸⁷² მელაძე გ., მუმლაძე გ., საკონსტიტუციო შეთანხმება: ისტორია, საჯარო განხილვები და გავლენა რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დაცვაზე საქართველოში, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №10, 2016, 87.

⁸⁷³ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი.

⁸⁷⁴ იქვე, პირველი მუხლის პირველი პუნქტი.

⁸⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის №1/1/618 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები — გიორგი კეკელიძე, ნინო კვეციანიძე და ბესიკი გვენეტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 10.

⁸⁷⁶ Troper M., *French Secularism, or Laïcité*, “Cardozo Law Review”, Vol.21, 2000, 1269.

⁸⁷⁷ *Sulaiman v. Juffali*, [2002], FCR 427; Mair J., *The Place of Religion in Family Law: A Comparative Search*, in: *The Place of Religion in Family Law: A Comparative Search*, Edited by J. Mair and E. Örcüü, Antwerp-Portland, 2011, 376-377.

⁸⁷⁸ იბ., *Serbian E. Orthodox Diocese v. Milivojevich*, 426 U.S. 696, 724-25 (1976).

VII უკავშირდება,⁸⁷⁹ რომლის აქტიურმა მოღვაწეობამ, საბოლოო ჯამში, ეკლესია მნიშვნელოვნად განავითარა⁸⁸⁰.

მართლმადიდებლური თეოლოგიის მიხედვით, ეკლესია და სახელმწიფო მშვიდობიანად უნდა თანაარსებობდნენ ადამიანთა კეთილდღეობისათვის, მათი ურთიერთობა „საერო და სასულიერო ძალაუფლების სიმფონიად“ აღიქმება.⁸⁸¹ კანონიკური სამართალი ეკლესიისა და სახელმწიფოს წარმოშობას ღვთაებრივ ნებას უკავშირებს, თუმცა მათი საქმიანობის სფეროებს განარჩევს: ეკლესიას ადამიანის სულზე, ხოლო სახელმწიფოს ხორცზე ზრუნვას აკისრებს⁸⁸².

მიუხედავად იმისა, რომ დოქტრინულ-იდეოლოგიურ დონეზე სახელმწიფოსა და ეკლესიას დამოუკიდებლობისა და ურთიერთწარუგებლობის პრინციპზე შეთანხმებას მიაღწიეს, მისი პრაქტიკული განხორციელება საკმაოდ რთულია. ეკლესიისა და სახელმწიფოს ფორმალური გამიჯვნა გაცილებით მარტივია, ვიდრე შინაარსობრივი⁸⁸³ და რაც მთავარია, ეს გამიჯვნა ვერასდროს იქნება ყოვლისმომცველი,⁸⁸⁴ მით უმეტეს ისეთი ისტორიული გამოცდილების მქონე სახელმწიფოში, როგორც საქართველოა. სეკულარიზმის პრაქტიკული აღსრულების პროცესი მნიშვნელოვნად განსხვავებულია მისი სამართლებრივი საფუძვლისა და უზრუნველყოფისგან, რაც უამრავ სისტემურ პრობლემას წარმოშობს.

2.2. ეკლესიისა და სასულიერო პირთა სამართლებრივი სტატუსი

მართლმადიდებელი ეკლესიის წამმართველ და დომინანტ როლს საქართველოში არა კონსტიტუციური შეთანხმება, არამედ არაოფიციალური, ეკლესიასა და „მონუმენტულ ნოდებულ უმრავლესობას“ შორის არსებული საზოგადოებრივი შეთანხმება განაპირობებს.⁸⁸⁵ თუმცა კონსტიტუციური შეთანხმება უზრუნველყოფს, განსაზღვრავს ეკლესიის წარმომადგენელთა და სასულიერო პირთა მაღალ სამართლებრივ სტატუსს.

კონსტიტუციური შეთანხმებით, სასულიერო პირები თავისუფლდებიან სამხედრო ვალდებულებისგან.⁸⁸⁶ სასულიერო პირად მიიჩნევა მართლმადიდებელ ეკლესიაში კანონიკური წესით ხელდასმული (ნაკურთხი პიროვნება (მონოზონი, დიაკონი, მღვდელი, ეპისკოპოსი), რომელიც ამ მაღალ ინარჩუნებს და არაა განკვეთილი ეპისკოპოსის ან წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით.⁸⁸⁷ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეთანხმების არსებობის მიუხედავად, საქართველოს კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა აღიარებს სინდისის თავისუფლების გამო სამხედრო

⁸⁷⁹ Durham W.C. Jr., Religion and the World's Constitutions, in: Law, Religion, Constitution (Freedom of Religion, Equal Treatment, and the Law), Edited by Cr. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari, D. Thayer, 2013, 16.

⁸⁸⁰ Witte J.Jr., Law, Religion and Human Rights, "Colombia Human Rights Law Review", Vol.28, 1996, 17.

⁸⁸¹ Doe N., Christian Law, Contemporary Principles, New York, 2013, 348; ლალანდიე მ., საქართველოს სეკულარიზაციის გზაზე, წიგნში: საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, ვ. ნაცვლიშვილისა და დ. ზედელაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2016, 146.

⁸⁸² იქვე, 347.

⁸⁸³ იხ., Troper M., French Secularism, or Laïcité, "Cardozo Law Review", Vol.21, 2000, 1276.

⁸⁸⁴ იქვე.

⁸⁸⁵ მაისურაძე გ., მართლმადიდებლური ეთიკა და არათავისუფალი სული, თბილისი, 2013, 49.

⁸⁸⁶ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

⁸⁸⁷ იქვე, ტერმინთა განმარტება, მე-15 პუნქტი.

ვალდებულებისგან გათავისუფლებას,⁸⁸⁸ ხოლო „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ კანონი სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოხდისგან ათავისუფლებს ზოგადად სასულიერო პირებს⁸⁸⁹, დაკონკრეტების გარეშე, რაც იმას ნიშნავს, რომ მათში ნებისმიერი რელიგიის სასულიერო პირი მოიაზრება.

სახელმწიფო ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლად, სპეციალური უფლებამოსილების გარეშე, ცნობს საეკლესიო კრებას, კათოლიკოს-პატრიარქს, წმინდა სინოდს, ქორეპისკოპოსსა და მდივანს, ასევე, კათოლიკოს-პატრიარქი უფლებამოსილია, კონკრეტულ პირს შესაბამის სამართლებრივ ურთიერთობებში მიანიჭოს წარმომადგენლობის უფლებამოსილება.⁸⁹⁰ ქორეპისკოპოსი კათოლიკოს-პატრიარქის მოადგილე სასულიერო პირია, რომელიც საეკლესიო ცხოვრების გარკვეულ სფეროს განაგებს. ქორეპისკოპოსს ნიშნავს და მათ რაოდენობას განსაზღვრავს კათოლიკოს-პატრიარქი.⁸⁹¹ მდივანი კი კათოლიკოს-პატრიარქის თანაშემწეა, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქის უშუალო დავალებებს ასრულებს. მდივანთა რაოდენობას თავად პატრიარქი განსაზღვრავს⁸⁹².

კონსტიტუციური შეთანხმება განსაკუთრებულ სამართლებრივ სტატუსს ადგენს კათოლიკოს-პატრიარქის მიმართ და მის ხელშეუვალობას უზრუნველყოფს.⁸⁹³ კათოლიკოს-პატრიარქი წმინდა სინოდის (საქართველოს ეკლესიის მმართველი და საკანონმდებლო ორგანოს) თავმჯდომარე და საპატრიარქოს ხელმძღვანელია.⁸⁹⁴ ხელშეუვალობის მსგავსი ფორმით აღჭურვილია მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში,⁸⁹⁵ რაც მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

2.3. საფინანსო-ეკონომიკური თანამშრომლობა

2.3.1. კომპენსაცია და საგადასახადო შეღავათები

ეკლესია-სახელმწიფოს თანამშრომლობის საკონსტიტუციოსამართლებრივ პრაქტიკაში, ამ ორ ინსტიტუტს შორის ყველაზე აქტიურად თანამშრომლობა საგადასახადო და საგანმანათლებლო სფეროებში მიმდინარეობს.⁸⁹⁶ ამ მხრივ, გამონაკლისი არც ქართული სინამდვილეა. კონსტიტუციური შეთანხმებით სახელმწიფო

⁸⁸⁸ იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის №1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 9 თებერვლის №ბს-1599-1575(კ-11) განჩინება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 20 სექტემბრის №ბს-477-471(2კ-12) გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 30 მაისის №ბს-722-707(2კ-12) განჩინება.

⁸⁸⁹ „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი.

⁸⁹⁰ იქვე, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების პირველი მუხლის მე-4 პუნქტი.

⁸⁹¹ იქვე, ტერმინთა განმარტება, მე-7 პუნქტი.

⁸⁹² იქვე, ტერმინთა განმარტება, მე-8 პუნქტი.

⁸⁹³ იქვე, პირველი მუხლის მე-5 პუნქტი.

⁸⁹⁴ იქვე, ტერმინთა განმარტება, მე-6 პუნქტი.

⁸⁹⁵ საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁸⁹⁶ Cranmer F., National Churches, Territoriality and Mission, “Law & Justice – Christian Law Review”, Vol.149, 2002, 161.

იღებს ვალდებულებას და ეკლესიის მიერ წარმოებული საღვთისმსახურო პროდუქციის დამზადებას, შემოტანას, მინოდებასა და შემონირობას, ასევე, არაეკონომიკური მიზნით არსებულ ქონებასა და მიწას გადასახადებისგან ათავისუფლებს.⁸⁹⁷ საღვთისმსახურო (საეკლესიო) პროდუქციად მიჩნეულია ეკლესია-მონასტრები და საეკლესიო დანიშნულების ნაგებობანი (კათოლიკოს-პატრიარქის ან მღვდელმთავრის რეზიდენციები, სასულიერო სასწავლებლები), — მათი პროექტირება, არქეოლოგია, მშენებლობა, რესტავრაცია-კონსერვაცია; საეკლესიო მხატვრობა; საეკლესიო-სამღვდელმსახურო ნივთები (ბარძიმ-ფეშხუმი, ლახვარი, სანაწილე, ოდიკი, გარდამოხსნა, ემბაზი, ანალოლია, შანდალი, ტაკუკი, ვარსკვლავი, საცეცხლური, სასაკმეველე, კიოტი, საეკლესიო ნახშირი, სკვნილი, კვერხი, პანალია, სუდარა, სანალღავი, კვართი, სარტყელი, საეკლესიო სამშვენისი, ნაკურთხი წყლის, ღვინის, მიწის, ზეთისა და მრონის ჭურჭელი); ხატი, ჯვარი, საეკლესიო სანთელი, საღვთისმსახურო (სარიტუალო) ღვინო, საკმეველი, საკანდელე ზეთი, წმიდა წყალი, სეფისკვერი (სარიტუალო პური); სასულიერო პირის შესამოსელი; მომლოცველობა; საღვთისმეტყველო-საღვთისმსახურო და სასულიერო-საგანმანათლებლო ლიტერატურა, ასევე, ამ დანიშნულების ტელე-კინო-ვიდეო-აუდიო და რადიო პროდუქცია⁸⁹⁸.

მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათების პარალელურად, ქართულმა სახელმწიფომ აღიარა XIX-XX საუკუნეებში, განსაკუთრებით კი საბჭოთა ოკუპაციის ხანაში, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტი და როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის მფლობელმა, აიღო ვალდებულება მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე.⁸⁹⁹ კომპენსაციის დადგენასთან და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოსამზადებლად სახელმწიფომ, ასევე, ითავა სპეციალური კომისიის შექმნა, პარიტეტის პრინციპის გათვალისწინებით⁹⁰⁰.

2.3.2. ქონება და საეკლესიო საგანძური

კონსტიტუციური შეთანხმების ნორმათა უმრავლესობა ქონებრივ საკითხებსა და საეკლესიო საგანძურის, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებს შეეხება. ვინაიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაში არსებული ობიექტებისა და ქონების დიდი ნაწილი საერთო-სახელმწიფოებრივი ღირებულების მატარებელიცაა, მათ თაობაზე დებულებათა შეთანხმებაში ასახვა, სრულიად ლოგიკური და სამართლებრივად გამართლებულია.

სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის საკუთრებასა და ქონებრივ უფლებებს.⁹⁰¹ ამასთან, ხაზგასმულია არასაღვთისმსახურო დანიშნულების ქონების განკარგვასთან დაკავშირებით საერო კანონმდებლობისა და სახელმწიფოში არსებული მონესრიგების პრიმატი.⁹⁰² ეკლესიის დაფინანსების წყაროებია: ნებაყოფლობითი შემონირობა,

⁸⁹⁷ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი.

⁸⁹⁸ იქვე, ტერმინთა განმარტება, 25-ე პუნქტი.

⁸⁹⁹ იქვე, მე-11 პირველი პუნქტი.

⁹⁰⁰ იქვე, მე-2 პუნქტი.

⁹⁰¹ იქვე, მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

⁹⁰² იქვე, მე-2 პუნქტი.

სამენარმეო შემოსავლები, ინვესტიციები, გრანტები, დახმარებები, კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული სხვა შემოსავლები⁹⁰³.

ეკლესიის საკუთრებად არის მიჩნეული საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მოქმედი და არამოქმედი მართლმადიდებლური ტაძრები და მონასტრები, ასევე, მათი ნანგრევები და მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ისინია განლაგებული.⁹⁰⁴ მსგავს ნაგებობათა დაცვის ზონები, მათი მოვლა-პატრონობისა და სარგებლობის წესები განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით, ეკლესიასთან შეთანხმებით.⁹⁰⁵ სახელმწიფო ვალდებულებას იღებს, ეკლესიასთან ერთად იზრუნოს ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიურ-არქიტექტურული ფასეულობების მქონე საეკლესიო ნაგებობებისა და საეკლესიო საგანძურის სათანადო დაცვასა და მოვლა-პატრონობაზე.⁹⁰⁶ ამასთან, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, მოლაპარაკება აწარმოოს შესაბამის სახელმწიფოებთან საზღვარგარეთ, მათ ტერიტორიაზე არსებული ყველა ქართული მართლმადიდებლური ტაძრის, მონასტრის, მათი ნანგრევის, სხვა საეკლესიო ნაგებობისა და საეკლესიო ნივთების დაცვის, მოვლა-პატრონობისა და საკუთრების უფლების თაობაზე⁹⁰⁷.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახელმწიფო დაცვაში არსებულ საეკლესიო საგანძურს, რომლის მესაკუთრედაც საქართველო ეკლესიაა აღიარებული,⁹⁰⁸ ამასთან, საეკლესიო საგანძური, გარდა წმიდა ნაწილებისა⁹⁰⁹ და წმიდა რელიკვიებისა⁹¹⁰, როგორც ეროვნული საგანძურის ნაწილი, სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივ მფლობელობაშია.⁹¹¹ ამ საეკლესიო საგანძურის სარგებლობის დამატებით წესებს, ასევე, კულტურულ-ისტორიული ღირებულებების მქონე ტაძრების აღდგენის, რესტავრაცია-კონსერვაციის ან მოხატვის პროექტებს ამტკიცებს სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით⁹¹².

2.4. რელიგია და საჯარო სივრცე

ევროპულ სახელმწიფოთა უმრავლესობას რელიგიის საჯარო სფეროში მონესრიგებასთან დაკავშირებით არა იდენტური, მაგრამ მსგავსი პრობლემები შექმნილია.⁹¹³ პრობლემები კი ძირითადად დაკავშირებულია იმასთან, თუ რა დოზითაა რელიგია საჯარო სფეროში წარმოდგენილი და რაც მთავარია, როგორ შეუძლია იმოქმედოს ამ მიმართულებით გადანვეტილების მიღების პროცესში. საჯარო სივრცეში რელიგიისა და სახელმწიფოს თანამშრომლობა შესაძლებელია იყოს როგორც სიმბოლური, ისე უშუალოდ ქმედითი.

⁹⁰³ იქვე, მე-4.

⁹⁰⁴ იქვე, მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

⁹⁰⁵ იქვე, მე-2 პუნქტი.

⁹⁰⁶ იქვე, მე-9 მუხლის პირველი პუნქტი.

⁹⁰⁷ იქვე, მე-10 მუხლი.

⁹⁰⁸ იქვე, მე-8 მუხლის პირველი პუნქტი.

⁹⁰⁹ მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ჭმიდანად შერაცხილ მონამეთა და მოღვაწეთა სხეულის ნაწილები. იქვე, ტერმინთა განმარტება, 21-ე პუნქტი.

⁹¹⁰ მაცხოვრის, ღმრთისმშობლისა და წმიდანთა ცხოვრებასთან დაკავშირებული საგნები და ნივთები. იქვე, ტერმინთა განმარტება, 22-ე პუნქტი.

⁹¹¹ იქვე, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁹¹² იქვე, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁹¹³ Zucca L., *The Crisis of the Secular State – A Reply to Professor Sajó*, “I-Con”, Vol.7, No.3, 2009, 495.

საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება ეკლესიისა და სახელმწიფოს თანამშრომლობას საჯარო სივრცეში რამდენიმე მიმართულებით წარმოაჩენს. სახელმწიფო აღიარებს დიდ საეკლესიო დღესასწაულებსა და კვირას, შესაბამისად, როგორც წესი, მათ დასვენების დღეებად აცხადებს.⁹¹⁴ სახელმწიფო ცნობს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით,⁹¹⁵ ასევე, მხარს უჭერს საეკლესიო და აღსარების საიდუმლოს დაცვას, სასულიერო პირს კი ავალდებულებს, არ გასცეს ინფორმაცია, რომელიც მას, როგორც სულიერ მოძღვარს, გაანდეს ან მისთვის ცნობილი გახდა.⁹¹⁶ მართლმადიდებელ ეკლესიასთან შეთანხმებით სამხედრო-საჯარისო ფორმირებებში, საპატიმროებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სახელმწიფო მართლმადიდებელი მოძღვრის ინსტიტუტს ქმნის და უზრუნველყოფს შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებას.⁹¹⁷ კონსტიტუციური შეთანხმება ითვალისწინებს ეკლესიისა და სახელმწიფოს მიერს მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთობლივი პროგრამების განხორციელების შესაძლებლობას⁹¹⁸.

ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობებში განსაკუთრებული ადგილი უკავია განათლების სფეროს. ისტორიულად, განათლება ყოველთვის ეკლესიის ინსტიტუციური იურისდიქციის ქვეშ იყო მოქცეული, ამიტომაც ამ მიმართულების სეკულარიზაცია, როგორც წესი, მისი მხრიდან ყველაზე მტკივნეულად აღიქმება. კონსტიტუციური შეთანხმებით, ეკლესია და სახელმწიფო აღიარებენ შესაბამისი სასწავლო დაწესებულებების მიერ გაცემულ განათლების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სამეცნიერო ხარისხებსა და ნოდებებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.⁹¹⁹ ამასთან, რელიგიისა და განათლების თავისუფლებათა უზრუნველსაყოფად, საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებელი სარწმუნოების საგნის სწავლება ნებაყოფლობითია.⁹²⁰ სასწავლო პროგრამების დადგენა, შეცვლა, პედაგოგთა დანიშვნა და გათავისუფლება ხდება ეკლესიის წარდგინებით.⁹²¹ სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილი არიან, განახორციელონ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები,⁹²² სახელმწიფო კი ვალდებულებას იღებს, ხელი შეუწყოს ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებას⁹²³.

⁹¹⁴ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების პირველი მუხლი.

⁹¹⁵ იქვე, მე-3 მუხლი.

⁹¹⁶ იქვე, მე-2 მუხლი.

⁹¹⁷ იქვე, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁹¹⁸ იქვე, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი.

⁹¹⁹ იქვე, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁹²⁰ იქვე, მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

⁹²¹ იქვე.

⁹²² იქვე, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

⁹²³ იქვე.

3. კონსტიტუციური შეთანხმების ადგილი ქართულ სამართალში

3.1. კონსტიტუციური შეთანხმების სამართლებრივი სტატუსი

საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება განსაკუთრებული სტატუსის მქონე სამართლებრივი აქტია, რომელიც სტაბილურობის ძალზე მაღალ გარანტიებს მოიცავს, მის მიმართ სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი მოქმედებს.⁹²⁴ საქართველოს კონსტიტუცია კონსტიტუციური შეთანხმების დადების ექსკლუზიურ უფლებამოსილებას სახელმწიფოს ანიჭებს, თუმცა განსაზღვრულია მეორე მხარე: საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია.⁹²⁵ კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია და ნორმატიულ აქტებს განეკუთვნება,⁹²⁶ თუმცა სხვა ნორმატიული აქტებისგან განსხვავებით, მის მისაღებად საკმაოდ რთული მექანიზმია დადგენილი, რაც დოკუმენტის სამართლებრივი ძალის ერთ-ერთი განმაპირობებელი და განმსაზღვრელი ფაქტორია.⁹²⁷ შეიძლება ითქვას, რომ „ეს არის უნიკალური ხასიათის დოკუმენტი როგორც თავისი იურიდიული ბუნებით, ისე შინაარსობრივი ასპექტებით“⁹²⁸.

კონსტიტუციური შეთანხმების, როგორც სამართლებრივი ფორმის, უპირატესობა კანონთან შედარებით, ისაა, რომ შეთანხმება ორმხრივი დოკუმენტია და სახელმწიფოს მისი ცალმხრივად შეცვლა ან შეწყვეტა არ შეუძლია.⁹²⁹ კონსტიტუციური შეთანხმების ამოქმედება შეთანხმებაზე ხელმოწერასა და დამტკიცებას უკავშირდება. შეთანხმებას ხელს აწერს საქართველოს სახელმწიფოს სახელით საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მთავრობის წინასწარი თანხმობით⁹³⁰, ხოლო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით, — კათოლიკოს-პატრიარქი⁹³¹.

კონსტიტუციური შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ აუცილებელია მისი დამტკიცება ორივე მხარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ. საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმების ძალაში შესვლასთან დაკავშირებული პროცედურები ვატიკანის კონკორდატების მიბაძვით გაკეთდა.⁹³² საქართველოს მხრიდან შეთანხმებას ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის 3/5-ის უმრავლესობით,⁹³³ ხოლო ეკლესიის მხრიდან — წმინდა სინოდი.⁹³⁴ ამ უკანასკნელის შემთხვევაში კვორუმი დადგენილი არაა, შესაბამისად,

⁹²⁴ საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი, 66-ე მუხლის 1¹-ლი პუნქტი, 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა¹“ ქვეპუნქტი; „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი, მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი.

⁹²⁵ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი; ლორია ვ., გელაშვილი ბ., ბენდელიანი მ., ადამიანის უფლებები და რელიგია, თბილისი, 2006, 155.

⁹²⁶ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

⁹²⁷ ხეცურიანი ვ., სახელმწიფო და ეკლესია, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2001, 12.

⁹²⁸ ცნობილაძე პ., საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ტ.1, თბილისი, 2005, 202.

⁹²⁹ ხეცურიანი ვ., სახელმწიფო და ეკლესია, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2001, 10.

⁹³⁰ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი.

⁹³¹ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი.

⁹³² კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბილისი, 2004, 85.

⁹³³ საქართველოს კონსტიტუციის 66-ე მუხლის 1¹-ლი პუნქტი.

⁹³⁴ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი.

ივარაუდება, რომ სამართლებრივი შედეგისთვის უბრალო უმრავლესობით მხარდაჭერაც საკმარისი იქნება.

კონსტიტუციური შეთანხმება განსაკუთრებულ ადგილს იკავებს საქართველოს ნორმატიული აქტების იერარქიაშიც. კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები კონსტიტუციასთან ერთად, კონსტიტუციურ შეთანხმებასაც უნდა შეესაბამებოდეს.⁹³⁵ კანონმდებლობა კიდევ უფრო აკონკრეტებს ნორმატიული აქტების ურთიერთმიმართებას: საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და აქტებთან ერთად, კონსტიტუციური შეთანხმება იურიდიული ძალით აღემატება ორგანულ და მიმდინარე კანონებს, პრეზიდენტის დეკრეტს, პარლამენტის რეგლამენტს, ნებისმიერ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს⁹³⁶.

3.2. კონსტიტუციური შეთანხმება, როგორც სამართლის წყარო

სამართლის წყარო, ყველაზე ზოგადი განმარტებით, სამართლის გამოხატვის ფორმას, საშუალებას ეწოდება.⁹³⁷ თანამედროვე სამყაროში სამართლის წყაროები მრავალფეროვნებით გამოირჩევა და კონკრეტული სამართლებრივი დარგისა თუ სისტემის მიხედვით, ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. რელიგიური და სამართლებრივი სისტემები ხშირად ერთმანეთისგან განსახვავებულ, ურთიერთსაწინააღმდეგო წესებს შეიცავენ, თუმცა ორივე მათგანი უკვე ათასწლეულებია თანაარსებობს.⁹³⁸ განსხვავებების მიუხედავად, სამართალი და რელიგია ბევრი საერთო ნიშნითაც ხასიათდება.⁹³⁹ ორივე მათგანი ერთმანეთთან მეთოდოლოგიურად, ინსტიტუციურად და პროფესიულად დაკავშირებული სისტემებია⁹⁴⁰.

საუკუნეების განმავლობაში ყველაზე გაბედულ მოაზროვნეებსაც კი არ უოცნებიათ საეკლესიო სამართალთან მიმართებით საერო სამართლის უპირატესობის აღიარება.⁹⁴¹ თუმცა თანამედროვე სამართალში ეს მიღებული ფაქტია და რა თქმა უნდა, უპირატესობა კანონმდებლობას ენიჭება. აღნიშნული არ გამოირიცხავს საეკლესიო სამართლისა და კანონიკის მოქმედებას, მხოლოდ იმ ფარგლებში, თუკი იგი კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგება. დიურკემის აზრით, ნებისმიერი რამ შეიძლება წმინდას, საკრალურის მატერიალური განსხვავება იყოს და შესაბამისად, ლოგიკურია, თუკი დესაკრალიზაციის შედეგად, იგი საერო ხასიათს დაიბრუნებს.⁹⁴² დესაკრალიზაციის პროცესის შედეგად საერო კანონმდებლობაში ძალიან ბევრი რელიგიური ხასიათის დებულება აისახა და დღეს ძნელად თუ წარმოუდგენია ვინმეს მათ გარეშე სამართლის არსებობა. ხშირად რელიგიურ საზოგადოებებში რელიგიური შინაარსის ძეგლები საერო სამართლის წყაროს ფუნქციასაც ასრულებენ. ამას განსაკუთრებით ხელს უწყობს ერთი რელიგიის დომინირება ან მონოეთნიკურობა.

⁹³⁵ საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁹³⁶ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

⁹³⁷ იხ., გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-3 გამოცემა, თბილისი, 2015, 5.

⁹³⁸ Witte J.Jr., Law, Religion and Human Rights, “Colombia Human Rights Law Review”, Vol.28, 1996, 3.

⁹³⁹ იხ., იქვე, 5-6.

⁹⁴⁰ იხ., იქვე, 6-7.

⁹⁴¹ ელინეკი გ., ძველი სამართლის ბრძოლა ახალ სამართალთან, ზ. ნანობაშვილის თარგმანი, ბ. ზოიძის რედაქტორობით, თბილისი, 2006, 35.

⁹⁴² Coleman J.A., The Secular: A Sociological View, “The Way”, Vol.30(1), 1990, 17.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გამონაკლისებიც არსებობს⁹⁴³. ამ შემთხვევაში მთავარია ის, თუ თავად სახელმწიფო რამდენად სეკულარულ ხასიათს ატარებს.

საქართველოში კანონმდებლობა მთლიანად საერო ხასიათისაა, საეკლესიო და ნებისმიერი რელიგიური სამართალი მოქმედებს კონკრეტულ სოციალურ ჯგუფში, თუკი არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს მიერ დადგენილ წესებს. საერო კანონმდებლობა ვრცელდება მთელი სახელმწიფოს მასშტაბით, საეკლესიო სამართალი კი — ეკლესიის ფარგლებში, ამასთან, მისი შესრულებით არ უნდა ირღვეოდეს სახელმწიფო მიერ დადგენილი სამართალი.⁹⁴⁴ კონსტიტუციური შეთანხმება, როგორც ნორმატიული აქტი, კანონმდებლობის ნაწილია და მას სახელმწიფო არა მხოლოდ სავალდებულო ძალას ანიჭებს, არამედ კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონის შემდეგ, სამართლებრივი მოქმედების მიხედვით, უმაღლეს ადგილს უსაზღვრავს.⁹⁴⁵ კონსტიტუციური შეთანხმება, იმავდროულად, საეკლესიო სამართლის წყაროა, ვინაიდან იგი პატრიარქის მიერ ხელმოწერილი და წმიდა სინოდის მიერ დამტკიცებული დოკუმენტია, რომელსაც ეკლესიის წიაღში შესასრულებლად სავალდებულო ძალა აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ნორმატიული აქტების სისტემისგან განსხვავებით, კონსტიტუციური შეთანხმება ეკლესიის სამართლის წყაროთა იერარქიაში ერთ-ერთ დაბალ ადგილს იკავებს წმინდა წერილის, წმინდა გარდამოცემის, მსოფლიო და ადგილობრივი კრებების დადგენილებათა შემდეგ,⁹⁴⁶ რადგაც მისი სტატუსი მხოლოდ სინოდური განჩინების ტოლფასია. საეკლესიო აქტთა იერარქიულობა საუკუნეებით დადგენილი სავალდებულო წესია, შესაბამისად, მისი შეცვლა კონსტიტუციური შეთანხმების მნიშვნელობის დოკუმენტის გამოც კი შეუძლებელია. კანონიკური სამართლის კუთხით, მართალია, კონსტიტუციური შეთანხმება სამართლის წყაროდ განიხილება, თუმცა მას საერო კანონმდებლობაში აღიარებულ სტატუსთან შედარებით, დაბალი მოქმედების ძალა აქვს, რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან შეთანხმებით სახელმწიფოს მხრიდან ვალდებულებების აღიარება და სახელმწიფოსთან ურთიერთობების მონესრიგება ხდება და არა ეკლესიის შიდა საქმეებსა და წესებში ჩარევა, რომელთა ავტონომიურობაც, იმავე კონსტიტუციური შეთანხმებით უზრუნველყოფილია⁹⁴⁷.

⁹⁴³ მაგ., ისრაელი მონოთეიკური სახელმწიფოა, თუმცა ებრაული სამართალი (ჰალახა) ისრაელის სახელმწიფოსთვის მხოლოდ მეორეული, ფაკულტატიური სამართლის წყაროს ფუნქციას ასრულებს, სახელმწიფო არ იბოჭება არცერთი რელიგიის წესებით. Lerner N., Religion and the Basic Legislation in Israel, in: Law, Religion, Constitution (Freedom of Religion, Equal Treatment, and the Law), Edited by Cr. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari, D. Thayer, 2013, 231.

⁹⁴⁴ Von Campenhausen A.F., Church Autonomy in Germany, in: Church Autonomy, A Comparative Survey, Edited by G. Robbers, Frankfurt am Main, 2001, 80.

⁹⁴⁵ იხ., საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

⁹⁴⁶ იხ., ჩიკვაძე დ., საეკლესიო სამართალი, თბილისი, 2008, 64.

⁹⁴⁷ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი.

4. კონსტიტუციური შეთანხმების სამართლებრივი პრობლემები

4.1. კონსტიტუციური შეთანხმების სახელწოდების ტერმინოლოგიური უზუსტობა

სამართლისა და ენის ურთიერთმიმართება ერთ-ერთი მარადიული პრობლემაა სამართლის მეცნიერებაში და აქტუალობას არასდროს კარგავს, მით უმეტეს ისეთი სამართლებრივი სივრცისთვის, რომელიც ჩამოყალიბების პროცესშია.⁹⁴⁸ ენობრივი და ცნებებთან დაკავშირებული საკითხები ვერ იქნება მეორეხარისხოვანი, რადგან სამართალი, როგორც ასეთი, ენაში, ენობრივი ფორმებით გამჟღავნებული ქცევის წესების სისტემაა.⁹⁴⁹ ამიტომაც გამართული ტერმინოლოგია განვითარებული სამართლებრივი სისტემის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, უფრო მეტიც თავად ამ სისტემათა განვითარების ერთ-ერთი საწინდარია.

კონსტიტუციური შეთანხმების, როგორც სამართლებრივი დოკუმენტის, სახელწოდება გამორჩეულია. ერთი მხრივ, მისი სახელშეკრულებო ბუნება, ხოლო, მეორე მხრივ „კონსტიტუციური“ სტატუსი მას ეტიმოლოგიურადაც გამორჩეულ დოკუმენტად აქცევს. „კონსტიტუციურის“ გამოყენებით კანონმდებელმა ხაზი გაუსვა შეთანხმების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, მის საკონსტიტუციოსამართლებრივ ხასიათსა და სტატუსს სახელმწიფო სისტემაში.⁹⁵⁰ როგორც პროფ. ხეცურიანი განმარტავს, შეთანხმებისთვის „კონსტიტუციურის“ დაარქმევა იმითაა გამართლებული, რომ მისი „დადების შესაძლებლობა და სუბიექტთა წრე მხოლოდ სახელმწიფოს ძირითადი კანონით იქნება განსაზღვრული“⁹⁵¹.

კონსტიტუციური შეთანხმების კონსტიტუციასთან დაკავშირებული სტატუსი სრულიად მართებული და მიზანშეწონილია. სამართლებრივი აქტის სტატუსსა და მნიშვნელობას იმაზე მეტად არაფერი უსვამს ხაზს, ვიდრე კონსტიტუციასთან თუნდაც ტერმინოლოგიური თვალსაზრისით მიბმა, მით უმეტეს, ამ შემთხვევაში, იგი შინაარსობრივადაც ძირითად კანონს ეფუძნება. „კონსტიტუციურსა“ და „საკონსტიტუციოს“ ქართულ სამართლებრივ ენაში ხშირად თანაბარმნიშვნელოვნად იყენებენ, რაც ბევრ პრობლემას წარმოშობს.⁹⁵² მართალია, ფონეტიკურად ეს ორი ცნება ერთმანეთთან ძალიან ახლოსაა, თუმცა შინაარსობრივად, ქართული ენის სპეციფიკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად განსხვავდება. „საკონსტიტუციო“ კონსტიტუციის შესაფერისს, კონსტიტუციისათვის განკუთვნილს, კონსტიტუციით გათვალისწინებულს, ხოლო „კონსტიტუციური“ კონსტიტუციასთან შესაბამისს აღნიშნავს.⁹⁵³ შინაარსობრივად ეს ცნებები უერთიერთგადამფარავ მნიშვნელობასაც

⁹⁴⁸ გეგენავა დ., ზოგიერთი ცნების მართებულობის საკითხისათვის ქართულ საკონსტიტუციო სამართალში, ნიგნში: ზურაბ ახვლედიანი 80, ზ. ძლიერიშვილისა და ს. ქავთარაძის რედაქტორობით, თბილისი, 2013, 181.

⁹⁴⁹ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 121.

⁹⁵⁰ Manitakis A., Comments on the Draft Constitutional Agreement between the State of Georgia and the Apostolic Autocephalous Orthodox Church of Georgia, CDL(2001)64, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 28 June 2001, 2.

⁹⁵¹ ხეცურიანი ჯ., სახელმწიფო და ეკლესია, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2001, 11.

⁹⁵² იხ., კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ზოგიერთი თეორიული ასპექტი, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2005; მელქაძე ო., „საკონსტიტუციო კონტროლი“ - ტერმინის არსებითი მნიშვნელობის შესახებ, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 1998; გეგენავა დ., ზოგიერთი ცნების მართებულობის საკითხისათვის ქართულ საკონსტიტუციო სამართალში, ნიგნში: ზურაბ ახვლედიანი 80, ზ. ძლიერიშვილისა და ს. ქავთარაძის რედაქტორობით, თბილისი, 2013; გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-3 გამოცემა, თბილისი, 2015.

⁹⁵³ იხ., ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი – <<http://ena.ge/explanatoryonline>> [05.11.2015]

მოიაზრებს. ეს ყველაფერი კიდევ უფრო აბსურდულ ელფერს კონსტიტუციურ შეთანხმებასთან დაკავშირებით იძენს. „კონსტიტუციური შეთანხმება“, მისი სალიტერატურო და გრამატიკული შინაარსიდან გამომდინარე, ნიშნავს შეთანხმებას, რომელიც კონსტიტუციას შეესაბამება. ამ კუთხით, ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც კონსტიტუციას არ ენიშნავს, კონსტიტუციურია. გარდა ამისა, იმის დადგენა, კონსტიტუციურია თუ არა რაიმე, მათ შორის კონსტიტუციური შეთანხმება, საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივაა, ანუ იგი (მთლიანად ან ნაწილობრივ) პოტენციურად არაკონსტიტუციურიც შეიძლება აღმოჩნდეს, რაც საფუძველშივე გამოორციხავს მის „კონსტიტუციურ“ სტატუსს.

„საკონსტიტუციო ხელშეკრულება“ ჭეშმარიტად ასახავს იმ შინაარსობრივ და ტერმინოლოგიურ დატვირთვას, რომელიც ამ ინსტიტუტს აქვს. ამ შემთხვევაში იგი სრულიად მოიცავს იმ აზრს, რაც მის შემქმნელებს ჰქონდათ — კონსტიტუციიდან გამომდინარე, კონსტიტუციისკენ მიმართული, საკონსტიტუციოსამართლებრივი სტატუსისა და შინაარსის მქონე. შეთანხმებისთვის „საკონსტიტუციოს“ დარქმევა არა მხოლოდ ტექნიკურად, არამედ შინაარსობრივადაც გამართავს ინსტიტუტის სამართლებრივ ფორმას და შექმნის ადეკვატურ აღქმას მის სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში დოკუმენტი იდეური თვალსაზრისითაც ჩაჯდება საქართველოს ნორმატიული აქტების ერთიან სისტემაში. ამის შემდეგ „საკონსტიტუციო შეთანხმების“ კონსტიტუციურობის საკითხი ლოგიკურად იქნება და ადეკვატურად, განსხვავებით „კონსტიტუციური შეთანხმების“ კონსტიტუციურობისგან.

4.2. კონსტიტუციური შეთანხმება ნორმატიული აქტების იერარქიაში

კონსტიტუციური შეთანხმების ნორმატიული მოქმედების ძალის თაობაზე დებულებებს როგორც კონსტიტუცია, ისე „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონი შეიცავს. სამწუხაროდ, ამ დებულებათა ნაწილი ურთიერთგამომრიცხავი და ბუნდოვანია, რაც ნორმატიული აქტების იერარქიაში კონსტიტუციური შეთანხმების ადგილის თაობაზე ცალსახა დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევა.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს უზენაესი კანონი კონსტიტუციაა და ყველა სხვა სამართლებრივი აქტი მას უნდა შეესაბამებოდეს.⁹⁵⁴ რა თქმა უნდა, ამ მხრივ, აქტებში კონსტიტუციური შეთანხმებაც მოიაზრება, რომელიც, ნებისმიერი სხვა აქტის მსგავსად, კონსტიტუციის ქვემდგომი დოკუმენტია. ამასთან, კონსტიტუცია საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, რომლებსაც შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებთან მიმართებით, უპირატეს იურიდიულ ძალას ანიჭებს, საქართველოს კონსტიტუციისა და კონსტიტუციური შეთანხმების ქვემდგომად განიხილავს.⁹⁵⁵ მსგავს მონესრიგებას ადგენს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ძირითადი კანონის დებულებებს სიტყვა-სიტყვით იმეორებს⁹⁵⁶.

გაუგებრობას იწვევს კონსტიტუციის ნორმა, რომლის თანახმადაც, კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და

⁹⁵⁴ საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

⁹⁵⁵ იხ., იქვე, პირველი პუნქტის მე-2 წინადადება.

⁹⁵⁶ იხ., „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

ძირითად თავისუფლებათა სფეროში.⁹⁵⁷ ნორმის დანიშნულება მარტივი დასადგენია. მისი მიზანი კონსტიტუციური შეთანხმებით ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევის, სხვა პირთა რელიგიური უფლებების შელახვისა და დისკრიმინაციის თავიდან აცილებაა, რომლის უზრუნველყოფაც კონსტიტუციური შეთანხმების უფლებებთან შესაბამისობის დათქმით მიიღწევა.⁹⁵⁸ თუმცა წარმოუდგენელია საერთაშორისოდ აღიარებული ძირითადი უფლებები და პრინციპები ცალკე, განყენებულად არსებობდეს, ისინი რომელიმე საერთაშორისოსამართლებრივ აქტში უნდა იყოს მოცემული, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, კონსტიტუციურ შეთანხმებაზე დაბალი სამართლებრივი ძალისაა, ალოგიკური გამოდის, როგორ უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციური შეთანხმება ამ პრინციპებსა და უფლებებს⁹⁵⁹.

გაუგებარია, რომელ სახელმწიფო ორგანოს შეუძლია დაადგინოს კონსტიტუციური შეთანხმების ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებთან შესაბამისობა. ლოგიკურად, უპირველესი სახელმწიფო ორგანო, რომელიც, ამ მხრივ, ალუზიას იწვევს, რა თქმა უნდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოა. სამწუხაროდ, კონსტიტუციითა და კანონმდებლობით მას მსგავსი უფლებამოსილება არ გააჩნია.⁹⁶⁰ მთავარი აქტი, რომელიც მისთვის ამოსავალი და პირველადი წყაროა, კონსტიტუციაა, შესაბამისად, თავად ნორმატიული აქტების ერთმენთთან შესაბამისობაზე დავა მის კომპეტენციას სცდება. პროფ. კორკელია გამოსავალს იმაში ხედავს, რომ კონსტიტუციურ შეთანხმებასა და საერთაშორისო ხელშეკრულებას შორის შესაბამისობის საკითხი საერთო სასამართლოებმა განიხილონ და გადაწყვიტონ.⁹⁶¹ ეს მსჯელობა ლოგიკურია და აქტების იერარქიული შესაბამისობა ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციაში ისედაც შედის, თუმცა სიტუაციის დელიკატურობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ შემთხვევაში არსებითად დავა ადამიანის ძირითად უფლებებს და არა თავად აქტის მატერიალურ თუ ფორმალურ კანონიერებას შეეხება.

კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადება სრულიად ზედმეტია და არ ჯდება კონსტიტუციის ნორმატიული ქსოვილისა თუ ძირითადი კანონის დეონტური ლოგიკის ერთიან სტრუქტურაში. საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია ნებისმიერი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხი განიხილოს, ამასთან, ამ შემთხვევაში ნებისმიერ პირს შეუძლია მიმართოს მას ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებულ ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით შესაბამისობის დადგენის მიზნით⁹⁶². თუკი კანონმდებლის მიზანი კონსტიტუციური შეთანხმებით ძირითადი უფლებების დარღვევის პრევენციაა, მაშინ ეს ყოველივე ზედმეტი ნორმის გარეშეც მიიღწევა. მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების არარსებობის შემთხვევაშიც კი ნებისმიერ პირს შეუძლია, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს და კონსტიტუციური შეთანხმების დებულებათა

⁹⁵⁷ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადება.

⁹⁵⁸ კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბილისი, 2004, 86.

⁹⁵⁹ იხ., იქვე, 87.

⁹⁶⁰ იხ., საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლი.

⁹⁶¹ კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბილისი, 2004, 87.

⁹⁶² საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

კონსტიტუციურობის თაობაზე იდავოს. ამასთან, კონსტიტუციის მე-7 და 39-ე მუხლების სისტემური ანალიზი ცხადყოფს, რომ საერთაშორისო სამართლით აღიარებული, კონკრეტულ საერთაშორისო აქტში მოცემული ძირითადი უფლებები არათუ უბრალოდ კანონმდებლობის, არამედ კონსტიტუციის ნაწილადაც შეიძლება იქნეს მოაზრებული, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლობას მისცემს, შეასრულოს მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებით ნაგულისხმევი ნორმატიული მიზანი და კონსტიტუციაში კონკრეტული ნორმის არარსებობის მიუხედავადაც კი, დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლებები და უზრუნველყოს უფლებათა პრაქტიკული განხორციელება. აქედან გამომდინარე, ძირითადი კანონის ხსენებული დებულება სრულიად ზედმეტია და ადამიანის უფლებათა დაცვას არ უზრუნველყოფს, პირიქით, ქმნის ნორმატიულ კაზუსს, რომლის გადანყვეტაზე უფლებამოსილი ორგანო უბრალოდ არ არსებობს. შესაბამისად, აღნიშნული წინადადება კონსტიტუციიდან ამოღებული უნდა იქნეს.

4.3. კონსტიტუციური შეთანხმების ჰიბრიდული ბუნება

მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს სახელმწიფოს შორის კონსტიტუციური შეთანხმების დადების იდეა XX საუკუნის 90-იან წლებში გაჩნდა ვატიკანის კონკორდატების გავლენით.⁹⁶³ კონკორდატი წმინდა საყდარსა და სხვა სახელმწიფოს შორის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებაა.⁹⁶⁴ იგი სახელმწიფოთა შორის დადებულ შეთანხმებად მიიჩნევა, რადგან ვატიკანი, რომელიც თანამედროვე ფორმით 1929 წელს შეიქმნა, სახელმწიფოსათვის აუცილებელ ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს.⁹⁶⁵ მიუხედავად ამ გარემოებისა, კონკორდატების საერთაშორისო-მართლებრივ კონტექსტში განხილვა საკმაოდ რთულია, რადგან, მართალია, ვატიკანი საერთაშორისო სამართლის სუბიექტია და ხელშეკრულებაც სახელმწიფოსთან იდება, თუმცა მისი შინაარსი სახელმწიფოს შიგნით რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება⁹⁶⁶.

ქართული კონსტიტუციური შეთანხმება უნიკალური ხელშეკრულებაა, რომელიც, სახელმწიფოსა და იურიდიულ პირს შორისაა დადებული, თუმცა საერთაშორისო ხელშეკრულებებზე მაღალი სტატუსისაა.⁹⁶⁷ ამგვარი ჰიბრიდული სტატუსი მისი არსებობის ერთგვარი სამართლებრივი გარანტიაც კია. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის მსგავსი სამართლებრივი ფორმა ყველაზე ოპტიმალური და მიზანშეწონილი ნორმატიული

⁹⁶³ იხ., აბაშიძე ლ., რელიგიური კანონმდებლობის პერსპექტივები საქართველოში, ჟურნ. „სოლიდარობა“, №9(18)07, 2007, 14.

⁹⁶⁴ იქვე.

⁹⁶⁵ იხ., Montevideo Convention on Rights and Duties of States, 26 December, 1933; Ryngaert C., The Legal Status of the Holy See, “Göttingen Journal of International Law”, Vol.3, 2011, 833.

⁹⁶⁶ იხ., Petkoff P., Legal Perspectives and Religious Rights Under International Law in the Vatican Concordats (1963-2004), “Law & Justice - Christian Law Review”, Vol.158, 2007, 40-41.

⁹⁶⁷ Tsintsadze Kh., Legal Aspects of Church-State Relations in Post-Revolutionary Georgia, “Brigham Young University Law Review”, 2007, №3, 764.

მექანიზმია.⁹⁶⁸ ტემპერმანი საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას გამიჯვნის პრინციპის გაუმჯობესების მექანიზმად აღიქვამს⁹⁶⁹.

ქართულ კონსტიტუციურ შეთანხმებას ჰიბრიდული ბუნება აქვს, იგი არაა საერთაშორისო ხელშეკრულება, დადებულია ქვეყანაში მოქმედ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, თუმცა, იმავდროულად, საერთაშორისო ხელშეკრულების დამახასიათებელი ნიშან-თვისებებიც აქვს.⁹⁷⁰ კონსტიტუციური შეთანხმების სამართლებრივმა ფორმამ თავიდანვე ბევრი კითხვა დაბადა, მათ შორის მთავარი პრობლემა კი ის იყო, რომ შეთანხმების შინაარსი და სტატუსი წმინდა საყდრის კონკორდატების მიბაძვით იყო შექმნილი, თუმცა ვატიკანისგან განსხვავებით, მართლმადიდებელ ეკლესიას საერთაშორისოსამართლებრივი სტატუსი არ გააჩნია.⁹⁷¹ სწორედ ამიტოა განპირობებული ისიც, რომ მას არა „რატიფიკაცია“, არამედ „დამტკიცება“ ესაჭიროება.⁹⁷² ტერმინთა აღრევისა და საერთაშორისო ხელშეკრულებასთან აღუზიის თავიდან ასაცილებლად მიღების ფორმები ტერმინოლოგიურად გაიმიჯნა. მიუხედავად ამისა, როგორც შეთანხმება, იგი შიდა კანონმდებლობის ნაწილად რჩება, თუმცა საერთაშორისო აქტს მიაგავს, ამის გამო მისი კლასიკურ ნორმატიულ აქტად აღქმა საკმაოდ რთულია. სავარაუდოდ, ამანაც განაპირობა კანონმდებლის სპეციალური დათქმა, რომლითაც კონსტიტუციური შეთანხმება ნორმატიულ აქტად მოიაზრება და სახელმწიფოს კანონმდებლობის ნაწილია⁹⁷³.

4.4. სეკულარიზმის პრინციპის დარღვევა და ეკლესიის შეზღუდვა

მოდერნიზაციის აქტიური პროცესი არ ნიშნავს საზოგადოებაში ეკლესიის დანიშნულების გაქრობას.⁹⁷⁴ მართალია, მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის სიფრთხილით და შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად, შიშითაც ეკიდება გლობალურ სიახლეებსა და ნამონყებებს, რასაც მისი (ულტრა)კონსერვატიული ხასიათიც განაპირობებს,⁹⁷⁵ თუმცა ეს არ უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაში, უპირატესობებისა და შეღავათების სანაცვლოდ, სახელმწიფომ ეკლესიის ავტონომიურობა შეზღუდოს. ისტორიულად, ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც ეკლესიას საკონსტიტუციო პრივილეგიებსა და განსაკუთრებულ

⁹⁶⁸ იხ., ხეცურიანი ჯ., კონსტიტუციური შეთანხმება და რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსის ზოგიერთი საკითხი საქართველოში, წიგნში: ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში, თბილისი, 2011, 81.

⁹⁶⁹ იხ., Temperman J., State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance, Leiden-Boston, 2010, 74.

⁹⁷⁰ აბაშიძე ლ., რელიგიური კანონმდებლობის პერსპექტივები საქართველოში, ჟურნ. „სოლიდარობა“, №9(18)07, 2007, 15.

⁹⁷¹ Manidakis A., Comments on the Draft Constitutional Agreement between the State of Georgia and the Apostolic Autocephalous Orthodox Church of Georgia, CDL(2001)64, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 28 June 2001, 2.

⁹⁷² კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბილისი, 2004, 85.

⁹⁷³ იხ., „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

⁹⁷⁴ Fokas E., Religion and Welfare in Greece: A New, or Renewed, Role for the Church? in: Orthodox Christianity in 21st Century Greece, The Role of Religion in Culture, Ethnicity and Politics, Edited by V. Roudometof and V.N. Makrides, Ashgate, 2010, 175.

⁹⁷⁵ იხ., იქვე, 180.

ოფიციალურ სტატუსს ანიჭებდა, ეკლესიის მხრიდან ყოველთვის შესაბამის სამსახურსა და მხარდაჭერას მოითხოვდა.⁹⁷⁶ აღნიშნული კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა და დღესდღეობით ეკლესიის მხრიდან მხარდაჭერა ძირითადად სოციალურ სფეროში გამოიხატება, სახელმწიფოს მთლიანობის, ერთიანობისა და საზოგადოებრივი მშვიდობის პროპაგანდით, ნახალისებით.

თანამედროვე ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობათა სპეციფიკის გათვალისწინებით, ექსკლუზიურად ეკლესიის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხებია: სასულიერო პირთა განათლება და მომზადება, ღვთისმსახურება და სასულიერო პირებთან შრომითი ურთიერთობები, საეკლესიო ქონების მართვა, საქველმოქმედო საქმიანობა და სხვ.⁹⁷⁷

4.4.1. საიდუმლოების დაცვა

სამართალი ადვოკატების, ექიმებისა და სასულიერო პირთათვის საიდუმლოების დაცვის პრივილეგიას უზრუნველყოფს.⁹⁷⁸ არა აქვს მნიშვნელობა, თუ რომელი სამართლის ოჯახს მიეკუთვნება სახელმწიფო და რა სამართლებრივი აზროვნებაა ქვეყანაში, საიდუმლოების დაცვის პრივილეგია ამ სამი კატეგორიის პირთათვის გარანტირებულია. საქართველოც გამოიხატის არაა. ქართული კანონმდებლობა უზრუნველყოფს მსგავსი საიდუმლოების დაცულობას.⁹⁷⁹ ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ სამი კატეგორიის საიდუმლოებას შორის გარკვეული დიფერენციაცია არსებობს. სხვებისგან განსხვავებით, სასულიერო პირთათვის საიდუმლოების დაცვის პრინციპი აბსოლუტურია და აღსარების საიდუმლოს გაცემას მათ სახელმწიფო არცერთ შემთხვევაში ავალდებულებს.⁹⁸⁰ როცა, ექიმი და ადვოკატი გამოიხატის შემთხვევებში, ვალდებულნი არიან, მიმართონ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, სასულიერო პირები აბსოლუტური საკანონმდებლო პრივილეგიით სარგებლობენ. საქართველოს შემთხვევაში სასულიერო პირად ნებისმიერი აღმსარებლობის შესაბამისი უფლებამოსილების პირი მოიაზრება და ამ მხრივ, კანონმდებლობა რაიმე დიფერენციაციას არ ადგენს.

კონსტიტუციური შეთანხმებით, სახელმწიფო მართლმადიდებელ სასულიერო პირებს საიდუმლოების დაცვის პრივილეგიით აღჭურავს ორი ძირითადი მიმართულებით: 1. აღსარების საიდუმლოება და 2. საეკლესიო საიდუმლოება.⁹⁸¹ აღსარების საიდუმლო განიმარტება, როგორც სინანულის საიდუმლო, დანესებული თვით იესო ქრისტეს მიერ, სულიერი განწმენდის მიზნით უფლის წინაშე მოძღვართან (მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირი, რომელიც ამა თუ იმ ადამიანისაგან იბარებს

⁹⁷⁶ Dawson J.F., Friedrich Schleiermacher and the Separation of Church and State, "Journal of Church and State", Vol.7, No.2, 1965, 219.

⁹⁷⁷ იხ., Von Campenhausen A.F., Church Autonomy in Germany, in: Church Autonomy, A Comparative Survey, Edited by G. Robbers, Frankfurt am Main, 2001, 81-82.

⁹⁷⁸ Greenawalt K., Religion and Equality, in: Christianity and Human Rights, An Introduction, Edited by J. Witte Jr. and F.S. Alexander, New York, 2010, 243.

⁹⁷⁹ იხ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, „ექიმის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, ადვოკატთა ეთიკის კოდექსი, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი.

⁹⁸⁰ Greenawalt K., Religion and Equality, in: Christianity and Human Rights, An Introduction, Edited by J. Witte Jr. and F.S. Alexander, New York, 2010, 243.

⁹⁸¹ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-2 მუხლის პირველი წინადადება.

აღსარებას და წარმართავს მის სულიერ ცხოვრებას⁹⁸²) ნებაყოფლობითი აღიარება ცოდვისა, რომლის სხვასთან თქმის უფლება სასულიერო პირს არა აქვს.⁹⁸³ საეკლესიო საიდუმლოებად კი მიიჩნევა ეკლესიის კონფიდენციალური ინფორმაცია.⁹⁸⁴ აღსარებისას მიღებული ინფორმაცია საიდუმლოა და ეკლესია მისი გამჟღავნების შესაძლებლობას არ იცნობს, პირიქით, აკრძალულია მისი რაიმე ფორმით გაცემა და ვინმესთვის თქმა.⁹⁸⁵ უფრო მეტიც, ამის განმახორციელებელი სასულიერო პირი საეკლესიო კანონებით დაისჯება⁹⁸⁶.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სახელმწიფო აღსარებისა და საეკლესიო საიდუმლოებას არა პრივილეგიად, არამედ ვალდებულებად ადგენს და სასულიერო პირს ავალდებულებს, არ გასცეს ინფორმაცია, რომელიც მას, როგორც სულიერ მოძღვარს, გაანდეს ან მისთვის, როგორც სასულიერო პირისათვის, გახდა ცნობილი.⁹⁸⁷ მსგავსი ვალდებულების დადგენა წარმოუდგენელია საკონსტიტუციო სეკულარიზმის პირობებში. სახელმწიფო უფლებამოსილი არაა, ჩაერიოს ეკლესიის შიდა საქმეებში, მით უმეტეს დაუდგინოს ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ მყოფ პირს რაიმე ვალდებულება, გარდა იმ სამოქალაქო, საერო ვალდებულებებისა, რომელიც, როგორც წესი, ნებისმიერ მოქალაქეს ისედაც აქვს. მსგავსი ფორმულირებით ჩამოყალიბებული დებულება ეკლესია-სახელმწიფოს გამიჯვნის პრინციპს ეწინააღმდეგება და ეკლესიის ავტონომიურობის საკონსტიტუციოსამართლებრივ იდეას არღვევს. აღსარებისა და საეკლესიო საიდუმლოების დაცვის ვალდებულება სასულიერო პირს მხოლოდ ეკლესიამ და კანონიკურმა სამართალმა შეუძლია დაუდგინოს. სახელმწიფო სრულიად ნეიტრალური უნდა იყოს ამ ვითარებაში და არა ვალდებულებით, არამედ უფლებამოსილების აღჭურვის მექანიზმით უზრუნველყოს საიდუმლოების პრივილეგირებული სტატუსი.

კონსტიტუციური შეთანხმების მე-2 მუხლის მე-2 წინადადება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველ და მე-19 მუხლის პირველ პუნქტებს. აუცილებელია მისი ფორმულირების შეცვლა და აბსურდული ვალდებულებიდან სამართლებრივ პრივილეგიად ტრანსფორმირება. ამ მიზნით, ლოგიკური იქნება, თუკი წინადადება ჩამოყალიბდება შემდეგი სახით: „არავის აქვს უფლება, სასულიერო პირს მოსთხოვოს ინფორმაცია, რომელიც მას, როგორც სულიერ მოძღვარს, გაანდეს ან მისთვის, როგორც სასულიერო პირისათვის, გახდა ცნობილი.“

4.4.2. ლიცენზია და ნებართვები

სახელმწიფოს სამართლებრივი სტატუსიდან და ორგანიზაციული შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ხშირია, როდესაც იგი კონკრეტული ან განსაზღვრული რელიგიური გაერთიანებების სასარგებლოდ რაიმე ღონისძიების განხორციელებას კისრულობს. ყველაზე ხშირად სახელმწიფო ეკლესიის წევრებისგან გადასახადებისა

⁹⁸² იქვე, ტერმინთა განმარტება, მე-16 პუნქტი.

⁹⁸³ იქვე, მე-13 პუნქტი.

⁹⁸⁴ იქვე, მე-14 პუნქტი.

⁹⁸⁵ ბუმისი პ.ი., კანონიკური სამართალი, ი. გარაყანიძის თარგმანი, თბილისი, 2007, 91.

⁹⁸⁶ იქვე.

⁹⁸⁷ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-2 მუხლის მე-2 წინადადება.

და მოსაკრებლის შეგროვება-ადმინისტრირებას უზრუნველყოფს.⁹⁸⁸ ამ საკითხში თანამშრომლობა სრულიად ბუნებრივია, რადგანაც გადასახადები ექსკლუზიურად სახელმწიფოს პრეროგატივაა და მას გაცილებით დახვეწილი, გამართული და მართივი სისტემა აქვს, რათა რელიგიური გაერთიანებების წევრთაგან გადასახადები ეფექტურად ამოიღოს. თუმცა ნებისმიერ სხვა შემთხვევაში სახელმწიფო უნდა მოერიდოს ეკლესიის სახელით რაიმე მოქმედების განხორციელებას, მით უმეტეს, როცა ეს უშუალოდ ეკლესიის, როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივი სუბიექტის, კომპეტენციაში შედის და რაც მთავარია, მისი განხორციელებაც სრულიად შესაძლებელია სახელმწიფოს აქტიური ჩარევის გარეშე.

კონსტიტუციური შეთანხმებით, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, ეკლესიასთან შეთანხმებით გასცეს ლიცენზია ან ნებართვა ეკლესიის ოფიციალური ტერმინოლოგიისა და სიმბოლიკის გამოყენებაზე, აგრეთვე, საღვთისმსახურო პროდუქციის დამზადებაზე, შემოტანასა და მიწოდებაზე.⁹⁸⁹ ეკლესიის ოფიციალურ ტერმინოლოგიად მიიჩნევა „საქართველოს სამოციქულო“, „ავტოკეფალური“, „მართლმადიდებელი“, „კათოლიკოს-პატრიარქი“, „წმიდა სინოდი“.⁹⁹⁰ სიმბოლიკის განმარტებას კონსტიტუციური შეთანხმება „ეკლესიის მართვა-გამგეობის წესდებას“ უთმობს.⁹⁹¹ აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი ბუნებაში არ არსებობს. 1995 წლის 18-19 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებულ ადგილობრივ კრებაზე მიღებულ ეკლესიის მართვა-გამგეობის საკითხების მომწესრიგებელ დოკუმენტს „დებულება“ და არა „წესდება“ ჰქვია. გარდა ამისა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აღნიშნული დოკუმენტი საერთოდ არ აწესრიგებს სიმბოლიკასთან დაკავშირებულ საკითხებს.⁹⁹² შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სიმბოლიკის საკითხი მოწესრიგების გარეშეა დატოვებული.

სახელმწიფოს მხრიდან ლიცენზია/ნებართვის გაცემის ვალდებულების აღება იმიტოა გამართლებული, რომ ერთიანი, ცენტრალიზებული მიდგომა ჩამოყალიბდეს, რათა მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი არ მოექცეს ისეთი მიმდინარეობების გავლენის ქვეშ, რომლებიც თავს მართლმადიდებლებად ასაღებენ სხვადასხვა მიზნით.⁹⁹³ თუმცა ეს არგუმენტი ნაკლებად გამოსადეგია, ვინაიდან ამ შემთხვევაში მსგავსი ვალდებულების აღებით სახელმწიფო არათუ ეხმარება ეკლესიას, არამედ ზედმეტად იჭრება რელიგიის თავისუფლებასა და ეკლესიის, როგორც რელიგიური გაერთიანების, სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი სუბიექტის, ავტონომიაში. ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნა, უპირველესად, თავად ეკლესიას ათავისუფლებს სახელმწიფოს მხრიდან მის საქმეებში ჩარევისგან, აძლევს მას სრულ სამოქმედო თავისუფლებას.⁹⁹⁴ ამასთან, რელიგიის თავისუფლება უზრუნველყოფს კანონიერ

⁹⁸⁸ ნარინდოშვილი მ., გოგელია ვ., ჯულაყიძე თ., ჯაში ზ., გლურჯიძე ე., რელიგიის თავისუფლება, თბილისი, 2004, 113; იხ., *Darby v. Sweden*, [ECtHR], App. no. 11581/85, 23 October 1990.

⁹⁸⁹ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტი.

⁹⁹⁰ იქვე, ტერმინთა განმარტება, 28-ე პუნქტი.

⁹⁹¹ იქვე, 27-ე პუნქტი.

⁹⁹² იხ., საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, 1995 წლის 18-19 სექტემბერი, მცხეთა, სცეტიცხოველი.

⁹⁹³ იხ., ჩიკვაიძე დ., საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების კომენტარები, თბილისი, 2005, 29.

⁹⁹⁴ Heckel M., Religious Human Rights in Germany, “Emory International Law Review”, Vol.10, 1996, 108.

მოლოდინს, რომ რელიგიურ გაერთიანებას შეეძლება იფუნქციონიროს სახელმწიფოს უხეში ჩარევისა და ხელის შეშლის გარეშე⁹⁹⁵.

ეკლესიას, რომელიც სსიპ-ია და აღჭურვილია სრული სუბიექტუნარიანობით, აქვს საკმარისი შესაძლებლობა, სამართლებრივი მექანიზმის გამოყენებით, სასამართლოს მეშვეობით დაიცვას საკუთარი უფლებები, მათ შორის, მოითხოვოს მისი ოფიციალური ტერმინოლოგიისა და სიმბოლიკის გამოყენების აკრძალვა და ა.შ. ამ შემთხვევაში ეს დავა არა რელიგიური, არამედ სამოქალაქო ხასიათისა იქნება, რომლის გადაწყვეტაც სამოქალაქო სასამართლოს კომპეტენციაა.⁹⁹⁶ თავის მხრივ, სახელმწიფო თავიდან აიცილებს კონკრეტული რელიგიური გაერთიანების მიმართ აშკარა ფავორიტიზმსა და სახელმწიფოებრივი რესურსების, იქნება ეს ადამიანური თუ ფინანსური, ხარჯვას. მან მაქსიმალურად შორს უნდა დაიჭიროს თავი მსგავსი შინაარსის დავისგან, მით უმეტეს ისეთ სფეროში, როგორც ლიცენზიისა და ნებართვების, საგადასახადო და საბაჟო სამართალია. პრაქტიკაში ასეც ხდება: სახელმწიფომ კონსტიტუციური შეთანხმების ხსენებული დებულება არ ასახა შესაბამის კანონმდებლობაში,⁹⁹⁷ შესაბამისად, ეს ჩანაწერი მკვდარი ნორმაა და ფორმალურ ფარგლებს არ გასცდენია. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ მისი ამ ფორმით არსებობა და იერარქიით სახელმწიფოს მეორე აქტში განთავსება, სეკულარიზმის პრინციპის დარღვევაა და თანამშრომლობის მოდელის პირობებშიც კი, აშკარა ფავორიტიზმია, რაც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის ნორმალურ ფარგლებს ცდება. აქედან გამომდინარე, ხსენებული ნორმა არაკონსტიტუციურია და კონსტიტუციური შეთანხმებიდან ამოსაღებია.

4.4.3. ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვა

კონსტიტუციური შეთანხმება შეიცავს დებულებას, რომლის თანახმად, ეკლესია უშუალოდ არ ახორციელებს სამენარმეო საქმიანობას.⁹⁹⁸ ნორმის დანიშნულება ეკლესიის მიერ სასულიერო ფუნქციების განხორციელების პრიმატის ხაზგასმა და მისი მაღალი დანიშნულების წინა პლანზე წამოწევა უნდა იყოს. თუმცა, გაუგებარია, მსგავსი ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურ შეთანხმებაში მოთავსების მოტივაცია, მით უმეტეს, ნორმა დეკლარაციული ხასიათისაა და უფრო განცხადებას შეიცავს, ვიდრე რაიმე სამართლებრივ ვალდებულებას. მიუხედავად ამისა, ალოგიკურია ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების მოდელური ქცევის წესების განსაზღვრისას, რა საჭიროა ეკლესიისთვის სამენარმეო საქმიანობის განხორციელების შეზღუდვა ან მსგავსი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობისგან დისტანცირება.

რელიგიური გაერთიანებისთვის ავტონომიურობის უზრუნველყოფა თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელი ნაწილი და ევროკონვენციის მე-9 მუხლის დაცვის უცილობელი პირობაა.⁹⁹⁹ ევროპული სახელმწიფო არ

⁹⁹⁵ *Hasan and Chaush v. Bulgaria*, [ECtHR], Grand Chamber, App. no. 30985/96, 26 October 2000, Para.62.

⁹⁹⁶ *Serbian E. Orthodox Diocese v. Milivojevich*, 426 U.S. 709 (1976).

⁹⁹⁷ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, საქართველოს საბაჟო კოდექსი.

⁹⁹⁸ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი.

⁹⁹⁹ *Hasan and Chaush v. Bulgaria*, [ECtHR], Grand Chamber, App. no. 30985/96, 26 October 2000, Para.62.

უნდა ერეოდეს და არც უნდა აინტერესებდეს ეკლესიის შიდა საქმეები, მისი მთავარი დანიშნულება დემოკრატიული ღირებულებების პოპულარიზაცია და აქტუალიზაცია უნდა იყოს.¹⁰⁰⁰ რელიგიური ავტონომიურობის პრინციპი გულისხმობს რელიგიური გაერთიანების უფლებას, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს მასთან დაკავშირებული საკითხები და საკუთარი თავი ხელისუფლების ჩაურევლად მართოს.¹⁰⁰¹

რელიგიურ გაერთიანებას უფლება აქვს, დამოუკიდებლად, თავად გადაწყვიტოს შიდაორგანიზაციული საკითხები, აირჩიოს სულიერი ლიდერები, ჩამოაყალიბოს და განავითაროს რელიგიური საკითხები, დაადგინოს წევრთა მიღებისა და გარიცხვის წესები და ა.შ.¹⁰⁰² თავად ეკლესიის გადასაწყვეტია, საიდან მიიღებს დამატებით შემოსავალს, რა ფინანსები ექნება და როგორ განკარგავს მათ. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს სამართლით დადგენილ ჩარჩოებში უნდა განხორციელდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში კერძო სამართალი იმოქმედებს და ეკლესიას, როგორც დამოუკიდებელ იურიდიულ პირს, ეკონომიკური თუ პირადი თავისუფლება, ავტონომია ექნება. მის სამართლებრივ ფორმას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან კლასიკური საჯარო სამართლის იურიდიული პირი არაა და მასზე შესაბამისი კანონმდებლობაც არ ვრცელდება.¹⁰⁰³ გარდა ამისა, ეკლესიას თავად შეუძლია დააფუძნოს შესაბამისი იურიდიული პირი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას განახორციელებს და ამას მას ვერავინ აუკრძალავს. ამის ფონზე კონსტიტუციური შეთანხმების დებულება კიდევ უფრო კომიკურ ელფერს იძენს და არათუ დეკლარაციული ხასიათისაა, არამედ სრულიად უშედეგო და უნაყოფო შინაარსს მოიცავს.

რელიგიის თავისუფლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი რელიგიური გაერთიანების ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაა.¹⁰⁰⁴ სასამართლოსაც კი ეკრძალება საქმის წარმოების პროცესში ჩაერიოს ეკლესიის შიდა საქმეებსა თუ სასულიერო სფეროში.¹⁰⁰⁵ ამ პირობებში მსგავსი ნორმის არსებობა სამართლებრივი სისტემის ერთიანი ლოგიკური კონტექსტიდან სრულიად ამოვარდნილია. მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც ყოველთვის კონსერვატიული პოზიციით გამოირჩეოდა, იძულებულია თანამედროვე გამოწვევების, ტექნოლოგიური განვითარების პარალელურად საკუთარ პოზიციებს გადახედოს.¹⁰⁰⁶ სწორედ ამ მოტივით მას უწევს დაფინანსების სხვადასხვა, კანონიერ მექანიზმს მიმართოს და შესაძლებელია, სამეწარმეო საქმიანობაც განახორციელოს. სრულიად სხვა საკითხია, პრაქტიკაში რამდენად გამოიყენებს ამ შესაძლებლობას, მაგრამ, თუკი სხვა რელიგიურ გაერთიანებებს მსგავსი შეზღუდვა არ გააჩნია, ასევე, ალოგიკურია იგი დაუდგინდეს ეკლესიას, რომელიც პრივილეგირებული სტატუსით სარგებლობს და პირიქით, მეტი შეღავათი შეიძლება ჰქონდეს.

¹⁰⁰⁰ კურტანდიე კ., ევროსაბაჭოს საპარლამენტო ასამბლეას რეკომენდაცია: სახელმწიფო, რელიგია, სეკულარობა დაადამიანის უფლებები, ჟურნ. „სოლიდარობა“, №1(34), 2010, 99.

¹⁰⁰¹ Durham W.C. Jr., Religion and the World's Constitutions, in: Law, Religion, Constitution (Freedom of Religion, Equal Treatment, and the Law), Edited by Cr. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari, D. Thayer, 2013, 6.

¹⁰⁰² *Svyato-Mykhayliyska Parafiya v. Ukraine*, [ECtHR], App. no. 77703/01, 14 June 2007, Para.150.

¹⁰⁰³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509¹-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

¹⁰⁰⁴ იბ., Sirico L.J. Jr., Church Property Disputes: Churches as Secular and Alien Institutions, "Fordham Law Review", Vol.55, 1986, 335.

¹⁰⁰⁵ იბ., *Presbyterian Church v. Hull Church*, 393 U.S. 444 n.3 (1969).

¹⁰⁰⁶ გეგეშიძე დ., საქართველოს ისტორიაში ქრისტიანობის ადგილისა და როლის საღვთისმეტყველო კონცეფციის კრიტიკა, თბილისი, 1986, 5.

კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი, თუნდაც დეკლარაციული ნორმატიული შინაარსის სტატუსით, ეწინააღმდეგება თანასწორობის, რელიგიის თავისუფლების, რელიგიური გაერთიანების ავტონომიურობისა და საქმიანობის თავისუფლების პრინციპებს, რის გამოც შეთანხმებიდან ამოსაღებია.

4.4.4. პატრიარქის ხელშეუვალობა

შუა საუკუნეებში სახელმწიფო ეკლესიისა და სასულიერო პირების მიმართ სასამართლო ხელშეუვალობას ადგენდა.¹⁰⁰⁷ ეკლესიის მსახურებს მათ მიმართ წაყენებული ბრალდებებისგან იმუნიტეტი იცავდათ.¹⁰⁰⁸ ეს პრინციპი დიდი ხნის განმავლობაში მოქმედებდა და მისი განმაპირობებელი ფაქტორი თავად მღვდელმსახურთა საკრალური სტატუსი იყო. თუმცა თანდათან იმუნიტეტი და ხელშეუვალობა შესუსტდა, ბოლოს კი სრულიად გაქრა, რაც ადამიანის ძირითადი უფლებების წინა პლანზე წამოწევამ და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპმა განაპირობა.

კონსტიტუციური შეთანხმებით, კათოლიკოს-პატრიარქი ხელშეუვალია.¹⁰⁰⁹ „ხელშეუვალობის“ ლეგალური დეფინიცია ქართულ საკანონმდებლო სივრცეში არ მოიპოვება, შესაბამისად, იგი მისი ყოფითი, სალიტერატურო მნიშვნელობით უნდა განიმარტოს. შესაბამისად, სამართლებრივი ხელშეუვალობა გულისხმობს პირის მიმართ სამართლებრივი, ძირითადად სისხლისსამართლებრივი, პასუხისმგებლობის დადგომის შეუძლებლობას. ხელშეუვალი პირის დაკავება, დაპატიმრება, კანონმდებლობით დადგენილი წესით დასჯა შეუძლებელია. მსგავს სტატუსს საქართველოს კონსტიტუცია ერთადერთ პირს, სახელმწიფოს მეთაურს — პრეზიდენტს ანიჭებს, ისიც თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში.¹⁰¹⁰ სხვაგვარად წარმოუდგენელია, რადგანაც პრეზიდენტს უფლებამოსილებების განხორციელება დაუბრკოლებლად, ყოველგვარი შესაძლო ზენოლისა და ზემოქმედების გარეშე უნდა შეეძლოს. თუმცა მისი ხელშეუვალობა ლიმიტირებულია და საპრეზიდენტო ვადის ამონურვასთან ერთად იხსნება. სხვაგვარად, დაირღვევა კანონის წინაშე თანასწორობის უმთავრესი პრინციპი.

ეკლესიის, როგორც უნივერსალური ორგანიზაციის, იდეა წარმატებული ვერ გამოდგა და საბოლოოდ, იგი სახელმწიფოებრივ დონეზე ეროვნული ეკლესიების სახით დამკვიდრდა.¹⁰¹¹ მსგავსადვე მოხდა ქართულ სინამდვილეში, შესაბამისად, ეკლესიის მეთაური — კათოლიკოს-პატრიარქი, განსაკუთრებული სოციალური სტატუსით სარგებლობს. კონსტიტუციური შეთანხმების შედეგად მას განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსიც დაუმკვიდრდა, თუმცა პრეზიდენტისგან განსხვავებით, რომელიც არჩევითი თანამდებობაა და მთელი რიგი შეზღუდვები უკავშირდება, როგორც წესი, პატრიარქობა სიცოცხლის ვადით მინიჭებული ტიტულია. შესაბამისად, ხელშეუვალობა პატრიარქს გაცილებით მეტი ხნით აქვს გარანტირებული. ამას-

¹⁰⁰⁷ დოლიძე ი., ძველი ქართული სამართალი, თბილისი, 1953, 60.

¹⁰⁰⁸ ვაჩიშვილი ალ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. II, თბილისი, 1948, 50.

¹⁰⁰⁹ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების პირველი მუხლის მე-5 პუნქტი.

¹⁰¹⁰ საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁰¹¹ Cranmer F., National Churches, Territoriality and Mission, “Law & Justice – Christian Law Review”, Vol. 149, 2002, 157, იხ. ციტირება: “The Idea of an National Church”, in The Church and Nation: Charges and Addresses (London, 1901) 214.

თან, გაუგებარია, რა მიზნით უნდა იყოს ხელშეუვალობა ადამიანის მიმართ, რომელიც ეკლესიის მეთაურია და რატომ უშვებს კანონმდებელი იმის ალბათობას, რომ მან შეიძლება დანაშაული ჩაიდინოს, რომლის შემთხვევაშიც მის მიმართ სამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგება. შეთანხმების ტექსტში მსგავსი ჩანაწერის გაკეთების მიზანი კათოლიკოს-პატრიარქის პატივისთვის ხაზგასმა და წინ წამოწევა იყო, თუმცა სინამდვილეში უკუშედეგი დადგა: მის მიმართ სახელმწიფოს სრული იურისდიქცია ვერ განხორციელდება, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი ირღვევა და სხვა ადამიანებთან შედარებით, ზედმატებულ სტატუსს იძენს, რაც არც სახელმწიფოს და არც ეკლესიას ხელს არ უნდა აძლევდეს.

პატრიარქის ხელშეუვალობის შესახებ ნორმა კონსტიტუციური შეთანხმებიდან ამოღებული უნდა იქნეს. კათოლიკოსის განსაკუთრებული სტატუსი საზოგადოებრივი და არა სამართლებრივი მონესრიგების სფეროა, შესაბამისად, სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი დისკრიმინაციული მონესრიგების დამკვიდრებისგან, რომელმაც საზოგადოების კონკრეტულ ჯგუფებზე შესაძლოა განსაკუთრებული ზემოქმედება მოახდინოს.

5. კონსტიტუციური შეთანხმება და ადამიანის ძირითადი უფლებები

ადამიანის ძირითადი უფლებების აქტუალიზაცია და სეკულარული სახელმწიფოს იდეა ევროპული აბსოლუტიზმის დასრულებას, ფრანგული და ამერიკული რევოლუციების გამარჯვებას უკავშირდება.¹⁰¹² ქრისტიანობა პატივს სცემს ადამიანის უფლებებს, ვინაიდან მისთვის თავად ამ უფლებათა მატარებელი სუბიექტი — ადამიანია, მთავარი, იგია სინათლის წყარო.¹⁰¹³ ადამიანის ძირითადი უფლებები მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივა არაა, უფრო მეტიც, სახელმწიფომ მხოლოდ ორი საუკუნის წინააღიარა მათი არსებობა და მბოჭავი ძალა. ეკლესია ძირითად უფლებებს აღიარებს და მათ უშუალოდ ღმერთისგან მომდინარედ მიიჩნევს¹⁰¹⁴.

ადამიანის უფლებების ისტორიული საწყისები ბუნებით სამართალშია, რომელიც ზოგადად ქრისტიანობისთვის ორგანულია, თუმცა მართლმადიდებლობისთვის საკმაოდ უცხოა.¹⁰¹⁵ მისტიციზმის ცენტრალურობა, განჭვრეტადი ცხოვრება და ინდივიდუალიზაციის თითქმის არარსებობა მართლმადიდებლობაში ადამიანის უფლებებისათვის მყარ თეოლოგიურ საფუძვლებს არ იძლევა.¹⁰¹⁶ თუმცა ის ფაქტი, რომ ხანდახან ეკლესია ინდიფერენტულია ადამიანის ძირითადი უფლებების მიმართ, არ ნიშნავს, რომ თავად ქრისტიანობას, წმინდა წერილსაც მსგავსი დამოკიდებულება აქვს.¹⁰¹⁷ ქრისტიანობა არ მოითხოვს მორწმუნისგან ავტორიტეტის ჩამოყალიბებასა და აღიარებას, ღმერთი არ არის ავტორიტეტი, იგი რელიგიური თვალსაზრისით,

¹⁰¹² Pollis A., *Eastern Orthodoxy and Human Rights*, "Human Rights Quarterly", Vol.15, 1993, 346.

¹⁰¹³ ეგნატე IV, *მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა: მონაშობის ორიენტირი*, ჟურნ. „სოლიდარობა“, №3(12)'07, 2007, 32.

¹⁰¹⁴ იხ., სპიკერი მ., *ქრისტიანობა და თავისუფალი კონსტიტუციური სახელმწიფო*, ზ. იაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №5(32), 2009, 83.

¹⁰¹⁵ Pollis A., *Eastern Orthodoxy and Human Rights*, "Human Rights Quarterly", Vol.15, 1993, 343.

¹⁰¹⁶ იქვე, 344.

¹⁰¹⁷ თინიკაშვილი დ., *მაგალითი საეპისკოპოსო მსახურებისა*, ჟურნ. „სოლიდარობა“, №2(29), 2009, 72.

ჭეშმარიტებაა.¹⁰¹⁸ სწორედ ამიტომ ადამიანში ღვთაებრივი ავტორიტეტი არ უნდა არსებობდეს, იგი თავისუფალია¹⁰¹⁹.

კანონმდებლები და რელიგიური რეფორმატორები ყოველთვის განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ ინდივიდების პირად სივრცეში მორალთან და ცოდვასთან დაკავშირებულ საკითხების მონესრიგებას.¹⁰²⁰ სწორედ ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება კონსტიტუციური შეთანხმებითა თუ კანონმდებლობით დადგენილი პრივილეგიების შესაბამისობას ადამიანის ძირითად უფლებებთან. რომელიმე რელიგიური გაერთიანებისადმი პრივილეგიის მინიჭება, თავისი არსით, შეიძლება ძალზე დადებითად იყოს აღქმული საზოგადოების მხრიდან, თუმცა ყოველთვის დგას რისკი და საფრთხე იმისა, რომ საზოგადოების სხვა ნაწილის, უმცირესობის, ინტერესები შეილახება.

5.1. ეკლესია-სახელმწიფოს თანამშრომლობა რელიგიისა და დემოკრატიის თავსებადობის კონტექსტში

რელიგიის თავისუფლება ან სახელმწიფოს მიერ რელიგიასთან არგაიგივების სურვილი ეკლესია-სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობას არ გამორიცხავს.¹⁰²¹ ადამიანის უფლებები და რელიგია კაცობრიობის მანიფესტია რაღაც უკეთესზე, რომელსაც იმედიც შეიძლება ეწოდოს.¹⁰²² ხშირ შემთხვევაში სწორედ რელიგიას შეუძლია აბსოლუტიზმისა და ავტორიტარიზმისგან დაიცვას ადამიანები, ძირითადი უფლებები და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტური პრინციპებიც კი.¹⁰²³ მართლმადიდებლობასა და დემოკრატიას ერთმანეთში კონფლიქტი არ უნდა ჰქონდეთ, რადგან მათ ძალიან ბევრი საერთო პრინციპი აქვთ, რომლითაც ადამიანის ძირითადი უფლებებისა და საზოგადოების სტაბილურობის უზრუნველყოფა ხორციელდება.¹⁰²⁴ ტოკვილის აზრით, ქრისტიანობამ, განსაკუთრებით კი მისმა მორალურმა სტანდარტმა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დემოკრატიის პროცესში¹⁰²⁵.

ადამიანის უფლებების დაცვა არაა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოსა და თუ მისი ორგანოს მოვალეობა, ეს ვალდებულება ნებისმიერ საზოგადოებრივ ჯგუფზე, მათ შორის, რა თქმა უნდა, ეკლესიაზეც ვრცელდება.¹⁰²⁶ სოციალური პასუხისმგებლობა მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი პრინციპია.¹⁰²⁷ „დემოკრატია მხოლოდ ადამიანურ საზოგადოებაშია წარმოქმნილი, ცხოველური

¹⁰¹⁸ დეკანოზი ალექსანდრე (შმენანი), ავტორიტეტი და თავისუფლება ეკლესიაში, ნ. დობორ-ჯგინიძის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №1(22), 2008, 87.

¹⁰¹⁹ იქვე, 86.

¹⁰²⁰ Turner B.S., *The Religious and the Political, A Comparative Sociology of Religion*, New York, 2013, 251.

¹⁰²¹ ბილფელდტი ჰ., რელიგიის თავისუფლება: საბოლოო კრიტერიუმი?, ვ. კობახიძის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №10(19)'07, 2007, 335.

¹⁰²² Nathan C.N., *The Changing Face of Religion and Human Rights, A Personal Reflection*, Leiden-Boston, 2013, 181.

¹⁰²³ იხ., დეკანოზი ემანუელი (კლაპსისი), მართლმადიდებელი ეკლესია პლურალისტულ სამყაროში, დ. თინიკაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №1(28), 2009, 83.

¹⁰²⁴ იხ., Anckar C., *Religion and Democracy, A Worldwide Comparison*, Abingdon, 2011, 44.

¹⁰²⁵ იქვე, 35.

¹⁰²⁶ არქიეპისკოპოსი ანასტასიოსი (იანულატოსი), ადამიანის ფუნდამენტური უფლებების მათლმადიდებლური ხედვა, დ. თინიკაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №4(37), 2010, 81.

¹⁰²⁷ Doe N., *Christian Law, Contemporary Principles*, New York, 2013, 369.

სამყაროსთვის ის უცნობია. იგი გამომდინარეობს პიროვნების, როგორც უზენაესი ფასეულობის შეგნებიდან, რომელიც ამოზრდილია რელიგიური პერსონალიზმის ნი-
ადაგიდან, მისწრაფებიდან, რომლის მიზანია საზოგადოებისთვის რაციონალური
სტრუქტურის მიცემა.¹⁰²⁸

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიას ხშირად აკრიტიკებენ ადამიანის უფლებებ-
ისადმი დამოკიდებულების გამო, შეიძლება ითქვას, რომ ძირითად უფლებებს
მართლმადიდებელი ეკლესია კაცობრიობისა და ადამიანის განუყოფელ ფასეულო-
ბად აცხადებს, განსაკუთრებით სოციალურ უფლებებს, რომლებიც ხშირად ეკლესიის
წარმომადგენელთა და სახელმწიფოს თანამდებობის პირთა ურთიერთობის მთავარი
თემა ხდება.¹⁰²⁹ რელიგია მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა მხოლოდ კონსტიტუ-
ციის შემუშავებისა და მიღების, არამედ მისი ცვლილების დროსაც, — აშშ-ის მონობის
წინააღმდეგ კამპანიასა და XX საუკუნის სამოქალაქო უფლებათა მოძრაობის პერი-
ოდში რელიგიურ მოსაზრებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭათ¹⁰³⁰.

კონსტიტუციური შეთანხმების დადება კონკრეტულად ერთ რელიგიურ გაერ-
თიანებასთან სახელმწიფოს მხრიდან უფლებამოსილების მიკერძოებულად განხორ-
ციელებას არ გულისხმობს. სახელმწიფო უფლებამოსილია დადოს ისეთი შეთანხ-
მებები, რომლებიც ერთ რელიგიურ გაერთიანებას სხვებთან მიმართებით უპირატეს
მდგომარეობაში ჩააყენებს.¹⁰³¹ თუმცა ეს უნდა იყოს სხვადასხვა ობიექტური
ფაქტორით განპირობებული, როგორცაა: ისტორიული გამოცდილება, კულტურული
ინტეგრაცია, საზოგადოებრივი დამოკიდებულება და ა.შ. ამ შემთხვევაში საქართვე-
ლოს სახელმწიფოს ჰქონდა უფლებამოსილება, როგორც საკონსტიტუციოსა-
მართლებრივი, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით, დაედო კონ-
სტიტუციური შეთანხმება და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის
გარკვეული პრივილეგიები მიენიჭებინა. ამის საფუძველი კი საკონსტიტუციო
დონეზეა ხაზგასმული და უზრუნველყოფილი: საქართველოს სამოციქულო ავტოკე-
ფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი საქართველოს ის-
ტორიაში;¹⁰³² მისი ღვანლი ქართული კულტურის, ეროვნული მსოფლმხედველობისა
და ფასეულობების ჩამოყალიბებაში;¹⁰³³ მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მიერ
მართლმადიდებლობის აღმსარებლობა.¹⁰³⁴ საქართველოში განსხვავებული რელიგი-
ური და მორალური შეხედულებების სოციალური ჯგუფებია, რაც საუკუნეების
განმავლობაში დამკვიდრებული და მიღებული სინამდვილეა, შესაბამისად, მიუხედა-
ვად მოსახლეობის უმრავლესობის რელიგიური კუთვნილებისა, კონსტიტუციური
შეთანხმება განხილული უნდა იყოს რელიგიურ-ეთიკური პლურალიზმის ქრილში,

¹⁰²⁸ მენი ა., რელიგია, „პიროვნების კულტი“ და სეკულარული სახელმწიფო, დ. თინიკაშვილის თარგ-
მანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №6(39), 2010, 78.

¹⁰²⁹ McGuckin J.A., *The Issue of Human Rights in Byzantium and the Orthodox Christian Tradition*, in: *Christi-
anity and Human Rights, An Introduction*, Edited by J.Witte Jr. and F.S. Alexander, New York, 2010, 186.

¹⁰³⁰ Durham W.C. Jr., *Religion and the World's Constitutions*, in: *Law, Religion, Constitution (Freedom of Reli-
gion, Equal Treatment, and the Law)*, Edited by Cr. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari, D. Thayer, 2013, 15.

¹⁰³¹ იბ., *Iglesia Bautista 'El Salvador' and Jose Aquilino Ortega Maratilla v. Spain*, [ECHR], App. no. 17522/90,
11 January 1992.

¹⁰³² საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁰³³ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმ-
ადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების პრეამბულა, მე-3 აბზაცი.

¹⁰³⁴ იქვე, მე-4 აბზაცი.

რომელიც რელიგიურ-მორალური სტანდარტების მრავალგვარობას გულისხმობს¹⁰³⁵. კონსტიტუციური შეთანხმება, როგორც სამართლებრივი აქტი, თავისი არსითა და ფორმალურსამართლებრივი კუთხით (დადების შესაძლებლობით) სრულად შეესაბამება ადამიანის ძირითადი უფლებების ევროპულ გაგებასა და დოქტრინას.

5.2. თანასწორობა

პლურალისტურ დემოკრატიადა და ქრისტიანობას გაცილებით მეტი საერთო აქვთ, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს: სხვათა პატივისცემა და თავისუფლება, რომელიც დემოკრატია ქვაკუთხედაა, ჯერ კიდევ ქრისტესეული ღმერთისა და კეისრის ურთიერთმიმართებიდან მოდის.¹⁰³⁶ ქრისტიანული მრწამსი იძლევა შესაძლებლობას, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს თავისუფლებასა და თანასწორობაზე, რაც მართლმადიდებლობასა და დემოკრატია სრულიად თავსებადს ხდის.¹⁰³⁷ ყველა ადამიანს თანაბარი უფლებები აქვს და სახელმწიფომ ადამიანთა უფლებების განხორციელებას ხელი უნდა შეუწყოს.¹⁰³⁸ შესაბამისად, სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს თითოეული ადამიანისათვის შესაძლებლობათა თანაბრობა და ამასთან, თავი შეიკავოს დისკრიმინაციული მოწესრიგების დადგენისგან. სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას რელიგიურ გაერთიანებებს შორის დისკრიმინაცია და არც თავად შეუწყოს ხელი ისეთ ღონისძიებას, რომლითაც რომელიმე რელიგიის დისკრიმინაცია მოხდება.¹⁰³⁹ ამასთან, მან არათუ ხელი უნდა შეუშალოს რელიგიურ გაერთიანებებს, არამედ მათი საქმიანობის განსახორციელებლად შესაბამისი გარემო უნდა უზრუნველყოს¹⁰⁴⁰. სახელმწიფოს მიერ რელიგიური თანასწორობის პრინციპის დამკვიდრება ხელს უწყობს კერძო სფეროში რელიგიური მრავალფეროვნების დაცვასა და განვითარებას.¹⁰⁴¹

ადამიანის უფლებათა სამართალი გმობს რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას, კონკრეტული რელიგიის წარმომადგენელთათვის პოლიტიკური პრივილეგიებისა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ექსკლუზივის მინიჭებას.¹⁰⁴² თუმცა, იმავდროულად, არ არის მართებული აზრი, რომ მართლმადიდებელი ეკლესიისათვის დადგენილი შეღავათები ევროკონვენციის მე-14 მუხლის დარღვევაა და სხვა რელიგიური გაერთიანებების მიმართ ავტომატურად დისკრიმინაციულია.¹⁰⁴³ თანასწორობა ყველას ერთ კატეგორიაში მოქცევას არ გულისხმობს, უფრო მეტიც, თანასწორობის პრაქტიკული დამკვიდრებისას სახელმწიფოს შეუძლია განსხვავებული გარემოებებისა და ვითარებების შესაბამისად იმოქმედოს, კონკრეტულ შემთხვევაზე

¹⁰³⁵ Jensen D., *Classifying Church-State Arrangements, Beyond Religious Versus Secular*, in: *Law and Religion in Public Life, The Contemporary Debate*, Edited by N. Hosen and R. Mohr, Abingdon, 2011, 21.

¹⁰³⁶ ეგნატე IV, *მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა: მონობის ორიენტირი*, ჟურნ. „სოლიდარობა“, №3(12)07, 2007, 29-30.

¹⁰³⁷ პროდმოუ ე., *ამბივალენტური მართლმადიდებლობა*, ჟურნ. „სოლიდარობა“, №1(22), 2008, 74.

¹⁰³⁸ Doe N., *Christian Law, Contemporary Principles*, New York, 2013, 368.

¹⁰³⁹ Sentence 24/1982 of the Constitutional Court of Spain, 13 May 1982.

¹⁰⁴⁰ ბონაშვილი ბ., *რელიგიის თავისუფლება*, ჟურნ. „სოლიდარობა“, №1(22), 2008, 66.

¹⁰⁴¹ Conkle D.O., *Different Religions, Different Politics: Evaluating the Role of Competing Religious Traditions in American Politics and Law*, *Journal of Law and Religion*, Vol.10, No.1, 1994, 2.

¹⁰⁴² Temperman J., *State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance*, Leiden-Boston, 2010, 313.

¹⁰⁴³ კორკელია კ., *ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში*, თბილისი, 2004, 89.

კონკრეტული სამართლებრივი მოწესრიგება დაადგინოს.¹⁰⁴⁴ რელიგიური საკითხები სპეციფიკურობით გამოირჩევა, რის გამოც ბევრ სახელმწიფოში მათთან დაკავშირებით განსაკუთრებული დამოკიდებულება და მოწესრიგებაა¹⁰⁴⁵. რელიგიურ ორგანიზაციებთან მიმართებით თანასწორობა ყოველთვის „შედარებით თანასწორობას“ გულისხმობს, ვინაიდან ისინი იმდენად განსხვავებულები არიან, რომ არსებითად თანასწორები ძნელად თუ იქნებიან.¹⁰⁴⁶ მთავარია, სახელმწიფო პრინციპულად არ ერეოდეს, არც უპირატესობას ანიჭებდეს და არც დისკრიმინაციას ახორციელებდეს სუბიექტთა მიერ აღმსარებლობის თავისუფლების განხორციელებისას, იგი ნეიტრალურ პოლიტიკას უნდა ატარებდეს.¹⁰⁴⁷

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შესულია რელიგიური გაერთიანებების სარჩელი, რომელიც მართლმადიდებელი ეკლესიისათვის კონსტიტუციური შეთანხმებით დადგენილ საგადასახადო შეღავათებს ეხება.¹⁰⁴⁸ შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციური შეთანხმებით დადგენილი პრივილეგიები და უპირატესობები სხვებთან მიმართებით, არ არღვევს თანასწორობის ძირითად უფლებას. ამ შემთხვევაში ესაა შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, რომელთა დაცვა და განხორციელებაც სახელმწიფოს ევალება. საგადასახადო კოდექსში ასახული დებულებები პირდაპირ გამომდინარეობს და ეფუძნება მასზე ზემდგომ აქტს — კონსტიტუციურ შეთანხმებას, შესაბამისად, ამ შემთხვევაში დავის საგანი არა მხოლოდ საგადასახადო კოდექსის ნორმები, არამედ თავად ამ უკანასკნელთა საფუძველი დებულებები უნდა იყოს. სხვა რელიგიური გაერთიანებებისათვის მსგავსი შეღავათების დაწესება სახელმწიფოს მხრიდან დისკრეციაა და არ შეიძლება ვინმემ ან რაიმემ, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლომ დაავალდებულოს იგი, განახორციელოს მსგავსი შინაარსის ღონისძიებები. სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი შეღავათის დადგენა უნდა მოხდეს იმ სისტემის მიხედვით, რომელსაც იგი რელიგიურ გაერთიანებებთან მიმართების მხრივ აღიარებს. რა თქმა უნდა, სასურველია, სახელმწიფომ ნებისმიერ რელიგიურ გაერთიანებას დაუდგინოს საგადასახადო შეღავათები და ამით პოზიტიური ვალდებულება იკისროს, თუმცა ეს არ უნდა მოხდეს სასამართლოს გადანყვეტილებით, ნეგატიური კანონმდებლის ფუნქციის განხორციელების გზით.

¹⁰⁴⁴ Sentence 34/1981 of the Constitutional Court of Spain, 10 November 1981.

¹⁰⁴⁵ მაგ., ნორვეგიაში რელიგიურ გაერთიანებებზე არ ვრცელდება გენდერული თანასწორობისა და ანტიდისკრიმინაციული აქტები. ამის მიზეზი ისაა, რომ კონკრეტული რელიგია შესაძლოა სრულიად განსხვავებულ იდეალებს იზიარებდეს, მათ შორის გენდერულ საკითხებში. იხ., Årsheim H., *Legal Secularism? – Differing Notions of Religion in International and Norwegian Law*, in: *Secular and Sacred? The Scandinavian Model of Religion in Human Rights, Law and Public Space*, Edited by R. Van Der Breemen, J. Casanova and T. Wyller, Vandenhoeck & Ruprecht, 2014, 136.

¹⁰⁴⁶ იხ., Črnič A., Lesjak G., *Religious Freedom and Control in Independent Slovenia*, *Sociology of Religion*, Vol.64, No.3, 2003, 362.

¹⁰⁴⁷ იხ., Tulkens F., *The European Convention of Human Rights and Church-State Relations: Pluralism vs. Pluralism*, *Cardozo Law Review*, Vol.30, No.6, 2009, 2582; Ladeur K.H., Augsberg I., *The Myth of the Neutral State: The Relationship Between State and Religion in the Face of New Challenges*, *German Law Review*, Vol.8, 2007, 143-144.

¹⁰⁴⁸ <<http://constcourt.ge/ge/news/2015-wlis-9-oqtomers-saqartvelos-sakonstitucio-sasamartloshi-shemovidasarcheli.page>> [10.11.2015]

5.3. რელიგიის თავისუფლება

ადამიანის უფლებათა ჰერმენევტიკა ნათლად წარმოაჩენს ქრისტიანობასა და ადამიანის ძირითად უფლებებს შორის კავშირს.¹⁰⁴⁹ დემოკრატია და რელიგია არათუ შეუთავსებლები, არამედ ერთმანეთის შემავსებლები არიან: დემოკრატია ქმნის რელიგიის თავისუფლებისათვის ყველაზე ხელსაყრელ გარემოს რელიგიური პლურალიზმის უზრუნველყოფის საშუალებით,¹⁰⁵⁰ მთავარია მმართველობა და რელიგია ერთმანეთში არ აირიოს, არ მოხდეს ურთიერთგადაფარვა.¹⁰⁵¹ მორალურ-ეთიკური ვალდებულებებითა და მოვლენების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულებით რელიგია დემოკრატიის მნიშვნელოვანი დამხმარე შეიძლება იყოს¹⁰⁵².

ადამიანის თავისუფალ ნებასა და რელიგიის თავისუფლებაზე ჯერ კიდევ ეკლესიის მამები — ტერტულიანე, ათანასე და ლაქტანციუსი საუბრობდნენ.¹⁰⁵³ უფრო მეტიც, მართლმადიდებლურ თეოლოგიაში აღიარებულია, რომ მორწმუნის მორალურ ვალდებულებათა უმრავლესობა სწორედ ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას უზრუნველყოფს.¹⁰⁵⁴ ეკლესიათა მსოფლიო საბჭომ ჯერ 1948 და შემდეგ 1961 წელს დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-18 მუხლი ქრისტიანულ თავისუფლებასთან სრულ შესაბამისობაში იყო¹⁰⁵⁵.

რელიგიის თავისუფლების პრინციპებმა დიდწილად განაპირობეს შუა საუკუნეობრივი შეხედულებების დაძლევა და თანამედროვე ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების გაგება.¹⁰⁵⁶ რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი საფუძველია.¹⁰⁵⁷ ამ უკანასკნელისთვის კი პლურალიზმია განუყოფელი ნაწილი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა.¹⁰⁵⁸ რელიგიის თავისუფლება უშუალოდ ეფუძნება პიროვნების ღირსებას, ღირსების ძირითად უფლებას¹⁰⁵⁹, იგი თანამედროვეობის განუყოფელი ნაწილია, რომელიც თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი აუცილებელი მახასიათებელია.¹⁰⁶⁰

¹⁰⁴⁹ Witte J.Jr., Law, Religion and Human Rights, “Colombia Human Rights Law Review”, Vol.28, 1996, 16.

¹⁰⁵⁰ Religion and Democracy, Recommendation 1396 (1999), Parliamentary Assembly of Council of Europe, Para.5.

¹⁰⁵¹ State, Religion, Secularity and Human Rights, Recommendation 1804 (2007), Parliamentary Assembly of Council of Europe, Para.10.

¹⁰⁵² Religion and Democracy, Recommendation 1396 (1999), Parliamentary Assembly of Council of Europe, Para.5.

¹⁰⁵³ ნარინდოშვილი მ., გოგელია ვ., ჯუღაყიძე თ., ჯაში ზ., გლურჯიძე ე., რელიგიის თავისუფლება, თბილისი, 2004, 47; Witte J.Jr., Law, Religion and Human Rights, “Colombia Human Rights Law Review”, Vol.28, 1996, 25, იხ. ციტირება: Migne, Patrologia latina, 6:516.54.

¹⁰⁵⁴ Witte J.Jr., Law, Religion and Human Rights, “Colombia Human Rights Law Review”, Vol.28, 1996, 26.

¹⁰⁵⁵ Minnerath R., Church Autonomy in Europe, in: Church Autonomy, A Comparative Survey, Edited by G. Robbers, Frankfurt am Main, 2001, 382.

¹⁰⁵⁶ Radan P., International Law and Religion, Article 18 of the International Covenant of Civil and Political Rights, in: Law and Religion, God, the State and the Common Law, Edited by P. Radan, D. Meyerson and R. F. Croucher, Abingdon, 2005, 11.

¹⁰⁵⁷ იხ., *Metropolitan Church of Bessarabia v. Moldova*, [ECtHR], App. No. 45701/99, 13 December 2001, Para. 114.

¹⁰⁵⁸ იხ., *Kokkinakis v. Greece*, [ECtHR], App. No. 14307/88, 25 May 1993, Para.31.

¹⁰⁵⁹ კოკია ლ., რელიგიის შესახებ კანონის მიღება უნდა დაჩქარდეს, ჟურნ. „სამართალი“, №10-12, 2004, 7.

¹⁰⁶⁰ იხ., Thomas G.M., Religions in Global Civil Society, *Sociology of Religion*, Vol.62, No.4, 2001, 520.

ევროკონვენციის მე-9 მუხლით უზრუნველყოფილი რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი საფუძველია, რომელიც, იმავდროულად, მონრმუნეთა იდენტობისა და მათი ცხოვრებისეული გაგების სასიცოცხლო ელემენტია.¹⁰⁶¹ რელიგიის თავისუფლება არ არსებობს, თუ მოქალაქეს არა აქვს თავისუფლება, არ მიეკუთვნებოდეს რომელიმე რელიგიას.¹⁰⁶² რელიგიის თავისუფლება სხვადასხვა მიმართულებითაა დავინროებული და განვითარებული. ხშირ შემთხვევაში მისი შინაარსი იმდენად ემყარება ნების ავტონომიას, რომ ადამიანის ძირითადი უფლებების გაგების საჯაროსამართლებრივ მხარეს სცდება.¹⁰⁶³ რელიგიის თავისუფლება აბსოლუტური არაა და მისი შეზღუდვა რაციონალური საფუძველითაა შესაძლებელი.¹⁰⁶⁴ იგი მაშინ იზღუდება, როცა სახელმწიფო არ უტოვებს პირს ალტერნატივას, იმოქმედოს საკუთარი რელიგიური შეხედულებების შესაბამისად.¹⁰⁶⁵ მისი შეზღუდვის ერთადერთი ლეგიტიმური საფუძველი სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზანი შეიძლება იყოს.¹⁰⁶⁶

სახელმწიფოს ძალიან ფართო ვალდებულებები ეკისრება რელიგიის თავისუფლების დაცვისა და უზრუნველყოფის სფეროში,¹⁰⁶⁷ გაცილებით ფართო, ვიდრე ძალიან ბევრ ძირითად უფლებასთან მიმართებით.¹⁰⁶⁸ მან აქტიური როლი უნდა ითა-

¹⁰⁶¹ The Religious Dimension of Intercultural Dialogue, Recommendation 1962 (2011), Parliamentary Assembly of the Council of Europe, Para.3.

¹⁰⁶² *Segev v. Rabbinical Court*, High Court of Justice of Israel, 130/66.

¹⁰⁶³ მაგ., ევროსასამართლო აღიარებს რელიგიურ გაერთიანებების თავისუფლებას თავადვე განსაზღვრონ მათი დასაქმებულებისთვის დამატებითი რელიგიური პირობები. იხ., *Seibenhaar v. Germany*, [ECtHR], App. No. 18136/02, 3 February 2011. ქალბატონი ზაიბენჰაარი (Ms. Seibenhaar) მუშაობდა პროტესტანტულ საბავშვო ბაღში. იგი იყო კათოლიკე. შრომითი ხელშეკრულების თანახმად, მას ეკრძალებოდა ისეთი გაერთიანების წევრობა, რომლის შეხედულებებიც ან საქმიანობაც ეწინააღმდეგებოდა ეკლესიის მსოფლმხედველობას. ზაიბენჰაარის კათოლიკობა პრობლემას არ ქმნიდა, თუმცა მან შეიცვალა აღმსარებლობა და გახდა „უნივერსალური ეკლესიის“ („კაცობრიობის სამოს“) წევრი და ასწავლის ამ გაერთიანებაში. ამ ფაქტის გამო იგი პროტესტანტული ბაღიდან დაითხოვეს. ევროსასამართლომ არ ცნო რელიგიის თავისუფლების (ევროკონვენციის მე-9 მუხლის) დარღვევა; ასევე, დარღვევად არ განიხილავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც დასაქმებული თანხმდება სამუშაოს დამსაქმებლის სპეციალური პირობით რწმენისა და აღმსარებლობის თაობაზე. იხ., Sir Bratza N., The “Precious Asset”: Freedom of Religion Under the European Convention on Human Rights, in: Religion and Discrimination Law in the European Union, Edited by M. Hill QC, Trier, 2012, 14.

¹⁰⁶⁴ Berger B., The Limits of Belief: Freedom of Religion, Secularism and the Liberal State, Canadian Journal of Law and Society, Vol.17, No.1, 2002, 57-58; *R.B. v. Children’s Aid Society of Metropolitan Toronto*, [1995] 1 S.C.R. 315 at par. 107.

¹⁰⁶⁵ Morini C., Secularism and Freedom of Religion: The Approach of the European Court of Human Rights, Israel Law Review, Vol. 43, 2010, 625.

¹⁰⁶⁶ Berger B., The Limits of Belief: Freedom of Religion, Secularism and the Liberal State, Canadian Journal of Law and Society, Vol.17, No.1, 2002, 55; იხ., *Trinity Western University v. British Columbia College of Teachers*, [2001] 1 S.C.R. 772 at par. 29; *P.(D) v. S.(C)*, [1993] 4 S.C.R. 141 at 182; Langlaude S., Introduction: Secularism, Religious Liberty, and the ECHR, International and Comparative Law Quarterly, Vol. 55, October 2006, 932; *R (on the application of Begum (Shabina) v. Denbigh High School Governors*, [2006] 2 WLR 719 (22 Mar. 2006), paras. 58 and 94.

¹⁰⁶⁷ *Cha’are Shalom Ve Tsedek v. France*, [ECtHR] App. No. 27417/95, 27 June 2000.

¹⁰⁶⁸ Langlaude S., Introduction: Secularism, Religious Liberty, and the ECHR, International and Comparative Law Quarterly, Vol. 55, October 2006, 929.

მამოს იმ შემთხვევაში, თუ რელიგიური პრინციპების განხორციელება იწვევს ან შესაძლოა გამოიწვიოს ადამიანის უფლებების დარღვევა.¹⁰⁶⁹ აღმსარებლობის შესახებ ინფორმაცია პირის ძალზე პირად სფეროს განეკუთვნება და სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი მასში ჩარევისგან¹⁰⁷⁰.

სახელმწიფოს მიერ კონკრეტული რელიგიისადმი ოფიციალურად განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება, თუ აღნიშნული სხვათა დისკრიმინაციის ხარჯზე არ ხდება, რელიგიის თავისუფლებას არ ეწინააღმდეგება.¹⁰⁷¹ დომინანტი ან პრივილეგირებული რელიგიის სტატუსი არ უნდა გულისხმობდეს იმას, რომ სხვა რელიგიათა პრაქტიკა, რელიგიის თავისუფლება იზღუდებოდეს მის ხარჯზე ან უფრო მეტიც, დამოკიდებული იყოს მის თანხმობაზე (ნებართვაზე)¹⁰⁷².

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის კონსტიტუციური შეთანხმების დადება არ გამორიცხავს სხვა რელიგიური ორგანიზაციების არსებობას, მათი საქმიანობის რაიმე ფორმით შეზღუდვას ან აკრძალვას.¹⁰⁷³ საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება მიზნად არ ისახავს ვინმეს რელიგიური თავისუფლების შეზღუდვას, ან რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების რეალიზებისათვის რაიმე სტანდარტების შექმნას. მისი მიზანია, მოაწესრიგოს კონკრეტულ რელიგიურ ორგანიზაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები. უფრო მეტიც, კონსტიტუციური შეთანხმება თავად კონტრაჰენტის, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის, მოქმედების თავისუფლებას, გარკვეულწილად, ზღუდავს კიდევც.

¹⁰⁶⁹ State, Religion, Secularity and Human Rights, Recommendation 1804 (2007), Parliamentary Assembly of Council of Europe, Para.17.

¹⁰⁷⁰ იხ., *Sinan Işık v. Turkey*, [ECtHR], App. no. 21924/05, 2 February, 2010; Sir Bratza N., The “Precious Asset”: Freedom of Religion Under the European Convention on Human Rights, in: *Religion and Discrimination Law in the European Union*, Edited by M. Hill QC, Trier, 2012, 13.

¹⁰⁷¹ *Darby v. Sweden*, [ECtHR], App. no. 11581/85, 23 October 1990, Para. 37; Edge P.W., Religion and Law, An Introduction, Ashgate, 2006, 96. სკალიას აზრით, რელიგიის თავისუფლება სულაც არ გულისხმობს სახელმწიფოს მიმართ აკრძალვას, რომ მას შეეზღუდოს თავისუფლება — რელიგიურობა ამჯობინოს არარელიგიურობას. *McCreary County v. American Civil Liberties Union*, 545 U.S. 893 (2005) (Scalia, J., dissenting).

¹⁰⁷² იხ., *Manoussakis v. Greece*, [ECtHR], App. no. 18748/91, 26 September 1996.

¹⁰⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 22 ნოემბრის №2/18/206 განჩინება საქმეზე, „მოქალაქე ზურაბ აროშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

V. კონსტიტუციური შეთანხმების აღსრულება საქართველოში

1. კონსტიტუციური შეთანხმების აღსრულების მდგომარეობა

კონსტიტუციური შეთანხმება 2002 წელს დაიდო და ბევრ ისეთ ნორმას მოიცავს, რომელიც თვითაღსრულებადი არაა, მას შესაბამისი აქტების მიღება და პრაქტიკული განხორციელება სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმებით გათვალისწინებული დებულებების აღსრულების მიზნით მთელი რიგი ნორმატიული აქტების მიღება ივარაუდებოდა, რაიმე შინაარსობრივი და პრაქტიკული ღონისძიება არ გატარებულა.¹⁰⁷⁴ ჯერ კიდევ 2003 წელს პრეზიდენტმა 5 სპეციალური კომისია შექმნა: 1. ჯვრისწერის სახელმწიფო აღიარებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების მომზადების კომისია; 2. სამხედრო-საჯარისო ფორმირებებში, საპატიმროებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოძღვრის (კაპელანის) ინსტიტუტის შექმნის კომისია; 3. საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებელი სარწმუნოების შესახებ საგნის სწავლების საკითხთა სამთავრობო კომისია; 4. კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სამართლებრივი და ქონებრივი ურთიერთობების მონესრიგების ღონისძიებათა სამთავრობო კომისია; 5. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში ეკლესიისათვის მატერიალური ზიანის ნაწილობრივი კომპენსაციის საკითხების შემსწავლელი სამთავრობო კომისია.¹⁰⁷⁵ კომისიებს დაევალებათ 2 თვის ვადაში სამუშაო დებულებების შემუშავება და დასამტკიცებლად პრეზიდენტისთვის წარდგენა.¹⁰⁷⁶ სამწუხაროდ, არათუ დებულებები არ დამტკიცებულა და კონსტიტუციური შეთანხმების აღსრულებისთვის კონკრეტული ნაბიჯები არ გადადგმულა, არამედ კომისიები ოფიციალურად არც შეკრებილან¹⁰⁷⁷.

2012 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება გაუქმდა და სპეციალური სამთავრობო კომისიის შექმნა საქართველოს მთავრობას დაევალა.¹⁰⁷⁸ იმავე დღეს მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომლითაც სპეციალური სამთავრობო კომისია შექმნა.¹⁰⁷⁹ დადგენილებით, ასევე, გაუქმდა საქართველოს მთავრობასა და საქართველოს საპატრიარქოს შორის ქონებრივი საკითხების განმხილველი სამთავრობო კომისია და მისი კომპეტენციის განხორციელების უფლებამოსილება ახალ სამთავრობო კომისიას გადაეცა.¹⁰⁸⁰ საბოლოო ჯამში, კომისიის ფარგლებში დადგინდა რამდენიმე სამუშაო ჯგუფი: 1. ქონებრივი საკითხების განმხილველი და ეკლესიის ეკონომიკური

¹⁰⁷⁴ იხ., ხეცურიანი ჯ., სახელმწიფო და ეკლესია, ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2013, 54-55.

¹⁰⁷⁵ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 7 იანვრის №1 ბრძანებულება „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა უზრუნველმყოფ კომისიათა შექმნის შესახებ“, პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები.

¹⁰⁷⁶ იქვე, მე-6 პუნქტი.

¹⁰⁷⁷ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2015 წლის 17 აგვისტოს წერილი №8289.

¹⁰⁷⁸ იხ., საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 21 თებერვლის №125 ბრძანებულება „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა უზრუნველმყოფ კომისიათა შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 7 იანვრის №1 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“.

¹⁰⁷⁹ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის №63 დადგენილება „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების განმხილველი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“.

¹⁰⁸⁰ იქვე.

საქმიანობისათვის შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შემქმნელი სამუშაო ჯგუფი; 2. XIX და XX სს-ში (საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში) ეკლესიისათვის მიყენებული ზარალის დამდგენი სამუშაო ჯგუფი; 3. სახელმწიფო მუზეუმებში დაცული საეკლესიო საგანძურის და ისტორიული მნიშვნელობის ტაძრების მოვლა-პატრონობის რეჟიმის დამდგენი სამუშაო ჯგუფი; 4. კანონით დადგენილი წესით ჯვრისწერის აღიარების განმსაზღვრელი სამუშაო ჯგუფი; 5. სამხედრო-საჯარისო ფორმირებებში, საპატიმროებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოძღვრის ინსტიტუტის განმსაზღვრელი სამუშაო ჯგუფი; 6. განათლების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის განსაზღვრელი სამუშაო ჯგუფი; 7. საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს საპატრიარქოს სამართლებრივი სტატუსის და იქ არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების მოვლა-პატრონობისა და საკუთრების განმსაზღვრელი სამუშაო ჯგუფი; 8. რელიგიური დანიშნულების ნაგებობათა წარმომავლობის დამდგენი სამუშაო ჯგუფი.¹⁰⁸¹ სამწუხაროდ, სამთავრობო კომისიისა და მისი სამუშაო ჯგუფების მუშაობის დამადასტურებელი არცერთი ოფიციალური დოკუმენტი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში არ მოიპოვება¹⁰⁸².

კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე დღემდე მხოლოდ რამდენიმე შეთანხმებაა დადებული, რომელთა უმრავლესობა დეკლარაციული ხასიათისაა.¹⁰⁸³ კონსტიტუციური შეთანხმების შინაარსიდან გამომდინარე კი, ძალიან ბევრი დებულებაა, რომლებსაც ამოქმედება ესაჭიროება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ აღსრულდება. მართალია, რამდენიმე მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები მართებული გამოდგა, თუმცა საერთო სურათი არ შეცვლილა: კონსტიტუციური შეთანხმება უფრო სურვილების კრებულად რჩება, ვიდრე პრაქტიკაში მოქმედ, სამართლებრივი ძალით კი ერთ-ერთ უმაღლეს აქტად. მისი აღსრულების მიზნით მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებებია აუცილებელი, რასაც აღმასრულებელთა კვალიფიკაცია და დასახული მიზნის მისაღწევად ევოლუციური განვითარება უნდა სდევდეს თან.

2. ჯვრისწერის აღიარება ქართულ სამართლებრივ სივრცეში

2.1. საოჯახო ურთიერთობების სამართლებრივი მონესრიგება და რელიგია

სამართლის განვითარების მრავალ ათასწლოვან ისტორიაში რამდენიმე ისეთი ინსტიტუტი გამოირჩევა, რომელიც დროისა თუ ეპოქის მიუხედავად, ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო, რასაც თავად ამ ინსტიტუტის ყოფითი მნიშ-

¹⁰⁸¹ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 18 აპრილის №82 დადგენილება „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების განმხილველი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის №63 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

¹⁰⁸² საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2015 წლის 7 აგვისტოს წერილი №599983.

¹⁰⁸³ იხ. მაგ., საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობლივი კომისიის ურთიერთგაგების მემორანდუმი, 2005 წლის 22 იანვარი; საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ხელშეკრულება, 2001 წლის 20 აპრილი; შეთანხმება საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შორის პრობაციონერთა და არაპატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის სფეროში, 2006 წლის 1 მარტი.

ვნელობა განაპირობებდა. ყველაზე აპრობირებული და გამოყენებადი სამართლებრივი წარმონაქმნები ადამიანთა თანაარსებობის, ცხოვრების გაუმჯობესებული პირობების უზრუნველყოფისა და პიროვნების სულიერი წყურვილის დასაურვებლად იქმნება.

კაცობრიობის შეგნებული არსებობის ისტორიიდან ერთ-ერთი უძველესი და უმთავრესი საზოგადოებრივი ინსტიტუტი ოჯახია, სადაც ადამიანის აღზრდა და პიროვნებად ჩამოყალიბება ხდება, ოჯახი საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ, ბიოლოგიურ თუ ზნეობრივ ურთიერთობებს აერთიანებს.¹⁰⁸⁴ როგორც წესი, ოჯახისა და ზოგადად, საოჯახო სამართლის განვითარების დონე შესაბამისი საზოგადოების განვითარების დონის პირდაპირპოპორციულია.¹⁰⁸⁵ სწორედ ოჯახი და საოჯახო ურთიერთობები აგრძნობინებს თანამედროვე ადამიანს, რომ იგი *Homo Sapiens*-თან ერთად *Homo Moralis*-ის კატეგორიასაც მიეკუთვნება. ნებისმიერი ოჯახის შექმნისათვის საკვანძო მომენტი ქორწინებაა, რომელიც ყოველთვის განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა საღვთისმეტყველო, სამართლებრივ თუ საზოგადოებრივ მეცნიერებებში. ქორწინებით იწყება ოჯახი და იგია მისი გაფართოების, ოჯახების შერწყმის, ნათესაობის ახალი ხაზების ჩამოყალიბების საფუძველი. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ თითქმის ყველა რელიგია ოჯახისა და ქორწინების ღირებულებებს საკრალურად მიიჩნევს.¹⁰⁸⁶ განსაკუთრებული ინტერესების გამო რელიგიამ საოჯახო სამართლის შექმნასა და ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.¹⁰⁸⁷ თუკი სხვა რელიგიები მას სინმინდედ მიიჩნევდნენ, ქრისტიანობამ სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა, კანონიკური სამართლის ამოსავალ ინსტიტუტად აღიარა, რის გამოც დღესდღეობით იგი ერთ-ერთი ყველაზე მეტად დამუშავებული და განხილული მოვლენაა რელიგიურ დოგმატიკასა თუ სამართალში. ფაქტობრივად, ქრისტიანობამ და ზოგადად, რელიგიამ ქორწინებისა და ოჯახის თანამედროვე სახე განსაზღვრა¹⁰⁸⁸.

მიუხედავად იმისა, რომ ქორწინების საერო და სასულიერო გაგება სამართალში მნიშვნელოვნად განსხვავდება, წარმოუდგენელია საოჯახო ურთიერთობებიდან რელიგიის გამორიცხვა, რადგან საოჯახო სამართლისთვის ის ისევე აუცილებელი ელემენტია, როგორც მრავალი სხვა კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორი, რომლებმაც, საბოლოო ჯამში, საოჯახო სამართლის თანამედროვე სახე განაპირობეს.¹⁰⁸⁹ ძალზე სეკულარულ სახელმწიფოებსა და საზოგადოებებშიც კი ეკლესია საქორწინო ურთიერთობებში პარადოქსულად დიდი სოციალური და სამართლებრივი სტატუსის მატარებელია¹⁰⁹⁰.

¹⁰⁸⁴ ნადარეიშვილი გ., ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2005, 150.

¹⁰⁸⁵ ნადარეიშვილი გ., ქართული სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი საკითხი XI-XII სს. საქართველოში, თბილისი, 1959, 40.

¹⁰⁸⁶ Wardle L.D., Marriage and Religious Liberty: Comparative Law Problems and Conflict of Law Solutions, "Journal of Law & Family Studies", Vol.12, 2010, 322.

¹⁰⁸⁷ Mair J., The Place of Religion in Family Law: A Comparative Search, in: The Place of Religion in Family Law: A Comparative Search, Edited by J. Mair and E. Örcü, Antwerp-Portland, 2011, 363.

¹⁰⁸⁸ Turner B.S., The Religious and the Political, A Comparative Sociology of Religion, New York, 2013, 102.

¹⁰⁸⁹ Mair J., The Place of Religion in Family Law: A Comparative Search, in: The Place of Religion in Family Law: A Comparative Search, Edited by J. Mair and E. Örcü, Antwerp-Portland, 2011, 373.

¹⁰⁹⁰ იქვე, 375.

ოჯახისა და ქორწინების ქართული გაგება განსაკუთრებული ფენომენია, რომელშიც შერწყმულია როგორც ქრისტიანული, ისე უძველესი წარმართული წარმოდგენები და ჩვეულებები. საქართველოს გაქრისტიანებამ ქორწინების ახლებური გაგება დაამკვიდრა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ქართულმა საზოგადოებამ გაითავისა და რელიგიური ნორმებიდან საზოგადოებრივ, ყოფით ქცევის წესებში ასახა. ამიტომაც სრულიად ბუნებრივად, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების დადებისას რელიგიური ქორწინების თაობაზე ნორმა კონსტიტუციურ შეთანხმებაში ჩაინერა. დებულების თანახმად, სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით.¹⁰⁹¹ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ დეკლარაციულად გამოხატა ნება და ჯვრისწერის სამართლებრივი შედეგის აღიარების სპეციალური, სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივი კომისიაც შეიქმნა, ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯი არ გადადგმულა. კონსტიტუციური შეთანხმების დადებიდან დიდი ხანი გავიდა, თუმცა „კანონმდებლობით დადგენილი წესი“ ჯერაც არ არსებობს, ჯვრისწერის სამართლებრივი აღიარება კი კვლავაც დეკლარაციაა და არა ნორმატივი. ამას ამყარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პოზიციაც, რომლის განმარტებით, კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებამდე მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ შესრულებული ჯვრისწერით ახლად შექმნილი ოჯახი მხოლოდ ქრისტიანული თვალსაზრისით ხდება კანონიერი და კონსტიტუციური შეთანხმების მიუხედავად, მასთან დაკავშირებით არანაირი სამართლებრივი შედეგი არ დგება¹⁰⁹².

2.2. ქორწინების სამართლებრივი გაგება

2.2.1. ქორწინების სამოქალაქოსამართლებრივი გაგება

საოჯახო სამართალი *Lex Mercatoria* არაა და მიუხედავად კულტურათა სხვაობისა, თითქმის არც არასდროს ყოფილა. იგი დღემდე ერთ-ერთი მრავალფეროვანი და სისტემათა მიხედვით განსხვავებული სამართლის დარგია, რაც საზოგადოებათა კულტურული, მენტალური და ისტორიული ფაქტორებითაა განპირობებული.¹⁰⁹³ მართალია, საერო და კანონიკური საოჯახო სამართალი ძალზე დაშორდა ერთმანეთს, თუმცა ეს უკანასკნელი დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას და თანამედროვე საქორწინო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროა.¹⁰⁹⁴ სწორედ ქრისტიანულმა ხედვამ ჩამოაყალიბა თანამედროვე განვითარებულ სახელმწიფოებში მიღებული და აღიარებული ქორწინების იდეა, მისი არსი და შემადგენელი ელემენტები.

ქორწინება ინდივიდებისა და ოჯახის მორალური ცხოვრებისა და ერთგულების სიმბოლოა.¹⁰⁹⁵ მის ერთ-ერთ კვალიფიციურ დეფინიციას მოდესტინუსი იძლევა, რომ-

¹⁰⁹¹ კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, მე-3 მუხლის პირველი წინადადება.

¹⁰⁹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 15 მაისის №ას-968-1269-07 გადაწყვეტილება.

¹⁰⁹³ Tsoukala Ph., Marrying Family Law to the Nation, “The American Journal of Comparative Law”, Vol.58, 2010, 905.

¹⁰⁹⁴ Hofman Fr.J., The Development of the Canon Law of Marriage, “Acta Juridica”, 1983, 23.

¹⁰⁹⁵ Wardle L.D., Marriage and Religious Liberty: Comparative Law Problems and Conflict of Law Solutions, “Journal of Law & Family Studies”, Vol.12, 2010, 321.

ლის თანახმადაც, ქორწინება ქალისა და მამაკაცის კავშირია, „მთელი ცხოვრების ერთიანობა, ლეთიური და ადამიანური სამართლის ერთობა“¹⁰⁹⁶. მსგავსადვეა გაგებული შემდომი პერიოდის რომის სამართალშიც. იუსტინიანეს ინსტიტუციების მიხედვით, ქორწინება მამაკაცისა და ქალის კავშირია, რომლის არსიც თანაცხოვრებაშია.¹⁰⁹⁷ სხვადასხვა პერიოდის რომაულსამართლებრივი მიდგომა იმისთვისაა მნიშვნელოვანი, რომ ნათელი წარმოდგენა შეიქმნას ქორწინების თანამედროვე სამართლებრივ გაგებაზე, ვინაიდან თანამედროვე საოჯახო სამართალი ძველრომაული, განსაკუთრებით, *Corpus Juris Civilis*-ის რეცეფციის შედეგია და ინსტიტუტთა უმრავლესობის სამართლებრივი შინაარსი დღემდე უცვლელია.

სამოქალაქოსამართლებრივი მნიშვნელობით, ქორწინება სამართლებრივი ურთიერთობაა, რომელიც მის მონაწილეთა თანხმობას ეფუძნება და სამართლებრივ ქვეტექსტს, უფლებებსა და მოვალეობებს მოიაზრებს.¹⁰⁹⁸ სამართალი ტრადიციულად უზრუნველყოფდა ავტონომიას საოჯახო ურთიერთობების სფეროში.¹⁰⁹⁹ თუმცა სახელმწიფოს ფუნქციებიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობების ინტერნაციონალიზაციის, სამართლის ეროვნული საზღვრების გაფართოებისა და სამართლის სისტემათა მუდმივი ურთიერთქმედების შედეგად, ქორწინებისათვის სავალდებულო ელემენტად მისი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში რეგისტრაცია იქცა. ქორწინებას უამრავი უფლება-მოვალეობა უკავშირდება, რომელზეც სამოქალაქო ურთიერთობათა მნიშვნელოვანი ნაწილია დამყარებული და რომელთა მოშლა თუ არასტაბილურობა მთლიანად სამართლებრივი სისტემის, მათ შორის, სამოქალაქო ბრუნვის რღვევასა და არამდგრადობას გამოიწვევს. ასეც რომ არ იყოს, ქორწინება სახელმწიფოსა და ერის კეთილდღეობისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მატარებელი ინსტიტუტია,¹¹⁰⁰ ამიტომაც საქორწინო საკითხებში მომეტებული ინტერესი გასაგებიცაა.

ქართული სამართალი ქორწინებას სწორედ თანამედროვე სამართლის ძირითადი მიმართულებებისა და ასპექტების ჭრილში განიხილავს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამის ორგანოში.¹¹⁰¹ დაქორწინებისათვის მთავარია დასაქორწინებელ პირთა ასაკი¹¹⁰², რომელიც საქართველოში 18 წელია¹¹⁰³ და ამ პირთა თანხმობა¹¹⁰⁴. პირის თანხმობას, ნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქორწინებისას, საქორწინო თანხმობა უნდა გაიცეს დამოუკიდებლად, ვისიმე ზენოლის გარეშე, ისე,

¹⁰⁹⁶ “Nuptiae sunt coniunctio maris et feminae et consortium omnis vitae, divini et humani iuris communicatio.”, *Digesta Iustiniani*, 23.2.1.

¹⁰⁹⁷ “Nuptiae autem sive matrimonium est viri et mulieris coniunctio, individuum consuetudinem vitae continens”, *Institutiones Iustiniani*, 1.9.1.

¹⁰⁹⁸ Stathopoulos M.P., *Secularization of Family Law in Greece*, “*Israel Law Review*”, Vol.22, No.3, 1998, 371.

¹⁰⁹⁹ Ahdar R., Leigh I., *Religious Freedom in the Liberal State*, 2nd Ed., Croydon, 2015, 201.

¹¹⁰⁰ *TF v. Ireland*, [1995], 1 Ir 321, [1995] 2ILRM 321 (IESC).

¹¹⁰¹ იხ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლი.

¹¹⁰² იქვე, 1107-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

¹¹⁰³ იქვე, 1108-ე მუხლის პირველი ნაწილი.

¹¹⁰⁴ იქვე, 1107-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

რომ პირი აცნობიერებდეს ქორწინებისა და ოჯახური თანაცხოვრების ყველა უპირატესობასა და უარყოფით მხარეს¹¹⁰⁵.

სახელმწიფოს გადმოსახედიდან, ქორწინებაში ქალსა და მამაკაცთან ერთად სახელმწიფოც მოიაზრება.¹¹⁰⁶ ამიტომაც ხსენებული ორი სავალდებულო ელემენტის გარდა, არსებობს მესამე კუმულაციური პირობაც — ქორწინების რეგისტრაცია. პირველი ორის შესრულების მიუხედავად, ქორწინება სახელმწიფოს მიერ აღიარებული არ იქნება (რა თქმა უნდა, შესაბამისი სამართლებრივი შედეგებით) რეგისტრაციის გარეშე, რადგანაც კანონმდებლობით, ქორწინების წარმოშობისათვის სწორედ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ მისი რეგისტრაციაა სავალდებულო¹¹⁰⁷.

სამოქალაქო ქორწინებას უკავშირდება მეუღლეთა უფლება-მოვალეობების, მათი სანივთო უფლებებისა და საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობა როგორც ერთმანეთის, ისე ოჯახის სხვა წევრების მიმართ. ქორწინებას მისი სახელმწიფო რეგისტრაცია აქცევს სამართლებრივ ინსტიტუტად, უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის საფუძვლად და იურიდიულ ფაქტად. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირთა თანაცხოვრება უბრალო კოჰაბიტაციად მიიჩნევა, რასაც რომაელები კონკუბინატად მოიხსენიებდნენ¹¹⁰⁸.

2.2.2. ქორწინების კანონიკურსამართლებრივი გაგება

რელიგიათა უმრავლესობა, მათ შორის კი განსაკუთრებით ქრისტიანობა, შთამომავლობის შექმნასა და გამრავლებას, ოჯახის განსხვავებულად მაღალი სტატუსის გამო, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.¹¹⁰⁹ ქორწინება ღვთაებრივი სამართლის ერთ-ერთი უძველესი ინსტიტუტია¹¹¹⁰, მისი ქრისტიანული არსი და იდეა ბიბლიურ სათავეებშია. ეკლესია საოჯახო სამართლის საკითხებს საოჯახო ურთიერთობების განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო დიდ ყურადღებას უთმობდა.¹¹¹¹ ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრების საფუძვლად ღმერთის მიერ ქალის შექმნაა მოაზრებული,¹¹¹² რომელიც მამაკაცის განუყოფელი ნაწილი უნდა ყოფილიყო.¹¹¹³ შესაბამისად, ადამიანის სრული შემეცნება და გააზრება მხოლოდ ქორწინებაშია შესაძლებელი¹¹¹⁴.

¹¹⁰⁵ Bernard J., The Evolution of Matrimonial Jurisprudence: The Opinion of a French Canonist, The Jurist, №41, 1981, 107-108.

¹¹⁰⁶ Gori-Montanelli R., Botwinik D.A., Mexican Divorces: Italy, "International Lawyer", №1, 1966-1967, 210.

¹¹⁰⁷ „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლი.

¹¹⁰⁸ იხ., მეტრეველი ვ., რომის სამართალი, საფუძვლები, თბილისი, 2005, 101.

¹¹⁰⁹ Turner B.S., The Religious and the Political, A Comparative Sociology of Religion, New York, 2013, 102.

¹¹¹⁰ Rodopoulos P., An Overview of Orthodox Canon Law, translated by W.J. Lillie, Rollinsford, 2007, 185.

¹¹¹¹ სურგულაძე ივ., ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევები, ნ.1, თბილისი, 2000, 19.

¹¹¹² „და შექმნა ღმერთმან კაცი სახედ თვსად და ხატად ღმერთისა შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად ქმნა იგინი.“ დაბადება, 1, 27; „და აკურთხნა იგინი ღმერთმან მეტყუელმან: აღორძნდით და განმრავლდით. და აღავსეთ ქუეყანაჲ დაეუფლენით მას. და მთავრობდით თევზთა ზღვსათა, და მფრინველთა ცისათა, და ყოველთა პირუტყუთა, და ყოველსა ქვეყანასა და ყოველთა ქუენარმავალთა, მავალთა ქვეყანასა ზედა.“ დაბადება, 1, 28.

¹¹¹³ მამა პაისი მთაწმინდელი, სიტყვები, ნ.IV, ოჯახური ცხოვრება, თბილისი, 2006, 33.

¹¹¹⁴ Настольная Книга Священнослужителя, IV Т., Издание Московской Патриархии, Москва, 1983, 291.

ნმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის განმარტებით, ქორწინება, რომელიც ცოლქმრობასა და შთამომავლობის გაგრძელებას ეფუძნება, ღმერთის მოსაწონია.¹¹¹⁵ თუმცა, რა თქმა უნდა, ქორწინების მიზანი, როგორც თავდაპირველი, ისე შემდგომი, არა მხოლოდ შთამომავლობის შექმნა, არამედ ცოლისა და ქმრის უკეთესი და ბედნიერი ცხოვრების უზრუნველყოფაა.¹¹¹⁶ ქორწინების საფუძველი სიყვარული უნდა იყოს, რომელსაც ღმერთი ადამიანს უნერგავს და აიძულებს ცოლ-ქმარს „ჩვევაზე ძლიერი კავშირით მიემსჭვალონ ერთმანეთს“.¹¹¹⁷ კლიმენტი ალექსანდრიელის განმარტებით, თავად ღმერთი აერთებს ადამიანებს, აკავშირებს მათ და მათთან სუფევს¹¹¹⁸.

საქორწინო კანონიკური სამართლის ჩამოყალიბება თავად ქორწინების საკრალურობამ და მისმა განსაკუთრებულმა რელიგიურმა მნიშვნელობამ განაპირობა, რასაც საფუძვლად საეკლესიო საიდუმლოებათა შესახებ ქრისტეს სწავლება დაედო.¹¹¹⁹ ნმინდა წერილის თანახმად, ქორწინება საღმრთო საიდუმლოა,¹¹²⁰ რომელიც ზნეობრივი სრულყოფილების მისაღწევად, ქალსა და მამაკაცს არა მხოლოდ ხორციელად, არამედ სულიერადაც აერთებს.¹¹²¹ ქორწინებას, როგორც ქრისტიანულ საიდუმლოს, სამი უმთავრესი მიზანი აქვს: კაცობრიობის გამრავლება და შთამომავლობის შექმნა; მეუღლეთა ურთიერთდახმარება, მეგობრობა და შემწეობა; ხორციელ ვნებათა დაცხრომა,¹¹²² ხორციელი ცოდვისკენ მიდრეკილების დაძლევა¹¹²³.

ტერტულიანემ ერთ-ერთმა პირველმა შეადარა ქორწინება ნმინდა ზიარებას,¹¹²⁴ რაც მის მნიშვნელობას ხაზს უსვამს, ვინაიდან ექვარისტია ზოგადად ქრისტიანული ეკლესიის საფუძვლად და მიჩნეული და ქრისტეს ეკლესიის ამოსავალი იდეაა. სწორედ ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ ახალი აღთქმის მნიშვნელოვანი ნაწილი, ნმ. პავლე მოციქულის ეპისტოლეთა უმრავლესობა, ქორწინების არსს, მის დანიშნულებას, საოჯახო ურთიერთობებსა და ცოლ-ქმრის ურთიერთმიმართებას ეხება.¹¹²⁵ ღვთაებრივი პოზიტიური სამართალი, რომელიც სახარებაშია მოცემული, ანესრიგებს საოჯახო საკითხებს, იგი პირდაპირ კრძალავს ბიგამიას, პოლიგამიასა და განქორწინებას¹¹²⁶.

ქრისტიანულ სამართალში, განსაკუთრებით, დასავლეთის ეკლესიაში, ქორწინების ქრისტიანული კონცეფცია რომის სამართალში აღიარებული ტრადიციული სამართლებრივი ინსტიტუტისა და ოჯახის შესახებ სარწმუნოებრივი შეხედულების სინთეზის შედეგად შეიქმნა. კლასიკურმა მონოგამიურმა რომაულმა ქორწინებამ ქრისტიანული კონცეფციისთვის დამახასიათებელი მუდმივობისა და ერთგულების

¹¹¹⁵ Viscuso P., *Orthodox Canon Law*, 2nd Ed., Brookline, Massachusetts, 2011, 33.

¹¹¹⁶ Encyclical Letter “Arcanum” of Pope Leo XIII on Christian Marriage to the Patriarchs, Primates, Archbishops, and Bishops of the Catholic World in Grace and Communion with the Apostolic See, 1880, 26.

¹¹¹⁷ ნმ. იოანე ოქროპირი, სწავლანი, ნ. ბელთაძის თარგმანი, წიგნში: ბჭე სინმინდისა, თბილისი, 2008, 244-245.

¹¹¹⁸ Настольная Книга Священнослужителя, IV Т., Издание Московской Патриархии, Москва, 1983, 293.

¹¹¹⁹ Hofman Fr.J., *The Development of the Canon Law of Marriage*, “Acta Juridica”, 1983, 24.

¹¹²⁰ ეპისტოლე პავლე მოციქულისა ეფესელთა მიმართ, 5, 32.

¹¹²¹ Rodopoulos P., *An Overview of Orthodox Canon Law*, translated by W.J. Lillie, Rollinsford, 2007, 186.

¹¹²² Viscuso P., *Orthodox Canon Law*, 2nd Ed., Brookline, Massachusetts, 2011, 34.

¹¹²³ ნადარეიშვილი გ., ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2005, 151.

¹¹²⁴ Rodopoulos P., *An Overview of Orthodox Canon Law*, translated by W.J. Lillie, Rollinsford, 2007, 187.

¹¹²⁵ იხ., ეპისტოლენი პავლე მოციქულისა კორინთელთა მიმართ I, 7, 7-10; ეფესელთა მიმართ, 5, 22-33; ებრაელთა მიმართ, 13,4.

¹¹²⁶ Hayes P.J., *Impediments to Marriage in the Catholic Church*, “The North American Review”, Vol.180, 1905, 766.

იდეები გაითავისა, რის საფუძველზეც კანონიკური მონესრიგება ჩამოყალიბდა.¹¹²⁷ ქორწინება, ქრისტიანული თვალსაზრისით, როგორც წმინდა საიდუმლოება, ისე შეთანხმება, ხელშეკრულებაა.¹¹²⁸ ქორწინების ქრისტიანული გაგებისა და სამართლის შერწყმა პირველად იუსტინიანეს დროს განხორციელდა.¹¹²⁹ შემდეგ კი შუა საუკუნეების კანონიკური სამართლის მცოდნეებმა აქტიურად გამოიყენეს იუსტინიანეს მიერ ჩამოყალიბებული სამართლებრივი მოდელი და ქორწინების კანონიკურსამართლებრივი კონცეფციისთვის, საქორწინო შეთანხმებისთვის რომის სამართლის კლასიკური კონსესუალური ხელშეკრულების იდეა აიღეს.¹¹³⁰ შედეგად, ქორწინება ორი პირის ხელშეკრულებად მიიჩნევა, რომელსაც პირთა თანხმობა სჭირდება და უშუალოდ ღმერთის მიერაა დაფუძნებული,¹¹³¹ მისი მოშლა ან შეწყვეტა შეუძლებელია, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.¹¹³² აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესიისთვის ქორწინების კანონიკური და სამართლებრივი მნიშვნელობა მეორეხარისხოვანია, თავად ქორწინების სინმინდესთან და მის საიდუმლოებასთან შედარებით.¹¹³³ რაც შეეხება აღმოსავლეთის ეკლესიას, იგი ქორწინებას უბრალო გარიგებად ან ხელშეკრულებად ნაკლებად განიხილავდა, ჯვრისწერა ყოველთვის კურთხეულ, განსაკუთრებულ საზოგადოებრივ ინსტიტუტად მოიაზრებოდა,¹¹³⁴ თუმცა რომაული სამართლის გავლენას ვერც ის გაექცა და სრულიად ბუნებრივად, ჯვრისწერის მისეული კანონიკური გაგება ბიზანტიური სამართლებრივი სისტემის განვითარებას კვალდაკვალ მიჰყვა.

2.3. ჯვრისწერის აღიარება

2.3.1. ჯვრისწერა, როგორც სამართლებრივი ფაქტი და მისი აღიარება

რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართება, ასევე, საერო და სასულიერო ინსტიტუტთა მონესრიგება ქვეყნებისა და კონფესია-დენომინაციების მიხედვით განსხვავდება.¹¹³⁵ თანამედროვე სახელმწიფოთა უმრავლესობა სეკულარიზმის მომხრეა, თუმცა დემოკრატიული ქვეყნების მნიშვნელოვან ნაწილში დღემდე მოქმედებს სახელმწიფო ან პრივილეგირებული რელიგიის სისტემა. მიუხედავად იმისა, თუ რა დოზითა და ინტენსივობით ხდებოდა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის განვითარება, ისტორიულად, ეკლესიის მონესრიგების სფერო, რომელშიც სახელმწიფო ყველაზე აქტიურად ერეოდა, საოჯახო სამართალი იყო¹¹³⁶.

საეკლესიო სამართალმა ქორწინების რელიგიური და სამართლებრივი გაგება შეაერთა, რამაც ჯვრისწერას ორმაგი, საღვთო საიდუმლოსა და იურიდიული ფაქტის

¹¹²⁷ Hofman Fr.J., The Development of the Canon Law of Marriage, "Acta Juridica", 1983, 28.

¹¹²⁸ Olshewsky Th.M., A Christian Understanding of Divorce, "Journal of Religious Ethics", Vol.7, No.1, 1979, 122.

¹¹²⁹ Rodopoulos P., An Overview of Orthodox Canon Law, Translated by W.J. Lillie, Rollinsford, 2007, 188.

¹¹³⁰ Orsy L., Marriage in the Code of Canon Law, "Law and Justice", 1988-1989, 11.

¹¹³¹ Cahil E., Notes on Christian Sociology, "The Irish Monthly", Vol.LI-LVI, 1923, 478.

¹¹³² Meyendorff J., Christian Marriage in Byzantium: The Canonical and Liturgical Tradition, "Dumbarton Oaks Papers", №44, 1990, 101.

¹¹³³ McManus F.R., Marriage in the Canons of the Eastern Catholic Churches, "Jurist", Vol.54, 1994, 56-57.

¹¹³⁴ Orsy L., Marriage in the Code of Canon Law, "Law and Justice", 1988-1989, 10.

¹¹³⁵ Schanda B., Religion and State in the Candidate Countries to the European Union – Issues Concerning Religion and State in Hungary, "Sociology of Religion", Vol.64, No.3, 2003, 335.

¹¹³⁶ Stathopoulos M.P., Secularization of Family Law in Greece, "Israel Law Review", Vol.22, No.3, 1998, 367.

ბუნება დაუმკვიდრა.¹¹³⁷ მსგავსი სტატუსის გამო კანონიკურმა სამართალმა შეიმუშავა ჯვრისწერასა და განქორწინებასთან, ზოგადად საქორწინო სამართალთან დაკავშირებულ ნორმათა მთელი სისტემა, რომელიც დღემდე აქტიურად გამოიყენება. საეკლესიო წესით ქორწინების სამი ძირითადი მახასიათებელი გამოიყო: ა) სპეციალური რიტუალი, ცერემონია; ბ) ქორწინების მომწესრიგებელი შიდა სამართალი, ნორმები; გ) ქორწინების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც პასუხისმგებელია ამ ნორმათა აღსრულებაზე.¹¹³⁸ სამივე შემადგენელი ელემენტის არსებობა აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯვრისწერის, როგორც იურიდიული ფაქტის, შესახებ მსჯელობა არასერიოზულია.

თეორიაში სახელმწიფოს მიერ რელიგიური ქორწინების აღიარების რამდენიმე მოდელი არსებობს და მათ შორის განსხვავება ძირითადად სახელმწიფოში გავრცელებული, აღიარებული მსოფლმხედველობითაა განპირობებული.¹¹³⁹ შეიძლება გამოიყოს: 1. სახელმწიფოები, სადაც საქორწინო საკითხების გადანყვეტაზე უფლებამოსილი სუბიექტი თავად სახელმწიფოა; 2. საქორწინო საკითხები სამოქალაქო სამართლისთვისაა მინდობილი; 3. სახელმწიფოები, სადაც საქორწინო სამართალი სეკულარულ და რელიგიურ პოლუსებს შორისაა.¹¹⁴⁰ ყველაზე ზოგადი კლასიფიკაციით, ჯვრისწერის სამართლებრივი აღიარების მიხედვით, ორი ძირითადი მოდელი არსებობს: 1. სისტემა, რომელშიც სამართლებრივი შედეგები მხოლოდ სამოქალაქო ქორწინებას აქვს და 2. სისტემა, რომელიც სამოქალაქო და რელიგიური ქორწინების ფორმებს შორის არჩევანის შესაძლებლობას იძლევა იმ პირობით, რომ ორივეს თანაბარი სამართლებრივი შედეგი ექნება.¹¹⁴¹ ამ უკანასკნელს ხშირად ალტერნატიულსაც უწოდებენ.¹¹⁴² თავის მხრივ, პირველ სისტემაში შეიძლება გამოიყოს ორი ქვესისტემა, როცა: ა) სახელმწიფო არ აღიარებს რელიგიურ ქორწინებას და არ უკავშირებს მას სამართლებრივ შედეგებს, თუმცა ჯვრისწერის ჩატარება არ იკრძალება და ეს დასაქორწინებელ პირთა სურვილზეა დამოკიდებული; ბ) სახელმწიფო კრძალავს რელიგიურ ქორწინებას და მხოლოდ სამოქალაქო ქორწინებაა ნებადართული; მეორეში კი — ა) სისტემა, როცა სახელმწიფო აღიარებს ჯვრისწერას, მაგრამ არა ყველა რელიგიური გაერთიანების მიმართ; და ბ) სისტემა, რომელშიც სახელმწიფო აღიარებს ყველა რელიგიური გაერთიანების მიერ განხორციელებული ქორწინების სამართლებრივ შედეგს¹¹⁴³.

სამოქალაქო ქორწინების მოდელი საფრანგეთის რევოლუციის დროს აღმოცენდა, როდესაც ეკლესიისა და საეკლესიო ინსტიტუტების მიმართ სერიოზული ბრძოლა გაჩაღდა.¹¹⁴⁴ დღესდღეობით ეს მოდელი მოქმედებს ცენტრალურ ევროპაში, სამხრეთ

¹¹³⁷ ჩიკვაიძე დ., საეკლესიო სამართალი, თბილისი, 2008, 115.

¹¹³⁸ Sapir G., Staatman D., Religious Marriage in a Liberal State, "Cardozo Law Review", Vol.30, No.6, 2009, 2857.

¹¹³⁹ იხ., იქვე, 2855-2856.

¹¹⁴⁰ იხ., Wardle L.D., Marriage and Religious Liberty: Comparative Law Problems and Conflict of Law Solutions, "Journal of Law & Family Studies", Vol.12, 2010, 324-325.

¹¹⁴¹ Rodopoulos P., An Overview of Orthodox Canon Law, Translated by W.J. Lillie, Rollinsford, 2007, 189.

¹¹⁴² Stathopoulos M.P., Secularization of Family Law in Greece, "Israel Law Review", Vol.22, No.3, 1998, 369.

¹¹⁴³ იხ., Sapir G., Staatman D., Religious Marriage in a Liberal State, "Cardozo Law Review", Vol.30, No.6, 2009, 2855-2856.

¹¹⁴⁴ Rodopoulos P., An Overview of Orthodox Canon Law, Translated by W.J. Lillie, Rollinsford, 2007, 189.

ამერიკის სახელმწიფოთა უმრავლესობაში, აზიისა და აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში, რომლებშიც სამართლებრივი ძალა მხოლოდ სამოქალაქო ქორწინებას აქვს¹¹⁴⁵.

ხშირ შემთხვევაში, როცა კანონიკური ქორწინება საერო სამართლის ნორმებითაა აღიარებული, მისი სამართლებრივი მონესრიგება სწორედ კანონიკური სამართლისთვისაა მინდობილი, თუმცა საოჯახო სამართლის სხვა საკითხებში (მაგ., შვილად აყვანა, მეურვეობა და მზრუნველობა, მშობელსა და შვილებს შორის ურთიერთობა) მთლიანად სახელმწიფო კანონმდებლობის მონოპოლიაა.¹¹⁴⁶

ალტერნატიული სისტემა, ასევე, მოქმედებს საბერძნეთში, რომელმაც XX საუკუნის 80-იან წლებში საოჯახო სამართლის სეკულარიზაცია და შუალედური პოზიციის დაკავება იმით მოახერხა, რომ, მართალია, ჯვრისწერას სამართლებრივი აღიარება შეუნარჩუნა, თუმცა იგი მხოლოდ იურიდიულ ფაქტად განიხილა და არა საღმრთო საიდუმლოებად.¹¹⁴⁷ რელიგიური ქორწინების აღიარებისთვის უმნიშვნელოვანესია მკაცრად გაიმიჯნოს ჯვრისწერის რელიგიურ-დოგმატური და სამართლებრივი ასპექტები, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავად რელიგიური გაერთიანება არ იქნება აღიარების მომხრე, ვინაიდან ნებისმიერი რელიგიისათვის გაცილებით მნიშვნელოვანია საკუთარი წესების დაცვა, ვიდრე სახელმწიფოს მხრიდან ქორწინებისათვის სამართლებრივი ძალის მინიჭება. ეკლესიისათვის საეკლესიო სამართალი ღვთაებრივი კატეგორიაა, რომელიც მისთვის, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ადამიანურ სამართალზე გაცილებით აღმატებულია¹¹⁴⁸.

2.3.2. ჯვრისწერის აღიარების სამართლებრივი პრაქტიკა

პარადოქსია, მაგრამ ისტორიული ფაქტი, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინ პაპი პიუს IX წყევლიდა ნებისმიერ მოძღვრებას, რომელიც გამართლებულად მიიჩნევდა სახელმწიფო კანონმდებლობის არსებობას ისეთ სფეროებში, რასაც ეკლესია სათავისოდ განიხილავდა.¹¹⁴⁹ მათ შორის, რა თქმა უნდა, საოჯახო ურთიერთობებზეც მოიაზრებოდა. დღეისათვის მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა და ეს არა მხოლოდ რომაულ-კათოლიკურ, არამედ მართლმადიდებელ ეკლესიასაც ეხება. რაც შეეხება პროტესტანტულ ეკლესიას, იგი მართლმადიდებელი და რომის ეკლესიებისგან განსხვავებით, ყოველთვის უფრო „სამოქალაქო“, საერო ხასიათს ატარებდა და სახელმწიფოს კანონმდებლობასთანაც მეტად ჰარმონიზებული იყო.

¹¹⁴⁵ იქვე.

¹¹⁴⁶ მსგავსი ალტერნატიული სისტემა მოქმედებს ისრაელში, სადაც საოჯახო სამართლის მონესრიგება, მართალია, საერო დონეზე არსებობს, თუმცა სახელმწიფო აღიარებს თითოეული რელიგიური გაერთიანების უფლებას, გაერთიანების წევრებისთვის თავად დაადგინოს საოჯახო სამართალი, რომლის ფარგლებშიც მომავალში იმოქმედებენ. აღნიშნული ეხება როგორც საკუთრივ ებრაელებს, ისე მუსლიმებს, ქრისტიანებს და სხვ. იხ., Scharffs B.G., Disparte S., Comparative Models for Transitioning from Religious to Civil Marriage Systems, “Journal of Law and Family Studies”, Vol.12, 2010, 415; Sapir G., Staatman D., Religious Marriage in a Liberal State, “Cardozo Law Review”, Vol.30, No.6, 2009, 2868.

¹¹⁴⁷ Stathopoulos M.P., Secularization of Family Law in Greece, “Israel Law Review”, Vol.22, No.3, 1998, 371.

¹¹⁴⁸ ელინეკი გ., ძველი სამართლის ბრძოლა ახალ სამართალთან, ზ. ნანობაშვილის თარგმანი, ბ. ზოიდის რედაქტორობით, თბილისი, 2006, 37.

¹¹⁴⁹ იხ., Encyclical Letter “Syllabus Errorum” of Pope Pius IX to the Venerable Brethren, all Patriarchs, Primate, Archbishops, and Bishops having favor and Communion of the Holy See, 8 December of 1864.

დღესდღეობით რელიგიური ქორწინება, ჯვრისწერა აღიარებულია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, იტალიაში, ფინეთში, ნორვეგიაში, დანიაში, გაერთიანებულ სამეფოში, საბერძნეთში, ავსტრალიაში, აშშ-ის შტატთა უმრავლესობაში და ა.შ.¹¹⁵⁰

2.3.2.1. ჯვრისწერის არაღიარება და სამოქალაქო ქორწინების ერთადერთობა

ევროპულ სახელმწიფოთა ნაწილი, რომელსაც რთული და წინააღმდეგობებით სავსე რელიგიური ისტორია აქვს, ერიდება ეკლესიასთან და ზოგადად, რელიგიურ გაერთიანებებთან მჭიდრო ურთიერთობას, განსაკუთრებით, საოჯახო სამართლის სფეროში. ევროპულ სახელმწიფოთაგან ჯვრისწერის სამართლებრივ შედეგებს არ აღიარებს და მხოლოდ სამოქალაქო ქორწინების ფორმას ადგენს გერმანია, საფრანგეთი, ავსტრია, რუმინეთი და ა.შ.¹¹⁵¹

ქორწინება და საქორწინო სამართალი გერმანიაში მთლიანად სამოქალაქოსამართლებრივ სფეროში ექცევა და ამ მიმართულებით არცერთ ეკლესიას კომპეტენცია არ გააჩნია.¹¹⁵² რელიგიურ ქორწინებას არანაირი სამართლებრივი შედეგი არ უკავშირდება, რადგან ქორწინება მთლიანად საერო ინსტიტუტად განიხილება და სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში სრულდება.¹¹⁵³ თუმცა აღნიშნული ეკლესიების მიერ ჯვრისწერის ჩატარებას არ კრძალავს. გერმანია ნებას რთავს ნებისმიერ რელიგიურ გაერთიანებას, ჩაატაროს რელიგიური ქორწინების რიტუალი, თუმცა იმ დათქმით, რომ მას სამოქალაქო ქორწინება წინ უნდა უსწრებდეს (ამ დებულების დარღვევისათვის სანქცია არაა გათვალისწინებული)¹¹⁵⁴.

საფრანგეთი, როგორც ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის ლაიციტური მოდელის მიმდევარი, საეკლესიო და საერო ქორწინებას სრულად განასხვავებს.¹¹⁵⁵ 1975 წლის 11 ივლისის კანონის თანახმად, რელიგიური ქორწინება და რელიგიური საქორწინო სამართალი სრულად იგნორირებულია, ქორწინება მიჩნეულია მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივ ინსტიტუტად.¹¹⁵⁶ ავსტრიაში საეკლესიო ჯვრისწერა სამოქალაქო ქორწინების სტატუსს არ ატარებს, მას ხშირად ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე მიმართავენ, რადგანაც სახელმწიფოსთვის რელიგიური ქორწინების ფარგლებში დაბადებული ბავშვები მარტოხელა დედის შვილებად განიხილებიან, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან საკმაოდ მაღალი სოციალური დაცვით სარგებლობენ.¹¹⁵⁷ განქორწინების შემთხვევაში, ავსტრიაში ნებადართულია მღვდლის

¹¹⁵⁰ <<http://www.orthodoxy.ge/samartali/jvristsera.htm>> [01.06.2014]

¹¹⁵¹ იხ., Wardle L.D., Marriage and Religious Liberty: Comparative Law Problems and Conflict of Law Solutions, "Journal of Law & Family Studies", Vol.12, 2010, 326.

¹¹⁵² რობერსი გ., სახელმწიფო და ეკლესია გერმანიაში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 106.

¹¹⁵³ იქვე.

¹¹⁵⁴ იქვე.

¹¹⁵⁵ ბასდევან-გოდემე ბ., სახელმწიფო და ეკლესია საფრანგეთში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 209.

¹¹⁵⁶ იქვე, 210.

¹¹⁵⁷ პოზტი რ., სახელმწიფო და ეკლესია ავსტრიაში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 453.

მიერ მორიგების პროცედურის წარმოება და ქორწინების შესანარჩუნებლად შესაბამისი კონსულტაციები, თუმცა ეს ნებაყოფლობითია¹¹⁵⁸.

რუმინეთში რელიგიური ქორწინება ნებადართულია, თუმცა მხოლოდ სამოქალაქო ქორწინების შემდეგ. აღნიშნული მონესრიგებულია რუმინეთის სამოქალაქო კოდექსის 259-ე მუხლით.¹¹⁵⁹ რელიგიური ქორწინების ცერემონიის ჩასატარებლად აუცილებელია მღვდელს ან ცერემონიის განხორციელებაზე უფლებამოსილ ღვთისმსახურს წარედგინოს სამოქალაქო ქორწინების დამადასტურებელი მოწმობა.¹¹⁶⁰ მსგავსადაა ბელგიაშიც, სადაც სამოქალაქო ქორწინება აუცილებლად უნდა უსწრებდეს რელიგიურ ქორწინებას, გარდა კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა¹¹⁶¹.

2.3.2.2. ჯვრისწერის აღიარება — ალტერნატიული მოდელი

2.3.2.2.1. ეკლესიის მიერ შესრულებული ჯვრისწერის აღიარების სამართლებრივი გეოგრაფია

საქორწინო ურთიერთობებში ბევრ სახელმწიფოში სამართლებრივი პლურალიზმი: ერთმანეთის გვერდით თანაარსებობს სამოქალაქო, ჩვეულებითი და რელიგიური ქორწინებები.¹¹⁶² ევროპულ სახელმწიფოთა ნაწილი ქორწინებასთან მიმართებით დუალისტურ სისტემას აღიარებს და რელიგიურ ქორწინებას სამოქალაქო ანალოგის თანაბარ სამართლებრივ ძალას ანიჭებს.¹¹⁶³ რელიგიური ქორწინების აღიარების საკითხი ყველაზე აქტუალური ისეთ სახელმწიფოებშია, სადაც სახელმწიფო ან დომინანტი ეკლესია არსებობს. ამ შემთხვევაში ჯვრისწერის განხორციელება კი, მისი რელიგიური ხასიათის მიუხედავად, სახელმწიფოს კანონმდებლობითაა მონესრიგებული. თუმცა ალტერნატიული მოდელი გავრცელებულია ლიბერალური სეკულარიზმის პირობებში. საბოლოო ჯამში, რელიგიური ქორწინების აღიარებას სახელმწიფო საკუთარი იდეოლოგიური, რელიგიური და პოლიტიკური წარსულის გათვალისწინებით ახორციელებს.

დანიიში რელიგიური ქორწინება ნებადართულია და იგი მონესრიგებულია „ქორწინების შესახებ“ და „უცხოელთა შესახებ“ აქტებით.¹¹⁶⁴ რელიგიური ქორწინება შეიძლება ჩატარდეს როგორც დანიის სახალხო ეკლესიაში, ისე სხვა აღიარებული რელიგიური გაერთიანების მიერ, რისთვისაც აუცილებელია ერთ-ერთი მხარე მაინც იყოს ამ გაერთიანების წევრი და თავად რელიგიურ ერთობას ჰყავდეს საქორწინო რიტუალის განხორციელებაზე უფლებამოსილი სასულიერო პირი.¹¹⁶⁵ შვედეთში რელიგიური გაერთიანების მიერ შესრულებულ ქორწინებას სამართლებრივი ძალა

¹¹⁵⁸ იქვე.

¹¹⁵⁹ Catean-Voiculescu L., Hurbean A., Legal Marriage Versus Religious Marriage Act in Light of the New Regulations of the Civil Code, “Agora International Journal of Juridical Studies”, №2, 2011, 2.

¹¹⁶⁰ იქვე.

¹¹⁶¹ Constitution of the Kingdom of Belgium, 1831, Art. 16.

¹¹⁶² Wardle L.D., Marriage and Religious Liberty: Comparative Law Problems and Conflict of Law Solutions, “Journal of Law & Family Studies”, Vol.12, 2010, 325.

¹¹⁶³ Mair J., The Place of Religion in Family Law: A Comparative Search, in: The Place of Religion in Family Law: A Comparative Search, Edited by J. Mair and E. Öricü, Antwerp-Portland, 2011, 375.

¹¹⁶⁴ დუბეკი ი., სახელმწიფო და ეკლესია დანიიში, ნიგში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 82.

¹¹⁶⁵ იქვე.

აქვს, თუკი იგი შვედეთის სამართლებრივი, საფინანსო და ადმინისტრაციული მომსახურების სააგენტოს (*Kammarkollegiet*) მიერ გაცემული უფლებამოსილების საფუძველზე სრულდება.¹¹⁶⁶ შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე შესრულებულ რელიგიურ ქორწინებას სახელმწიფო არ აღიარებს¹¹⁶⁷.

გაერთიანებულ სამეფოში აღიარებულია რელიგიური ქორწინების სამართლებრივი შედეგი, სამეფო ნებას რთავს რელიგიებს თავიანთი წესების შესაბამისად ჩატარონ საქორწინო ცერემონია, თუმცა ავალდებულებს, დაიცვან სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წინაპირობები და ძირითად შემთხვევებში კანონით განსაზღვრულ პროცედურებთან ერთად, ცერემონიის ჩატარებაზე უფლებამოსილი სასულიერო პირისათვის მოქალაქეთა მდგომარეობის შესახებ ცნობის წარდგენის აუცილებლობას აწესებს.¹¹⁶⁸ ისრაელის საქორწინო სამართლის თანახმად, იუდეველი ისრაელის მოქალაქე ან მის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ებრაელების ქორწინებისა და განქორწინების საკითხები რაბინთა სასამართლოების ექსკლუზიური იურისდიქციის ქვეშ ექცევა¹¹⁶⁹ და თორის მიხედვით უნდა იქნეს გადანყვებილი¹¹⁷⁰. ისრაელის სახელმწიფო ნებას რთავს ნებისმიერ რელიგიურ გაერთიანებას, საქორწინო ურთიერთობები თავიანთი რელიგიური სამართლისა და ნორმების შესაბამისად მოაწესრიგოს¹¹⁷¹.

აშშ-ში რელიგიური ქორწინება აღიარებულია და ამ ქორწინების სამართლებრივი შედეგების წარმოშობისათვის არავითარი დამატებითი სამოქალაქო ღონისძიება საჭირო არაა.¹¹⁷² რელიგიური ქორწინების სამართლებრივი აღიარებისთვის აუცილებელია რიტუალის განმარტოციელებელ რელიგიურ ორგანიზაციას თუ პირს შესაბამისი ლიცენზია ჰქონდეს, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიცემა.¹¹⁷³ მსგავსი სისტემა მოქმედებს ავსტრალიაშიც.¹¹⁷⁴

2.3.2.2.2. მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ შესრულებული ჯვრისწერის აღიარება

მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ შესრულებული ჯვრისწერის აღიარებას ხანგრძლივი პრაქტიკა აქვს, რასაც ხელი ბიზანტიის იმპერიამ და მისმა სამართალმა შეუწყო. 893 წლიდან, იმპერატორ ლეონ VI ბრძენის 89-ე ნოველით ბიზანტიაში ქორ-

¹¹⁶⁶ Jäterä-Jareborg M., The Legal Scope for Religious Identity in Family Matters - The Paradoxes of the Swedish Approach, in: The Place of Religion in Family Law: A Comparative Search, Edited by J. Mair and E. Örtücü, Antwerp-Portland, 2011, 85.

¹¹⁶⁷ იქვე, 87.

¹¹⁶⁸ იხ., მაკლინი დ., სახელმწიფო და ეკლესია გაერთიანებულ სამეფოში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 656-657.

¹¹⁶⁹ Marriage and Divorce Law of Israel, 1953, Section 1.

¹¹⁷⁰ იქვე, Section 2.

¹¹⁷¹ Sapir G., Staatman D., Religious Marriage in a Liberal State, "Cardozo Law Review", Vol.30, No.6, 2009, 2868.

¹¹⁷² Wardle L.D., Marriage and Religious Liberty: Comparative Law Problems and Conflict of Law Solutions, "Journal of Law & Family Studies", Vol.12, 2010, 327.

¹¹⁷³ იქვე.

¹¹⁷⁴ იქვე.

წინების ერთადერთ ოფიციალურ და სამართლებრივად აღიარებულ სახედ მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ჩატარებული ჯვრისწერა გამოცხადდა.¹¹⁷⁵ მსგავსი მონესრიგება მოქმედებდა ყველა, ისტორიულად მართლმადიდებელ სახელმწიფოში, მათ შორის, საქართველოში, რუსეთში, სერბეთში და ა.შ.

1982 წლამდე საბერძნეთში საეკლესიო ქორწინება ქორწინების ერთადერთი ნებადართული სახე იყო.¹¹⁷⁶ 1982 წელს მიღებულ იქნა სპეციალური კანონი სამოქალაქო ქორწინების თაობაზე, რომელმაც არამართლმადიდებელი ეკლესიების ქორწინების აქტივ ალიარა და სამოქალაქო ქორწინება შემოიღო.¹¹⁷⁷ საბერძნეთში ერთი და იმავე ურთიერთობისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც სამოქალაქო, ისე საეკლესიო ქორწინების სამართლებრივი ფორმა. ამის შესაძლებლობას ბერძნული კანონმდებლობა იძლევა.¹¹⁷⁸ საბერძნეთის სამოქალაქო კანონმდებლობით, ქორწინებისათვის აუცილებელია მერის ან თემის ხელმძღვანელის თანხმობა,¹¹⁷⁹ თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საეკლესიო წესით შესრულებული ქორწინება, რომელიც მსგავსი ნებადართვის გარეშეა ჩატარებული, ბათილად მიიჩნევა,¹¹⁸⁰ რადგანაც საბერძნეთის ეკლესიის შესახებ კანონმდებლობა ჯვრისწერაზე ეპისკოპოსის მიერ წინასწარ თანხმობის გაცემის აუცილებლობას ითვალისწინებს.¹¹⁸¹ ეკლესია მღვდელს მხოლოდ ასეთი თანხმობის არსებობის შემთხვევაში რთავს ქორწინების ცერემონიის ჩატარების უფლებას.¹¹⁸² სამოქალაქო ქორწინება, რომელიც სახელმწიფო ორგანოებში რეგისტრირებულია და არ გაუქმებულა კანონით დადგენილი წესით, ეკლესიისთვისაც მოქმედ ქორწინებად მიიჩნევა და ჯვრისწერის დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს.¹¹⁸³

რელიგიური ქორწინების პარალელურად, კვიპროსში მოქმედებს სამოქალაქო ქორწინებაც, რომლის არჩევაც კონკრეტულ პირთა დისკრეციაა.¹¹⁸⁴ კვიპროსის კონსტიტუციის 111-ე მუხლის ძველი რედაქცია საქორწინო და საოჯახოსამართლებრივ ურთიერთობათა მონესრიგებას, ასევე, მათი ინსტიტუტების სამართლებრივ სტატუსს შესაბამისი რელიგიური გაერთიანებების სამართალს უკავშირებდა, რელიგიური დავების შემთხვევაში კი — შესაბამისი საეკლესიო სასამართლო იყო უფლებამოსილი, განეხილა და გადაენწყვიტა ქორწინება-განქორწინებასთან დაკავშირებული საკითხები.¹¹⁸⁵ 1989 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად ქორწინება და განქორწინება საერო, საოჯახო სასამართლოს იურისდიქციაში გადავიდა და

¹¹⁷⁵ Rodopoulos P., An Overview of Orthodox Canon Law, translated by W.J. Lillie, Rollinsford, 2007, 188; Gallagher C., Marriage in Eastern and Western Canon Law, "Law and Justice – Christian Law Review", Vol.157, 2006, 9.

¹¹⁷⁶ პაპასტათისი კ., სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მეორე გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 152.

¹¹⁷⁷ Papastathis C.K., The Hellenic Republic and the Prevailing Religion, "Brigham Young University Law Review", №4, 1996, 825.

¹¹⁷⁸ Civil Code of the Hellenic Republic, Art. 1367.

¹¹⁷⁹ იქვე, Art.1370.

¹¹⁸⁰ Rodopoulos P., An Overview of Orthodox Canon Law, translated by W.J. Lillie, Rollinsford, 2007, 193.

¹¹⁸¹ Law 590/77 of Greece "Concerning the Charter of the Church of Greece", art. 49.

¹¹⁸² Encyclical 2329/20-10-82 of the Holy Synod of the Church of Greece.

¹¹⁸³ Civil Code of the Hellenic Republic, Art. 1354.

¹¹⁸⁴ ემილიანიდესი ა., სახელმწიფო და ეკლესია კვიპროსში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 286.

¹¹⁸⁵ იქვე, 285.

სამოქალაქო კანონმდებლობაში დანვრილებით აისახა.¹¹⁸⁶ მართლმადიდებლების შემთხვევაში, განქორწინების საკითხს სპეციალური საოჯახო სასამართლო განიხილავს, ერთი სასულიერო და ორი საერო პირის შემადგენლობით, რომლებიც მოსამართლის ფუნქციებით არიან აღჭურვილნი.¹¹⁸⁷ მსგავსი საოჯახო სასამართლოები კვიპროსში 1990 წლიდან მოქმედებს. 1994 წლიდან კი საოჯახო სასამართლოების იურისდიქცია სხვა ძირითადი რელიგიების წარმომადგენელთა განქორწინების საქმეებზეც გავრცელდა. დღეისათვის ქრისტიანობის ყველა ძირითადი მიმართულების რელიგიურ გაერთიანებას საკუთარი საეკლესიო სასამართლო აქვს,¹¹⁸⁸ რაც კვიპროსის კონსტიტუციითაა უზრუნველყოფილი¹¹⁸⁹.

2.3.2.2.3. რომაულ-კათოლიკური და სხვა ეკლესიების მიერ შესრულებული ჯვრისწერის აღიარება

რომაულ ეკლესიაში ქორწინების ფორმალური მხარისა და მოთხოვნების შესახებ დოქტრინის თანამედროვე სახით ჩამოყალიბება *Tametsi*-ს აქტიდან დაიწყო და ეტაპობრივად, XX საუკუნის მეორე ნახევარში დასრულდა.¹¹⁹⁰ მხოლოდ 1563 წლიდან, ტრენტის კრების გადაწყვეტილების საფუძველზე ქორწინების ნამდვილობისათვის აუცილებელი გახდა ჯვრისწერის უფლებამოსილი მღვდლის მიერ შესრულება.¹¹⁹¹ ტრენტის კრების გადაწყვეტილება 1908 წლის *Ne Temere*-ს აქტამდე ადგენდა ქორწინების ფორმალურ სტანდარტებს.¹¹⁹² წმინდა საყდრის პრაქტიკით, მის მიერ დადებული კონკორდატებისა და ხელშეკრულებების თანახმად, მეუღლეები ქორწინებისათვის, კანონიკურთან ერთად, საეროსამართლებრივ კრიტერიუმებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ.¹¹⁹³ ამით რომის ეკლესია ცდილობს ჯვრისწერის კანონიკური და საეროსამართლებრივი წინაპირობები მაქსიმალურად დაახლოვოს.

ლატერანის ხელშეკრულებით რომის ეკლესიის მიერ ჩატარებულმა ჯვრისწერამ იტალიაში სრული საერო აღიარება მოიპოვა და უფრო მეტიც, პრაქტიკულად, იგი ქორწინების ერთადერთ მოქმედ სამართლებრივ მექანიზმად იქცა.¹¹⁹⁴ საოჯახო სასამართლის რეფორმამდე იტალიაში რომის ეკლესიის წესით ჩატარებული ჯვრისწერისა და ქორწინების გაუქმება დაუშვებელი იყო, ამ შემთხვევაში სახელმწიფო კანონმდებლობა კანონიკური ქორწინების გაუქმების უფლებამოსილებას ექსკლუზიურად საეკლესიო სასამართლოს მიაკუთვნებდა.¹¹⁹⁵ იტალიის სამოქალაქო კოდექსის 149-ე

¹¹⁸⁶ იქვე.

¹¹⁸⁷ იქვე, 286.

¹¹⁸⁸ იქვე, 284.

¹¹⁸⁹ Constitution of the Republic of Cyprus, 1960, Art.111.

¹¹⁹⁰ Brown B.F., The Relation of Theology and Philosophy to the Forms of Marriage, "Journal of Family Law", Vol.1, Iss.1, 1961, 128.

¹¹⁹¹ Gallagher C., Marriage in Eastern and Western Canon Law, "Law and Justice – Christian Law Review", Vol.157, 2006, 9.

¹¹⁹² Brown B.F., The Relation of Theology and Philosophy to the Forms of Marriage, "Journal of Family Law", Vol.1, Iss.1, 1961, 129.

¹¹⁹³ ცაცანაშვილი მ., სახელმწიფო და რელიგია, თბილისი, 2001, 38.

¹¹⁹⁴ Gori-Montanelli R., Botwinik D.A., Mexican Divorces: Italy, "International Lawyer", №1, 1966-1967, 211.

¹¹⁹⁵ იქვე, 216.

მუხლის (ძველი რედაქცია) თანახმად, ქორწინების შეწყვეტის ერთადერთი საფუძველი ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება იყო.¹¹⁹⁶ 1984 წელს იტალიის სახელმწიფოსა და რომის ეკლესიას შორის დაიდო ვილა მადამას ხელშეკრულება, რომელმაც სრულიად განსხვავებული მონესრიგება დაადგინა და ლატერანის ხელშეკრულების პრინციპები შეცვალა.¹¹⁹⁷ კონკორდატის ცვლილებებთან ერთად, განქორწინების შემოღებამ და აბორტების დაკანონებამ წმინდა საყდრის პოზიციები და მთლიანად იტალიის საზოგადოება რადიკალურად შეცვალა.¹¹⁹⁸

ესპანეთში რელიგიური წესით შესრულებული ქორწინება სამართლებრივი ეფექტის მატარებელია.¹¹⁹⁹ რომის ეკლესიის მიერ ჩატარებულ ჯვრისწერას სამოქალაქო სამართლებრივი შედეგი აქვს და იგი სახელმწიფოს მიერ აღიარებულია.¹²⁰⁰ აღნიშნული უზრუნველყოფილია ესპანეთის სამოქალაქო კოდექსით.¹²⁰¹ მალტამ ვატიკანთან დადებული ხელშეკრულებით სრულად აღიარა არა მარტო კანონიკურად შესრულებული ჯვრისწერის სამართლებრივი ძალა, არამედ ქორწინება-განქორწინებასთან დაკავშირებით საეკლესიო სასამართლოებისა და ტრიბუნალების იურისდიქცია.¹²⁰²

2.3.3. კანონიკური ქორწინების აღიარების ქართული გამოცდილება

ქართული ოჯახი საოჯახო სამართლის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და თვითმყოფადი ფენომენია.¹²⁰³ ისტორიულად საქართველოში საოჯახო ურთიერთობები და სამართალი ქრისტიანობის მნიშვნელოვანი ზეგავლენის ქვეშ იყო, თუმცა ინარჩუნებდა ინდივიდუალურად მისთვის დამახასიათებელ, ასევე, რომის სამართლიდან რეცეფცირებულ მახასიათებლებს.¹²⁰⁴ საოჯახო სამართლის საკითხები, მათ შორის, ნიშნობა, ქორწინება, განქორწინება, მეუღლეთა ურთიერთდამოკიდებულება¹²⁰⁵ და ა.შ. ეკლესიის იურისდიქციას განეკუთვნებოდა.¹²⁰⁶ ქართული ეკლესია სრულად იცავდა სახარებისეულ დებულებას¹²⁰⁷ და რაიმე სამართლებრივ შეზღუდვას სოციალური მდგომარეობის მხრივ განსხვავებულ პირთა ქორწინებაზე არ აწესებდა.¹²⁰⁸ გვიანი შუა საუკუნეების ქართული კანონმდებლობა ქორწინების ორმაგ — რელიგიურ და სამართლებრივ დატვირთვას აღიარებდა.¹²⁰⁹

¹¹⁹⁶ Dwyer C., *Divorce in Italy*, "Quis Custodiet", Vol. 36, 1972, 93.

¹¹⁹⁷ ფერარი ს., სახელმწიფო და ეკლესია იტალიაში, ნიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 246.

¹¹⁹⁸ იქვე, 244.

¹¹⁹⁹ იბანი ი.ს., სახელმწიფო და ეკლესია ესპანეთში, ნიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 172.

¹²⁰⁰ Morán G.M., *The Spanish System of Church and State*, "Brigham Young University Law Review", №2, 1995, 543.

¹²⁰¹ Civil Code of the Kingdom of Spain, Art.60.

¹²⁰² Farrugia R., *The Influence of the Roman Catholic Church in Maltese Family Law and Policy*, in: *The Place of Religion in Family Law: A Comparative Search*, Edited by J. Mair and E. Öricü, Antwerp-Portland, 2011, 200.

¹²⁰³ იხ., ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2000, 31.

¹²⁰⁴ იქვე.

¹²⁰⁵ სურგულაძე ივ., ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევები, წ.1, თბილისი, 2000, 19.

¹²⁰⁶ ვაჩიშვილი ალ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. II, თბილისი, 1948, 50.

¹²⁰⁷ ეპისტოლე პავლე მოციქულისა გალატელთა მიმართ, 3,28.

¹²⁰⁸ ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. VII, თბილისი, 1984, 267.

¹²⁰⁹ ნადარეშივილი გ., ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2005, 154.

საუკუნეების განმავლობაში საქართველოში ქორწინებისა და სხვა მრავალი იურიდიული ფაქტის რეგისტრაციას მართლმადიდებელი ეკლესია ახდენდა. მსგავსადვე ხდებოდა რუსეთის იმპერიასა და სხვა ქრისტიანულ სახელმწიფოებში¹²¹⁰.

ქართული ეკლესიის როლი და ფუნქცია, მათ შორის, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მიმართულებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ძალზე დაკნინდა. საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს დავალებით, დეკანოზ კორნელი კეკელიძის მიერ შექმნილი დებულება „საეკლესიო ქორწინება-განქორწინებისა“ 1918 წელს წარედგინა საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობას.¹²¹¹ 1920 წელს საქართველოს საეკლესიო კრებამ პროექტში ცვლილებები შეიტანა და ორ განცალკევებულ დებულებად მიიღო.¹²¹² სოციალ-დემოკრატიული მთავრობის აგრესიული ქმედებების შედეგად ქართულ სამოციქულო ეკლესიას მნიშვნელოვანი ზიანი მიაღდა,¹²¹³ მყიფე სეკულარიზაციის პროცესის პარალელურად, ეკლესიას ჩამოერთვა ქორწინების რეგისტრაციის უფლება, მის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კი, 1920 წლის 3 დეკემბრის „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის კანონით“, სამართლებრივი აღიარების შესაძლებლობა მოესპო¹²¹⁴.

საქართველოს იძულებითი გასაბჭოების შემდეგ ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულმა ღონისძიებებმა კიდევ უფრო აგრესიული ხასიათი მიიღო. რა თქმა უნდა, რელიგიური ქორწინების საკითხი საბჭოთა კავშირში ნაკლებად აქტუალური იყო, ვინაიდან თავად რელიგია სახელმწიფო პრობლემად იყო მიიჩნეოდა ჯერ კიდევ ლენინის პერიოდიდან მოყოლებული.¹²¹⁵

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჯვრისწერის სამართლებრივი აღიარების საკითხისათვის არავის ეცალა, შესაბამისად, 1997 წლის სამოქალაქო კოდექსმა ტექსტში მხოლოდ სამოქალაქო ქორწინების მომწესრიგებელი ნორმები ასახა.¹²¹⁶ რომ არა კონსტიტუციური შეთანხმება, ჯვრისწერის აღიარებასთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომა იარსებებდა, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციური შეთანხმების შესაბამისი დებულების მიუხედავად, დღეისათვის საკმაოდ რთულია, დადგინდეს საქართველოს კანონმდებლობის სისტემური კუთვნილება. სამოქალაქო კანონმდებლობა კი, რომელიც ამ შემთხვევაში სპეციალურია, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯვრისწერის იურიდიულ შედეგებს არ აღიარებს.

¹²¹⁰ ჩიკვაიძე დ., საეკლესიო სამართალი, თბილისი, 2008, 116.

¹²¹¹ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 439.

¹²¹² იქვე.

¹²¹³ იხ., გეგენავა დ., ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები (1917-1921) და საქართველოს პირველი კონსტიტუცია, წიგნში: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის კონსტიტუცია, დ. გეგენავას და პ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2013, 179-181.

¹²¹⁴ იხ., ჩიკვაიძე დ., საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების კომენტარები, კომენტარები, თბილისი, 2005, 18.

¹²¹⁵ Curtiss J.Sh., Religion as a Soviet Social Problem, "Social Problems", №7, 1959-1960, 328.

¹²¹⁶ იხ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 წიგნის პირველი კარი.

2.4. ჯვრისწერის აღიარებასთან დაკავშირებული სირთულეები

2.4.1. ქორწინების აღიარების სამართლებრივი მოწესრიგება

2.4.1.1. ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა

რელიგიური და სამოქალაქო სამართლის ნორმები საოჯახო და საქორწინო ურთიერთობებთან დაკავშირებით შეიძლება იყოს ერთმანეთის შემავსებელი, პარალელური ან ხშირ შემთხვევაში სანინაალმდეგოც კი.¹²¹⁷ ამ მხრივ, ერთიანი მიდგომა, რასაკვირველია, არ არსებობს, რადგანაც ტრადიციული ქრისტიანული დოგმატიკა და ღირებულებათა სისტემა ხშირ შემთხვევაში თანამედროვე ლიბერალური სახელმწიფოს კონცეფციისგან განსხვავდება. ცხადია, ქორწინებასთან დაკავშირებით მართლმადიდებელ ეკლესიას გაცილებით კონსერვატიული მიდგომა აქვს, ვიდრე — სახელმწიფოს.

კონსტიტუციური შეთანხმება 2002 წელს დაიდო და ჯვრისწერის აღიარების თაობაზე სამართლებრივი დებულება ამავე პერიოდიდან არსებობს. მიუხედავად ამისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არაფერია ნახსენები საეკლესიო ქორწინების აღიარებასთან დაკავშირებით.¹²¹⁸ ამ მხრივ, კანონმდებლობა სრულ ვაკუუმშია. სამოქალაქო კოდექსის მდუმარებას თან ერთვის „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის „სიჩუმეც“. მცდარია შეხედულება, რომ დღესდღეობით საქართველო აღიარებს ჯვრისწერის იურიდიულ შედეგებს, თუ იგი რეგისტრირებულია სამოქალაქო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში,¹²¹⁹ ვინაიდან ქორწინების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი ორგანო ვერ დაარეგისტრირებს ქორწინებას ჯვრისწერის აქტის საფუძველზე. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს: უპირველესად, არ არსებობს რაიმე წესი მსგავსი პროცედურის განხორციელების თაობაზე, საეკლესიო და სამოქალაქო სამართლის ნორმების კოლიზიის გამო შესაძლებელია ჯვრისწერის აქტი პირდაპირ ენიხალმდეგებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და ა.შ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციურ შეთანხმებაში სახელმწიფოს მხრიდან მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ შესრულებული ჯვრისწერის აღიარება მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს ატარებს და კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობებისათვის აუცილებელი სამართლებრივი საფუძველი ვერ გახდება.¹²²⁰ ჯვრისწერის აღიარების წესის არქონის გამო, ჯვრისწერა არარეგისტრირებულ ქორწინებასთანაა გათანაბრებული.¹²²¹ საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა ჯვრისწერის სამართლებრივ დეფინიციას, არ განსაზღვრავს მისი განხორციელების შესაძლებლობებსა და უფლებამოსილებას, ჯვრისწერის რეგისტრაციის პირობებს, მისი გაუქმების საფუძველებს და ა.შ. საკანონმდებლო რეფორმის გარეშე, არსებული მოწესრიგების პირობებში, მოქმედი კანონმდებლობა ჯვრისწერის სამართლებრივი შედეგების აღიარებისათვის სრულიად არაადეკვატურია.

¹²¹⁷ Scharffs B.G., Disparte S., Comparative Models for Transitioning from Religious to Civil Marriage Systems, “Journal of Law and Family Studies”, Vol.12, 2010, 411.

¹²¹⁸ Tsintsadze Kh., Legal Aspects of Church-State Relations in Post-Revolutionary Georgia, “Brigham Young University Law Review”, №3, 2007, 766.

¹²¹⁹ შეად., ცაცანაშვილი მ., სახელმწიფო და რელიგია, თბილისი, 2001, 72.

¹²²⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 15 მაისის №ას-968-1269-07 გადაწყვეტილება.

¹²²¹ იქვე.

2.4.1.2. ქართული საეკლესიო კანონმდებლობა

დროთა განმავლობაში ეკლესიის მიერ ჩამოყალიბებული ყველაზე მკაცრი მონესრიგებაც კი იცვლება. თუ საქმე ძალზე ზუსტ და უმკაცრეს დოგმატიკას არ ეხება, როგორც წესი, თანამედროვე ეკლესია იკონომიის წესით ბევრი ფაქტობრივი გარემოებისა თუ ინსტიტუტის მიმართ შემწყნარებელია. სახელმწიფოს მიერ აღიარებული „სამოქალაქო ქორწინება“ რომის ეკლესიისათვის უბრალო თანაცხოვრება, კონკუბინატი და არა ქორწინება.¹²²² მსგავსადვეა მართლმადიდებელი ეკლესიის შემთხვევაში, რომელიც, მართალია, არ აღიარებს სამოქალაქო ქორწინებას, თუმცა პრაქტიკაში მას გვერდს ვერ უვლის¹²²³.

კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული სამართლებრივი ნორმის იმპლემენტაციაზე საუბრისას შეუძლებელია საკითხის ცალმხრივად აღქმა და განხილვა. ჯვრისწერის სამართლებრივი აღიარების შესახებ დეკლარაციული ნორმის არსებობის მიუხედავად, როცა მისი პრაქტიკაში გატარება და შესაბამის კანონმდებლობაში ასახვა არ ხდება, ეს მხოლოდ სახელმწიფოს პრობლემა არაა. ამ მიმართულებით ეკლესიაც მნიშვნელოვანი პრობლემების წყაროა.

საოჯახო სამართლის სფეროში საეკლესიო სამართალი ყველაზე მოცულობითია, ვინაიდან იგი მოიცავს როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიულ-დოგმატურ საკითხებს, რომლებზეც ყურადღების არგამახვილება დაუშვებელია. მართალია, ქართულ სამოციქულო ეკლესიაში ლიტურგიული და წმინდა რელიგიური კუთხით ჯვრისწერასთან დაკავშირებით საკითხი გარკვეულია, თუმცა საეკლესიო ქორწინების, როგორც იურიდიული ფაქტის, ეკლესიის მიერ აღქმასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები არსებობს.

სამწუხაროდ, ქართულ ეკლესიას არ გააჩნია სისტემატიზებული დოკუმენტი, რომელიც ქორწინებისა და განქორწინების საკითხებს, მათთან დაკავშირებულ სამართლებრივ შედეგებსა და საქორწინო სამართლის სფეროში პირთა უფლებებს მოაწესრიგებდა. მართალია, 1920 წელს ეკლესიამ მიიღო ორი დებულება „ქორწინებისა“ და „განქორწინებისა“,¹²²⁴ თუმცა ისინი დღეს პრაქტიკულად აღარ გამოიყენება, ვინაიდან მათი საფუძველი — საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მართვა-გამგეობის 1920 წლის დებულება, გაუქმებულია. ეკლესიის მართვა-გამგეობის მოქმედი დებულება კი სრულიად გაუმართავი და არასისტემატიზებულია, მისი ნორმების უმრავლესობა კი — ქაოსურად შეცვლილი და არაკოდიფიცირებული. აღნიშნულ დებულებაში ქორწინებისა და განქორწინების თემატიკაზე მხოლოდ ორგანოა საუბარი. პირველი ნორმის თანახმად, ეპარქიის მღვდელმთავარი, ეპისკოპოსი უფლებამოსილია გადაწყვიტოს ქორწინებისა და განქორწინების საკითხები,¹²²⁵ თუმცა აღნიშნული სრულად მის დისკრეციაზეა დამოკიდებული. მეორე შემთხვევაში,

¹²²² Cahil E., Notes on Christian Sociology, “The Irish Mothly”, Vol.LI-LVI, 1923, 480.

¹²²³ Настольная Книга Священнослужителя, IV Т., Издание Московской Патриархии, Москва, 1983, 297.

¹²²⁴ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 439.

¹²²⁵ საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, 1995, VII თავის მე-4 პარაგრაფი.

დებულება საეპარქიო საბჭოს, რომლის ხელმძღვანელიც თავად ეპისკოპოსია, აღჭურავს უფლებამოსილებით, განიხილოს ქორწინებასა და განქორწინებასთან დაკავშირებული საქმეები¹²²⁶.

ქართული სამოციქულო ეკლესიის აქტებიდან ირკვევა, რომ საეკლესიო საქორწინო სამართალი ქართულ ეკლესიაში ძირითადად ზეპირ, გადმოცემით ხასიათს ატარებს და პრაქტიკით წესრიგდება, მას რაიმე ოფიციალური დოკუმენტის სახე ან სამართლებრივი აქტით გამოხატული საფუძველი არ გააჩნია. ამ მხრივ, საეკლესიო კანონმდებლობაში სრული უნონადობაა, კერძოდ, არ არის მკაცრად დადგენილი და დეტალიზებული: დასაქორწინებელ პირთა ასაკი და დაქორწინებისათვის აუცილებელი წინაპირობები, ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები, ჯვრისწერის ჩატარებაზე უფლებამოსილი პირის სტატუსი და საეკლესიო ქორწინების განხორციელების სამართლებრივი პროცედურა, განქორწინების საფუძველები და პროცესი, საქორწინო ხასიათის სამართლებრივი დავის განხილვის სამართლებრივი ასპექტები, ქორწინებისა და განქორწინების კანონიკურსამართლებრივი შედეგები, მეორე და მესამე ქორწინების სამართლებრივი სტატუსი, საეკლესიო და სამოქალაქო ქორწინებათა ურთიერთმიმართება და ა.შ.

ქართული ეკლესიისგან განსხვავებით, საკმაოდ დეტალური მოწესრიგება აქვს საბერძნეთის ეკლესიას, რომელიც როგორც საკუთარი საეკლესიო კანონმდებლობით, ისე სამოქალაქო სამართლის ნორმებით დეტალურად ადგენს ქორწინება-განქორწინებასთან დაკავშირებულ საკითხებს. იგი ითვალისწინებს, რომ ჯვრისწერის განმახორციელებელი სასულიერო პირი უნდა იყოს უფლებამოსილი, „მოქმედი“, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქორწინება ბათილად მიიჩნევა.¹²²⁷ რუსულ ეკლესიაშიც სასულიერო პირი ვალდებულია ჯვრისწერის ცერემონიამდე გამოიკვლიოს, ხომ არ არსებობს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები.¹²²⁸ მსგავსი დანაწესები ქართული სამოციქულო ეკლესიის ოფიციალურ დოკუმენტებში ვერ მოიძებნება, რაც სრულიად წარმოუდგენელს ხდის ჯვრისწერის სამართლებრივი აღიარების იმპლემენტაციას საერო კანონმდებლობის დონეზე.

საბჭოურმა წარსულმა მძიმე დალი დაასვა მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელსაც, უპირველესად, სწორედ საეკლესიო სამართლის კუთხით აქვს მნიშვნელოვანი რეფორმები განსახორციელებელი: აუცილებელია მართვა-გამგეობის ახალი, გამართული დებულების შემუშავება, ასევე, უნდა დადგინდეს ქორწინებისა და განქორწინების უმნიშვნელოვანესი პირობები და სტანდარტები, დამუშავდეს მათი კანონიკურსამართლებრივი მხარე, რაც მთავარია, მოხდეს საეკლესიო კანონმდებლობის ნაწილობრივი, შეძლებისდაგვარად, მაქსიმალური ჰარმონიზაცია საერო კანონმდებლობასთან ქორწინება-განქორწინების მიმართ წაყენებული მინიმალური პირობებისა თუ საფუძველების კუთხით.

2.4.2. საერო და საეკლესიო ნორმათა კოლიზია

2.4.2.1. ასაკი

დასაქორწინებელ პირთა ასაკი ნებისმიერ საოჯახო სამართალში ქორწინების ცენტრალური თემაა. ქართული სამოქალაქო კანონმდებლობაც ქორწინების ერთ-ერთ

¹²²⁶ იქვე, VIII თავის მე-12 პარაგრაფის მე-3 პუნქტი.

¹²²⁷ Civil Code of the Hellenic Republic, Art.1371.

¹²²⁸ Настольная Книга Священнослужителя, IV Т., Издание Московской Патриархии, Москва, 1983, 297.

კუმულაციურ პირობად პირთა მინიმალურ ასაკს ასახელებს, რომელიც ძირითადად 18 წელია.¹²²⁹ 18 წლამდელთა ქორწინებას სახელმწიფო არ აღიარებს, უფრო მეტიც, 16 წელს მიუღწეველ პირთან სქესობრივი კავშირი კრიმინალიზებულია და სისხლის სამართლის წესით ისჯება.¹²³⁰

ქრისტიანულ დოგმატიკაში მინიმალური საქორწინო ასაკი ქალებისთვის ძირითადად 14, ხოლო მამაკაცებისთვის 16 წელს უკავშირდება, რაც ქორწინების კონსუმაციისათვის აუცილებელი ფიზიოლოგიური მზაობითაა განპირობებული.¹²³¹ აღნიშნული მინიმალური საქორწინო ასაკი ეკლესიების მიხედვით განსხვავდება. ივარაუდება, რომ იგი სახელმწიფოს სამოქალაქო კანონმდებლობით განსაზღვრულ მინიმუმს უნდა ემთხვეოდეს.

„საცოლქმროთა უჰასაკობა“ ძველ ქართულ სამართალშიც ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად მიიჩნეოდა.¹²³² რუის-ურბნისის ძეგლისწერით ქალთათვის ქორწინების მინიმალურ ასაკად 12 წელი, ხოლო ზოგადად — სრულწლოვანება განისაზღვრა.¹²³³ თანამედროვე ეპოქაში კი საქართველოს ეკლესიის 1920 წლის „ქორწინების“ დებულება ქორწინების ნებას რთავდა 17-დან 70 წლამდე მამაკაცებსა და 15-დან 60 წლამდე ქალებს.¹²³⁴ სამწუხაროდ, ქართულ ეკლესიას არ გააჩნია სისტემატიზებული და ერთიანი მიდგომა საქორწინო ასაკთან დაკავშირებით, შესაბამისად, აღნიშნული არც რომელიმე სამართლებრივი აქტით განისაზღვრება. სასულიერო პირებს ზეპირად ევალებათ გამოიკვლიონ საქორწინო გარემოებები, თუმცა ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში რამდენიმე ასეული შემთხვევა შეიძლება მოინახოს, როდესაც სასულიერო პირებმა ჯვარი 18 წელს მიუღწეველ პირებს დასწერეს, რაც სამოქალაქო კანონმდებლობის დარღვევაა. ამ შემთხვევაში ისმის კითხვა, თუ როგორ უნდა აღიაროს სახელმწიფომ ჯვრისწერის იურიდიული შედეგი, როცა იგი დიდი ალბათობით მოქმედ კანონმდებლობას შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს.

აუცილებელია ეკლესიის წიაღში, კანონიკურსამართლებრივ დონეზე, ოფიციალურად დადგინდეს მინიმალური საქორწინო ასაკი სამოქალაქო კანონმდებლობის მოწესრიგების გათვალისწინებით და ჯვრისწერის განმახორციელებელ სასულიერო პირებს დაევალოთ ასაკისა და სხვა გარემოებათა გამოკვლევა. თუკი არ მოხდა ამ ყოველივეს სამართლებრივი რეგლამენტაცია, წარმოუდგენელია სახელმწიფომ ჯვრისწერის რაიმე ფორმით აღიარება ითავოს.

2.4.2.2. ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები

საუკუნეთა განმავლობაში ეკლესიამ შეიმუშავა და დაადგინა ჯვრისწერის დამაბრკოლებელი გარემოებები.¹²³⁵ იგი მეტ-ნაკლებად საერო ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებებს ემთხვევა, თუმცა განსხვავებებიც შეიმჩნევა, რასაც

¹²²⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹²³⁰ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლი.

¹²³¹ Orsy L., Marriage in the Code of Canon Law, “Law and Justice”, 1988-1989, 13.

¹²³² ქართული ჩვეულებითი სამართალი, IV ნაწ., მ. კეკელიას რედაქტორობით, თბილისი, 1993, 147.

¹²³³ რუის-ურბნისის ძეგლისწერა, მე-10 კანონი.

¹²³⁴ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 439.

¹²³⁵ იხ., ჩიკვაიძე დ., საეკლესიო სამართალი, თბილისი, 2008, 115-116.

ჯვრისწერის რელიგიური ხასიათი განაპირობებს. საკმაოდ მკაცრი შეზღუდვები და ქორწინების ხელისშემშლელი პირობები იყო დადგენილი ქართული ჩვეულებითი სამართლითაც, რომელიც ხშირ შემთხვევაში სასულიერო კანონმდებლობაზე გაცილებით მაღალ სტანდარტს აწესებდა. ფშაური მასალების მიხედვით, ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად ერთი გვარისადმი კუთვნილებაც იყო.¹²³⁶ აკრძალვის პრაქტიკულ მოქმედებას მკაცრი სასჯელები უზრუნველყოფდა.¹²³⁷ ფშავეს ხევსურეთში არა მხოლოდ ერთი გვარის წარმომადგენლებს, არამედ მათაც, ვინც ტერიტორიულად ახლოს ცხოვრობდნენ, ერთმანეთზე დაქორწინება ეკრძალებოდათ.¹²³⁸ ძველ ქართულ ჩვეულებით სამართალში ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არგათვალისწინება უმკაცრესად ისჯებოდა, რითაც ხალხი ხაზს უსვამდა მსგავს ქმედებათა მძიმე დანაშაულებრივ ხასიათს.¹²³⁹

დღესდღეობით, როცა ურთიერთობათა არეალი ძალზე დიდია და შეუძლებელია თითოეული ქორწინების შესახებ ინფორმაცია ყველას მიენოდოს, რათა ადამიანური მანკიერება და ტყუილი მაქსიმალურად გამოირიცხოს, მნიშვნელოვანია, არსებობდეს ქმედითი მექანიზმი, რომლითაც უფლებამოსილი პირი დეტალურად შეისწავლის დაქორწინების მსურველთა განაცხადს, მათ ურთიერთმიმართებას ნათესაობის მხრივ, გამოიკვლევს ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებათა არსებობას და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი, წყვილმა იქორწინოს. ამ მხრივ, მისაბაძია საბერძნეთის ეკლესია, რომელიც დღემდე წმ. ეგნატე ღმერთშემოსილის ცნობილი მოსაზრებით მოქმედებს: „ქორწინების მსურველთ, მამაკაცებსაც და დედაკაცებსაც, მართებთ ერთობა ეპისკოპოსის აზრის თანახმად, რათა უფლისმიერ და არა წადიერებისამებრ, იქმნას ქორწინება“¹²⁴⁰. სამოქალაქო თუ საეკლესიო ქორწინებისათვის ქრისტიანული ეკლესიის წევრთათვის აუცილებელია შესაბამისი ეპარქიის მღვდელმთავრის, ეპისკოპოსის თანხმობა¹²⁴¹.

მნიშვნელოვანია, დადგინდეს შესაბამისი მღვდელმთავრისადმი მიმართვის ვალდებულება, რაც ჯვრისწერის ჩატარების ადგილმდებარეობის მიხედვით განისაზღვრება, მცხეთა-თბილისის, ასევე, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის შემთხვევაში, უფლებამოსილი მღვდელმთავარი, პატრიარქის გარდა, მისი ქორეპისკოპოსიც იქნება. ეპისკოპოსსა და საეპარქიო საბჭოს უნდა დაევალოს, თითოეულ განცხადებასთან დაკავშირებით დეტალურად გამოარკვიოს საქმის გარემოებანი, შეისწავლოს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები, შეაფასოს, რამდენად დაცულია სამოქალაქო და საეკლესიო კანონმდებლობით ქორწინებისათვის დადგენილი მინიმალური სტანდარტი. მხოლოდ ამ მოქმედებათა განხორციელების შემდეგ უნდა გაიცეს დაქორწინებაზე ნებართვა.

განმცხადებელს უნდა დაევალოს საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად დაქორწინების თაობაზე განცხადებას თან დაურთოს ცნობა სამოქალაქო რეგისტრაციის ორგანოდან, რომ არ იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში. სწორედ საეკლესიო ქორწინების სამართლებრივი ეფექტიდან გამომდინარე, აუცილებელია, ეკლესიამ რეგისტრირებული სამოქალაქო ქორწინება ჯვრისწერის დამაბრკოლებელ გარემოებად

¹²³⁶ ქართული ჩვეულებითი სამართალი, IV ნაწ., მ. კეკელიას რედაქტორობით, თბილისი, 1993, 145.

¹²³⁷ ქართული ჩვეულებითი სამართალი, III ნაწ., ს. ხანჯალაძის რედაქტორობით, თბილისი, 1991, 23.

¹²³⁸ იქვე, 24.

¹²³⁹ იქვე, 26.

¹²⁴⁰ ბუმისი პ.ი., კანონიკური სამართალი, ი. გარაყანიძის თარგმანი, თბილისი, 2007, 101.

¹²⁴¹ იქვე, 103.

ცნოს. მსგავსი პრაქტიკა მოქმედებს საბერძნეთის ეკლესიაში, სადაც წმინდა სინოდის განჩინებით, აღნიშნული საეკლესიო ქორწინების ხელისშემშლელ ფაქტადა მიჩნეული¹²⁴².

2.4.2.3. განქორწინება

ქორწინების მსგავსად, სრულიად მოუწესრიგებელია განქორწინების სამართლებრივი სტატუსი, პროცედურა და სამართლებრივი შედეგები. განქორწინებას, როგორც იურიდიულ ფაქტს, არანაკლები ფრთხილი და საპასუხისმგებლო მიდგომა სჭირდება. ამ შემთხვევაში, უმთავრესია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს განქორწინების თეოლოგიური და სამართლებრივი მხარე.

რომის სამართალი ქორწინებასა და განქორწინებას კერძო, პირად საკითხად განიხილავდა.¹²⁴³ იუსტინიანემ 117-ე ნოველით აკრძალა მეუღლეთა შეთანხმებით განქორწინება.¹²⁴⁴ ნოველით განქორწინება მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში დაიშვებოდა და ეს გარემოებები სრულად ეფუძნებოდა მართლმადიდებელი ეკლესიის გამოცდილებასა და პრაქტიკას.¹²⁴⁵ საუკუნეების განმავლობაში მართლმადიდებელი ეკლესია შეუწყნარებელი იყო განქორწინების მიმართ და მოქმედებდა რა, სახარებისეული დებულებით — „ვითარმედ არღარა არიან ორ, არამედ ერთ ჯორც. ანუკუე რომელნი-იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებს“¹²⁴⁶, ქორწინების შეწყვეტის ერთადერთ საფუძვლად სიკვდილს განიხილავდა¹²⁴⁷.

აღმოსავლეთის ეკლესია ყოველთვის მკაცრად უდგებოდა ქორწინების სინმინდის საკითხს, განქორწინების საფუძვლად მრუშობის, სქესობრივი უვარგისობის, უშიშრობისა და სოდომური ცოდვის პარალელურად, ქალწულობის დაკარგვასაც მიიჩნევდა.¹²⁴⁸ ჯავახიშვილის აზრით, სქესობრივი ზნეობა დროთა განმავლობაში იცვლებოდა, „ცხოვრებამ და ქრისტიანობამ ქალ-ვაჟის ყოველგვარი სქესობრივი კავშირი დანაშაულად გამოაცხადა. ამგვარადვე, ცოლისა და ქმრის ღალატიც მიუტევებელ ცოდვად იყო მიჩნეული“¹²⁴⁹. დროთა განმავლობაში განქორწინებასთან დაკავშირებით ქრისტიანული ეკლესიის პოზიცია შერბილდა, XX საუკუნეში ეკლესია განქორწინების მიმართ გაცილებით შემწყნარებელი გახდა,¹²⁵⁰ რაც განქორწინების საფუძვლად რამდენიმე ყოფითი, აუცილებელი საფუძვლის დაწესებაში გამოიხატება. ეკლესია მალევე მიხვდა, რომ ზოგიერთი ადამიანური სისუსტის დაძლევა და გადალახვა ყველას არ ხელენიფება, შესაბამისად, გარკვეულ შემთხვევებში ქორწინების შეწყვეტა დაუშვა.¹²⁵¹ მაგ., ეკლესიამ მეუღლეთა ხასიათების უკიდურესი სხვაობა

¹²⁴² Encyclical 2320/19-5-82 of the Holy Synod of the Church of Greece.

¹²⁴³ Gallagher C., Marriage in Eastern and Western Canon Law, “Law and Justice – Christian Law Review”, Vol.157, 2006, 12.

¹²⁴⁴ იქვე.

¹²⁴⁵ იქვე.

¹²⁴⁶ სახერაბაჲ მათესი, 19,6.

¹²⁴⁷ Rodopoulos P., An Overview of Orthodox Canon Law, translated by W.J. Lillie, Rollinsford, 2007, 193.

¹²⁴⁸ იხ., ნადარეიშვილი გ., ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2005, 160.

¹²⁴⁹ იხ., ქართული ჩვეულებითი სამართალი, III ნაწ., ს. ხანჯალაძის რედაქტორობით, თბილისი, 1991, 82.

¹²⁵⁰ Rodes R.E.jr., Natural Law and the Marriage of Christians, “The Jurist”, №35, 1975, 414.

¹²⁵¹ Rodopoulos P., An Overview of Orthodox Canon Law, translated by W.J. Lillie, Rollinsford, 2007, 200.

განქორწინებისათვის საპატიო მიზეზად მიიჩნია.¹²⁵² თანამედროვე ეპოქაში მართლმადიდებელი ეკლესია უშვებს განქორწინებას მეუღლეთა შეთანხმებითაც¹²⁵³.

იტალიაში განქორწინება 1970 წლამდე აკრძალული იყო, თუმცა სეკულარიზაციის პროცესის გააქტიურება საოჯახო ურთიერთობებზეც აისახა, რამაც შემდგომში უკვე აბორტის დეკრიმინალიზაცია და სხვა მნიშვნელოვანი ძვრები გამოიწვია.¹²⁵⁴ ესპანეთში რელიგიური წესით ჩატარებული ქორწინების გაუქმების უფლება საეკლესიო სასამართლოს, პაპს ან სამოქალაქო რეგისტრაციის ორგანოებს აქვთ.¹²⁵⁵ განქორწინების თაობაზე საეკლესიო სასამართლოების გადაწყვეტილება ძალაშია, თუ მას ესპანეთის სახელმწიფო, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, აღიარებს.¹²⁵⁶ მიუხედავად იმისა, რომ ირლანდიამ 1972 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით სახელმწიფო რელიგია გააუქმა, განქორწინება 1986 წლის საკონსტიტუციო რეფორმის განხორციელებამდე ოფიციალურად ნებადართული არ იყო¹²⁵⁷.

კვიპროსში ბერძნული ეკლესიის მიერ შესრულებული ჯვრისწერის მიმართ საეკლესიო სამართალი მოქმედებს და განქორწინებაც მისი წესების შესაბამისად უნდა მოხდეს.¹²⁵⁸ საბერძნეთში რელიგიური ქორწინების გაუქმებაზე უფლებამოსილია სამოქალაქო სასამართლო, — ეკლესია, მართალია, მონაწილეობს კონსულტაციებსა და გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ თავად ახორციელებს გვირგვინის ახდის რიტუალს, თუმცა ვერ ერევა სამოქალაქო სასამართლოს საქმიანობაში¹²⁵⁹.

მართლმადიდებელ ეკლესიაში საეკლესიო ქორწინების გაუქმების უფლებამოსილება მხოლოდ მღვდელმთავარს აქვს,¹²⁶⁰ რომელიც საეკლესიო სასამართლოს ფუნქციას ითავსებს. შესაძლებელია ჯვრისწერა, როგორც იურიდიული ფაქტი, სამოქალაქო რეგისტრაციის ორგანომაც გააუქმოს. თუმცა ამ შემთხვევაში საეკლესიო ქორწინება გაუქმდება სახელმწიფოსთვის, ეკლესიისათვის კი იგი არსებობას გააგრძელებს იქამდე, სანამ ქორწინებას უფლებამოსილი მღვდელმთავარი არ ცნობს დასრულებულად.

ქართულმა ეკლესიამ განქორწინებასთან დაკავშირებით უნდა შეიმუშაოს საკმაოდ დეტალური და ვრცელი მონესრიგება. მსგავსი დებულებების არარსებობა მნიშვნელოვნად აფერხებს და შეიძლება ითქვას, შეუძლებელსაც კი ხდის ჯვრისწერის სამართლებრივ აღიარებას. განქორწინება, თავის მხრივ, მომავალი, ახალი ქორწინებისა

¹²⁵² ნადარეიშვილი გ., ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2005, 160.

¹²⁵³ ბუმისი პ.ი., კანონიკური სამართალი, ი. გარაყანიძის თარგმანი, თბილისი, 2007, 119.

¹²⁵⁴ ფერარი ს., სახელმწიფო და ეკლესია იტალიაში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 244.

¹²⁵⁵ იბანი ი.ს., სახელმწიფო და ეკლესია ესპანეთში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 172-173.

¹²⁵⁶ Civil Code of Spain, Art.80.

¹²⁵⁷ Harding M., Religion and Family Law in Ireland: From A Catholic Protection of Marriage to A “Catholic” Approach to Nullity, in: The Place of Religion in Family Law: A Comparative Search, Edited by J. Mair and E. Öricü, Antwerp-Portland, 2011, 177.

¹²⁵⁸ ემილიანიდესი ა., სახელმწიფო და ეკლესია კვიპროსში, წიგნში: წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 286.

¹²⁵⁹ პაპასტატიისი კ., სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 153.

¹²⁶⁰ Настольная Книга Священнослужителя, IV Т., Издание Московской Патриархии, Москва, 1983, 300.

და სხვა სამართალურთიერთობებისათვის მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ გარემოებად შეიძლება იქცეს. აუცილებელია *numerus clausus* პრინციპით განისაზღვროს განქორწინების საფუძვლები, პროცედურა, განქორწინების თაობაზე გადანყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირი ან ორგანო, ასევე, სამართლებრივი შედეგები, რომელიც მის, როგორც სამართლებრივი ფაქტის, გაუქმებას უკავშირდება.

აქვე აღსანიშნავია, რომ იმ სახელმწიფოებშიც კი, რომლებიც რელიგიური ქორწინების სამართლებრივ შედეგებს აღიარებენ, ძირითად შემთხვევაში რელიგიური გაერთიანებები არ არიან უფლებამოსილი, შეწყვიტონ მათ მიერ შესრულებული ქორწინება სახელმწიფოს წინაშე.¹²⁶¹ რელიგიური ქორწინების აღიარების მიუხედავად, განქორწინება სრულად სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშაა და რელიგიური გაერთიანების გადანყვეტილებას ამ საკითხთან დაკავშირებით არავითარი გავლენის მოხდენა არ შეუძლია.¹²⁶² საქართველოში, რისკების თავიდან აცილებისა და სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობისათვის, აუცილებელია ქორწინების შეწყვეტაზე გავრცელდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესი, რომელიც ეკლესიასთან შედარებით, გაცილებით მეტად შემწყნარებელია და მხარეებს მეტ თავისუფლებასაც ანიჭებს. რამდენად მიმართავენ განქორწინების მსურველნი ეკლესიასა და კანონიკურად გააუქმებენ თუ არა დამატებით მათ ქორწინებას, ეს სრულად მათი ნების თავისუფლებას უნდა იყოს მინდობილი.

2.4.3. საეკლესიო ფაქტები და მათი რეგისტრაცია

ჯვრისწერის აღიარების პროცესში მნიშვნელოვანი დაბრკოლება საეკლესიო, კანონიკურსამართლებრივი ფაქტების ერთიანი რეგისტრაციის არარსებობაცაა. ეს ყოველივე კი არა მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან ჯვრისწერის აღიარების, არამედ ძალიან ბევრი სხვა მიმართულებით არსებული პრობლემის წყაროა.

ქართული სამოციქულო ეკლესია არ ანარმობს საეკლესიო ფაქტთა ერთიან რეესტრს და ეს ყოველივე ტაძრებისთვისაა მინდობილია. კონკრეტული ეკლესია თავად ახორციელებს ნათლობის, ჯვრისწერისა და სხვა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების აღრიცხვას, თუმცა ეს არაა სისტემატიზებული და მკაცრად კონტროლირებადი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გასცემს ჯვრისწერის დამადასტურებელ მოწმობას, რომელზეც აღიბეჭდება ტაძრის ბეჭედი და იმ უფლებამოსილი სასულიერო პირის ხელმოწერა, რომელმაც ქორწინების რიტუალური აღასრულა.¹²⁶³ ქართულ სინამდვილეში ყოფილა და ახლაც ხშირია შემთხვევები, როცა ერთი და იგივე პირი იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში და იმავდროულად, სხვა პირზეა

¹²⁶¹ Jänterä-Jareborg M., The Legal Scope for Religious Identity in Family Matters - The Paradoxes of the Swedish Approach, in: The Place of Religion in Family Law: A Comparative Search, Edited by J. Mair and E. Öricü, Antwerp-Portland, 2011, 93.

¹²⁶² Wardle L.D., Marriage and Religious Liberty: Comparative Law Problems and Conflict of Law Solutions, "Journal of Law & Family Studies", Vol.12, 2010, 327; მაგ., შვედეთში ნებისმიერი წესით შესრულებული ქორწინების შეწყვეტა განქორწინების გზით მხოლოდ სასამართლოს გადანყვეტილების საფუძველზეა შესაძლებელი. იხ., Jänterä-Jareborg M., The Legal Scope for Religious Identity in Family Matters - The Paradoxes of the Swedish Approach, in: The Place of Religion in Family Law: A Comparative Search, Edited by J. Mair and E. Öricü, Antwerp-Portland, 2011, 93.

¹²⁶³ <<http://www.orthodoxy.ge/samartali/jvristsera.htm>> [01.06.2014]

ჯვარდანერილი.¹²⁶⁴ გაცილებით უარესი და ამორალურია შემთხვევა, როდესაც პირი ერთსა და იმავე დროს ორ საეკლესიო ქორწინებაში იმყოფება, რაც საეკლესიო სამართლითა და დოგმატიკით აკრძალულია. თავისუფლად შეიძლება ეკლესიის წევრმა ერთი დღის განმავლობაში რამდენიმე ქალაქში ისე დაინეროს ჯვარი, რომ ამის შესახებ არც საეკლესიო ქორწინების განმახორციელებელმა სასულიერო პირმა და არც სხვა ადამიანებმა იცოდნენ. სამწუხაროდ, ეკლესია სრულად მინდობილია კონკრეტული ინდივიდის სინდისსა და პატიოსნებაზე, რაც XXI საუკუნეში სამართლებრივ არგუმენტად ვერ მიიჩნევა. ჯვრისწერის ცერემონიის ჩატარება უმრავლეს შემთხვევაში ისე ხდება, რომ განმახორციელებელი პირი საერთოდ არ ინტერესდება დასაქორწინებელი პირები არიან თუ არა ეკლესიის წევრები. პრაქტიკაში თავისუფლად შესაძლებელია, ჯვარი მოუნათლავდეს კი დაინეროს, რაც კანონიკის უხეში და ყოვლად გაუმართლებელი დარღვევაა. ამ ყველაფრის გამომწვევი მიზეზი კი ძირითადად ორი მიმართულებით წარმოჩინდება: 1. ერთიანი სისტემატიზაციის, რეესტრის არარსებობა და 2. ფაქტების გადამოწმების შეუძლებლობა და არასავალდებულოობა.

საბერძნეთის სამოქალაქო კანონმდებლობით, მართლმადიდებელ ეკლესიაში ჯვრისწერისათვის აუცილებელია მიტროპოლიტის ლიცენზია, რაც ქორწინების სამოქალაქოსამართლებრივი ნებართვის ტოლფასია, რომელიც ბევრ ევროპულ სახელმწიფოში არსებობს.¹²⁶⁵ აღნიშნული მექანიზმით რამდენიმე გართულების პრევენცია ერთდროულად ხორციელდება. მღვდელმთავარი და საეპარქიო დანესებულებები ჯვრისწერის ნებართვის, ლიცენზიის გაცემისას ამომწებენ განმცხადებელთა ეკლესიის წევრობას, ქორწინებისათვის აუცილებელი პირობების არსებობასა და ხელისშემშლელი გარემოებების არარსებობას.

ქართულ ეკლესიაში უნდა შეიქმნას საეკლესიო ფაქტების ერთიანი რეესტრი, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ეკლესიას, თვალყური ადევნოს კანონიკური წესების შესრულებას და თავიდან აიცილოს ადამიანთა მანკიერებით გამოწვეული პრობლემები, პარალელური ქორწინებები და ა.შ.

3. რელიგიური დღესასწაულები

3.1. რელიგიურ დღესასწაულებზე უქმობა

ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობების ისტორიის გათვალისწინებით, სახელმწიფოს ოფიციალური დღესასწაულები და უქმე დღეები, ხშირად სწორედ ქვეყნის მთავარი რელიგიური გაერთიანების დღესასწაულებს ემთხვეოდა. რა თქმა უნდა, სეკულარიზაციის აქტიური პროცესის შედეგად რელიგიური დღესასწაულების საერო აღნიშვნა თანდათან შეწყდა, რამაც უქმე დღეების შემცირება გამოიწვია.

ეკლესია ვერ იქნება განყენებული და ვერ გაემიჯნება სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენებს, უფრო მეტიც, იგი ეროვნულ ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს, ხანდახან კი პოლიტიკურ-ეკონომიკურ ტენდენციებსაც კი შეიძლება ასახავდეს.¹²⁶⁶ შესაბამისად, ეკლესიას მოუწია სახელმწიფო პოლიტიკის გათვალისწინება და რა თქმა

¹²⁶⁴ იხ., იქვე.

¹²⁶⁵ პაპასტატიის კ., სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 152-153.

¹²⁶⁶ კურტანდიე კ., ესქატოლოგიური პოლიტოლოგია, არსებობს თუ არა ეკლესიური იდეოლოგია?, ჟურნ. „სოლიდარობა“, №2(35), 2010, 74.

უნდა, ითვალისწინებს გარემოებას, რომ ყველა რელიგიურ დღესასწაულზე უქმობის შემთხვევაში, სახელმწიფო საერო კი არა სასულიერო წყობაზე იქნება დამყარებული, რაც ქვეყანაში ელემენტარულ სანარმოო, შრომით და ეკონომიკურ ურთიერთობებს გაანადგურებს.

დომინანტი რელიგიური ჯგუფის დღესასწაულების ოფიციალურ უქმეებად გამოცხადება სრულიად ბუნებრივია, მთავარია, სახელმწიფოს შექმნას ისეთი სამართლებრივი გარემო, სადაც დასაქმებულებს შეეძლებათ თავიანთი რელიგიის დიდ დღესასწაულებზე უქმობა შესაბამისი წესითა და ალტერნატივის შესაძლებლობით.¹²⁶⁷ ასევე, მიჩნეულია, რომ სახელმწიფოს დღესასწაულთა და უქმე დღეთა უმრავლესობა მოსახლეობის უმრავლესობის რელიგიურ დღესასწაულებს ემთხვევა.¹²⁶⁸ ამასთან, აღსანიშნავია, რომ ევროსასამართლო აღიარებს რელიგიურ დღეებზე უქმობის შესაძლებლობას შესაბამისი პირობებისა და სამსახურის სპეციფიკის გათვალისწინებით, ალტერნატივის შეთავაზებით,¹²⁶⁹ რაც იმას გულისხმობს, რომ არა აქვს მნიშვნელობა კონკრეტული რელიგიური დღესასწაული უქმე დღეა თუ არა სახელმწიფოში, დამსაქმებელმა უნდა გაითვალისწინოს დასაქმებულის თხოვნა და სამსახურებრივი ვალდებულებებისგან დროებით გაათავისუფლოს, გაცდენილი საათების სხვა, ალტერნატიულ დღეს ანაზღაურების პირობით.

3.2. რელიგიურ დღესასწაულებზე უქმობა საქართველოში

საქართველოში რელიგიური დღესასწაულების უქმე დღეების რიცხვიდან მასშტაბურად ამოღება პირველად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მოხდა. დამოუკიდებლობის აღდგენამდე უქმე დღეებს სამრეწველო შრომის წესდების 198-ე მუხლი და ამიერკავკასიის კომისარიატის 1917 წლის 29 ნოემბრის დეკრეტის მე-20 მუხლი ადგენდა.¹²⁷⁰ 1919 წლის 17 ივნისის დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი „უქმე დღეების რიცხვის შემცირებისა“ და უქმე დღეების ჩამონათვალიდან ამოიღო: მირქმა უფლისა (15 თებერვალი); დიდი პარასკევი, აღდგომის მესამე დღე — სამშაბათი, სულთმოფენობის მეორე დღე, ფერისცვალება უფლისა (19 აგვისტო), მიძინება ღვთისმშობლისა (28 აგვისტო), ჯვართამაღლება (27 სექტემბერი) და ტაძრად მიყვანება ღვთისმშობლისა (4 დეკემბერი)¹²⁷¹.

საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში დანარჩენი რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა არათუ გაუქმდა, საერთოდ აიკრძალა. მათ ნაცვლად კი დაწესდა ქართული საზოგადოებისათვის უცხო დღესასწაულები, რომლებიც საბჭოეთთან, კომუნისტურ პარტიასთან და მის იდეოლოგიასთან იყო დაკავშირებული. დამოუკიდებლობის

¹²⁶⁷ Ringelheim J., *Rights, Religion and the Public Sphere: the European Court of Human Rights in Search of a Theory?* in: *Law, State and Religion in the New Europe*, Edited by L. Zucca and C. Ungureanu, Cambridge, 2012, 298.

¹²⁶⁸ იხ., *X v. the United Kingdom*, [ECHR], App. no. 8231/78, 6 March 1982, D.R.28.

¹²⁶⁹ იხ., *Kosteski v. the Former Yugoslav Republic of Macedonia*, [ECtHR], App. no. 55170/00, 13 April 2006, Para.37.

¹²⁷⁰ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921, თბილისი, 1990, 273.

¹²⁷¹ იხ., საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 17 ივნისის კანონი „უქმე დღეების რიცხვის შემცირებისა“.

აღდგენისთანავე ყველა მსგავსი დღესასწაული გაუქმდა, ეროვნულმა მთავრობა აღადგინა ისტორიული და რელიგიური დღესასწაულები¹²⁷².

რაც შეეხება თანამედროვე საქართველოსა და მოქმედ კანონმდებლობას, საქართველოს შრომის კოდექსი ჯამში 17 უქმე დღეს აღგენს, მათგან 10 კი მართლმადიდებელი ეკლესიის დღესასწაულია.¹²⁷³ მართლმადიდებელი ქრისტიანების რაოდენობის პროცენტული მაჩვენებელი საქართველოში იმხელაა, სულაც არაა გასაკვირი, რომ საერთო-სახელმწიფოებრივი დღესასწაულების უმრავლესობა საეკლესიო ხასიათის მატარებელია.¹²⁷⁴ უქმეებად გამოცხადებული დღესასწაულებია: 1. 7 იანვარი – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღე; 2. 19 იანვარი – ნათლისღება – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს გაცხადების დღე; 3. დიდი პარასკევი (გარდამავალია); 4. დიდი შაბათი (გარდამავალია); 5. უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღე (გარდამავალია); 6. მიცვალებულთა მოხსენიების დღე – აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი (გარდამავალია); 7. 12 მაისი – საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის – წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე; 8. 28 აგვისტო – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე (მარიაშობა); 9. 14 ოქტომბერი – მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღე; 10. 23 ნოემბერი – გიორგობის დღე.¹²⁷⁵ შრომის კოდექსი ნებას რთავს დასაქმებულს, დამსაქმებელთან შეთანხმებით, კოდექსის მე-20 მუხლით განსაზღვრული უქმე დღეების ნაცვლად, სხვა დასვენების დღეები მოითხოვოს¹²⁷⁶.

3.3. კონსტიტუციური შეთანხმებით ნაკისრი „ვალდებულება“

რელიგიურ დღესასწაულებს კონსტიტუციური შეთანხმების პირველი მუხლი ეხება. დებულების თანახმად, დიდი საეკლესიო დღესასწაულები და კვირა დასვენების დღეებად ცხადდება.¹²⁷⁷ რა თქმა უნდა, კვირა საუკუნოვანი პრაქტიკით, ქრისტიანობის დამსახურებით, ისედაც დასვენების დღედაა მიჩნეული, იგი აღდგომის „სახედ“ მიიჩნევა,¹²⁷⁸ თუმცა კონსტიტუციურ შეთანხმებაში მისი მოხსენიება, ერთგვარად, ამ ფაქტის ხაზგასმაა.

დიდ საეკლესიო დღესასწაულებად, კონსტიტუციური შეთანხმების დადების მომენტისთვის უკვე დასვენების დღედ გამოცხადებულების გარდა, შეთანხმების ტერმინთა განმარტება მოიაზრებს შემდეგ დღესასწაულებს: ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (გარდამავალია, აღინიშნება აღდგომიდან მე-40 დღეს); უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის სწორი, ბასილი დიდის ხსენების დღე (14 იანვარი); მირქმა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი (15 თებერვალი); ხარება ყოვლადწმიდა

¹²⁷² ხეცურიანი ჯ., სახელმწიფო და ეკლესია, ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2013, 12.

¹²⁷³ იხ., საქართველოს შრომის კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწილი.

¹²⁷⁴ Merriman S.A., Religion and the State, An International Analysis of Roles and Relationship, Santa Barbara, 2009, 177.

¹²⁷⁵ საქართველოს შრომის კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“, „გ“, „ზ“, „ი“, „ლ“, „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტები.

¹²⁷⁶ იქვე, მე-2 პუნქტი.

¹²⁷⁷ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების პირველი მუხლის მე-6 პუნქტი.

¹²⁷⁸ ჩიკვაიძე დ., საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების კომენტარები, კომენტარები, თბილისი, 2005, 15.

ღვთისმშობლისა (7 აპრილი); ფერისცვალება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (19 აგვისტო); შობა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა (21 სექტემბერი); მსოფლიო ამაღლება პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვრისა (27 სექტემბერი); ტაძრად მიყვანება ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისა (4 დეკემბერი); საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის — წმიდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე (12 მაისი); წმიდა ნინოს ხსენების დღე (27 იანვარი); სააღდგომო დღეები - დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, აღდგომის კვირადღე (გარდამავალი).¹²⁷⁹ კონსტიტუციური შეთანხმების დადების შემდეგ სააღდგომო დღეები და საქართველოს სამოციქულო საყდრის დამაარსებლის, წმიდა ანდრია პირველწოდებულების ხსენების დღე — 12 მაისი, სახელმწიფომ უქმედ გამოაცხადა.

კონსტიტუციურ შეთანხმებაში მოცემული დებულება ვერცერთ შემთხვევაში ვალდებულებად ვერ განიხილება. „როგორც წესი“ — მსგავსი კონსტრუქციის შემთხვევაში, არა ვალდებულება, არამედ შესაძლებლობაა მოცემული. ეს კი სახელმწიფოს კეთილ ნებაზეა დამოკიდებული და იგი მხოლოდ სურვილის შემთხვევაში გამოცხადებს სხვა დიდ საეკლესიო დღესასწაულებს დასვენებად. მცდარია მოსაზრება, რომ კონსტიტუციური შეთანხმებით სახელმწიფო 12 საუფლო და განმარტებაში მოცემული სხვა დღესასწაულების დასვენების დღეებად გამოცხადების ვალდებულება იტვირთა.¹²⁸⁰ მართალია, შეთანხმების ტექსტის თანდართულ განმარტებებში „დიდი დღესასწაულების“ განმარტებისას გამოყენებულია ფრაზა — „რომლებიც უკვე დასვენების დღეებად გამოცხადებულ ზეიმებს უნდა დაემატოს“, თუმცა აღნიშნულის განყენებულად ინტერპრეტაცია დაუშვებელია. ამ შემთხვევაში ორივე დებულება ერთობლივად, სისტემურად უნდა განიმარტოს, რაც სახელმწიფოსთვის რაიმე მოვალეობის დაკისრების შესაძლებლობას გამორიცხავს. შეთანხმების პირველი მუხლის მე-6 პუნქტი დეკლარაციული ხასიათისაა და არანაირად ატარებს ნორმატიული ვალდებულების სახეს, შესაბამისად, მისი არსებობა კონსტიტუციური შეთანხმების ტექსტში კვლავაც ფაქტისა და კეთილი ნების კონსტანტაციაა და არა სამართლებრივი შინაარსის შემცველი ნორმატივი.

4. საფინანსო-ეკონომიკური ვალდებულებები

4.1. კომპენსაცია

პოლიტიკური რეჟიმების ცვლილება და გარდამავალი პერიოდი ყოველთვის ინვევს კომპენსაციის თემის წინა პლანზე წამოწევას. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ტოტალიტარული რეჟიმიდან დემოკრატიულზე გადასვლის პროცესში, თუმცა, იმავდროულად, ძალიან საფრთხილოა, რადგან არასწორმა პოლიტიკამ და გაუმართლებელმა ორიენტირებმა, შესაძლოა ტრანფორმაციის პროცესში მყოფ სახელმწიფოსა და საზოგადოებას მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენოს.

რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში ქართული სახელმწიფოებრიობის, ხალხის, კულტურისა და რელიგიის მიმართ გაუგონარი სისასტი-

¹²⁷⁹ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების ტერმინთა განმარტება, 24-ე პუნქტი.

¹²⁸⁰ შეად., ჩიკვაიძე დ., საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების კომენტარები, კომენტარები, თბილისი, 2005, 15.

კის ძალადობა განხორციელდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის იმპერია „ერთმორ-
ნმუნის“ სტატუსით სარგებლობდა, საბჭოთა კავშირი კი მებრძოლ ათეიზმს პროპა-
განდირებდა, საქართველოს ეკლესიას ორივემ გაუგონარი, წარმოუდგენლად დიდი
ზიანი მიაყენა სხვადასხვა მოტივით: პირველმა მასში ეროვნულობის კერა და
ქართული სახელმწიფოებრიობის იდეოლოგიური საფუძველი დაინახა, მეორემ კი
მტრად დასახული რელიგიის წარმომადგენლის საბურველიც შესძინა. შესაბამისად,
ორასი წლის განმავლობაში ქართული ეკლესიის მატერიალურ თუ არამატერიალურ
სიმდიდრეს უდიდესი ზიანი მიადგა.

კონსტიტუციური შეთანხმებით სახელმწიფომ აღიარა XIX-XX საუკუნეებში (გან-
საკუთრებით 1921-90 წლებში) სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის
პერიოდში ეკლესიისთვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტი და
აიღო ვალდებულება მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე.¹²⁸¹ რა თქმა
უნდა, სახელმწიფოს მიერ საკუთარი წილი პასუხისმგებლობის გააზრება და გაზი-
არება ყოველთვის დადებითად აღიქმება, თუმცა, საკითხავია, რამდენად ევალებოდა
საქართველოს მსგავსი ვალდებულების ტვირთის აღება (აქ საუბარი არაა უშუალოდ
ჩამორთმეულ ქონებაზე). უდავოა, რომ ზიანი არსებობს და მისი მიყენების პერიოდი
ძირითადად XIX-XX საუკუნეებია. მთელი XIX საუკუნე 1918 წლამდე საქართველო არ
იყო დამოუკიდებელი, შედიოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, როგორც დაპ-
ყრობილი ტერიტორია, შესაბამისად, ნებისმიერი ხელისუფალი და მმართველი
რუსეთის საიმპერატორო ტახტს წარმოადგენდა. რაც შეეხება საბჭოთა პერიოდს,
1921 წელს მოხდა საქართველოს იძულებითი გასაბჭოება, ოკუპაციის შედეგად ქვეყ-
ანამ დაკარგა სახელმწიფოებრივი სტატუსი. საქართველოს ოკუპაციის ფაქტს 1991
წლის 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტმაც გაუსვა
ხაზი, რომელმაც დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის
საფუძველზე გამოცხადდა, რითაც ქართული სახელმწიფოებრიობის 70 წლიანი წყ-
ვეტა აღიარა.¹²⁸² საქართველო ვერანაირად იქნება რუსეთის იმპერიის ან საბჭოთა
კავშირის სამართლებრივი მემკვიდრე, ვინაიდან დაპყრობილი ტერიტორია არ
შეიძლება იზიარებდეს დამპყრობლის წილ პასუხისმგებლობას. ამ შემთხვევაში
ქართული გარემოება სრულიად განსხვავდება პოსტოტალიტარული გერმანიის ან
მსგავსი შემთხვევებისგან, რადგან ტოტალიტარული გერმანია დემოკრატიული
არჩევნებით მოსული ნაციონალ-სოციალიზმის შედეგია, რომლის პოლიტიკური ლიდ-
ერებიც დამოუკიდებელი სახელმწიფოს კანონიერი გზით მოსული მმართველები იყ-
ვნენ. საქართველო, როგორც სახელმწიფო, XIX-XX საუკუნეებში თავად დაზარალდა,
შესაბამისად, ალოგიკურია დაზარალებულმა აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მისმა
მიმყენებელმა, ასევე, სხვას მიაყენა. ერთადერთი, რაზეც ვალდებულების აღება
შეიძლება, ეს 1918-1921 წლების დამოუკიდებლობის პერიოდია, როდესაც ეკლესია
მატერიალური თვალსაზრისით ძალზე შევიწროვდა და სახელმწიფოს მხრიდან
ჩაგვრას განიცდიდა.

1990 წელს ჯერ კიდევ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით
მართლმადიდებელ ეკლესიას დაუბრუნდა ჩამორთმეული ქონება და ამ

¹²⁸¹ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდ-
ებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-11 მუხლის პირველი პუნქტი.

¹²⁸² 1991 წლის 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

თვალსაზრისით, მატერიალური კომპენსაცია ნაწილობრივ განხორციელდა.¹²⁸³ ამიტომაც ამ უკანასკნელის თაობაზე მსგავსი ჩანაწერი კონსტიტუციურ შეთანხმებაში აბსურდულია. იგი, ფაქტობრივად, გამორიცხავს ნორმაშივე მოცემულ სიტყვათშეთანხმებას — „სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში“. მსგავსი დებულება კონსტიტუციურ შეთანხმებაში არ უნდა ეწეროს, იგი თავისი არსით სახელმწიფოებრივ პოლიტიკასა და წარსულის ობიექტურ ხედვას ეწინააღმდეგება, ამიტომაც კონსტიტუციური შეთანხმების მე-11 მუხლის პირველი პუნქტი შესაცვლელია და სახელმწიფომ ეკლესიას მხოლოდ 1918-1921 წლებში მიყენებული ზიანი უნდა აუნაზღაუროს.

კონსტიტუციური შეთანხმებით სახელმწიფომ გაითვალისწინა პარიტეტულ საწყისებზე დაფუძნებული კომისიის შექმნა, რომელიც კომპენსაციის საკითხს შეისწავლიდა და მის ფორმებს, ოდენობას, გადახდის ვადებსა და სხვა საკითხებს დაადგენდა.¹²⁸⁴ კომისიის მიერ შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტები არ შემუშავებულა¹²⁸⁵ და ამ მიმართულებით კარგა ხანი რაიმე ქმედითი ნაბიჯი არ გადადგმულა.

მართალია, ოფიციალურად კომპენსაციის სახელით არა, თუმცა საქართველოს სახელმწიფო მართლმადიდებელ ეკლესიას 2002 წლიდან სერიოზულ ფინანსურ რესურს აძლევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. 2002-2013 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის პირდაპირმა დაფინანსებამ ეკლესიისთვის 160 672 200 ლარი შეადგინა.¹²⁸⁶ სხვადასხვა მიზნობრივი დაფინანსებით საქართველოს საპატრიარქომ 2013 წელს 24,996.1 მლნ., 2014 წელს კი 25,630.9 მლნ. ლარი მიიღო, ხოლო 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისთვის 25,000. მლნ. ლარი იყო გამოყოფილი.¹²⁸⁷ არც სახელმწიფო და არც საპატრიარქო ამას ოფიციალურად კომპენსაციას არ არქმევს, თუმცა კონკლუდენტურად ორივე თანხმდება, რომ აღნიშნული თანხა სწორედ ნაწილობრივი კომპენსაციის მოცულობაა. ამას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომლითაც სხვა რელიგიურ გაერთიანებებსაც დაუდგინდათ ყოველწლიურად გასაცემი კომპენსაცია,¹²⁸⁸ თუმცა მართლმადიდებელი ეკლესიისთვის კომპენსაციის გაცემის საკითხი, სხვა კონფესიებისგან განსხვავებით, დადგენილებით

¹²⁸³ სსსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 12 აპრილის №180 დადგენილება „რელიგიის საქმეთა საკითხების შესახებ“.

¹²⁸⁴ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹²⁸⁵ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2015 წლის 17 აგვისტოს წერილი №8289.

¹²⁸⁶ Study of Religious Discrimination and Constitutional Secularism in Georgia, Tolerance and Diversity Institute, Tbilisi, 2014, 25, იხ. ციტირება: Transparency International – Georgia, An Overview of the Public Funding Provided to the Georgian Patriarchate, 4 July, 2013.

¹²⁸⁷ იხ., „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი.

¹²⁸⁸ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №117 დადგენილება „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის“ დამტკიცების თაობაზე“.

არ წესრიგდება.¹²⁸⁹ აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებელი ეკლესია მუნიციპალურ დონეზე მნიშვნელოვან დაფინანსებას იღებს¹²⁹⁰.

მართლმადიდებელ ეკლესიასთან ერთად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან კომპენსაციას სსიპ-ის სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული ისლამური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომხური სამოციქულო აღმსარებლობის მქონე რელიგიური გაერთიანებები იღებენ.¹²⁹¹ ამ ოთხი სუბიექტისათვის ყოველწლიურად გასაცემი თანხის ოდენობაზე გადაწყვეტილებას რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო იღებს,¹²⁹² რომელიც მთავრობის დადგენილებით შექმნილი სსიპ-ია და რელიგიურ საკითხებში მთავრობის მთავარი მრჩეველის ფუნქციებსაც ითავსებს.¹²⁹³ 2014 წელს კომპენსაციის პირველი ეტაპისთვის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 3.500 მლნ. ლარი გამოიყო.¹²⁹⁴ 2015 წელს საკომპენსაციო თანხა უკვე სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო სააგენტოს შესაბამისი მუხლით განისაზღვრა¹²⁹⁵.

მთავრობის პოზიცია კომპენსაციის თაობაზე მისასაღმებელია, თუმცა არაადეკვატური. მართალია, სახელმწიფო არ უნდა გაექცეს წარსულის მოვლენებზე პასუხისმგებლობას, თუმცა ალოგიკურია, როდესაც სახელმწიფო ვალდებულია იღებს, ანაზღაუროს ზიანი, რომელიც მას თავად არ მიუყენებია, უფრო მეტიც, ამ პროცესში იგი თავადაც დაზარალებული მხარეა. თუკი სახელმწიფოს სურდა მართლმადიდებელი ეკლესიისა და სხვა სუბიექტებისთვის ზიანის ანაზღაურება, თუნდაც ნაწილობრივ, მას ზიანი 1918-1921 წლების პერიოდით უნდა გამოეთვალა. სხვა შემთხვევაში, თუკი მისი მიზანია, რელიგიურ გაერთიანებებს პირდაპირი დაფინანსება დაუდგინოს, ამას ასეც უნდა დაერქვას და თანამშრომლობის მოდელისთვის მსგავსი გადაწყვეტილება ქმედებათა ლოგიკურ სქემაში სრულად თავსებადია. ამასთან, თუკი მაინც კომპენსაციაზე შეჩერდება არჩევანი, აუცილებელია მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ყოველწლიურად გამოყოფილ თანხებს ასეც დაერქვას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ კანონმდებლობის ნორმათა სისტემური ანალიზითაა შესაძლებელი, ბიუჯეტის ამ ასიგნებების საკომპენსაციო ხასიათი დადგინდეს.

¹²⁸⁹ იხ., საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №117 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტი.

¹²⁹⁰ Study of Religious Discrimination and Constitutional Secularism in Georgia, Tolerance and Diversity Institute, Tbilisi, 2014, 25, იხ. ციტირება: Tolerance and Diversity Institute (TDI), State Funding to Strengthen the Orthodox Faith, 18 February, 2014.

¹²⁹¹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №117 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის“ პირველი მუხლის მე-3 პუნქტი.

¹²⁹² იქვე, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹²⁹³ იხ., საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 თებერვლის №177 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის — რელიგიის საკითხა სახელმწიფო სააგენტოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“.

¹²⁹⁴ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 მარტის №437 განკარგულება „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისთვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“.

¹²⁹⁵ იხ., „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი.

4.2. საგადასახადო შეღავათები

4.2.1. რელიგიური გაერთიანებებისათვის საგადასახადო შეღავათების დადგენა

4.2.1.1. რელიგიური გაერთიანებებისთვის საგადასახადო შეღავათების დადგენა და ადამიანის ძირითად უფლებები

ეკლესია ჯერ კიდევ კონსტანტინეს პერიოდიდან გათავისუფლებული იყო გადასახადებისგან.¹²⁹⁶ 313 წლის 21 ოქტომბრის კანონით იმპერატორმა ქრისტიან სასულიერო პირებს მნიშვნელოვანი სახელმწიფო შეღავათები და პრივილეგიები მიანიჭა.¹²⁹⁷ 321 წლიდან კი, იმპერატორის გადაწყვეტილებით, ღვთისმსახურებს სახელმწიფო ხაზინიდან ჯამაგირი ეძლეოდათ.¹²⁹⁸ საუკუნეების განმავლობაში რელიგიური გაერთიანებები და სახელმწიფოები ერთმანეთს ავსებდნენ და ეკლესიები არათუ საგადასახადო შეღავათებით სარგებლობდნენ, არამედ სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირ დაფინანსებასაც იღებდნენ. სეკულარიზაციის პროცესმა, რა თქმა უნდა, ამ ურთიერთობებზეც იქონია გავლენა და მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობებში ძირითადად ორი მიმართულებით აქტიურობა აღინიშნება: ერთი მხრივ, დემოკრატიული სახელმწიფოები ცდილობენ, მაქსიმალურად შეამცირონ სახელმწიფო ზედამხედველობა რელიგიაზე, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფო აქტიურად მონაწილეობს ტაძრების აღდგენისა და აღიარებულ დენომინაციათა საგადასახადო შეღავათებისა თუ საგადასახადო სისტემის საშუალებით მათთვის ხელსაყრელი პირობების დადგენაში.¹²⁹⁹

სახელმწიფოს მიერ ეკლესიისთვის დახმარების განევა ეკლესიის წევრთაგან გადასახადების აკრეფის საქმეში მრავალ სახელმწიფოში დამკვიდრებული პრაქტიკაა.¹³⁰⁰ ეკლესია, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირი, კერძო სუბიექტი, უფლებამოსილია, საკუთარ წევრებს მოსთხოვოს გადასახადის, სანევროს გადახდა, მისი ამოღების უზრუნველყოფის მიზნით კი მიმართოს სახელმწიფოს.

ზოგადად, სახელმწიფოს ეკრძალება, დაუნესოს საეკლესიო ან რაიმე სახის რელიგიური გადასახადი პირს, რომელიც შესაბამისი რელიგიური გაერთიანების წევრი არაა.¹³⁰¹ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, საეკლესიო გადასახადი შესაძლოა არსებობდეს, თუმცა მისი გადახდა არ უნდა ევალებოდეს არარელიგიურ ადამიანებს, ვინაიდან სახელმწიფოს რელიგიური და იდეოლოგიური ნეიტრალიტეტის დაცვის ვალდებულება აკისრია.¹³⁰² გამონაკლის შემთხვევებში, ევროკომისია დასაშვებად მიიჩნევს სახელმწიფოს მხრიდან სახელმწიფო ეკლესიის სასარგებლოდ, პროპორციულობის პრინციპის დაცვით, ეკლესიის არანევრსაც მოსთხოვოს გადახდა იმ ღონისძიებებისთვის, რომლებიც სახელმწიფო ეკლესიის სამოქალაქო ფუნქციების განხორციელებას ემსახურება (მაგ., ქორწინება, გარდაცვალების,

¹²⁹⁶ ჯავახიშვილი მ., პაპობის ისტორია შუა საუკუნეებში, თბილისი, 2015, 14.

¹²⁹⁷ იქვე.

¹²⁹⁸ იქვე.

¹²⁹⁹ Jensen D., Classifying Church-State Arrangements, Beyond Religious Versus Secular, in: Law and Religion in Public Life, The Contemporary Debate, Edited by N. Hosen and R. Mohr, Abingdon, 2011, 17.

¹³⁰⁰ ნარინდოშვილი მ., გოგელია ვ., ჯულაყიძე თ., ჯაში ზ., გლურჯიძე ე., რელიგიის თავისუფლება, თბილისი, 2004, 113; იხ., *Darby v. Sweden*, [ECtHR], App. no. 11581/85, 23 October 1990.

¹³⁰¹ იხ., იქვე, Paras 34-35.

¹³⁰² ბეგაძე მ., სეკულარიზმი: სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ჩარჩო, უურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №10, 2016, 117.

დაბადებისა და სხვ. რეგისტრაცია)¹³⁰³. ამ პოზიციას იზიარებს ევროსასამართლოც, რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებს კონფესიური და საჯარო ფუნქციების შესრულების მიზნით დაფინანსებას, ამასთან, დასაშვებად მიაჩნევს რელიგიური ორგანიზაციის მიერ საჯარო ფუნქციების შესრულებისთვის მოქალაქეების დაბეგრას.¹³⁰⁴

სახელმწიფო უფლებამოსილია კონკრეტულ ან ყველა რელიგიურ გაერთიანებას საგადასახადო შეღავათები დაუდგინოს, რა თქმა უნდა, ეს სხვადასხვა მოცულობითა და სხვადასხვა გადასახადის მიმართ შეიძლება განისაზღვროს. ამასთან, აუცილებელია ეს ყოველივე არადისკრიმინაციულ საფუძვლებზე განხორციელდეს. ევროკომისიამ დისკრიმინაციად არ ცნო კონკრეტული რელიგიური გაერთიანებისათვის შეღავათების მინიჭების ფაქტი, რადგანაც იგი სახელმწიფოს მიერ სამართლებრივად აღებული ვალდებულებების შესრულებით იყო განპირობებული.¹³⁰⁵ აქვე აღსანიშნავია, რომ რელიგიურ გაერთიანებებისთვის კონკრეტული საგადასახადო შეღავათები ყველა გადასახადისგან ავტომატურ გათავისუფლებას არ გულისხმობს, შეღავათების არარსებობის პირობებში, რელიგიური გაერთიანება ვალდებულია ნებისმიერი სხვა სუბიექტის მსგავსად გადაიხადოს გადასახადები¹³⁰⁶.

4.2.1.2. რელიგიური გაერთიანებებისთვის საგადასახადო შეღავათების დადგენის პრაქტიკა

4.1.1.2.1. აშშ-ის საკანონმდებლო მოწესრიგება და პრაქტიკა

მედისონი ეწინააღმდეგებოდა გადამხდელების თანხის, ნებისმიერი გადასახადის ეკლესიის სასარგებლოდ წარმართვას.¹³⁰⁷ თუმცა აშშ-მა რელიგიურ გაერთიანებებთან ურთიერთობის დინამიკური მოდელი აირჩია. მართალია, იგი უშუალოდ გადამხდელების თანხებს რელიგიური გაერთიანებების დასაფინანსებლად არ მიმართავს, თუმცა მათთვის მნიშვნელოვან საგადასახადო შეთავაზებებს ადგენს. როგორც წესი, აშშ-ში საგადასახადო შეღავათები უდგინდებათ ორგანიზაციებს, რომელთაც საქველმოქმედო, რელიგიური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ა.შ. მიზნები აქვთ¹³⁰⁸.

ეკლესიები დღემდე განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობენ, მათთვის დადგენილია საეკლესიო ქონების ბეგარისგან გათავისუფლება, ასევე, საგადასახადო შეღავათები და სპეციალური საგადასახადო პრივილეგიები სასულიერო პირებისა და ეკლესიის საქმიანობისათვის.¹³⁰⁹ თუმცა, აღსანიშნავია, რომ შეღავათები რელიგიურ

¹³⁰³ ნარინდოშვილი მ., გოგელია ვ., ჯულაყიძე თ., ჯაში ზ., გლურჯიძე ე., რელიგიის თავისუფლება, თბილისი, 2004, 113; იხ., ბეგაძე მ., სეკულარიზმი: სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ჩარჩო, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №10, 2016, 122.

¹³⁰⁴ იხ., ბეგაძე მ., სეკულარიზმი: სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ჩარჩო, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №10, 2016, 122; *Bruno v. Sweden*, [ECHR], App. no. 32196/96, 28 August 2011.

¹³⁰⁵ იხ., *Iglesia Bautista 'El Salvador' and Jose Aquilino Ortega Maratilla v. Spain*, [ECHR], App. no. 17522/90, 11 January 1992.

¹³⁰⁶ იხ., *Jimmy Swaggart Ministries v. Board of Equalization*, 493 U.S. 378 (1990).

¹³⁰⁷ Greenawalt K., *Religious and the Constitution*, Vol.2, Establishment and Fairness, Princeton, 2008, 352-353.

¹³⁰⁸ Taylor S.A., *The Law of Tax-Exempt Organizations in a Nutshell*, St. Paul, 2011, 58.

¹³⁰⁹ იხ., Hoff T., *Religion's Accommodation to American Law and Culture*, in: *Legal Responses to Religious Practices in the United States (Accommodation and Its Limits)*, Edited by A. Sarat, New York, 2012, 62; Greenawalt K., *Religion and the Constitution*, Vol.2: Establishment and Fairness, Princeton, 2008, 278.

საქმიანობას ეხება, რომლადაც უშუალოდ რელიგიური მიზნებით განხორციელებული საქმიანობა მიიჩნევა და არა რაიმე მომიჯნავე. მაგ., აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ რელიგიური საავადმყოფო გამოიცილა ეკლესიის საქმეებიდან და აღნიშნა, რომ იგი არაკონფესიური და საჯარო მიზნის მქონე დაწესებულება იყო.¹³¹⁰ ფედერალური კანონმდებლობა საგადასახადო შეღავათების მქონე ორგანიზაციის სტატუსის მისაღებად მთელ რიგ მოთხოვნებს ადგენს, მათ შორის, საჯარო მიზნების ქონა, არაკომერციული, არაპოლიტიკური საქმიანობის განხორციელება და ა.შ.¹³¹¹ საშინაო შემოსავლების სამსახურმა (IRS) 14 პრინციპი, კრიტერიუმი შეიმუშავა, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში ორგანიზაცია რელიგიურ გაერთიანებად მიიჩნევა.¹³¹² აღნიშნული კრიტერიუმები სასამართლო პრაქტიკამაც გაიზიარა და მათ დამხმარე მნიშვნელობა მიანიჭა.¹³¹³ აღსანიშნავია, რომ ეკლესია არაა ვალდებული, მოითხოვოს საგადასახადო შეღავათები, ის მას ავტომატურად იღებს, ეკლესია, აგრეთვე, გათავისუფლებულია ყოველწლიური საგადასახადო დეკლარაციის შევსებისგან და არ ექვემდებარება შემოსავლების სამსახურის აუდიტს, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა¹³¹⁴.

შტატისა და ფედერალურ დონეზე იკრძალება ნებისმიერი რელიგიის დაფინანსება, კანონის მიღება, რომელიც რელიგიური გაერთიანებებისთვის რაიმე ფინანსურ დახმარებას დაადგენს.¹³¹⁵ ასევე, იკრძალება სპეციალური გადასახადის დადგენა რომელიმე რელიგიური ორგანიზაციის სასარგებლოდ.¹³¹⁶ პირდაპირი აკრძალვა კვლავაც მოქმედებს, თუმცა არაპირდაპირ რელიგიურ გაერთიანებებს მნიშვნელოვანი შეღავათები და დახმარება აქვთ საჯარო ხელისუფლების მხრიდან,¹³¹⁷ არდახმარების პოლიტიკის მიუხედავად, კანონმდებლობა სავსეა საგადასახადო შეღავათებით.¹³¹⁸ ამასთან, კანონთა უმრავლესობა, რომელიც საგადასახადო შეღავათებსა და გადასახადებისგან გათავისუფლებულ ორგანიზაციებს ეხება, ფედერალურ დონეზე მოქმედებს.¹³¹⁹ საგადასახადო შეღავათები და საეკლესიო ქონების გადასახადებისგან გათავისუფლება არაერთხელ ყოფილა დავის საგანი, თუმცა უმაღლესმა სასამართლომ კონსტიტუციურად ცნო მსგავსი შეღავათები და მათი არსებობა „ქველი ნეიტრალურობით“ (ქველმოქმედებით, გულისხმიერებით) დაასაბუთა.¹³²⁰ ხელისუფლება ნეიტრალური და მიუკერძოებელი უნდა იყოს რელიგიური თეორიის, დოქტრინისა და პრაქტიკის საკითხებში¹³²¹.

აშშ-ში რელიგიური და საქველმოქმედო ორგანიზაციებისთვის გაღებული შემონიშნულობები დასაბეგრ შემოსავლად არ განიხილება — ისინი გადასახადებისგან

¹³¹⁰ *Bradfield v. Roberts*, 175 U.S. 298 (1899).

¹³¹¹ იხ., Taylor S.A., *The Law of Tax-Exempt Organizations in a Nutshell*, St. Paul, 2011, 52-53.

¹³¹² იქვე, 58.

¹³¹³ იხ., *Spiritual Outreach Society v. Commissioner*, 972 F.2d335 (8th Cir. 1991).

¹³¹⁴ Taylor S.A., *The Law of Tax-Exempt Organizations in a Nutshell*, St. Paul, 2011, 66.

¹³¹⁵ *Everson v. Board of Education*, 330 U.S. 1 (1947).

¹³¹⁶ იხ., იქვე, 15-16.

¹³¹⁷ Greenawalt K., *Religion and the Constitution*, Vol.2: Establishment and Fairness, Princeton, 2008, 57.

¹³¹⁸ იქვე.

¹³¹⁹ Taylor S.A., *The Law of Tax-Exempt Organizations in a Nutshell*, St. Paul, 2011, 37.

¹³²⁰ იხ., *Walz v. Tax Commission*, 397 U.S. 664 (1970).

¹³²¹ *Epperson v. Arkansas*, 193 U.S. 97, 103-4 (1968).

თავისუფალია.¹³²² ეკლესია და რელიგიური გაერთიანებები გათავისუფლებული არ-
იან ადგილობრივი ქონების გადასახადისგან, არ ევალებათ საშემოსავლო
გადასახადის გადახდა, ასევე, გადასახადისგან გათავისუფლებული ნებისმიერი
შემონირულობა, რომელიც რაღაც ფორმით მაინც უკავშირდება რელიგიური ფუნ-
ქციების განხორციელებას.¹³²³ რელიგიური გაერთიანებები არ იხდიან უმუშევრობისა
და სოციალური უსაფრთხოების გადასახადებს.¹³²⁴ უმაღლესმა სასამართლომ
სასულიერო ლიტერატურის კარდაკარ გაყიდვა, ადრინდელი პრაქტიკისგან გან-
სხვავებით¹³²⁵, შემონირულობის შეგროვებას გაუთანაბრა და გადასახადებისგან გაა-
თავისუფლა¹³²⁶.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო რელიგიურ ორგანიზაციებს არარელიგიური საქ-
მიანობისთვის, განსაკუთრებით კი საქველმოქმედო მიზნებისთვის, სერიოზულ
ასიგნებებს უყოფს. მაგ., კათოლიკური საქველმოქმედო არაკომერციული სუბსიდი-
არები აშშ-ისგან საკმაოდ დიდი რაოდენობით იღებენ ფედერალურ ფინანსურ დახ-
მარებას.¹³²⁷ რელიგიური და საქველმოქმედო საქმიანობა ხშირად სხვა სახ-
ელმწიფოებშიც თანაბარმნიშვნელოვნადაა აღქმული¹³²⁸.

4.1.1.2.2. ევროპული მიდგომა

ესპანეთი კონკორდატით რომია კათოლიკე ეკლესიას მნიშვნელოვან
საგადასახადო და ფინანსურ შეღავათებს უწესებს, განსხვავებით სხვა რელიგიური
გაერთიანებებისგან.¹³²⁹ აქ რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების ორი მოდელი
არსებობს: 1. სახელმწიფო პირდაპირ აფინანსებს რომის ეკლესიას, და 2. იგი არა-
პირდაპირი თანამშრომლობით, ხელს უწყობს სხვა დენომინაციებს,¹³³⁰ ყველა
რელიგიური გაერთიანებისთვის მნიშვნელოვან საგადასახადო შეღავათებს
ადგენს.¹³³¹ გარდა იმისა, რომ სახელმწიფო რომის ეკლესიას სახელმწიფო ბიუჯეტი-
დან პირდაპირი წესით აფინანსებს,¹³³² იგი ინდივიდუალური გადამხდელის სურვილის
შემთხვევაში, უზრუნველყოფს პირის საშემოსავლო გადასახადის მცირე წილის

¹³²² Merriman S.A., *Religion and the State, An International Analysis of Roles and Relationships*, Santa Barbara, 2009, 86.

¹³²³ Greenawalt K., *Religion and the Constitution, Vol.2: Establishment and Fairness*, Princeton, 2008, 278.

¹³²⁴ იქვე.

¹³²⁵ *Jones v. Opelika*, 316 U.S. 584 (1942).

¹³²⁶ იხ., *Murdock v. Pennsylvania*, 319 U.S. 105 (1943); სასამართლომ მსგავსი პოზიცია შემდეგ საქმეშიც განავითარა: *Follet v. Town of McCormick*, 321 U.S. 573 (1944).

¹³²⁷ Greenawalt K., *Religious and the Constitution, Vol.2, Establishment and Fairness*, Princeton, 2008, 361.

¹³²⁸ მაგ., ქველმოქმედების აქტის მიზნებისთვის ავსტრალიაში „რელიგია“ ყოველთვის გართოდ განიმარტება, რათა რელიგიურ ორგანიზაციებზე მაქსიმალურად გავრცელდეს შეღავათების დამდგენი შესაბამისი კანონმდებლობა. Dal Pont G.E., *Charity Law and Religion*, in: *Law and Religion, God, the State and the Common Law*, Edited by P. Radan, D. Meyersen and R.F. Croucher, London, 2005, 221.

¹³²⁹ Temperman J., *State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Govern-
ance*, Leiden-Boston, 2010, 70.

¹³³⁰ Arribas S. C., *Religious Equality in the Spanish Constitutional System*, in: *Law, Religion, Constitution (Free-
dom of Religion, Equal Treatment, and the Law)*, Edited by Cr. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari, D. Thayer, 2013, 311.

¹³³¹ იქვე, 313.

¹³³² იქვე, 311.

(0,7%) რომის ეკლესიისათვის გადარიცხვას.¹³³³ კათოლიკე ეკლესია გათავისუფლებულია უძრავი ქონების გადასახადისგანაც.¹³³⁴ ევროკომისიამ დაადგინა, რომ ესპანეთის საგადასახადო სისტემა, რომელიც რომის ეკლესიას შელავათებს უწესებს, არ არღვევს სხვა რელიგიური გაერთიანებების უფლებებს, არც რელიგიის თავისუფლებას და არც თანასწორობის ძირითად უფლებას, ვინაიდან ესპანეთს ვატიკანტთან კონკორდატი ჰქონდა დადებული, რითაც იგი სამართლებრივ ვალდებულებას იღებდა.¹³³⁵

გერმანიის ძირითადმა კანონმა სახელმწიფოსა და რელიგიას შორის ურთიერთობების მუდმივი და მყარი ფორმა შეარჩია: სახელმწიფო, რელიგიური გაერთიანების სახელითა და მისი ხელშეწყობის მიზნით, უზრუნველყოფს სსიპ-ად რეგისტრირებული რელიგიური გაერთიანებების წევრებიდან ე.წ. „საეკლესიო გადასახადის“ ამოღებასა და ადმინისტრირებას.¹³³⁶ ამ ფორმით რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებას თავად შეუძლია მოსთხოვოს სახელმწიფოს, მისი წევრების საეკლესიო გადასახადის შეგროვება და ადმინისტრირება უზრუნველყოს.¹³³⁷ მართალია, გერმანიაში ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს რეგისტრაცია არ მოეთხოვებათ,¹³³⁸ თუმცა რეგისტრაციის შემთხვევაში, ეკლესიები საგადასახადო შელავათებს იღებენ.¹³³⁹ საგადასახადო შელავათების მიღება კი საკმაოდ რთული პროცესია, თუმცა ქრისტიანულ და ებრაულ რელიგიურ გაერთიანებათა უმრავლესობა მსგავსი შელავათებით სარგებლობს.¹³⁴⁰ გერმანული მოდელის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ისიცაა, რომ სახელმწიფოში საეკლესიო გადასახადი ყველა მოქალაქისათვის სავალდებულოა, თუმცა მისგან გათავისუფლება კონკრეტული ეკლესიის წევრობის დატოვებით ან სინდისის თავისუფლებიდან გამომდინარე, მასზე უარის თქმით არის შესაძლებელი¹³⁴¹.

აღმოსავლურ ქრისტიანობაში საეკლესიო კანონმდებლობას, როგორც წესი, საერო ხელისუფლება ქმნიდა: ჯერ კიდევ IV საუკუნიდან მოყოლებული ბიზანტიის იმპერატორები გამოსცემდნენ სპეციალურ კონსტიტუციებს ეკლესიისა და მღვდელმსახურთა სტატუსის, მათთვის პრივილეგიების მინიჭებისა და ეკლესიის ფინანსების ადმინისტრირების თაობაზე.¹³⁴² ვინაიდან მართლმადიდებელი ეკლესიები, ძირითადად, ნაციონალური ეკლესიებია, მათი როლი ხშირად ეროვნულ იდენტობასთანაცაა გაიგივებული, ამიტომაც აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში

¹³³³ იქვე, 312.

¹³³⁴ ნარინდოშვილი მ., გოგელია ვ., ჯულაყიძე თ., ჯაში ზ., გლურჯიძე ე., რელიგიის თავისუფლება, თბილისი, 2004, 114.

¹³³⁵ იხ., *Iglesia Bautista 'El Salvador' and Jose Aquilino Ortega Maratilla v. Spain*, [ECHR], App. no. 17522/90, 11 January 1992.

¹³³⁶ Temperman J., *State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance*, Leiden-Boston, 2010, 97.

¹³³⁷ იხ., McConnell M.W., Garvey J.H., Berg Th.C., *Religion and the Constitution*, New York, 2011, 94-95.

¹³³⁸ Merriman S.A., *Religion and the State, An International Analysis of Roles and Relationship*, Santa Barbara, 2009, 178.

¹³³⁹ იქვე.

¹³⁴⁰ იქვე.

¹³⁴¹ Minnerath R., *Church Autonomy in Europe*, in: *Church Autonomy, A Comparative Survey*, Edited by G. Robbers, Frankfurt am Main, 2001, 392.

¹³⁴² Wagschal D., *Orthodox Canon Law, The Byzantine Experience*, in: *The Orthodox Christian World*, Edited by A. Casiday, Routledge, 2012, 386.

ეკლესიის სახელმწიფოსგან დაფინანსება გავრცელებული შემთხვევაა.¹³⁴³ მაგ., საბერძნეთში არაა დანესებული ცალკე საეკლესიო გადასახადი და ამის საჭიროებაც არ არსებობს, რადგან სახელმწიფო მთლიანად საკუთარ თავზე იღებს მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსებას¹³⁴⁴.

ბელგიაში ყველა რელიგია თავისუფლდება რელიგიური ქონების მიწის გადასახადისგან.¹³⁴⁵ ამასთან, როგორც რელიგიურ, ისე არარელიგიურ (არარელიგიური ფილოსოფიური შემეცნების) ორგანიზაციების¹³⁴⁶ ლიდერებს ენიშნებათ პენსია და სხვადასხვა სახელმწიფო დახმარება.¹³⁴⁷ ნორვეგიაში სახელმწიფო აფინანსებს ყველა რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებას, მასში ოფიციალურად აღრიცხული წევრების რაოდენობის პროპორციულად.¹³⁴⁸ მონაკოს ბიუჯეტში ცალკე თავი ეთმობა რომის ეკლესიის დაფინანსებასა და სხვა რელიგიათა გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფას.¹³⁴⁹ ავსტრია, მართალია, სეკულარული სახელმწიფოა, თუმცა იგი სერიოზულ საგადასახადო და ეკონომიკურ შეღავათებს უდგენს სსიპ-ად რეგისტრირებულ რელიგიურ ორგანიზაციებს¹³⁵⁰.

4.2.2. რელიგიური გაერთიანებები და საქართველოს საგადასახადო სისტემა

მართლმადიდებელ ეკლესიასთან და სხვა რელიგიურ გაერთიანებებთან დავპირებულ საგადასახადო მოწესრიგებას საქართველოს საგადასახადო კოდექსი ადგენს. თუმცა კონსტიტუციური შეთანხმება მართლმადიდებელ ეკლესიას დამატებით საკანონმდებლო ბერკეტებს აძლევს და მის მიერ წარმოებულ საღვთისმსახურო პროდუქციას (დამზადება, შემოტანა, მიწოდება), შემოწირულობას, არაეკონომიკური მიზნით არსებულ ქონებასა და მიწას გადასახადებისგან ათავისუფლებს¹³⁵¹.

საგადასახადო კოდექსი რელიგიურ საქმიანობას ეკონომიკურ საქმიანობად არ მიიჩნევს და მის მიმართ სრულიად განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმს ადგენს.¹³⁵² რელიგიურ საქმიანობად კი აღიარებულია დადგენილი წესით რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციის საქმიანობა, რომლის მიზანია აღმსარებლობისა და

¹³⁴³ სტეფანი ა., რელიგიისა და დემოკრატიის ურთიერთშეთავსებადობის შესახებ, დ. თინიკაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №2(29), 2009, 64.

¹³⁴⁴ ხეცურიანი ჯ., სახელმწიფო და ეკლესია, ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2013, 36.

¹³⁴⁵ Van Haegendoren G., Alen A., The Constitutional Relationship Between Church and State, in: Treatise on Belgian Constitutional Law, Edited by A. Alen, Boston, 1992, 266.

¹³⁴⁶ ამჟამად, სახელმწიფო დონეზე აღიარებული რელიგიურ-აღმსარებლობითი გაერთიანებებია: ანგლიკანიზმი, ისლამი, მართლმადიდებლური ქრისტიანობა, რომალური კათოლიციზმი, იუდაიზმი და სეკულარული ჰუმანიზმი. იხ., Temperman J., State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance, Leiden-Boston, 2010, 98.

¹³⁴⁷ იქვე.

¹³⁴⁸ McConnell M.W., Garvey J.H., Berg Th.C., Religion and the Constitution, New York, 2011, 91.

¹³⁴⁹ Grinda G., The Principality of Monaco (State, International Status, Institutions), 2nd Ed., Translated by J.C. Duursma, The Hague, 2010, 153.

¹³⁵⁰ Temperman J., State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance, Leiden-Boston, 2010, 97.

¹³⁵¹ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი.

¹³⁵² საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

სარწმუნოების გავრცელება.¹³⁵³ რელიგიურ საქმიანობას უთანაბრდება ამ ორგანიზაციების საწარმოთა საქმიანობა, თუკი ისინი გამოსცემენ რელიგიურ ლიტერატურას ან აწარმოებენ რელიგიური დანიშნულების საგნებს; საქმიანობა, რომელიც რელიგიური ლიტერატურისა და საგნების რეალიზაცია-გავრცელებასთანაა დაკავშირებული, ასევე, ასეთი საქმიანობით მიღებული ფულადი სახსრების გამოყენება რელიგიური საქმიანობის განსახორციელებლად.¹³⁵⁴

საგადასახადო კანონმდებლობით, რელიგიური გაერთიანებები ორგანიზაციების სტატუსით სარგებლობენ¹³⁵⁵ და ისინი განსხვავდებიან საწარმოებისგან¹³⁵⁶, რომლებიც, თავის მხრივ, მოგების გადასახადით იბეგრებიან¹³⁵⁷. საგადასახადო კოდექსის 21-ე, 30-ე და 96-ე მუხლების სისტემური ანალიზის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ რელიგიური გაერთიანებები მოგების გადასახადისგან თავისუფლდებიან. თუმცა გამონაკლისი მაინც არსებობს. კერძოდ, ექსკლუზიურად საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ჯვრების, სანთლების, ხატების, წიგნებისა და კალენდრების რეალიზაციით მიღებული ქონება გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან.¹³⁵⁸ სხვა რელიგიური ორგანიზაციების შემთხვევაში მსგავსი გზებით მიღებული ქონება მოგების გადასახადით იბეგრება.

დღგ-ისგან გათავისუფლებულია საქართველოს საპატრიარქოს მიერ ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნის, კალენდრისა და სხვა საღვთისმსახურო საგნების მიწოდება (იმპორტი ან დროებითი შემოტანა), რომლებიც მხოლოდ რელიგიური მიზნით გამოიყენება.¹³⁵⁹ აღნიშნული შეღავათით სხვა რელიგიური ორგანიზაციები არ სარგებლობენ. ამასთან, საქართველოს საპატრიარქო შედის ე.წ. „ოქროს სიაში“¹³⁶⁰ და მას უფლება აქვს, კუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა-გატანისას ისარგებლოს გამარტივებული პროცედურებითა და კანონმდებლობით დადგენილი სხვა შეღავათებით.¹³⁶¹ დღგ-ისგან გათავისუფლებულია საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტრავრაცია და მოხატვა,¹³⁶² რაც, ასევე, მართლმადიდებელი ეკლესიის პრივილეგიაა, კონსტიტუციური შეთანხმებიდან გამომდინარე.

რელიგიური ორგანიზაციების ქონება, ასევე, მათზე ლიზინგით გაცემული ქონება, გარდა მიწისა და ორგანიზაციის მიერ ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა, ქონების გადასახადისგან გათავისუფლებულია.¹³⁶³ ამ შემთხვევაში, საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი მართლმადიდებელი ეკლესიის მიწას ქონების გადასახადისგან არ ათავისუფლებს, რითაც წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტთან, რომელიც ეკლესიისთვის დადგენილ საგადასახადო შეღავათებს მიწაზეც

¹³⁵³ იქვე, მე-11 მუხლის პირველი ნაწილი.

¹³⁵⁴ იქვე, მუხლის მე-2 ნაწილი.

¹³⁵⁵ იქვე, 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

¹³⁵⁶ იხ., იქვე, 21-ე მუხლი.

¹³⁵⁷ იქვე, 96-ე მუხლი.

¹³⁵⁸ იქვე, 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

¹³⁵⁹ იქვე, 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი.

¹³⁶⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის“ 90-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

¹³⁶¹ იქვე, 89-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹³⁶² საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

¹³⁶³ იქვე, 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი.

ავრცელებს. რა თქმა უნდა, ნორმატიული აქტების იერარქიიდან გამომდინარე, ცალსახა უპირატესობა კონსტიტუციური შეთანხმებით დადგენილ მოწესრიგებას ენიჭება და ეკლესია მიწაზე ქონების გადასახადისგან მაინც გათავისუფლებულია. თუმცა აუცილებელია განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება და საგადასახადო კოდექსის ნორმა კონსტიტუციურ შეთანხმებასთან შესაბამისობაში მოვიდეს. ამისათვის კი საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის ნორმატიული შინაარსიდან ამოღებულ უნდა იქნეს სიტყვები — „გარდა მიწისა“.

4.3. ეკლესიისთვის ქონების დაბრუნება და გადაცემა

ეკლესიისთვის ქონების გადაცემისა და დიდძალი შენირულობის პრაქტიკა IV საუკუნიდან მოდის. ჯერ კიდევ მილანის ედიქტით, ქრისტიანული სამლოცველოები, ეკლესიები და წმინდა ადგილები ქრისტიანებს უსასყიდლოდ გადაეცათ.¹³⁶⁴ 321 წლიდან შესაძლებელი გახდა ეკლესიისთვის ქონების მემკვიდრეობით დატოვება ან საჩუქრად გადაცემა.¹³⁶⁵ V საუკუნის დასაწყისში ეკლესია უკვე დიდძალი ქონების მესაკუთრე იყო და რომის კანონების მიხედვით, ბეითალმანი ქონება და უმემკვიდრეო საკუთრება ეკლესიას გადაეცემოდა¹³⁶⁶.

მართალია, ეკლესიის არსი სულიერების სამსახურია და მისი საქმიანობაც ამ მიმართულებით უნდა ვითარდებოდეს, თუმცა მატერიალური საკითხები, განსაკუთრებით კი საკუთრება, არანაკლებ მნიშვნელოვანია.¹³⁶⁷ ეკლესია სარგებლობს სრული თავისუფლებითა და ავტონომიით საკუთარი ფინანსების განკარგვის საქმეში, განურჩევლად კონფესიებისა თუ რელიგიური მიმდინარეობისა.¹³⁶⁸ საერო სასამართლოები უფლებამოსილნი არიან, განიხილონ ეკლესიასთან დაკავშირებული სამოქალაქო დავები, მათ შორის ქონებრივი ურთიერთობების საკითხები, თუმცა ეს ყოველივე ამ თემატიკას არ უნდა გაცდეს.¹³⁶⁹ მსგავს დავებში ეკლესია სამოქალაქო ურთიერთობების ერთ-ერთ რიგით მონაწილედ გამოდის და მის მიმართ, სხვების მსგავსად, კერძო სამართლით დადგენილი წესრიგი მოქმედებს.

მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი ფუნქციონალური პრინციპია, რომ მას აქვს უფლება, ფლობდეს და განკარგავდეს საკუთრებას, როგორც ნებისმიერი სხვა პირი, კანონმდებლობით დადგენილი წესით.¹³⁷⁰ მართლმადიდებლური ტრადიციით, საეკლესიო სიკეთესა და წმინდა ნივთებს განეკუთვნება ეკლესიები, ტაძრები, საეკლესიო სინმინდებები, მათ შორის, ხატები, ლიტურგიული ნივნები, საგნები და ა.შ.¹³⁷¹ XIX-XX საუკუნეში, როგორც პირველი რესპუბლიკის, ისე ოკუპაციის პერიოდში მართლმადიდებელ ეკლესიას ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოართვეს. მათი დაბრუნების პროცესი კი მხოლოდ XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დაიწყო.

¹³⁶⁴ ჯავახიშვილი მ., პაპობის ისტორია შუა საუკუნეებში, თბილისი, 2015, 14.

¹³⁶⁵ იქვე.

¹³⁶⁶ იქვე, 19.

¹³⁶⁷ Doe N., *Christian Law, Contemporary Principles*, New York, 2013, 310.

¹³⁶⁸ იხ., იქვე, 326-327.

¹³⁶⁹ Fennelly J.E., *Property Disputes and Religious Schisms: Who Is the Church?*, “Saint Thomas Law Review”, Vol.9, 1997, 327.

¹³⁷⁰ Doe N., *Christian Law, Contemporary Principles*, New York, 2013, 311-312.

¹³⁷¹ იქვე, 320.

1990 წლის 12 აპრილს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მნიშვნელოვანი დადგენილება მიიღო, რომლითაც ეკლესიას ქონება გადასცა.¹³⁷² დადგენილებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა საკულტო ნაგებობა (თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით) საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად იქნა აღიარებული.¹³⁷³ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს დაევალებათ ქონების საპატრიარქოსთვის გადაცემა, ამ უკანასკნელს კი მიენიჭა უფლება, დამოუკიდებლად აღენერა ეკლესიები და მათი ქონება, ეკლესიაში არსებული წესებისა და ტრადიციების შესაბამისად.¹³⁷⁴ კონსტიტუციურმა შეთანხმებამ კიდევ ერთხელ მართლმადიდებლური ტაძრები, ნანგრევები, მონასტრები და მიწები, რომლებზეც ისინი მდებარეობს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად აღიარა.¹³⁷⁵ სამწუხაროდ, ამ პროცესმა, ერთგვარად, უმართავი ხასიათიც კი მიიღო და სერიოზული პრობლემები გამოიწვია. პრობლემები შეეხება როგორც საკულტო ნაგებობების, ისე მიწებისა და სხვა მატერიალური ქონების გადაცემას. დღეის მდგომარეობით მართლმადიდებელი ეკლესიისთვის სიმბოლურ ფასად (1 ლარად) ან სრულიად უსასყიდლოდ დიდი რაოდენობით უძრავი ქონება და ათასობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთია გადაცემული.¹³⁷⁶ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მხოლოდ 2012 წლის 17 სექტემბრიდან 2015 წლის 19 აგვისტომდე მართლმადიდებელ ეკლესიას 64 ერთეული სხვადასხვა სახის ქონება გადაეცა.¹³⁷⁷

სამწუხაროდ, მნიშვნელოვანი პრობლემებია საკულტო ნაგებობებთან დაკავშირებითაც. ქართული ეკლესიის საკუთრებაში არსებულ რამდენიმე შენობაზე, რომელიც თავის დროზე სახელმწიფომ მართლმადიდებელ ეკლესიას მიაკუთვნა, სომხური და რომის კათოლიკე ეკლესიები დღემდე პრეტენზიებს აცხადებენ.¹³⁷⁸ სომხური ეკლესია ითხოვს ნორამენის, სურბ ნშანის, მულნენონ სურბ გევორქის, შამხორენონ სურბ ასტნანისა და სურბ მინასის ეკლესიების გადაცემას.¹³⁷⁹ ეს პრეტენზია არსებობს როგორც ქართული ეკლესიის, ისე სახელმწიფოს მისამართით, რომელმაც ეკლესიების საკითხი შესწავლის გარეშე გადაწყვიტა. რა თქმა უნდა, აქ საუბარი არაა იმაზე, რომელია ამ პრეტენზიათაგან დასაბუთებული და რომელი არა. მიუხედავად იმისა, რომ შექმნილია რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, მსგავსი დავები კვლავაც აქტუალურია. სააგენტო აღიჭურვა სპეციალური უფლებამოსილებით, გასცეს რეკომენდაციები სხვადასხვა შენობა-ნაგებობის

¹³⁷² ხეცურიანი ჯ., ქართული ეკლესიის კონსტიტუციური საფუძვლები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2002, 14.

¹³⁷³ „რელიგიის საქმეთა საკითხების შესახებ“ სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 12 აპრილის №180 დადგენილების მე-3 პუნქტი.

¹³⁷⁴ იქვე, მე-4 პუნქტი.

¹³⁷⁵ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

¹³⁷⁶ იხ., Study of Religious Discrimination and Constitutional Secularism in Georgia, Tolerance and Diversity Institute, Tbilisi, 2014, 30-31.

¹³⁷⁷ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 10 აგვისტოს წერილი №14/50253.

¹³⁷⁸ Study of Religious Discrimination and Constitutional Secularism in Georgia, Tolerance and Diversity Institute, Tbilisi, 2014, 19; იხ., Isakhanyan L., Analysis of Legal Issues Related to the Armenian Diocese in Georgia, in: Freedom of Religion in Georgia and Armenia, Regional Conference on the Freedom of Religion or Belief, Conference Report, July 2013, Tbilisi, 21.

¹³⁷⁹ Isakhanyan L., Analysis of Legal Issues Related to the Armenian Diocese in Georgia, in: Freedom of Religion in Georgia and Armenia, Regional Conference on the Freedom of Religion or Belief, Conference Report, July 2013, Tbilisi, 21.

რელიგიურ-საკულტო დანიშნულების შენობად გარდაქმნის თაობაზე,¹³⁸⁰ ასევე, საქართველოს მთავრობის სახელით, შეასრულოს შუამავლის ფუნქცია და მონაწილეობა მიიღოს იმ დავებისა და საკითხების გადაწყვეტაში, რომელიც შეიძლება საქართველოში მოქმედ რელიგიურ გაერთიანებებს შორის გაჩნდეს¹³⁸¹.

სახელმწიფო ვალდებულია, აქტიურად ჩაერთოს პრობლემური ქონების ისტორიული მესაკუთრის დადგენის პროცესში, აუცილებელია სააგენტომ სამუშაო რეჟიმში შეაჯეროს მხარეთა პოზიციები და ქმედითი რეკომენდაცია შეიმუშავოს. სამწუხაროდ, ძალზე რთულია უკვე გადაცემულ ქონებაზე დავა. გაცილებით იოლი იქნებოდა, სახელმწიფოს წინდახედულება გამოეჩინა და გულმოდგინე გამოკვლევის შედეგად მიეღო გადაწყვეტილება. ნებისმიერი მკიფე ჩარევა დავის გადაწყვეტაში დაინტერესებულ მხარეებს გაცილებით უარყოფით შედეგამდე მიიყვანს. ამასთან, აუცილებელია კონტროლი დანესდეს სახელმწიფო ქონების უკიდევანო გადაცემასთან დაკავშირებით და დაიშვას ეკლესიისთვის მხოლოდ იმ ქონების გადაცემა, რომელიც ისტორიულად მისი იყო, ან მისი ისტორიული საკუთრება ჩანაცვლდეს გადასაცემაში ალტერნატიული ქონებით. ამ პროცესის დასრულების შემდეგ კი აუცილებელია შეიცვალოს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი, რათა მომავალში სახელმწიფო ქონების მართლმადიდებელი ეკლესიისთვის უსასყიდლო გადაცემის შესაძლებლობა გამორიცხოს.

4.4. კულტურული მემკვიდრეობის მოვლა და საეკლესიო საგანძურის

კონსტიტუციური შეთანხმების ნორმათა მეოთხედი საეკლესიო საგანძურსა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს შეეხება.¹³⁸² საეკლესიო საგანძურად მიჩნეულია საღვთისმსახურო და სულიერი დანიშნულების სინმიდეები (ფერწერული, ჭედური, მინაქრის ხატი და ჯვარი; სანაწილე, პანალია, ბარძიმ-ფეშხუმი, გარდამოხსნა), რომელთაც ისტორიული მნიშვნელობა და მაღალმხატვრული ღირსება აქვთ.¹³⁸³ სამწუხაროდ, სულიერი დანიშნულების სინმიდეებში ზედმინვენითი სიზუსტითაა ჩამოთვლილი, თუ რა ექცევა ამ კატეგორიაში და სრულიად ამოვარდნილია ოლარები, ნაქარგი ხატები და მსგავსი ნაკეთობები, რომელთა რაოდენობაც საქართველოს მუზეუმებში საკმაოდ დიდია. ამ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ნორმის გაფართოებული მიზნობრივი ინტერპრეტაცია და საგანძურის ყველა ის ნივთი, რომელიც ეკლესიასთანაა დაკავშირებული, ამ განმარტებაში მოექცეს.

მართალია, სახელმწიფო საეკლესიო საგანძურზე ეკლესიის საკუთრების უფლებას აღიარებს, თუმცა ყოველივე ეს სახელმწიფოს დაქვემდებარებულ მუზეუმებში ინახება. სამწუხაროდ, იმ ნივთების განცალკევებული აღნიშვნა და კატალოგიზება, რომლის მესაკუთრეც ეკლესიაა, დღემდე არ მომხდარა.¹³⁸⁴ აუცილებელია აღინეროს

¹³⁸⁰ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 თებერვლის №177 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის — რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დებულების“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.

¹³⁸¹ იქვე, „კ“ ქვეპუნქტი.

¹³⁸² იხ., საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-8, მე-9 და მე-10 მუხლები.

¹³⁸³ იქვე, ტერმინთა განმარტება, მე-20 პუნქტი.

¹³⁸⁴ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2015 წლის 17 აგვისტოს წერილი №13/13-47/05.

თითოეული ნივთი და დადგინდეს მისი ზუსტი მესაკუთრე. გარდა ამისა, კონსტიტუციური შეთანხმებით, საეკლესიო საგანძური (წმიდა რელიკვიებისა და წმიდა ნაწილების გარდა), როგორც ეროვნული საგანძურის ნაწილი, სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივ მფლობელობაშია.¹³⁸⁵ აღნიშნული სამართლებრივი ნონსენსია, რადგან სამოქალაქო სამართლის მიხედვით, აღნიშნული შემთხვევა მფლობელობის შინაარსში ვერანაირად ჩაჯდება.¹³⁸⁶ საეკლესიო საგანძური სახელმწიფოს ფაქტობრივ მფლობელობაშია — განთავსებულია მუზეუმებში. მართალია, ეკლესია მესაკუთრეა და განკარგვის უფლებითაა აღჭურვილი (ამ შემთხვევაში ამ უფლების კლასიკური განხორციელებაც შეზღუდულია), თუმცა მფლობელობას სახელმწიფო ახორციელებს. აღნიშნული თანამფლობელობის კონტექსტშიც ვერ განიხილება.¹³⁸⁷ რა თქმა უნდა, საეკლესიო საგანძურის დაცვისა და მოვლის მიზნიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, შესაბამისი ღონისძიებები განახორციელოს და მათ მოუაროს სახელმწიფომ. ამისთვის გამართლებულია საეკლესიო საგანძურის ამ უკანასკნელის მფლობელობაში დატოვება.¹³⁸⁸ ამიტომაც კონსტიტუციური შეთანხმების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი უნდა შეიცვალოს და სამართლებრივად გამართულად ჩამოყალიბდეს: „ზემოაღნიშნული საეკლესიო საგანძური (წმიდა ნაწილებისა და წმიდა რელიკვიების გარდა), როგორც საერთო ეროვნული საგანძურის ნაწილი, კანონმდებლობის შესაბამისად, არის სახელმწიფოს მფლობელობაში“. ამ შემთხვევაში, ნორმა როგორც შინაარსობრივად, ისე სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით გაიმართება. მესაკუთრე კვლავაც ეკლესია იქნება, მფლობელი კი — სახელმწიფო.

პრაქტიკაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და შესაბამისი მუზეუმის ადმინისტრაცია საეკლესიო საგანძურთან დაკავშირებულ საკითხებს ეკლესიასთან ათანხმებს, თუმცა ამის სამართლებრივი მონესრიგება არ არსებობს.¹³⁸⁹ სამწუხაროდ, კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული „დამატებითი წესი“, რომელიც საგანძურის სარგებლობის შესახებ სახელმწიფოს უნდა მიეღო, არ არსებობს. ამ კუთხით კონსტიტუციური შეთანხმება არ შესრულებულა და მყარი სამართლებრივი საფუძვლის ნაცვლად, მდგომარეობა მთლიანად მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობათა ავკარგიანობასა და კეთილ ნებაზეა მინდობილი. აუცილებელია, ეკლესიასთან თანამშრომლობით შემუშავდეს სპეციალური წესი, ნორმატიული აქტის ფორმით, რომელიც ამ შემთხვევებში მოქმედების ერთიან სტანდარტს დაადგენს.

სპეციალური წესი სამართლებრივი აქტის ფორმით არ არსებობს კულტურულ-ისტორიული ღირებულებების მქონე ტაძრების აღდგენა, რესტავრაცია-კონსერვაციასა და მოხატვასთან დაკავშირებით.¹³⁹⁰ ამ შემთხვევასაც პრაქტიკა აწესრიგებს, კერძოდ, პირველ ეტაპზე კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო მიმართავს საქართველოს საპატრიარქოს, რომლის ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის

¹³⁸⁵ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹³⁸⁶ იხ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლი.

¹³⁸⁷ იხ., იქვე, 155-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

¹³⁸⁸ იხ., ხეცურიანი ჯ., ქართული ეკლესიის კონსტიტუციური საფუძვლები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2002, 14.

¹³⁸⁹ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2015 წლის 17 აგვისტოს წერილი №13/13-47/05.

¹³⁹⁰ იხ., საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი.

ცენტრში არსებული საბჭო განიხილავს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ეკლესია-მონასტრების რეაბილიტაციის საკითხს და შესაბამის სამუშაოებზე ნებართვა მხოლოდ საბჭოსთან შეთანხმებით გაიცემა.¹³⁹¹ აუცილებელია, ამ მიმართულებითაც დადგინდეს ნორმატიული მოწესრიგება, რომელიც დაცვის დამატებით გარანტიებს უზრუნველყოფს, რადგანაც ისტორიული მართლმადიდებლური ეკლესიები და ტაძრები, არა ერთი კონკრეტული კონფესიის, არამედ მთელი სახელმწიფოსა და საზოგადოების, ხალხის ღირებული ობიექტებია.

სახელმწიფო პირნათლად ასრულებს კონსტიტუციური შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებას და აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე არსებული ქართული მართლმადიდებლური ტაძრის, მონასტრის, მათი ნანგრევის, სხვა საეკლესიო ნაგებობის, საეკლესიო ნივთების დაცვის, მოვლა-პატრონობისა და საკუთრების თაობაზე.¹³⁹² ამ მიმართულებით, აქტიური მოლაპარაკებები მიდის თურქეთთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან და კვიპროსთან, დაიწყო რამდენიმე ქართული ტაძრის რესტავრაცია, რეაბილიტაცია, კონსერვაცია და ა.შ.¹³⁹³

5. რელიგიის სწავლება და რელიგიური განათლება

5.1. რელიგიის სწავლების როლი და მნიშვნელობა

რელიგიასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. უფრო მეტიც, საკუთრივ, რელიგიის ცნებაც კი არაერთგვაროვანია, თითოეული მეცნიერი თუ იურისტი მის განსხვავებულ განსაზღვრებას ადგენს.¹³⁹⁴ ტემპერმანის შეფასებით, რელიგიას შვიდი სხვადასხვა მიმართულება აქვს¹³⁹⁵, ლოგიკურია, თითოეულ მათგანში რამდენიმე ათეული ვარიაციით შეიძლება ცნების განმარტების დადგენა. რელიგია ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია. იგი დღემდე რჩება ევროპული იდენტობის მნიშვნელოვან კომპონენტად.¹³⁹⁶ მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სამყაროში იგი გადამწყვეტ როლს ხშირად ვეღარ თამაშობს, ეს არ ნიშნავს მსგავსი პოზიციისადმი რელიგიური გაერთიანებების მხრიდან შემგუებლური პოლიტიკის არჩევასა და გატარებას.

ქრისტიანული ეკლესია ევროპის ერთ-ერთი უძველესი ინსტიტუტია და დღესაც აქვს პრეტენზია, რომ ქმედითი იყოს, იგი ვერასდროს დაკმაყოფილდება „სამუზეუმო

¹³⁹¹ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2015 წლის 17 აგვისტოს წერილი №13/13-47/05.

¹³⁹² საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-10 მუხლი.

¹³⁹³ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2015 წლის 17 აგვისტოს წერილი №13/13-47/05.

¹³⁹⁴ იხ., ალადაშვილი გ., რელიგიის ცნების სამართლებრივ-თეორიული განსაზღვრა (უპირატესად აშშ-ის სამართლის მაგალითზე), ჟურნ. „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“, №1(2), 2014, 39-49.

¹³⁹⁵ Temperman J., State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance, Leiden-Boston, 2010, 139.

¹³⁹⁶ Nathan C.N., The Changing Face of Religion and Human Rights, A Personal Reflection, Leiden-Boston, 2013, 175.

სივრცეში გადანაცვლებით¹³⁹⁷. ეკლესია, სხვა რელიგიური გაერთიანებების მსგავსად, ცდილობს საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროები, რომლებიც ტრადიციულად მისი გავლენის ქვეშ არსებობდა და მისი კარნახითვე წარმართებოდა, კვლავაც მას დარჩეს. ერთ-ერთი ასეთი სფერო კი, უდავოდ, განათლებაა. განათლების საკითხებში რელიგიური ინსტიტუტებისა და სახელმწიფოს თანამშრომლობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. თუმცა რაც უფრო ვითარდებოდა სახელმწიფოს, როგორც ორგანიზაციული და ინსტიტუციური წარმონაქმნის, მისი და ფუნქციების შესახებ მოსაზრებები და შეხედულებები, მით უფრო განათლება სახელმწიფოს გამგებლობის ქვეშ ექცეოდა. თანამედროვე სამყაროში, სადაც ცოდნის მიღების უამრავი ალტერნატიული საშუალება არსებობს, ეკლესიამ განათლების სისტემაზე მონოპოლია დაკარგა.¹³⁹⁸ XXI საუკუნეშიც კი, სადაც განათლება ძირითად უფლებათა შორისაა მოქცეული და ამ სფეროს სრული პრივატიზაცია მომეტებული საჯარო ინტერესის გამო ვერ განხორციელდა, რელიგიური გაერთიანებები ძალზე ხშირად არიან განათლების სფეროში აქტიური სუბიექტები.

პლურალისტულ საზოგადოებაში მშვიდობისა და ერთიანობის პროპაგანდა სახელისუფლებო პოლიტიკის ამოსავალი იდეაა.¹³⁹⁹ სახელმწიფოს რელიგიური ნეიტრალიტეტი განათლებაში კი საზოგადოებრივი პლურალიზმის ერთ-ერთი მთავარი პირობაა.¹⁴⁰⁰ რელიგიისა და ეთიკის შესახებ სწავლება სკოლებში მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ინდიფერენტულობის, ფანატიზმის, დოგმატურობის, შეუწყნარებლობისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას.¹⁴⁰¹ მან შესაძლოა მნიშვნელოვანი დახმარება გასწიოს იმის გაგებაში, თუ როგორ აყალიბებს რელიგიური რწმენა, ღირებულებები და აღმსარებლობა საზოგადოებებს, იგი ხშირად ინდივიდთა ქცევის მიმართულებებს განსაზღვრავს¹⁴⁰².

რელიგიური განათლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი მოქალაქეობისთვის მომზადება უნდა იყოს, რადგან რელიგია თანამედროვე კულტურისა და საზოგადოების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.¹⁴⁰³ სკოლებში რელიგიის გაკვეთილების დადებით სოციალურ, საგანმანათლებლო და პოლიტიკურ მხარეებს ათეისტებისა და სეკულარისტების ნაწილიც აღიარებს.¹⁴⁰⁴ სწორედ ამიტომაც, თუკი რელიგიის შესახებ სწავლების პროგრამა კარგადაა დაგეგმილი და მიზნად ცალკეული რელიგიური თუ არარელიგიური გაგების, მსოფლმხედველობის მხარდაჭერას არ

¹³⁹⁷ ბართოლომეოს I, ინტერრელიგიური დიალოგის აუცილებლობა და მიზანი, სიტყვა, წარმოთქმული 2006 წლის 22 იანვარს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო სხდომაზე, ჟურნ. „სოლიდარობა“, №2(11)'07, 2007, 34.

¹³⁹⁸ Turner B.S., *The Religious and the Political, A Comparative Sociology of Religion*, New York, 2013, 228.

¹³⁹⁹ Tuohy D., *Denominational Education and Politics, Ireland in a European Context*, Dublin, 2013, 179.

¹⁴⁰⁰ *Lautsi and Others v. Italy*, [ECtHR], App. no. 30814/06, 11 March 2011, Para. 17.

¹⁴⁰¹ Tuohy D., *Denominational Education and Politics, Ireland in a European Context*, Dublin, 2013, 181.

¹⁴⁰² იქვე, 178.

¹⁴⁰³ Leigh I., *Objective, Critical and Pluralistic? Religious Education and Human Rights in the European Public Sphere*, in: *Law, State and Religion in the New Europe*, Edited by L. Zucca and C. Ungureanu, Cambridge, 2012, 197.

¹⁴⁰⁴ Cumper P., *The Participation of Religious Communities in Public Life – The British Experience*, in: *Transformation of Church and State Relations in Great Britain and Germany*, Edited by C. Walter and A. Von Ungern-Sternberg, Baden-Baden, 2013, 197.

ისახავს, მსგავსი გაკვეთილებისგან გათავისუფლების შესაძლებლობა ძალზე მინიმალური უნდა იყოს ან საერთოდ არ არსებობდეს.¹⁴⁰⁵ ნებისმიერ ადამიანს, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილად აღიქვამს თავს, სჭირდება ცოდნა რელიგიის, როგორც მოვლენის, მისი ისტორიისა და კულტურის შესახებ. ამ ცოდნის მიღების უამრავი საშუალება და აპრობირებული მოდელი არსებობს, რაც ადამიანის ძირითადი უფლებების დოქტრინასთან სრულ თანხვედრაშია.

5.2. ეკლესია-სახელმწიფოს ინსტიტუციური ურთიერთობები და განათლება

5.2.1. განათლების სისტემაში რელიგიის ინტეგრირების მოდელები

განათლების სფეროში რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებით ევროპული სახელმწიფოების პრაქტიკა ხუთ მოდელს გამოარჩევს: 1. ქრისტიანული რელიგიის სწავლება საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო ნაწილია, რომელსაც აფინანსებს, ადგენს და ორგანიზაციულ მხარეს სახელმწიფო უზრუნველყოფს. ამასთან, მოსწავლეებსა და მშობლებს უფლება აქვთ, მსგავს მეცადინეობებში მონაწილეობა არ მიიღონ; 2. სახელმწიფო აფინანსებს რელიგიურ განათლებას, რომელიც სავალდებულოა, თუმცა სწავლებას გეგმავს და ახორციელებს შესაბამისი რელიგიური გაერთიანება, სახელმწიფო კი ფინანსურ მხარეს უზრუნველყოფს, მშობლებსა და მოსწავლეებს არჩევანის თავისუფლება აქვთ; 3. არჩევითი რელიგიური სწავლება, რომელსაც შესაბამისი რელიგიური გაერთიანებები ადგენენ და განსაზღვრავენ სახელმწიფოსთან ერთად, ეს უკანასკნელი კი აფინანსებს; 4. არჩევითი არადენომინაციური სწავლება რელიგიის შესახებ, რომელსაც მთლიანად სახელმწიფო უზრუნველყოფს და აფინანსებს; 5. რელიგიის შესახებ სწავლების აკრძალვა საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში.¹⁴⁰⁶

შესაძლებელია რელიგიური განათლების სისტემების შემდეგი კლასიფიკაციაც: „რელიგიური განათლება“ — დენომინაციური ან ისეთი განათლება, რომელიც ცალკეული რელიგიის სწავლებას ემსახურება; „სწავლება რელიგიის შესახებ“ — სხვადასხვა რელიგიის მეცნიერებისა და მათი მნიშვნელობის შესახებ სწავლება; „სწავლა რელიგიიდან“ — რელიგიური გამოცდილების, რელიგიური ცხოვრების, პიროვნებისა და ინდივიდის ჩამოყალიბებაში რელიგიის როლის შესახებ სწავლება.¹⁴⁰⁷

რელიგიური განათლება ევროპის მასშტაბით საკმაოდ მრავალფეროვანი და სახელმწიფოთა მიხედვით განსხვავებულია, თითოეული მათგანი საკუთარ ეროვნულ

¹⁴⁰⁵ Leigh I., *Objective, Critical and Pluralistic? Religious Education and Human Rights in the European Public Sphere*, in: *Law, State and Religion in the New Europe*, Edited by L. Zucca and C. Ungureanu, Cambridge, 2012, 201; *Toledo Guiding Principles on Teaching about Religions and Beliefs in Public Schools*, Prepared by the ODIHR Advisory Council of Experts on Freedom of Religion or Belief, OSCE, Warsaw, 2007, 70, 72.

¹⁴⁰⁶ იხ., Doe N., *Christian Law, Contemporary Principles*, New York, 2013, 379-380. შესაძლოა რელიგიური განათლების ოთხ მოდელის გამოარჩევა: 1. რელიგიური განათლების უარყოფა (საფრანგეთი, ალბანეთი); 2. განათლების დენომინაციური მოდელი (ავსტრია, ბელგია, ესპანეთი); 3. რელიგიური განათლება რელიგიური გაერთიანებებთან სახელმწიფოს თანამშრომლობით (უნგრეთი, ფინეთი, გერმანია); 4. რელიგიური განათლებას ექსკლუზიურად სახელმწიფო იღებს საკუთარ თავზე (დანია, გაერთიანებული სამეფო). იხ., Lozano R.P., *Religion and Education of Europe Toward a “Soft” Constitutionalization of a Model of Religious Teaching?* in: *Law, Religion, Constitution (Freedom of Religion, Equal Treatment, and the Law)*, Edited by C. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari and D. Thayer, Ashgate Publishing, 2013, 370-371.

¹⁴⁰⁷ იქვე, 371.

მოდელს ქმნის.¹⁴⁰⁸ როგორც წესი, რელიგიური განათლება ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობაში სავალდებულოა, ამასთან, უმცირესობებისთვის დადგენილია გამონაკლისები, ალტერნატივა კი ზოგადად არაა გავრცელებული.¹⁴⁰⁹ ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოებიდან ყველაში, სამის გარდა (საფრანგეთი, ალბანეთი, იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონია; სლოვენია საჯარო სკოლების მოსწავლეებს არჩევით საგნად მაინც სთავაზობს რელიგიის ისტორიის შესახებ საგანს), არსებობს სავალდებულო ან არჩევითი საგნები რელიგიის შესახებ¹⁴¹⁰.

5.2.2. რელიგიის სწავლება და სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები

განათლების სისტემა ადამიანის უფლებებს შეესაბამება და გამართულია, თუ სახელმწიფო საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში უზრუნველყოფს ნეიტრალური, არარელიგიური გარემოს არსებობას, საჭიროებისას კი უშვებს რელიგიის შესახებ საგნებს კურიკულუმში და მოსწავლეებს უფლებას აძლევს, სურვილის მიხედვით, არ გაიარონ ისინი.¹⁴¹¹ ადამიანის უფლებათა კომიტეტი ერთმანეთისგან მიჯნავს რელიგიურ მოძღვრებათა სწავლებასა და რელიგიურ პრაქტიკას, ამასთან, განმარტავს, რომ რელიგიის სწავლებისას დაცული უნდა იყოს ნეიტრალიტეტისა და ობიექტურობის მოთხოვნები¹⁴¹².

საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიური განათლება, სასურველია, მოიცავდეს რელიგიის ისტორიისა და ეთიკის შესახებ სწავლებას.¹⁴¹³ რელიგიების ისტორიისა და ფილოსოფიის ზომიერი და ობიექტური სწავლება ფანატიზმთან ბრძოლის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ მექანიზმადაა მიჩნეული.¹⁴¹⁴ ევროსაბჭოს რეკომენდაციით, იმ სახელმწიფოებშიც კი, სადაც ერთი კონკრეტული რელიგიაა დომინანტი, აუცილებელია სხვა რელიგიების საფუძვლებიც ასწავლონ¹⁴¹⁵.

ევროსასამართლოს პრაქტიკით, რელიგიური განათლების აუცილებელი ორი ელემენტი გამოიყოფა: 1. სახელმწიფოს მიერ მონოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ობიექტური, კრიტიკული და პლურალისტული; 2. სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას ინდოქტრინიზაცია.¹⁴¹⁶ სახელმწიფოს მიერ საჯარო სკოლებში რელიგიის შესახებ ინფორმაციის მინოდება ლეგიტიმურია, მთავარია, სწავლებისას დაცული იყოს ინფორმაციის ობიექტურობისა და ნეიტრალურად მინოდების პრინციპი.¹⁴¹⁷ თუკი სახელმწიფოს რელიგიის შესახებ სწავლებისას მკაცრად ობიექტურ, კრიტიკულ და პლურ-

¹⁴⁰⁸ იქვე, 370.

¹⁴⁰⁹ იხ., Tuohy D., *Denominational Education and Politics, Ireland in a European Context*, Dublin, 2013, 189.

¹⁴¹⁰ იქვე, 188.

¹⁴¹¹ Temperman J., *State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance*, Leiden-Boston, 2010, 278.

¹⁴¹² *Leirvåg and Ors v. Norway*, UNHRC, Comm. No. 1155/2003, CCPR/C/82/D/1155/2003, 23 November 2004, Para.14.3;14.6.

¹⁴¹³ UNHRC, General Comment 22, Article 18 (Forty-eighth session, 1993), Para.6.

¹⁴¹⁴ *State, Religion, Secularity and Human Rights*, Recommendation 1804 (2007), Parliamentary Assembly of Council of Europe, Para.13.

¹⁴¹⁵ იქვე, Para.14.

¹⁴¹⁶ Lozano R.P., *Religion and Education of Europe Toward a "Soft" Constitutionalization of a Model of Religious Teaching?* in: *Law, Religion, Constitution (Freedom of Religion, Equal Treatment, and the Law)*, Edited by C. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari and D. Thayer, Ashgate Publishing, 2013, 378.

¹⁴¹⁷ იხ., *Angelini v. Sweden*, [ECHR], App. no. 10491/83, D.R. 51, 3 December 1986

რალისტულ გარემოს არ უზრუნველყოფს, მოსწავლეებს თავიანთი მრწამსის შესაბამისად, უფლება აქვთ, მსგავს სწავლებაში მონაწილეობა არ მიიღონ.¹⁴¹⁸ ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ევროსასამართლო ცდილობს, ისეთი სტანდარტი ჩამოაყალიბოს, რომელიც შესაძლებელს გახდის, გაკონტროლდეს რელიგიის ზეგავლენა ბავშვზე, სანამ იგი საკმარისად არ გაიზრდება, რომ თავად გადაწყვიტოს საკუთარ მრწამსთან, რწმენასთან დაკავშირებული საკითხები.¹⁴¹⁹ ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, სახელმწიფოს შეუძლია დამოუკიდებლად გადაწყვიტოს რელიგიის სწავლების მეთოდები, თავადვე შეარჩიოს ამ საგნის მასწავლებლები და ა.შ.¹⁴²⁰ რაც მთავარია, კონკრეტული რელიგიის მოძღვრების სწავლება უნდა განხორციელდეს არადისკრიმინაციულ საფუძველზე.¹⁴²¹ მართალია, რელიგიის ნეიტრალური სწავლება თანამედროვე მიდგომაა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არათუ ჰუმანიტარულ საგნებში, არამედ ტექნიკურ დისციპლინებშიც კი ობიექტური და ნეიტრალური სწავლება პრაქტიკულად შეუძლებელია¹⁴²².

„ინდოქტრინიზაცია“¹⁴²³ კონკრეტული დოქტრინის გავლენის ქვეშ რაიმეს ან ვინმეს მოქცევას გულისხმობს¹⁴²⁴ და იგი რელიგიური განათლების მთავარ საფრთხედაა მიჩნეული.¹⁴²⁵ XXI საუკუნეში ბავშვი სასკოლო განათლების მთავარი სუბიექტია,¹⁴²⁶ შესაბამისად, ბავშვებს განსაკუთრებული დაცვა სჭირდებათ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი სკოლაში არიან, უცხო ადამიანს — მასწავლებელს მინდობილები.¹⁴²⁷ სამოქალაქო ლიბერალიზმის მიხედვით, განათლების მიზანი უნდა იყოს ბავშვის, როგორც ლიბერალური საზოგადოების მომავალი მოქალაქის, ავტონომიურად არჩევანის გაკეთებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარის განვითარება.¹⁴²⁸ შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ისეთი საგანმანათლებლო სისტემის არსებობა, სადაც ბავშვს რომელიმე კონკრეტულ რელიგიასა თუ მრწამსს თავს არ

¹⁴¹⁸ Ringelheim J., Rights, Religion and the Public Sphere: the European Court of Human Rights in Search of a Theory? in: Law, State and Religion in the New Europe, Edited by L. Zucca and C. Ungureanu, Cambridge, 2012, 290; იხ., *Folgerø and Others v. Norway*, [ECtHR], App. no. 15472/02, 29 June 2007.

¹⁴¹⁹ Langlaude S., Introduction: Secularism, Religious Liberty, and the ECHR, *International and Comparative Law Quarterly*, Vol. 55, October 2006, 935; *Çiftçi v. Turkey*, [ECtHR], App. No. 71860/01, admissibility decision, 2004.

¹⁴²⁰ იხ., *William Eduardo Delgado Páez v. Colombia*, UNHRC, Comm. No. 195/1985, CCPR/C/39/D/195/1985 (1990), 12 July 1990.

¹⁴²¹ UNHRC, General Comment 22, Article 18 (Forty-eighth session, 1993), Para.6.

¹⁴²² კურტანიძე კ., ევროსაბაჭოს საპარლამენტო ასამბლეას რეკომენდაცია: სახელმწიფო, რელიგია, სეკულარობა დაადამიანის უფლებები, ჟურნ. „სოლიდარობა“, №1(34), 2010, 98.

¹⁴²³ ინდოქტრინიზაციის ელემენტების შესახებ დაწვრილებით იხ., ოზანო R.P., *Religion and Education of Europe Toward a “Soft” Constitutionalization of a Model of Religious Teaching?* in: Law, Religion, Constitution (Freedom of Religion, Equal Treatment, and the Law), Edited by C. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari and D. Thayer, Ashgate Publishing, 2013, 381.

¹⁴²⁴ იხ., იქვე, 378-379.

¹⁴²⁵ Cumper P., *The Participation of Religious Communities in Public Life – The British Experience*, in: Transformation of Church and State Relations in Great Britain and Germany, Edited by C. Walter and A. Von Ungern-Sternberg, Baden-Baden, 2013, 197.

¹⁴²⁶ ვან ბუერნი ჯ., ბავშვები და რელიგია, ა. გეგეჭკორის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №1(10)'07, 2007, 32.

¹⁴²⁷ Langlaude S., Introduction: Secularism, Religious Liberty, and the ECHR, *International and Comparative Law Quarterly*, Vol. 55, October 2006, 931.

¹⁴²⁸ Leigh I., Objective, Critical and Pluralistic? Religious Education and Human Rights in the European Public Sphere, in: Law, State and Religion in the New Europe, Edited by L. Zucca and C. Ungureanu, Cambridge, 2012, 195.

მოახვევენ.¹⁴²⁹ ბავშვმა სკოლაში უნდა მიიღოს ინფორმაცია რელიგიის შესახებ და არ უნდა გახდეს რელიგიური განათლების ნაწილი.¹⁴³⁰ საჯარო სკოლებში რელიგიური პლურალიზმის პრინციპის დაცვა იმას გულისხმობს, რომ სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი რომელიმე რელიგიისათვის უპირატესობის მინიჭებისგან და პატივი სცეს არადომინანტი აღმსარებლობის მიმდევარი მოსწავლეების უფლებებს¹⁴³¹.

სახელმწიფო ვალდებულია, პატივი სცეს მშობელთა რელიგიურ შეხედულებებს განათლების ნებისმიერ საფეხურსა და დონეზე,¹⁴³² განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და რაც მთავარია, განხორციელების პროცესში,¹⁴³³ ასევე, მაქსიმალურად გაითვალისწინოს ისინი საგანმანათლებლო პროგრამებში.¹⁴³⁴ მშობლებს არა მხოლოდ განსაკუთრებული სტატუსი აქვთ, არამედ მნიშვნელოვანი უფლებებიც ენიჭებათ ბავშვებთან მიმართებით, მათ შორის, მათ მომავლის დაგეგმვისა და ცხოვრების წარმართვის მხრივაც.¹⁴³⁵ მშობლებმა თავიანთი შეხედულებისამებრ უნდა გადაწყვიტონ, თუ რა ტიპის სკოლაში შეიყვანენ შვილებს, სახელმწიფო კი მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, ისიც მინიმალურად უნდა ჩაერიოს ამ გადაწყვეტილებაში¹⁴³⁶.

საჯარო ხელისუფლებას არ მოეთხოვება, რომ საჯარო სკოლებში სწავლება რომელიმე რელიგიური დოქტრინის პრინციპებთან იყოს შესაბამისი.¹⁴³⁷ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ისეთი საჯარო სკოლების არსებობა, რომლებშიც რელიგიურ მოძღვრებათა შესახებ გაკვეთილები ნებაყოფლობითი იქნება, იმავდროულად, სახელმწიფოს მოვალეობაა ისეთი გარემო შექმნას, სადაც კერძო სკოლებში ნებადართული იქნება კონკრეტული რელიგიური თუ მორალური შეხედულებების სწავლება, რათა აღმსარებელ მშობელთა და მოსწავლეთა უფლებებიც იყოს დაცული.¹⁴³⁸ თუკი სახელმწიფოში რელიგიის დენომინაციური სწავლებაა, მათთვის, ვისაც მასში მონაწილეობის მიღება არ სურს, სახელმწიფო რელიგიის შესახებ არადენომინაციური საგნების ან ეთიკის სწავლების შეთავაზებას უზრუნველყოფს¹⁴³⁹.

5.2.3. რელიგიური განათლების დაფინანსება

სახელმწიფო ვალდებული არაა დააფინანსოს რელიგიური სკოლები, მაგრამ, თუკი ამას გადაწყვეტს, ეს არადისკრიმინაციულად უნდა განახორციელოს. მხოლოდ კონკრეტული რელიგიური მიმართულების სკოლების დაფინანსების შემთხვევაში კი

¹⁴²⁹ ვან ბუერნი ვ., ბავშვები და რელიგია, ა. გეგეჭკორის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №1(10)'07, 2007, 32.

¹⁴³⁰ იხ., *Angelini v. Sweden*, [ECHR], App. no. 10491/83, D.R. 51, 3 December 1986.

¹⁴³¹ იხ., *Lautsi and Others v. Italy*, [ECtHR], App. no. 30814/06, 3 November 2009.

¹⁴³² იხ., *Kjeldsen, Busk, Madsen and Pedersen v. Denmark*, [ECtHR], Application no. 5095/71; 5920/72; 5926/72, 7 December 1976.

¹⁴³³ იხ., იქვე.

¹⁴³⁴ *Folgerø and Others v. Norway*, [ECtHR], App. no. 15472/02, 29 June 2007, Para.84; ჯვარცმები იტალიის სახელმწიფო სკოლებში. სასამართლომ არ დაადგინა დარღვევის ფაქტი, ჟურნ. „საკონსტიტუციო სასამართლოს მიმოხილვა“, №5, 2012, 117.

¹⁴³⁵ *Nielsen v. Denmark*, [ECtHR], App. no. 10929/84, 28 November 1988.

¹⁴³⁶ Ahdar R., Leigh I., *Religious Freedom in the Liberal State*, 2nd Ed., Croydon, 2013, 251.

¹⁴³⁷ *Epperson v. Arkansas*, 393 U.S. 106 (1968).

¹⁴³⁸ იხ., Temperman J., *State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance*, Leiden-Boston, 2010, 280-281.

¹⁴³⁹ Tuohy D., *Denominational Education and Politics, Ireland in a European Context*, Dublin, 2013, 190.

მისი პოზიცია ძალზე დასაბუთებული და გამართლებული უნდა იყოს.¹⁴⁴⁰ რომელიმე რელიგიისადმი უპირატესობის მინიჭებისას ყოველთვის დიდია თანასწორობის ძირითადი უფლების დარღვევის საფრთხე.

სახელმწიფოთა მიხედვით განსხვავდება როგორც რელიგიური განათლების, ისე სამრევლო, რელიგიური სკოლების დაფინანსების საკითხი. ჯეფერსონი ხელისუფლების მიერ რომელიმე რელიგიის მიმართ დახმარების წინააღმდეგი იყო, თუმცა განათლებაში რელიგიური ფორმების არსებობას არ ეწინააღმდეგებოდა.¹⁴⁴¹ დღესდღეობით აშშ-ში შტატი თითოეული ბავშვის განათლებას აფინანსებს, შესაბამისად, მშობლის გადასაწყვეტია მოსწავლისთვის გამოყოფილ ვაუჩერს სად გამოიყენებს — კერძო (მათ შორის, რელიგიურ) თუ საჯარო სკოლაში¹⁴⁴².

ბელგიაში დაფინანსებულია როგორც რელიგიური, ისე არარელიგიური განათლება.¹⁴⁴³ ნიდერლანდების სამეფო აფინანსებს როგორც საჯარო, ისე სპეციალურ, რელიგიურ დაწყებით სკოლებს და მათ მიმართ საერთოსახელმწიფოებრივ სტანდარტს ადგენს.¹⁴⁴⁴ მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში ლაიციტური მიდგომა, 1958 წლიდან დღემდე საფრანგეთი კათოლიკურ დაწყებით სკოლებს აფინანსებს.¹⁴⁴⁵ რა თქმა უნდა, ოფიციალურად ეს განათლების ხელშეწყობის მიზნით კეთდება, თუმცა, სინამდვილეში, ამ სკოლებში რომის ეკლესიის დოგმატიკა ისწავლება საეკლესიო ტრადიციების შესაბამისად. რელიგიური სკოლების დიდ ნაწილს სახელმწიფო აფინანსებს გაერთიანებულ სამეფოშიც¹⁴⁴⁶.

5.2.4. რელიგიის სწავლებაზე სახელმწიფო ზედამხედველობა

საბერძნეთში ეროვნული განათლება და საკულტო საკითხები ერთი სამინისტროს საქმიანობის სფეროშია მოქცეული, შესაბამისად, სამინისტროს ერთ-ერთი სამსახურის მოვალეობაა რელიგიურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხების უზრუნველყოფა.¹⁴⁴⁷ ამასთან, სასულიერო სასწავლებლების მასწავლებლები საჯარო მოხელეებთან გათანაბრებული სტატუსით სარგებლობენ.¹⁴⁴⁸ მონაკოში რომის ეკლესიის მთავარეპისკოპოსი ეროვნული განათლების კომიტეტის წევრია, ხოლო კათოლიციზმი ისწავლება სკოლებში, თუმცა არაქრისტიანთა რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფით¹⁴⁴⁹.

¹⁴⁴⁰ *Waldman v. Canada*, UNHRC, Comm. No. 694/1996, CCPR/C/67/D/694/1996, 3 November 1999, Para.10.6.

¹⁴⁴¹ Horn C. III, *Secularism and Pluralism in Public Education*, “Harvard Journal of Law and Public Policy”, Vol.1, No.1, 1984, 181.

¹⁴⁴² Merriman S.A., *Religion and the State, An International Analysis of Roles and Relationship*, Santa Barbara, 2005,

¹⁴⁴³ Temperman J., *State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance*, Leiden-Boston, 2010, 98.

¹⁴⁴⁴ იქვე, 98-99; Constitution of the Kingdom of the Netherland, 1983, Art.23; Title II of the Law of the Kingdom of the Netherlands on “public Schools and Special Schools Financed by the State”, 1981.

¹⁴⁴⁵ სტეფანი ა., რელიგიისა და დემოკრატიის ურთიერთშეთავსებადობის შესახებ, დ. თინიკაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №2(29), 2009, 62.

¹⁴⁴⁶ McConnell M.W., Garvey J.H., Berg Th.C., *Religion and the Constitution*, New York, 2011, 91.

¹⁴⁴⁷ ხეცურიანი ჯ., სახელმწიფო და ეკლესია, ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2013, 35.

¹⁴⁴⁸ იქვე, 36.

¹⁴⁴⁹ Grinda G., *The Principality of Monaco (State, International Status, Institutions)*, 2nd Ed., Translated by J.C. Duursma, The Hague, 2010, 153.

გერმანიაში რელიგიური განათლება ძირითადად საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებშია, რომლებშიც რელიგიის სწავლებასა და თეოლოგიას ეკლესიებსა და სხვა რელიგიურ გაერთიანებებთან თანამშრომლობით ახორციელებენ.¹⁴⁵⁰ გერმანიის შემთხვევაში როგორც ზოგადად რელიგიური, ისე კონკრეტული რელიგიის სწავლება ხდება „გარედან“ და არა თავად საგანმანათლებლო ინსტიტუციის მიერ „შიგნიდან“¹⁴⁵¹.

5.2.5. რელიგიური სიმბოლოები და განათლება

რელიგიისა და განათლების ურთიერთკავშირის კუთხით ძალზე მნიშვნელოვანი და აქტუალურია საჯარო სივრცეში, კერძოდ, საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიური სიმბოლიკის განთავსებისა და გამოფენის საკითხი. ამ მხრივ, როგორც ევროპული, ისე, ზოგადად, ერთიანი, ძირითადი უფლებებისეული სტანდარტი არ არსებობს. თემატიკა იმდენად მგრძობიარეა, რომ ბევრი სახელმწიფო უბრალოდ თვალს ხუჭავს ამ საკითხზე, თუმცა ეს გაცილებით უფრო დიდ უსამართლობასა და უფლებების დარღვევას განაპირობებს.

გავრცელებულია მოსაზრება, რომ საჯარო სკოლებში რელიგიურ სიმბოლოთა გამოფენა არააღმსარებელ მშობელთა და მოსწავლეთა უფლებებს არღვევს, ადეკვატური განათლების მიღების იდეას ეწინააღმდეგება.¹⁴⁵² რელიგიური სიმბოლოების ტარებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა კომიტეტსა და ევროსასამართლოს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ.¹⁴⁵³ თუკი პირველი მათგანი მათ ტარებაზე დაწესებულ შეზღუდვებსა და აკრძალვებს ხშირად ადამიანის ძირითადი უფლების დარღვევად განიხილავს¹⁴⁵⁴, მეორე ამას ამართლებს¹⁴⁵⁵. აზრთა სხვადასხვაობაა საჯარო და ერთობლივი ლოცვების ჩატარებასთან დაკავშირებითაც¹⁴⁵⁶.

საფრანგეთში აკრძალულია ნებისმიერი სახის რელიგიური სიმბოლოები საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მსგავსი აკრძალვა რელიგიურ სკოლებზეც ვრცელდება.¹⁴⁵⁷ რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა საფრანგეთში დაწესებული აკრძალვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიური ტანსაცმლის ტარებაზე, დისკრიმინაციად და განათლების უფლების საყოველთაობის

¹⁴⁵⁰ Von Ungern-Sternberg A., Participation of Religious Communities in Public Life – Great Britain and Germany, in: Transformation of Church and State Relations in Great Britain and Germany, Edited by C. Walter and A. Von Ungern-Sternberg, Baden-Baden, 2013, 210.

¹⁴⁵¹ იხ., იქვე, 219.

¹⁴⁵² Temperman J., State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance, Leiden-Boston, 2010, 282.

¹⁴⁵³ იქვე, 283.

¹⁴⁵⁴ UN Religious Tolerance Declaration (1981), Art.6(c), UNHRC, General Comment No.22., Para.4.

¹⁴⁵⁵ იხ., *Leyla Şahin v. Turkey*, [ECtHR], App. no. 44774/98, 10 November 2005.

¹⁴⁵⁶ აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ არაკონსტიტუციურად და სექულარიზმის პრინციპის დარღვევად ცნო სკოლის პოლიტიკა, რომელიც კურსდამამთავრებულთა ცერემონიაზე ლოცვას ითვალისწინებდა. იხ., *Lee v. Weisman*, 505 U.S. 577 (1992); მსგავსადმე შეაფასა საფეხბურთო მატჩების წინ საგანმანათლებლო დაწესებულების პოლიტიკა „არასექტანტური, არაპროზელიტური“ ლოცვის თაობაზე. იხ., *Santa Fe Independent School District v. Doe*, 530 U.S. 290 (2000).

¹⁴⁵⁷ Merriman S.A., Religion and the State, An International Analysis of Roles and Relationship, Santa Barbara, 2009, 53; Ferrari S., Introduction to European Church and State Discourses, in: Law & Religion in the 21st Century – Nordic Perspectives, Edited by L. Christoffersen, K. Å. Modeér, S. Andersen, Copenhagen, 2010, 28.

დარღვევად მიიჩნია.¹⁴⁵⁸ თუმცა ევროსასამართლომ საფრანგეთის მსგავსი დამოკიდებულება და პოლიტიკა გაამართლა.¹⁴⁵⁹ აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოებში, მათ შორის, საფრანგეთშიც, სადაც სეკულარიზმი საკონსტიტუციო დონეზე აღიარებული პრინციპია, რელიგიური ნიშნები და სიმბოლოები არა მხოლოდ რელიგიური კუთხით განიხილება, არამედ პოლიტიკურ დატვირთვისაც იძენს¹⁴⁶⁰.

იტალიურმა სასამართლოებმა განმარტეს, რომ საკლასო ოთახებში განთავსებული ჯვარცმა არა იმდენად რელიგიური, რამდენადაც იტალიური იდენტობის სიმბოლო და გამოვლინება იყო.¹⁴⁶¹ ევროსასამართლოს აზრით, საკლასო ოთახებში რელიგიური სიმბოლიკის გამოფენა ადამიანის ძირითად უფლებებს არღვევს მხოლოდ მაშინ, როცა მას აქტიური რელიგიური მნიშვნელობის ხაზგასმის ფუნქცია აკისრია.¹⁴⁶² აღსანიშნავია, რომ საკლასო ოთახების, სასამართლოების, საავადმყოფოებისა და სხვა საჯარო დაწესებულებათა კედლებიდან ჯვარცმების ჩამოხსნის საკითხის წამოჭრას იტალიაში მოსახლეობის დიდი ნაწილის სერიოზული პროტესტი მოჰყვა¹⁴⁶³.

გერმანიაში რელიგიურ სიმბოლოებთან დამოკიდებულება შემწყნარებლურია და მათი საჯაროდ ტარება ან გამოფენა, კანონის ფარგლებში, სახელმწიფოსათვის მისაღებია.¹⁴⁶⁴ თუმცა საკლასო ოთახებში რელიგიური სიმბოლოების განთავსება გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად და ძირითადი უფლებების დარღვევად ცნო¹⁴⁶⁵.

ადამიანის უფლებათა კომიტეტი აღნიშნავს, რომ რელიგიური სამოსის აკრძალვის გასამართლებლად აუცილებელია სათანადო დასაბუთება, ამასთან, ეს ხელს უნდა უშლიდეს საქმიანობის განხორციელებას, ან ხელყოფდეს სხვათა უფლებებს.¹⁴⁶⁶ მსგავსი პოზიცია გაიზიარა გაერთიანებული სამეფოს ლორდთა პალატამ, რომელმაც რელიგიური სამოსის ტარებაზე აკრძალვა გააუქმა.¹⁴⁶⁷ ევროსასამართლოს რეკომენდაციით, მასწავლებლებმა თავი უნდა შეიკავონ რელიგიური სიმბოლოების ან ტანსაცმლის ტარებისგან და მაქსიმალურად ხელი შეუწყონ მოსწავლეებში თავისუფალი ნებისა და პლურალიზმის დამკვიდრებას¹⁴⁶⁸. ზოგადად კი, ძალიან

¹⁴⁵⁸ Report of the Committee on the UN Elimination of Racial Discrimination A/60/18 (2005)26, Para.112; Temperman J., *State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance*, Leiden-Boston, 2010, 285.

¹⁴⁵⁹ *S.A.S. v. France*, [ECtHR], App. no. [43835/11](#), 1 July 2014.

¹⁴⁶⁰ იხ., *Leyla Şahin v. Turkey*, [ECtHR], App. no. 44774/98, 10 November 2005; Sir Bratza N., *The “Precious Asset”: Freedom of Religion Under the European Convention on Human Rights*, in: *Religion and Discrimination Law in the European Union*, Edited by M. Hill QC, Trier, 2012, 20.

¹⁴⁶¹ Ferrari S., *Introduction to European Church and State Discourses*, in: *Law & Religion in the 21st Century – Nordic Perspectives*, Edited by L. Christoffersen, K. Å. Modeér, S. Andersen, Copenhagen, 2010, 29.

¹⁴⁶² *Lautsi and Others v. Italy*, [ECtHR], App. no. 30814/06, 11 March 2011.

¹⁴⁶³ Ferrari S., *Introduction to European Church and State Discourses*, in: *Law & Religion in the 21st Century – Nordic Perspectives*, Edited by L. Christoffersen, K. Å. Modeér, S. Andersen, Copenhagen, 2010, 25.

¹⁴⁶⁴ Plesner I.Th., *Secularism – A Quest for Privatization of Religion?* in: *Law & Religion in the 21st Century – Nordic Perspectives*, Edited by L. Christoffersen, K. Å. Modeér, S. Andersen, Copenhagen, 2010, 307.

¹⁴⁶⁵ იხ., შვებე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ე. ჩაჩანიძის თარგმანი, კ. კუბლაშვილის, თ. ნინიძის, ბ. ლოლაძისა და ქ. ერემაძის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 69-77.

¹⁴⁶⁶ იხ., *Raihon Hudoyberganova v. Uzbekistan*, UNHRC, Comm. no.931/2000, CCPR/C/82/D/921/2000, 8 December 2004, Para.6.2.

¹⁴⁶⁷ იხ., Ahdar R., Leigh I., *Religious Freedom in the Liberal State*, 2nd Ed., Croydon, 2013, 261-262.

¹⁴⁶⁸ იხ., *Dahlab v. Switzerland*, [ECtHR], App. No. 42393/98, 15 February 2001.

რთულია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ახდენს გავლენას და რამდენად პირდაპირაა დაკავშირებული რელიგიური სიმბოლოების ტარება აღმსარებლობის თავისუფლებასთან.¹⁴⁶⁹

5.3. რელიგია სასწავლო კურიკულუმებში

5.3.1. რელიგიის გაკვეთილების სავალდებულობა სასწავლო პროგრამებში

თითქმის მთელ ევროპაში რელიგიის შესახებ სწავლება და ინსტრუქტირება საგანმანათლებლო კურიკულუმის ნაწილია.¹⁴⁷⁰ ევროსაბჭო წევრ-სახელმწიფოებს მოუწოდებს მნიშვნელოვანი რელიგიებისა და მოძღვრებების ისტორიისა და ფილოსოფიის შესახებ ინფორმაცია კურიკულუმებში შეიტანონ.¹⁴⁷¹ მიუხედავად ამისა, ამ აზრს ყველა სახელმწიფო ერთნაირად არ იზიარებს. რელიგიური განათლება საფრანგეთში ჯერ კიდევ 1882 წლის შემდეგ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებს მოსცილდა, აკადემიური პროგრამებიდან სრულად იქნა ამოღებული რელიგიური განათლების ნებისმიერი ელემენტი.¹⁴⁷² ამ პოლიტიკას საფრანგეთი დღემდე აგრძელებს.¹⁴⁷³ ევროსაბჭოს 25 სახელმწიფოში რელიგიური განათლება სკოლებში სავალდებულოა.¹⁴⁷⁴ იტალიის საჯარო სკოლებში კათოლიციზმის შესახებ სწავლება პროგრამის სავალდებულო ნაწილია, თუმცა მშობლებს აქვთ არჩევანის თავისუფლება, დაასწრონ თუ არა შვილები კათოლიციზმის გაკვეთილებს.¹⁴⁷⁵ მოსწავლეთა მოთხოვნით, ასევე, შესაძლებელია სხვა რელიგიათა შესახებ გაკვეთილების დაწესება, თუმცა ამ შემთხვევაში შესაბამის მასწავლებელთა ანაზღაურებას სახელმწიფო არ უზრუნველყოფს, განსხვავებით სავალდებულო, კათოლიციზმის გაკვეთილებისაგან.¹⁴⁷⁶ გაერთიანებულ სამეფოში რელიგიური განათლება 1988 წლის განათლების რეფორმის აქტით ეროვნულ კურიკულუმში სავალდებულო საგანი გახდა¹⁴⁷⁷. გაერთიანებულ სამეფოში არსებობს საერო სკოლები, რომლებშიც რელიგია ისწავლება ფორმალურად გაკვეთილებზე, ასევე,

¹⁴⁶⁹ Morini C., *Secularism and Freedom of Religion: The Approach of the European Court of Human Rights*, *Israel Law Review*, Vol. 43, 2010, 620.

¹⁴⁷⁰ Ferrari S., *Introduction to European Church and State Discourses*, in: *Law & Religion in the 21st Century – Nordic Perspectives*, Edited by L. Christoffersen, K. Å. Modeér, S. Andersen, Copenhagen, 2010, 28.

¹⁴⁷¹ *Illegal Activities of Sects*, Recommendation 1412 (1999), Parliamentary Assembly of Council of Europe, Para.10.2.

¹⁴⁷² იხ., *Opinion No.346.893 of the General Assembly of the French Council of State*, November 27, 1989; McConnell M.W., Garvey J.H., Berg Th.C., *Religion and the Constitution*, New York, 2011, 103.

¹⁴⁷³ Ferrari S., *Introduction to European Church and State Discourses*, in: *Law & Religion in the 21st Century – Nordic Perspectives*, Edited by L. Christoffersen, K. Å. Modeér, S. Andersen, Copenhagen, 2010, 28.

¹⁴⁷⁴ *Hasen and Eylem Zengin v. Turkey*, [ECtHR], App.no. 1448/04, 9 January 2008, Para.31; Cumper P., *The Participation of Religious Communities in Public Life – The British Experience*, in: *Transformation of Church and State Relations in Great Britain and Germany*, Edited by C. Walter and A. Von Ungern-Sternberg, Baden-Baden, 2013, 195.

¹⁴⁷⁵ Ferrari S., *Introduction to European Church and State Discourses*, in: *Law & Religion in the 21st Century – Nordic Perspectives*, Edited by L. Christoffersen, K. Å. Modeér, S. Andersen, Copenhagen, 2010, 30.

¹⁴⁷⁶ იქვე.

¹⁴⁷⁷ McConnell M.W., Garvey J.H., Berg Th.C., *Religion and the Constitution*, New York, 2011, 91; Sandberg R., *Law and Religion*, New York, 2011, 155.

არსებობს, სპეციალური რელიგიური სკოლები¹⁴⁷⁸, სადაც კონკრეტული რელიგია უპირატესია და რელიგიის სწავლაც ამ მიმართულების მიხედვით ხორციელდება.¹⁴⁷⁹ გაერთიანებულ სამეფოსა და გერმანიაში რელიგიური განათლება არ განიხილება მხოლოდ კერძო, პირად სფეროდ, იგი მნიშვნელოვნადაა ინტეგრირებული საჯარო და სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში.¹⁴⁸⁰ ჩეხეთში, ესტონეთში, უნგრეთში, ლიტვაში, ლატვიაში, მოლდავეთში, სლოვაკეთსა და უკრაინაში კონფესიური რელიგიური განათლება იმ შემთხვევაშია შემოთავაზებული, თუკი მოსწავლეები ამას თავად მოითხოვენ¹⁴⁸¹.

რელიგიის სავალდებულო სწავლება არ გულისხმობს მოსწავლეთა ვალდებულებას, აუცილებლად ერთი კონკრეტული რელიგიის შესახებ მეცადინეობებში მიიღონ მონაწილეობა. რელიგიური სწავლება, სასურველია, იყოს არჩევითი და იმ მშობლებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ რელიგიური იდეები მათთვის მნიშვნელოვანი არაა, ჰქონდეთ უფლება, შვილები მსგავს მეცადინეობებს არ დაასწრონ.¹⁴⁸² რელიგიის სწავლების შემთხვევაში აუცილებლად უნდა იქნას დადგენილი არადისკრიმინაციული გამონაკლისი ან ალტერნატივა, რომლებიც მშობლების სურვილსა და ინტერესებს დააკმაყოფილებს.¹⁴⁸³ თუ მშობელი უარს აცხადებს, შვილი რელიგიის გაკვეთილს დაესწროს, სახელმწიფომ და სკოლამ უნდა უზრუნველყონ ასეთი მოსწავლის ალტერნატიულ მეცადინეობებზე დატვირთვა.¹⁴⁸⁴ სახელმწიფო სრულად ასრულებს საკუთარ ვალდებულებებს განათლებისა და რელიგიის თავისუფლების სფეროში, თუკი არსებობს საჯარო სკოლები, ამასთან, იგი უშვებს ალტერნატიულ სკოლებს, მათ შორის, რელიგიურ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სადაც რელიგიის სწავლება შესაბამისი აღმსარებლობის მიხედვით ხდება¹⁴⁸⁵.

ზოგადად, ისტორიული წარსულით ქრისტიანულ სახელმწიფოში, თუკი ქრისტიანობის შესახებ ინფორმაცია რელიგიის სწავლების ნაწილში კურსიკულუმის

¹⁴⁷⁸ გაერთიანებულ სამეფოში საგანმანათლებლო დაწესებულება რელიგიური სკოლის სტატუსს იძენს სახელმწიფო მდივნის მიერ რეგისტრაციის შემთხვევაში, თუკი სკოლა დაფუძნებულია რელიგიური გაერთიანების მიერ ან რელიგიური მოტივით. იხ., Sandberg R., *Law and Religion*, New York, 2011, 161.

¹⁴⁷⁹ Cumper P., *The Participation of Religious Communities in Public Life – The British Experience*, in: *Transformation of Church and State Relations in Great Britain and Germany*, Edited by C. Walter and A. Von Ungern-Sternberg, Baden-Baden, 2013, 191.

¹⁴⁸⁰ Von Ungern-Sternberg A., *Participation of Religious Communities in Public Life – Great Britain and Germany*, in: *Transformation of Church and State Relations in Great Britain and Germany*, Edited by C. Walter and A. Von Ungern-Sternberg, Baden-Baden, 2013, 209.

¹⁴⁸¹ Tuohy D., *Denominational Education and Politics, Ireland in a European Context*, Dublin, 2013, 193.

¹⁴⁸² *Leirvåg and Ors v. Norway*, UNHRC, Comm. No. 1155/2003, CCPR/C/82/D/1155/2003, 23 November 2004, Para.14.7.

¹⁴⁸³ იხ., UNHRC, General Comment 22, Article 18 (Forty-eighth session, 1993).

¹⁴⁸⁴ McConnell M.W., Garvey J.H., Berg Th.C., *Religion and the Constitution*, New York, 2011, 91. მაგ., გაერთიანებულ სამეფოში, სადაც რელიგიური განათლება სკოლებში სავალდებულოა, მშობლებს აქვთ უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ, მოითხოვონ შვილების რელიგიის გაკვეთილებისგან გათავისუფლება; ხოლო ფინეთში, სადაც საჯარო სკოლებში ევანგელურ-ლუთერანული რელიგიის გაკვეთილები ტარდება, სხვა რელიგიის წარმომადგენლებს ალტერნატივის უფლება აქვთ. იხ., Cumper P., *The Participation of Religious Communities in Public Life – The British Experience*, in: *Transformation of Church and State Relations in Great Britain and Germany*, Edited by C. Walter and A. Von Ungern-Sternberg, Baden-Baden, 2013, 195; Slotte P., *Freedom of Religion, Freedom of Conscience and Education: A Nordic Example*, in: *Law, Religion, Constitution (Freedom of Religion, Equal Treatment, and the Law)*, Edited by C. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari and D. Thayer, Ashgate Publishing, 2013, 351.

¹⁴⁸⁵ იხ., *Waldman v. Canada*, UNHRC, Comm. No. 694/1996, CCPR/C/67/D/694/1996, 3 November 1999, Para. 10. 6.

უმეტესობას შეადგენს, თავის თავში დისკრიმინაციასა და პლურალიზმის პრინციპის დარღვევას ან მოსწავლეთა ინდოქტრინიზაციას არ გულისხმობს.¹⁴⁸⁶ თუმცა ადამიანის უფლებათა კომიტეტი ერთი რომელიმე რელიგიის სწავლებას უფლების დარღვევად მიიჩნევს და რეკომენდაციას გასცემს სკოლებში რელიგიის ისტორიისა და ეთიკის სწავლების თაობაზე, რომელიც მაქსიმალურად ნეიტრალურად და მიუკერძოებლად უნდა განხორციელდეს.¹⁴⁸⁷ საუნივერსიტეტო და სასკოლო კურიკულუმებმა უნდა უზრუნველყონ მსმენელთათვის სხვადასხვა რელიგიის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, კაცობრიობის ისტორიის, კულტურისა და ფილოსოფიის განუყოფელ ნაწილად რელიგიის აღქმა.¹⁴⁸⁸ ამასთან, რელიგიის სწავლებისას ან ინსტრუქტირებისას აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს მეცადინეობებზე არდასწრების არადისკრიმინაციული შესაძლებლობა.¹⁴⁸⁹ ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაგმო საბერძნეთის პოლიტიკა, რომლითაც მოსწავლეს მართლმადიდებლობის გაკვეთილებისგან გათავისუფლების შესაძლებლობა მხოლოდ იმის შემდეგ ეძლეოდათ, როცა თავიანთი რელიგიის თაობაზე განაცხადებდნენ¹⁴⁹⁰.

5.3.2. „რელიგიის სწავლება“ და „რელიგიის შესახებ სწავლება“

შუა საუკუნეების ეკლესიას დოგმატური სწავლება ჰქონდა შექმნილი იმის თაობაზე, თუ რისი შემეცნება ეკრძალებოდა ადამიანს.¹⁴⁹¹ თუმცა მას შემდეგ ბევრმა წელმა განვლო და განვითარებამ დაამკვიდრა განსხვავებული დისციპლინები, მთელი რიგი იმ საგნებისა, რომლებიც ყველა ადამიანს ევალება საფუძვლების დონეზე მაინც იცოდეს.

სასწავლო კურიკულუმებში რელიგიის შესახებ ცოდნის მიწოდება სხვადასხვა შინაარსისა და მიმართულების საგნებით არის უზრუნველყოფილი. რელიგიური განათლება (*Religious Education*), რელიგიური ინსტრუქტირებისგან (*Religious Instruction*) განსხვავებით, სახელმწიფოთა დიდ ნაწილში დღემდე სავალდებულოა.¹⁴⁹² რელიგიური ინსტრუქტირება კონკრეტული რელიგიის შესახებ ცოდნის მიწოდებას გულისხმობს ამ რელიგიის ღირსეული და მცოდნე წარმომადგენლის აღზრდისა და განვითარების მიზნით. ეს კი რელიგიური განათლების თანამედროვე კონცეფციისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ამასთან, აღნიშნული კონკრეტული რელიგიის სწავლების ავტორიტეტულ დისკრიმინაციულ ხასიათს არ გულისხმობს. მაგ., იტალიასა და ესპანეთში, კონკორდატებით აღებული ვალდებულებების გამო, კათოლიციზმი ყველა სკოლაშია შეთავაზებული, თუმცა სახელმწიფო ალტერნატიულ გაკვეთილებსაც სთავაზობს მათ, ვისაც კათოლიციზმის გაკვეთილებზე დასწრება საკუთარი რწმენისა და მრწამის გამო არ სურთ.¹⁴⁹³ კონკრეტული რელიგიის სწავლების შემთხვევაში, შესაბამისმა ეკლესიამ ან რელიგიურმა გაერთიანებამ შესაძლოა დაამტკიცოს ან პირიქით,

¹⁴⁸⁶ *Folgerø and Others v. Norway*, [ECtHR], App. no. 15472/02, 29 June 2007, Para. 86.

¹⁴⁸⁷ ბოხაშვილი ბ., რელიგიის თავისუფლება, ჟურნ. „სოლიდარობა“, №1(22), 2008, 61.

¹⁴⁸⁸ Religion and Democracy, Recommendation 1396 (1999), Parliamentary Assembly of Council of Europe, Para.10.

¹⁴⁸⁹ Temperman J., *State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance*, Leiden-Boston, 2010, 288.

¹⁴⁹⁰ Report of The UNHRC, A/60/40 Vol. I (2005)60, Para.90(14). Temperman J., *State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance*, Leiden-Boston, 2010, 288.

¹⁴⁹¹ მაისურაძე გ., მართლმადიდებლური ეთიკა და არათავისუფალი სული, თბილისი, 2013, 39.

¹⁴⁹² Sandberg R., *Law and Religion*, New York, 2011, 154.

¹⁴⁹³ Tuohy D., *Denominational Education and Politics, Ireland in a European Context*, Dublin, 2013, 192-193.

უარყოფს უნივერსიტეტის ლექტორის თანამდებობაზე დანიშვნა რელიგიური საფუძვლით, მისი სწავლების ან პირადი ცხოვრების გამო¹⁴⁹⁴.

რელიგიის სწავლება და რელიგიის შესახებ სწავლება ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება და ისინი ერთმანეთის ალტერნატიული ფორმები არაა.¹⁴⁹⁵ რელიგიის შესახებ სწავლება მრავალგვარადაა შესაძლებელი, აუცილებელია იგი მხოლოდ ცალკეულ რელიგიურ შეხედულებებს არ მოიცავდეს.¹⁴⁹⁶ რელიგიის შესახებ სწავლებისას სასწავლო მასალა და მასწავლებლებიც ზოგადად სტრატეგიულ, აგნოსტიკურ მიმართულებებს უნდა ავითარებდნენ.¹⁴⁹⁷ მას შესაძლოა უზრუნველყოფდეს რელიგიური გაერთიანება, სახელმწიფო ან ორივე ერთობლივად¹⁴⁹⁸.

რელიგიის შესახებ საგნების შინაარსი და სწავლების მეთოდიკა სახელმწიფოთა მიხედვით განსხვავდება. XX საუკუნეში რელიგიური განათლების კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, მეორე მსოფლიო ომამდე მართლმადიდებლურ თეოლოგიურ სკოლებში სხვა რელიგიების შესწავლაც დაიწყეს და ახალი დისციპლინა შემოიღეს — „რელიგიის ისტორია“.¹⁴⁹⁹ რელიგიის ისტორია ცივილიზაციების განვითარებაში რელიგიის როლისა და გავლენის შესახებ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს.¹⁵⁰⁰ ფინეთმა ჯერ კიდევ 1922 წლის „რელიგიის თავისუფლების აქტით“ დაადგინა რელიგიური განათლების ალტერნატივა და მოსწავლეთათვის, რომლებსაც რელიგიის გაკვეთილებზე დასწრება არ სურდათ, სკოლებში ახალი საგანი — „რელიგიისა და ეთიკის ისტორია“ შემოიღო.¹⁵⁰¹ 1997 წლიდან ნორვეგიამ ქრისტიანული რელიგიის შესახებ სწავლება ჩაანაცვლა სავალდებულო საგნით — „ქრისტიანული ცოდნა და რელიგიური და ეთიკური განათლება“.¹⁵⁰² აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს განმარტებით კი, კონსტიტუციის პირველი შესწორება უშვებს მხოლოდ „შედარებითი რელიგიის ან რელიგიის ისტორიისა“ და ბიბლიის, როგორც წერილობითი და ისტორიული მახასიათებლების მქონე დოკუმენტის, სწავლებას¹⁵⁰³.

5.4. რელიგიის სწავლება საქართველოში

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სასწავლებლებმა საღვთო სჯულის სწავლება თავისი ინიციატივით აღადგინეს სკოლებში.¹⁵⁰⁴ ქართული

¹⁴⁹⁴ Von Ungern-Sternberg A., Participation of Religious Communities in Public Life – Great Britain and Germany, in: Transformation of Church and State Relations in Great Britain and Germany, Edited by C. Walter and A. Von Ungern-Sternberg, Baden-Baden, 2013, 220.

¹⁴⁹⁵ Education and Religion, Recommendation 1720 (2005), Parliamentary Assembly of Council of Europe, Para.9.

¹⁴⁹⁶ Greenawalt K., Religion and the Constitution, Vol.2: Establishment and Fairness, Princeton, 2008, 122.

¹⁴⁹⁷ იქვე, 127.

¹⁴⁹⁸ Tuohy D., Denominational Education and Politics, Ireland in a European Context, Dublin, 2013, 185.

¹⁴⁹⁹ შთავარებისკოპოზი ანასტასიოზი, მართლმადიდებლობის დამოკიდებულება სხვა რელიგიებთან, ზ. ჯუღელის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №7'06, 2006, 39.

¹⁵⁰⁰ Greenawalt K., Religion and the Constitution, Vol.2: Establishment and Fairness, Princeton, 2008, 124.

¹⁵⁰¹ Slotte P., Freedom of Religion, Freedom of Conscience and Education: A Nordic Example, in: Law, Religion, Constitution (Freedom of Religion, Equal Treatment, and the Law), Edited by C. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari and D. Thayer, Ashgate Publishing, 2013, 338.

¹⁵⁰² Scheinen M., Secular Human Rights Perspectives, As a Challenge to Nordic Law & Religion Solutions, in: in: Law & Religion in the 21st Century – Nordic Perspectives, Edited by L. Christoffersen, K. Å. Modeér, S. Andersen, Copenhagen, 2010, 552.

¹⁵⁰³ *Abidgton School District v. Schempp*, 374 U.S. 203, 225 (1963).

¹⁵⁰⁴ ხეცურიანი ჯ., სახელმწიფო და ეკლესია, ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2013, 12.

განათლების არამდგრადი სისტემის ცვლილებათა პარალელურად, იცვლებოდა და ვითარდებოდა დამოკიდებულება რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებით. შეიძლება ითქვას, სახელმწიფომ თანდათან ჩამოაყალიბა ადეკვატური, მართებული მიდგომა ამ საკითხებთან მიმართებით. რელიგიის სწავლება იმდენად მგრძობიარე თემაა, სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი და არ აიღოს პასუხისმგებლობა, ასწავლოს კონკრეტული რელიგია. ამასთან, მას ეკრძალება პროზელიტიზმი და რომელიმე მოძღვრების პრივილეგიებული ქადაგება საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის, კონსტიტუციური შეთანხმება, აღიარებს, რომ რელიგიის სწავლება ნებაყოფლობითია. ავტორიზაციის სტანდარტის თანახმად, სკოლა უნდა ახორციელებდეს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამას. ეს უკანასკნელი კი რელიგიის საკითხების შესწავლას აქცევს ერთი დიდი, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის პროგრამის ფარგლებში და მოსწავლეებს რელიგიის ისტორიის, ეთიკისა და თეოლოგიის საფუძვლების შესახებ ინფორმაციას აწვდის.¹⁵⁰⁵ აღსანიშნავია, რომ სკოლას უფლება აქვს, განახორციელოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ან გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება,¹⁵⁰⁶ მოიწვიოს შესაბამისი განათლების მქონე პირი ამ კურსის გასაძღოლად. მთავარია, სკოლას ჰქონდეს დამატებითი საგნის სასწავლო გეგმა, რომელიც საგნის მიზნებს, შეფასების პრინციპებს, საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალს მოიცავს. რა თქმა უნდა, აღნიშნული კონკრეტული რელიგიის შესახებ სწავლებასაც გულისხმობს, თუმცა ეს ნებაყოფლობით, მოსწავლეთა რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპის დაცვით უნდა განხორციელდეს.¹⁵⁰⁷ კანონმდებლობის თანახმად, საჯარო სკოლის მოსწავლეებს უფლება აქვთ სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ნებაყოფლობით შეისწავლონ რელიგია ან ჩაატარონ რელიგიური რიტუალი, თუ იგი რელიგიური განათლების მიღებას ემსახურება¹⁵⁰⁸.

რაც შეეხება უმაღლეს საგანმანათლებლო და პროფესიულ დაწესებულებებს, თითოეული მათგანის საგანმანათლებლო პროგრამა დამოუკიდებლად გადის აკრედიტაციის პროცესს, შესაბამისად, დაწესებულება პროგრამას მისანიჭებელი კვალიფიკაციის მიზნების გათვალისწინებით ქმნის და მას შეუძლია, პროგრამის არსიდან გამომდინარე, გაითვალისწინოს რელიგიის შესახებ სავალდებულო ან არჩევითი კურსები, კანონით დადგენილი წესით.

5.5. საპატრიარქოს დაქვემდებარებული სასწავლებლები

საქართველოს სამოციქულო ეკლესია აქტიურად ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას და ეს როგორც ზოგად, ისე პროფესიულ და უმაღლეს განათლებას ეხება. საქართველოს საპატრიარქოს ექვემდებარება 37 ზოგადსაგანმანათლებლო

¹⁵⁰⁵ ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016, თავი XXXV, საგნობრივი პროგრამები საზოგადოებრივ მეცნიერებებში.

¹⁵⁰⁶ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

¹⁵⁰⁷ იქვე, მე-5 მუხლის მე-6 პუნქტი, მე-13 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტები.

¹⁵⁰⁸ იქვე, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი.

დანესებულება მთელი ქვეყნის მასშტაბით.¹⁵⁰⁹ საპატრიარქოს დაფუძნებულია სამი პროფესიული სასწავლებელი: ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „საქართველოს საპატრიარქოს ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრი“; ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯი“; ა(ა)იპ საზოგადოებრივი კოლეჯი „საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი“.¹⁵¹⁰

საქართველოს სამოციქულო ეკლესიას ჯამში 9 უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულება ეკუთვნის, მათგან 2 უნივერსიტეტი¹⁵¹¹ (ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი; ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია), 4 — სასწავლო უნივერსიტეტი¹⁵¹² (ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი; ა(ა)იპ — საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი; ა(ა)იპ — მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულება — გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი; ა(ა)იპ — მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულება — საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია), ხოლო 3 — კოლეჯი¹⁵¹³ (ა(ა)იპ — წმიდა მარტინიანის სახელობის ცაგერის სასულიერო სემინარია; საქართველოს საპატრიარქო გრემის სასულიერო სემინარია; ა(ა)იპ — საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ბათუმის სასულიერო სემინარია).¹⁵¹⁴

5.6. საპატრიარქოს დაქვემდებარებულ საგანმანათლებლო დანესებულებათა და მათ მიერ გაცემული დიპლომების აღიარება

კონსტიტუციური შეთანხმების მიხედვით, სახელმწიფომ და ეკლესიამ აღიარეს შესაბამისი საგანმანათლებლო დანესებულებების მიერ გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები, სამეცნიერო ხარისხები და ნოდებები.¹⁵¹⁵ თუმცა ამ ნორმის აღსასრულებლად აუცილებელი „კანონმდებლობით განსაზღვრული წესი“ კარგა ხანი ვერ შემუშავდა. 2005 წლის 22 იანვარს ეკლესიასა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის დაიდო მემორანდუმი, რომლის მთავარი მიზანი

¹⁵⁰⁹ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის 18 აგვისტოს წერილი №MES 11500792828.

¹⁵¹⁰ იქვე.

¹⁵¹¹ უსდ, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასა და სამეცნიერო კვლევას. იხ., „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „3¹⁵⁶“ ქვეპუნქტი.

¹⁵¹² უსდ, რომელიც ახორციელებს უმაღლეს, მათ შორის მაგისტრატურის, საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს (გარდა დოქტორანტიურისა). იხ., იქვე, „3³³“ ქვეპუნქტი.

¹⁵¹³ უსდ, რომელიც ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას. იხ., იქვე, „დ¹“ ქვეპუნქტი.

¹⁵¹⁴ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის 18 აგვისტოს წერილი №MES 11500792828 და წერილის დანართი.

¹⁵¹⁵ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი.

კონსტიტუციით ნაკისრი ვალდებულებების პრაქტიკული განხორციელება იყო, უნდა შექმნილიყო მუშა ჯგუფები, რომლებიც ამასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს მოაგვარებდნენ.¹⁵¹⁶

სამწუხაროდ, 2012 წლის საკანონმდებლო ცვლილებებამდე საქართველოს ეკლესიის მიერ გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების, სამეცნიერო ხარისხებისა და ნოდებების აღიარების ერთიანი საკანონმდებლო სტანდარტი არ არსებობდა. ამასთან, ეკლესიას დაქვემდებარებული საგანმანათლებლო დაწესებულებები სახელმწიფოს მხრიდან რაიმე სახის ლეგიტიმაციას არ საჭიროებდნენ.

2012 წლის 28 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საპატრიარქოს დაევაალათ 2005-2012 წლებში გაცემული/გასაცემი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების საკითხის შესწავლა, ხოლო მათი აღიარების წესის განათლებისა და მეცნიერების მიერ დამტკიცება,¹⁵¹⁷ რაც წარმატებით განხორციელდა.¹⁵¹⁸ ეკლესიის მიერ დაფუძნებული საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები 2015 წლის 1 იანვრიდან დაექვემდებარა ავტორიზაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.¹⁵¹⁹ 2013 წლის 22 მარტის ცვლილებებით კი მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში 2013 წლის ერთიან გამოცდებამდე ჩარიცხული სტუდენტები ჩაითვალნენ კანონმდებლობის შესაბამისად ჩარიცხულ სტუდენტებად.¹⁵²⁰

სამწუხაროდ, კანონმდებელმა უშუალოდ კათოლიკოს-პატრიარქს მიანიჭა უფლება 2015 წლის 1 იანვრამდე დაედგინა მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი განათლების სფეროში აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი და თავადვე მიენიჭებინა ხარისხი,¹⁵²¹ რომლის დამადასტურებელი დიპლომი სახელმწიფოს მიერ აღიარებულ დოკუმენტად მიიჩნია¹⁵²². ამ შემთხვევაში, ჰიპოთეტურად სახელმწიფომ შესაძლებლობა მისცა უფლებამოსილ პირს თავისი შეხედულებისამებრ, მის მიერ დადგენილი წესით გაეცა დიპლომი და მიენიჭებინა აკადემიური ხარისხი, ამასთან, ეს ავტომატურ რეჟიმში, გადამოწმებისა და დეტალური შემოწმების გარეშე, ძალმოსილად აღიარა. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 27 ნოემბრის საკანონმდებლო ცვლილებებით მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო დაწესებულებების სტატუსთან დაკავშირებით ახლებური მონესრიგება დამკვიდრდა და მას კიდევ უფრო

¹⁵¹⁶ იხ., საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობლივი კომისიის 2005 წლის 22 იანვრის ურთიერთგაგების მემორანდუმი.

¹⁵¹⁷ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89³-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁵¹⁸ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 23 აგვისტოს №115/ნ ბრძანება „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ 2005 წლიდან 2013 წლის პირველ იანვრამდე გაცემული/გასაცემი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“.

¹⁵¹⁹ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89⁴-ე მუხლი, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 32¹-ე მუხლი.

¹⁵²⁰ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89⁶-ე მუხლი.

¹⁵²¹ იქვე, 89⁵-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁵²² იქვე, მე-2 პუნქტი.

დიდი თავისუფლება მიეცა, რაც სისტემური თვალსაზრისით, გამართლებული არაა¹⁵²³.

საბოლოო ჯამში, კონსტიტუციური შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება დაგვიანებით, მაგრამ სახელმწიფომ მაინც განახორციელა და დაადგინა საგანმანათლებლო სასწავლებლების, დოკუმენტაციისა და აკადემიური ხარისხის აღიარების ერთიანი სტანდარტი. რამდენიმე მიმართულებით სამუშაო კიდევ არსებობს, აუცილებელია საწყისი სტატუს ქვოს შენარჩუნება და შემდგომ განვითარებაზე მუშაობა, რათა განათლების სისტემა ევროპულ სივრცესთან ამ კუთხითაც მაქსიმალურად იყოს ჰარმონიზებული.

5.7. რელიგია და ქართული საგანმანათლებლო სივრცის პრობლემები

სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციური შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები განათლების სფეროში ბოლო რამდენიმე წელია მეტნაკლები წარმატებით სრულდება. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია 2012-2013 წლების საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც დიდწილად გადაწყდა პრობლემური საკითხები და ეკლესიის საღვთისმეტყველო დაწესებულებათა მიერ გაცემული ხარისხების, დიპლომებისა და დოკუმენტების აღიარება სამართლებრივ ჩარჩოებში მოთავსდა. რა თქმა უნდა, ეკლესიას დაქვემდებარებული სხვა სასწავლებლები ისედაც სამართლებრივი მონესრიგების ქვეშ ექცევიან და მათზე საერთო საგანმანათლებლო სტანდარტი მოქმედებს.

სამართლებრივი თვალსაზრისით, სკოლებში რელიგიური თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით საკმაოდ მოცულობითი საკანონმდებლო ბაზა არსებობს. ზოგად განათლებაში სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს საჯარო სკოლის დამოუკიდებლობა რელიგიური გაერთიანებებისგან.¹⁵²⁴ ამ შემთხვევაში კერძო სკოლებისთვის დამოუკიდებლობა გარანტირებულია, რადგანაც შესაძლოა სკოლა თავად ატარებდეს რელიგიურ ხასიათს. კანონმდებლობით, მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს არ შეიძლება დაეკისროს ისეთი ვალდებულებები, რომლებიც მათ რწმენასა და რელიგიას ეწინააღმდეგება.¹⁵²⁵ სკოლა ვალდებულია, დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას, განურჩევლად მათი რელიგიური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა.¹⁵²⁶ თუმცა კანონმდებლობა ითვალისწინებს სკოლის მიერ მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის, აგრეთვე, გაერთიანებების უფლებებისა და თავისუფლებების არადისკრიმინაციული და ნეიტრალური შეზღუდვის წესების დადგენას, თუკი არსებობს რელიგიური შუღლის გაღვივების საფუძვლიანი და გარდაუვალი საფრთხე¹⁵²⁷.

¹⁵²³ იხ., „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2015 წლის 27 ნოემბრის კანონი.

¹⁵²⁴ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

¹⁵²⁵ იქვე, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁵²⁶ იქვე, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი.

¹⁵²⁷ იქვე, მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

მიუხედავად ყოველივე ამისა, განათლების სისტემაში რწმენისა და აღმსარებლობის უფლებათა დაცვისა და რეალიზაციის მხრივ საკმაოდ ბევრი პრობლემაა, რომლებიც ძირითად განათლების სფეროში მართლმადიდებლობის ინტეგრირებას უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემები ხშირ შემთხვევაში უფრო სოციალური ხასიათისაა, ვიდრე წმინდა სამართლებრივი. საჯარო სკოლის ტერიტორიაზე რელიგიური სიმბოლოების განთავსება არაკადემიურ მიზნებს არ უნდა ემსახურებოდეს.¹⁵²⁸ მიუხედავად მსგავსი დებულებისა, სკოლების უმრავლესობაში რელიგიური სიმბოლოები განთავსებულია, უფრო მეტიც, ხშირად ხდება კოლექტიური ლოცვა და ა.შ. სამწუხაროდ, განათლების სამინისტრო სახელმწიფოს მასშტაბით ვერ უზრუნველყოფს ამ მიმართულებით კონტროლს. ეს სკოლებისა და მასწავლებლების დონეზეა გადასაწყვეტი და პირდაპირ მართლმეგნებასთანაა დაკავშირებული.

სამწუხაროდ, საჯარო სკოლებში დიდია ინდოქტრინინგის საფრთხე. ხშირად მასწავლებლები თავიანთი ინიციატივით ეწევიან ირიბ პროპაგანდულ მუშაობას. მაგ., სიმონ სხირტლაძის სახელობის ონის საჯარო სკოლაში ბიოლოგიის მასწავლებელმა 13 წლის ბავშვი მართლმადიდებლად მშობლების თანხმობის გარეშე მონათლა.¹⁵²⁹ აღნიშნულმა ფაქტმა დიდი რეზონანსი გამოიწვია, თუმცა ეს ერთი კონკრეტული შემთხვევაა, რომელიც გაცილებით უფრო გლობალურ პრობლემას წარმოადგენს. ვერ ხერხდება კონკრეტულ ფაქტებზე ადეკვატური რეაგირება, რაც, საბოლოო ჯამში, სიტუაციის ქაოსურობას განაპირობებს. ასევე, არ ხორციელდება კონტროლი რელიგიურ სკოლებზე, რომლებიც, როგორც კერძო სკოლები, მნიშვნელოვანი ავტონომიით სარგებლობენ.

აუცილებელია, საჯარო სკოლებში რელიგიის თავისუფლების თაობაზე ინფორმაციის პერმანენტული მიწოდება და მუშაობა პედაგოგებთან, ასევე, მკაცრი მონიტორინგისა და ზედამხედველობის დანერგვა, რომელიც მოსწავლეებისა და მათი მშობლების კანონიერ ინტერესებსა და ძირითად უფლებებს რეალურად დაიცავს. კანონმდებელმა უნდა შექმნას ისეთი სამართლებრივი სივრცე, რომელშიც არადისკრიმინაციული გარემო იარსებებს. ამასთან, პრაქტიკაში სერიოზულად გადასახედია საპატრიარქოს მიერ დაფუძნებულ ან მის კონტროლს დაქვემდებარებულ სასწავლებელთა ავტორიზაციისა და მათ მიერ განსახორციელებელი აკადემიური პროგრამების აკრედიტაციის პოლიტიკა.

6. რელიგია, სასჯელალსრულებისა და თავდაცვის სისტემები

6.1. სასჯელალსრულებისა და თავდაცვის დანერგვებულ რელიგიის ინტეგრირების პრაქტიკა

რელიგიის როლი ისეთ სისტემებში, როგორცაა სასჯელალსრულებისა და თავდაცვის სფეროები, უაღრესად მნიშვნელოვანია. ერთი მხრივ, პატიმრების, მეორე მხრივ კი, შეიარაღებული ძალების მეომრების, ჯარისკაცთა სულიერი მდგომარეობა მსგავსი სისტემების მდგრადობისა და ბრძოლისუნარიანობისათვის განმსაზღვრელია. სახელმწიფოთა უმრავლესობა აღიარებს მსგავს მონყევლად

¹⁵²⁸ იქვე, მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁵²⁹ Study of Religious Discrimination and Constitutional Secularism in Georgia, Tolerance and Diversity Institute, Tbilisi, 2014, 29.

ჯგუფებში რელიგიური თემატიკის აქტუალობას და ცდილობს, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი სამხედრო მოსამსახურეთა და პატიმართათვის რელიგიური თავისუფლების პრაქტიკულ განხორციელებას.

ნორვეგიის პენიტენციურ დაწესებულებებში 1851 წლიდან მოქმედებს მოძღვრის (კაპელანის) ინსტიტუტი, უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, ნორვეგიის ეკლესიის მღვდლები მაქსიმალურად არიან ინტეგრირებული სასჯელაღსრულების პროცესში, მის განუყოფელ ნაწილსაც წარმოადგენენ.¹⁵³⁰ აქვე აღსანიშნავია, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მსჯავრდებულს თანაბარი უფლება აქვს რწმენისა და აღმსარებლობის თვალსაზრისით, პრაქტიკაში არალუთერანთა და არაქრისტიანთა უფლებების რეალიზაცია მკვეთრად შეზღუდულია.¹⁵³¹ დანიას, გარდა დომინანტი რელიგიის მსახურებისა, ოფიციალურად ჰყავს რამდენიმე დაქირავებული იმამი, რათა მუსლიმ მსჯავრდებულთა რელიგიური თავისუფლება მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი¹⁵³².

საბერძნეთში შეიარაღებულ და საპოლიციო ძალებში მომსახურე მღვდლებს ოფიცრის ჩინი ენიჭებათ, შესაბამისად, სარგებლობენ ჩინის თანმხლები ყველა შეღავათით, ხელფასითა და პენსიით.¹⁵³³ ესპანეთში კოთოლიკე სამხედროთა რელიგიური მხარდაჭერა 1979 წლის შეთანხმების საფუძველზე მიღებული №1145/1990 სამეფო დეკრეტით ხორციელდება, რომელმაც შეიარაღებულ ძალებში სპეციალური სტრუქტურა — რელიგიური მხარდაჭერის სამსახური შექმნა.¹⁵³⁴ ბელგიაში ოფიციალურად აღიარებული რელიგიები ნიშნავენ კაპელანებს შეიარაღებულ ძალებსა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, რომელთა ანაზღაურებასაც სახელმწიფო უზრუნველყოფს¹⁵³⁵.

თითოეული სახელმწიფოს პრაქტიკა განსხვავებულია, თუმცა, ძირითად შემთხვევაში ყველა ქვეყანა დომინანტი რელიგიის წარმომადგენლებს მაქსიმალურად აძლევს საშუალებას, საკუთარი რელიგიური უფლებები პრაქტიკაში განახორციელონ. რა თქმა უნდა, აუცილებელია, ამის პარალელურად, სხვა რელიგიის აღმსარებელთა და ათეისტთა უფლებები იყოს დაცული და ყოველივე ეს არადისკრიმინაციულ საფუძველზე განხორციელდეს.

6.2. რელიგია და საქართველოს თავდაცვის სისტემა

6.2.1. სამხედროთა რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამხედრო მოსამსახურეთა რელიგიური თავისუფლება კანონმდებლობაში ძალზე ზოგადადაა მონესრიგებული. რწმენისა და

¹⁵³⁰ Furseth I., The Ambiguity of Secular and Religious Space: The Norwegian Penitentiary System, in: *Secular and Sacred? The Scandinavian Model of Religion in Human Rights, Law and Public Space*, Edited by R. Van Der Breemen, J. Casanova and T. Wyller, Vandenhoeck & Ruprecht, 2014, 156.

¹⁵³¹ იქვე, 161.

¹⁵³² იქვე, 154.

¹⁵³³ ხეცურიანი ჯ., სახელმწიფო და ეკლესია, ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2013, 36.

¹⁵³⁴ Arribas S. C., Religious Equality in the Spanish Constitutional System, in: *Law, Religion, Constitution (Freedom of Religion, Equal Treatment, and the Law)*, Edited by Cr. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari, D. Thayer, 2013, 309.

¹⁵³⁵ Van Haegendoren G., Alen A., The Constitutional Relationship Between Church and State, in: *Treatise on Belgian Constitutional Law*, Edited by A. Alen, Boston, 1992, 267.

აღმსარებლობის უფლების რეალიზაციის საკითხს „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონი განსაზღვრავს, რომლის მიხედვითაც, სამხედრო მოსამსახურეს უფლება აქვს, აღიაროს ნებისმიერი რელიგია, აღასრულოს რელიგიური წესჩვეულებები, მთავარი პირობაა, რომ ამ ყოველივემ ხელი არ შეუშალოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში.¹⁵³⁶ ამასთან, აუცილებელია, რელიგიური წესჩვეულებების აღსრულება არადისკრიმინაციულად განხორციელდეს და ამან დამატებითი შეღავათებისთვის პირობები არ შექმნას.¹⁵³⁷

შეიარაღებულ ძალებში როგორც მართლმადიდებელი, ისე არამართლმადიდებელი სამხედრო მოსამსახურეები სარგებლობენ შესაძლებლობით, სადღესასწაულო დღეებში მონაწილეობა მიიღონ საზეიმო ღონისძიებებში მათი აღმსარებლობის სულიერ ცენტრებსა და საკულტო დაწესებულებებში.¹⁵³⁸

6.2.2. კონსტიტუციური შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება

კონსტიტუციურმა შეთანხმებამ სამხედრო მოძღვრის (კაპელანის) ინსტიტუტი დაამკვიდრა და სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, მასთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი აქტი მიეღო. შეიძლება ითქვას, რომ ვალდებულება ნაწილობრივ განხორციელდა.

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამხედრო მოძღვრებთან (კაპელანებთან) აქტიურ თანამშრომლობასა და ურთიერთობას გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს.¹⁵³⁹ სამხედრო მოძღვარი (კაპელანი) სპეციალური თანამდებობაა, რომელზეც დანიშნულ პირთან სამსახურებრივი ურთიერთობები თანამდებობის სპეციფიკიდან გამომდინარე განისაზღვრება.¹⁵⁴⁰ დღეისათვის საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 31 სამხედრო მოძღვარი (კაპელანი) მოღვაწეობს.¹⁵⁴¹

სამწუხაროდ, სამხედრო მოძღვართა ინსტიტუტის დეტალური მონესრიგება ქართულ კანონმდებლობაში არ არსებობს. შესაბამისად, არაა მიღებული ერთიანი წესი, კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტი, რომელიც სამართლებრივ დონეზე დაადგენდა ერთიან მიდგომასა და სტანდარტს. ფაქტობრივად, მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ამასთან დაკავშირებით რაიმე პრობლემა არ იქმნება. კაპელანებად მართლმადიდებელი მოძღვრები მსახურობენ და გარდა ამისა, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მოქმედებს 11 მართლმადიდებელური ეკლესია და 11 სამლოცველო, 10 ეკლესია

¹⁵³⁶ „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი წინადადება.

¹⁵³⁷ იქვე, მე-7 მუხლის მე-2 წინადადება.

¹⁵³⁸ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2015 წლის 13 აგვისტოს წერილი №MOD 01500656805.

¹⁵³⁹ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2009 წლის 19 ივნისის №448 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის დებულების“ მე-6 მუხლის „ჩ“ ქვეპუნქტი.

¹⁵⁴⁰ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №583 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის“ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁵⁴¹ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2015 წლის 13 აგვისტოს წერილი №MOD 01500656805.

შენდება,¹⁵⁴² რაც მხარეებს შორის არსებულ კონსტრუქციულ და სამუშაო ურთიერთობებზე მიუთითებს. მიუხედავად ამისა, სამართლებრივი მონესრიგება აუცილებელია და საკანონმდებლო სივრცე აუცილებლად უნდა შეივსოს, რათა ამ ინსტიტუტის მოქმედება და კონსტიტუციური შეთანხმების აღსრულება კონკრეტული მინისტრის კეთილ ნებაზე ან მმართველი პოლიტიკური ძალის ინტერესებზე არ იყოს დამოკიდებული. ერთიანი მდგომა, რომელიც სამართლებრივ დონეზეა უზრუნველყოფილი, გაცილებით მდგრად და სტაბილურ ურთიერთობებს განაპირობებს.

6.3. რელიგია და საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემა

6.3.1. ბრალდებულისა და მსჯავრდებულის რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება

ბრალდებულისა და მსჯავრდებულის უფლებების დაცვა თანამედროვე დემოკრატიებში ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხია. ნებისმიერი განვითარებული სახელმწიფო განსაკუთრებული ყურადღებითა და სიფრთხილით ეკიდება ამ მოწყვლადი ჯგუფის უფლებების განხორციელებისათვის სათანადო პირობების შექმნის საკითხს. მით უმეტეს ძალიან მნიშვნელოვანია პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფა, რადგან იზოლაციის პირობებში ადამიანის სულიერი მდგომარეობა განსხვავებულ მდგომარეობაშია. ამ დროს კი პირის რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების რეალიზაცია სასიცოცხლოდ აუცილებელია.

საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, საქართველოს პატიმრობის კოდექსი აღიარებს ბრალდებულისა და მსჯავრდებულის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ ღონისძიებებში,¹⁵⁴³ მას აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ რიტუალებში, შეხვედეს სასულიერო პირებს,¹⁵⁴⁴ თან იქონიოს და ისარგებლოს რელიგიური ლიტერატურითა და საკულტო საგნებით,¹⁵⁴⁵ ინდივიდუალური რელიგიური კულტის საგნებით, გარდა მჩხვლეტავი, ბასრი, ძვირფასი ლითონების და ქვის ნაკეთობებისა ან იმ საგნისა, რომელიც წარმოადგენს კულტურულ და ისტორიულ ფასეულობას.¹⁵⁴⁶ რელიგიურ რიტუალებს ბრალდებულ/მსჯავრდებულს ასრულებს საკანში, ხოლო შესაძლებლობის არსებობისას, ამ მიზნით მოწყობილ შენობებში, იმ რელიგიური კონფესიების შესაბამისად, რომლებსაც ისინი

¹⁵⁴² იქვე.

¹⁵⁴³ საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

¹⁵⁴⁴ ბრალდებულისა და მსჯავრდებულის რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობისა და სასულიერო პირებთან შეხვედრის წესი განისაზღვრება სპეციალური ნორმატიული აქტით. იქვე, მე-4 ნაწილი; იხ., საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 30 დეკემბრის №187 ბრძანება „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობისა და სასულიერო პირებთან შეხვედრის უფლების განხორციელების შესახებ“.

¹⁵⁴⁵ საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლის მე-3 ნაწილი.

¹⁵⁴⁶ „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობისა და სასულიერო პირებთან შეხვედრის უფლების განხორციელების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 30 დეკემბრის №187 ბრძანების მე-6 მუხლი.

მიეკუთვნებიან.¹⁵⁴⁷ პატიმრობის კოდექსით უზრუნველყოფილია პირის უფლება, საკუთარი სახსრებით, გონივრული ოდენობით, გამოიწეროს რელიგიური ლიტერატურა¹⁵⁴⁸.

პენიტენციურ დაწესებულებებში ნებადართულია შესაბამისი რელიგიური სასულიერო პირის მომსახურება ნებისმიერი აღმსარებლობის პირთან მიმართებით.¹⁵⁴⁹ სახელმწიფო ნებისმიერ ბრალდებულსა და მსჯავრდებულს, განურჩევლად მათი რელიგიური მრწამსისა, თანაბარი უფლებებით აღჭურავს და ერთნაირად უზრუნველყოფს რელიგიის თავისუფლების პრაქტიკულ რეალიზაციას, რა თქმა უნდა, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და სასჯელალსრულების დაწესებულების სპეციფიკის გათვალისწინებით.

6.3.2. კონსტიტუციური შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება

კონსტიტუციურმა შეთანხმებამ სასჯელალსრულების დაწესებულებებში მოძღვრის ინსტიტუტის შექმნას და ამასთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი აქტის მიღება გაითვალისწინა.¹⁵⁵⁰ კონსტიტუციური შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება, შესაძლებლობის ფარგლებში, პენიტენციურ სისტემაში გათვალისწინებულია, ამასთან, ეს ყოველივე არადისკრიმინაციულად, თანასწორობის დაცვით განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციური შეთანხმების დადებამდე ეკლესია და სახელმწიფო აქტიურად თანამშრომლობდნენ სასჯელალსრულების სფეროში, უფრო მეტიც, პატიმართა და მსჯავრდებულთა სულიერი ამაღლებისა და სასჯელალსრულების სისტემაში ეკლესიის კეთილისმყოფელი როლის გაძლიერებისა და ადამიანის რელიგიური უფლებების უზრუნველყოფის მიზნით 2001 წელს სპეციალური ხელშეკრულებაც დაიდო.¹⁵⁵¹ ხელშეკრულებით სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, გამოეყო პენიტენციურ დაწესებულებებში სპეციალური ფართი სამლოცველოების მოსაწყობად.¹⁵⁵² თავის მხრივ, ეკლესიამ ითავა მოძღვრების მივლინება დაწესებულებებში საღმრთო ლიტურგიისა და სხვა საეკლესიო წესების აღსრულების მიზნით.¹⁵⁵³ ამ ხელშეკრულებისა და კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე, ამჟამად 5 პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე მდებარეობს მართლმადიდებლური ეკლესია, ხოლო 14-ში მოწყობილია მართლმადიდებლური სამლოცველო¹⁵⁵⁴.

მართლმადიდებელი ეკლესიისა და სხვა რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციებისა თუ ტრადიციული კონფესიების წარმომადგენლები დაიშვებიან პენიტენციურ დაწესებულებებში შესაბამისი რელიგიური ორგანიზაციისა და დაწესებულების

¹⁵⁴⁷ იქვე, მე-4 მუხლი.

¹⁵⁴⁸ საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-20 მუხლის მე-4 ნაწილი.

¹⁵⁴⁹ საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2015 წლის 19 აგვისტოს წერილი №MCLA 91500682903.

¹⁵⁵⁰ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-2 მუხლი.

¹⁵⁵¹ იხ., საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის 2001 წლის 20 აპრილის ხელშეკრულება.

¹⁵⁵² იქვე, პირველი პუნქტი.

¹⁵⁵³ იქვე, მე-2 პუნქტი.

¹⁵⁵⁴ საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2015 წლის 19 აგვისტოს წერილი №MCLA 91500682903.

წინასწარი შეთანხმებით.¹⁵⁵⁵ თანხმობა გაიცემა შესაბამისი რელიგიური ორგანიზაციის წერილობის მიმართვის საფუძველზე, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს ორგანიზაციის დასახელება, წარმომადგენლის ვინაობა, ვიზიტის მიზანი და ხანგრძლივობა¹⁵⁵⁶.

კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტივები მიღებულია. „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობისა და სასულიერო პირებთან შეხვედრის უფლების განხორციელების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 30 დეკემბრის №187 ბრძანება განსაზღვრავს როგორც მართლმადიდებელი მოძღვრის, ისე სხვა რელიგიური გაერთიანების სასულიერო პირისა და ბრალდებულის/მსჯავრდებულის ურთიერთობებს, ასევე, პენიტენციურ დაწესებულებებში რელიგიური რიტუალების შესრულების პრინციპებს. გარდა ამისა, 2006 წელს დაიდო სპეციალური შეთანხმება, რომელმაც პრობაციონერთა და არაპატიმარ მსჯავრდებულთა რეალიზაციის სფეროში ეკლესიისა და სახელმწიფოს თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები დაადგინა.¹⁵⁵⁷ შეთანხმებით მხარეებმა თანამშრომლობის კონკრეტული ფორმები განსაზღვრეს,¹⁵⁵⁸ სახელმწიფომ იკისრა ვადებულება, შეექმნა პრობაციის ბიუროებსა და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების დაწესებულებებში ღვთისმსახურებისთვის საჭირო პირობები,¹⁵⁵⁹ ხოლო ეკლესიამ — პირთა რელიგიური უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობა¹⁵⁶⁰ და რაც მთავარია, არაპატიმარ მსჯავრდებულთა და პრობაციონერთა სხვადასხვა ფორმით ჩართვა შრომით საქმიანობაში, მათ შორის, საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობებში, ეკლესია-მონასტრების მშენებლობაში და სხვ.¹⁵⁶¹ ამ ფორმით ეკლესიამ და სახელმწიფომ კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ერთობლივი პროგრამის შექმნის შესაძლებლობა¹⁵⁶², ფაქტობრივად პრაქტიკაში განხორციელეს.

შეიძლება ითქვას, რომ სასჯელაღსრულების სფეროში სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციური შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება და შესაბამისად, ამ კუთხით კონსტიტუციური შეთანხმება სრულდება, ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეს სხვა პირთა თუ რელიგიურ ორგანიზაციათა უფლებების შეზღუდვისა თუ დარღვევის გარეშე განხორციელდა.

¹⁵⁵⁵ „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობისა და სასულიერო პირებთან შეხვედრის უფლების განხორციელების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 30 დეკემბრის №187 ბრძანების მე-2 მუხლი.

¹⁵⁵⁶ იქვე, მე-3 მუხლი.

¹⁵⁵⁷ 2006 წლის 1 მარტის შეთანხმება საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შორის პრობაციონერთა და არაპატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის სფეროში.

¹⁵⁵⁸ იქვე, მე-2 მუხლი.

¹⁵⁵⁹ იქვე, მე-3 მუხლი.

¹⁵⁶⁰ იქვე, მე-4 მუხლი.

¹⁵⁶¹ იქვე, მე-5 მუხლი.

¹⁵⁶² საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი.

VI. დასკვნა

საუკუნეების მანძილზე გამოცდილ და კარგად აპრობირებულ ურთიერთობებს XXI საუკუნე უამრავ ახალ გამოწვევას უსახავს. ერთი შეხედვით მარტივი ინსტიტუტები, რომლებიც სახელმწიფოებრივ სისტემასა და სამართლებრივ სივრცეში აპრობირებულია, შესაძლოა უამრავ პრობლემას წარმოშობდეს. ამ მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე მგრძობიარე სფერო სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობაა. თანამედროვე სამყაროში მიღებული სეკულარიზმი, სამწუხაროდ, საქართველოში უარყოფითად აღიქმება და ეს არა იმდენად მისი შინაარსის, რამდენადაც თავად ტერმინისა და ზოგიერთი მარგინალიზებული ჯგუფის მიერ ამ ცნების ინტერპრეტაციისადმი დამოკიდებულებაა, რაც უფრო მეტად შეუცნობლის შიშს ჰგავს, ვიდრე არგუმენტირებულ, სინამდვილის ობიექტურ აღქმაზე დაფუძნებულ გრძნობას.

კვლევის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ სეკულარიზმი მრავალდონიანი მოვლენაა და მისი ერთი მიმართულებით წარმოჩენა არასწორია. რელიგიის საკითხებში სახელმწიფოს ნეიტრალური და მიუკერძოებელი პოზიცია არ უნდა იქნეს იმგვარად გაგებული, თითქოს ამით სახელმწიფო ისტორიულად აღიარებულ და დამკვიდრებულ, მოსახლეობის უმრავლესობის ეკლესიის როლის ან რწმენის დაკნინება ხდება.¹⁵⁶³ ამასთან, ნეიტრალიტეტი დაცულია, თუკი უპირატესობა თანამშრომლობის მოდელს ენიჭება. მთავარია, სხვა პირთა რელიგიური უფლებები და თანასწორობის პრინციპი არ დაირღვეს.

საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას სრულყოფილებამდე ბევრი უკლია, უფრო მეტიც, იგი ტერმინოლოგიურად, შინაარსობრივად და სამართლებრივად უამრავ პრობლემას მოიცავს და წარმოშობს კიდევც. აუცილებელია მათი გამოსწორება და უკეთესი მოწესრიგების დადგენა, რათა კონსტიტუციური შეთანხმებით დადგენილი წესრიგი სრულად შეერწყას ერთიან ქართულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმსა და სამართლებრივ სივრცეს, ამასთან, ამ პროცესში სხვათა უფლებები მაქსიმალურად იყოს დაცული.

1. უპირველეს ყოვლისა, საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას, როგორც სამართლებრივ აქტს, უნდა შეეცვალოს აქტის ფორმალური სახელწოდება. „კონსტიტუციური“ უნდა ჩაანაცვლოს „საკონსტიტუციომ“, რითაც საბოლოოდ დადგინდება შეთანხმების სამართლებრივი ბუნება და იდეა, — იგი კონსტიტუციაზე დაფუძნებული, კონსტიტუციისკენ მიმართული გახდება, ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ კონსტიტუციასთან შესაბამისს აღნიშნავდეს. მით უმეტეს, რომ „კონსტიტუციური შეთანხმება“ შეიძლება ეწოდოს ნებისმიერ შეთანხმებას, რომელიც თავისი არსით კონსტიტუციას შეესაბამება, რაც თავად კონსტიტუციური შეთანხმების მნიშვნელობასა და სტატუსს მნიშვნელოვნად აკნინებს.

2. საქართველოს კონსტიტუციითა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ნორმატიული აქტების სისტემა კონსტიტუციურ შეთანხმებას იერარქიაში მეორე ადგილს ანიჭებს, რითაც ხაზგასმულია მისი უპირატესობა როგორც შიდაეროვნულ კანონმდებლობასთან, ისე საერთაშორისო აქტებთან. ამასთან, კონსტიტუციური შეთანხმება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სა-

¹⁵⁶³ 97 Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v. Georgia, [ECtHR] App.no. 71156/01, 3 May 2007, Paras. 131-132.

მართლით საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, რაც იერარქიულ ურთიერთობებს სრულიად ბუნდოვანსა და აბსურდულს ხდის. საერთაშორისო სამართლის საყოველთაო ნორმები და პრინციპები ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში აუცილებლად იქნება პოზიტიურსამართლებრივი ფორმით, საერთაშორისო აქტებში მოცემული. იმავდროულად, ეს უკანასკნელი თავად ექვემდებარება შეთანხმას.

კონსტიტუციური შეთანხმება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, რაც ავტომატურად გულისხმობს იმის აუცილებლობასაც, რომ იგი უნდა იყოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან თანხვედრაში. იმ შემთხვევაში, თუ კონსტიტუციურ შეთანხმებასა და კონსტიტუციით აღიარებულ ძირითად უფლებებს შორის წინააღმდეგობა იქნება, დინტერესებული პირის სარჩელის/წარდგინების საფუძველზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო სამართალწარმოების საშუალებით გადაწყვეტს დავას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, ცვლილება შევიდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში და ამოღებულ იქნეს მე-2 პუნქტის მე-2 წინადადება, რომლის არსებობა, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, არც ვალდებულებას და არც უფლებათა დაცვის მექანიზმის ქმედითობას არ უკავშირდება. საკონსტიტუციო ცვლილება უნდა აისახოს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტში, რომლის პირველი წინადადება, ასევე, ამოღებული უნდა იქნეს.

3. კონსტიტუციური შეთანხმების რამდენიმე დებულება პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით აღიარებულ ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთდამოუკიდებლობისა და გამიჯვნის პრინციპს. კონსტიტუციური შეთანხმების მე-2 მუხლის მე-2 წინადადებით სახელმწიფო აღსარების საიდუმლოს დაცვის ვალდებულებას ადგენს, რაც სრულიად ალოგიკურია, რადგან მას არ შეუძლია ჩაერიოს ეკლესიის შიდა საქმეებში, მით უმეტეს, მღვდელმსახურს რელიგიური ხასიათის ვალდებულება აკიდოს. ნორმატიულად დადგენილი პირის ვალდებულება მესამე პირთა მიმართ ნეგატორული ვალდებულებით უნდა ჩანაცვლდეს. უნდა შევიდეს ცვლილება კონსტიტუციური შეთანხმების მე-2 მუხლში და მისი მეორე წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „არავის აქვს უფლება, სასულიერო პირს მოსთხოვოს ინფორმაცია, რომელიც მას, როგორც სულიერ მოძღვარს, გაანდეს ან მისთვის, როგორც სასულიერო პირისათვის, გახდა ცნობილი.“.

4. სრულიად გაუმართლებელია სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიასთან შეთანხმებით ეკლესიის ოფიციალური ტემინოლოგიისა და სიმბოლიკის გამოყენება, საღვთისმსახურო პროდუქციის დამზადება, შემოტანასა და მიწოდებაზე ლიცენზია/ნებართვის გაცემის ვალდებულების აღება. ქართული ეკლესია სრული სუბიექტუნარიანობით სარგებლობს, მას აქვს საკუთარი უფლებების დაცვის სამართლებრივი და პრაქტიკული შესაძლებლობა. ამასთან, აღნიშნული ვალდებულება არა უბრალოდ კეთილი ნების გამოვლენა, არამედ სახელმწიფოსთვის რელიგიური ფუნქციების მიკუთვნებაა, რადგან ამ ყოველივეს ადმინისტრირება და პრაქტიკული რეალიზაცია ეკლესიას, როგორც სსიპ-ს, ისედაც ძალუძს. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი უნდა გაუქმდეს.

5. კონსტიტუციური შეთანხმებით, ეკლესია უშუალოდ არ ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, რაც ორგვარად შეიძლება იქნეს გაგებული. ერთი მხრივ, ნორმის კონსტრუქცია დეკლარაციული ხასიათისაა, შესაბამისად, იგი არავითარ

ვალდებულებას წარმოშობს. მეორე მხრივ, მსგავსი ფორმულირება ცალსახა არაა და ჰიპოთეტურად, სხვაგვარად განმარტების შესაძლებლობასაც იძლევა. ამ შემთხვევაში, ეკლესიის მიმართ ვალდებულებაა დადგენილი, რომლითაც მას სამენარმეო საქმიანობის განხორციელებას უკრძალავს (პოზიტიური აკრძალვა). ნებისმიერი ინტერპრეტაციისას, დებულება სეკულარიზმის იდეას ეწინააღმდეგება. ვინაიდან სხვა რელიგიური გაერთიანებების მიმართ არაა მსგავსი შეზღუდვა დადგენილი, გაუგებარი და ლოგიკურად გაუმართლებელია მისი ექსკლუზიურად მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ გავრცელება. ეს უკანასკნელი თავისუფალია, თავად გადანყვიტოს საქმიანობის რომელ ფორმას განახორციელებს. ამასთან, თუკი იგი არა „უშუალოდ“, არამედ მის მიერ დაფუძნებული სხვა პირების მეშვეობით განახორციელებს სამენარმეო საქმიანობას, დებულება მაინც უმოქმედო იქნება. ზემოთქმულიდან გამომდინარე, კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი უნდა გაუქმდეს.

6. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ხელშეუვალია და განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობს. მას, ერთადერთს, აქვს მსგავსი სტატუსი თანამდებობაზე ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში და განსხვავებით პრეზიდენტისგან, რომელიც, ასევე, ხელშეუვალობით სარგებლობს, მისი თანამდებობა არ არის პერიოდულობით არჩევით განსაზღვრული და მით უმეტეს, სახელმწიფოს ორგანიზაციულ სტრუქტურაში შემავალი. ხელშეუვალობის მინიჭებით, მართალია, გამოიხატება კათოლიკოს-პატრიარქის, როგორც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავრის, მიმართ განსაკუთრებული პატივისცემა და დამოკიდებულება, თუმცა, იმავედროულად, აღნიშნული, ერთგვარად, დამაკნინებელიცაა. ძნელი წარმოსადგენია პრაქტიკული შემთხვევა, პატრიარქს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება დასჭირდეს. ხოლო, თუ თეორიულად მსგავსი შემთხვევა დადგა, საკითხავია, რატომ უნდა გათავისუფლდეს საქართველოს რომელიმე მოქალაქე პასუხისმგებლობისგან. ამით დისკრიმინაციული და არადემოკრატიული პრეცედენტი შეიძლება დამკვიდრდეს. ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია, შესაბამისად, ყველას საკუთარი ქმედების წილი პასუხისმგებლობა უნდა მიეზღოს. კონსტიტუციური შეთანხმების პირველი მუხლის მე-5 პუნქტი ამოღებულ უნდა იქნეს, კონსტიტუციის მე-14 მუხლთან შეუსაბამობის მოტივით.

7. კონსტიტუციური შეთანხმების დადებიდან ათწლეულზე მეტის გასვლის მიუხედავად, იმ ნორმების უმრავლესობა, რომლებიც თვითაღსრულებად ხასიათს არ ატარებს, კვლავაც ფორმალურ დებულებად რჩება. მართალია, ჯერ პრეზიდენტის, შემდეგ კი მთავრობის მიერ რამდენიმე სამართლებრივი აქტი იქნა მიღებული და აღსრულების საკითხებთან დაკავშირებით რამდენიმე კომისიაც შეიქმნა, თუმცა ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა.

საკანონმდებლო ტექნიკისა და პოლიტიკურ-სამართლებრივი კულტურის უაღრესად დაბალი დონის მაჩვენებელია ის გარემოება, რომ ნორმატიული აქტების იერარქიაში მე-2 დონის აქტი თითქმის ფორმალურია. მისი ქმედითობისათვის აუცილებელია შეიქმნას არა ფორმალური, თანამდებობის პირებისგან, არამედ შესაბამისი სფეროს პროფესიონალებისა და შეთანხმების მხარეთა ოფიციალური წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული მუშა ჯგუფები, რომლებიც რეალურ რეკომენდაციებს გაწერენ და პრაქტიკულ რჩევებს მისცემენ როგორც სახელმწიფოს, ისე ქართულ ეკლესიას. ამასთან, აუცილებელია დადგინდეს ზუსტი და მყარი ვადები, შესაბამისი პასუხისმგებლობით, რაც აღსრულების პროცესის რეალურ დაწყებას განაპირობებს.

8. ჯვრისწერის სამართლებრივი ძალის აღიარებისა და კონსტიტუციური შეთანხმების ამ ნაწილის აღსრულებისათვის აუცილებელია შემუშავდეს ისეთი სისტემა, რომელიც უშუალოდ ადამიანზე იქნება მორგებული. თანამედროვე სამყაროში ნებისმიერი სახელმწიფო მომსახურება, მათ შორის, ქორწინების რეგისტრაცია, მაქსიმალურად გამარტივებული და დაინტერესებულ პირზე ორიენტირებული უნდა იყოს. ამიტომაც ჯვრისწერის აღიარებისას საქართველომ უნდა აირჩიოს ეფექტური და გამართული მოდელი, რომელიც ამ პროცესში პირის მინიმალურ ჩართვას მოითხოვს.

აუცილებელია, განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები „საქართველოს სამოქალაქო კოდექსსა“ და „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლითაც ჯვრისწერის აღიარებისთვის სამართლებრივ პირობებად სამოქალაქო ქორწინების ნამდვილობის საფუძვლები იქნება მიჩნეული. ამასთან, არსებული რეგისტრირებული სამოქალაქო ქორწინება ჯვრისწერის დამაბრკოლებელ გარემოებად უნდა იქნეს აღიარებული საკანონმდებლო დონეზე. აუცილებელია, შეიქმნას ეკლესიის რეესტრი, რომელზე წვდომაც სახელმწიფოს შესაბამის სარეგისტრაციო ორგანოებს ექნებათ, რაც ფაქტების დუბლირებასა და შეცდომის დაშვების ალბათობას მინიმუმამდე შეამცირებს. ამასთან, ეკლესიამ უნდა შექმნას გამართული სისტემა, რომლის მეშვეობითაც ყოველი საქორწინო რიტუალის წინ სამოქალაქო რეესტრის ბაზებიდან მიიღებს უტყუარ და გადამოწმებულ ინფორმაციას დასაქორწინებელ პირთა ოჯახური მდგომარეობის შესახებ. იუსტიციის მინისტრის აქტით დეტალურად უნდა მოწესრიგდეს ეკლესიასა და სახელმწიფო ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და მიწოდების საკითხი. ჯვრისწერის შესახებ მონაცემები და დოკუმენტაცია ეკლესიამ ავტომატურ რეჟიმში, დაუყოვნებლივ უნდა მიანოდოს შესაბამის სარეგისტრაციო ორგანოებს, რომლებიც მათ ერთიან ბაზაში მოაქცევენ.

განქორწინების საკითხი მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკით უნდა მოწესრიგდეს და ამ შემთხვევაში უპირატესობა სახელმწიფოს ორგანოების მხრიდან შესაბამისი წესით დარეგისტრირებულ განქორწინებას მიენიჭოს. მართალია, აღნიშნული ეკლესიისთვის მხოლოდ ძალის არ იქნება და მას მხოლოდ სახელმწიფო აღიარებს, თუმცა მსგავსი მოდელი სამოქალაქო ურთიერთობების სტაბილურობისთვის გაცილებით ხელსაყრელია.

ინფორმაციის გამჭვირვალეობა, საეკლესიო და სახელმწიფო ორგანოთა შორის ეფექტური კომუნიკაცია, მონაცემთა და დოკუმენტაციის გაცვლის უზრუნველყოფა და რაც მთავარია, დაუყოვნებლივ აღსრულება, საბოლოო ჯამში, როგორც კონსტიტუციური შეთანხმების დებულების პრაქტიკულ განხორციელებას, ისე მისი დებულების დეკლარაციული ხასიათის ნორმატიულად ტრანსფორმაციას განაპირობებს. გრძელვადიან პერსპექტივაში, მართლმადიდებელ ეკლესიასთან ამ საკითხში თანამშრომლობისა და პრაქტიკული გამოცდილების შემდეგ, თავისუფლად შესაძლებელია სხვა „ტრადიციული“ რელიგიური გაერთიანებების მიერ შესრულებული რელიგიური ქორწინების სამართლებრივი ძალის აღიარებაც, რაც გაცილებით დემოკრატიულ, პლურალისტულ მართლწესრიგს უზრუნველყოფს.

9. რელიგიური დღესასწაულების უქმობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედებები სრულად თავსდება კონსტიტუციური შეთანხმების აღსრულების პროცესის დადებით კონტექსტში, მით უმეტეს, რომ შეთანხმების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის დებულება მხოლოდ დეკლარაციული ხასიათისაა და რაიმე ვალდებულებას არ შეიცავს. იგი სახელმწიფოს კეთილ ნებაზე

ამახვილებს ყურადღებას და მისი მხრიდან რელიგიური დღესასწაულების უქმე დღეებად გამოცხადების შესაძლებლობას და არა ვალდებულებას ადგენს. შესაბამისად, მცდარია სახელმწიფოსგან დამატებით რელიგიური დღესასწაულების უქმეებად გამოცხადების მოთხოვნა კონსტიტუციურ შეთანხმებაზე მითითებით, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ სადღესასწაულო დასვენების დღეები შრომის კოდექსში ისედაც დასაშვებზე გაცილებით მეტია.

10. საქართველოს სახელმწიფომ აღიარა XIX-XX საუკუნეებში ეკლესიისთვის მიყენებული ზიანი და იტვირთა ამ ზიანის ანაზღაურება. ზიანი, რომელიც მართლმადიდებელ ეკლესიას მიადგა, ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის, ხოლო ბოლოს საბჭოთა კავშირის მიერ იყო განხორციელებული. ამ სამი სუბიექტიდან, მეორის გარდა, ყველა საქართველოს დამპყრობელია და მათი სამართალმემკვიდრე ვერცერთ შემთხვევაში იქნება დამოუკიდებელი საქართველო. შესაბამისად, ერთადერთი პერიოდი, რომლის დროსაც მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება საქართველოს უნდა ეკისრა, 1918-1921 წლებია. პირველი რესპუბლიკის მიერ რელიგიური გაერთიანებების მიმართ საკმაოდ აგრესიული კამპანია განხორციელდა, რის შედეგადაც ქართული ეკლესია, მატერიალური თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად დაზარალდა. დანარჩენ პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ეკლესიის თანაზომიერად, თავად იყო მსხვერპლი, რის გამოც, ალოგიკურია დაზარალებულმა სხვა დაზარალებულის მიმართ კომპენსაციის მოვალეობა აიღოს.

11. კონსტიტუციური შეთანხმების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის დებულება, რომლითაც კომპენსაციის საკითხებთან დაკავშირებით სპეციალურ კომისიას ნორმატიული აქტები უნდა მოემზადებინა, პრაქტიკაში არ განხორციელებულა. მნიშვნელოვანია კომპენსაციის რაოდენობისა და ასანაზღაურებელი მოცულობის დადგენა განხორციელდეს სახელმწიფოსა და ეკლესიის შეთანხმებით, აღნიშნულის საფუძველზე კი მოხდეს კომპენსაციის საბოლოო ოდენობისა და მისი გადახდის პერიოდის განსაზღვრა. აქვე აღსანიშნავია, რომ სხვა რელიგიური გაერთიანებებისათვის მიყენებული ზიანიც ამ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული და არა განყენებულად, ზიანი კი ანაზღაურდეს პროპორციულად.

12. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მართლმადიდებელი ეკლესიის სასარგებლოდ ყოველწლიურად ათეულობით მილიონი ლარი იხარჯება. მხარეთა შეთანხმებითა და ნორმათა სისტემური ანალიზით, შეიძლება მას კომპენსაციაც ეწოდოს. თუმცა მისი ზუსტი ოდენობისა და პერიოდის არგანსაზღვრის გამო, შეუძლებელია იმის ვარაუდი, თუ რა ხნის მანძილზე შენარჩუნდება მსგავსი პრაქტიკა. აუცილებელია, ეკლესიის სასარგებლოდ გამოყოფილ თანხას ოფიციალურად დაერქვას კომპენსაცია და საკანონმდებლო დონეზე აიკრძალოს ბიუჯეტიდან ეკლესიის ან რომელიმე რელიგიური გაერთიანებისათვის უშუალოდ რელიგიური საქმიანობის განხორციელებისათვის რაიმე ფინანსური სახსრების გამოყოფა. ამით, უპირველეს ყოვლისა, თავად ეკლესია და რელიგიური ორგანიზაციები „იხეირებენ“, ვინაიდან ამ თემით სპეკულაცია ერთხელ და სამუდამოდ დასრულდება.

ფინანსებთან დაკავშირებით, ერთადერთი, რაზეც შეიძლება ეკლესია და სახელმწიფო შესაძლოა შეთანხმდნენ, ეს რაიმე ფორმით ნებაყოფლობითი საეკლესიო გადასახადის ან მისი მსგავსი ინსტიტუტის შემოღებაა. ამ შემთხვევაში ესპანური მოდელის რეცეფცია ყველაზე ადეკვატური იქნება. ნაცვლად პირდაპირი დაფინანსებისა, მოქალაქეების რელიგიური კუთვნილების შესაბამისად, წინასწარი თანხმობის

საფუძველზე, მათ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი გადასახადიდან (როგორც წესი, საშემოსავლო) განსაზღვრული პროცენტი ჩაერიცხება შესაბამის რელიგიურ გაერთიანებას. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში საუბარია მაქსიმუმ 0,1-დან 0,5%-ზე. ამასთან, აუცილებელია, დაცული იყოს იმ ადამიანთა უფლებები, ვისაც გადასახადის გადახდა არ სურს, ან არ მიაკუთვნებს თავს რომელიმე რელიგიურ გაერთიანებას. მათი გადახდილი საშემოსავლო სრულად ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში. ამ მოდელის პირობებში სახელმწიფო მხოლოდ გადასახადების ადმინისტრირებაში დაეხმარება რელიგიურ გაერთიანებებს და შუამავლის როლს შეასრულებს, როგორც ეს გავრცელებულია ცივილიზებულ სამყაროში. აქვე აღსანიშნავია, რომ ეს შორეული პერსპექტივაა და ამისათვის არა მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებები, არამედ საზოგადოების მენტალური მზაობა და რაც მთავარია, გადასახადის გადამხდელთა ნებაა აუცილებელი.

13. კონსტიტუციური შეთანხმებით ეკლესიისთვის ბევრი შეღავათია დადგენილი, გადასახადების ნაწილისგან გათავისუფლებულია არა მხოლოდ უშუალოდ ეკლესია, არამედ ისიც, ვინც ამ უკანასკნელის სასარგებლოდ ასრულებს რესტავრაციას, აღდგენის, მოხატვის და მსგ. სამუშაოებს. მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო შეღავათების კუთხით სახელმწიფომ ნაკისრი ვალდებულებების უმრავლესობა საგადასახადო კოდექსსა და შესაბამის კანონმდებლობაში ასახა, ქონების გადასახადში, კონკრეტულად მიწასთან დაკავშირებით, ეკლესია არაა გათავისუფლებული გადასახადისგან, თუმცა კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილ შეღავათებში „მინა“ მოქცეულია. ამიტომაც აუცილებელია ცვლილება შევიდეს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტში და სიტყვები — „გარდა მიწისა“, ამოღებულ იქნეს. ამ კონსტრუქციის ამოღებით კანონმდებლობა კონსტიტუციურ შეთანხმებასთან შესაბამისობაშიც მოვა და ახალი მონესრიგება სხვა რელიგიურ გაერთიანებებსაც მნიშვნელოვან შეღავათს მისცემს.

14. ძალზე მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ არადისკრიმინაციული გარემო და რელიგიური გაერთიანებების მოქმედებისათვის თავისუფალი სივრცე შექმნას. მართალია, ზოგადად, რელიგიური ორგანიზაციები სხვადასხვა შეღავათით სარგებლობენ, თუმცა მათსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის უფლებრივად სერიოზული განსხვავებაა, რაც საგადასახადო შეღავათებში ვლინდება. სახელმწიფოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის საგადასახადო პრივილეგიები შეთანხმებით აქვს ნაკისრი, რასაც ევროკომისიისა და ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების ზოგადევროპული, თანამშრომლობის მოდელი ამართლებს, თუმცა მეტი პლურალიზმისა და გამჭვირვალებებისათვის, სასურველია, სახელმწიფომ რამდენიმე ექსკლუზიური შეღავათი სხვებზეც გაავრცელოს. აღნიშნული ბიუჯეტში სერიოზულ ცვლილებებს არ გამოიწვევს და არც ეკონომიკაზე იმოქმედებს უარყოფითად, რადგან სახელმწიფოს გადმოსახედიდან ამ რამდენიმე სფეროდან მიღებული შემოსავალი მიზერულია, განსხვავებით რელიგიური ორგანიზაციებისგან, რომელთათვის გადასახადებში დახარჯული თანხა უზარმაზარ ოდენობას შეიძლება შეადგენდეს. ამ მიზნით, უმჯობესი იქნება, სახელმწიფომ აიღოს პოზიტიური ვალდებულება და საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტიდან, 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ და მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებიდან ამოიღოს სიტყვები „საქართველოს საპატრიარქოს მიერ“. აღნიშნული

ცვლილებებით კონსტიტუციური შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება ც შესრულდება და სხვა რელიგიური ორგანიზაციებიც თანაბარი პრივილეგიებით ისარგებლებენ.

15. ეკლესიისათვის ქონების დაბრუნება და გადაცემა მეტად აქტუალურია საქართველოში. სამწუხაროდ, ეს პროცესი სრულიად გაუაზრებლად და ხშირად ქაოსურად მიმდინარეობს, რაც უამრავ პრობლემას წარმოშობს. გარდა იმისა, რომ არ განხორციელებულა გადაცემული და გადასაცემი ქონების აღრიცხვა, დეტალიზება, ზოგიერთ შემთხვევაში მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მიკუთვნებული საკუთრება სხვა რელიგიურ გაერთიანებათა მხრიდან დავის საგანია. აუცილებელია რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ (თუკი ამ ფორმით მაინც იარსებებს), ან სპეციალურმა კომისიამ, თითოეულ მათგანთან დაკავშირებით მოამზადოს შესაბამისი რეკომენდაციები და მოდავე მხარეთა შორის შუამავლის ფუნქცია შეასრულოს.

საციცოცხლოდ მნიშვნელოვანია, საბოლოოდ დადგინდეს, რა ქონება დარჩა სახელმწიფოს ეკლესიისთვის გადასაცემი. ამასთან, შეფასდეს სხვა რელიგიური გაერთიანებებისთვის გადასაცემი ქონება და ისინი დაუბრუნდეს ისტორიულ მესაკუთრეებს, შესაბამისი საექსპერტო დასკვნების, არქეოლოგიური, ისტორიული თუ სახელოვნებო კვლევების, უფლებამოსილი ორგანოს დასკვნის საფუძველზე, ან გადაეცეთ ალტერნატიული საკუთრება იმ შემთხვევაში, თუ რესტიტუციის პირველი ვარიანტი ვერ ხერხდება. პროცესის დასრულების შემდეგ კი ცვლილებები უნდა შევიდეს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში, რათა სახელმწიფოს აღარ ჰქონდეს უფლება უსასყიდლოდ გადასცეს სახელმწიფო ქონება ეკლესიას და ხელი შეუწყოს მის ზედმეტად პრივილეგირებულ მდგომარეობას.

16. სახელმწიფო მუზეუმებში არსებული საეკლესიო საგანძურის მესაკუთრედ ეკლესიის აღიარების მიუხედავად, დღემდე არ არსებობს ერთიანი კატალოგი და საგანძურს მიკუთვნებული ნივთების სრული აღწერა არ განხორციელებულა. ეს გარკვეულწილად ადასტურებს კონსტიტუციური შეთანხმების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის სიმბოლურ ხასიათს. ნორმის რეალურად ასამოქმედებლად, უნდა აიღწეროს ეკლესიის საკუთრებაში არსებული, მუზეუმების საცავებში განთავსებული ნივთების დანვრილებითი აღწერა. გარდა ამისა, უნდა შეიცვალოს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი სამართლებრივი ნონსენსი, რომლითაც ხსენებული ნივთები სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივ მფლობელობაშია. ნორმა უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ზემოაღნიშნული საეკლესიო საგანძური (წმიდა ნაწილებისა და წმიდა რელიკვიების გარდა), როგორც საერთო ეროვნული საგანძურის ნაწილი, კანონმდებლობის შესაბამისად, არის სახელმწიფოს მფლობელობაში.“.

17. სახელმწიფომ უნდა შეასრულოს კონსტიტუციური შეთანხმების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით ნაკისრი ვალდებულება და შეიმუშავოს სპეციალური წესები, ნორმატიული აქტის სამართლებრივი მექანიზმის გამოყენებით, როგორც (ა) საეკლესიო საგანძურის დაცვისა და სარგებლობის, ისე (ბ) კულტურულ-ისტორიული ღირებულებების მქონე ტაძრების აღდგენის, რესტავრაცია-კონსერვაციისა და მოხატვის პროექტების დამტკიცების თაობაზე. მართალია, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ეკლესიასთან ათანხმებს პროექტებს და პირიქით, ეს უკანასკნელიც მიმართავს სამინისტროს, თუმცა ამ ყოველივეს სამართლებრივი ვალდებულების კონკრეტული სახე და პროცედურა უნდა ჰქონდეს, რათა განსახილველ საკითხებთან მიმართებით გაცილებით უკეთესი და სტაბილური რეჟიმი

დამკვიდრდეს. აღსანიშნავია, რომ ეს წესი გამოდგება სხვა რელიგიური ორგანიზაციების საკუთრებაში არსებულ ძეგლებთან მიმართებითაც.

18. განათლების სფეროში ნაკისრი ვალდებულებები სახელმწიფომ კონსტიტუციური შეთანხმების დადებიდან 10 წლის თავზე განახორციელა. საკანონმდებლო ცვლილებებმა უზრუნველყო შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები დადებითად უნდა შეფასდეს. იმავედროულად, აღსანიშნავია, რომ განათლების სისტემაში რელიგიის ინტეგრირებასთან დაკავშირებით სოციალური პრობლემები კვლავაც არსებობს, რომელზე რეაგირებაც სამართლებრივად აუცილებელია. შესაბამისად, რეკომენდაციაც სასურველ-შესაძლებლობის ხასიათს ატარებს. მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს საჯარო სკოლებში რელიგიური სიმბოლოების, ერთობლივი ლოცვებისა და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტებზე. ამასთან, მნიშვნელოვანია, თითოეულ დარღვევაზე ადეკვატური და პროპორციული ღონისძიებები გატარდეს, რაც მომავალ დარღვევათა პრევენციასაც უზრუნველყოფს. აუცილებელია, ასევე, რიგ შემთხვევებში გამკაცრდეს, ზოგ შემთხვევაში კი დაწესდეს საქართველოს საპატრიარქოს მიერ დაფუძნებული ან მას დაქვემდებარებული სასწავლებლების ავტორიზაცია და მათ მიერ განსახორციელებელ პროგრამათა აკრედიტაცია.

19. დადებითად უნდა შეფასდეს სასჯელალსრულების სფეროში კონსტიტუციური შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების აღსრულება. პენიტენციურ სისტემასთან მართლმადიდებელი ეკლესია აქტიურად თანამშრომლობს. სპეციალური ბრძანებითაა დადგენილი მართლმადიდებელ და სხვა აღმსარებელ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რელიგიური უფლებების განხორციელება. მისასალმებელია ის გარემოება, რომ ყველა რელიგიური გაერთიანებისა და რელიგიის მიმართ სამართლებრივად თანაბარი მიდგომები მოქმედებს. ურთიერთობათა სპეციფიკა კი ზოგადად აღიარებულ, ცივილიზებულ სახელმწიფოებში არსებულ სისტემებთანაა თანხვედრაში.

20. სასჯელალსრულების სისტემისგან განსხვავებით, თავდაცვის სფეროში სპეციალური მონესრიგება არ არსებობს, თუმცა, სხვა მხრივ, მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. სასურველია, შეიარაღებულ ძალებში მოქმედი სამხედრო მოძღვრის (კაპელანის) სტატუსი, მისი დანიშნვის წესი და მასთან დაკავშირებული საკითხები საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს, რაც მას გაცილებით მეტ სტაბილურობას შესძენს და კონკრეტული მინისტრის კეთილ ნებასა თუ მმართველი ძალის განწყობაზე არ იქნება დამოკიდებული.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციური შეთანხმებით დამკვიდრებული მართლწესრიგი ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების ევროპული მოდელისთვის უცხო არ არის. მის მიმართ ბევრი კითხვა და პრობლემა არსებობს, თუმცა მათი გადაწყვეტა ოფიციალური პოლიტიკის არჩევით, სამართლებრივ დონეზე აქტების დახვეწითა და არადისკრიმინაციული მიდგომების გამოყენებით სრულიად შესაძლებელია. ამასთან, აუცილებელია, სისტემურად შეიცვალოს რელიგიის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა და იგი ერთიან სამართლებრივ ჩარჩოებში მოექცეს. შეთავაზებული რეკომენდაციებისა და საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინების შემთხვევაში, სახელმწიფო შეძლებს არა მარტო ქართულ ეკლესიასთან, არამედ სხვა რელიგიურ გაერთიანებებთან მიმართებით ადეკვატური, დემოკრატიული და თანამედროვე მართლწესრიგი შექმნას, ერთდროულად, მოსახლეობის უმრავლესობის რელიგიურ ინტერესებსაც

დააკმაყოფილებს და რელიგიური უმცირესობების რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების დაუბრკოლებლად განხორციელებასაც უზრუნველყოფს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ კონსტიტუციური შეთანხმება უბრალოდ გამორჩეულ და იერარქიულად მაღალ სამართლებრივ დოკუმენტად არ დარჩეს, რომელსაც პრაქტიკული გამოყენება არ გააჩნია. მისი დებულებები უნდა აღსრულდეს და დაინერგოს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მხოლოდ კონსტიტუციური შეთანხმების არსებობა საკმარისი არაა. აუცილებელია რელიგიურ ორგანიზაციებთან მიმართებით სახელმწიფოს ერთიანი მიდგომა და პოლიტიკა სამართლებრივ დონეზე ადეკვატურად გამოიხატოს. ამისთვის კი მნიშვნელოვანია რელიგიური ორგანიზაციების თაობაზე სპეციალური კანონმდებლობის შექმნა, რომელიც ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვით მაქსიმალურად დემოკრატიულ, თანაბარი შესაძლებლობების დამფუძნებელ რელიგიურ გარემოს დაუდებს სათავეს. სახელმწიფომ უნდა შეძლოს და საზოგადოებას მიაწოდოს სრული ინფორმაცია სახელმწიფო-რელიგიური ორგანიზაციების ურთიერთობების სპეციფიკის თაობაზე, რათა მარგინალიზებულმა ჯგუფებმა არ შეძლონ საზოგადოების წევრებს შორის განხეთქილებისა და არეულობის შეტანა. როგორც „სეკულარული“ არაა საშიში სიტყვა, ისე ეკლესია-სახელმწიფოს „თანამშრომლობა“ არაა კონსტიტუციის პრინციპების დარღვევა. აუცილებელია ყოველივე ეს სამართლებრივი სტანდარტების დაცვით განხორციელდეს.

და ბოლოს, კონსტიტუციური შეთანხმება სრულად იქნება აღსრულებული, როდესაც არა მხოლოდ პოლიტიკური ნება იარსებებს ამის თაობაზე, არამედ ობიექტურ სინამდვილეში ეკლესიის ზომიერი პრივილეგიებული სტატუსი სხვა რელიგიურ ჯგუფთა მხრიდან დისკრიმინაციის განცდას არ გამოიწვევს. აუცილებელია ჯერ თავად დოკუმენტის მნიშვნელოვანი ხარვეზები აღმოიფხვრას, შემდეგ კი ზოგადად რელიგიური ორგანიზაციების უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინება დადგეს დღის წესრიგში, რადგანაც მსგავს გაერთიანებათა მაღალი სტატუსი და სტაბილურობის განცდა, სახელმწიფოსთან ერთად, თავად საქართველოს სამოციქულო ეკლესიის უპირველესი ინტერესი უნდა იყოს. მხოლოდ მსგავს ქმედებათა განხორციელებითაა შესაძლებელი, საქართველომ თანამედროვე სამყაროს მიღწევებთან და ცივილიზაციის გამოწვევებთან მიმართებით ადეკვატური პოზიცია დაიჭიროს და განვითარდეს.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა

- აბაშიძე ზაზა*, *თადუმაძე მაია*, საქართველოში რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის ისტორიიდან (XIX ს-ის პირველი ნახევარი), წიგნში: რელიგიის ისტორიის საკითხები, ტ.1, ზ. აბაშიძის რედაქტორობით, თბილისი, 2011
- აბაშიძე ლევანი*, რელიგიური კანონმდებლობის პერსპექტივები საქართველოში, ჟურნ. „სოლიდარობა“, №9(18)07, 2007
- ავალიშვილი ზურაბი*, ჯვაროსანთა დროიდან, თბილისი, 1989
- ალადაშვილი გიორგი*, რელიგიის ცნების სამართლებრივ-თეორიული განსაზღვრა (უპირატესად აშშ-ის სამართლის მაგალითზე), ჟურნ. „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“, №1(2), 2014
- ანდრონიკაშვილი ზაალი*, *მაისურაძე გიორგი*, სეკულარიზაცია და სეკულარიზაციის ბედი საქართველოში, ჟურნ. „სოლიდარობა“, №5(38), 2010
- ანთელავა ილია*, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი, 1983
- არქიეპისკოპოსი ანასტასიოსი (იანულატოსი)*, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების მათლმადიდებლური ხედვა, დ. თინიკაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №4(37), 2010
- ბადრიძე შოთა*, საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან (X-XIII სს.), თბილისი, 1984
- ბართლომეოს I*, ევროპა: სეკულარიზაციის გამოწვევა, დ. თინიკაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №9(18)07, 2007
- ბართლომეოს I*, ინტერრელიგიური დიალოგის აუცილებლობა და მიზანი, სიტყვა, წარმოთქმული 2006 წლის 22 იანვარს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო სხდომაზე, ჟურნ. „სოლიდარობა“, №2(11)'07, 2007
- ბასდევან-გოდემე ბრიჯიტ*, სახელმწიფო და ეკლესია საფრანგეთში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მეორე გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011
- ბეგაძე მარიამი*, სეკულარიზმი: სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ჩარჩო, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №10, 2016
- ბილეველდტი ჰაინერ*, რელიგიის თავისუფლება: საბოლოო კრიტერიუმი?, ვ. კობახიძის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №10(19)'07, 2007
- ბოხაშვილი ბესარიონი*, რელიგიის თავისუფლება, ჟურნ. „სოლიდარობა“, №1(22), 2008
- ბრაჭული ირაკლი*, *დურა ნიკოლაე*, *ზაქარაიძე ანასტასია*, რელიგიის ფილოსოფია, თბილისი, 2015
- ბუმისი პანაიოტის ი.*, კანონიკური სამართალი, ი. გარაყანიძის თარგმანი, თბილისი, 2007
- გაგნიძე ინეზა*, მართლმადიდებლობა და ეკონომიკა, მეორე გამოცემა, თბილისი, 2013
- გეგენავა დიმიტრი*, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები (1917-1921) და საქართველოს პირველი კონსტიტუცია, წიგნში: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის კონსტიტუცია, დ. გეგენავასა და პ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2013

- გვეენავა დიმიტრი*, ზოგიერთი ცნების მართებულობის საკითხისათვის ქართულ საკონსტიტუციო სამართალში, ნიგნში: ზურაბ ახვლედიანი 80, თბილისი, 2013
- გვეენავა დიმიტრი*, *ქანთარია ბექა*, *ცანავა ლანა*, *თევზაძე თენგიზი*, *მაჭარაძე ზურაბი*, *ჯავახიშვილი პაატა*, *ერქვანია თინათინ*, *პაპაშვილი თამარი*, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-3 გამოცემა, თბილისი, 2015
- გვეეშიძე დავითი*, საქართველოს ისტორიაში ქრისტიანობის ადგილისა და როლის საღვთისმეტყველო კონცეფციის კრიტიკა, თბილისი, 1986
- დეკანოზი ალექსანდრე (შენანი)*, ავტორიტეტი და თავისუფლება ეკლესიაში, ნ. დობორჯგინიძის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №1(22), 2008
- დეკანოზი ემანუელი (კლაპსისი)*, მართლმადიდებელი ეკლესია პლურალისტულ სამყაროში, დ. თინიკაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №1(28), 2009
- დოლიძე ისიდორე*, ქართული სამართლის ძეგლები, სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, თბილისი, 1963
- დოლიძე ისიდორე*, ძველი ქართული სამართალი, თბილისი, 1953
- დუბუკი ინგერ*, სახელმწიფო და ეკლესია დანიაში, ნიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის ნევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მეორე გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011
- ეგნატე IV*, მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა: მონუმბის ორიენტირი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №3(12)'07, 2007
- ელინეკი გეორგ*, ძველი სამართლის ბრძოლა ახალ სამართალთან, ზ. ნანობაშვილის თარგმანი, ბ. ზოიძის რედაქტორობით, თბილისი, 2006
- ემილიანიდესი აქილეს*, სახელმწიფო და ეკლესია კვიპროსში, ნიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის ნევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მეორე გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011
- ერქვანია თინათინ*, სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთმიმართების სამართლებრივი კონტექსტი — ქართული მოდელი, მოკლე შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა ევროპული კავშირის მაგალითზე, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №6, 2013
- ეფსთინი რიჩარდ*, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის გზაჯვარედინზე. ქრისტიანული სამართლებრივი საზოგადოება (CLS) მარტინესის წინააღმდეგ, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №5, 2012
- ვან ბუერნი ჯერალდინ*, ბავშვები და რელიგია, ა. გეგეჭკორის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №1(10)'07, 2007
- ვარდოსანიძე მარიამ*, რელიგიის თავისუფლების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, ნიგნში: ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2006
- ვარდოსანიძე სერგო*, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში, თბილისი, 2001
- ვაჩეიშვილი ალექსანდრე*, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. II, თბილისი, 1948
- ზოიძე ბესარიონ*, ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2000

- თინიკაშვილი დავითი*, მაგალითი საეპისკოპოსო მსახურებისა, ჟურნ. „სოლიდარობა“, №2(29), 2009
- იბანი ივან ს.*, სახელმწიფო და ეკლესია ესპანეთში, ნიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მეორე გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011
- ივანიძე მიაა*, რელიგიისა და სისხლის სამართლის ურთიერთობის ზოგიერთი ისტორიული ასპექტი, ჟურნ. „სამართალი“, №2-3, 1998
- იზორია ლევანი, კორკელია კონსტანტინე, კუბლაშვილი კონსტანტინე, ხუბუა გიორგი*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005
- ილუმენი პეტრე (მეშქერინოვი)*, ეკლესიისა და სახელმწიფოს თანამშრომლობის შესახებ, დ. თინიკაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, 1(28), 2009
- კაკაბაძე სარგისი*, ქართველი ხალხის ისტორია, თბილისი, 1997
- კახიანი გიორგი*, საკონსტიტუციო კონტროლის ზოგიერთი თეორიული ასპექტი, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2005
- კოკაია ლევანი*, რელიგიის შესახებ კანონის მიღება უნდა დაჩქარდეს, ჟურნ. „სამართალი“, №10-12, 2004
- კეკელია თათია, გავაშელიშვილი ელენე, ლადარია კონსტანტინე, სულხანიშვილი ირინა*, მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებაში (XX საუკუნის ბოლო — XXI საუკუნის დასაწყისი), თბილისი, 2013
- კორკელია კონსტანტინე*, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბილისი, 2004
- კურტანიძე კახაბერი*, ევროსაბაჭოს საპარლამენტო ასამბლეას რეკომენდაცია: სახელმწიფო, რელიგია, სეკულარობა და ადამიანის უფლებები, ჟურნ. „სოლიდარობა“, №1(34), 2010
- კურტანიძე კახაბერი*, ესქატოლოგიური პოლიტოლოგია, არსებობს თუ არა ეკლესიური იდეოლოგია?, ჟურნ. „სოლიდარობა“, №2(35), 2010
- ლომოური ნოდარი*, ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან, თბილისი, 1975
- ლომოური ნოდარი*, ქრისტიანობის გავრცელება და დამკვიდრება საქართველოში, მეორე გამოცემა, თბილისი, 2009
- ლორია ვალერი, გელაშვილი ბაადურ, ბენდელიანი მანანა*, ადამიანის უფლებები და რელიგია, თბილისი, 2006
- ლოქლინი რეიდ ბ.*, კედლის ბევრი ფანჯარა, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №5, 2012
- მაისურაძე გიორგი*, მართლმადიდებლური ეთიკა და არათავისუფალი სული, თბილისი, 2013
- მაკლინი დევიდ*, სახელმწიფო და ეკლესია გაერთიანებულ სამეფოში, ნიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მეორე გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011
- მამა პაისი მთაწმინდელი*, სიტყვები, ნიგნი IV, ოჯახური ცხოვრება, თბილისი, 2006
- მაცაბერიძე მალხაზი*, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: შემუშავება და მიღება, თბილისი, 2008

- მაცაბერიძე მალხაზი*, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება და მიღება, ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, ბათუმი, 2011
- მელაძე გიორგი, მუმლაძე გიორგი*, საკონსტიტუციო შეთანხმება: ისტორია, საჯარო განხილვები და გავლენა რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დაცვაზე საქართველოში, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №10, 2016
- მელაძე გიორგი, ნონიაშვილი გიორგი*, რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციის საკითხი ქართულ კანონმდებლობაში, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №9, 2016
- მელქაძე ოთარ*, „საკონსტიტუციო კონტროლი“ - ტერმინის არსებითი მნიშვნელობის შესახებ, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 1998
- მენი ალექსანდრე*, რელიგია, „პიროვნების კულტი“ და სეკულარული სახელმწიფო, დ. თინიკაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №6(39), 2010
- მესხია შოთა*, ძლევა და საკვირველი, თბილისი, 1972
- მეტრეველი ვალერიანე*, რომის სამართალი, საფუძვლები, თბილისი, 2005
- მეტრეველი ვალერიანე*, ქართული სამართლის ისტორია, თბილისი, 2009
- მთავარეპისკოპოსი ანასტასიოსი*, მართლმადიდებლობის დამოკიდებულება სხვა რელიგიებთან, ზ. ჯუღელის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №7'06, 2006
- მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე)*, საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული, თბილისი, 2010
- მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე)*, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. 1, უძველესი დროიდან VI საუკუნემდე, თბილისი, 2012
- მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე)*, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. 2, VI-XI საუკუნეები, თბილისი, 2012
- მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე)*, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. 3, XII-XVI საუკუნეები, თბილისი, 2012
- მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე)*, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. 4, XVII-XX საუკუნეები, თბილისი, 2012
- მიტროპოლიტი გიორგი (ხოდრი)*, ქრისტიანობა პლურალისტულ სამყაროში, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე წარმოთქმული სიტყვა (ადის-აბეზა, 1971 წ.), დ. თინიკაშვილი თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №1(34), 2010
- მშვილდაძე მარიკა*, ადგილი ქრისტიანობის ისტორია, თბილისი, 2009
- ნადარეიშვილი გიორგი*, ქართული სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი საკითხი XI-XII სს. საქართველოში, თბილისი, 1959
- ნადარეიშვილი გიორგი*, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2005
- ნარინდოშვილი მალხაზი, გოგელია ვანო, ჯულაყიძე თათია, ჯაში ზურაბი, გლურჯიძე ერეკლე*, რელიგიის თავისუფლება, თბილისი, 2004
- ნოლი რუდიგერ*, რელიგიისა და რელიგიის თავისუფლების როლი თანამედროვე კონფლიქტურ სიტუაციებში, მ. პაკაცოშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №1, 2006
- პავლიაშვილი ქეთევანი*, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში, თბილისი, 2000

- პაპასტატიისი კარალამბოს*, სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მეორე გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011
- პაპუაშვილი ნუგ ზარი*, მსოფლიო რელიგიები საქართველოში, თბილისი, 2002
- პაპუაშვილი ნუგ ზარი*, წმ. ეპისკოპოსი გაბრიელი სარწმუნოებისა და მოქალაქეობის შესახებ, ანუ: იწყობდა თუ არა იგი უარს ეკუმენიზმზე?, ჟურნ. „სოლიდარობა“, №3(36), 2010
- პოზტი რიჩარდ*, სახელმწიფო და ეკლესია ავსტრიაში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მეორე გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011
- პროდმოუ ელი ზაბეტ*, ამბივალენტური მართლმადიდებლობა, ჟურნ. „სოლიდარობა“, №1(22), 2008
- რადბრუხი გუსტავ*, სამართლის ფილოსოფიის ხუთი წუთი, დ. გეგენავას თარგმანი, სამართლის ჟურნალი „სარჩევი“, №1-2(3-4), 2012
- რობერსი გერჰარდ*, სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მეორე გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011
- საგინაშვილი ქეთევანი*, მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების სამართლებრივი ასპექტები უცხო ქვეყნების მაგალითების ფონზე, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2001
- საგინაშვილი ქეთევანი*, საეკლესიო სასჯელების ისტორია, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2002
- საგინაშვილი ქეთევანი*, საქართველოში არსებული რელიგიური მიმართულებები და მათი რეგულირებისათვის საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბების აუცილებლობა, ჟურნ. „სამართალი“, №11-12, 1997
- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921, თბილისი, 1990
- საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013
- სპიკერი მანფრედ*, ქრისტიანობა და თავისუფალი კონსტიტუციური სახელმწიფო, ზ. იაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №5(32), 2009
- სტეფანი ალფრედ*, რელიგიისა და დემოკრატიის ურთიერთშეფასებადობის შესახებ, დ. თინიკაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, №2(29), 2009
- სტეფნაძე ჯემალი*, საქართველო XII საუკუნესა და XIII საუკუნის პირველ მეოთხედში, თბილისი, 1985
- სურგულაძე აკაკი*, *სურგულაძე პაატა*, საქართველოს ისტორია, 1783-1990, თბილისი, 1991
- სურგულაძე ივანე*, ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევები, წ. I, თბილისი, 2000
- ტყეშელაშვილი ლევანი*, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები, ქუთაისი, 2014
- ფანჯიკიძე თეიმურაზ*, ქრისტიანობა — ნარსული და თანამედროვეობა, თბილისი, 1984
- ფერარი სილვიო*, სახელმწიფო და ეკლესია იტალიაში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მეორე გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011

- ფრიდნერი ლარს*, სახელმწიფო და ეკლესია შვედეთში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მეორე გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011
- ქართული ჩვეულებითი სამართალი, III ნაწილი, ს. ხანჯალაძის რედაქტორობით, თბილისი, 1991
- ქართული ჩვეულებითი სამართალი, IV ნაწილი, მ. კეკელიას რედაქტორობით, თბილისი, 1993
- ქიქოძე გერონტი*, ერეკლე მეორე, თბილისი, 1958
- ლაღანიძე მერაბი*, საქართველოს სეკულარიზაციის გზაზე, წიგნში: საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, ვ. ნაცვლიშვილისა და დ. ზედელაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2016
- შაიო ანდრეაშ*, ხელისუფლების თვითშეზღუდვა კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003
- შვაბე იურგენ*, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ე. ჩაჩანიძის თარგმანი, კ. კუბლაშვილის, თ. ნინიძის, ბ. ლოლაძისა და ქ. ერემაძის რედაქტორობით, თბილისი
- ჩიკვაიძე დავითი*, საეკლესიო სამართალი, თბილისი, 2008
- ჩიკვაიძე დავითი*, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების კომენტარები, კომენტარები, თბილისი, 2005
- ცაცანაშვილი მარიამ*, სახელმწიფო და რელიგია, თბილისი, 2001
- ცნობილაძე პაატა*, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ტ. I, თბილისი, 2005
- ცხადაია გიორგი*, რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთობის ახალი ფორმები, ჟურნ. „სოლიდარობა“, №1(34), 2010
- ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ამბროსის სიტყვა დამფუძნებელი კრების მოწვევის წლისთავთან დაკავშირებით (1920 28/02), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები 1917-1927 წწ.ში, წერილები, თბილისი
- წმ. იოანე ოქროპირი*, სწავლანი, ნ. ბელთაძის თარგმანი, წიგნში: ბჭე სინმინდისა, თბილისი, 2008
- ჯავახიშვილი ივანე*, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბილისი, 2012
- ჯავახიშვილი ივანე*, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბილისი, 2012
- ჯავახიშვილი ივანე*, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბილისი, 2012
- ჯავახიშვილი ივანე*, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბილისი, 2012
- ჯავახიშვილი ივანე*, ქართველი ერის ისტორია, ტ. VII, თბილისი, 1984
- ჯავახიშვილი ივანე*, ქართული სამართლის ისტორია, ნ. II, ნ. I, ტფილისი, 1928
- ჯავახიშვილი ივანე*, ქართული სამართლის ისტორია, ნ. II, ნ. II, ტფილისი, 1929
- ჯავახიშვილი მანანა*, პაპობის ისტორია შუა საუკუნეებში, თბილისი, 2015
- „*ჯვარი ვაზისა*“, №1, 1987
- ჯვარცმები იტალიის სახელმწიფო სკოლებში. სასამართლომ არ დაადგინა დარღვევის ფაქტი, ჟურნ. „საკონსტიტუციო სასამართლოს მიმოხილვა“, №5, 2012
- ხეცურიანი ჯონი*, კონსტიტუციური შეთანხმება და რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსის ზოგიერთი საკითხი საქართველოში, წიგნში: ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში, თბილისი, 2011

- ხეცურიანი ჯონი*, სახელმწიფო და ეკლესია, ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2013
- ხეცურიანი ჯონი*, სახელმწიფო და ეკლესია, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1, 2001
- ხეცურიანი ჯონი*, ქართული ეკლესიის კონსტიტუციური საფუძვლები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2002
- ხიზანაშვილი (ურბნელი) ნ.*, რჩეული იურიდიული ჩანაწერები, თბილისი, 1982
- ხუბუა გიორგი*, სამართლის თეორია, თბილისი, 2004
- ხუცურაული ირაკლი*, ქრისტიანული რელიგიისა და სამართლის ურთიერთდამოკიდებულება სახელმწიფოში, ჟურნ. „სამართალი“, 9-10, 2001
- Corpus Juris*, ნ. 1, სამართალმცოდნეობის საკითხები, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2015
- A Message from His Beatitude Ignatius I to His Holiness Pope Benedict XVI, Patriarchate of Antioch News, 2/663, 17th of September, 2006
- Abilmouna Raed*, Reconciling the Hijab within Laïcité France, Journal of Islam Law and Culture, Vol.13, No.2-3, 2011
- Ahdar Rex, Leigh Ian*, Religious Freedom in the Liberal State, 2nd Ed., Croydon, 2015
- Allen J. Timothy*, The Separation of Church and State: Myths, Mantras, Mandates, Forum on Public Policy Online, No.3, 2007
- Amundson Stephen*, Separation of Church and State: How It Has Impacted Religious Diversity, SPEA Honors Paper Series, Vol.2, №12, 2008
- Anckar Carsten*, Religion and Democracy, A Worldwide Comparison, Abingdon, 2011
- Anderson Paul B.*, The Orthodox Church in Soviet Russia, Foreign Affairs, №39, 1960-1961
- Annicchino Pasquale*, Laïcité as Civil Religion: An Italian American Perspective, The George Washington International Law Review, Vol.41, No.4, 2010
- Arribas Santiago Cañamares*, Religious Equality in the Spanish Constitutional System, in: Law, Religion, Constitution (Freedom of Religion, Equal Treatment, and the Law), Edited by Cr. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari, D. Thayer, 2013
- Årsheim Helge*, Legal Secularism? – Differing Notions of Religion in International and Norwegian Law, in: Secular and Sacred? The Scandinavian Model of Religion in Human Rights, Law and Public Space, Edited by R. Van Der Breemen, J. Casanova and T. Wyller, Vandenhoeck & Ruprecht, 2014
- Asad Tatal*, Formations of Secular, Christianity, Islam, Modernity, Stanford University Press, 2003
- Baker Robert A.*, The Presidency and the Roman Catholic Church, Journal of Church and State, Vol.2, No.2, 1960
- Bartulin Nevenko*, The Racial Idea in the Independent State of Croatia (Origins and Theory), Leiden-Boston, 2014
- Bennet Edward M.*, The Russian Orthodox Church and the Soviet State, 1946-1956: A Decade of the New Orthodoxy, Journal of Church and State, Vol.7, No.3, 1963
- Ben-Porat Guy*, Religion and Secularism in Israel, Between Politics and Sub-Politics, in: Religion and Politics in Europe, The Middle East and North Africa, Edited by J. Haynes, Abingdon, 2010
- Berg Thomas C., Colby Kimberlee W., Esbeck Carl H., Garnett Richard W.*, Religious Freedom, Church-State Separation, and the Ministerial Exception, Northwestern University Law Review Colloquy, Vol. 106, 2011

- Berger Benjamin*, The Limits of Belief: Freedom of Religion, Secularism and the Liberal State, Canadian Journal of Law and Society, Vol.17, No.1, 2002
- Bernard Jean*, The Evolution of Matrimonial Jurisprudence: The Opinion of a French Canonist, The Jurist, №41, 1981
- Blitt Robert C.*, One New President, One New Patriarch, and a Generous Disregard for the Constitution: A Recipe for the Continuing Decline of Secular Russia, Vanderbilt Journal of Transnational Law, Vol.43, 2010
- Bociurkiv Boholan R.*, Church and State in the Soviet Union, International Law Journal, Vol.14, 1958-1959
- Brown Brendan F.*, The Relation of Theology and Philosophy to the Forms of Marriage, Journal of Family law, Vol.1, Iss.1, 1961
- Brown Wendy*, Civilizational Delusions, Secularism, Tolerance, Equality, in: *Reveal in Democracy, Secularism and Religion in Liberal Democratic States*, Edited by Ch. Marllé, G.M. Nielsen and D. Salde, Brussels, 2013
- Burgess John P.*, Church-State Relations in East Germany: The Church as a “Religious” and “Political” Force, Journal of Church and State, Vol.32, No.1, 1991
- Cahil Edward*, Notes on Christian Sociology, The Irish Monthly, Vol.LI-LVI, 1923
- Calo Zachary R.*, Higher Law Secularism: Religious Symbols, Contested Secularisms, and the Limits of the Establishment Clause, Chicago-Kent Law Review, Vol.87, 2012
- Calo Zachary R.*, Pluralism, Secularism and the European Court of Human Rights, Journal of Law and Religion, Vol. 26, Iss. 1, 2010
- Carle Robert*, Pope Benedict XVI Confronts Religious Relativism, Culture and Society, Vol. 45, Iss. 6, 2008
- Carlton Clark*, The Faith, Understanding Orthodox Christianity, An Orthodox Catechism, Salisbury, 1997
- Catean-Voiculescu Laura, Hurbean Ada*, Legal Marriage Versus Religious Marriage Act in Light of the New Regulations of the Civil Code, Agora International Journal of Juridical Studies, №2, 2011
- Chelini-Pont Blandine*, Is Laïcité the Civil Religion of France?? The George Washington International Law Review, Vol.41, No.4, 2010
- Chaplin Jonathan*, The Place of Religious Arguments for Law Reform in a “Secular State”, Law & Justice, Vol.162, 2009
- Chaves Mark*, Secularization as Declining Religious Authority, Social Forces, Vol.72, No.3, 1994
- Christoffersen Lisbet*, Historical, Cultural and Social Background, in: *Religion and Discrimination Law in the European Union*, Edited by M. Hill QC, Trier, 2012
- Clendenin Daniel B.*, Eastern Orthodox Christianity, A Western Perspective, 2nd Ed., Grand Rapids, 2003
- Coleman John A.*, The Secular: A Sociological View, The Way, Vol.30(1), 1990
- Costigan Richard F.*, State Appointment of Bishops, Journal of Church and State, №8(1), 1966
- Cranmer Frank*, National Churches, Territoriality and Mission, Law & Justice – Christian Law Review, Vol.149, 2002
- Cranmer Frank., Olivia J.G.*, Church-State Relationships - An Overview, Law and Justice, №162, 2009
- Cumper Peter*, The Participation of Religious Communities in Public Life – The British Experience, in: *Transformation of Church and State Relations in Great Britain and*

Germany, Edited by C. Walter and A. Von Ungern-Sternberg, Baden-Baden, 2013

- Curtiss John Shelton*, Religion as a Soviet Social Problem, "Social Problems", №7, 1959-1960
- Dal Pont G.E.*, Charity Law and Religion, in: Law and Religion, God, the State and the Common Law, Edited by P. Radan, D. Meyerson and R. F. Croucher, London, 2005
- Davies Margaret*, The Future of Secularism, A Critique, in: Law and Religion in Public Life, The Contemporary Debate, Edited by N. Hosen and R. Mohr, Abingdon, 2011
- Davies R.*, Church and State, The Cambrian Law Review, Vol.7, 1976
- Davis Derek H.*, A Commentary on the Supreme Court's "Equal Treatment" Doctrine as the New Constitutional Paradigm for Protecting Religious Liberty, Journal of Church and State, Vol.46, 2004
- Dawson Jerry F.*, Friedrich Schleiermacher and the Separation of Church and State, Journal of Church and State, Vol.7, No.2, 1965
- De Tocqueville Alexis*, Democracy in America, University of Chicago Press, 2002
- De Vries Hent*, Religion and Violence, Philosophical Perspectives from Kant to Derrida, The Johns Hopkins University Press, 2001
- Doe Norman*, Christian Law, Contemporary Principles, New York, 2013
- Doerr Edd*, The Importance of Church-State Separation, in: Toward a New Political Humanism, edited by Seidman B.F. & Murphy N.J., New York, 2004
- Durham W. Cole Jr.*, Religion and the World's Constitutions, in: Law, Religion, Constitution (Freedom of Religion, Equal Treatment, and the Law), Edited by Cr. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari, D. Thayer, 2013
- Dwyer Christopher*, Divorce in Italy, Quis Custodiet, Vol. 36, 1972
- Edge Peter W.*, Religion and Law, An Introduction, Ashgate, 2006
- Eighmy John Lee*, Institutional Support in a Welfare State: The Crisis in Church-State Relations, Journal of Church and State, №4(2), 1962
- Evans Carolyn*, Thomas Christopher A., Church-State Relations in the European Court of Human Rights, Brigham Young University Law Review, No.3, 2006
- Farrugia Ruth*, The Influence of the Roman Catholic Church in Maltese Family Law and Policy, in: The Place of Religion in Family Law: A Comparative Search, Edited by J. Mair and E. Örüçü, Antwerp-Portland, 2011
- Fennelly John E.*, Property Disputes and Religious Schisms: Who Is the Church?, Saint Thomas Law Review, Vol.9, 1997
- Ferrari Silvio*, Introduction to European Church and State Discourses, in: Law & Religion in the 21st Century – Nordic Perspectives, Edited by L. Christoffersen, K. Å. Modeér, S. Andersen, Copenhagen, 2010
- Ferrari Silvio*, Proselytism and Human Rights, in: Christianity and Human Rights, An Introduction, Edited by J. Witte Jr. and F.S. Alexander, New York, 2010
- Fischer Judith D.*, *Wallace Chloe J.*, God and Caesar in the Twenty-First Century: What Recent Cases Say about Church-State Relations in England and the United States, Florida International Law Journal, №18, 2006
- Flood Gavin*, Orthodox Christianity and World Religions, in: The Orthodox Christian World, Edited by A. Casiday, Routledge, 2012
- Fokas Effie*, Religion and Welfare in Greece: A New, or Renewed, Role for the Church? in: Orthodox Christianity in 21st Century Greece, The Role of Religion in Culture, Ethnicity and Politics, Edited by V. Roudometof and V.N. Makrides, Ashgate, 2010

- Földesi Tamás*, Religious Human Rights in Eastern Europe, *Emory International Law Review*, Vol.10, 1996
- Fr. Gomes Evaldo Xavier*, Church-State Relations from a Catholic Perspective: General Considerations on Nikolas Sarkozy's New Concept of Laïcité Positive, *Journal of Catholic Legal Studies*, Vol.48, 2009
- Francis John G.*, The Evolving Regulatory Structure of European Church-State Relationships, *Journal of Church and State*, №4, 1992
- Froese Paul*, Forced Secularization in Soviet Russia: Why an Atheistic Monopoly Failed, *Journal for the Scientific Study of Religion*, Vol.43, №1, 2004
- Fukuyama Francis*, *The Origins of Political Order, From Prehuman Times to the French Revolution*, London, 2012
- Furseth Inger*, The Ambiguity of Secular and Religious Space: The Norwegian Penitentiary System, in: *Secular and Sacred? The Scandinavian Model of Religion in Human Rights, Law and Public Space*, Edited by R. Van Der Breemen, J. Casanova and T. Wyller, Vandenhoeck & Ruprecht, 2014
- Gabashvili Manana*, Place and Role of Athonite Monks in the Georgian Politics of Medieval Centuries, in: *Georgian Athonites and Christian Civilization*, Edited by D. Muskhelishvili, New York, 2013
- Gallagher Clarence*, Marriage in Eastern and Western Canon Law, *Law and Justice – Christian Law Review*, Vol.157, 2006
- Gautier Mary L.*, Church Elites and the Restoration of Civil Society in the Communist Societies of Central Europe, *Journal of Church and State*, Vol.40, No.2, 1998
- Gedicks Frederick Mark*, Religious Exemptions, Formal Neutrality, and Laïcité, *Indiana Journal of Global Legal Studies*, Vol.13, Issue 2, 2006
- Géraud André*, The Lateran Treaties: A Step in Vatican Policy, *Foreign Affairs*, №7, 1928-1929
- Gori-Montanelli Riccardo*, *Botwinik David A.*, Mexican Divorces: Italy, *International Lawyer*, №1, 1966-1967
- Grdzeldze Tamara*, The Georgian Tradition, in: *The Orthodox Christian World*, Edited by A. Casiday, Routledge, 2012
- Greenawalt Kent*, *Religious and the Constitution*, Vol.2, Establishment and Fairness, Princeton, 2008
- Greenawalt Kent*, Religion and Equality, in: *Christianity and Human Rights, An Introduction*, Edited by J. Witte Jr. and F.S. Alexander, New York, 2010
- Greenawalt Kent*, Secularism, Religion, and Liberal Democracy in the United States, *Cardozo Law Review*, Vol.30, 2009
- Grinda Georges*, *The Principality of Monaco (State, International Status, Institutions)*, 2nd Ed., Translated by J.C. Duursma, The Hague, 2010
- Gurian Waldemar*, Hitler's Undeclared War on the Catholic Church, *Foreign Affairs*, №16, 1937-1938
- Habermas Jurgen*, Equal Treatment of Cultures and the Limits of Postmodern Liberalism, *Journal of Political Philosophy*, Vol.13, 2005
- Hackett Rosalind I.J.*, Rethinking the Role of Religion in Changing Public Spheres: Some Comparative Perspectives, *Brigham Young University Law Review*, Issue 3, 2005
- Hammet Harold D.*, Separation of Church and State: By One Wall or Two?, *Journal of Church and State*, №7, 1965

- Harding Maebh*, Religion and Family Law in Ireland: From A Catholic Protection of Marriage to A “Catholic” Approach to Nullity, in: The Place of Religion in Family Law: A Comparative Search, Edited by J. Mair and E. Örüciü, Antwerp-Portland, 2011
- Hart David Bentley*, The Story of Christianity, A History of 2,000 years of the Christian Faith, London, 2013
- Hayes P.J.*, Impediments to Marriage in the Catholic Church, The North American Review, Vol.180, 1905
- Heckel Martin*, Religious Human Rights in Germany, Emory International Law Review, Vol.10, 1996
- Helmholz Richard H.*, Human Rights in the Canon Law, in: Christianity and Human Rights, An Introduction, Edited by J.Witte Jr. and F.S. Alexander, New York, 2010
- Henderson Ernest F.*, Select Historical Documents of the Middle Ages, London, 1910
- Hirschl Ran*, Comparative Constitutional Law and Religion, in: Comparative Constitutional Law, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Cheltenham, 2011
- Hofman Frank J.*, The Development of the Canon Law of Marriage, Acta Juridica, 1983
- Hoff Timothy*, Religion’s Accommodation to American Law and Culture, in: Legal Responses to Religious Practices in the United States (Accommodation and Its Limits), Edited by A. Sarat, New York, 2012
- Holt Niles*, The Church Withdrawal Movement in Germany, Journal of Church and State, Vol.32, 1990
- Horn Carl III*, Secularism and Pluralism in Public Education, Harvard Journal of Law and Public Policy, Vol.1, No.1, 1984
- Huntington Samuel H.*, The Clash of Civilizations and the Remaking World Order, New York, 1996
- Jänterä-Jareborg Maarit*, The Legal Scope for Religious Identity in Family Matters - The Paradoxes of the Swedish Approach, in: The Place of Religion in Family Law: A Comparative Search, Edited by J. Mair and E. Örüciü, Antwerp-Portland, 2011
- Jensen Darryn*, Classifying Church-State Arrangements, Beyond Religious Versus Secular, in: Law and Religion in Public Life, The Contemporary Debate, Edited by N. Hosen and R. Mohr, Abingdon, 2011
- Jones H.*, The Church in Wales: A church for the Welsh Nation, Law and Justice, №149, 2002
- Kuhelj Alenka*, Religious Freedom in European Democracies, Tulane European and Civil Law Forum, Vol.20, 2005
- Kuiper Barend Klaas*, The Church in History, Grand Rapids, 1988
- Ibán Iván C.*, God in Constitutions and Godless Constitutions, in: Law, Religion, Constitution (Freedom of Religion, Equal Treatment, and the Law), Edited by Cr. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari, D. Thayer, 2013
- Isakhanyan Levon*, Analysis of Legal Issues Related to the Armenian Diocese in Georgia, in: Freedom of Religion in Georgia and Armenia, Regional Conference on the Freedom of Religion or Belief, Conference Report, July 2013, Tbilisi
- Korkelia Konstatione, Mchedlidze Nana, Nalbandov Alexander*, Compatibility of Georgian Legislation with the Standards of the European Convention on Human Rights and Its Protocols, Tbilisi, 2004
- Ladeur Karl-Heinz*, Augsburg Ino, The Myth of the Neutral State: The Relationship Between State and Religion in the Face of New Challenges, German Law Review, Vol.8, 2007
- Langlaude Sylvie*, Introduction: Secularism, Religious Liberty, and the ECHR, International and Comparative Law Quarterly, Vol. 55, October 2006

- Ledewitz Bruce*, Church, State, and the Crisis in American Secularism, Bloomington, 2011
- Leigh Ian*, Objective, Critical and Pluralistic? Religious Education and Human Rights in the European Public Sphere, in: Law, State and Religion in the New Europe, Edited by L. Zucca and C. Ungureanu, Cambridge, 2012
- Lerner Natan*, Religion and the Basic Legislation in Israel, in: Law, Religion, Constitution (Freedom of Religion, Equal Treatment, and the Law), Edited by Cr. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari, D. Thayer, 2013
- Listl Joseph.*, Church-State Relations in Germany, *The Jurist*, №56, 1997
- Loughlin Martin*, Foundations of Public Law, Oxford, 2010
- Lozano Rafael Palomino*, Religion and Education of Europe Toward a “Soft” Constitutionalization of a Model of Religious Teaching? in: Law, Religion, Constitution (Freedom of Religion, Equal Treatment, and the Law), Edited by C. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari and D. Thayer, Ashgate Publishing, 2013
- Luhmann Niklas*, The Difference of Society, Columbia University Press, 1982
- Madeley John T.S.*, E Unum Pluribus: The Role of Religion in the Project of European Integration, in: Religion and Politics in Europe, The Middle East and North Africa, Edited by J. Haynes, Abingdon, 2010
- Mair Jane*, The Place of Religion in Family Law: A Comparative Search, in: The Place of Religion in Family Law: A Comparative Search, Edited by J. Mair and E. Örücü, Antwerp-Portland, 2011
- Marsh Christopher*, Russian Orthodox Christians and Their Orientation toward Church and State, *Journal of Church and State*, №47, 2005
- McCauliff C.M.A.*, Dreyfus, Laïcité and the Burqa, *Connecticut Journal of International Law*, Vol.28, 2012
- McConnell Michael W., Garvey John H., Berg Thomas C.*, Religion and the Constitution, New York, 2011
- McGrath James J.*, Canon Law and American Church Law: A Comparative Study, *The Jurist*, №18, 1958
- McGuckin John A.*, The Issue of Human Rights in Byzantium and the Orthodox Christian Tradition, in: Christianity and Human Rights, An Introduction, Edited by J. Witte Jr. and F.S. Alexander, New York, 2010
- Mckinley Patrick Brennan*, Differentiating Church and State (Without Losing the Church), *Georgetown Journal of Law and Public Policy*, Vol.7, 2009
- McManus Frederick R.*, Marriage in the Canons of the Eastern Catholic Churches, *Jurist*, Vol.54, 1994
- Merriman Scott A.*, Religion and the State, An International Analysis of Roles and Relationship, Santa Barbara, 2009
- Meyendorff John*, Christian Marriage in Byzantium: The Canonical and Liturgical Tradition, *Dumbarton Oaks Papers*, №44, 1990
- Minnerath Roland*, Church Autonomy in Europe, in: Church Autonomy, A Comparative Survey, Edited by G. Robbers, Frankfurt am Main, 2001
- Modak-Truman Mark C.*, Beyond Theocracy and Secularism (Part I): Toward a New Paradigm for Law and Religion, *Mississippi College Law Review*, Vol. 27, 2007
- Morán Gloria M.*, The Spanish System of Church and State, *Brigham Young University Law Review*, №2, 1995

- Morée Peter*, Identity, Religion and Human Rights in the Balkans, The Macedonian Case of Archbishop Jovan in Its Broader Context, Helsinki Monitor, Vol.16, 2005
- Morini Claudia*, Secularism and Freedom of Religion: The Approach of the European Court of Human Rights, Israel Law Review, Vol. 43, 2010
- Mungiu-Pippidi Alina*, The Ruler and the Patriarch: The Romanian Eastern Orthodox Church in Transition, East European Constitutional Review, №7, 1998
- Nathan Clemens N.*, The Changing Face of Religion and Human Rights, A Personal Reflection, Leiden-Boston, 2013
- National Council of Churches*, Separation and Interaction of Church and State, Journal of Church and State, №6, 1964
- Nicholson Joanna*, The Law of Church and State Relations in the United Kingdom, Sri Lanka Journal of International Law, №12, 2000
- Nord Warren A.*, Religion, the First Amendment and Public Education, BYU Journal of Public Law, Vol. 8, 1994
- Olshewsky Thomas M.*, A Christian Understanding of Divorce, Journal of Religious Ethics, Vol.7, No.1, 1979
- O'brien Albert C.*, Benito Mussolini, Catholic Youth, and the Origins of the Lateran Treaties, Journal of Church and State, №23, 1981
- Orsy Ladislav*, Marriage in the Code of Canon Law, Law and Justice, 1988-1989
- Palomino Rafael*, Legal Dimensions of Secularism: Challenges and Problems, 17th Annual International Law and Religion Symposium, Brigham Young University, Provo, Utah, October 3-5, 2010
- Palomino Rafael*, The Role of Concordats Promoting Religious Freedom with Special Reference to Agreements in the Middle East, in: Ius Ecclesiarum Vehiculum Caritatis, Libreria Editrice Vaticana, 2004
- Papastathis Charalambos K.*, The Hellenic Republic and the Prevailing Religion, Brigham Young University Law Review, №4, 1996
- Petkoff Peter*, Legal Perspectives and Religious Rights Under International Law in the Vatican Concordats (1963-2004), Law & Justice - Christian Law Review, Vol.158, 2007
- Peyrouse Sébastien*, The Relationship between Church and State in the Post-Soviet World: The Case of Christianity in Central Asia, Journal of Church and State, №49, 2007
- Plesner Ingvill Thorson*, Secularism – A Quest for Privatization of Religion? in: Law & Religion in the 21st Century – Nordic Perspectives, Edited by L. Christoffersen, K. Å. Modeér, S. Andersen, Copenhagen, 2010
- Pollis Adamantia*, Eastern Orthodoxy and Human Rights, Human Rights Quarterly, Vol.15, 1993
- Powell Russell*, The Study of Secularism and Religion in the Constitution and Contemporary Politics of Turkey: The Rise of Interdisciplinarity and the Decline of Methodology? University of St. Thomas Law Journal, Vol.7, No.3, 2010
- Radan Peter*, International Law and Religion, Article 18 of the International Covenant on Civil and Political Rights, in: Law and Religion, God, the State and the Common Law, Edited by P. Radan, D. Meyerson and R. F. Croucher, London, 2005
- Ramet Sabrina P.*, Religion and Politics in Germany since 1945: The Evangelical and Catholic Churches, Journal of Church and State, №42, 2000
- Ratzinger Joseph, Pera Marcello*, Without Roots: The West, Relativism, Christianity, Islam, Basic Books, 2006

- Renaud Robert Joseph, Weinberger Lael Daniel*, Spheres of Sovereignty: Church Autonomy Doctrine and the Theological Heritage of the Separation of Church and State, Northern Kentucky Law Review, Vol.35, 2008
- Ringelheim Julie*, Rights, Religion and the Public Sphere: the European Court of Human Rights in Search of a Theory? in: Law, State and Religion in the New Europe, Edited by L. Zucca and C. Ungureanu, Cambridge, 2012
- Robbers Gerhard*, Church and State Relations in the Constitutions, in: Law, Religion, Constitution (Freedom of Religion, Equal Treatment, and the Law), Edited by Cr. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari, D. Thayer, 2013
- Rodes Robert E. jr.*, Natural Law and the Marriage of Christians, The Jurist, №35, 1975
- Rodopoulos Panteleimon*, An Overview of Orthodox Canon Law, translated by *W.J. Lillie*, Rollinsford, 2007
- Romanides John S.*, The Orthodox Churches on Church-State Relations and Religion Liberty, Journal of Church and State, №6, 1964
- Rosenfeld Michel*, Introduction: Can Constitutionalism, Secularism and Religion Be Reconciled in an Era of Globalization and Religious Revival?, Cardozo Law Review, Vol.30, 2009
- Rossouw G.J., Macamo Eugenio jr.*, Church-State Relationship in Mozambique, Journal of Church and State, №35(3), 1993
- Roudometof Victor*, The Evolution of Greek Orthodoxy in the Context of World Historical Globalization, in: Orthodox Christianity in 21st Century Greece, The Role of Religion in Culture, Ethnicity and Politics, Edited by V. Roudometof and V.N. Makrides, Ashgate, 2010
- Ryngaert Cedric*, The Legal Status of the Holy See, Göttingen Journal of International Law, Vol.3, 2011
- Sajó András*, Preliminaries to a Concept of Constitutional Secularism, I-Con, Vol.6, No.3-4, 2008
- Sandberg Russell*, Law and Religion, New York, 2011
- Sapir Gideon, Staatman Daniel*, Religious Marriage in a Liberal State, Cardozo Law Review, Vol.30, No.6, 2009
- Schanda Balzs*, Religion and State in the Candidate Countries to the European Union – Issues Concerning Religion and State in Hungary, Sociology of Religion, Vol.64, No.3, 2003
- Scharffs Brett G., Disparte Suzanne*, Comparative Models for Transitioning from Religious to Civil Marriage Systems, Journal of Law and Family Studies, Vol.12, 2010,
- Scheinen Martin*, Secular Human Rights Perspectives, As a Challenge to Nordic Law & Religion Solutions, in: in: Law & Religion in the 21st Century – Nordic Perspectives, Edited by L. Christoffersen, K. Å. Modeér, S. Andersen, Copenhagen, 2010
- Sharp Andrew*, Orthodox Christians and Islam in the Postmodern age, Leiden-Boston, 2012
- Sir Bratza Nicolas*, The “Precious Asset”: Freedom of Religion Under the European Convention on Human Rights, in: Religion and Discrimination Law in the European Union, Edited by M. Hill QC, Trier, 2012
- Sirico Louis J. Jr.*, Church Property Disputes: Churches as Secular and Alien Institutions, Fordham Law Review, Vol.55, 1986
- Slotte Pamela*, Freedom of Religion, Freedom of Conscience and Education: A Nordic Example, in: Law, Religion, Constitution (Freedom of Religion, Equal Treatment, and the

- Law), Edited by C. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari and D. Thayer, Ashgate Publishing, 2013
- Smith Steven D.*, Freedom of Religion or Freedom of the Church? in: Legal Responses to Religious Practices in the United States (Accommodation and Its Limits), Edited by A. Sarat, New York, 2012
- Smith Steven D.*, Religious Symbols and Secular Government, *Israel Law Review*, Vol.46, Iss.2, 2013, 197
- Stephens Otis H. Jr.*, Scheb John M. II, *American Constitutional Law*, Vol.2, Civil Rights and Liberties, 4th Ed., Thomson Wadsworth, 2008
- Stathopoulos Michael P.*, Secularization of Family Law in Greece, *Israel Law Review*, Vol.22, No.3, 1998
- Study of Religious Discrimination and Constitutional Secularism in Georgia, Tolerance and Diversity Institute, Tbilisi, 2014
- Surguladze Mzia*, Georgian Church from Giorgi Mtatsmindeli (George the Hagiorite) to David the Builder, in: *Georgian Athonites and Christian Civilization* Edited by D. Muskhelishvili, New York, 2013
- Taylor Scot A.*, The Law of Tax-Exempt Organizations in a Nutshell, St. Paul, 2011
- Temperman Jeroen*, State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance, Leiden-Boston, 2010
- Torfs Rik*, Church and State in France, Belgium, and the Netherlands: Unexpected Similarities and Hidden Differences, *Brigham Young University Law Review*, №4, 1996
- Troper Michel*, French Secularism, or Laïcité, *Cardozo Law Review*, Vol.21, 2000
- Troper Michel*, Sovereignty and Laïcité, *Cardozo Law Review*, Vol.30, 2009
- Tsintsadze Khatuna*, Legal Aspects of Church-State Relations in Post-Revolutionary Georgia, *Brigham Young University Law Review*, №3, 2007
- Tsoukala Philomila*, Marrying Family Law to the Nation, *The American Journal of Comparative Law*, Vol.58, 2010
- Tulkens Françoise*, The European Convention of Human Rights and Church-State Relations: Pluralism vs. Pluralism, *Cardozo Law Review*, Vol.30, No.6, 2009
- Tuohy David*, Denominational Education and Politics, Ireland in a European Context, Dublin, 2013
- Turner Bryan S.*, Religion and Modern Society, Citizenship, Secularism and the State, New York, 2011
- Turner Bryan S.*, The Religious and the Political, A Comparative Sociology of Religion, New York, 2013
- Van Caenegem Raoul Charles*, An Historical Introduction to Western Constitutional Law, Cambridge, 1995
- Van Der Ven Johannes A.*, From Divine Law to Positive Law, A Perspective from the Science of Religion, in: *Secular and Sacred? The Scandinavian Model of Religion in Human Rights, Law and Public Space*, Edited by R. Van Der Breemen, J. Casanova and T. Wyller, Vandenhoeck & Ruprecht, 2014
- Van Haegendoren Geert, Alen André*, The Constitutional Relationship Between Church and State, in: *Treatise on Belgian Constitutional Law*, Edited by A. Alen, Boston, 1992
- Viscuso Patrick*, Orthodox Canon Law, Second Ed., Brookline, Massachusetts, 2011
- Von Campenhausen Axel Freiherr*, Church Autonomy in Germany, in: *Church Autonomy, A Comparative Survey*, Edited by G. Robbers, Frankfurt am Main, 2001

- Von Ungern-Sternberg Antje*, Participation of Religious Communities in Public Life – Great Britain and Germany, in: Transformation of Church and State Relations in Great Britain and Germany, Edited by C. Walter and A. Von Ungern-Sternberg, Baden-Baden, 2013
- Ungureanu Camil*, Europe and Religion: An Ambivalent Nexus, in: Law, State and Religion in the New Europe, Edited by L. Zucca and C. Ungureanu, Cambridge, 2012
- Yalensky Victor*, Religion, Church, and State in the Post-Communist Era: The Case of Ukraine (with Special References to Orthodoxy and Human Rights), Brigham Young University Law Review, №2, 2002
- Yildirim Seval*, Expanding Secularism’s Scope: An Indian Case Study, The American Journal of Comparative Law, Vol. 52, 2004
- Wagschal David*, Orthodox Canon Law, The Byzantine Experience, in: The Orthodox Christian World, Edited by A. Casiday, Routledge, 2012
- Wardle Lynn D.*, Marriage and Religious Liberty: Comparative Law Problems and Conflict of Laws Solutions, Journal of Law and Family Studies, Vol.12, 2010
- Ware Kallistos*, The Orthodox Way, New York, 1999
- Ware Timothy*, The Orthodox Church, 2nd Ed., London, 1997
- Well Patrick*, Why the French Laïcité is Liberal, Cardozo Law Review, Vol.30, 2009
- Witte John Jr.*, Law, Religion and Human Rights, Colombia Human Rights Law Review, Vol.28, 1996
- Wood James E.*, Church and State in Historical Perspective: A Critical Assessment and Annotated Bibliography, London, 2005
- Wright John J.*, Aggressive Secularism in America, Catholic Lawyer, Vol.6, 1960
- Zollman Carl*, Nature of America Religious Corporations, Michigan law Review, Vol.14, 1915
- Zucca Lorenzo*, Law v. Religion, in: Law, State and Religion in the New Europe, Edited by L. Zucca and C. Ungureanu, Cambridge
- Zucca Lorenzo*, The Crisis of the Secular State – A Reply to Professor Sajó, I-Con, Vol.7, No.3, 2009
- Настольная Книга Священнослужителя, IV Том, Издание Московской Патриархии, Москва, 1983
- Смирнов Е.И.*, История Христианской Церкви, 2-ое Издание, Свято-Троицкая Сергиева Лавра, 2007
- Яковлев А.И.*, Лекции по Истории Христианской Церкви, Москва, 2011

სამართლებრივი აქტები

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია
 საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება
 საქართველოს შრომის კოდექსი
 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი
 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
 საქართველოს პატიმრობის კოდექსი
 საქართველოს საბაჟო კოდექსი
 საქართველოს საგადასახადო კოდექსი

„სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი
„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი
„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი
„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი
„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი
„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი
„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2015 წლის 27 ნოემბრის კანონი
„სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონი
„ექიმის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი
„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი
„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი
„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი
საქართველოს 2011 წლის 5 ივლისის კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“
სსსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 12 აპრილის №180 დადგენილება „რელიგიის საქმეთა საკითხების შესახებ“
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია
საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 13 სექტემბრის კანონი „სამასწავლებლო ინსტიტუტის და სემინარიების გაეროვნებისა“
საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 26 ნოემბრის კანონი „საღვთო სჯულის სწავლების გაუქმებისა“
საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 17 ივნისის კანონი „უქმე დღეების რიცხვის შემცირებისა“
საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 21 თებერვლის №125 ბრძანებულება „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა უზრუნველმყოფ კომისიათა შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 7 იანვრის №1 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“
საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 7 იანვრის №1 ბრძანებულება „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა უზრუნველმყოფ კომისიათა შექმნის შესახებ“
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 თებერვლის №177 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის — რელიგიის საკითხა სახელმწიფო სააგენტოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №117 დადგენილება „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის“ დამტკიცების თაობაზე“
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 18 აპრილის №82 დადგენილება „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების განმხილველი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის №63 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის №63 დადგენილება „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების განმხილველი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 მარტის №437 განკარგულება „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისთვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 23 აგვისტოს №115/ნ ბრძანება „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ 2005 წლიდან 2013 წლის პირველ იანვრამდე გაცემული/გასაცემი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანება „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2009 წლის 19 ივნისის №448 ბრძანება „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის დებულების“ დამტკიცების შესახებ“

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №583 ბრძანება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის“ დამტკიცების შესახებ“

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 30 დეკემბრის №187 ბრძანება „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობისა და სასულიერო პირებთან შეხვედრის უფლების განხორციელების შესახებ“

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“

ადვოკატთა ეთიკის კოდექსი

UN Religious Tolerance Declaration (1981)

Constitution of Burkina Faso, 1991

Constitution of Mali, 1992

Constitution of Namibia, 1990

Constitution of Rwanda, 2003

Constitution of the Azerbaijan Republic, 1995

Constitution of the Co-Operative Republic Guyana, 1980

Constitution of the French Republic, 1958

Constitution of the Hellenic Republic, 1975

Constitution of the Italian Republic, 1947

Constitution of the Argentine Nation, 1853

Constitution of the Democratic Republic of Sao Tome and Principe, 1975

Constitution of the Democratic Republic of the Congo, 2006

Constitution of the Kingdom of Belgium, 1831

Constitution of the Kingdom of Norway, 1814

Constitution of the Kingdom of Spain, 1978,

Constitution of the Kingdom of Sweden (The Instrument of Government, 1974)

Constitution of the Kingdom of the Netherland, 1983
 Constitution of the Kyrgyz Republic, 1993
 Constitution of the Principality of Monaco, 1962
 Constitution of the Republic of Benin, 1990
 Constitution of the Republic of Bulgaria, 1991
 Constitution of the Republic of Cameroon, 1972
 Constitution of the Republic of Chad, 1996
 Constitution of the Republic of Côte D'Ivoire, 2000
 Constitution of the Republic of Cyprus, 1960
 Constitution of the Republic of Ecuador, 2008
 Constitution of the Republic of Gabon, 1991
 Constitution of the Republic of the Gambia, 1997
 Constitution of the Republic of Guinea-Bissau, 1990
 Constitution of the Republic of India, 1950
 Constitution of the Republic of Ireland, 1937
 Constitution of the Republic of Kazakhstan, 1995
 Constitution of the Republic of Madagascar, 2010
 Constitution of the Republic of Mozambique, 1990
 Constitution of the Republic of Senegal, 2001
 Constitution of the Republic of Serbia, 2006
 Constitution of the Republic of Tajikistan, 1994
 Constitution of the Republic of Turkey, 1982
 Constitution of the Russian Federation, 1993
 Constitution of the Slovak Republic, 1992
 Constitution of Togo, 1992
 Constitutional Act of the Kingdom of Denmark, 1953
 Constitutional Law of the Republic of Angola, 1992
 Constitutional Law of Turkmenistan, 1992
 Interim Constitution of Nepal, 2007
 Fifth Amendment of the Constitution Act of Ireland, 1972
 Fundamental Law of the Republic of Guinea, 1991
 New Constitution of the Republic of the Congo, 2002
 Post-Transition Constitution of the Republic of Burundi, 2005
 Montevideo Convention on Rights and Duties of States, 26 December, 1933
 Law of the Republic of Latvia on "The Religious Organizations", 1995
 Law of the Republic of Poland on "The Guarantees of Freedom of Religion and Belief", 1989
 Law of the Kingdom of the Netherlands on "public Schools and Special Schools Financed by the State", 1981
 Civil Code of the Kingdom of Spain
 Civil Code of the Hellenic Republic
 Law 590/77 of Greece "Concerning the Charter of the Church of Greece"
 Marriage and Divorce Law of Israel, 1953
 Royal Titles Act of New Zealand, 1974
 The Church Act (*Kirkkojärjestys* 1055/1993)
 Act on the Orthodox Church (*Laki Ortodoksisestakirkosta* 985/2006)

**შეთანხმებები საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ
მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს სახალხო
ხელისუფლების ორგანოებს შორის**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობლივი კომისიის ურთიერთგაგების მემორანდუმი, 2005 წლის 22 იანვარი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ხელშეკრულება, 2001 წლის 20 აპრილი

შეთანხმება საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შორის პრობაციონერთა და არაპატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის სფეროში, 2006 წლის 1 მარტი.

**სასამართლო გადაწყვეტილებები
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის №1/1/618 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები — გიორგი კეკელიძე, ნინო კვეციანი და ბესიკი გვენეტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის №1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 22 ნოემბრის №2/18/206 განჩინება საქმეზე „მოქალაქე ზურაბ აროშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

საქართველოს უზენაესი სასამართლო

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 30 მაისის №ბს-722-707(2კ-12) განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 20 სექტემბრის №ბს-477-471(2კ-12) გადაწყვეტილება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 9 თებერვლის №ბს-1599-1575(კ-11) განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 15 მაისის №ას-968-1269-07 გადაწყვეტილება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

S.A.S. v. France, [ECtHR], App. no. 43835/11, 1 July, 2014

Seibenhaar v. Germany, [ECtHR], App. No. 18136/02, 3 February 2011

Lautsi and Others v. Italy, [ECtHR], App. no. 30814/06, 11 March 2011

Sinan Işik v. Turkey, [ECtHR], App. no. 21924/05, 2 February 2010

Dogru v. France, [ECtHR], App. no. 27058/05, 4 December, 2008

Religionsgemeinschaft Der Zeugen Jehovas and Others v. Austria, [ECtHR], App. no. 40825/98, 31 July 2008

Jehovah's Witnesses and Others v. Austria, [ECtHR], App. no. 40825/98, 31 July 2008

Hasen and Eylem Zengin v. Turkey, [ECtHR], App.no. 1448/04, 9 January 2008
Folgerø and Others v. Norway, [ECtHR], App. no. 15472/02, 29 June 2007
Svyato-Mykhayliyska Parafiya v. Ukraine, [ECtHR], App. no. 77703/01, 14 June 2007
97 Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and 4 Others v. Georgia, [ECtHR], App. no. 71156/01, 3 May 2007
Kosteski v. the Former Yugoslav Republic of Macedonia, [ECtHR], App. no. 55170/00, 13 April 2006
Leyla Şahin v. Turkey, [ECtHR], App. no. 44774/98, 10 November 2005
Ouranio Toxo and others v. Greece, [ECtHR], App. No. 74989/01, 20 October 2005
Çiftçi v. Turkey, [ECtHR], App. No. 71860/01, admissibility decision, 2004
Refah Partisi (The Welfare Party) and others v. Turkey, [ECtHR], Application no. 41340/98, 41342/98 and 41344/98, 13 of February, 2003
Metropolitan Church of Bessarabia v. Moldova, [ECtHR], App. No. 45701/99, 13 December 2001
Bruno v. Sweden, [ECHR], App. no. 32196/96, 28 August 2011
Dahlab v. Switzerland, [ECtHR], App. No. 42393/98, 15 February 2001
Hasan and Chaush v. Bulgaria, [ECtHR], App. no. 30985/96, 26 October, 2000
Cha'are Shalom Ve Tsedek v. France, [ECtHR] App. No. 27417/95, 27 June 2000
Buscarini and Others v. San Marino, [ECtHR], App. no. 24645/94, 18 of February, 1999
United Communist Party of Turkey (ÖZDEP) v. Turkey, [ECtHR], App. No. 23885/94, 8 December 1999
Canea Catholic Church v. Greece, [ECtHR], App. no. 143/1996/762/963, 16 December, 1997
Manoussakis v. Greece, [ECtHR], Application no. 18748/91, 26 September 1996
Kokkinakis v. Greece, [ECtHR], App. No. 14307/88, 25 may 1993
Darby v. Sweden, [ECtHR], Application no. 11581/85, 23 October 1990
Nielsen v. Denmark, [ECtHR], App. no. 10929/84, 28 November 1988
Kjeldsen, Busk, Madsen and Pedersen v. Denmark, [ECtHR], Application no. 5095/71; 5920/72; 5926/72, 7 December 1976

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია

Angelini v. Sweden, [ECHR], App. no. 10491/83, D.R. 51, 3 December, 1986
Igle Iglesia Bautista 'El Salvador' and Jose Aquilino Ortega Maratilla v. Spain, [ECHR], App. no. 17522/90, 11 January 1992
Knudsen v. Sweden, [ECHR], App. no. 11045/84, 8 of March, 1985
X v. the United Kingdom, [ECHR], App. no. 8231/78, 6 March 1982, D.R.28.

ახალი ზელანდიის უმაღლესი სასამართლო

Carrigan v. Renwood, 1910, 30 N.Z.L.R. 244, 252.
Mabon v. Conference of the Methodist Church of New Zealand, 1998, 3 N.Z.L.R. 513,523.

ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი, ფედერალური და შტატის სასამართლოები

McCreary County v. American Civil Liberties Union, 545 U.S. 893 (2005)
Van Orden v. Perry, 545 U.S. 677 (2005)

Santa Fe Independent School District v. Doe, 530 U.S. 290 (2000)
Lee v. Weismann, 505 U.S. 577 (1992)
Spiritual Outreach Society v. Commissioner, 972 F.2d335 (8th Cir. 1991)
Jimmy Swaggart Ministries v. Board of Equalization, 493 U.S. 378 (1990)
Employment Division, Department of Human Resources of Oregon v. Smith, 494 U.S. 872 (1990)
Walz v. Tax Commission, 397 U.S. 664 (1970)
O’Hair v. Blumenthal, 588 F.2d 1144 (5th Cir. 1979)
Serbian E. Orthodox Diocese v. Milivojevich, 426 U.S. 696 (1976)
Lemon v. Kurtzman, 403 U.S. 602 (1971)
Walz v. Tax Commission, 397 U.S. 664 (1970)
Aranow v. United States, 432 F.2d 242,243 (9th Cir. 1970)
Presbyterian Church v. Hull Church, 393 U.S. 444 n.3 (1969)
Epperson v. Arkansas, 393 U.S. 106 (1968)
Abington School District v. Schempp, 374 U.S. 224 (1963)
Kedroff v. St. Nicholas Cathedral, 344 U.S. 94 (1952)
Everson v. Board of Education, 330 U.S. 1 (1947)
Follet v. Town of McCormick, 321 U.S. 573 (1944)
Murdock v. Pennsylvania, 319 U.S. 105 (1943)
Jones v. Opelika, 316 U.S. 584 (1942)
Gonzalez v. Roman Catholic Archbishop of Manila, 280 U.S. 1,16 (1929)
Bradfield v. Roberts, 175 U.S. 298 (1899)
Reynolds v. United States, 98 U.S. 145 at 164 (1878)
Miller v. Baptist Church, 16 N.J.L. 251 (1837)

გაერტიანეზული საგეფოს სასაგარტლო

R (on the application of Begum (Shabina) v. Denbigh High School Governors, [2006] 2 WLR 719 (22 Mar. 2006)

ესპანეთის საგეფოს საკონსტიტუციო სასაგარტლო

Sentence 24/1982 of the Constitutional Court of Spain, 13 May 1982
Sentence 34/1981 of the Constitutional Court of Spain, 10 November 1981

ინდოეთის უგაღლეის სასაგარტლო

Bijoe Emmanuel v. State of Kerala, AIR 1987 SCR 748
Kesavananda Bharati v. State of Kerala, AIR 1973 SC 1461
Commissioner of Hindu Religious Endowments v. Sri Hakshindra Thirta Swamiar, AIR 1954 SCR 1005

ისრაელის უგაღლეის სასაგარტლო

Segev v. Rabbinical Court, High Court of Justice of Israel, 130/66

კანადის უგაღლეის სასაგარტლო

Trinity Western University v. British Columbia College of Teachers, [2001] 1 S.C.R. 772
R.B. v. Children’s Aid Society of Metropolitan Toronto, [1995] 1. S.C.R. 315

P.(D) v. S.(C), [1993] 4 S.C.R. 141
R. v. Big M Drug Mart., [1985] 1. S.C.R. 295
Brassard et al. v. Langevin, [1877] 1 S.C.R. 145

საფრანგეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო

Opinion No.346.893 of the General Assembly of the French Council of State, November 27, 1989

კვიპროსის რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო

Autocephalous, Saint, Orthodox and Apostolic Church of Cyprus v. the House of Representatives, (1990) 3 C.L.R. 338

ირლანდიის რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო

TF v. Ireland, [1995], 1 Ir 321, [1995] 2ILRM 321 (IESC)

ბაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი

Human Rights Committee, General Comment 22, Article 18 (Forty-eighth session, 1993)
Report of The UNHRC, A/60/40 Vol. I (2005)60
Raihon Hudoyberganova v. Uzbekistan, UNHRC, Comm. no.931/2000, CCPR/C/82/D/921/2000, 8 December 2004
Leirvåg and Ors v. Norway, UNHRC, Comm. No. 1155/2003, CCPR/C/82/D/1155/2003, 23 November 2004
Waldman v. Canada, UNHRC, Comm. No. 694/1996, CCPR/C/67/D/694/1996, 3 November 1999
William Eduardo Delgado Páez v. Colombia, UNHRC, Comm. No. 195/1985, CCPR/C/39/D/195/1985 (1990), 12 July 1990

ბაეროს რასობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლის კომიტეტი

Report of the Committee on the Elimination of Racial Discrimination A/60/18 (2005)26

ვენეციის კომისია

Manitakis Antonis, Comments on the Draft Constitutional Agreement between the State of Georgia and the Apostle Autocephalous Orthodox Church of Georgia, CDL(2001)64, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 28 June 2001
Vogel Hans-Heinrich, Comments on the Draft Constitutional Agreement between the State of Georgia and the Apostle Autocephalous Orthodox Church of Georgia, CDL(2001)63, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 29 June 2001
Opinion on the Draft Constitutional Agreement between the State of Georgia and the Apostle Autocephalous Orthodox Church of Georgia, CDL(2001)65, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 28 June 2001

ევროპის საბჭო

The Religious Dimension of Intercultural Dialogue, Recommendation 1962 (2011), Parliamentary Assembly of the Council of Europe
State, Religion, Secularity and Human Rights, Recommendation 1804 (2007), Parliamentary Assembly of Council of Europe
Education and Religion, Recommendation 1720 (2005), Parliamentary Assembly of Council of Europe
Religion and Democracy, Recommendation 1396 (1999), Parliamentary Assembly of Council of Europe
Illegal Activities of Sects, Recommendation 1412 (1999), Parliamentary Assembly of Council of Europe
Religion Tolerance in a Democratic World, Recommendation 1202 (1993), Parliamentary Assembly of Council of Europe
Legal Expertise of the Draft Constitutional Agreement between State of Georgia and the Apostolic, Autonomous Orthodox Church of Georgia. Council of Europe, HRCAD (2001)

ევროპის უსაფრთხოებისა და თანაგზრობლობის ორგანიზაცია

Toledo Guiding Principles on Teaching about Religions and Beliefs in Public Schools, Prepared by the ODIHR Advisory Council of Experts on Freedom of Religion or Belief, OSCE, Warsaw, 2007

საეკლესიო საგარეო ურთიერთობის წყაროები

მრწამსი

ბიბლია

ძველი აღთქმა

დაბადება

ახალი აღთქმა

სახერაბად მათესი

სახერაბად მარკოზისი

სახერაბად იოანესი

საქმე წმიდათა მოციქულთა (აღწერილი ლუკა მახარებელისა)

ეპისტოლე პავლე მოციქულისა რომაელთა მიმართ

ეპისტოლე პავლე მოციქულისა ეფესელთა მიმართ

ეპისტოლე პავლე მოციქულისა კორინთელთა მიმართ

ეპისტოლე პავლე მოციქულისა ებრაელთა მიმართ

ეპისტოლე პავლე მოციქულისა გალატელთა მიმართ

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის აქტები

რუის-ურბნისის ძეგლისწერა

საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, 1995

საპარქნათის ეკლესიის ენციკლიკები

Encyclical 2320/19-5-82 of the Holy Synod of the Church of Greece.
Encyclical 2329/20-10-82 of the Holy Synod of the Church of Greece

რომის პაპის ენციკლიკები

Encyclical Letter “Deus Caritas Est” of the Supreme Pontiff Benedict XVI to the Bishops, Priests and Deacons, Men and Women Religious and All the Lay Faithful on Christian Love, 25 of December, 2005

Encyclical “Summi Pontificatus” of His Holiness Pope Pius XII to Our Venerable Brethren: The Patriarchs, Primate, Archbishops, Bishops, and Other Ordinaries in Peace and Communion with the Apostolic See on the Unity of Human Society, 20 of October, 1939.

Encyclical “Casti Connubi” of Pope Pius XI to the Venerable Brethren: The Patriarchs, Primate, Archbishops, Bishops, and Other Ordinaries Enjoying Peace and Communion with the Apostolic See on Christian Marriage, 31 December, 1930.

Encyclical “Vehementer Nos” of Pope Pius X to To Our Well-beloved Sons, Francois Marie Richard, Cardinal Archbishop of Paris; Victor Lucien Lecot, Cardinal Archbishop of Bordeaux; Pierre Hector Couillie, Cardinal Archbishop of Lyons; Joseph Guillaume Laboure, Cardinal Archbishop of Rennes; and to all Our Venerable Brethren, the Archbishops and Bishops, and to all the Clergy and People of France, 11 of February, 1906.

Encyclical “Rerum Novarum” of Leo XIII to o Our Venerable Brethren the Patriarchs, Primate, Archbishops, Bishops, and other ordinaries of places having Peace andCommunion with the Apostolic See, May 15, 1891

Encyclical Letter “Arcanum” of Pope Leo XIII on Christian Marriage to the Patriarchs, Primate, Archbishops, and Bishops of the Catholic World in Grace and Communion with the Apostolic See, 10 of 1880

Encyclical Letter “Syllabus Errorum” of Pope Pius IX to the Venerable Brethren, all Patriarchs, Primate, Archbishops, and Bishops having favor and Communion of the Holy See, 8 of December of 1864

ოფიციალური კორესპონდენცია

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2015 წლის 17 აგვისტოს წერილი №8289

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2015 წლის 7 აგვისტოს წერილი №599983

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 10 აგვისტოს წერილი №14/50253

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2015 წლის 17 აგვისტოს წერილი №13/13-47/05

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის 18 აგვისტოს წერილი №MES 11500792828

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2015 წლის 13 აგვისტოს წერილი №MOD 01500656805

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2015 წლის 19 აგვისტოს წერილი №MCLA 91500682903

ელექტრონული წყარო

<<http://www.orthodoxy.ge/samartali/jvristsera.htm>> [01.06.2014]

<<http://constcourt.ge/ge/news/2015-wlis-9-oqtomers-saqartvelos-sakonstitucio-sasamartloshi-shemovida-sarcheli.page>> [10.11.2015]

<<http://ena.ge/explanatoryonline>> [05.11.2015]